რაულ
გვეტაძე

# თეო
•
# ტისტოტონა
•
# ანგარიშ
# ასლანეოები
•

„ფალანი" თბილისი

1986

84Гр7-4
ბ 459

წიგნში გამოჩენილი ქართველი მწერლის რაჟ-
დენ გვეტაძის სამი რომანი იბეჭდება: „თეო“, ვი-
ოკოკონა“ და „ლაშაური საღამოები“.

შემდგენელ-რედაქტორები:
ბ. გვერდწითელი, ბ. ფანჯიკიძე

70303 — 66
ბ———————— 11 — 86
М604(08) — 86 © გამომცემლობა „მერანი“

# I

რიკულებიან აივანზე გადამდგარი ყაფლანი კოპებშეკრული გაცქეროდა ლიხის სადგურამდე თასმასავით წვრილ და დაკლაკნილ ბილიკს.

ბილიკი შუაზე ჭრიდა ოქრომოსხურებულ პურის მოღაღანე ყანას. ზევით ჩაუდიოდა რკინიგზა. ხოლო გადაღმა, მომაღლო ბექობზე, განმარტოებით იდგა პატარა სადგური წინ ჩამწკრივებულ უმწვერვალეს ალვის ხეებით.

სადგურის მარცხნივ აღმართული იყო სურამის უღელტეხილი, იმერ-ამერთა სამანი. ზედ ბროლის კოშკებით დაშენებულ ღრუბელთა ქულებს ჩამავალი მზე ავარაყებდა.

მარჯვნივ ეოჩანდა სოფელი სავანე. აქეთ მარაოსავით იშლებოდა ქართლის ბარაქიანი ველი, ვრცელი და უბორცვო, რომელსაც მტკვარი ტაშის მთებიდან ჰყოფდა და ნაპირზე ვერცხლის ქობასავით უვლიდა.

თვითონ სოფელი ქვიშხეთი გაშენებული იყო მთაწმინდის შეფენებაზე. თვალუწვდენი ველიდან მის დავაკებულ კალთებს ირიბად კვეთდა ბორჯომის რკინიგზა.

ყაფლანის სასახლიდან, რომელიც საგანგებოდ იყო აგებული სოფლის შუა ამოზნექილ ალაგას, ყველაფერი ცხადად მოჩანდა.

ცისფრად შეღებილ მოაჯირზე იდაყვებდაყრდნობილი ყაფლანი ნელა მარცვლავდა მომსხო გიშრის კრიალოსანს, თან ცდილობდა ბილიკზე მიმავალნი გამოეცნო.

ერთმა ხურჯინიანმა გლეხმა აივანს უბრად ჩაუარა. ყაფლანმა ეს შეურაცხყოფად მიიჩნია და უნდოდა გათავხედებული ნაყმევის გვარი მოეგონებია, მაგრამ ამ დროს მატარებლის კივილი მოესმა. წყენა ერთბაშად განუქარვდა.

მატარებელი ჯერ შურდულივით მოქროდა, მაგრამ დაესაზღვრა თუ არა სადგურს, სისწრაფეს უკლო. მალე კიდეც

შეჩერდა. ახლა ორთქლმავალი, როგორც ლაბვარსობილი ვეშაპის თავი, ისე ქშინავდა და ბორგავდა.

ფეხის წვერებზე შემდგარი ყაფლანი სულგანაბული ადევნებდა თვალს იქაურობას, მაგრამ ვერავის ამჩნევდა. მატარებელი ისევ აკივლდა და წიფის გვირაბისაკენ დაეშვა. სადგურის წინ გამოჩნდნენ ახაბაკებული მგზავრები და დამხვდურები, რომლებიც იმგვარად ფუსფუსებდნენ, თითქო ცეცხლწაკიდებულ სახლიდან ყოფილიყვნენ გამოცვენილნი.

სოფლისაკენ რამდენიმე მგზავრის დაწინაურებისთანავე, ყაფლანმა ადრინდელი სიმარდით ჭოგრიტი გამოიტანა და ბილიკზე უკვე წეროებივით გამწკრივებულ მგზავრებს თვალთვალი დაუწყო.

— დასწყევლოს ღმერთმა, დავბრუციანდი თუ რა მომივიდა, — გულნაკლულად ჩაილაპარაკა მან და უფრო მოხერხებულად მოიმარჯვა ჭოგრიტი.

ნაირ სამოსიანი მგზავრები ღელეს გამოღმა, აქეთ-იქით შუკებში უხვევდნენ. ზოგნი ყაფლანის სასახლისაკენ ახლად გაჭრილ შარაზე მოემართებოდნენ ხმამაღალი ლაპარაკით.

ყაფლანმა, როგორც იყო, მათ შორის გაარჩია თავისი ორი მოახლე. ისინი თავის ტოლ ბიჭებს მაცდურად უღიმოდნენ და აღიზიანებდნენ. არც თუ ბიჭები რჩებოდნენ ვალში და სურვილი რომ დაეოკებიათ, ატკრციალებულ გოგოებს აშკარად ეტმასნებოდნენ.

როგორც-კი შარას დაადგნენ, გოგოებმა სიარულს უმატეს და საღერღელაშლილი ბიჭები უკან ჩამოიტოვეს.

ჭიშკარში ჯერ კიდევ შემოუსვლელ ქალებს ყაფლანმა აივნის კუთხიდან მკვახედ გადასძახა:

— მარტონი მოდიხართ?

— არ ჩამოსულან, ბატონო, — ერთხმად და ქელვით უპასუხეს ქალებმა.

— იქნებ, ბორჯომის მატარებლით გეახლონ; — გაუბედავად დაუმატა უფრო მოწიფულმა თუთიამ.

— არა, რაღაც ფათერაკია მათ თავს, თორემ, რატომ ღამე სიარული უნდა ერჩიათ, — წარმოთქვა ყაფლანმა და სკამლოგინზე უგუნებოდ ჩამოჯდა.

გოგოები, რომელთაც სიცხისაგან, უფრო-კი ბიჭებთან

კურკურის გამო ლოყები წითლად ულვივოდათ, ფეხაკრეფით გაეშურნენ საჯალაბოსაკენ და თან საკინძეებს იხსნიდნენ, რომ უბეები ქარს გაეგრილებია.

ყაფლანი დიდხანს იჯდა კვიმატ ფიქრებს აყოლილი. მას გამოეპარა მთვარის ამოსვლა, რომელსაც სიამით ეგებებოდა ყოველთვის და რომლისაგანაც მოსირმულ მტკვარს, ხანდახან შემოღამებული ტიეები მკერდს რომ უსერავდნენ, შორიდან ანდობდა თავის მარტოობის ფიქრებსა და ზრახვებს.

მოახლეებმა დააპირეს აივანზე გასვლა დარიგების გამოსათხოვად, მაგრამ ვერ გაბედეს და მოურავს ეხვეწებოდნენ მოციქულობას, მოურავიც ყოყმანობდა, რადგან დაცდილი ჰქონდა ყაფლანის ხასიათი. იცოდა: ბატონის ასეთ სიყუჩეს შესაძლო იყო რისხვა მოჰყოლოდა, როგორც უეცრად დამტკბარ ამინდს ქუხილი.

ყაფლანი იჯდა მოღუშული. დაძარღვული თითებით გამალებით მარცვლავდა გიშრის კრიალოსანს, რომელიც მთვარის შუქზე ისე ჭვიოდა და კიაფობდა, თითქოს გაუხედნავი ზაქების თვალთა გუგები ყოფილიყო ყაითანზე ასხმული.

ყაფლანს უნდოდა მიხვედრილიყო მათი ჩამოუსვლელობის მიზეზს, მაგრამ გუმანი ვერაფერზე შეეჩერებია.

„იქნებ ავადაა ან ხიფათი რამ შეემთხვა!“ — გაივლო უეცრად და აიმრიზა. აღრენილი წამოდგა. გალიაში დამწყვდეული ფოცხვერივით დაიწყო წრიალი აივანზე, შემდეგ დარბაზში შეიჭრა და გაღებული ფანჯრიდან მოურავს გადასძახა:

— ფიდო, ჰა, ფიდო!

მოურავის მაგიერ ყაფლანს თუთია გამოეხმაურა და მოახსენა, რომ ფიდო პლატფორმაზე წავიდა, იქნებ ქალბატონი ბორჯომის მატარებლით ჩამოვიდესო.

ყაფლანს აღარაფერი უთქვამს. ერთი თვალი გადააავლო მიდამოს, შინ შეეიდა და, რადგან ქარი ფხიანდებოდა, ფანჯარა მიხურა.

თუთიას გამჭვირვალე მწვანე ფაიფურის საბურავიანი დიდი ლამპა აენთო, ლამპა რკინის მაღალ სამფეხზე იდგა და იქაურობას სადღესასწაულო ელფერს აძლევდა. დარბაზი ფართო მოცულობის იყო. სამხრეთით, ფანჯრებს შუა გაკ-

რულ ხალზე, რომელიც წვდებოდა იქვე დადგმულ ატლასის მუთაქებიან ლბილ ტახტს, ეკიდა: მოვერცხლილი ხმალი, სიათა, დაშნები, ზუჩი, ჯაჭვის პერანგი, ფოლადის სანიდაყვეები, სამუხლეები, ფარები, მოკლე შუბები, ხანჯლები და ძველი ყალიბის სხვა იარაღი.

ტახტის წინ, შავი ხის მაგიდასთან, ელაგა გამოხარატებული შავი ხისვე რამდენიმე სავარძელი, დანარჩენი სავარძლები და სკამები აქა-იქ ეწყო კედლებთან.

გასწვრივ კუთხეში იდგა მუქი ხავერდის ჩარსავიანი როიალი. იმავე მხარეს, დასავლეთით, დარბაზს ჰქონდა ერთი ფანჯარა, ერთიც უცხოთა მისაღები კარი, მარჯვნივ კი ორი კარი გადიოდა საიჯარო და მოსასვენებელ ოთახებში.

აივნიდან შემოსასვლელის მარცხნივ ეკიდა კედლის სიმაღლე სარკე, ჩასმული მოვარაყებულ სქელ ჩარჩოში. მის ორივე მხარეს, ფანჯრებთან, ოქროს ფერისავე, მაღალფეხებიან ვიწრო მაგიდებზე იდგნენ ქაშანური, ყელგანიერი სავარდე სურები.

ყაფლანი მოსავებული ჩაჯდა სავარძელში და კვლავ ფიქრებს მიეცა. მას ჯერ კიდევ არ გაცდუნებოდა ახოვნება და ღერი, თუმცა მოგრძო სახეზე, ერთ დროს ყორნის ბოლოსავით შავი წვერი, სანახევროდ შევერცხლოდა, მაღალი, ოდნავ კუთხოვანი შუბლი მრავალგზის დაეღარა ხანდაზმულობას თუ განვლილ ბობოქარ დღეებს. უპეებგანიერი მისი კუკუნახი თვალები ამ საღამოს, ლამპის შუქზე, უცნაურად კვესავდნენ. მოკაუჭებული ცხვირის ფართო ნესტოები კიდევ უფრო ებერებოდნენ, რაც ყაფლანის ცუდ ხასიათზე ყოფნას ამეღავნებდა.

ყაფლანმა უნებლიედ მზერა როიალთან დაკიდებულ მეუღლის სურათს მიაპყრო. ოთახში ისმოდა მხოლოდ კრიალოსანის მარცვლების ერთი-მეორეზე დაცემის დროს გადენილი სუსტი ხმა. რომ უფრო ცხადად წარმოედგინა თინათინის სახე და მასთან მოძოვილი ხანი სავარძელში გადაწვა და თვალები მილულა.

შორიდან დაიწყო: ჯერ მოიგონა რუსეთში ყოფნა, იქიდან დაბრუნების ამბავი, შემდეგ გაიხსენა თინათინთან პირველი

შეხვედრა ქსანში, მამუკასას გამართულ წვეულებაზე და მოგონებას კვალში ჩაუდგა.

თინათინს ბევრის გული ჰქონდა დაბეებული, მაგრამ ჯერ ვერავის დაეძლია მისი გოროზობა.

მოგრძო, ფარულ მოგიზგიზე, ღოღნოშოსფერი თვალები, დაყავრული გრძელი მიჯრილი წამწამებით; შეერთებული და საფეთქლებამდე ბოლოებწამახული წარბები; შოთი ცხვირი; სუფთა, ცოტა ლალგამჯდარი ღაწვები; თხელი, მუდამ ნამიანი წითელი ბაგე, ღიმილის დროს წვრილ, ოდნავ დაჩხარულ და თეთრად მოქათქათე კბილებს რომ აჩენდა; აზიზი ნიკაპი და შუაზე გადავარცხნილი წაბლისფერი თმა ქალს ანდამატის ძალით მოსავდა. მისმა მშვენებამ ყაფლანი ერთბაშად გათასმა, მაგრამ იმავდროს დეებთან საბრძოლველი ძალაც შემატა.

როცა თამადამ, მამუკა ერისთავმა, თინათინის ბიძამ და გამზრდელმა, როგორც სასიქადულო მამულიშვილს, მას ხოტბა შეასხა და სადღეგრძელო ჯიხვის რქით შესვა, თინათინი, რატომღაც, ყაფლანმა თავისად დასახა და სიხარულით აივსო.

შუა ვახშმისას ზურნა აწრიალდა. ღვინოგაბუნილ და თინათინის ეშხით აყვანილ ყაფლანს, რომელსაც რუსეთში ხუთი წლის ყოფნის შემდეგ ჩოხა და მესტები პირველად ეცვა, ჟრუანტელმა დაუარა, მაგრამ თავი გამორჩევით ეჭირა. სურვილის გამოაშკარავება ეთაკილებოდა.

ბოლოს, ვეღარ მოითმინა და სუფრიდან ისარივით გადმოეშვა გაოცებულ და გახარებულ ტაშებთან ერთად.

ყაფლანი დიდხანს ცეკვავდა ცალფად. განგებ ეძებდა არიფს, ხან ერთს ამოიღებდა ნიშანში, ხან მეორეს აუტოკებდა გულს, და, როცა ქალი დააპირებდა პატიჟისათვის ყასიდად უარობას, კვლავ დამფრთხალი ქორივით გაფრინდებოდა, რომ ახლა სხვა შეეცდინა და გაეწბილებინა.

განაწყენებული ქალები არ იმჩნევდნენ ყაფლანის ვერაგობას. უფრო მეტი სიცხოველით ადევნებდნენ თვალს მის სიჩაუქეს, თან ჩუმად, თავისთვის მისნობდნენ, თუ ვინ უნდა ყოფილიყო რჩეული.

აი, მან კიდევ ერთხელ შეჰკრა კამარა და... თინათინის წინ ფეხის ცერებზე ბზრიალასავით დატრიალდა, ანთებული

თვალებით ერთი შეხედა გულის მურაზს და დამნაშავესავით თავი ჩაჰკიდა.

თინათინმა გულწრფელად მოინდომა ვაჟის გამგუნება, მაგრამ მოძალადე გაქვავებული იდგა. დიასახლისმა და სტუმრებმა ხომ თაკარა გაუჩინეს ისედაც საკირეში მოხვედრილს ქალს. უარი რომ აღარ გაუვიდა, გაუბედავად წამოდგა და შეშინებული გედივით წრეში გაცურდა.

აქამდე ლოდინში დამცხრალი ზურნა გაფიცხდა, აზავთდა. ზურნასთან ერთად გახურებულმა ტაშებმა თინათინს სითამამე მოჰგვარეს.

ყელმოღერებული და წელში გადაზნექილი ქალწული, რომელსაც ალაგ-ალაგ თმა ჩამოშლოდა და პატარა, ვარდისფერი ყურები სულ დაეფარა კულულებს, ხოლო მკერდის ბორცვები უფრო გამოჩენოდა, პირველხანად ყაფლანს არ იკარებდა, გარე-გარე რონინებდა და ლერწამივით ირხეოდა.

მაგრამ, როცა რიდმა სავსებით გაუარა, თავისი შოლტივით მკლავები ყაფლანის გაშლილ ხელებს ზურგშექცევით დაატოლა და მისკენ სახემობრუნებულმა თვალი თვალში გაუყარა.

ყაფლანმა იგრძნო თუ არა ქალის საამური ფშვინვა და მისი ტანის სიახლოვე, ელვამ გაჰკრა სხეულში. წუთი, და შესაძლებელი იყო ქალი აშკარად დაემისებია, მაგრამ თინათინი უეცრად გაუსხლტა და ბრუდახვეული მარტო დატოვა წრეში.

ქალმა მერცხალივით გარს მეორედ ჩამოუქროლა, როცა ყაფლანი გამოერკვა და მიმინოსავით დაედევნა.

ამიერიდან თინათინი არ ეთვისებოდა, მაგრამ ვაჟი არ აძლევდა საშველს: ცდილობდა გზა გადაეჭრა ან კამარაში მაინც მიკარებოდა.

დამკვრელებმა შეატყვეს — ქალი ქიშპობას დიდხანს ვეღარ გაუძლებდა, ზურნა ერთხელ კიდევ გაფიცხდა, შემდეგ შენელდა, დაცხრა და მოლეკურენიც გაშველდნენ.

აღტაცებულთა ყიჟინამ და ტაშების უჩვეულო ტკრციალმა ჭერი შეარყია.

თინათინს სახეზე ალმური ასდიოდა. მკერდი უჩვეულოდ უტოკავდა.

მალე წვეულნი გაჭირვეულდნენ. როცა ჯიხვის რქები სუ-ფრაზე გამრავლდა, ყაფლანი და თინათინი მოკრძალებით გა-ვიდნენ გარეთ.

თიბათვის ღამე იყო, მშვიდი და მთვარიანი. ისინი დიდ-ხანს დადიოდნენ უბრად, თელებს შორის, ბალჩის ნაწიბუ-რებზე.

— ალბათ, დაიღალეთ, თინათინ, — მზრუნველობით შეეკი-თხა ვარგა ხნის სიჩუმის შემდეგ ყაფლანი და შედგა. ქალი უხმოდ ჩამოჯდა მასთან ერთად ნამორზე.

ყაფლანი ახლა სულ დაბნიდა თინათინის სიახლოვემ და სითბომ.

— არ დაგვიწყნიათ ცეკვა და ჩერქეზულის ხმარება, თა-ვადო, — მიამიტად გამოელაპარაკა ქალი.

— არც თუ წინათ ვყოფილვარ სანაქებო მოლეკურე, მაგ-რამ დღეს თქვენმა მადლმა მართლა რომ ფრთები გამომასხა.

— ალბათ, ნანობთ დაბრუნებას. აქ ყოფნა უთუოდ გე-ხამუშებათ. რუსეთში უფრო სხვა ცხოვრებას შეეჩვე-ეოდით, — აუკრა სიტყვა ქალმა და გვერდულად გახედა.

სახლიდან მოისმოდა: „ჰაი, შენ, ჩემო თეთრო ბატო“... მახლობელ ეზოებში ხეებზე შებუდრებული მამლები ჰყი-ოდნენ, სადღაც ძაღლები გაწიწმატებული ყეფდნენ.

— არა, თინათინ, თუ თქვენი ხილვა არ მომეშალა, ამაზე უფრო კარგ ადგილს სად ვიპოვი!

ქალმა კვლავ იგრძნო მომართული ისარი და გაილურსა, რომ მოეფიქრა, რით შეეცვალა მუსაიფის კილო.

მაგრამ უეცრად, თინათინი ვაჟის მკლავებში მოემწყვდა.

...ყაფლანი ამ მოგონებამ მთელი ტანით შეარყია. კრია-ლოსანი ხელიდან გაუვარდა. ბურანიდან ნახევრად გამორ-კვეული ზანტად დაიხარა, ერთი მარცვალი ძირს დაცემის დროს შუაზე გაპობილიყო. და კრიალოსანის აღებისთანავე ნაპობები იატაკზე დაცვივდა.

ამ დროს ეზოში გაისმა ქალის ‘კრიალა ხმა. მის გაგონ-ებაზე ყაფლანს დაავიწყდა როგორც მოგონებით გამოწვეული ტკივილები, ისე კრიალოსნის მარცვლის გატეხვით გულის გაკაწვრა და ცუდად ნანიშნი.

ყაფლანს დიდი მემამულის სახელი ჰქონდა. მის სამნებში მოქცეული იყო ბორჯომის ნახევარი ხეობა. რუსეთიდან დაბრუნდა იმ წადილით, რომ სოფელს დახმარებოდა თავისი ცოდნით, მოეწყო კულტურული მეურნეობა და ამით წაექეზებია გლეხები, რომლებიც ჯაფას უდოვლათოდ ეწეოდნენ.

მაგრამ იმდენად ვრცელი იყო მისი მამული და ჭირნახული უხვი, რომ განზრახვა ნაადრევად მიიჩნია, ხოლო თინათინის შეუღლების შემდეგ მთლად დააოწყდა წინათ ნაოცნებარი.

ახლად დაქორწინებულებმა უცხოეთი მოიარეს, დაბრუნებისთანავე, სამშობლოს გარეთ ნახულის მსგავსად, ოჯახი თბილისში გამართეს.

მამულს მამამისი, ყორღანი, განაგებდა და სარჩოს არ აკლებდა თავის გალაღებულ პირმშოს.

ცოლ-ქმარი ერთიმეორეს საალერსოდაც ვერ იცლიდნენ, ისე იყვნენ გართულნი ნადიმებითა და ახალ ნაცნობებთან თავის გამოჩენის სურვილით.

მაგრამ ასეთმა ცხოვრებამ თინათინს მალე მოაბეზრა თავი.

მამის სიკვდილის შემდეგ ყაფლანმა სოფელში დამკვიდრება არჩია, უფრო იმიტომ, რომ თინათინმა დაჟინებით მოისურვა რამდენიმეხნით მაინც განრიდებოდა ქალაქს.

გარჯას მიუჩვეველი ყაფლანი სოფელში სრულებით არ იჩენდა ფხას. ერთხელაც არ ცდილა თავისი პირვანდელი განზრახვა სისრულეში მოეყვანა. მამულის მოვლა, საოჯახო ყველა დიდი თუ პატარა საქმე ერთგულ მოურავს, ფიდოს, მიანდო.

წვეულებები ვერც სოფელში მოიშალა, ყოველ ცისმარე დღეს სტუმრები ულევად ყავდა. მისი პურ-ღვინო და შექცევა სალაპარაკოდ ჰქონდათ იმ დროში.

მუდამ მოლხენილი, სტუმრების საამოდ და გასაკვირად, ზაფხულის მთვარიან ღამეებში, ქეიფს ხან ტაშისკართან დაბმულ საკუთარ ტივებზე მართავდა, ხან ბულბულის ციხესთან, ხან კიდევ ტყეში, სასეირო ნადირობის შემდეგ.

ერთხელ, თეოს ნათლობის მეორე დღეს, ყაფლანმა ნამდვილი ღრეობა მოაწყო მთაწმინდაზე, ნიშთან, საიდანაც მთელი ქართლი, შემდეგ მყინვარი, დასავლეთით უსიერი ტყით დაფარული მთები და სხვა სანახები საგანგებოდ ჩანან.

ღამე თეთრად გაათენეს. მოლზე გაშლილ სუფრას უფრო ამტანი სტუმრები შერჩნენ, სხვები კი ნიშთან მიწვნენ ნაბდებში გახვეულნი, ხოლო მანდილოსნებმა სახელდახელოდ დადგმულ კარვებს შეაფარეს თავი.

როცა მზე ამოიწვერა, ზურნამ საარი დაუკრა და მოქეიფენი ცას ეწიენ მეტი სიამით.

მზის ხალასი შუქი უხვად ეფინებოდა დაცვარულ სივრცეს.

მთების მწვერვალებზე ლეჩაქივით შემოხვეული ნისლი თანდათან იცრიცებოდა.

იარაღახსნილ და ქამარმოშვებულ ყაფლანს თეთრი აბრეშუმის ახალუხის საკინძეც გაეხსნა და ჯიხვის რქებს არაქათგამოლეულ სტუმრებს ძალით აჩრიდა ხელში. გვერდით ედგა უძილობით გაბურბუსალებული აჭარელი ბიჭი მირზა, რომელიც ჭირვეულ ბატონს ყანწებს უვსებდა. თან მის სურვილზე სხვადასხვა ბაიათებს მღეროდა.

ბუჩქებს ამოფარებული მენახირეები, რომელთაც მთაზე საქონელი ადრიანად აერეკათ, ჩუმად ადევნებდნენ თვალს იქაურობას. იმავე დროს შენატროდნენ მომღერალ ბიჭს, რომლის დაღლილი, ნაღველნარევი, მაგრამ მაინც წკრიალა და სუფთა ხმა დაბლა სოფელშიაც კი ისმოდა.

აისს აყოლილ ფრთოსნების ჟრიამულთან ერთად მირზამ წამოიწყო თუ არა ახალი ბაიათი, ყაფლანი ერთბაშად ზეზე წამოიჭრა და მუხის ტოტზე დაკიდებულ ხმალს მიწვდა.

შეშინებულმა ბავშვმა სიმღერა შეწყვიტა. სტუმრებმაც, რომლებიც მასპინძელს ვერ მიუხვდნენ გუმანს, ხმა გაკმინდეს და აქეთ-იქით გაოცებით დაიწყეს მზერა.

ყაფლანმა ქარქაში გვერდზე ისროლა, შიშველი ხმალი ჰაერში ააშხუილა და სუფრას თავზე გადაახტა.

ელვის სისწრაფით გაიქცა. ბორიოსაგან აფრებივით აფრიალებული მისი ჩოხა-ახალუხის კალთები უკვე შიშს იწვევდნენ მაყურებლებში.

თვალის დახამხამების უმალ მინდვრის ბოლოს გაჩნდა, სადაც ნახირს გამოთიშული ჭრელი მოზვერი ცვრიან ბალახს მადიანად ძოვდა. მიახლოებისას მოზვერი დაფრთხა, ტყისაკენ დააპირა გაქცევა. მიმხვდურმა მყისვე გზა გადაუჭრა. ვიდრე მოზვერი გეზს იცვლიდა, უყელა, კისერზე ხმალი მთელი ძალით დაჰკრა და თავი გააგდებინა.

თავწაცლილმა მოზვერმა კიდევ გაირბინა პატარა მანძილი, მერე შედგა, წინა ფეხების მუხლებზე ჩაიჩოქა; როცა უკანა ფეხებიც მოუსავდა, ისე მშვიდად წაიქცა, თითქოს დაწვაო.

სუფრიდან წამოშლილი სტუმრები ახლა სიცილითა და აღტაცებული ყიჟინით გაეშურნენ ყაფლანისაკენ. თავადი უდიდეს სიხარულს გრძნობდა იმის გამო, რომ მკლავმა არ უმტყუნა და გასახედნავ მოზვერს ხმლის ერთი დარტყმით წაჰკვეთა თავი. მისი აზრით, ეს ვაჟკაცობაზე მეტი იყო. ამიტომაც თავმომწონედ იდგა და იღიმებოდა.

მალე სხვა ქალებთან ერთად კარავიდან თინათინიც გამოვიდა. ყველანი ყაფლანს გარს შემოეხვივნენ. როცა თინათინმა თავმოჭრილი სხვისი მოზვერი დაინახა, ტუჩები ჩაიკვნიტა და გაფითრებული უკანვე უხმოდ გატრიალდა.

თინათინის გული ბუდიანად შეარყია ქმრის ნამოქმედარმა, მისმა გამომეტყველებამ.

მეუღლის უკანასკნელმა საქციელმა კიდევ ერთხელ დაარწმუნა თინათინი, რომ ის მოტყუვდა არჩევანში, რომ ყაფლანი არაფრით არ განსხვავდებოდა იმ ახალგაზრდებისაგან, რომლებისაგანაც გათხოვებამდე თავი ჰქონდა მობეზრებული.

ყაფლანმა მზარეულებს და მოახლეებს უბრძანა, მოზვერი აუქნელად, მთლიანად შეეწვათ. თვითონ თინათინის კარავისაკენ გაემართა ახალი ქეიფისათვის ჯანის მოსაკრეფად.

ასე მოიქცნენ მასთან ღამენათევი სტუმრებიც. ლხინი მხოლოდ გამოძინებულებმა განაგრძეს.

## III

— გამარჯობა, გიორგა!

— აი გაგიმარჯოს... — ხალისით უპასუხა გიორგამ ჭიშკარზე მომდგარ მეისრე თანდილას, რომელიც, ღამე ნამუშევარი, ხაშურიდან ბრუნდებოდა.

— გიორგა, თუ კაცი ხარ, ცოტა ხნით მნახე.

— გადმო, გადმო, როგორ ვიგინდარასავით ირჯები.

თანდილამ ჭიშკარი შეაღო და შემოგებებულ გიორგას უთხრა:

— შენი მოცდენა სწორედ ცოდოა, ისე გულით მუშაობ. არც მე ვარ მუსაიფის ხასიათზე, თვალებს ძლივა ვახელ, მაგრამ ცოტა სათხოვარი მაქვს, დიდხანს არ გაგაჩერებ.

— რა გებოდიშება, თუ ღმერთი გწამს. დღე და ღამე თუ გაერთიანებული გვაქვს, რაში გვეტყობა, თავი ძლივს გაგვაქვს, ჯანის დაუზოგველობაც არ ვარგა. ხომ მართალს ვამბობ, ა?

— მართალს ამბობ, მართალს, მაგრამ ასე რომ არ ვირჯებოდეთ, სიმშილით ამოგვხვდება სული, — ხელის ჩაქნევით უპასუხა თანდილამ და მიუახლოვდა თუ არა გიორგას სამუშაო ალაგს, აღტაცებით წამოიძახა:

— ოქროს ხელი გაბია, მე და ჩემმა ღმერთმა. მომეტებული მარჯვე ხარ, მომეტებული, ყველაფერი გეხერხება! პირდაპირ ერთ ოჯახად ეღირება შენი ურემი.

თანდილამ კიდევ ერთხელ შემოუარა ყოხტად გამოკოპიტებულ, ჯერ ღერძზე შეუდგმელ ხელნას, რომელსაც გიორგა ჭალებს უკეთებდა. გულდასმით გასინჯა იქვე გაგორებული, იფნის ღერძზე მორგებული ბორბლები და ყაკლის ხეზე მიყუდებული რკინის ტაბიკებიანი უღელი.

როგორც ხელნა, ისე უღელი, გიორგას ცეცხლში გამოეწვა, შემდეგ დათვის ქონით გაეგლისა, რომ წვიმას არ გაეჟონა, ხოლო ბორბლები ლურჯად შეეღება.

ნასიამოვნები თანდილა ჯირკზე ჩამოჯდა, თუნუქის სათუთუნე ამოიღო, ძველი გაზეთის ნაფლეთზე თუთუნი ბლომად დაყარა და წარმოთქვა:

— მოგითავებია რაღა, ხარების შებმის მეტი აღარაფერი უნდა.

პასუხის მოლოდინში თანდილამ მსხვილად დაგრეხილ პაპიროსს ნაწიბური ჯერ კბილებით დაუჭეჭა, შემდეგ, ენის წვერით კარგად გალოკილი, შეუკრა და მოუკიდა.

— ურემი კი მალე მექნება მზად, მაგრამ როდის აგაჭრიალებ არ ვიცი.

— რატომ, ცალი ხარი ხომა გყავს, ცალიც, შე კარგო კაცო, შენა, ვახში აიღე და იყიდე, თუ სხვა საშველი არ მოგეძევა. შენი ამბავი რომ ვიცი, გაგიჭირდება მისი გადახდა!

— ნეტამც აგრე იყოს. მაგრამა მაგოდენა წელი ჯერ სადა მაქვს. გუშინ დავუბრუნდი ოჯახს. ამ გარეთ ყოფნის დროს, მართალია, ცოტა დურგლობა კი ვისწავლე, მაგრამ ისე კარგად როდი ვიცი, რომა მარტო მით დავირჩინო თავი.

— ნუ გეშინია, ბიჭო, შენისთანა ყისმათიან და გამრჯე კაცისათვის ვალი რა სახიფათოა. ხარ-ურემს აამუშავებ, ცოტას ხელობითაც იშოვი, წელში გასწორდები და ვალსაც ყავლზე გადაიხდი.

— სულ რომ სავალებელი არა მქონდეს, აქამდეც გავბედავდი, მაგრამ რაც შემონახული მქონდა, სულ ამ ვერანა სახლს დავაყარე. ხომ ხედავ, ჯერ კიდევ შიგ არ დაიდგომება. ეს ურემიც ფული დამიჯდა, — ამ სიტყვებით გიორგაც ჩამოჯდა ხელნაზე.

— მე მაინც მგონია, ვალის აღება ჯობია მოცდენას.

— საყუათო რჩევაა, მაგრამ თავნის ოდენა სარგებელს ითხოვენ, ეგ უღმერთოები. არა და, ხომ იცი, ჩემი მოზვერის ბადალს კარგი ფასი უნდა, მეცოდება, ცუდი გამწევი შევუბა.

— მართალია, შენი მოზვერი ისეთი ხარი დადგება, რომ უთუოდ გაგიჭირდება მისი საფერის შოვნა იოლად.

— მაინც უნდა გავბედო. უხაროდ ცაში ვარ გამოკიდებული, ყანა მე არ მაქვს და ზვარი. თუ ღმერთმა ხელი მომიმართა, მინდა ვეწიო ბარემ რამეს.

თანდილამ ამ დროს ბოსტნიდან მომავალი, მხარზე თოხგადებული თებრო დაინახა.

— ე დედაშენიც დიდი გამრჯე ქალია. ღმერთმა უშველოს, სწორედ თითით საჩვენებელია.

— დედი, დედი, მოგვხედე, ადამიანო, — მიაძახა გიორგამ ბოსელში ცალფეხ-შემდგარს. თებრომ შვილის დაძახილზე უკან სწრაფად მოიხედა. როცა სტუმარი დაინახა, მაშინვე თოხი ბოსლის გამოღებულ კარზე მიაყუდა, კაბისა და თავსაფრის სწორებით მათკენ გამოეშურა.

— დილა მშვიდობისა... ხომ კარგად ბრძანდებით... →

რაღაც უხერხულად შეეკითხა თებრო თანდილას. გაუკვირდა ასე დილაადრიანად მისი სტუმრობა.

— რა მიშავს, ვარ რაღა, არც ავად, არც კარგად. გიორგა კი მოგიცდინე ამ დილით და. ლაპარაკს შევრჩით. რაზედაც მოველი, ჯერ კიდევ არ მითქვამს. პატარა დასავიღებელი საქმე მაქვს.

— თუ საქმე არ გექნა, ისე როდი გახსოვართ, — უნებურად, საყვედურის კილოთი უპასუხა თებრომ.

— ჰაი, ჰაი, დრო არ მანებებს, თორემ თქვენზე უფრო კარგი სამეზობლო ვინა მყავს.

— დედი-ჯან, ამ კაცის დატუქსვას თავი ანებე და ერთი შენი განჯინა გახსენ, ყელი გაგვასველებინე, ჰა! პირდაპირ სულზე მოგვესწრება. ნუღა აყოვნებ.

— ახლავე, შვილო, — და მიუხედავად თანდილას თავპატიჟისა, თებრო სწრაფად სახლისკენ გაემართა.

თებრო კვლავ ჭარმაგად ისედებოდა. ეტყობოდა, აღრე ლაზათიანი და ჯანიანი უნდა ყოფილიყო.

თანდილას ბავშვობიდან ახსოვდა თებრო, რომელიც ყაფლანის მამის კარზე აღიზარდა და დაქალდა. მასზე ბევრ ჯელს ეჭირა თვალი, მათ შორის თანდილასაც, მაგრამ ქალბატონი არ ელეოდა, საყვარელი პირისფარეში იყო მისი.

თანდილამ ერთხელ კაციც მიუგზავნა ყორღანს, მაგრამ მოციქული ცივი უარით დაბრუნდა. მიუხედავად ამისა, თანდილა იმედს არ ჰკარგავდა და თებროს თავისად სახავდა. თანდილას გუმანი თებრომაც იცოდა და როცა შეხვდებოდა, ყოველთვის გაბრწყინებული თვალებით გაუღიმებდა ხოლმე.

თანდილას პაემანიც კი ჰქონდა მასთან. იმ საღამოს ცოლქმრობის პირობა შეკრეს და მომავალ ბედნიერებაზე ფიქრით გაბრუებულნი ძლივს გაშორდნენ ერთმანეთს. დაცილდნენ იმ იმედით, რომ ხვალ თუ ზეგ ბატონს დაიყოლიებდნენ, საკუთარ კერას გაიჩენდნენ. მაგრამ ამის შემდეგ შორიდანაც აღარ დაუნახავს თანდილას თებრო.

გაოგნებული თანდილა ამაოდ ცდილობდა გაეგო თებროს განდგომის მიზეზი.

მალე თებრო მიათხოვეს ვინმე უსახლკარო გლეხს, რომელსაც მზითვად სოფლის ბოლოში ერთი დღიური სამოსახ-

ლო ადგილი მოუჭრეს, პატარა ქოხი დაუდგეს, სადაც ახლა გიორგა აპირებდა ახალი ოჯახის მოწყობას.

მალე ქმარი უკვალოდ დაეკარგა თებროს. ამის გამო სოფელში მრავალგვარი ჭორები გავრცელდა.

ახლადგათხოვილი ერიდებოდა მეზობლებთან მსვლელობას, განსაკუთრებით თანდილას და მის ნათესავებს ეკრძალებოდა. ცხოვრობდა გარისხულივით. როცა გიორგა გაუჩნდა, ვაჟკაცივით დაიწყო მუშაობა, აღარც ვინმეს გაურბოდა, თუმცა არც შემდეგ გაუსწორებია მზისათვის თვალი.

— ხო, და, — განაგრძო გიორგამ, როცა დედამისი გაბრუნდა, — თუ რამე გავაწყე, მინდა ყანა გამოვართვა საღალოდ სუმბათაანთ და ჩემი ჯანი ჩემსავე ოჯახს მოვახმარო. სულ ხომ მოჯამაგირეობაში არ გავატარებ ჯეელობას.

ყაფლანის გვარის ხსენება თანდილას არ ეამა, მაინც მოუწონა აზრი გიორგას და უთხრა:

— კარგად ლაპარაკობ, როგორც კაცი. ცოლ-შვილსაც უნდა მოეკიდო, დრო არი. ყმაწვილობის ყავლი გაგდის, უკვე დამდგარი ვაჟკაცი ხარ. დედაშენსაც უნდა შემფარე თუ არა, ცოდოა ქალი!

შემდეგ არაყიანი ბოთლით მოახლოვებულ თებროს შეეკითხა:

— გლახა რჩევაა, ძალო? დრო არის შენი ბიჭი ვაგვირგვინოთ.

— მეც მაგას ჩავჩიჩინებ, მაგრამ მეტად ჯიუტია და გაუგონარი, — შეწითლებული ღაწვებით წარმოთქვა თებრომ და ბოთლი შვილს მიაწოდა.

— რა დროს ეგეებია, ცოლს დიდი ცომი უნდა, მე კი ერთი კოდი პურიც არა მაქვს, ჯერ საქმეს მოვაბა თავი და შემდეგ ჰო, ბერად შედგომას კი არ ვაპირებ მართლა, — იხუმრა გიორგამ და თანდილას არაყით სავსე მოზრდილი სასმისი გაუწოდა.

ორთავემ დაილოცეს და არაყი თვალმოხუჭული გადაჰკრეს.

— ჰო, ჰო, ცეცხლია სწორედ, ცეცხლი, — ჩაილაპარაკა თანდილამ, პურის ნატეხი პირში იტაცა და ღიმილით დაუმატა:

— ნამდვილად ეს არაყი თებროს ნახელავი იქნება, აი!

— ხა, ხა, ხა! რაზე ატყობ, თანდილა, ა!?

თანდილამ პასუხის ნაცვლად კვლავ გაიღიმა და სათუთუნე ამოიღო.

— აბა, ეგეები არ იყოს. ორივე ქვრივები კი ხართ, მაგრამ კურკური მაინც არ შეგფერით.

თებრო კიდევ უფრო გაწითლდა. შვილს აბორძიკებული ენით უსაყვედურა უადგილო ხუმრობა.

თანდილამ თებროს მცდელი თვალით შეხედა, გული დაეჭეჭკა, როცა თებროს წყენა შეატყო, ყილოს გამოცვლა ცადა:

— რაღაი თხოვება-გათხოვებაზე ჩამოვარდა სიტყვა, მართლა უნდა გაგიმჟღავნოთ ჩემი წადილი.

თებრო შვილის გვერდით აპირებდა დაჯდომას. ამ სიტყვების გაგონებაზე უცბად გახევდა, თანდილას გასაწყლებული თვალებით გადახედა და მწარედ გაიღიმა.

— თქვენ იმუსაიფეთ, მე კი მოზვერს ბაგას გავუსუფთავებ.

— ერიჰა, აქ საიგავოდ აღარაა საქმე. მოიცა, დედი, ნუ გრცხვენია. პირველი მაყარი მე ვიქნები, აი.

— ჰო, შენი თანხმობაც საჭიროა.

მაგრამ თებრომ თანდილას სიტყვა აღარ დააცალა, მოიბოდიშა და იქაურობას ცივად გაშორდა.

— რად გამიჯავრე, კაცო, ე ადამიანი, — სიცილით მიუბრუნდა გიორგა თანდილას და სასმისი ხელახლა აუვსო.

— დაიცა, ჯერ ეს მითხარი, ამ პაპანაქებაში მოზვერს ბოსელში რათა ხუთავ, ა?

— რა ვიცი, ღამე ათასი გარეწარა დადის. მეშინია.

— სიფრთხილე საჭიროა, მაგრამ, ეს მეტისმეტია, — უპასუხა თანდილამ და გიორგას თვალებში შეაცქერდა.

— იცი, რა უნდა მეთქვა?

გიორგა შეიშმუშნა, როცა დაინახა, თანდილა აღარ ხუმრობდა.

— შუამავალი რა საჭიროა, — მშვიდად დაიწყო თანდილამ. — ჩვენ ერთიმეორეს კარგად ვიცნობთ. შვილივით გიცქერი. დედაშენიც არ მძულს, იცის ღმერთმა. ჰო, და, თუ

ჭკუაში დაგიჯდეს, შეირთე ჩემი გოგო, ისიც შენსავით გამრ-ჯეა და კეთილი. თვალტანადაც არ არის დასაწუნი.

გიორგას დიდი ხანია გულში ჰქონდა თანდილას ქალის ტრფიალი, მაგრამ გამხელა ვერ გაებედა. ახლა-კი თვითონ თანდილა დამდგარიყო შუამავლად და ურჩევდა თავისი ქა-ლის შერთვას.

თანდილას ქალი საშური საპატარძლო იყო. ხაშურში გაზ-რდილი, ჭრა-კერვის მცოდნე და მოხდენილი.

თანდილამ შეატყო, გიორგა სიხარულით მუსაიფს ვეღარ ახერხებდა და განაგრძო:

— ორი შვილი მყავს. ი ბიჭია და, სალდათშია. დამიბ-რუნდება მშვიდობით თუ არა, ვინ იცის. ამ ქალზე ამომდის მზე და მინდა ისეთ კაცს მივცე, რომელიც არ დამიჩაგრავს, მხარს აუბამს. ასეთად შენ მეგულები. რაც შეეხება ჩემ ქალს, ამაზე მე მენდე. ღმერთს გაძლევ თავდებად, რომ არაფერი ხინჯი მას არა აქვს. მე ვარ და, რაც შემეძლება, დაგეხმარე-ბით. დანარჩენი შენი გუნების საქმეა. ძალას როდი გატან, შვილო. მოიფიქრე, აწონ-დაწონე და ისე მოიქეცი.

თანდილა ახლა ლაპარაკობდა როგორც უფროსი, დარბა-ისელის კილოთი, რაც კიდევ უფრო გაუბედავს ხდიდა წელან ასე თამამად მოსაუბრე გიორგას.

— კი, მაგრამ ქალს შეიძლება არ მოეწონოს ჩვენი ნა-აზრევი, შეიძლება, ჰო, ღმერთმანი, ვინ იცის, სხვაზედაც აქვს გული. მის უყაბულოდ ამ საქმის მოხდენა არ ივარგებს.

— ამის შესახებ თვითონვე მოველაპარაკები ჩემს ქალს. წინასწარ დაიმედებული ვარ, გაუხარდება.

— მე კიდევ დედას გავენდობი, საღიროა მისი დას-ტურიც.

— უთუოდ, დედა უნდა დააფასო. დიდი ამაგი აქვს შენ-ზე. შენს მეტი ვინა ჰყავს საცოდავს. ახლა ამის შესახებ უნ-და გითხრა, რისთვისაც მოგაცდინე ამდენ ხანს. ალბათ, იცი, ჩემო გიორგა, რომ ქოხის გამოცვლა მაქვს განზრახული. სახ-ლი კიდევაც მიყიდია სავანეში, მაგრამ დღემდე გადმოტანა ვერ მომიხერხებია. ჰო და, იმ კვირაში ვაპირებ შევუდგე საქმეს, თუ მოიცლი და დაშლაზე მომეხმარები, ერთობ და-მავალებ.

— რატომაც არა, გადმოტანაზედაც გაგიწყობდი ხელს, რომა ჩემი ხატულა ცალად არ მყავდეს.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, ჭიშკარში შემოვარდა მენახირე ბიჭი, გახვითქული და სირბილით გულამოვარდნილი.

— რა იყო, სოსია, რა ამბავია, ვინ მოგდევს, ბიჭო! — შესძახა გაოცებულმა გიორგამ და წამოხტა. თანდილაც ადგა. ბავშვი სულს ძლივს ითქვამდა, ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა.

— აღარ იტყვი, ბიჭო, რა მოგივიდა?

— ხატულა და... და... კლეს. — და ბავშვს ტირილი აუვარდა, იმიტომ უფრო ამოუჯდა გული, რომ მოზვერი მას ებარა და თავს დამნაშავედ გრძნობდა.

გიორგა გაქვავდა. ერთბაშად თვალები ჩაუღრმავდა, ცხვირის ნესტოები გაეცრიცა და აუთამაშდა. ყველაფერი წისქვილივით დატრიალდა. ყველაფერი აირია ერთმანეთში — მისი საყვარელი მოზვერი, ურემი, სახლი, დედა, მენახირე, თანდილა, მთელი ეზო, საბედო. კარგა ხანს იდგა ასე, შემდეგ ყრუდ, შორიდან იკითხა:

— ვინ დამღუპა, ვინ დამაქცია!..

— ყაფლანმა დაკლა... ჰო, ღმერთმანი, ჩემი ბრალი როდია, — თავს იმართლებდა აბუზული მენახირე და თან სახელოთი ცრემლებს იწმენდდა.

გიორგასაც ჩაქვევრებული თვალები ცრემლებით აევსო, მაგრამ ისევ მალე დაუწდა, მერე თანდათან აუგიზგიზდა, ტუჩები ჩაუფიცხდა. მზით დამწვარ ღაწვებზე სიფითრე შეეპარა. მაგარი, სოლებივით დათლილი კბილები საშინლად გაახრჭიალა. წალდს ხელი დასტაცა, ერთი იქაურობას თვალი მოავლო და ახლად გაკეთებულ მესრის ღობეს ვეფხვივით გადაუქროლა.

მენახირეც უკან დაედევნა.

მთლად აცახცახებული თანდილა ერთ ადგილზე ისევ უხმოდ იდგა.

— რა ამბავია, თანდილა, საით გარბის ასე გახელებული ის ბიჭი? — ქლოშინით მიმართა თებრომ, რომელსაც გოდრით ნაკელი ბოსტანში ჩაეტანა.

— არ ვიცი, — შემდეგ სასომიხდილი ხმით დაუმატა? — მგონია, მოზვერი დაუკლავს ყაფლანს.

— უი, უი, უბედურ ჩემს თავს, — იკივლა თებრომ და იქვე ჩაიკეცა. მიწაზე განართხულმა თებრომ თანდილას თავაუღებლად შეკნავლა:

— ახლა მაინც დამიხსენი უბედურებისაგან, მიშველე, მიშველე, თანდილა. ცოდვა არ დატრიალდეს... გადამირჩინე ბიჭი... გააგებიე იმ ვერაგს, რომ ძმები... ძმე...ბი ა...რი... ან... — და თებროს ხმა ჩაუწყდა.

## IV

გიორგამ პირდაპირ აჭრა მთა. ციცაბოები ისე სწრაფად აირბინა, თითქო ფრთები ჰქონოდა გამოსხმული.

აივაკა თუ არა, შემოესმა ზურნის ჭიკყინი და სალაღობო ხმები.

გიორგა სირბილითვე მიუახლოვდა ნიშს და უწინარეს თვალში ეცა ბუჩქზე ნაჭრის საბანივით გადაკიდებული თავის საესავო მოზვრის ტყავი.

იქვე ენთო მოძალებული ცეცხლი და საკნიან შამფურზე ახლად წამოგებული მოზვერი შუშეთ იწვოდა.

შამფური გადებული იყო მაგრად დასობილ ორთითა პალოებზე. შამფურს თავსა და ბოლოში გაკეთებული ჰქონდა ჯარას ტარის მსგავსი სახელურები და ორი კაცი ძლივს ატრიალებდა.

გიორგა მოსავდა, მოდუნდა, მაგრამ მალე ღონე ისევ მოიკრიბა, ბუჩქის ძირთანვე დაგდებული მოზვრის თავი აიღო, შუბლზე ვარსკვლავივით გამოხატულ თეთრ ხალზე უსასოოდ დააცქერდა.

გიორგა გამოარკვია სუფრაზე ერთბაშად ატეხილმა ხმამაღალმა სიცილმა და გამკილავმა ხმაურმა. თვალები ისევ ნაღვერდლებად ექცა. მოზვრის თავი გვერდზე ისროლა, რამდენიმე ნახტომით სუფრასთან გაჩნდა.

— სად, სად არის ჩემი ხატულას დამკვლელი, მაჩვენეთ თორემა, გამჩენს ვფიცავარ, მასავით ყველას თავებს დაგაყრევინებთ.

გაფითრებულმა გიორგამ წალდი შემართა.

სუფრა აფორიაქდა. დავიდარაბის მოყვარულები ფეხზე წამოცვივდნენ, მაგრამ გიორგას აბრიალებული თვალები და სამართებელივით ბასრი წალდი გამბედაობას უნელებდათ. მომხდურის დათრგუნვა ვერცერთ მათგანს ჯერ ვერ ეკისრა.

ამ ამბის დამნახველმა ქალებმა, რომელნიც ახლად მოკაზმულიყვნენ და სუფრის მოშორებით, ქოლგასავით გაშლილ ჭადრის ჩრდილში მუსაიფობდნენ, კივილი მორთეს. უფრო გამბედავები სუფრისაკენ გამოიქცნენ, რომ ნათესავები ხიფათისაგან გადაერჩინათ.

ხმაურზე კარავიდან შეშფოთებული ყაფლანი გამოიჭრა. გიორგამ თვალი შეასწრო თუ არა ახალუხის ამარა, ნამძინარევ ყაფლანს, მაშინვე მისკენ გაექანა.

ფათერაკის მოლოდინში ყველა გაყუჩდა.

ყაფლანმა იგრძნო მოახლოებული საფრთხე და გაქცევას დახვედრა ამჯობინა.

— რამ დაგამშია, ასე, შე სვავო, რომა საუღლე ხარი დამიკალი! — ცივი ხმით შეუტია გიორგამ სახემოღრეცილ ყაფლანს, რომელსაც ცალი თვალი კარვის წინ დაგდებული ხმლისაკენ ეჭირა.

ხმალს ჯერ კიდევ არ შეშრობოდა მოზვრის სისხლი და მცხუნვარე მზის შუქზე ლაპლაპი გაუდიოდა.

თინათინი აპირებდა ყაფლანს გაყოლოდა თან, მაგრამ გიორგას ბობოქარი ხმა რომ გაიგონა, შუა კარავში შედგა, სახე ჩანაცრებულმა, შიშისაგან გაფართოებული თვალები კარავზე კარის მაგიერ ჩამოკიდებულ ყავისფერ ფარდას მიაპყრო.

ჩაკარაბაკებულ ფარდას ნიავი არხევდა. ხანდახან მოჩანდა ყაფლანის კლდოვანი ზურგი, უფრო ახლო ისმოდა მისი ქშენა.

თინათინს საფეთქლები ებორცვებოდა. გული მახეში გაბმული ჩიტივით უფართქალებდა.

გრძნობდა, რაღაც საშინელი უნდა მომხდარიყო, მაგრამ სახელდობრ თუ რა უნდა მოყოლოდა ატეხილ შფოთს, გარკვევით ვერ წარმოედგინა. იდგა უსასოოდ და აცახცახებული ხელებით მტირალ თეოს საკინძეგახსნილ მკერდზე მაგრად იხუტებდა.

ყაფლანმა რიხით მოინდომა გაეტეხა გიორგა და ყბადაღებულად შესძახა:

— ვის ედავები, ბრიყვო...

ყაფლანის უკმეხობამ გიორგა ფალიასავით ააფეთქა. ნიშანში ამოღებულ მტრის გარდა ვეღარაფერს ხედავდა. გული ბუდიდან უვარდებოდა. სახეზე ალმური მოეკიდა, თვალები კიდევ უფრო დაეკაკლა და... ისე ძლიერად მოუქნია წალდი, რომ... უეცრად ხელიდან გაუცურდა და მოკაუჭებული წვერით მის უკანვე, მიწაში, ყუამდე ჩაერჭო.

გიორგა შედრკა. ჰაერში შემართული ცარიელი ხელი მალე მოჭრილი ტოტივით ჩამოუვარდა.

სამარისებური სიჩუმე დამკვიდრდა. მოსისხარნი ახლა თვალებით კორტნიდნენ ერთმანეთს. აქამდე ანძასავით მდგარი ყაფლანი, რომელსაც იმედის შუქმა ელვასავით გადაურბინა გაფითრებულ სახეზე, უცნაურად შეირხა და ხმალს წაეტანა.

გიორგამ იგრძნო ვიღაცის ცივი შეხება და მყისვე მოიაზრა, რომ საჭირო იყო მტრისათვის წელში გამართვა არ ეცლია, წახრილსვე, ხელდახელ დატაკებოდა. ადგილიდან დაიძრა, მაგრამ მტერმა მოასწრო, და ცელურად მოქნეულმა ხმალმა თვალის დახამხამების უმალ თავი მოთიბა.

ტანმა მაინც, ინერციით განაგძო მოძრაობა, მეტოქეს დაეჯახა, თავმოკვეთილმა გიორგამ ისე მაგრად ჩაჭიდა ხელები, რომ შიშისა და ტკივილისაგან ყაფლანმა ყვირილი დაიწყო.

გიორგას მკლავებში მომწყვდეულმა თავის შემაგრება ვეღარ შეძლო და მის ტანს ქვეშ მოეყვა.

ქმრის უსასოო ყვირილზე თინათინმა ადგილი მოინაცვლა, სცადა გამოსულიყო გარეთ. ამ დროს, აფართხალებულმა ყაფლანმა, რომელსაც გულზე გიორგას ტანი ლოდივით დაწოლოდა და მის კისრიდან თქეშად მომდინარე სისხლი სახეზე ესხმოდა, ცალი ფეხი მოკვეთილ თავს უცაბედად მოახვედრა და კარავში ბურთივით შეაგორა.

გიორგას თავი თვალებს კიდევ ახელდა.

მის დანახვაზე თინათინს რეტი დაესხა. შეკივლებაც ვერ შეძლო, ისე უგონოდ ჩაიკეცა.

თავმოკვეთილ გიორგას და ყაფლანის ჭიდილის მაცქე-

რალნი გამოლენჩებულნი იდგნენ. ასე სწრაფად და საარაკოდ მომხდარი ამბავი სიზმარი ეგონათ.

როცა ყაფლანმა თავის დაღწევა შეძლო და დაფეთებული გაერიდა. უკვე ძალაგამოლეულ გიორგას ტანს, მხოლოდ მაშინ გამოერკვნენ — აბარბაცებულს ზოგი მხრებში ყავარჯნად შეუდგა, ზოგმა უაზროდ დაიწყო ბორიალი მის ირგვლივ.

ქალებმა ისევ ატეხეს ვაება, თანაც თვალს არიდებდნენ ყაფლანს, რომელსაც ყველაფერი სისხლით ჰქონდა მოსვრილი. ისეთი შესახედი იყო, თითქო სახეზე კანი გადაეძროთ.

ლხინჩაშხამებულებს თინათინი მანამ არ გახსენებიათ, ვიდრე მირზა არ დაინახეს, რომელიც კარავიდან აკივლებულ თეოს მოარბენინებდა.

## V

პირველად კარავში მამუკა შეიპრა. თინათინი ატატებული გამოიყვანა. ქალს მოსხლეტილი მკლავები თასმებივით ეკიდა. თავი მოწყვეტით ჰქონდა გადაგდებული.

ჭადრის ქვეშ გაშლილ ნაბადზე მამუკამ თინათინი ფრთხილად დააწვინა.

თინათინის დედობილმა, ხვარამზემ, კივილი შეწყვიტა. გონდაკარგულს ყურის ძირები და საფეთქლები არაყით დაუსრისა, მირზას მიერ მათარით მოტანილი წყალი ნაძვის პატარა ტოტით აიაზმასავით ასხურა და მანდილის სველი ყურე გულზე დააფინა.

იმედგადაწყვეტილი მამუკა დაგუბებული ქვითინით მოშორდა მომაკვდავს. ნიშში შევიდა, ღვთისმშობლის წინ სამეტანიოდ მუხლები მოიყარა და ხატს თვალები სასოებით მიაპყრო. მერე თავი მიწამდე დაიღო, რომ ცრემლები არავის დაენახა, და ატირდა.

დიდხანს იყო ასე მამუკა.

ნიშის ღია კარიდან მოჩანდა, თუ როგორ უცახცახებდა მიწაზე დამხობილ მამუკას, ზვიადსა და ყიფიან მოხუცს, ადლიანი მხრები. ახლა მისი გულჩვილობა მნახველთ არ აკვირვებდა. იცოდნენ, რა ძვირად უღირდა მას, უძეოს და ბერწ მამუკას, თინათინის სიცოცხლე.

თინათინი ისევ უძრავად იწვა. ახლა სიფითრის მაგიერ, სილურჯე მორეოდა. სათუთი ლოყები დაბეჟილ ვაშლებს უგავდა.

ხვარამზემ გარს შემორკალული ქალ-კაცის ღობე დაშალა, რომ სიო მოხვედროდა ავადქცეულს. კრიჭა გაუხსნა. ჩანაღველებულ ტუჩებში წყალნარევი ღვინო ძალით ჩაასხა.

მალე თინათინს ღაწვებზე სიწითლე შეეპარა. თვალები ოდნავ გაახილა.

ყველას გულზე მოეშვა.

ყაფლანი წყაროზე წაეყვანათ. ხელ-პირს აბანინებდნენ. ცივმა წყალმა ყაფლანს ძალა დაუბრუნა, თვალებზე გიორგას სისხლთან ერთად ბინდი გადააცალა.

იქვე, კორდზე ჩამოჯდა, თავი ჩაჰკიდა.

თუ დილას მოზვრის თავის მოთიბვის გამო სიამაყე და სიამე იგრძნო, ახლა გიორგას უთავო ტანის წარმოდგენა და მასთან ჭიდილი ჟრუანტელს გვრიდა.

— თინათინი... სადაა... რა დაემართა... — ყრუდ იკითხა ყაფლანმა.

— ცოტა შეშინებულია. გაუვლის, შენ გჭირია დამშვიდება, რა ვუყოთ მერე.

ნაწყვეტ-ნაწყვეტად უპასუხეს.

— მანახეთ, — ენისბორძიკით თქვა და ძლივს წამოდგა.

თინათინი მოსულიერებულიყო, მაგრამ ცნობა ჯერ კიდევ არ დაბრუნებოდა, ხვარამზეს მკლავზე გადაეწვინა, ეალერსებოდა.

ყაფლანის მიახლოებისას მაცქერალნი განზე გადგნენ.

ყაფლანს უნდოდა რამე ეთქვა თინათინისათვის, მაგრამ თინათინმა როგორც კი დაინახა, დაგესლილივით შეინძრა, უპეები გაუგანიერდა და გაჭირვებით იკივლა:

— სისხლი... სისხლი... არ მოვიდეს...

თინათინი ისევ მიიქცა.

ყაფლანმა სისხლიან ახალუხზე დაიხედა. გაშრა. გახელდა. იგრძნო თინათინის ზიზღი და უცხოობა. იმ თინათინის, რომელიც მისთვის ასე ძვირფასი და სასურველი იყო.

— წამიყვანეთ... — მწარედ წარმოთქვა და უსასოოდ გაბრუნდა.

შინაკაცებს თინათინისათვის უკვე საკაცე შეეკრათ.

ამ ხნის განმავლობაში მთაწმინდაზე მთელი სოფელი აიკრიბა. ყველა გაოცებული და შეძრწუნებული იყო.

თინათინი ფრთხილად მიიყვანეს შინ. იგი ლოგინიდან აღარ ამდგარა, არც ვინმეს ნახვა ახარებდა, არც თუ რაიმე წყინდა.

ღამეებს თვალღია ათენებდა. როგორც კი ძილი მოერეოდა, ბოდვას დააწყებინებდა, ხანდახან საზარლად შეჰკივლებდა. მამუკა და ხვარამზე მის სასთუმალს არ შორდებოდნენ. ჩუმი გოდებით შესცქეროდნენ სასიკვდილოდ მიქცეულ შვილის მაგიერს.

თინათინის დაზაფრებამ ყაფლანი მთლად მოშალა და გააგარეულა. მთელი დღეობით გარე დადიოდა. სოფელს გაანაპირებულ, მიუვალ ადგილებში. საღამოს მოვიდოდა გვიან, იკითხავდა თინათინს, და აისამდე იჯდა აივანზე. ხანდახან ასე მყოფს თუ ჩაეძინებოდა.

ყაფლანს ცოტა მაშინ დაუბრუნდა სააქაო იერი, როცა სასამართლოში დაიბარეს. მაგრამ როგორც კი მისი „უდანაშაულობა“ დამტკიცდა, ისევ ნადისიანივით აიჩეჩა და გამოლენჩდა.

თინათინი დღითი დღე იფერფლებოდა, დნებოდა. სხეულსა და სახეზე ზაფრანას ფერი დაედო. ცხვირი ისე გაუთხელდა, ნესტოებში სინათლე ატანდა. ერთდროს ნამიანსა და მოგიზგიზე თვალებშიც სიყვითლე ჩადგომოდა.

მამუკამ არ დააკლო საცდელი, ყოველდღე თბილისიდან მატარებელს ორი-სამი ექიმი მოჰყვებოდა, მაგრამ თინათინს უკეთობა არ ეტყობოდა.

ახალი ჩამოთოვილი იყო. სუსხიანი ქარი ქროდა. ერთ ღამეს, როცა გარეთ ნამქერი ხეთა კენწეროებს წვდებოდა და ქარი სახლს ფუძემდე არყევდა, თინათინმა თეო მოინატრა.

მამუკამ თავისი ხელით გამოიყვანა ბავშვი. მკლავზე დაუწვინა.

თეოს მირზაც გამოყვა და სასთუმალთან აიტუზა.

თინათინმა მოიხედა. თავი წამოიღო, გაყუჩებულ ბავშვს მოღვრიალე თვალებში ჩააცქერდა, გულზე მიიკრა და გაფიცხებული ტუჩებით აკოცა.

ცოტახნის შემდეგ თინათინმა მირზას ანიშნა, წინ დაღგომოდა. მოახლოვებულს თავზე ხელი გადაუსვა, შემდეგ პირი მოარიდა ყველას და გაირინდა.

თინათინს ჩათვლიმა.

ხვარამზემ ბავშვი ფრთხილად ააცალა. გამდელს მირზაც თან გააყოლა, მერე ავადმყოფს სასთუმალი გაუსწორა და პირისპირ დაუჯდა.

ძილმორეულ თინათინს სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა.

სუროს ფოთლოვან საბახში მისი ოდესღაც მშვენთი ტანი აღარ ჩანდა. სახე და საბანზე დალაგებული ხელები ისე გაყვითლებოდა, თითქო თაფლის სანთლისაგან ჰქონოდა გაკეთებული. წამწამები დაგრძელებოდა. თმა ბალიშზე დაფანტოდა.

მამუკამ ვეღარ გაუძლო მის მზერას, ბუხრის წინ სავარძელში მოშვებული ჩაჯდა.

ბუხარში მუხის ჯირკები დანაკვერცხლდა. მალე ნაკვერცხლებმა დაფერფვლა იწყეს.

მამუკა მუხლებზე დაეყრდნო. თეთრი წვერი ნიკაპთან ამოიკეცა და ფიქრს მიეცა.

თინათინი მისი მკვიდრი ძმის შვილი იყო, მამუკასთვის ღვიძლ შვილზე უფრო საყვარელი და საესავი.

ადრე დაობლებული თინათინი უნაშიერო მამუკას გულის ნაწილად იქცა, ამიტომ უმძიმდა მისი სიკვდილის წარმოდგენაც.

ოთახში ბაიბური არ ისმოდა.

უცებ მამუკამ ავადმყოფისაკენ მიიხედა. ერთბაშად ფეხზე წამოხტა: თინათინი ლოგინზე წამომჯდარიყო და თვალებს აცეცებდა.

ხვარამზეს თავჩაქინდრული ეძინა.

თინათინმა მამის მაგიერს სიყვარულით შეხედა, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვერ შეძლო და მის მკლავზე თავი უღონოდ გადაჰკიდა.

მამუკამ ჩახლეჩილი ხმით გააღვიძა სკამზე ჩაძინებული ხვარამზე, რომელმაც შეახო ხელი თუ არა თინათინს, გულისგამპობი კივილი გაბა.

მამუკამ თინათინი დაასვენა, გაასწორა, ხელები გულზე

დაუკრიფა, ღიად დარჩენილი თვალები დაუხუჭა და ლოგინზე დაემხო.

მამუკა დასაკლავი ხარივით აბღავლდა.

მალე შეშინებული შინაურები შემოცვივდნენ. ოთახში საშინელი ზრიალი ატყდა.

კარები გაიღო. გამოჩნდა ყაფლანი, უქუდოდ, მთლად დათოვილი.

ღია კარებიდან დაქროლილმა ქარმა ლამპა ჩააქრო და ოთახში სიცივე შეიტანა.

## VI

მამუკა და ხვარამზე ყაფლანის უბრად წავიდნენ. თან წაიყვანეს თეო.

სახლი სულ დაცალიერდა, დაყრუვდა.

ყაფლანი კიდევ უფრო გაგარეულდა, გულჩათხრობილი შეიქნა.

აღარც მირზას ბაიათები გაუგონია ვინმეს. მისი დარდის გამქარვებელი ახლა სალამური იყო, რომელსაც ყოველთვის თან ატარებდა დამბაჩასავით წელში გარჭობილს.

მახლობელ იალაღებზე უხალისოდ აძოვებდა ჯოგს.

მირზა, სხვა მწყემს ბიჭებისაგან განცალკავებული, ხშირად, გალენჩდებოდა, როცა წარმოიდგენდა თავმოცელილ გიორგას და ყაფლანის ჭიდილს, მომაკვდავ თინათინს და მის უკანასკნელ სალბუნს.

„რა კეთილი იყო, როგორ ვუყვარდი. ახლა ვინღაა ჩემი მფარველი!" — გაიფიქრებდა მირზა და შავი, დიდრონი თვალები ცრემლებით აევსებოდა, ცრემლი მაგარ წამწამებით შემოსარულ ქუთუთოებიდან გადმოხეთქავდა და მზით დამწვარ ღაწვებზე დაედინებოდა.

გვერდით წამოცუცქული წკურა დანაღვლიანებული ადევნებდა თვალს ჯოგს. როგორც კი მირზას ხმიანი ქვითინი აუვარდებოდა, ძაღლი ჯერ გარს შემოურბენდა, წინა თათებით გულზე შეადგებოდა და თვალებში დაუწყებდა ცქერას.

რამდენჯერ შეუმჩნევია მირზას, რომ მის საყვარელ წკურასაც თვალები ნამით ავსებია.

— ჩემო წკურა, ჩემო წკურა! — წამოიძახებდა მირზა და ძაღლს კისერზე მოეხვეოდა. ძაღლის სიყვარულით და სათ-

ნოებით კიდევ უფრო გულაჩუყებული მირზა დიდხანს ზლუ-ქუნებდა, წკურაც საცოდავად წკმუტუნებდა.

ტირილით გულნაჯერები მირზა წკურას ალერსით მო-იშორებდა, გაფანტულ ნახირს თავს დაუვლიდა.

წკურა გახარებული დადევდა უკან მირზას, ეხმარებოდა ტყეში შელალულ საქონლის გამორეკვაში.

მამამ მირზა უსუსური ჩამოიყვანა ბათუმიდან მამუკა ერისთავის კარზე. მირზას მამა, ალი, ალალი კაცი იყო, გამრ-ჯე და ამასთანავე ბატონის ბეჩავი მორჩილი, ცოლ-შვილი შეხიზნული ჰყავდა სიმამრთან, აჭარაში. ალი ბადრიძე წინათ ეფენდი ხიმშიაშვილს ედგა მეჯოგედ, ერთ წელიწადს ალის მკაცრმა ზამთარმა მთაში მოუსწრო და ჯოგი სანახევროდ გა-უწყდა, რის გამოც ბეგმა მთლად წაართვა სოფელში რაც რამ ებადა. გამწარებულმა ალიმ ამის შემდეგ დაიწყო ხეტი-ალი. ჯერ ბათუმის ნავსადგურში მუშაობდა მტვირთველად, მერე თბილისში ცადა ბედი. აქ შემთხვევით გაეცნო მამუ-კას და წაჰყვა მცველად.

ამგვარად ნაშოვნი ფულის ნაწილს ცოლ-შვილს უგზავნი-და, ნაწილს ინახავდა, რომ კვლავ საკუთარი ოჯახი მოეწყო.

აჭარაში დაბრუნების სურვილი ვაებად შეეცვალა ალის — ერთ დღეს მოყვარემ აცნობა საყვარელი ცოლის სიკვდილი.

ნიადაგგამოცლილ ალის მამუკამ და ხვარამზემ ურჩიეს ბავშვის თან ჩამოყვანა; ამით მათ სურდათ ალი უფრო მო-ეშინაურებიათ, ოჯახის თავდადებულ ქომაგად გაეხადათ.

მართლაც ალი დღე-ღამეს ასწორებდა ბატონის საამოდ.

მალე შამუკამ ალის მოურავობა უბოძა და მთელი ოჯახი ჩააბარა.

პატარა მირზამ განსაკუთრებით თავი შეაყვარა მასავით ობოლ თინათინს, რომელიც ხშირად ელოლიავებოდა და ანე-ბივრებდა ბავშვს.

მამუკას გლეხები მომდურავი ჰყავდა. თავისიანებში გულ-ღია და ტკბილი, მათთან მკაცრი იყო და განუკითხავი.

მამუკა გრძნობდა ხალხში დაგუბებულ ბოღმას, მის დასა-მეხად ჯერ გამოუთქმელ, უხმო მუქარას, მაგრამ გლეხებთან ლმობიერება ქედმაღალ ბატონს დამცირებად მიაჩნდა. ამი-ტომ მარჯვენას ერჩია ალი, რომელიც ყოველ წუთს მზად

იყო იარაღით გასწორებოდა ბატონისათვის ცუდის მკადრებელს.

ერთხელ მამუკა და ალი სადღაც წავიდნენ ცხენებით. საღამოს ქვეითად მარტო მამუკა დაბრუნდა შინ, სამოსდაფლეთილი და დახანჯლული. აღარც ცხენები ჩანდა. მირზას აღარც მამა უნახავს ამის შემდეგ.

მაშინ მირზა ხუთი წლის თუ იყო. ეს ამბავი სიზმარივით ახსოვდა.

თინათინი მირზას აღარ იშორებდა. თავის ოთახში აწვენდა, თვითონვე უვლიდა.

როცა გათხოვდა, თან წაიყვანა ყაფლანის ოჯახში, მაგრამ თინათინს იმდენი სალავათი აღარ ჰქონდა, მირზას წინანდელი აზიზობით მოპყრობოდა.

თინათინის მიცვალების შემდეგ მოურავმა ფიდომ მირზა ჯოგს გაატანა. ამ დღიდან მოყოლებული მირზას შემაქცევარი იყო წკურა და სალამური.

ასე გავიდა რამდენიმე წელიწადი. მირზას მდორე ცხოვრებას ახალი შუქი მოჰფინა თეომ, რომელიც წამოზრდის შემდეგ ყაფლანს მოჰგვარეს.

თეო პირველხანად ყაფლანს გაურბოდა, მაგრამ მალე შეეჩვია მამას. მისმა ცქრიალმა და გულუბრყვილო ტიტინმა ყაფლანი ჯურღმულიდან ამოიყვანა, ბაგე აუხსნა.

სახლში ისევ დაიწყეს სიარული გარეშეებმა. ყოველივე ჩვეულებრივ იერს იღებდა. ყაფლანის თვალში ცხოვრებას მაინც აკლდა უმთავრესი — თინათინი. თეო უფრო მეტად შეეთვისა მირზას, რომელიც ბავშვს სამწყესურიდან ხან მარწყვს მოუტანდა, ხან ველურ ყვავილების თაიგულს, ხან გულჭრელა ჩიტებს მოუყვანდა.

როცა ერთხელ მირზამ პატარა ციყვი მოუყვანა, თეოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ციყვი თვალებს ეშმაკურად წკურავდა, თავისი ტოლა, ჩიჩილაკისმაგვარ კუდს სასაცილოდ პრეხდა.

მირზამ ზღაპრებიც ბევრი იცოდა. თეო ყოველ საღამოს სულგანაბული უსმენდა დაბალი ხმით უცნაური და ლამაზი ამბების მომყოლს.

მეგობრები გათიშა ყაფლანის დამ, რუსუდანმა, რომელ-მაც თეო თბილისში წაიყვანა სასწავლებლად.

მირზას სამუდამოდ დააშახსოვრდა ის დღე, როცა თეო თბილისისაკენ გაიტაცა მატარებელმა.

შემოდგომა დგებოდა. იმ დღეს წყნარი ამინდი იყო, გა-ნელებული მზე აშუქებდა.

მეორე ზარი დაჰკრეს. თეო კვლავ მირზას ეხვია კისერზე.

ბოლოს, როგორც იყო, ატირებული ბავშვი ძლივს მოა-შორა თვითონ ყაფლანმა და მატარებელმაც ფეხი აიდგა.

გაქვავებული მირზა ვერაფერს ხედავდა, მხოლოდ შორი-დან ესმოდა მატარებლის ბორბლების რახრახი და შეკივლება.

მალე ყველაფერი მიწყდა. სადგური დაცალიერდა.

მირზა ისევ ერთ ადგილას იდგა. სივრცეში უაზროდ იც-ქირებოდა.

— რას გამოლენჩებულხარ, ბიჭო, რატომ არ წაეთრევი სახლში. საქონელს მიხედვა უნდა თუ არა! გასწი ახლავე და გარეკე, კიდევ მოასწრებენ ფეოდების ამოვსებას.

მირზას ხმა არ გაუღია.

— დაყრუვდი თუ რა მოგივიდა, შენ...

მირზა უცნაურად შეირხა, ისეთი თვალებით შეხედა ფი-დოს, რომ მოურავმა უნებურად უკან დაიხია.

მირზამ მუშტები მოკუმა, მაგრამ თავი შეიკავა და ჩქა-რი ნაბიჯით სახლისკენ გასწია.

— უყურეთ ერთი ამ ურჯულოს, რა ამბავშია! თითქოს კაი ჭირისუფალი იყოს, ისე იქცევა, — ჩაილაპარაკა ბრაზმო-ძორეულმა ფიდომ.

„არა, ასე როგორ მიიჩვია მაინც ი ბავშვი? აქ რაღაც სხვა-ნაირი საქმეა — ხამდვილ მოჯადოებული ყავს მაგ უწმინ-დურს, თორემ სხვას კი-არა დედას არ გაეტირება ამოდენა ბავშვი. იკურთხა, ღმერთო, შენი სახელი! კისრიდან თვითონ ბატონმა ძლივს მოგლიჯა ამ ვიგინდარას საკუთარი შვილი. ფუი ეშმაკს", — გაიფიქრა ფიდომ და გვერდზე გადააფურთხა.

გულაღრენილი დაადგა გზას, თან თვალს არ აშორებდა წინ მიმავალ მირზას:

„ვიცი, ვიცი, შვილოსა, რატომ იხმარე ჯადო! ისიც ვიცი, რაც გიძევს გულში, შე მურტალო. მამაშენის ხერხებს ხმა-

რობ, რომა ჩემი ადგილი გეღირსოს .ფრთხილად, თორემა, თუ ფიდო ვყოფილვარ, მამაშენივით დაგიბნელებ მზეს. არა, კაცი დავბერებულვარ ამ ოჯახში და ახლა ვიღაც გადამთიელმა ღლაპმა უნდა ამიკრას ბარგი? ვაი დედასა!"

ფიდომ მჯიღი გულზე დაირტყა, ნაბიჯს მოუჩქარა, მაგრამ მალე ისევ შეანელა, რადგან მირზა შედგა და სადგურისაკენ მომავალ თანდილას მუსაიფი დაუწყო.

მირზა ახლა 17-18 წლის ვაჟკაცი იყო, ფართო მხარბეჭიანი, შავგვრემანი და მიმზიდველი შესახედაობის.

მირზა უკვე აღარ ეპუებოდა ფიდოს. ხშირად აიძულებდა მას გვერდი აექცია მისთვის. განსაკუთრებით შარშანს აქეთ გახდა ასეთი უკმეხი და მისი ურჩი.

ფიდო მაშინ ღალას აგროვებდა. ერთ გლეხს, რომელმაც ავადმყოფობის გამო საღალო ყანა დროზე ვერ მომკო და მოსავალი სანახევროდ დაეღუპა, მან მოუნდომა ღალაში მთლად წაერთმია გადარჩენილი მოსავალი. წინააღმდეგობის გაწევისათვის, ცოლშვილის დამშევის შიშით გამწარებულ გლეხს მოურავმა მათრახი მოუქნია, მაგრამ იქვე შემთხვევით მყოფმა მირზამ, ხელი ისე მაგრად დაუჭირა, რომ მაჯა ერთ კვირას ტკიოდა.

ფიდომ იმ დღესვე მოახსენა ბატონს მირზას თავხედობა. მაგრამ თინათინის ხსოვნის პატივისცემისა და თეოს გულისთვის, ყაფლანმა ყური მოიყრუა.

დამცირებული მოურავი ამის შემდეგ ერიდებოდა მირზას. იმავე დროს დღეღამ ფიქრობდა, თუ როგორ მოეშორებია მეტოქე.

თანდილამ და მირზამ გზას გადაუხვიეს, მოფარებულ ბორცვის ძირას დასხდნენ.

ფიდოს უკვირდა, თუ რა უნდა ჰქონოდა მათ ასეთი საგულდაგულო და ხანგრძლივ სალაპარაკო.

კარგა ხანს დგომის შემდეგ ბრაზით გულგასიებულმა მოურავმა გზა განაგრძო, თან ათასგვარი ფიქრები უტრიალებდა.

ფიდოს უეცრად გაახსენდა თანდილას და თებროს სიყვარული. შემდეგ ისიც ცხადად მოაგონდა, თუ ერთ ღამეს, როცა ქალბატონი თბილისში იყო, როგორ ძალით შეუყვანა ბა-

ტონ ყორღანს ოთახში თებრო, როგორ გაწბილებული დარჩა თანდილა. გიორგას ამბავიც გაიხსენა და დაასკვნა, რომ თანდილა, რომელმაც, ალბათ, იცოდა ყველაფერი ეს, მირზას აქეზებს და აგულიანებს ჩემს წინააღმდეგო.

იმ ღამეს მირზა შუაღამემდე არ მისულა შინ. ამან კიდევ უფრო დაარწმუნა ფიდო თავის იჭვებში. გადაწყვიტა, ფრთხილად ყოფილიყო, თვალყური ედევნებია ორთავესათვის.

## VII

თანდილა მოტეხილიყო.

მაღალი ტანი მშვილდივით მოხროდა. გათეთრებული, თხელი წვერი ძლივს უფარავდა გამხმარ შევარდნილ ყბებს.

წამწამებგაცვენილი თვალები და წინ წამოზვინულ ღაწვებზე შერჩენილი სიწითლე ამჟღავნებდა, რომ თანდილას გული ჯერ კიდევ ვერ დაეთრგუნა ხანს და გამოელილ ვარამს.

მოხუცი ჩვეული მუყაითობით განაგრძობდა სამსახურს. არაოდეს ცდილა უფროსებისაგან წარმატება მიეღო. უფრო გულმოდგინეთ-კი არალეგალურ მუშაობას ეწეოდა.

თანდილა რკინიგზელთა ერთ-ერთი ფარული წრის უხუცესი წევრი იყო, გამოცდილი და სანდო. თანდილა წრის ყოველ სხდომას ესწრებოდა, მუდამ ყურადღებით ისმენდა ხელმძღვანელის სიტყვებს, ამხანაგების აზრს და კამათს სადაო საკითხების ირგვლივ.

როცა შეატყობდა, რომელიმე ამხანაგი ცდებოდა ან კრება გაეხვეოდა ბურუსში, მაშინ თანდილა შმუშვნით წამოდგებოდა და დაიწყებდა წყნარი ხმით მსჯელობას.

ბორძიკით, მაგრამ მაინც ნათლად გამოთქვამდა ნაფიქრს. ლაპარაკის დროს თვალებში შუქი ჩაუდგებოდა, სიტყვები პირდაპირ გულიდან ამოდიოდა.

ზოგჯერ ვერ ახერხებდა აზრის მალე ჩამოქნას. ასეთ დროს თანდილა გახუნებულ ფარაჯაზე გულთან შერჩენილ სპილენძის ფოლაქს ცალი ხელით მოსაგლეჯად ეჭიდებოდა, მეორე ხელს წინ მჯდომ ამხანაგის სკამის საზურგეზე აცურებდა.

მხოლოდ ეს ჰქონდა ზნედ სიანჩხლის დროს.

ბოლოს, როცა თავის სათქმელს ამხანაგებს გააგებინებდა, ისევ შეუმჩნევლად დაჯდებოდა და ყალიონს გააჩაღებდა.

კრებაზე აშკარად და დაურიდებლად მოსაუბრე თანდილამ აგრეთვე პირდაპირ იცოდა ორჭოფი ადამიანის მხილება.

სამაგიეროდ გარეთ ფრთხილობდა. ყველას არ გაუხსნიდა გულს. ამხანაგის არჩევაში იშვიათად შემცდარა, არც მიუსანდოზე გამომდგარა მისი იჭვი უსაფუძვლო.

ამის გამო თანდილას მარჩიელს ეძახდნენ.

თანდილა წუხდა — მაშინ დაელია ჯანი, მაშინ დაუძაბუნდა კუნთები, როცა მისთვის უფრო გასაგები გახდა თავისუფლებისათვის ბრძოლის მნიშვნელობა, როცა შეეძლო უყოყმანოდ გაეწირა თავი რევოლუციისათვის.

— დავბერდი, შვილო, მაგრამ გული ისევ საერთო საქმისათვის მიძგერს. შენ ჯერ ჯეელი ხარ, ბევრი რამ შეგიძლია გააკეთო სამერმისოდ, გამოადგე ხალხს, — ხმადაბლა ეუბნებოდა თანდილა მის გვერდით მიმავალ მირზას.

მირზა უსმენდა თანდილას და გული უცნაურად უცემდა.

მას ადრეც გაუგონია თანდილასაგან ამგვარი დარიგება, მაგრამ წინათ თანდილას ხმას ასეთი მიმზიდველობა არ ჰქონია.

თანდილას ყოველი სიტყვა ამ საღამოს მირზას გულს მალამოდ ეცხებოდა. ჯერ განუცდელი სიხარულით იპყრობდა.

მირზას თვალში ეს მოხუცი თანდათან შარავანდედით იმოსებოდა, ამავე დროს უფრო ახლობელს გრძნობდა მასში.

დღემდე, თითქო, არ სჯეროდა თანდილასაგან გაგონილი. ახლა კი, როცა იქ უნდა მისულიყო, სადაც მართლა ილაპარაკებდნენ მეფისა და მდიდრების წინააღმდეგ, მირზა რწმენით იმსჭვალებოდა. თანაც უკვირდა, თუ რატომ გაუყადრა თავი მას, ამ ბავშვს, ვიგინდარას და მოჯამაგირეს, თანდილამ. რატომ იფიქრა მისი ასეთ საქმეში გარევა?

განა მირზაზე ნაკლები ბიჭები არიან სოფელში?

ალბათ, ის უფრო ჭკვიანი, უფრო თავდადებული და გამბედავი ჰგონია თანდილას.

„რადგან ასეა, მირზა მოკვდეს, თუ არ გაგიმართლოს იმედი, ძია თანდილა!“ — გაიფიქრა და სიყვარულით შეხედა თანდილას, რომელსაც ბნელში მხოლოდ თეთრი წვერი უჩანდა გარკვევით.

უმთვარო ღამე იყო.

ზამთრის პირი.

მგზავრები უკვე ხაშურის გარემოში მიაბიჯებდნენ.

თანდილამ მუსაიფი შეწყვიტა და მირზა ააჩქარა.

ორივე უხმოდ და სწრაფად გადავიდნენ სადგურთან ჰაერში აწვდილ რკინის ხიდზე, რომლის ქვეშ მატარებლები მიმოქროდნენ.

ხიდიდან საკმაოდ შორი მანძილის გავლის შემდეგ, განაპირებულ პატარა სახლის ეზოს მიადგნენ.

თანდილამ უკან მოიხედა, იქაურობას თვალი მოავლო და ჭიშკარი შეაჭრიალა.

მალე ავიდნენ ხისკიბიან აივანზე. მოხუცმა კარებზე ფრთხილად დააკაკუნა.

არავინ გამოხედა მისულთ.

თანდილა მიხვდა შეცდომას და ახლა ჭილოფჩამოფარებულ ფანჯრის მინაზე სამჯერ დააკაკუნა. მირზამ სხეულზე ბურძგლები იგრძნო.

კარები ნახევრად გაიღო. თანდილამ მირზა სახელოზე ხელჩაკიდებული შეიყვანა შინ.

ოთახში ათიოდე კაცი იყო.

ზოგი იჯდა, ზოგი კედელს მიყრდნობოდა.

— შეგაშინეთ, ბიჭებო? — შესვლის უმალვე წარმოთქვა თანდილამ და დამხვდურთ საერთო სალამი მიცა.

— შეშინებით არა, მაგრამ ცოტა არ გვესიამოვნა კი, — ღიმილით უპასუხა ერთმა ახალგაზრდამ, თან სკამი მიაწოდა.

თანდილა დაჯდა. ქისა ამოიღო.

სკამის წინა ქიმზე დასაკეც მომცრო სასხლავით ქალის თმასავით დაწნულ ფოთოლ თუთუნს ბოლო ნაკეპ-ნაკეპებად ჩამოაცალა.

მირზა კარებთან დარჩა გახევებული.

სიჩუმე ჩამოვარდა.

ოთახს დაბალი ჭერი ჰქონდა.

დიდი ხნის წინათ შეფეთქილ კედლებს ყლარტის ფერი დადებოდა.

ეზოდან შესავალი კარების პირდაპირ, სადაც მოგრძო ხის მაგიდა იდგა, კედელზე ეკიდა სხვადასხვა სურათი. ზოგი ჩასმული იყო უბრალო ხის ყვითელქობიან ჩარჩოში. ზოგს

ჩარჩოს მაგიერ ნაპირზე შემოვლებული ჰქონდა შავი ხავერდი. მეტი სილამაზისათვის ხავერდზე აქა-იქ ვიღაცას ნესვის კაკლები დაემაგრებია.

ცხენზე ამაყად მჯდარი, ხმალამოწვდილი ჯარისკაცის სურათი ისეთ ჩარჩოში მოეთავსებიათ, რომლის შუშაზეც გარშემო გამოხატული იყო წითელი ვარდები, ვარდის ფოთლები და რამდენიმე უცნაური ცხოველი.

ჯარისკაცის გვერდით ეკიდა სახლის პატრონის და მისი ცოლის სურათი, გარშემო პატარა ნიჟარებით მოკირწყლულ ჩარჩოში ჩასმული. ეტყობოდა, სურათი ახალჯვარდაწერილებს გადაეღოთ, რადგან ქალს თეთრი სამოსი ეცვა და საგვირგვინო ლეჩაქი ეხურა, ხოლო კაცი ახალ ჩოხა-ახალუხში იყო გამოწკეპილი.

ჩიხტი-კოპით მორთულ ორ ახალგაზრდა ქალს გარს შემოხვეოდნენ ქულაჯებში გამოწყობილი ყმალები, რომლებსაც თავი ვაჟკაცურად ეჭირათ.

ერთი კაცი ნავში იჯდა, ვითომ ზღვის ტალღებს ებრძოდა, ისე ჩასჭიდებოდა ნიჩბებს. ამ კაცს, შეიძლება, ზღვა არც კი ენახა, მაგრამ ფოტოგრაფის წყალობით უკვე მეზღვაურიც გამხდარიყო.

სურათების ქვევით, კედელზე, მიკრული იყო ბოდლოს საპნის სახვევ ქაღალდზე დახატული კაცი და ლურჯი მაუდისაგან შეკერილი ქოში, რომელშიაც ელაგა ძაფის კოჭა და სათითე. გარედან ქოშზე ნემსები და ქინძისთავები ებნია.

ოთახში ტახტი და რკინის საწოლი იდგა. საწოლს თეთრი თავები დაფარული ჰქონდა მიტკლით, რომ ბუზებს და მტვერს არ გაეფუჭებია.

სხვადასხვა ფერის ნაჭრებისაგან შეკერილ საბანზე ელაგა ერთი-მეორეზე პატარა ბალიშები. ქვედა დიდ ბალიშზე იდვა შედარებით უფრო მომცრო ბალიში, შემდეგ მასზე პატარა და ასე მიყოლებით. სულ ზედა ბალიში ისეთი პატარა იყო, როგორსაც მდიდარ ოჯახებში ბავშვები ტიკინებისავით ხმარობდნენ. ამგვარად დაწყობილი ბალიშები თოვლის ზვინებს ჰგავდა.

საწოლის ცოტა მოშორებით, კუთხეში, ჭრელი ზანდუკი

იდგა, მის იქით, ფანჯარასთან — ტახტი. ტახტზე გადაფარებული იყო გაცვეთილი ფარდაგი.

ოთახში თუთუნის ბოლისაგან სუნთქვა ჭირდა.

ლამპის უქონლობის გამო ბოთლში ჩარჭობილი კარტოფილის სანთელი აენთოთ.

თანდილას და მირზას მოსვლის შემდეგ სახლის პატრონმა მეორე სანთელსაც მოუკიდა.

ყველანი მდუმარებდნენ.

თანდილა გრძნობდა დამხვდურთა გაყუჩების მიზეზს და აღარ დააყოვნა:

— მირზა, მოდი აქ.

დაძახილი მოკვეთილი იყო, თან საამური კილოთი ნათქვამი.

მირზა გვერდით დაუდგა თანდილას.

— ამხანაგებო, ეს არის, მე რომ გელაპარაკებოდით. ის ყმაწვილი, — წარმოთქვა თანდილამ და ყალიონს მოუკიდა.

მირზამ უნებურად თავი ჩაჰკიდა.

— დიდი იმედი მაქვს ამისი, — ისევ თანდილამ შეარხია მყუდროება.

— აიღე, ამხანაგო, თავი, რა გაქვს სარიდო, — მიმართა მირზას ტახტზე ჩამომჯდარმა შუახნის კაცმა, რომელიც წრის ხელმძღვანელად ითვლებოდა.

— აბა, რისა გრცხვენია, ქალის სანახავად ხომ არ ხარ მოსული, — გაეხუმრა მეორე.

მირზამ თავი ამაყად აწია.

— აი, აგრე, გეტყობა, ჩვენი მირონი გაცხია, ჩვენი ტაფის კაცი ხარ, — გაამხნევა მირზა ახალგაზრდა ზეინკალმა, რომელმაც წელან თანდილას სკამი დაუთმო.

ამხანაგების ცნობისმოყვარეობა რომ შეეკვეცა და მირზაც უხერხული მდგომარეობიდან ეხსნა, თანდილამ იკითხა:

— ქალაქიდან კაცი არ ჩამოსულა?

— არა, — იყო პასუხი.

— მაშ, ჩვენ მაინც შევუდგეთ საქმეს. დროა, — წარმოთქვა თანდილამ.

სახლის პატრონმა, გაიოზმა, მაგიდა ტახტთან მიაჩოჩა და ზედ ხორაგი დაალაგა.

სუფრის გაწყობაზე სხვებიც მოეხმარნენ.

— ვითომ ქეიფი გვაქვს, — ჩაილაპარაკა გაიოზმა.

— ბიჭოს! რით არ ემგვანება ქეიფს? პურ-ღვინო ბევრია და მწვანილი. თუ ვინმე მოგვადგა, ისეთ სიმღერასაც შემოვძახებთ, რომ მასაც შეეხარბოს. შენ დარდი ნუ გაქვს, — უპასუხა ახალგაზრდა ზეინკალმა და მრგვლად შემწვარ წიწილას ბარკალი ააგლიჯა.

— აბა, მოდით, თორემა ამ სვავს მეტი ნამუსი კი არა აქვს, ყველაფერს ჩანთქავს, — დაუძახა განზე მოსაუბრე ამხანაგებს გაიოზმა და უკარ-უფანჯრო, მოუწყობელ მეორე ოთახიდან ხელადებით ღვინო გამოიტანა.

— ჯამ-ჭურჭელზე და სკამებზე ცოტა უკაცრავად ვარ, მოგეხსენებათ, არც დიასახლისი მყავს აქ, მაგრამ იოლად უნდა წავიდეთ.

— კაცო, შენ რავა კარგი მასპინძელივით ბოდიშობ! ამ უცხო კაცს მართლა ეგონება, თითქო შენი პურ-მარილი იხარჯებოდეს, — სიცილით და მირზას გასაგონად წარმოთქვა ახალგაზრდა ზეინკალმა, თან გაიოზს თავისი ქუდი ყურებამდე ჩამოაცვა.

— ოი, დაგწყევლოს ღმერთმა, გიჟი ხარ ნამდვილი, — ღიმილით შეუტია გაიოზმა და ქუდი ლოგინზე დააგდო.

ყველანი სუფრას მიუსხდნენ.

მირზა გვერდით მოისვა თანდილამ.

დანაყრების შემდეგ ხელმძღვანელმა კრება გახსნა.

ვინაიდან მთავარი მომხსენებელი არ იყო, დაიწყეს ლაპარაკი ორგანიზაციულ საკითხებსა და პარტიული მუშაობის გაცხოველებაზე.

გაიოზი ოთახის უკანა კარებიდან ხშირად გადიოდა გარეთ.

მირზამ აქ გაიგონა პირველად მარქსის სახელი და გაიგო, რომ თავისუფლებისათვის ბევრი მებრძოლი ციმბირში გადაესახლებიათ.

აგრეთვე ილაპარაკეს გაფიცვის შესახებ, ტერორზე და კიდევ ბევრ რამეზე, რაც მირზასათვის ზოგი გაუგებარი იყო, ზოგიც ძნელად მისახვედრი.

ამ დღიდან მოკიდებული მირზა გამოიცვალა, თითქო გაიზარდა...

## VIII

...ყაფლანი მოუთმენლად ელოდა თეოს თბილისიდან. იცნო თუ არა მისი ხმა, მაშინვე წამოდგა. ვიდრე ნაბიჯს მოინაცვლებდა, დარბაზში თეო შემოცქრიალდა და მამას კისერზე ჩამოეკიდა.

თეომ სულ დაუკოცნა სახე ყაფლანს, სავარძელში ძალით ჩასვა, თვითონ კალთაში ჩაუჯდა, მერე ქუდი როიალისკენ ისროლა და ატიტინდა:

— როგორა ხარ, მამილო, ა? ხომ არ დამიბერდი? აბა, ერთი კარგად შეგხედო! — თეომ ყაფლანს ულვაშებში წაატანა ხელები და ისე მოაბრუნებია თავი.

— ისევ ისეთი ხარ, მამი, ისეთი, როგორიც დაგტოვე! — შესძახა თეომ და სიხარულით ენადაბმულ ყაფლანს ტუჩებში აკოცა.

მერე მამას გაექცა. მორიდებით შემოსული მოახლე ქალებიც სათითაოდ გადაკოცნა, ხოლო შინაკაცებს ალერსით ჩამოართვა ხელი და გულთბილად მოიკითხა.

ყაფლანს არ ესიამოვნა ქალიშვილის სისადავე.

როცა ყველას მიესალმა, თეომ ოთახები დაირბინა და ისევ მამას მიაშურა.

— სადა ხარ, შვილო, შემაშინეთ. დილის მატარებლით რომ წამოსულიყავით, ხომ მზიურ იქნებოდით შინ!

— ვერ მოვასწარით, მამი, ვერა. აგერ მირზაც და მას ჰკითხე, თუ მართალს არ ვამბობ, — მიუთითა მან მირზაზე, რომელმაც ჯახუნით შემოაღო კარი და ორი ჩემოდანი შემოიტანა.

— მირზა, დაიღალე განა... აქეთ, აქეთ ჩემს ოთახში წამოიღე ბარემ, გეთაყვა, — ტკბილად შეეგება მირზას თეო, და წინ წაუძღვა.

— როგორ გაოფლილხარ, — კვლავ მზრუნველობით უთხრა და ჩემოდნების დასალაგებლად წახრილს ქუდი მოხადა, ქოჩორზე ხელი გადაუსვა.

— არა, არ დავღლილვარ, ცოტა ეს ტანისამოსი მეხამუშება, — გულუბრყვილოდ ჩაილაპარაკა მან და თეოს ქუდი გამოართვა.

მირზას მშვენიერი ლეკური შალის შავი ჩოხა და სატინის ახალუხი ეცვა.

მოქნილ წელზე ეკიდა ძვლისტარიანი, მოვერცხლილი ხანჯალი, ხოლო გიშრის თავებიანი მასრები ორივე მხრივ გაშლილ მკერდზე ღლიავებამდე ჩამწკრივებული ჰქონდა.

ეს ჩოხა-ახალუხი ყაფლანმა ბიჭებისათვის საგარეოდ შეაკერია დიდი ხნის წინათ და იმას აცმევდა, ვისაც სადმე თან იახლებდა, ან გამოსაჩენ ადგილას გაგზავნიდა.

ამიტომ ის ხან ერთს ეცვა, ხან მეორეს. ხშირად მოურავი ფიდოც ატარებდა.

ჩოხა-ახალუხი ზოგს სრული და გრძელი ჰქონდა, ზოგს მოსუსხული, მირზას-კი საკუთარ ტანზე შეკერილივით ერგო.

— მამას ვეტყვი, ეს ჩოხა-ახალუხი შენ გაჩუქოს, კარგი?

— ჰო, ჰო, ქალბატონო, უთხარი აჩუქოს. შენ უარს არ გეტყვის, — რატომღაც გაუხარდა მათთან ერთად შემოსულ თუთიას. მირზამ სასტიკად გადახედა სახეშეფაკლულ გულშემატკივარს და ფიცხლავ გატრიალდა.

მიმავალმა უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა:

— ნეტავი ახლაც არ მეცვას.

— მოიცა, მოიცა, რადგან ქრთამი არ გინდა, მადლობა მაინც გადაგიხადო ამ ჩემოდნების თრევისათვის, — მიაძახა თეომ და მირზასაკენ საკოცნელად წაიწია, მაგრამ გაახსენდა, მისი კოცნა, ისიც სხვისი თანდასწრებით, მხოლოდ წინათ შეეძლო და უკან დაიხია.

კარებთან შემდგარ მირზას მარტო ღიმილი გაატანა თეომ.

დარბაზში მოჯამაგირეს ყაფლანი და ფიდო დახვდა.

— მირზა, რამ დაგაბრკოლათ, რომ ღამე მოგიხდათ წამოსვლა? — შეეკითხა ყაფლანი.

— ქალბატონმა დროით ვერ მოიწყო ხელი, საყიდლებს მოუნდა დიდხანს.

— მაშინ ხვალ წამოხვიდოდით, რატომ დაგავიწყდა ჩემი დარიგება?

— ქალბატონმა არ დაიშალა. მაინც რა გაგვიჭირდა, ხომ მშვიდობით ჩამოვედით! — ნაწყენი კილოთი უპასუხა მირზამ.

— შენ რა უნდა გაგჭირვებოდა, მაგრამ ბავშვისათვის ღამე მგზავრობა არაა კარგი, — ჩაერია ლაპარაკში ფიდო, რომელიც გულნაკლული იყო, რომ ბატონმა მირზა გააგზავნა თეოს ჩამოსაყვანად.

— შენ თუ არაფერი თქვი, წაწყდები, — შეუტია მოურავს მირზამ.

— რას დაობთ, ა, რა მოგვიდათ! — გაიკვირვა დარბაზში სირბილით შემოსულმა თეომ, რომელსაც მოწაფის ტანისამოსის მაგიერ საშილიფო, გულღია და ვარდებიანი კაბა ჩაეცვა.

— არაფერი, არაფერი, ჩემო გოგონი, — თითქო ბოდიშით წარმოთქვა ყაფლანმა და მოდავე მოურავ-მოჯამაგირე დაითხოვა.

— ჯერ არ დაიძინო, მირზა, ერთად ვივახშმოთ, — დაპატიჟა თეომ.

მირზას არაფერი უთქვამს, ისე გავიდა გარეთ, ხოლო ფიდომ გასაწყლებული სახით ერთი მიიხედა უკან და კარებში ფეხი გადგა.

— შენც, შენც ამოდი, ძია ფიდო, უთუოდ.

— ერიჰაა! რა ამბავში ხარ, ქალბატონო! მგონი, მალე ყველა აქ ამომიყვანო.

ყაფლანის კილოში ალერსთან ერთად წყრომაც ისმოდა.

— ვითომ რაო! მირზა ისეთი ზრდილია და ისე მოეწონათ ჩემს ამხანაგებს, რომ სულ იმას ამბობდნენ: მაგის მოჯამაგირედ ყოფნა ცოდვაა.

— დაანებე სისულელეს თავი... შენ ეს მითხარი: მამიდა როგორაა ან ბიძია ავთანდილი რასა იქს? ირაკლის სტუდენტობას არაფერი ეშველა, არც წელს აპირებს წასვლას რუსეთში? შენი, შენი საქმე როგორღაა, ონავარო? გამოტყდი, ნუ გრცხვენია.

— ყველანი კარგად არიან, ჩემი საქმეც ჩინებულადაა, — გაბუტულის ხმით წარმოთქვა თეომ და ამაყად დაუმატა: — სულ ხუთები მაქვს.

— ხოო, ასე თუა, ისეთი საჩუქარი მოგცე, რომ პა-პა-პა, მარტო შენ თუ გექნება იმგვარი.

თეოს სახე გაუნათდა, მაგრამ თავი შეიკავა, განგებ ისევ წყენით დაიწყო ბუტბუტი:

— შარშანაც ასე აზვიადებდი...

— შარშან მართლა არ იყო მოსაწონი, მაგრამ ახლა კი...

— მაინც როგორია? სადა გაქვს? — ვეღარ მოითმინა თეომ.

— საბადლოდ რას მომცემ?

— ჯერ ვნახო, შეიძლება მადლობაც არ გითხრა.

— მაშ, კარგი, შენ აქ იჯექი, არ გამომედევნო, თორემ, მშვიდობით, საჩუქარს ვერ მიიღებ.

ამ პირობით ყაფლანმა თეო თავის სავარძელში ჩასვა და საწოლი ოთახისკენ გაემართა.

ლოდინში თეომ წინ გადმოცვენილი ნაწნავები მხრებზე გადაიყარა.

ყაფლანი მალე დაბრუნდა. ცალი ხელი უკან ჰქონდა დამალული, სახეზე ბავშვური იერი გამოხატოდა.

თეომ წამოხტომა დააპირა, მაგრამ ყაფლანმა შეაჩერა:

— არ გაინძრე, არ გაინძრე, სულსწრაფო, თვალებიც დახუჭე, თორემ არ მოგცემ, შენს თავს ვფიცავ.

თეომ კისკისით მილულა თვალები.

— არ გამოიხედო, შე კუდიანო. თვალები კარგად დახუჭემეთქი.

ამ ლაპარაკით ყაფლანმა აბრეშუმის ყაითანზე აცმული მარგალიტის მძივები ყელზე შეაბა, თვალებზე ხელი მიაფარა და ისე მიიყვანა სარკესთან.

— აი, ახლა ნახე, ვიცი, არ მოგეწონება!

სიცილით წარმოთქვა სავარძლისაკენ სწრაფად გამობრუნებულმა ყაფლანმა.

სიხარულით აფრენილმა თეომ ყელსაბამი მოიხსნა და ლამპასთან მიიტანა.

— უი, რა მშვენიერია, მამიკოჯან, რა ლამაზია!

თეო ხტუნვით მივარდა მამას და ჩაკოცნა.

შემდეგ ისევ ყელზე შეიბა, ლამპას საბურავი ახადა, სამფეხიდან ამოიღო, სარკესთან დადგა, რომ უფრო კარგად დაენახა თუ რარიგ შვენოდა მის მაღალ, ფიქალივით ყელს მარგალიტების აკიდო.

თეო დიდხანს ტრიალებდა სარკესთან.

კმაყოფილი ყაფლანი თვალს არ აშორებდა. უკვირდა მისი ტანის ასე ერთბაშად აყრა.

თეოს ნაკვთები დატყობოდა, მკერდი წამოზრდოდა.

„თინათინია. მასავით ტანწერწეტი და გამოკვეთილი. როცა იცინის, მაშინ ხომ სულ გამოსახული დედაა. მარტო გუნებით არ გავს მას. ეს უფრო თამამია და თავნება“, — ფიქრობდა ყაფლანი და კვლავ დედა-შვილს ერთმანეთს ადარებდა, რომ მათში მეტი მსგავსება აღმოეჩინა.

* *

მეორე დღეს თეომ ალიონს დაასწრო.

მთელი ოჯახი ფეხზე დააყენა.

ყაფლანი, რომელსაც დილას გვიანობამდე უყვარდა წოლა, იძულებული გახდა ამდგარიყო.

თეომ ყველა საჯალაბო სახლი დაირბინა. ქალებს უჩქმიტა, კაცებს წყალი გადაასხა, ბავშვები აატირა. საჯინიბოში შევარდა, მაგრამ შიგ თავისი საყვარელი ცხენი რომ არ დახვდა, დაღონდა.

„ნეტავ რად გარეკა ასე ადრე მირზამ ნახირი? წუხელ არც ვახშმად ამოვიდა!“ — უკვირდა თეოს.

„როგორი კაცია ეს მამაჩემი, ამ ნახირს რომ აღარ აშორებს საწყალს!“ — გაიფიქრა და ეზოში ახლად გამოსულ თუთიას დაუძახა.

— რა გინდა, ქალბატონო! ასე უთენია რამ აგაყენა ნამგზავრი, — თვალების ფშვნეტით გამოეხმაურა თუთია და წინ დაუდგა.

— მირზა რატომ წასულა ასე ადრე, არ იცი?

მირზას ხსენებაზე თუთიას სიწითლე მოერია.

— რა მოგახსენო, ქალბატონო!

თეოს ეუცხოვა თუთიას ხმა, გამომეტყველებაც.

— შენ ხომ არ გიყვარს მირზა? — თვისუნებურად, მოულოდნელად შეეკითხა თეო.

— არა, ქალბატონო, რავა გეკადრება.

— ნუ გერიდება, მართალი თქვი.

— აბა, რასა ბრძანებთ... არა, ღმერთმანი.

თუთია უფრო წამოწითლდა, თავი დახარა.

— სწორედ შესაფერისი იქნებით. ორივენი კარგები ხართ. მე უნდა ვიყო თქვენი მაჭანკალი. გინდა?

— არა, შენი ჭირიმე... ტყუილად გაირჯებით... მირზა ქალის შერთვას არ აპირებს.

თეომ გაიოცა:

— რატომაო, საიდან იცი, შე ეშმაკო?

— ისე, გაგებული მაქვს. მირზას სხვაზე აქვს გული.

რატომღაც თეოს სიფითრემ გადაჰკრა. ცოტა ხნის შემდეგ თუთიას ხელი გადახვია, ბაღში შეიყვანა.

სხვა დროს, შიშველ წვივებზე ნამიანი ბალახის შეხების გამო, თეოს სიცილი და კივილი იქაურობას აიკლებდა, მაგრამ ახლა არც კი უგრძვნია. ქოშები სულ დაუსველდა ცვარით.

ქალები კაკლის ქვეშ ქვის გრძელ მერხზე ჩამოსხდნენ.

— კი, მაგრამ ვინაა ეს სხვა, არ იცი? — ბურანში მყოფივით იკითხა თეომ.

— თქვენ გგონიათ, უყვარს ვინმე? არა, ქალბატონო!

თეოს კვლავ გაუბრწყინდა სახე, უფრო დაინტერესდა:

— რაღაცას მალავ, თუთია!

— შენ რა უნდა დაგიმალო, ქალბატონო...

თუთია შეჩერდა, აქეთ-იქით მიიხედა და დაბალი ხმით დაიწყო:

— თანდილას ქალმა, შარშანდლამდე რომ გაუთხოვარი იყო საწყალი, ხომ იცი, იმან მითხრა: მირზაიო რაღაც აკრძალულ კრებებზე დადისო, ხელმწიფის საუგო საქმეზეო, მაშ! ყველაფერი დამაფიცა, არავის უთხრაო... მერე სულ თვალს ვადევნებ, ქალბატონო, და მართლაც ძაან ხშირად მთელი ღამე არაა შინ... თქვენი ჭირიმე, ბატონს არ გადაცე, ფიდომაც არ გაიგოს, თორემ რაღაცას აუტეხს, მაინც გადაკიდებულია მასზე.

თეოს ხმა არ გაუღია. გაფართოებული თვალებით სივრცეში იცქირებოდა.

მიხვდა, როგორ კრებებზედაც დადიოდა მირზა. მისი ერთი მეგობრის მამაც სწორედ ასეთ კრებებზე სიარულისთვის

დაიჭირეს. მაგრამ ის ნასწავლი იყო, განათლებული. მირზას კი თავის გვარის მოწერაც ძლივს შეეძლო.

ასეთი კაცი ვის რაში გამოადგება ან რა უნდა გააკეთოს, როცა თვითონ გაუგებარია და მთელ დღეს ნახირში ატარებს.

მირზამ, ალბათ, იმ წიგნების სათაურიც არ იცის, რომლებსაც ირაკლი მალულად ინახავს და რომლებიც ცნობისმოყვარეობის გამო ხშირად თეოსაც გადაუფურცლავს.

საოცარია.

სად მირზა და...

თეო ფიქრებისაგან მაშის ძახილმა გამოარკვია.

თუთია წასულიყო ისე, რომ მას არ გაუგია.

სიცივე იგრძნო, მოსასხამი მოიფუთნა და სახლისაკენ ჩქარა წავიდა.

უკვირდა, თან უხაროდა მირზაზე გაგონილი.

საუზმის შემდეგ როიალს მიუჯდა, კლავიშები ააჟღერა.

როცა დაკვრა მოწყინდა, ზმორებით წამოდგა. ფანჯარა გამოაღო. მაღლა ამოზიდულმა ცინცხალა მზემ თვალები მოჰკვეთა.

ჯერ ისევ დილა იყო.

თეომ ხელები გაშალა და მკერდი მზეს მიუშვირა.

ასე დიდხანს გასცქეროდა ის ნიავისაგან ზღვასავით ატოკებულ, სიმწიფემორეულ ყანას, ლურჯი ქათიბით შემოსილ მთებს, მტკვარს, რომლის ზედაპირზე მზის აცურებული შუქი ელვარებდა.

* *

მირზა ჩრდილში იჯდა, ვრცელ საძოვარზე გაშლილ ჯოგს თვალს ადევნებდა.

გარშემო ტყე იყო და სიჩუმე.

შუადღისას უფრო ჩამოცხა.

მირზამ ხალათი გაიძრო, წითელკოპლებიანი ჩითის პერანგის საკინძე გაიხსნა. გაშოტილ ბომბორა-კუდიან ნაგაზს, რომელიც წკურას დაკარგვის შემდეგ გაზარდა, ფეხი წაჰკრა, ბლის ხის ტყავისაგან მოწნული ჩანთა მხარზე მოიგდო და წყაროზე წავიდა.

წყარო მახლობელ კორდის ძირში ამოჩუხჩუხებდა.

ცოტა მოშორებით ორმო იყო, სადაც საქონლის სასმელი წყალი გუბდებოდა.

მირზამ წყაროს მუხის ფოთოლი გაუკეთა ღარად და პეშვით წყალი შესვა. იქვე ჩამოჯდა დასანაყრებლად, ნაგაზს პურის ნატეხი ჰაერში აუგდო. ძაღლმა შეხტომისთანავე დაიჭირა ულუფა.

ნასადილევს თეოს ცხენი, პაპანაქებას რომ არ შეეწუხებია, თავის ახლო, ჩრდილში დააბა.

მხართეძოზე წამოწოლილმა, ტყის პირად ცოხნით შესვენებულ ჯოგს თვალი მოავლო, მერე ჩანთიდან ამოღებული წიგნი გაშალა.

როცა კითხვით დაიღალა, წამოჯდა, სალამური აიღო. მალე სალამურის საამური ხმები არეს მოეფინა.

მირზა თანდათან თვითონვე იმსჭვალებოდა სალამურის ბგერით. ცნობამიღებული, ვერც კი ამჩნევდა, როგორ დადგომოდა თავზე თეოს ცხენი.

გულით წაწოლილ ნაგაზს წინა თათებში თავი ჩაერგო და განაბულიყო.

უეცრად ჰანგი შეწყდა: უცხოს კოცნამ მირზას სუნთქვა შეუკრა.

სალამურის მაგიერ ახლა მირზას თეო ეჭირა.

უცხო ბადაგით მთვრალები ერთიმეორის ბაგით სუნთქავდნენ.

ქალი კიდევ ერთხელ უსურვაზივით შემოეხვია ვაჟს, მის გაღეღილ, ფოლადივით მაგარ მკერდს თავისი ათქვირებული მკერდი შეაწება და ჭურციკივით წამოხტა. ცხენი სწრაფად ახსნა. ბაწარი ლაგამად გაუკეთა. ვიდრე მირზა გონს მოვიდოდა, ცხენი უკვე მინდორზე მიჰქროდა.

უბელო ცხენზე მჯდარი თეო ოდნავ წახრილიყო და ცხენს კივილით აქეზებდა, ფრთები გამოესხა.

მირზა ნაგაზთან ერთად გაეკიდა გაქცეულებს, მაგრამ ამდენ ხანს უხედნი და ნაიალაღარი ცხენი შურდულივით მიაპობდა სივრცეს.

მალე უცნაური მხედარი თვალს მიეფარა.

ტყიდან კარგა ხანს ისმოდა ცხენის ტორების თქარათქური და თეოს შეკივლება.

— გადაიჩეხება სადმე... ამ ბილიკებზე ქვეითადაც ჭირს სიარული...— შიშობდა შუა მინდორში უმწეოდ შემდგარი მირზა.

## IX

ომი დაიწყო.

სოფელი იცლებოდა ახალგაზრდებისაგან.

ხაშურის სადგურზე მთელი დღე-ღამე ისმოდა ხმაური, იყო განგაში, აქა-იქ სიმღერა.

სიმღერით მოდიოდნენ ახალი გუნდებიც. მათ უხმოდ მოჰყვებოდნენ ხურჯინით და ხის პატარა ყუთებით დატვირთული მამები, დედები და ახლობელი ნათესავები.

ვაგონები სკებს ჰგავდნენ. დამდგარი ბზუილის გამო, ყურთან ტუჩმიტანილნი ეუბნებოდნენ ერთმანეთს საალერსო და სანუგეშო სიტყვებს.

დედის ცრემლებით თვითონაც გულაჩუყებული ახალგაზრდები ჩქარობდნენ ვაგონში შესვლას, მაგრამ ვერ ახერხებდნენ, დაცილება უმძიმდათ.

ადრე ოჯახმოკიდებული ერთი ჯარისკაცი ამაოდ ცდილობდა მოეშორებია პატარა ბიჭი, რომელიც ფათალოსავით შემოხვეოდა კისერზე და ცივი ხმით ჰკიოდა. უხმოდ გულამომჯდარ ცოლს ცრემლები ნიკაპთან ესკვნებოდა, შემდეგ წვეთ-წვეთად ეცემოდა მკერდზე, აფუებულ ძუძუებს შუა.

მოხუცი ქალი ავგაროზს ჰკიდებდა პირმშოს და უსასოოდ ლუღლუღებდა.

დანიშნულები აღარ ერიდებოდნენ გარეშეებს — ერთმანეთს უკანასკნელად აშკარად ელოლიავებოდნენ.

იმის დასამტკიცებლად, რომ არ უღალატებდნენ თავიანთ ფიცს, ქალები სახსოვარ ნიშნებს ატანდნენ საქმროებს, თავის მხრივ ვაჟები პირდებოდნენ წერილების მალიმალ მოწერას და სურათების გამოგზავნას.

ბებერი პაპა მარჩენალ შვილიშვილს გზას ულოცავდა, თან ბრმა, დაჩუტული თვალებიდან ცრემლების მაგიერ სისხლი ჟონავდა.

მამები უფრო სიმაგრეს იჩენდნენ. ძალით შეკავებული ცრემლებისაგან თვალები ეწვოდათ.

სადგურზე იყო მირზაც, თავის ტოლებს აცილებდა.

— ვა, დედაო, რაება მარტო შენ დაგრჩა ჩვენი სოფლის გოგოები!

— ნეტავი შენი რჯულისა ვყოფილიყავი მეცა ან ყაფლანისთანა მფარველი მყოლოდა, სახლში ვიქნებოდი არხეინად.

— არა, ჩემს საბედოს არაფერი კადრო თორემ, თუ დავბრუნდი, ღორის ქონში გაცურავებ, იცოდე.

— შენზე ნაკლებად მიირთმევს ღორის ხორცს? რას ეჭიდნები თუ იცი!

ასე ეხუმრებოდნენ მირზას გარს შემოხვეული ამხანაგები.

იგიც ხუმრობითვე უპასუხებდა თანაშეზრდილებს. იმავე დროს ერთგვარ უხერხულობასაც გრძნობდა, რომ სცილდებოდა მათ.

მალე ზარი ორჯერ დარეკეს. მირზამ სათითაოდ გადაკოცნა ყველანი. ნაღველნარევი ხმით გაამხნევა სახიფათო გზაზე მიმავალნი.

ზარის მესამეჯერ დარეკვისას საშინელი ფუსფუსი, ზრიალი და ჟრიამული ატყდა.

მატარებელი ქშენით დაიძრა.

ვაგონების კიბეებზე ჩამოკიდებული და ფანჯრებიდან თავებგამორგული ახალგაზრდები ცდილობდნენ კიდევ ერთხელ მოეკრათ თვალი ნათესავებისათვის. გამცილებლები ნელა მიმავალ მატარებელს ფეხდაფეხ აედევნენ ყვირილით. მალე მატარებელმა სიჩქარეს უმატა, ხოლო მდევრებმა თანდათან სირბილს უკლეს. როცა უკანასკნელი ვაგონიც თვალს მიეფარა, დაზაფრებულნი დაბრუნდნენ უკან.

მირზაც გულნატკენი გამოტრიალდა.

დაინახა თუ როგორ ჩამოაყენეს კიდევ ახალი მატარებელი ჯარისკაცების წასაყვანად.

„რატომ უნდა გაწყდეს ამდენი ხალხი, ვისთვის უნდა იომონ? ერთი მუჭა მუქთახორებისათვის, რომ გადარჩენილებს უფრო მეტი სისხლი გამოსწოვონ?!“ — ახრჩობდა ბრაზი მირზას. უცებ სალამურის ხმა მოესმა. იქვე ვაგონის კიბეზე ჩა-

მომჯდარი ჯარისკაცი უგულოდ უკრავდა ლერწმის ღეროს.

მირზა სალამურიანი ახალგაზრდისკენ გაექანა.

— თუ ძმა ხარ, ერთი წუთით მათხოვე შენი სალამური.

გაკვირვებულმა ჯარისკაცმა დაუფიქრებლად გადასცა სალამური.

მირზა მის გვერდით ჩამოჯდა.

სალამურმა ქვითინი დაიწყო. ერეოლის მომგვრელმა ხმებმა მირზასთან ახალგაზრდები სწრაფად შეაჯგუფა.

ჭირისუფლებიც მიიზიდა სალამურმა. მალე ყველამ იქ მოიყარა თავი, სადაც ლერწმის თვლებიდან დაგუბებული სევდა მდინარებდა.

სალამური ადამიანივით მოთქვამდა ომში წასულების დარდს, შინ დარჩენილთა მწუხარებას, ხალხის სიბეჩავეს და ვალალს. უხილავი ძალით შებოჭილი მსმენელები გატრუნულნი იდგნენ, ჯადოსნური ხმით მკენესარე სალამურს ჩანაცრებული სახით უსმენდნენ.

სალამური კიდევ ერთხელ ატირდა, უკანასკნელი გმინვა შიგ გულში ჩაძვრა. უეცრად უსასოო ხმები იმედიანმა, თავისუფლებისათვის ბრძოლის მოწოდების ჰანგმა შეცვალა.

ხალხი შეიშმუშნა. სახეზე სიხარულის შუქმა გადაურბინათ. თანდათან თვალები აენთოთ.

სალამური ახლა აღარ გოდებდა, ის მღელვარე ხმით ეძახოდა ჩაგრულებს მეფის ტახტის იავარსაყოფად. და ამ უჩვეულო ჰანგში თითქო წითელი დროშების შრიალიც ისმოდა:

მირზა მარსელიოზას უკრავდა.

ვიღაცამ სალამურს ხმა ააყოლა. მაგრამ ამ დროს გაისმა ყვირილი:

— ჟანდარმები!

ყველამ მრისხანედ მიიხედა უკან.

მირზამ სალამური ისროლა, ვაგონქვეშ გაძვრა და ლიხისაკენ მიმავალ საბარგო მატარებელს შეახტა.

შინ მისვლისთანავე ქართიდან ჯოგი გამორეკა და საძოვრისაკენ ისე წაასხა, რომ არავისთვის ხმა არ გაუცია.

წელში ქარგამდგარი ფიდო მზეს ეფიცხებოდა, თან თავის

გულს ასკდებოდა, რომ საქონელი აქამდე დაშწყვდეული იყო. მირზას მისი კბილების კრაჭუნი აინუნშიც არ ჩაუგდია.

ჯოგის უკან შარაზე მიმავალი ფიქრობდა თავის საქციელზე, სალამურზე და გახარებული იყო.

„ნეტავი მომიწონებდა თანდილა ამ ამბავს?“ გაიფიქრა მან და თანდილა მოიგონა, რომელიც არალეგალურად მომუშავე სხვა რამდენიმე ამხანაგთან ერთად ორი დღის წინ შეიპყრეს ჟანდარმებმა.

თანდილას პროკლამაციები უპოვეს.

მირზას ამ საღამოს უნდა გაეგო დაწვრილებით, თუ როგორ მოხდა მათი „ჩავარდნა“ ან საფრთხე ხომ არ მოელოდა ხაშურის ორგანიზაციას.

„ალბათ, გადაასახლებენ ყველას. საწყალი თანდილა, ვერც კი მიაღწევს ციმბირამდე, ისეა არაქათდალეული. ორგანიზაცია რომ იყაბულებდეს, მარტო მე ვიკისრებდი ძალით მათ გათავისუფლებას“, — ალალად ინატრა მირზამ და ჯოგი მთის ბილიკზე დააყენა.

მთელი დღე იგი დაპატიმრებულებზე და ორგანიზაციის ბედზე ფიქრობდა.

საღამოს, სამწყესურიდან დაბრუნებული, შეუმჩნეველად გაქრა.

ორგანიზაციას, დიდი ყოყმანის შემდეგ, გადაეწყვიტა: თანდილას და სხვების დაპატიმრების მიუხედავად, პროკლამაციები მაინც დაეყარათ.

ამ საქმის შესრულება მირზას მიანდვეს. მისთვის ასეთი დავალება პირველი არ იყო და ამიტომ არ გაკვირვებია, როცა პროკლამაციების დასტა გადასცეს. იამა, საშუალება ეძლეოდა ერთხელ კიდევ აეფორიაქებია პოლიციელები.

დილას ყოველ გზაჯვარედინზე ეყარა და ქუჩებში გამოსაჩენ ადგილას გაკრული იყო ფურცლები.

X

მკაცრი ზამთარი იდგა.

სურამის უღელტეხილიდან მქროლავი სუსხიანი ქარი შვალში ატანდა.

შორიდან ახვეტილ და შეყინულ თოვლის ფიფქს ფანჯ-

რებს სილასავით აყრიდა ქარი და შინ შეკრას ლამობდა.

ყინვა ძლიერდებოდა. უმთვარო ღამე'ში ქარის ზუილი, ვახშმის შემდეგ გაღვივებულ ბუხართან შილიფად მჯდარ ყაფლანს სიამის ბურუსში ხვევდა.

ფეხზე ფეხ-შემოდებული, გრძელ, მოვერცხლილ-ტარიან ყალიონს ნელა წევდა.

გვერდით მრგვალი მაგიდა ედგა, ზედ ეწყო ვერცხლის ჭურჭელი: სინი ხმელი ხილით, თასი და ნისკარტიანი დოქი ტკბილი ღვინით სავსე. დოქი ვიწრო, მაღალყელიანი იყო, ტანი ბუშტს მიუგავდა. გვერდებზე გამოჩუქურთმებული ჰქონდა მტევნები და უცხო სახის ფრინველები.

იქვე იდვა შავი ძვლის თავახდილი მომცრო ყუთი, რომელშიაც ოსმალური თუთუნი ოქროსფრად ბზინავდა.

კარგა ხანს ჯდომის შემდეგ ყაფლანი წამოდგა. ყალიონი ბუხრის თავზე ააყუდა, ხელები გადაიქდო და ოთახში სიარულს მოჰყვა.

მალე თუთია შემოვიდა სიცივისაგან ლოყებატკეცილი: ბატონისათვის ხმის გაუცემლად ლოგინს გაშლა დაუწყო.

ლოგინზე წახრილ ქალს ყაფლანმა თვალი შეავლო. თითქო ბრუ დაეხვაო, მაშინვე ისევ სავარძელში ჩაჯდა.

თუთიამ ჯერ ლები გაასწორა, მერე ბალიში ააბუმბულა და, რომ ბატონი შიგ გაურჯელად ჩაწოლილიყო, ლამაზად გაშლილ ფარჩის საბანს ცალი ყურე კედლისაკენ გადაუკეცა.

როცა ლოგინის გაწყობას მორჩა, მოახლე ფრთხილად გამობრუნდა, სპილენძის ტაშტით თბილი წყალი მიართვა ყაფლანს, რომელიც ახლა ყალიონის ნაცვლად, ღვინოს ისე შესვენებით სრუტავდა, როგორც ჭაშნიკს.

თუთიამ შინ მოქსოვილი ღაზლის ზედა სამოსი გაიხადა, ყაბის სახელოები, ღლიავებამდე წაიხვეტა და ბატონს სუფთა მატყლის წინდები გააძრო.

ყაფლანმა თვალების ხუჭვით ფეხები ტაშტში ჩააწყო.

თბილმა წყალმა და თუთიას ნაჯაფარი ხელების შეხებამ ყაფლანს ერუანტელი მოჰგვარა.

მოწიფულ ქალს უბე გახსნოდა, დამტევნებული ძუძუები სანახევროდ გამოჩენოდა.

თუთიამ იგრძნო ყაფლანის ჟინიანი ცქერა და მაშინვე მკერდი თავსაფრის ყურით დაფარა.

ყაფლანი თრთოლვამ აიტანა.

ფეხების შემშრალების დროს წამომდგარ თუთიას ხელი წააკლო და მუხლებზე ძალით დაისვა.

ქალი დაიბნა, მაგრამ მალე გამოერკვა და ხელიდან გაუსხლტა.

ყაფლანი გამოეკიდა, შეშინებული თუთია კარებთან ჩაბღუჯა და ლოგინისაკენ წაყვანა დაუპირა.

ამ დროს კარები გაიღო, ოთახში ვიღაცამ მოკრძალებით შემოაბიჯა...

გაშმაგებულმა ყაფლანმა მისი შემოსვლა ვერ შეამჩნია. პირზე დუქმომდგარი ბატონი გასავათებულ ქალს ლოგინისაკენ კვლავ ძალით მიათრევდა.

უნებლიედ შემსწრეს სისხლი თავში აუვარდა, კარები ისე მაგრად მიხურა, რომ ჯახუნზე შემკრთალი ყაფლანი ქალს სწრაფად გაშორდა.

წუთით სიჩუმე დამყარდა...

მხოლოდ ისმოდა სამი ადამიანის საბერველივით ქშენა. ნირწამხდარი ყაფლანი განძრევას ვერ ახერხებდა.

თუთიაც ერთ ალაგას იდგა. ქალი ქორისაგან დატოვებულ წიწილას ჰგავდა.

არც მირზა შერხეულა, სანამ ყაფლანი ენის ბორძიკით არ შეეკითხა:

— რა გინდა?

კილო ცივი და მკაცრი იყო.

ვიდრე უპასუხებდა, მირზამ ჯერ კარი გამოაღო, თუთიას ანიშნა წასულიყო. ქალმა მშველელს მადლობით შეხედა და გარეთ გავარდა. მერე ზიზღით ავსებულმა მირზამ ყაფლანს მიმართა:

— ბატონო, გაცივდებით ფეხშიშველი. მგონია, ახალი დაბანილი უნდა გქონდეთ.

ყაფლანმა მირზას მზრუნველობაში დაცინვა იგრძნო, მაგრამ მაინც არაფერი თქვა, ისე გაეშურა ბუხრისაკენ.

ფოსტლებში ფეხები წარგო, ყალიონი ჩამოიღო, აკანკალებული ხელით თუთუნით გატენა, შემდეგ ღადარში აურია

და სავარძელში მოსხლეტით ჩაეშვა. ყალიონი ხარბად მოქაჩა, ბოლი ლუკმასავით გადაყლაპა.

მირზა კვლავ კარებთან იდგა.

— რა გინდა?

დაგუბებული ბრაზით წამოიძახა ყაფლანმა.

მოჯამაგირე დაგვიანებით გამოეხმაურა:

— თეოს წერილია. ესაა ახლა ჩამოიარა თანდილას სიძემ და დატოვა.

თეოს ხსენებაზე ყაფლანმა სწრაფად მიიბრუნა თავი მირზასკენ და მოუთმენლად წარმოთქვა:

— მომეცი.

— თვითონ თეოს გადაუცია.

ამ სიტყვებით მირზამ წერილი გაუწოდა.

— რომელი თანდილას სიძეა? — შერბილებით იკითხა ყაფლანმა.

— აი, მესრე თანდილა რომ იყო და დაიჭირეს, მისი სიძე. სიმამრის სანახავად ყოფილა თბილისში, მაგრამ არ უჩვენებიათ.

განგებ ლაპარაკობდა მირზა მიამიტად, თან თვალი წერილისაკენ ეჭირა.

ყაფლანმა ყალიონი მუხლებს შუა ჩაიყუდა და წერილი გახსნა. შიგ თეოს სურათიც აღმოჩნდა.

სწრაფად წამოდგა, ბუხრის თავზე მდგარ ლამპასთან სურათს დააკვირდა.

თეო სურათში უფრო დიდი ჩანდა, ვიდრე ზაფხულზე იყო. მოწაფის ფორმა არ ეცვა, მთელი ტანით გადაღებული უცხო ქალს ჰგავდა.

მისი სახის დანახვამ ყაფლანს წინანდელი უხეში იერი თანდათან ღიმით შეუცვალა.

დიდხანს ცქერის შემდეგ ყაფლანმა სურათი ლამპის ფეხზე მიაყუდა და წერილი მოიმარჯვა. ვიდრე კითხვას დაიწყებდა, მირზამ მორიდებით უთხრა:

— ჰო, მართლა, ფიდოა უკანასკნელ დღეში. ექიმის მოყვანას ხომ არ მიბრძანებ, იქნებ, რამე ეშველოს. მწარედ იტანჯება საწყალი.

ბატონს წარბიც არ შეუხრია, ისე ჩაილაპარაკა:

— ამ შუაღამეზე და ასეთ ამინდში  რომელი სულელი ექიმი წამოგყვება. გათენდეს და ვნახოთ.

— რატომ. შარაგზა გატეხილია. ცხენებით მგზავრობა არ იქნება საძნელო. ხაშური არც ისე შორსაა.

ყაფლანს აღარაფერი უთქვამს.

უკმაყოფილოდ გაბრუნებულ მირზას კარებთან მოესმა:

— თუ ძლიერა წუხს, მღვდელი მოუყვანე.

## XI

ყაფლანი ფიდოს დასაფლავების დღეს სანადიროდ მიდიოდა.

ალიონზე შეუდგა თადარიგს.

თბილი, სანადირო მოკლე ქურქი ჩაიცვა, ზედ სავაზნე ფართო ქამარი მაგრად შემოიჭირა, ორლულიანი თოფი და ტყავის ჩანთა ჯვარედინად გადაიკიდა, მერე თხის რქაზე დაგებული დაშნა წელში გაირჭო და კარებისაკენ გაეშურა.

გრძელი, ბეწვიანი ქუდი ეხურა, ჩექმების ყელი მუხლებს ზევით წვდებოდა.

გამყოლები უკვე მზად იყვნენ.

მწევარ-მეძებრების კისერზე ჩაბმული თასმები სამ ბიჭს აღვირებივით ეჭირა. სანადიროდ წასვლის მოლოდინში აყეფებულებს, ძლივს იკავებდნენ.

მოშორებით იდგა ბაზიერი, ხელზე შევარდენით. ქამარზე აქეთ-იქით თავისი და ბატონის თხილამურები ეკიდა.

ძაღლების ყეფის გაგონებაზე ყაფლანმა კიბე ბავშვივით ჩაირბინა.

შესაფერი ამინდი დგებოდა, უბურუსო და წყნარი.

ერთ-ერთ საჯალაბო სახლიდან, სადაც ცხედარი ესვენა და უბრალოდ შეკრულ კუბოს თავთან სანთლის შუქი მკრთალად კრთოდა, ფიდოს დის გოდება მოისმოდა.

ყაფლანმა მაშინვე ბიჭებს ცივად უბრძანა წასვლა. ჭიშკარში პირველი გავიდა.

ფიდო ადრე გაასვენეს.

მღვდელი არ გაძღოლია სამარემდე, მარტო შინ აუგო წესი.

— ასე დაუფასეს ამაგი! მერე როგორი ერთგული იყო

ბატონის. საკუთარი ოჯახიც არ უძებნია უბედურს, ისე უძიროდ გადავიდა.

— მარცლა, რავა მთელი სიცოცხლე შეალია სხვას!

— სამაგიეროდ აგერ ძაღლივით გადაათრიეს.

— ახია იმაზე, აქაო და მოურავი ვარო, სულს გვხდიდა. მუდამ იმის ცდაში იყო, რა წაეგლიჯა ჩვენთვის და ბატონისათვის შეეძინა.

— კაცო, აბა რა ექნა! მოვალეობა ჰქონდა ისეთი.

— არა, არა, ნამეტანს შვრებოდა, ნამეტანს.

— აგრე, თუ ირჯებოდა, მიტომაც გაუმართა ქელეხი მისმა ბატონმა.

— რას ამბობ, რომ მირზა არა, მგონია, მიწასაც არავინ აღირსებდა იმ საცოდავს!

— აბა, აბა, მართლაც თვალში ჩასავარდნია ის ბიჭი. მერე და, როგორ კრიჭაში ედგა ფიდოი, ყოველთვის კორტნიდა, მარა მაინც რა დიდი სამსახური გაუწია. ნამდვილ ჭირისუფალივით არ მოუარა?

— სხვა რომ ყოფილიყო, ახლოსაც არ გაეკარებოდა.

— ჰო და, თუ სხვა რჯულისაა, რით ვერა ჯობია ბევრ ქრისტიანს, თუ გინდა იმავე ყაფლანს! მითხარი ერთი, ცოლშვილს გაფიცებ!

— სხვა რჯულისო! მონათლული უნდა იყოს, თათრობის იმას რაღა ეტყობა!

— იჰ, რჯული რა შუაშია, კაცობაა საქებური, თორემ...

— თუ იცი, ვის დაიყენებს ახლა მოურავად, ა!

— ფიდოზე უარესს, ეჭვი გეპარება თუ?

— ნეტავი მირზას მისცემდეს მოურაობას!

ამბობდნენ სასაფლაოდან დაბრუნებული გლეხები ფიდოს დაკრძალვისთანავე სადღაც წასულ მირზაზე.

* *

ყაფლანმა ვერაფერი მოკლა სახარბიელო.

პირველ დღეს ხელი მოეცარა, ამიტომ დარჩენა არჩია. ღამე ტყეში გაატარა, ჯარავში.

ასეთი ბინა ყოველ მთაზე ჰქონდა მას.

მეორე დღეს, საღამოს, ხელდამშვენებული დაბრუნდა: ფურ-ირემი მოეკლა, უშობელის ტოლი.

ირმისათვის ბიჭებს ფეხები ღელეჭით შეეკრათ, შემდეგ სარი გაეყარათ, სარის თავი და ბოლო მხრებზე გაედოთ და ერთიმეორის შენაცვლებით, ასე გულაღმა დაკიდებული მოჰქონდათ.

ცხოველი ახალი ნატყვიარი იყო. ჭრილობიდან ნადენი სისხლი თოვლზე წითელ ზოლს ავლებდა.

ყაფლანს ფრინველებიც ბევრი დაეხოცა.

სოფელში როცა შემოვიდნენ, ხშირი თოვა დაიწყო.

ვარდის ფურცლებისოდენა თოვლმა მალე დაფარა გატკეპნილი გზა.

მონადირეებმა ისე გაიარეს თითქმის მთელი სოფელი, გარეთ არავის გამოუხედავს, არც ვინმე შეხვედრიათ წინ. ეზოებიდან მარტო მოდარაჯე ძაღლები გამორბოდნენ და, რატომღაც, წინანდელზე უფრო გახელებით უყეფდნენ ყაფლანს და მის ამალას.

მწევარ-მეძებრები თავსაც არ უყადრებდნენ მომხდურებს, არხეინად განაგრძობდნენ გზას. ხანდახან ზოგიერთი მათგანი, როცა სული წასძლევდა, მაშინ თუ შეუყეფდა სამაგიეროდ.

ყაფლანს უკვირდა სოფელში ჩამოვარდნილი სიჩუმე.

სხვა დროს მთელი სოფელი შეინძრეოდა, ქალი თუ კაცი ყველა უკან დაედევნებოდა ნადირობიდან დაბრუნებულს. ცნობისმოყვარე ბავშვების ჯოგი ხომ იქაურობას აიკლებდა ყივილით მოკლული ნადირის ან უცხო ფრინველის დანახვაზე.

ახლა ლანდადაც არავინ გამოჩენილა.

ბიჭებიც გაოცებულნი იყვნენ.

ყაფლანს უკვე ბრაზი იპყრობდა, რომ მის ასეთ სასახელო ნადირობას სოფლის შეუმჩნევლად უნდა ჩაევლო.

„სად გადაიხიზნა ეს ხალხი! ნეტავი რა ამბავია?“ — გაიფიქრა მან და ამალას წინ გაუსწრო.

გულამღვრეულს ჭიშკართან მხოლოდ რამდენიმე შინაკაცი გამოეგება უხალისოდ.

— რა მოგივიდათ, როგორ ჩამოგტირით სახე ყველას!

სხვები სად არიან, მირზა სადაა? — მოუთმენლად კითხულობდა რაღაც წინათგრძნობით გამსჭვალული ყაფლანი.

— საქმეზე გახლავთ, — მოგვიანებით და უნებური კილოთი უპასუხა ხანშიშესულმა ხაბაზმა თომამ.

— რა საქმე აქვთ! ახლავე ყველას აქ დაუძახეთ, ჩქარა!

მალე ზლაზვნით მოგროვდნენ დანარჩენებიც.

ბატონს არც მათი გამომეტყველება ეჭაშნიკა და გაცოფდა:

— ვინ მოგწამლათ, რა მოგეჩვენათ... მე თქვენ განატრებთ ფიდოს თავს. აიშვით განა! რას გამოლენჩებულხართ-მეთქი, ხმა ამოიღეთ.

ზოგიერთები აფუსფუსდნენ და ჭიშკარში შემოსულ ბიჭებს მიეშველნენ.

— სანაწეროდ ლაპარაკობს რაღაცა... — ხმადაბლა ჩაილაპარაკა მოჯამაგირე გაბომ.

ყაფლანმა ყური მოჰკრა გაბოს სიტყვებს და შეჰკივლა:

— ეგ რა თქვი! გაიმეორე მალე, თორემ წიწილივით წაგახრჩობ.

განრისხებულმა ყმას კეფაში წაატანა ხელი და თავი თოვლში ჩაარგვევინა.

ყველანი შეიშმუშნენ.

— არაფერი, ბატონო, რა უნდა გაებედა... მგონია, მეფე გადაუყენებიათ და... გვწყინს... ალბათ, ამის თქმა სურდა, — წყნარი ხმით მიმართა მემარნე მიტომ.

ყაფლანი შეჩქვიფდა. გაბოს ხელი გაუშვა. წელში გაიმართა, მიტოს მცდელი თვალით შეხედა.

— შენ, გაგიჟდი? რას ამბობ, თუ გესმის!

— ჰო, ღმერთმანი. ასე იძახიან და რა ვიცი.

ყაფლანი დაიბნა.

ქუდი მოიხადა.

თოვლი აიღო და მოწუწნა.

მერე ყრუდ იკითხა:

— ვინ გითხრათ?

— მთელი ქვეყანა ლაპარაკობს. დიდი ამბავია, თურმე, — ისევ მიტომ უპასუხა.

— ჰო, მართალია ბატონო, დღეს ჩაი-შაქრის საყიდლად

ხაშურში ვიყავი და ერთი ჟანდარმი აღარაა, ბოქაულიც გაქცეულა. ხალხი ქუჩებში დადის სიმღერით და ბაირაღებით. ყველა იძახის: ძირს მეფეო, და ბა...ბა... ბაზარი დაკეტილია...

ამოიდგა ენა მოჯამაგირე გაბომ, რომელიც საყელოში ჩაცვენილ თოვლს იცლიდა.

— მირზა სადაა? — ისევ ყრუდ იკითხა ყაფლანმა.

— არ ვიცით. გუშინ დილას აქეთ აღარ გვინახავს, — წარმოთქვა ვიღაცამ.

„იქნებ მართალია! სხვაგვარად ვერ გამიბედავდნენ ასე ლაპარაკს. სოფელში დამკვიდრებული სიჩუმეც უთუოდ რაღაცას მოასწავებს“ — გაიფიქრა ყაფლანმა და შეატყო, რომ სახსრებში თანდათან იშლებოდა.

უეცრად თეო მოაგონდა და წამებულის ხმით წამოიძახა:

— თეო, თეო!

შემდეგ გიჟივით დაიყვირა:

— ცხენი, ცხენი მალე.

ბევრს შეეცოდა ყაფლანი. მიტოსაც შეეცოდა და საჯინიბოსაკენ გაიქცა.

ყაფლანი სახლში შევარდა, სანადირო მორთულობა სწრაფად მოიხსნა, რევოლვერი და ფულების დასტა ჯიბეში ჩაიტენა, ნაბადი მოიხურა.

გარეთ გამოსულს აღარავინ დახვედრია ეზოში. შეკაზმული ცხენი მიტოს კიბესთან დაება.

ფიცხლავ მოახტა და გაქუსლა.

უკვე კარგად დაღამებული იყო, როცა ხაშურის სადგურს მიაღწია.

არავინ ჩანდა, არც სინათლე იყო სადმე.

ცხენი უპატრონოდ მიატოვა. სადგურში სირბილით შევიდა.

იქაც სიჩუმე იდგა და ბნელოდა.

მარტო სატელეგრაფო და სადგურის უფროსის ოთახებში ენთო პატარა ლამპები. ყაფლანი სადგურის უფროსთან შეიჭრა.

— თბილისისაკენ არაფერი მიდის? — შესვლისთანავე ხმამაღლა მიმართა სადგურის უფროსს, ახალგაზრდა, წვერგა-

უპარსავ კაცს, რომელიც ტელეფონით ხან გორს ეძახდა, ხან ლიხს.

ეს კაცი წინათ დიდი თავაზით  და მოწიწებით აძლევდა მას სალამს, ახლა არც კი შეუხედავს მისთვის.

ყაფლანი მოტყდა და უმწეოდ განუმეორა:

— როდის მიდის მატარებელი?..

სადგურის უფროსმა ტელეფონის მილიდან  ყურმოუცილებლად ესროლა:

— არ ვიცი...

ყაფლანი ბარბაცით გამოვიდა ბაქანზე.

## XII

ქუჩაში სიხარული ფეტვივით ეყარა.

იყო მარტო სიმღერა და დროშები.

ტყვიას არც კი გაუკაწრავს ვინმე.

მაგრამ მეფის კაცებს მაინც ეშინოდათ.

მარსელიოზას გუგუნი მახვილზე უფრო მკვეთრად ხვდებოდა მათ გულს.

გუშინ ამაყნი, ულარებელნი, ახლა კარჩაკეტილში კუნტებივით ეყარნენ და ყოველწუთს ელოდნენ განკითხვას.

უფრო ჭკვიანებმა ტანისამოსი გამოიცვალეს, რომ გაუსხვავებელი იერი ჰქონოდათ. ბოგანოებში გარევა არჩიეს.

ვის ეცალა მაშინ მათ გულში ჩაეხედა, როცა საკუთარი გული გაფრენას ლამობდა.

ღრეობა იყო, ჯერ გაუგონარი და არნახული.

ხალხის დაგრაგნილ ტალღებზე დროშების ტყე შრიალებდა.

დროშები. დროშები.

თოვა. ქარი.

ორატორები აივნებიდან.

ორატორები ხელში აყვანილი.

ორატორები დროგებზე, ეტლებზე, ყუთებზე.

ნაღვერდლებად ქცეული სიტყვები.

ძახილი.

აღტაცება.

სიყვარული ზედმეტი.

თავისუფლება.

თავისუფლება.

კუნთებიან მუშების მჭექარე ხმებს თან ერთვოდა მოწაფე ახალგაზრდების წკრიალა და დაუცხრომელი ყიჟინა.

თეო მათ შორის იყო. ფრთები ესხა. ყინვისაგან ღაწვები დაწითლებოდა. თვალებიდან ცინცხლები ცვივოდა და სხვებთან ერთად გაჰკიოდა:

„ციიიხეს რააათ უნდა რკინის კარები...“

ხალხი ტორტმანით მიდიოდა.

გაიარეს გოლოვინის პროსპექტი. ერევნის მოედანი.

მიადგნენ ვიწრო ქუჩის ყელს. ერთმანეთს შეეწებნენ. მიწაზე ფეხს ვეღარ იკიდებდნენ.

ბევრმა თავის დავლა ამჯობინა. მალე სხვა მახლობელი ქუჩებიც ხალხით გაიჭედა.

ყველა-კი იქ შეერთდა, სადაც მტკვრის კალაპოტი მოსუსხულია და გაღმა მეტეხი მოჩანს, ხავსმოკიდებული და კლდეზე მტკიცედ დაშენებული.

მტკვრის ნაპირას მეტეხის ფუძე კლდეზეა. ხმელეთით მაღალი გალავანი არტყია.

გალავანში, მტკვრის კედაროს, დგას საყდარი. ცაში აწვდილი გუმბათი ხარდნის წამახულ წვერს მიუგავს.

აქ იყო, მეტეხის დაცემის ღამეს ანანია გლახამ რომ მოიტაცა მეფის ძე და მის ნაცვლად გამძვინვარებულ სოლეიმან-ხანის ცხენს საკუთარი შვილი ფეხებში ჩაუგდო დასატორავად.

რამდენი ნება უნდა ჰქონოდა ამ ცალთვალა კაცს, რომელსაც, შვილის გამეტების შემდეგ, კისერზე დაეკრა ტახტის გადარჩენილი მემკვიდრე და ჩამოპირქვავებულ ღამეში შეუპოვრად მიცურავდა მტკვრის ბობოქარ ტალღებზე!..

ეს იყო წინათ.

ახლა ანანია გლახა მეფისთვის ტყვიას თუ გაიმეტებდა.

ახლა ხალხი ტახტებს ანგრევდა და იმავე მეტეხს აფეთქებას უპირებდა ანანია გლახა.

პროცესია ალაყაფის კარებს მიადგა.

მეტეხის ხლართებიან ფანჯრებზე ჩამოკიდებული ტუსა-

ღები, საშველად მისულებს გაბრწყინებული სახით ეძახოდ-ნენ, ესალმებოდნენ.

თეო ახლოს იყო ალაყაფის კარებთან, საიდანაც, თმადა-ბურდული და ფეხის ცერებზე შემდგარი, ტუსაღებს ქუდს უქნევდა.

ერთმა მედროშეთაგანმა რიყის ქვა დასცხო რკინის ჭიშ-კარს. ზარისებურად გამოცემულმა ხმამ ყრუანტელი მოკგ-ვარა ყველას.

შიგნიდან ურდული არ შენძრეულა.

პასუხს აგვიანებდნენ.

ვიღაცამ ნაგანი კბილებით დაიჭირა და ჭიშკარზე აცოც-და.

წინ მდგომებმა ზურგი და მხრები მისცეს კიბედ.

— მირზა... მირზა...

უნდოდა დაეყვირა თეოს, მაგრამ ვერ შეძლო, ენა დაება. მირზა ჭიშკარს თავზე მოექცა, ხელში მომარჯვებული რე-ვოლვერით ციხის ეზოში გადახტა.

„როგორ გაჩნდა აქ, როდის ჩამოვიდა!“ — უკვირდა თე-ოს და ჭიშკარს თვალს არ აშორებდა.

ხალხი გაიტრუნა ლოდინში.

ჭიშკარს არც ახლა აღებდა ვინმე.

ისევ ატყდა ხმაური.

მუქარის ხმები ქუხილად იქცა.

კიდევ რამდენიმე კაცმა გაბედა ჭიშკარზე ასვლა.

გაისმა კლიტეების ჩხარუნი, და ჭიშკარი ზედმიწოლილ-მა ხალხმა სწრაფად შეაღო.

ეზო აივსო მისულებით.

ციხიდან ტუსაღები მოფრინავდნენ.

ბორკილების მტვრევასა და მოხსნაზე ყველა ეხმარებო-დათ.

ერთმანეთს ძმებივით კოცნიდნენ.

ულოცავდნენ.

თეომ თვალი მოჰკრა, როგორ გადახვეოდა მირზა ვიღაც მოხუც კაცს.

მიტინგი გაიმართა.

თეომ ახლა კარგად დაინახა გადმობრუნებულ ეასრზე შემდგარი იგივე მოხუცი და იცნო თანდილა.

თანდილას ტუჩები უთრთოდა, დიდხანს ვერ მოახერხა ხმის ამოღება.

ბოლოს ძლივს წარმოთქვა:

— ამხანაგებო!

და თვალები სიხარულის ცრემლებით აევსო.

გათეთრებულ თმასა და წვერზე ათოვდა.

მოხუცმა დაძლია სისუსტეს:

— ამხანაგებო! მომილოცავს, მომილოცავს, ბედნიერი ვარ, მოხუცი მოვესწარი ამ დღეს, რომ ჯალათები აღარ არიან და რევოლუცია მოხდა. ახლა საჭიროა უფრო მეტი სიმტკიცე და ბრძოლა თავისუფლების შესანახად. ამ ციხეში უნდა ჩასვათ რევოლუციის და ხალხის მტრები. ფრთხილად ვიყოთ. მე ამ ბრძოლების ნაყოფი შეიძლება ვეღარ ვიხილო, მაგრამ თქვენ ხომ მოესწრებით! ამიტომ იცოცხლეთ და მოუარეთ რევოლუციას, ამიტომ მხნედ იყავით, მე ამ დღითაც ბედნიერი ვარ. გაუმარჯოს თავისუფლებას!

დიდხანს ისმოდა გუგუნი.

კიდევ ილაპარაკა ვიღაცამ. ბევრმა.

შემდეგ სიმღერით დაბრუნდნენ.

ხალხის ტალღამ თეო შორს გაიტაცა და მირზა თვალთაგან დაეკარგა.

## XIII

რუსეთში მოხდა ოქტომბრის რევოლუცია, რომელსაც ამიერკავკასია გამოეყო და გაემიჯნა.

დაარსდა ამიერკავკასიის სეიმი, ამიერკავკასიის ხალხთა უზენაესი ნების გამომხატველი. მაგრამ სეიმი ხალხის არ იყო და ის მალე დაიშალა. მენშევიკებმა საკუთარი მთავრობა შექმნეს. ასევე მოიქცნენ მუსავატელები, დაშნაკები.

საქართველოში გერმანელები ჩამოსახლდნენ.

ხმები დადიოდა ვილჰელმის შვილის საქართველოში გამეფების შესახებ.

მიხაკო წერეთელი და მისი თანამოაზრენი ამაზე დიდი ხანია ფიქრობდნენ, თურმე.

ხმები მართალი არ შეიქნა.

საქმე არ მოხერხდა.

მართალი-კი ის იყო, რომ გერმანელების თითბრის ქუდებს საქართველოს მზე აცხუნებდა.

შემდეგ გერმანელები ინგლისელებმა შეცვალეს.

თბილისი აივსო ყვითელ და შავკანიანებით. ზოგ მათგანს მოკლე, ჭრელი ფალასით მარტო სასირცხო ალაგი ჰქონდა დაფარული. ზოგს ტიკინას ტანისამოსი ეცვა და უცნაური ქუდი ეხურა.

ნამდვილი ინგლისელი ცოტა ერია. ვინც იყო, ისიც ინდაურივით გაბერილი დადიოდა საბათმანე ყალიონით პირში გამოჩრილი, თანაც ქალებს უტიფრად უცქეროდა.

ინგლისელებს უხეშად ეჭირათ თავი, არავის ეპუებოდნენ, არც მთავრობას აგდებდნენ მაინცდამაინც რამედ.

ინგლისელების ჯარის ნაწილი იდგა გოლოვინის პროსპექტზე, ე. წ. მუშათა სასახლეში. ერთ მშვენიერ დღეს ფანჯრებში ნიფხვები გამოკიდეს. ამის დამნახველი ქალები ყურებიანად წითლდებოდნენ, კაცები კი შეურაცხყოფილად გრძნობდნენ თავს.

მთავრობის საგანგებო დადგენილება და დიდი დიპლომატიური მოლაპარაკება გახდა საჭირო, რომ ეს უწესოება მოეშალათ ინგლისელებს.

არც სხვა მხრივ მიდიოდა კარგად საქმე.

ხშირად იყო მეზობლებთან ომი, დავიდარაბა, აყალმაყალი. კიდევ სხვა მრავალი უბედურება.

შიგნით:

გვარდიელების პარპაში. აჯანყებები. სიძვირე. შიმშილობა.

დამფუძნებელ კრებაში ჩხუბი იმის შესახებ თუ ვინ რამდენს და რით სვამდა ღვინოს, აგრეთვე იმის შესახებ თუ რომელს ეკუთვნოდა კარგი ბინა, და სხვა ასეთი ამბები.

საკათალიკოსო საბჭოში-კი არჩევდნენ ეკლესიებში ორღანოების შემოღების საკითხს.

საქმე იმაში იყო, რომ წირვაზე ხალხი თანდათან ცოტა დადიოდა. მრევლის რიცხვი დღითი დღე კლებულობდა. ამიტომ ერთმა მორწმუნე კომპოზიტორმა ურჩია სამღვდელოებას მლოცველთა მისაზიდად ეკლესიებში ორღანოები დაედ-

გათ. ფსალმუნების და გალობით წარმოსათქმელ იამბიკოების ნოტებზე გადაღებას თვით კომპოზიტორი კისრულობდა, მაგრამ ამ განზრახვას დადებითი შედეგები არ მოჰყოლია სხვადასხვა მიზეზისა და, უმთავრესად, სასულიერო პირთა შორის ჩამოვარდნილი განხეთქილების გამო.

კაფე „დარბაზში“ ყოველ საღამოს თავს იყრიდნენ პოეტები, მხატვრები, პოლიტიკური მოღვაწეები, ვექილები, სპეკულანტები და ლამაზი ქალები.

კითხულობდნენ ლექსებს, ამბობდნენ პატრიოტულ სიტყვებს. კონფერანსიე აცინებდა ქალებს და აქებდა სპეკულანტებს ხელგაშლილობისათვის.

შიგადაშიგ ლაპარაკობდნენ ბოლშევიკების „ეელურობაზე“ და გაცხარებით ბაასობდნენ ლადო გუდიაშვილის მიერ ახლად დახატულ ბარათაშვილის პორტრეტზე.

პორტრეტი მართლაც უცნაურად იყო შესრულებული. იგი კაფეში შესავალი კარის პირდაპირ, თაღიან სვეტზე ეკიდა.

მხატვრობის მცოდნენი ეხებოდნენ მხატვრის მანერას, პორტრეტის მოხაზულობას, ფერადების შეხამებას საერთო კომპოზიციასთან. ზოგი ხელაღებით იწუნებდა მას, ზოგიერთები-კი თავგამოდებით ექომაგებოდნენ მხატვრის ნიჭს.

უვიცები არ ერეოდნენ მსჯელობაში, კამათის მსვლელობის მიხედვით მარტო იერით გამოთქვამდნენ თავიანთ აზრს.

ასეთივე პათოსით ლაპარაკობდნენ მიწისძვრისაგან დანგრეულ გორის აღდგენაზე. ნავთიან ცისტერნების დაკარგვაზე და კიდევ სხვა ბევრ საკირბოროტო რამეზე. აგუნდავებდნენ საოჯახო და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ჭორებს. ამგვარად იქმნებოდა საზოგადოებრივი აზრი ამა თუ იმ მოვლენის შესახებ.

თეატრების, კლუბების და რესტორანების წინ, ქუჩებში სირბილით დაღლილი ბიჭები შემთხვევით გზას აცდენილნი, მზეჩასული ქალები და სხვა ხელობის არმქონენი, რიგრიგად გაჰყვიროდნენ სახვალიო გაზეთების სახელებს. ნაირ კილოზე შუაღამემდე ისმოდა:

— ერთობა. ერთობაა. ერთობა�ა.

— ბარბა. ბარბაა.

— აშხატავორ. აშხატავოორ.

— სახალხო საქმეე. სახალხო საქმეეე.

— გრუ-ზია. გრუ-ზი-აა.

— საქართველო. საქართველო.

მაშინ თბილისში უთვალავი იყო რუსეთიდან გამოქცეული მომღერლები, მუსიკოსები, ბალერინები, მწერლები, მხატვრები და მსახიობები, რის გამო თეატრები, კლუბები, საკონცერტო დარბაზები და ის რესტორანები, სადაც კაბარეებს აწყობდნენ, შეძლებულ მოქალაქეებს ვეღარ იტევდნენ.

კონცერტებით. წარმოდგენებით და რესტორანებში ვახშმობით ნასიამოვნები სპეკულანტები სახლში დაბრუნებისას ყიდულობდნენ თავიანთი გუნების შესაფერ გაზეთებს და დაწოლის წინ სიამოვნებით კითხულობდნენ ბოლშევიკებზე გინებას.

ხალხი-კი კვლავ ქედწახრილი იყო, ტყავიდან ძვრებოდა.

მუშებს სოფელში მიჰქონდათ, რასაც ხელი მოეკიდებოდა და ერთ ფუთ ხორბალზე ან სიმინდზე ცვლიდნენ.

ხორბალი და ღვინო ისევ ბობოლების და მემამულეების ხელში იყო.

რევოლუციას არაფერი დაუკლია მათთვის.

ღარიბებისათვის ერთი მტკაველი მიწაც არავის მიუცია.

ტყუილი გამოდგა ყაფლანის შიში.

მისი მყუდრო ცხოვრება ოდნავადაც არ შერყეულა.

გაქცეული მოჯამაგირეები ისევ დაუბრუნდნენ.

ზოგი მათგანი შეიწყნარა მან, ზოგს სოფელში გავლაც აღუკვეცა.

მირზა სადღაც გადაიკარგა.

არავინ არაფერი იცოდა იმის შესახებ.

თეო უკვე გრძნობდა, რომ მირზა მისი ცალი არ იყო. არც თეო იყო მირზასათვის დაბადებული, მაგრამ მაინც წუხდა, ნანობდა ასე დაშორებას.

მირზასთან მთელი თავისი ბავშვობა აკავშირებდა თეოს.

თან მირზაში რაღაც-ისეთი იყო, რაც სხვას აკლდა, რითაც ბევრისაგან განირჩეოდა.

თეო ხშირად გაიხსენებდა მთაში მირზასთან უჩვეულო

შეხვედრას და მის ყოცნას, ყოცონად ქცეულს, რომლის მოგონებაზე მთელი ტანი დაეწვოდა.

რატომ ასე ჩარჩა გულში ეს კოცნა თეოს?

განა მირზასათვის პირველად უკოცნია? პირველად მოხვევია კისერზე?

არა, ეს კოცნა არ ჰგავდა არცერთ წინანდელ კოცნას, წინანდელ ალერსს.

„მიყვარს?"

„არა, არ მიყვარს... მაგრამ არც მძულს, რატომ უნდა მძულდეს!" — თვითონვე უკვირდა თეოს და უმწეობას გრძნობდა.

„ალბათ, მიყვარს, რომ ამდენს ვფიქრობ მასზე", — კვლავ დაიწყებდა ყოყმანს.

„მერე, მამა? ნათესავები? ხომ ჩამქოლავენ, ხომ სასაცილოდ ამიგდებს ყველა! სისულელეა! მირზა კარგი ყმაწვილია, მაგრამ მისი სიყვარული რა ჩემი საქმეა! რაც მოხდა — სიზმარი იყო," — დაძლევდა სიამაყე და თავის საყვარელ წიგნს „ვიქტორიას" გაშლიდა. „რა უცნაური ამბავია... უყვართ და ერთმანეთს გაურბიან. შეიძლება ბედნიერები გახდნენ და ორივე კი იტანჯება!" — უკვირდა თეოს.

„ეს ფანტაზიაა მხოლოდ, ცხოვრებაში ასე არ ხდება!

„თუ ასე არაა, რატომ თაკილობ მირზას! ხომ გიყვარს, აბა კარგად ჩაიხედე გულში?

„ჰმ, ჩემი მდგომარეობა სრულებით არ ჰგავს ვიქტორიასას. მე არ მიყვარს ისე ძლიერ მირზა, არც მას ვუყვარვარ. რომ ვყვარებოდი, ერთხელ მაინც მნახავდა. ამდენხანს ან მაცნობებდა რამეს!

„ვინ იცის, შეიძლება, ცოცხალიც არაა!" — ეს აზრი გულს ატკენდა.

ასე გაოგნებული გამოვიდა ერთ საღამოს თეო ქუჩაში.

ცა ვარსკვლავებიანი იყო, ახალი მთვარე ნამგალივით ეკიდა.

ვიღაც ვაცი შეამჩნია გამოსვლისას, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია.

მალე იგრძნო, რომ ის ვიღაცა უკან კვალდაკვალ მიჰყვებოდა და ფეხს აუჩქარა.

უცნობის ლანდი ხან წინ გაუსწრებდა, ხან დაპატარავდებოდა, ხანაც მის ლანდს ეკვროდა.

თეო მირზაზე ფიქრობდა.

უცებ უკან მოიხედა, შიშმა შეიპყრო — უცნობი ერთი ნაბიჯით თუ იქნებოდა მასზე დაშორებული.

ძალა მოიკრიფა და ამაყად ჰკითხა:

— რას მომდევთ! ვინ ხართ!

— თეო!..

საკუთარი სახელის გაგონებამ თეო მოალბო, თან გააოცა.

მის წინ იდგა ევროპულ წესზე სუფთად ჩაცმული, შავწვერიანი ახალგაზრდა კაცი.

— უკაცრავად, ვერ გიცანით.

— მირზა ვარ, — ყურთან ჩაულაპარაკა უცნობმა და ხელი გაუწოდა.

— მი...

— ჩუმად.

შეაწყვეტინა სიტყვა მირზამ და შემდეგ დაბალი ხმით უთხრა:

— გცალია?

თეო უყოყმანოდ გაჰყვა.

უსიტყვოდ გაიარეს მიხვეულ-მოხვეული ქუჩები ფიქრის გორამდე.

მოფარებულ ალაგას ჩამოსხდნენ.

გრილი ნიავი ჰქროდა.

კარგა ხანს ისხდნენ უბრალდ.

— მირზა, სად იყავ აქამდე! ან რას ნიშნავს ასეთი ფერისცვალება?

— საად?.. ბაქოში, — წყნარად უპასუხა მან და მიდამოს თვალი მოავლო. მათ მოშორებით აქა-იქ ქალ-ვაჟის რამდენიმე წყვილი იჯდა. ყველა ჩაფლულიყო საკუთარ გრძნობებში.

ქვევით, ხევს გაღმა, ვერის ბაღში, არღანი უკრავდა.

თუმცა ბევრი რამე არ უთქვამს თავისი გადახვეწის შესახებ მირზას, თეო მაინც საფუძვლიანად დარწმუნდა, რომ ის უკმაყოფილო იყო არსებული მდგომარეობით და მენშევიკებს მტრად თვლიდა.

მირზა გატაცებით ლაპარაკობდა საქართველოში ახალ

რევოლუციაზე, ახალ ბრძოლებზე და ბოლშევიკების შესახებ.

— ბოლშევიკი ხარ?

რაღაც მორიდებით და შიშით ჰკითხა თეომ.

ბოლშევიკი ვარ.

იყო გადაჭრილი პასუხი.

ქალმა ახლა მეტი უფსკრული იგრძნო თავის თავსა და მირზას შორის. მაგრამ უფსკრული გულებს ამოეესოთ და უფრო მოწყურდა მასთან ყოფნა.

თეომ აგრეთვე გაიგო, რომ მირზა ბაქოს ბოლშევიკური კომიტეტისაგან იყო გამოგზავნილი სხვადასხვა დავალებებით. სახელდობრ რა უნდა გაეკეთებია, ეს კი არ უთქვამს მირზას.

ცოტა სიჩუმის შემდეგ ვაჟმა გულგრილად წარმოთქვა:

— ხომ ხედავ, როგორი საშიში კაცი ვყოფილვარ. შეგიძლია გაახარო რამიშვილი.

— რას ამბობ, ეს რა თქვი, ეს როგორ იფიქრე, ჯაშუში გგონივარ თუ?

გამწარებული ხმით შესძახა თეომ და თვალებში ცრემლები აუკამკამდა.

მირზამ მოსანანიებლად ხელი დაუჭირა და დაუყვავა:

— მაპატიე, მაპატიე, არ მეგონა თუ ასე გეწყინებოდა, ვიხუმრე. — თეოს ქვითინი აუვარდა.

რატომ ასე გულამომჯდარი ატირდა, მართლა ეწყინა მირზას სიტყვები თუ კიდევ სხვა რამე აწუხებდა, უფრო დიდი, უფრო მტკივანი?

მირზამ აცახცახებული თეო გულზე მიიკრა და კვლავ ისე შეერთდნენ მათი ბაგენი, როგორც რამდენიმე წლის წინათ მთაში, სალამურის დაკვრის დროს.

## XIV

მირზა დაძაბუნებული იწვა ტახტზე.

ფიქრები კოლოებივით ეხვეოდნენ, მაგრამ მათი მოგერიების უნარი აღარ ჰქონდა.

გული ტკიოდა.

გულს მარწუხები უჭერდნენ და კუმშავდნენ.

ყურებში რაღაც განუწყვეტლივ წიოდა, საფეთქლები ჩა-

ქუჩებივით სცემდნენ აზრს, აზრი იმტვრეოდა და მირზა ვერაფერს ვერჩევდა.

ბურუსი იდგა.

სადღაც ერთი წერტილი მოჩანდა მხოლოდ.

საკმაო იყო მას შეხებოდა, ფიქრები დალაგდებოდნენ, ფაქტები გარკვეულ სახეს მიიღებდნენ. მაგრამ მირზას სწორედ ამის ეშინოდა და შფოთავდა.

ამიტომ არიდებდა თვალს წერტილს, რომელიც გუშინს აქეთ აწვალებდა მას და რომელიც ახლა თანდათან იზრდებოდა და ახლოვდებოდა.

მალე წერტილი ჩამოიქნა, ზერანის ადამიანს დაემსგავსა. აი, ისეთს, სოფელში რომ მოფურჩხულის განსაკურნავად აკეთებდნენ პურის ცომისაგან. ჭერე ამ ადამიანს შუქი მოეფინა და მის წინ თეო აღიმართა — წყნარი და გაღიმებული.

— თეო... თეო...

დაიგმინა მირზამ და თვალებზე ხელი მოისვა.

მოჩვენება გაქრა.

საკანის კუთხიდან, სადაც ტუსაღები კამათელს თამაშობდნენ, ისმოდა გინება და უწმაწური სიტყვები.

მეორე კუთხეში სახენახანჯლი ტუსაღი თავის ამბავს ჰყვებოდა, ტუსაღების ერთი ნაწილი მას ეხვია ირგვლივ.

რამდენიმე კაცი მირზასავით იწვა ტახტზე და გარეთ დარჩენილ ცხოვრებაზე ფიქრობდა.

ერთ ტუსაღს, რომელსაც შავი წვერი ფრთებგაშლილ ყორანს მიუგავდა და აბურძგვნილი თმა მხრებზე ფუჩეჩივით ეყარა, ოფლისაგან გაზინთული პერანგი გაეძრო და ხილავდა.

ხანგამოშვებით ბაყვებს იქექავდა, ბალნით დაფარული სახე უცნაურად ელრიჯებოდა, ტუჩებზე ლეზვი გადმოდიოდა.

ის არასოდეს ლაპარაკობდა, განკერძოებით იყო მუდამ.

არც სხვები ცდილობდნენ მასთან მუსაიფს — ყველა ერიდებოდა ველურად ქცეულს.

გუშინ, მირზა რომ მოიყვანეს, მხოლოდ მაშინ ამოიდგა ენა და ახლად მოსულს ღმუილით შეეკითხა:

— ცოლი მოკალი? დაახრჩვე?

მირზას სამაგიერო არ უთქვამს. ბალნიანი ისევ თავის ტახტზე დაჯდა.

მირზას არც სხვებისთვის გაუცია ხმა, თუმცა დამსწრეურები ცდილობდნენ გაეგოთ, რა დანაშაული მიუძღოდა მას. თანაც ყოველმხრივ სინჯავდნენ, უფრო კი მისი მკლავის ძალა აინტერესებდათ.

ტუსაღების უსტაბაშმა, მეტსახელად ტორამ, შემოსვლისთანავე მირზას ნიკაპში თითები ამოდვა და უკმეხად უთხრა:

— აბა, ერთი ვნახოთ, რა სიფათის პატრონი ხარ!

მირზამ საშინელი დამცირება იგრძნო, უცებ ისე მაგრად ჰკრა გულზე ხელი, რომ ტორა შურდულიდან გასროლილ ქვასავით მოხვდა კედელს.

გაოცებული ტუსაღები მაშინვე განზე გადგნენ იმის მოლოდინში, თუ რით დამთავრდებოდა ქიშპი ან რას იზამდა ტორა თავისი პატივის აღსადგენად.

მაგრამ ტორა ზლაზვნით მოშორდა კედელს. ჯიბეებში ხელებჩაწყობილი სარკმელს მიადგა, ხოლო მირზა თავისუფალ ტახტზე გაიშოტა და გაყუჩდა.

ტუსაღები გაიფანტნენ. მალე ჩვეულებრივი ცხოვრება დადგა. გულში ყველას უკვირდა მოსულის თავხედობა და ტორას მოულოდნელი მარცხი, თუმცა ისიც იცოდნენ, რომ ტორა ასე იოლად არავის შეარჩენდა თავის დამცირებას და უთუოდ სამაგიეროს გადაუხდიდა მეტოქეს.

ღამემ მშვიდად ჩაიარა.

მეორე დღესაც არაფერი მოჰყოლია.

მალე მირზა სხვა საკანში გადაიყვანეს — პოლიტიკურებთან.

აქ მეგობრულად შეხვდნენ მას. აღარ ნანობდა, რომ პირველად ნაძირალებთან მოათავსეს. ახალ საკანში მყოფთა მხნეობამ, ყურადღებამ, მზრუნველობამ წყვდიადიდან გამოიყვანა და ცხადს შეარიგა.

ბოლშევიკების მეტი საკანში არავინ იჯდა. მირზამ ბევრი მათგანი იცნო. ყველაფერი თქვა: საიდან ჩამოვიდა, როგორ დაიჭირეს, რა უნდა გაეკეთებია, მაგრამ თეოსთან შეხვედრის შესახებ არაფერი გაუმხელია.

ღამე კვლავ წვალობდა.

„ალბათ, გამცა. გამცა... თეომ...“

ძლიერ უმძიმდა ასე ფიქრი. გულზე უნასი კბენდა. ტვინს ეპვი უღრღნიდა და ფიტავდა.

„ალბათ!..“

ეს სიტყვა სადღაც ნუგეშს ინახავდა, თანვე მეტ ტკივილს აყენებდა მირზას. ერთდაიმავე დროს ორ სხვადასხვა განწყობილებას ქმნიდა მასში.

მირზასთვის უკეთესი იქნებოდა, გადაჭრით ცოდნოდა, თუ ვინ აჩვენა მისი კვალი კედიას.

მაშინ ასე არ იწუხებდა. ასე მძიმედ არ მოეჩვენებოდა ციხის ჰაერი.

„პარტია მენდო, პარტიის საქმეზე ჩამოვედი და მე კი თეო ვეძებე. რა მომივიდა, ეს რა ჩავიდინე!“ — ტუქსავდა თავს მირზა.

ამგვარად გაატარა რამდენიმე ხანი, მერე თანდათან შეეგუა იმ აზრს, რომ სულ ადვილი შესაძლებელი იყო, თეოს გაეცა.

„გავბრიყვდი, როგორ დავიჯერე მისი სიყვარული. თეო ჩემით ერთობოდა მხოლოდ, ისე, როგორც ბავშვობისას. ან ვით შეუძლია მას მე გამიყადროს თავი, როცა ძარღვებში ყაფლანის სისხლი აქვს, როცა ჩემზე უპირატესობას გრძნობს და მისი ნამოჯამაგირალის სახელს ვატარებ, როცა მისი მამისა და ყველა მისიანის მტერი ვარ!

„კიდევ კარგი, დავალების შესრულება მოვასწარი. ახლა ისევ ბაქოში ვიქნებოდი, რომ... რომ თეო არ მენახა“. — კვლავ ბრაზობდა მირზა და წყლულების დასაამებლად სხვაზე იწყებდა ფიქრს.

„ნეტავი როგორაა თანდილა?“

თანდილას ?ირზამ ახარა რევოლუცია.

მირზამ გაუღო იმ ციხის კარები, რომელშიაც ახლა თვითონ იყო ჩამწყვდეული.

ერთად იბრძოდნენ რევოლუციისათვის, მაგრამ ამავე რევოლუციამ ისინი დააშორა, გათიშა.

რატომ მოხდა ასე?

გულითადი მეგობრები ერთიმეორის მტრად რამ გადააქცია?

რა განსხვავებაა თეოსა და თანდილას შორის?

თანდილა ხომ თეოსავით არ მოიქცეოდა?
ვინ იცის!
იქნებ თანდილაც ბოლშევიკია?
ბორგავდა მირზა და გათენებას მოუთმენლად ელოდა.

* *

თეო წუხდა.

უკანასკნელად შეხვედრის შემდეგ მესამე დღეს უნდა ენახათ ერთმანეთი. ასე დათქვეს. მაგრამ აგერ თვე გადიოდა და მირზა არ ჩანდა.

თეომ უხალისოდ ჩააბარა გამოცდები. არც სიმწიფის მოწმობის მიღება გახარებია.

გამოსათხოვარ საღამოზე სასწავლებელში ძალით წაიყვანეს მეგობრებმა.

საღამოს მთავრობის თავმჯდომარეს მოადგილე და განათლების მინისტრი დაესწრო.

მინისტრმა თეოსა და სხვებს უსურვა კარგი დედობა, თამარისა და ქეთევანის მაგივრობა, და ადრე წავიდა.

მთელი საღამო მხიარულად ჩატარდა.

თეოსაც გაეხსნა გული.

გაიშალა.

ყველასაგან ირჩეოდა. ვაჟები ერთმანეთს ეცილებოდნენ მასთან მუსაიფში.

ცეკვა განგებ არ ისურვა.

თაყვანისმცემლები გვერდიდან არ შორდებოდნენ, რისთვისაც ტოლები ნაწყენი იყვნენ.

თავი დაგეშილი ქალივით ეჭირა. მეგობრებს უკვირდათ თეოში მომხდარი ცელილება, რაც თვითონ მას უჩვეულო სიამეს გვრიდა.

სურვილი ჰქონდა, ყველა კაცი თავის წინ დაჩოქილი ენახა. ბრწყინვალებით სავსე თვალებს ხან ერთ ვაჟს მიაპყრობდა, ხან მეორეს, იმ ვარაუდით, რომ მათში უფრო მეტი მორჩილების გრძნობა გამოეწვია.

თეო იმ საღამოს შემდეგ სხვად იქცა.

უნივერსიტეტი აღარ უძებნია.

ლექციებს გართობა არჩია.

თეატრებში და კლუბებში სიარულს მოუხშირა.

კაფე „დარბაზის“ კარებიც შეაღო, თან გაოცება და ახალი სურნელება მიიტანა.

პირველხანად ბუდიდან გადმოსხმულ ბარტყს ჰგავდა, რაც განსაკუთრებით იზიდავდა და მოსწონდა კაცებს.

ამაყობდნენ თეოს ნაცნობობით. იმ სუფრაზე, სადაც თეო იქნებოდა, ყვავილების ზვინები ჩნდებოდა. ყველა მზად იყო მისი სურვილი გამოეცნო, რომ სხვაზე ადრე შეესრულებია.

პოეტები უძღვნიდნენ ოდებს და მუნასიბებს. ადარებდნენ უცხო ყვავილს, მთვარეს. თვალებში ვარსკვლავებს უჯენდნენ, ნატრობდნენ მისი თმების სურნელს და მკლავებს.

მირზას ხსოვნა იფერფლებოდა.

თეოს გატაცება მირზათი და რევოლუციით უკვე ბავშვობის ამბავი იყო. ხანდახან თუ მოიგონებდა განვლილ ცხოვრებას წიგნში წაკითხულის მსგავსად.

ყაფლანიც გამოიცვალა. გამხნევდა.

თბილისში ხშირად იყო. თეოსთან ერთად დადიოდა ყველგან, სადაც გამოჩენა ეკადრებოდა. თეოთი თავი მოწონდა. როცა ნათესავები თუ ახლო ნაცნობები ქალიშვილის ქებას ეტყოდნენ ან შეენატრებოდნენ, კმაყოფილებას ვეღარ მალავდა.

მამიდა რუსუდანმა თეოს ღირსეული საქმროც გამოურჩია, მაგრამ ყაფლანმა შორს დაიჭირა.

— რა ეჩქარება. იაროს. ქვეყანა ნახოს. ოჯახს ყოველთვის მოესწრება. ბავშვია ჯერ — ეუბნებოდა ყაფლანი დას.

ყაფლანი არსებული წესწყობილების უმადურიც არ იყო, თუმცა ეხამუშებოდა, რომ მთავრობაში „უგვარონი“ ერიენ. აშკარად არაფერს ამბობდა, არც პოლიტიკა მიაჩნდა საქმედ.

თეო თანდათან ეუფლებოდა მაშინდელი საზოგადოების მაღალ წრეებს. ხშირად ვერ იცლიდა მოზღვავებული სურვილები მორჩილებაში მოეყვანა ან განესაჯა განცდილი და ნახული.

აფრებაშვებულ ნავს ჰგავდა, ქარისაგან გატაცებულს. ზღვის ბობოქარი ტალღების ამარა დარჩენილი სტიქიას ნებაზე მიჰყვებოდა.

ხანდახან, საწოლში ადრე გამოღვიძებული, დაფიქრდებოდა და თავის ცხოვრებაზე, მომავალზე, ბედზე.

ასეთ შემთხვევაში მირზა უთუოდ უნდა გახსენებოდა. სადღაც, გულის კუნჭულში მდუღარება ჩნდებოდა, მაგრამ ეს იყო წუთით.

მალე თეოს სიანჩხლე იპყრობდა:

„რა დამრჩენია იმ უთვისტომოსთან. არ კმარა, რაც თავი გავაქელვინე უსახლკაროს და მამაჩემის კარზე სამოწყალოდ აღზრდილს? როგორ აბუჩად ამიგდო! მე უსუსური, თვეობით ველოდებოდი მის ხილვას, მაგრამ ორი სიტყვაც არ მაღირსა.. ფუ, ამაზე მეტი დამცირება წარმოუდგენელია. მე და მირზა! ისიც ბოლშევიკი... სხვა რა უნდა ყოფილიყო — უჯიშო!“

ბრაზი და სინანული ერთმანეთში ილესებოდა. თეო სწრაფად დგებოდა ლოგინიდან, რომ დარდი გაექარვებია.

მირზა კი, საქართველოდან სხვებთან ერთად გადასახლების შემდეგ, კვლავ ბაქოში იყო და მუშაობას მეტი ხალისით განაგრძობდა.

## XV

სამხედრო მინისტრად „უსისხლო რევოლუციის“ მომხრე სოციალ-დემოკრატი დანიშნეს. პროფესიით ექიმი, კაცი მეტად თვინიერი და მშვიდობისმოყვარული.

ოფიცრები შეურაცხყოფილად გრძნობდნენ თავს.

ეს გასაკვირიც არ იყო. ყველა ამჩნევდა, რომ მთავრობა ჯარს ალმაცერად უცქერდა.

საიმედო ძალად მთავრობას გვარდია მიაჩნდა. მისთვის არაფერი შურდა. იმ გაჭირვებულ დროში გვარდიელებს მშვენივრად ეცვათ. სურსათი თავზესაყრელად ეშოვებოდათ, დიდი ჯამაგირებიც ეძლეოდათ.

ამიტომ გვარდიელები აჯანყებულ გლეხებთან ბრძოლაში მეტ ფხას იჩენდნენ, არც დროსტარების შნო აკლდათ.

სამაგიეროდ, ჯარი ნახევრად მშიერი იყო, ბრბოს ჰგავდა.

ჯარისკაცებს ხორცი უჩანდათ ჩვრებში.

აღლუმზე წაყვანის წინ აცმევდნენ მხოლოდ ხეირიან სამოსს, რასაც ყაზარმაში დაბრუნებისას ისევ ხდიდნენ და საწყობებში ინახავდნენ.

მეორე აღლუმისათვის ტანისამოსს სათვალაეში აკლდებოდა, რადგან ქურდობა სასირცხვოდ აღარ ითვლებოდა: თანამდებობის კაცებს უყვარდათ კარგად ცხოვრება.

ამავე კეთილად ცხოვრების სურვილს უნდა მიეწეროს ის გარემოებაც, რომ თანხები ხაზინიდან რამდენიმე ათეული ათასი ჯარისკაცის შესანახად გადიოდა, ხოლო, ნამდვილად, ჯარი მეტად მცირე რიცხვისაგან შედგებოდა.

კავალერიას არ თვლიდნენ საჭიროდ, ცხენებით მარტო გვარდიის შტაბის წევრები დადიოდნენ.

მიუხედავად ამისა, რესპუბლიკა მაინც არსებობდა.

მართალია, მენშევიკებს ერთ დროს „ავტონომია“ ჭირივით ძულდათ, ამ სიტყვის ხსენებისათვის ბევრი პატრიოტი ჩაუქოლავთ, მაგრამ ეს იყო წინათ.

ახლა საქართველოს სიყვარულში არავის უდებდნენ წილს. სოციალისტური იდეები თუ ძუშათა საკითხები იმდენად აინტერესებდათ, რამდენადაც ეს საჭიროებას წარმოადგენდა იმისათვის, რომ სხვა ლეგალური პარტიებისაგან განსხვავებულად ეგრძნოთ თავი.

ყველა ეს და კიდევ სხვა მრავალი შეცდომა ბოლოს წინ დაუხვდათ, მაგრამ გვიანღა იყო თითზე კბენანი.

როცა ორწოხებს მიადგნენ, თებერვალი ბერავდა.

მარჯვნივ, მოსახვევს იქით, ზღვა იყო, მარცხნივ — ბოლშევიკები.

გული ზღვისაკენ იწევდა და ვიდრე უცხო ცის კალთას შეაფარებდნენ თავს, გადაწყვიტეს, ბედი ეცადათ.

ბევრჯერ არ გაუზომავთ, თუმცა პარტიაში ნოქრები ავანგარდად ითვლებოდნენ, ისე შეუდგნენ საქმეს.

პირველყოვლისა, საპროტესტო მიტინგები მოაწყვეს.

მიტინგები მაინცდამაინც არ იყო მასობრივი, სამაგიეროდ ორატორების ქადილი შორს ისმოდა.

გვარდიამ ვერ გაამართლა იმედი. შეშინებულმა ბურჟუებმა დაიწყეს ჯარისათვის ტანისამოსისა და სანოვაგის უსვად შეგროვება, რათა ჯარისკაცებს ბოლშევიკები განედევნათ.

მაგრამ, რაც დრო გადიოდა, ბოლშევიკები უფრო მრავლდებოდნენ.

ვერც კვინიტაძემ უშველა მენშევიკურ რესპუბლიკას.

მთავრობა გაიქცა.

სხვადასხვა პარტიის ლიდერები, მდიდრები და ბოლშევიკების „ველურობით“ დამფრთხალი მოქალაქენიც გაიხიზნენ.

უკანასკნელი ღამე თბილისში მთვარიანი იყო. მშრალად თოვდა. შეშინებულ თეოს ენანებოდა თბილისი. უფრო თავისი თავი. როცა ლტოლვილებით სავსე ვაგონში შევიდა, მეორედ დაბადება იგრძნო, მაგრამ კვლავ მალე მოიცვა ჭმუნვამ.

დაქანცული იყო, ფიქრის ძალა აღარ ჰქონდა.

როგორც ვაგონებში, ისე სადგურებში საშინელი ხმაური იდგა. ბავშვები ცივი ხმით ჰკიოდნენ. გზააბნეული ქალი და კაცი ერთიმეორეს აჯირგვალებდა.

ეს იყო ლტოლვილთა უკანასკნელი მატარებელი, ამიტომ ყველა ცდილობდა, ვაგონში როგორმე თავი შეერგო.

მატარებელი ზანტად დაიძრა. თანდათან უკან რჩებოდა თბილისი.

ბორბლები რაღაც უცნაურად ხმაურობდნენ, რაც თეოს წინათ არასოდეს შეუმჩნევია.

მათ დგანდგარში თეომ ნაცნობი, ერთ დროს ახლობელი ადამიანის სახელი გაიგონა და შეკრთა.

ბორბლები თანდათან მკაფიოდ გამოთქვამდნენ:

„მირზა. მირზა“.

ცახცახმა აიტანა.

ბორბლები კვლავ მწყობრად ხმაურობდნენ:

„მირზა. მირზა. გაიმარჯვა მირზამ“.

ყურებში თითი დაიცვა და მამას გულზე მიეყრდნო.

ყაფლანი გაქვავებული იდგა, არც კი შენძრეულა.

თეომ იგრძნო, რომ მამიმისი უძლური იყო. ყაფლანს არ შეეძლო მირზასთვის თავხედობა შეენანებია.

„მე გავცემ პასუხს“, — გაიფიქრა შურით აღსავსემ.

„მირზა ძლიერია. მირზასთან მრავალია...“ იმეორებდნენ ბორბლები. თეო კვლავ მოდუნდა.

მატარებელს მცხეთაში დაათენდა. ყაფლანმა და თეომ დასაჯდომი ადგილი იშოვეს. უკვე შუადღე დადგა. მატარებელი არ იძვროდა — ლტოლვილებისათვის გზას არ ეცალა.

ჯერ საბარგო და მთავრობის საგანგებო მატარებლებს უშვებდნენ ერთიმეორეზე მიყოლებით.

საბარგო მატარებლის ვაგონებში ზვინებად ელაგა თეთრი ფქვილით სავსე ტომრები, ძვირფასი ნივთები, კონსერვები, შაქარი და ბევრი ისეთი რამ, რაც თბილისში უმრავლესობისათვის მიუწვდომელი იყო.

ყაფლანს ფანჯარაშიაც არ გადაუხედავს.

მარტო თეომ გაბედა რამდენჯერმე გარეთ გავლა.

მცხეთის მიდამო სავსე იყო გვარდიელებითა და ჯარისკაცებით, რომლებიც ყოველ მიმავალ მატარებელს ფუტკრებივით ესეოდნენ და პირიქითურები თან მიჰყვებოდნენ.

ზოგიერთები ქვეითად მიიჩქაროდნენ მახლობელი სოფლებისაკენ.

ტყუილი გამოდგა თბილისში დარხეული ხმები მცხეთამდე სტრატეგიული მოსაზრებით დახევის შესახებ.

ის, რაც თეომ ნახა, სრულებით არ გავდა ომისათვის ახალ სამზადისს.

ლტოლვილების მატარებელმა, როგორც იქნა, აიდგა ფეხი.

ყაფლანი და თეო რამდენიმე დღე დარჩნენ სოფელში.

სახლში არავინ დახვდათ. დამწყვდეული საქონელი შიმშილისა და წყურვილისაგან ძირს ეფინა. ძროხებს ჯიქნები გაქვავებოდათ. საცოდავად ბღაოდნენ. მწევარ-მეძებრები წკაოდნენ. შევარდენი გაფრენილიყო.

თეომ მარტო ის მოახერხა, რომ საქონელი გამოუშვა, ეზოს გადაღმა გადარეკა. ძაღლებსაც გაუღო სამწყდური. ცხენებს დიდი გაჭირვებით ბზე დაუყარა და წყალი დაალევინა.

ყაფლანი ხშირად აკითხავდა ხაშურს, მაგრამ ყოველთვის უხალისოდ ბრუნდებოდა. ერთ დღეს გიჟივით მოაგელვა ცხენი, სასწრაფოდ შეაგროვა ძვირფასი და აუცილებელი ნივთები, დაკეტა სახლი, მარანი, საჯალაბო სადგომები, საჯინიბოც და თეოსთან ერთად დატოვა ფუძე.

იმ ღამეს მთავრობა წიფის გვირაბში გავიდა.

## XVI

ზამთარი გათავდა.

ბარში უკვე სითბო იდგა, მთაზე თოვლი ლხვებოდა.

ამოხეთქილ ბალახს მიწა ზურმუხტად ექცია.

ბუჩქებთან იათა ჩითები ეფინა, ხეები იფოთლებოდნენ.

მზე ცხოველი იყო. საქმარშვილო გოგოებს რომ მზე არ მოკიდებოდათ, თითებზე წითელი ძაფი შეებათ, ვარდებიანი თავსაფრით სახე დაეფარათ, თანაც ყმაწვილებს მალულად უცქერდნენ.

ღია კარებიდან ქოხებში მზე უხვად შედიოდა. ზამთარში დამდგარ შმორს აშრობდა.

ეზოებში ჩვილი ხბოები და უნიფხო ბავშვები დარბოდნენ. იქვე, პატარა პალოებზე დაბმული კრუხების ირგვლივ, ოქროსფერი წიწილები წიოდნენ. ორღობეებში ჭრელგოქებიანი ღორები ღრუტუნებდნენ.

მოხუცებულნი მზის ყურეში ხარდნებს მახვავდნენ. ზოგი ვაზებს და ხეხილს სხლავდა. უფრო ჯანიანები ბოსტანს ბარავდნენ, ხოლო მუხლებამდე კაბააკვალთული ქალები კვლებს აკეთებდნენ.

ოჯახის ბურჯი მამაკაცები და ჯეელები ყანებში გუთნეულს ერეკებოდნენ, ბელტი ბელტზე წვებოდა. ხნულებს მზე აცხუნებდა, ნოყიერი მიწის ოხშივარი გუთნისდედას უნარს მატებდა.

აყვანილი სვრელები, დაუხნავი ადგილები და შარშან შემოდგომაზე ნათესი ჯეჯილები ერთმანეთში ერია. მთელი ვაკე თვალუწვდენ, ზღაპრულ ხალიჩას ჰგავდა.

მიწა ახლა გლეხების იყო, მუშაობას მეტი ბარაქა ჰქონდა.

ყველგან სიცოცხლე ჩქეფდა, ხალისი იფრქვეოდა.

მხოლოდ ყოფილ გვარდიელებს, სოფლის გუშინდელ მესვეურებს, ბოლშევიკების მოსვლით გუნებაწამხდართ, არ უხაროდათ მზე და გაზაფხული.

არც ყაფლანს განუცდია ჩვეული აღფრთოვანება, როცა ვაგონიდან გადმოვიდა და სოფელს გახედა.

ყაფლანი თითქო იმ სოფელში კი არ მიდიოდა, რომელიც ადრე მას ეკუთვნოდა, სადაც მისი შიში და რიდი ჰქონდათ, სადაც იშვა და დაკაცდა, მოხუცდა კიდეც, სადაც მშობლების აკლდამები ეგულვებოდა, სადაც ემარხა მისი სიყვარული და სიამის ტყუპი — თინათინი, არამედ, ეგონა უცხო მხარეში მოხვდა უნებურად და ძალდატანებით.

ყაფლანი ახლა უფრო ვიგინდარასავით გრძნობდა თავს, ვიდრე მაშინ, როცა ოცი წლის ჭაბუკი რუსეთში პირველად ჩავიდა.

თეოც ფრთებდაცვენილი იყო.

სხვა დროს გული წინ უსწრებდა, ახარებდა სადგურის წინ ჩამწკრივებულ ალვის ხეთა შრიალი. უყვარდა, როცა ლიხიდან დაქროლილი ბორიო კულულებს დაუშლიდა და ალმურმოდებულ უბეს გაუგრილებდა.

მაგრამ ამჟამად მისთვის იქაურობას დაკარგული ჰქონდა მიმზიდველობა.

მამა-შვილს არავინ შეგებებია, არც ვინმე მისალმებია მათ მოწიწებით.

თვითონაც თვალს არიდებდნენ ყველას.

მატარებლის წასვლისთანავე თავდახრილი დაადგნენ ქვიშხეთის გზას.

ერთადერთი ჩემოდანი, რომელიც ბათუმიდან ჩამოჰყვათ, ყაფლანს ეჭირა ხელში. რამდენადაც გზა მოკლდებოდა, ჩემოდანს თანდათან სიმძიმე ემატებოდა.

უხმოდ შევიდნენ სოფელში.

წინ შემხვდურები უბრად უვლიდნენ გვერდს.

ეზოებში გამრჯე ქალი და კაცი თვალებს ხელებით იჩრდილავდნენ, რომ უფრო იოლად ეცნოთ მგზავრები, შემდეგ ერთმანეთს გაკვირვებულნი რაღაცას ეუბნებოდნენ და კვლავ საქმეს უბრუნდებოდნენ.

მიმავალთა დანახვაზე მარტო ძაღლები გამორბოდნენ ყეფით. ძაღლებს ბავშვები მოდევდნენ, და ღობეებზე შემდგარნი, გაოცებულნი უცქეროდნენ მგზავრებს.

ნაბატონარნი ისე იყვნენ გამოცვლილნი, რომ ბევრს უჭირდა მათი ცნობა.

აღმართზე ყაფლანმა ჩემოდანი მხარზე შეიდგა. თეოს არ გაკვირვებია მამის ქცევა, მხოლოდ მწარე ღიმილმა შეურხია ტუჩის კიდურები.

თითქმის სირბილით მიყვებოდა ფეხაჩქარებულ მამას, რომელსაც ღაწვებზე აცურებული ოფლი ცვარ-ცვარად ეცემოდა მოშვებულ და უკვე სულ გათეთრებულ წვერზე.

ყაფლანმა სწრაფად გაიარა ჭიშკრიდან სახლამდე ბალა-

ხით დაფარული გზა. ჩემოდანი მხრიდან ჩამოიღო და აივან-ზე პირველი ავიდა, მაგრამ კლიტისათვის ჯიბეში ჩაყოფილი ხელი გაუშეშდა, ოფლი შეაშრა, თვალებიდან გამქვირვალე რგოლები გამოუცვინდა.

კიბის უკანასკნელ საფეხურზე შემდგარ თეოს მამის უმო-ძრაობა ეოცა. ვიდრე ნაბიჯს მოინაცვლებდა, ყაფლანი და-ბარბაცდა, ჩემოდანი ხელიდან დაუვარდა და კარებს შუბლით მიეყრდნო.

შიშით სახეჩათეთქვილმა თეომ მაშინვე მამასთან მიირ-ბინა.

ყაფლანმა მძიმედ აიღო თავი.

თვალები სავსე ჰქონდა ცრემლებით. თეოს გული ეტკინა. უცებ კარებზე ლუქი დაინახა, მიხვდა მამის ცრემლების მი-ზეზს და თვითონაც ატირდა.

ყაფლანი გამოერკვა. აცახცახებული შვილი გულზე მი-იკრა.

დიდხანს იყვნენ ასე.

ყაფლანი კარებს უცქეროდა. კარებს შიგნით გატარებუ-ლი ცხოვრების სურათები ერთიმეორეს ცვლიდნენ.

თითქოს ფიტულად იქცა, ძარღვებში სისხლი დაეშრიტა, გულისცემა შეუჩერდა.

— წავიდეთ, შვილო! — დაეეჭილი ხმით წარმოთქვა ბო-ლოს ყაფლანმა. ჩემოდანი აიღო, შემდეგ თეოს ცალი ხელი მოხვია და კიბისკენ წაიყვანა.

კიბეზე ჩამავალმა ყაფლანმა ზვარში ვიღაცეები დაინახა.

მემარნე მიტო და ნამოჯამაგირალი გაბო ვენახს სხლავ-დნენ.

ყაფლანმა იგრძნო უცხო იყო მათთვის. კიბე შეერყა ფეხ-ქვეშ, მაგრამ თავი შეიმაგრა. ძირს ჩამოსვლისთანავე ძელქვის ქვეშ ქვის მერხზე ჩამოჯდა, თეო გვერდით მოისვა და გაი-ნაბა.

ერთ დროს ამდენი ქონების პატრონს, ახლა ხის ქვეშ უნ-და შეეფარებია თავი...

„სად წავიდეთ“? — ფიქრობდა ყაფლანი, ყველა გზა დახ-შული ჩანდა.

მალე ფიქრის უნარი სრულებით დაკარგა და სივრცეში უაზროდ დაიწყო ცქერა.

უკვე მზე გადაიხარა. ცივმა ქარმა დაჰბერა.

მუშაობიდან დაბრუნებული გლეხები ეშურებოდნენ თავიანთი სახლებისაკენ. ყაფლანმა თავის სიცოცხლეში პირველად ინატრა მათი ბედი.

საძოვრებიდან ძროხები ზოზინით ბრუნდებოდნენ. რძით დადგინებული ცურები გიდელებივით ეკიდათ. ეზოებში პალოებზე დაბმული ხბოები გრძნობდნენ მათ მოახლოებას და ხმაგაბმით ბღაოდნენ.

ქათმები იბუდრებოდნენ. ხეებზე შეფრენის დროს შორს ისმოდა მათი ფრთათა ფათქუნი.

მეოჯახე ქალები ვახშმის მზადებაში იყვნენ გართულნი, აკვნებში ჩაკრული ძილმორეული ძუძუმწოვარა ბავშვები კივილით იქაურობას იკლებდნენ.

ვილაცა მინდორში დარჩენილს ეძახოდა, ძახილს მთები იმეორებდნენ.

მარტო ყაფლანისეულ გარემოში იყო სიჩუმე.

ნაბატონარი კვლავ უძრავად იჯდა. დაღლილი და დაქანცული თეო იქვე მერხზე დაწოლილიყო, ჩემოდანზე თავმიდებულს მოუსვენრად ეძინა.

ყაფლანი მხოლოდ მაშინ შეირხა, როცა მთვარის სხივები ძელქვის ტოტებს სირმებივით დაეკიდნენ და ეზოში უცნობის ლანდი გაწვა.

უცნობი ჯერ აივანზე აფოფხდი, მერე ძირს ჩამოვიდა, საჯალაბო სახლების ფანჯრებში შეიჭვრიტა და გამობრუნებულმა მთვარეს გაუცინა.

ყაფლანმა მთვარის შუქზე ქალი დაინახა, თმაგაჩეჩილი და ძონძებიანი.

ქალი დიდხანს უცქეროდა ვარსკვლავებით მოჭედილ ცას, მთვარეს. ბოლოს ძელქვას გახედა, ერთი ხმამაღლა შეიოცა და წელში მოხრილი ფეხაკრეფით გაეშურა ყაფლანისაკენ.

ყაფლანი შიშმა აიტანა, სუნთქვა შეეკრა.

ბიახლოვებისთანავე ქალმა ჰკითხა.

— ბატონის სტუმარი ხარ, ხოო! ბატონი სხვაგან ბრძანდება. მეც იმას ველი. ვინაა მანდ რომ წევს? ავადმყოფია?

ძინავს? ჩუ! იძინოს, ძილი წამალია. მე კი არ მეძინება...

ქალი იქვე დაჯდა მინდორზე და დაბალი, ჩახლეჩილი ხმით განაგრძო:

— იძინოს, იძინოს. ძილი კარგია... ნეტავი მეც დამაძინა, სიზმარში გიორგას ვნახავდი, რამდენი ხანია ჩემი ვაჟკაცი შვილი გულში არ ჩამიკრავს... ხომ არ შეხვედრიხარ სადმე გიორგას? არა? იჰ, ვერ ყოფილხარ კარგი სტუმარი... ბატონი ჩამოვა და ის მომიტანს ჩემი გიორგას ამბავს... არ იცი? მის საძებრათაა წასული. ყაფლანი და გიორგა ძმები არიან. მაშ! კარგი ბატონია ყაფლანი. სხვები კი აძაგებენ, მარა...

გიჟი შეჩერდა. ყაფლანთან უფრო ახლო მიჩოჩდა.

— ეგ ავადმყოფი შენი შვილია?.. მეც მყავს შვილი... გიორგა ჰქვია... შორსაა წასული... შორს... დიდი ხანია წავიდა... უი, იქნება კიდეც დაბრუნდა... უნდა გავიქცე.., ეშივება ჩემს ბიჭს! შენ წამოდი, არ გინდა? შენს შვილს არ შიან? მშვიდობით ბრძანდებოდე. ბატონს უთხარი, გიორგას დედა იყო, თებრო-თქო. არ დაგავიწყდება? გიორგას დავაძინებ და ისევ მოვალ. სულ მალე დავბრუნდები.

თებრო წამოდგა და ძუნძულით გაიქცა.

ყაფლანმა სიცივე იგრძნო, მოიკაკვა.

ტყიდან ბუს კივილი მოისმა.

მთვარე ძელქვას გასწორებოდა, მისი შუქი ახლა ტოტებში რძესავით ჩადიოდა.

## XVII

ბოლშევიკები დღე-ღამე მუშაობდნენ.

აახლებდნენ გაქცეული მთავრობის მიერ დანგრეულ ხიდებს, გაფუჭებულ გზებს.

გლეხებს აძლევდნენ მემამულეთა მიწებს. მუშებს ასახლებდნენ მდიდრების ბინებში.

ქალაქი აივსო ვარსკვლავებით.

გამრავლდნენ ვაჟურად თმაშეკრეჭილი ქალებიც, რომელნიც, კაცებთან თანასწორობის საბუთით, პაპიროსს თამამად ეწეოდნენ ქუჩაში.

დიდსა და პატარას. ყველას გამოცვლილი ჰქონდა იერი. ყველა ცდილობდა ეშრომა და უბრალოდ ეცხოვრა. ზოგს

გულწრფელად სურდა ახალი სახელმწიფოს ღირსეული მოქალაქე ყოფილიყო, ზოგი ძველი ცოდვების დაფარვის მიზნით თვალთმაქცობდა და განგებ ეწერებოდა შრომის ბირჟაში, შემდეგ მიდიოდა „ქიმერიონში", სადაც უმუშევრებს უფასოდ ეძლეოდათ სადილი.

„ქიმერიონი" საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ერთი წლით ადრე გაიხსნა ახლანდელი რუსთაველის თეატრის ქვეშ, ვრცელ სარდაფში. მისი კედლები და კამარები საუცხოოდ იყო მოხატული გუდიაშვილის, კაკაბაძის და სუდეიკინის მიერ. ამ ბრწყინვალე და მდიდრულად მორთულ რესტორანს, რატომღაც, მწერალთა კაფეს ეძახდნენ. სინამდვილეში „ქიმერიონი" წარმოადგენდა უცხოელების, დიდი სპეკულიანტების, ცნობილ მაკლერების, ოფიცრებ ს და რუსეთიდან გადმოხვეწილი არისტოკრატი ქალების გასართობ ადგილს.

მწერლები კი მეტწილად კაფე „დარბაზის" სტუმრები იყვნენ. აქ ერთ ჭიქა ჩაიზედაც შეიძლებოდა მთელი საღამოს გატარება.

თანამდებობის პირები და სპეკულანტები, როგორც მეცენატები, ზოგჯერ „დარბაზშიაც" შეიელიდნენ და მწერლებთან დიდ ხელგაშლილობას იჩენდნენ.

ასე იყო წინათ, მაგრამ ახლა სულ სხვა ქარი ქროდა.

პროსპექტზე ნაირი ხალხი ირეოდა, მზის სინათლეზე ძველი ნაცნობები ერთმანეთს თვალს არიდებდნენ. საღამოობით კი, სადმე, მყუდრო ადგილას, ჩუმად ლაპარაკობდნენ გულის „მოსაოხებელ ამბებს".

ლაპარაკობდნენ ჭორებს, წინასწარმეტყველებდნენ ბოლშევიკების მალე დამხობას და ამხნევებდნენ ერთმანეთს.

ერთ საღამოს ყაფლანი შინ წელგამართული დაბრუნდა.

ყაფლანი, თეოსთან ერთად, თავის დასთან ცხოვრობდა. მისელისთანავე დამბლით დავარდნილ ავთანდილს გადაქარბებით მოუყვა ქუჩაში გაგონილი, მაგრამ ავთანდილის ბოლშევიკმა შვილმა, ირაკლიმ, ლაპარაკში ჩარევით გაუფუჭა ხასიათი.

— არა, რომ გაგიგდიათ ენა და თვითონაც არ იცით რას ბოდავთ, როგორ გგონიათ, ეს დრო თქვენ კი შეგრჩებათ!?

მალე ვნახავ, სხვა ჰანგზე დაიწყოთ მღერა, მალე, — გაცხარდა ყაფლანი. — ბოლშევიკებს „სიბრძნე-სიცრუის“ წიგნი რომ გქონდეთ წაკითხული, მაშინ დარწმუნდებოდით, რომ ასე ქვეყანა არ აშენდება, — განაგრძობდა ის.

— ავაშენებთ, ძია, ავაშენებთ, მაგრამ არა თქვენთვის, არამედ მშრომელი ხალხისათვის, — ღიმილით უთხრა ირაკლიმ წამოჭარხალებულ ყაფლანს.

— აშენებულს ანგრევთ და თქვენ ახალ ქვეყანას ააგებთ!? მეტი არაა ჩემი მტერი. როცა ააშენოთ, მაშინ დაიკვეხეთ, მაშინ, საქმე ის კი არაა, მე წამართვა და შენ იცხოვრო კარგად. ეს ბოლოს ერთსადაიმავე შედეგს გამოიღებს — გუშინ მე ვიყავი კარგ მდგომარეობაში, ახლა შენ ხარ. გუშინდელი მშიერი გაძღა, მაძღარი დაიმშა. შიმშილი და სიღარიბე კი ისევ დარჩა. ასე რომ, ხვალ მე გავხდები იძულებული ვიბრძოლო პურისათვის. რატომ მაიძულებთ ვიბრძოლო, რატომ! იმდენი მაინც დამიტოვეთ, რომ ლუკმა არ მიჭირდეს.

— თუ გულწრფელად დადგები ჩვენს მხარეზე, თუ მარჯვენას მოიხმარ, მაშინ არავინ გერჩის. პურსაც მოგცემენ და თავშესაფარსაც. მაგრამ მშრომელი ხალხის ნდობა რომ მოიხვეჭო, უწინარეს ყოვლისა, სულით უნდა იყო სპეტაკი, უანგაროთ უნდა ემსახურო რევოლუციას.

— ბიჭოს! თქვენ რა იცით, რა სული აქვს იმ მეეზოვეს, გუშინ მესამე სართულში რომ წამოჭიმეთ, ა? გულთამხილავები ხართ თუ! თქვენ სულს კი არა, სუნს ეძებთ, ნამდვილ ასეა, თორემ რა დროს ჩემი გადასხვაფერებაა: ზღვის გოჭი ხომ არა ვარ, ცდებისათვის გამოვდგე. სავალალო კიდევ უფრო ისაა, რომ თქვენ ბოლო მოუღეთ საქართველოს დამოუკიდებლობასაც.

— სუნთან ერთად სული ჰქონდათ იმ გლეხებს, რომლებიც შენთვის დღე-ღამეს ასწორებდნენ, მაგრამ ერთხელაც არ მოგსვლია აზრად მათი მდგომარეობა შეგემსუბუქებია. მონადირე ძაღლებს უფრო კარგად ეპყრობოდი, ვიდრე მათ. ჰო და, ახლა ნუ გიკვირს სამაგიერო. ეს შურისძიება კი არაა, არამედ ადამიანური უფლებებისათვის ბრძოლა — არც მეტი, არც ნაკლები. გაისარჯე და იმავე პირობებში ჩაგაყენებენ, როგორც სხვა მშრომელს. იბრძოლე არა მარტო შენთვის და

შენისთანებისათვის, არამედ ხალხისათვის. საერთო კეთილ-
დღეობისათვის და გულზე არავინ გკრავს ხელს. ოფლის სუნი
ხუ გეზარება. რაც შეეხება საქართველოს, რატომ ახლა იტ-
კივებ თავს მისთვის, ან რომელ დამოუკიდებელ საქართვე-
ლოზე მელაპარაკები! საქართველოს დამოუკიდებლობა მენ-
შევიზმს არ ნიშნავს და არც თქვენს ბატონობას. ქართველი
მშრომელი ხალხი უფრო კარგად მოუვლის მას, ვიდრე უვლი-
დნენ.

ირაკლის კილოს სიმკაცრე დაჰკრავდა, მის სიტყვას მოკ-
რძალება აღარ ეტყობოდა.

ყაფლანი გაფითრებული წამოდგა:

— როდის იყო ურუს სცემდი შენ, როდის იყო თოხი გე-
კავა ხელში! რა უფლებით მსჯელობ ასე, თუ მარტო ბოლშე-
ვიკობა კმარა საერთო საქმისათვის, ვაუბატონო... სად გაქვს
დღეს საქართველო, სახელმწიფო, აფსუს, მართლა აღარ ღირს
ცხოვრება, შენისთანა ლაწირაკები რომ დაეპატრონენ ქვეყა-
ნას!

— რათქმა უნდა, თქვენი საქართველო მოკვდა. მოკვდა ის
საქართველო, ის დრო, როცა გასართობათ შენ შეგეძლო მოზ-
ვრისა და ადამიანისათვის თავები ხმლით დაგეყრევინებინა.

ყაფლანმა ქუდს ხელი დაავლო.

კარებისაკენ გაშურებულს წინ რუსუდანი გადაეღობა, მაგ-
რამ დას ხელი ჰკრა და კარი მრისხანედ გამოაღო.

შეწუხებულმა რუსუდანმა შვილს უზრდელობად ჩამოარ-
თვა ყაფლანთან დავა და დატუქსა.

ირაკლი თავის ოთახში გავიდა.

ავთანდილს ამ ამბის შემდეგ უფრო დაება ენა, მარტო
ცრემლების გადმოყრა შეძლო.

წუხდა, რომ ერთადერთი ძე ჰყავდა და ისიც „უკულმართი"
გამოუვა.

სხვაგან მყოფმა თეომ დაბრუნებისას გაიგო მამისა და
ირაკლის შორის მომხდარი უსიამოვნება, გაშრა, დაკნინდა.

ყაფლანი სამი დღე აღარ გამოჩენილა.

მესამე დღეს მოვიდა, შინდამხდურთა მიუსალმებლად თეოს
უთხრა:

— მოემზადე, შვილო, წავიდეთ, სამადლო არაფერი მინდა.

— რა მოგვიდა, კაცო, რაღაცას ბავშვი წამოაყრანტალებს! იმას როგორ გავივლებ გულში! ხომ არ გაგიჟებულხარ?! — შეუტია რუსუდანმა.

ყაფლანს ხმა არ ამოუღია.

ამ სამ დღეში უფრო დაბერებულიყო.

რუსუდანს გული დაეშეშკა და დაუყვავა:

— თუ ძმა ხარ, დამშვიდდი. აპატიე იმ სულელს თავხედობა. სადაცაა ირაკლიც მოვა, ბოდიშს მოიხდის. ისიც შეწუხებულია, ღმერთმანი. არ გამოგიცდია ახალგაზრდობა? რა ვუყოთ მერე!

თეო აბუზული იდგა.

— არ გესმის! წავიდეთ-მეთქი. ღამის გასათევს ვიშოვით სადმე.

თეომ იგრძნო, ყაფლანი ნათქვამზე არ გადავიდოდა და ცრემლის ყლაპვით დაიწყო ჩემოდანში თავისი ტანისამოსის ჩალაგება.

— უი, ჩემს მოსწრებას, ეს რა მეხის ტეხაა, სად მიხვალ ადამიანო, თქვი მაინც. ეს მოწიფული ქალი ქუჩა-ქუჩა ხომ არ გინდა ატარო!

— დამეხსენი, თუ ღმერთი გწამს. აქ ყოფნას მირჩევნია თავზე მაწვიმდეს.

რუსუდანი მოთქმითა და მუხლებზე ხელების ცემით დაჯდა.

შვილივით უყვარდა თეო, გულს სწვავდა მისი მოშორება.

თეო ქვითინით გადაეხვია კიდევ უფრო ხმამაღლა მოტირალ დედის მაგიერს.

ყაფლანმა ჩემოდანი აიღო და კარებში ათრეული ნაბიჯით გავიდა.

რუსუდანმა, როგორც იყო, სისუსტეს დაძლია, თეოს დამშვიდება დაუწყო, თან გაამხნევა და დაარიგა.

თეომ უმწეოდ მწოლარე ავთანდილს აკოცა და ცრემლების წმენდით მამას გაჰყვა.

გარეთ შემოდგომის წვიმა ცრიდა.

## XVIII

ყაფლანი და თეო ავლაბრის ბაზრის ახლო, სარდაფში დაბინავდნენ.

შიგ ჩასვლა მხოლოდ ქუჩიდან შეიძლებოდა.

ამავე მხარეს დატანებული ჰქონდა ორი პატარა სარკმელი.

სარკმლები მაღლა, ჭერთან იყო. სქელ, გამტვერულ მინებიდან სინათლე ძლივს ატანდა.

გარედან, სარკმლების გასწვრივ, ქვაფენილი ეგო. რომ ვინმეს მინები არ გაეტეხა, საფრად ჩარჩოებისათვის რკინის ხლართები გაეკეთებიათ, რაც კიდევ უფრო აბნელებდა სარდაფს.

მაშინაც კი, როცა მოკრიალებულ ცაზე მზე ღადღადებდა, სარდაფში რაიმეს დანახვა ძნელდებოდა.

ამ ჯურღმულის მარცხენა და უკანა კედელი მუდამ სველი იყო, რის გამო ნესტი იდგა და სუნთქვა ჭირდა.

ძირს აგურის იატაკი ეგო. ალაგ-ალაგ აგური აკლდა.

ქუჩის მხარეს ორი ძველი ტახტი იდგა. ტახტების წინ ნაპირებდაგლეჯილი ჭილოფები ეფინა. ფეხებმორყეულ მაგიდის პირდაპირ კედელზე დაკიდებული თეთრი თუნუქის ლამპა დღედაღამ ენთო.

კუთხეში მაყალაზე გვერდებშეჭყლეტილი ჩაიდანი ჩუხჩუხებდა. როცა კარტოფილი არ ეშოვებოდათ, სახარინიანი ჩაით იკლავდნენ შიმშილს.

მაყალისა თუ ნესტისაგან თეოს ყოველთვის თავი ტკიოდა.

ყაფლანი ალიონზე მიდიოდა სადღაც. საღამოს გვიან ბრუნდებოდა.

ხანდახან პურის გარდა მოიტანდა ძეხვს, ყველს, ან ცხვრის მოხარშულ თავ-ფეხს და ხელდაუბანელი დაუწყებდა ჭამას.

მადადაკარგული თეო მამის ხათრისათვის თუ აიღებდა ერთ-ორ ლუკმას, ისევ ჩაი ერჩია. რადგან ცხელი წყალი სითბოს მატებდა სხეულს.

თეო ძლიერ მოეშვა. მუდამ მოწყენილი იყო, სევდიანი. ის აღარ ჰგავდა წინათ ცქრიალა და მოკისკისე თეოს. აღარც სიამაყე ეტყობოდა, არც სიკეკლუცე.

ხშირად რამდენიმე დღე გაივლიდა, არ მოიკაზმებოდა, სარკეში არ ჩაიხედავდა.

იჯდა დანაღვლიანებული და უცქეროდა სარკმელს, საიდანაც ბუნდოვნად მოჩანდა გამვლელთა ფეხები, პატარა ბავშვები და სარდაფის თავზე საყასბოს შეჩვეული ძაღლები.

ამ ქვეყანას მოწყვეტილი ხან ყურს უგდებდა, თუ საყასბოში კუნძზე როგორ ჩეხდნენ ხარის ბეჭებს, როგორ ეკაპასებოდნენ ქალები უვარგისი ნაჭრებისათვის ყასაბ ტიგრანას.

საყასბოში ჩანგლებზე ეკიდა გატყავებული ცხვრები, ხბოები, ხარის აქნილი ნაწილები.

სარფიან მუშტრებს ტიგრანა არ ალაპარაკებდა. იცოდა მათი გემო და რჩეულ ნაჭრებს თავაზობდა, ხოლო ხელვიწრო მყიდველებს მჭლე, ბებერ საქონლის ხორცს უწონიდა.

ტიგრანა მეტად გაქნილი, მარიფათიანი კაცი ჩანდა. ტანად მაღალი და მუცლიანი.

ტუჩები ჩანგალზე დაკიდებული ხორცივით წითელი და მსუქანი ჰქონდა. ნესტოებგაბუშტულ ცხვირთან შებუჩქული ულვაშების კუდები ხარაბუზასავით ყურებამდე წვდებოდა.

ბატის კვერცხების მსგავს ლოყებზე წვერს არ იყენებდა.

სისხლჩამდგარ თვალებს, რომლებიც სიმსუქნისაგან დაპატარავებოდა, შიგ ნაცარჩაყრილივით აპარპალებდა. ჯაგარ წამწამებზე წირპლი შეხმობოდა, ხოლო სქელი და გრძელბეწვიანი წარბები ვიწრო, დაბალ შუბლზე შავ არშიად მოვლებოდა.

კუთხეებიან ნიკაპთან, რომლის ქვეშ ყაპო ჩიყვივით ეკიდა, დატოვებულ ხალს ტიგრანა ულვაშებზე უფრო უფრთხილდებოდა და ყოველთვის გულდაგულ იკვარკნიდა.

კეფაზე და ბალნით ამოშავებული ყურების გაყოლებით შერჩენილ თმას ტიგრანა წვერთან ერთად იხოხნიდა.

აფუებული კისერი უშლიდა გვერდზე სწრაფად მიხედვას. თავის მაღლა აწევის დროს კისერი, შუა ალაგას, ჭიპისნაირად ულრმავდებოდა და ზედ რამდენიმე დიდი ნაოჭი უჩნდებოდა.

ზორბა ტანის პატრონსა და ფართოსახიანს თავი მომცრო ნესვს მიუგავდა.

შავი ხალათით და შარვლით მოსილს, რუმბებივით მრგვალ ფეხებზე მოკლეყელიანი ჩექმები ეცვა. გამოზვინულ გულ-მუცელზე სისხლნარევი ქონისაგან გაქერქებული თეთრი ფეშტემალი ეფარა.

ვაჭრობის დროს ფეშტემალზე უბრალო ტყავის ქამარი ერტყა, ცალ მხარეზე შიგ ხის დიდ ქარქაშიან და ორპირიან დანას ირჭობდა, მეორე მხარეს, ქამარზევე, წვრილი ჯაჭვით ეკიდა დანის პირის ასაწყობი რკინა. დამკლავებული ხან დახ-

ლში იდგა, ხან ბიჭებს ეხმარებოდა მუშტრების მალე გასტუმრებაში.

ტონტოლა მკლავები, ხელების ზურგები და გამაძღარი წურბლების მსგავსი თითები მთლად ბალნით ჰქონდა დაფარული.

საღამოობით აიკრავდა უფრო სუფთა ფეშტემალს, შემოირტყამდა ხახვისმაგვარ ბალთიან ვერცხლის ქამარს და ფეშტემლის საგულეში ხელებგაყრილი დადგებოდა კარებში. ხანდახან თუ შეინძრეოდა დარჩენილი ღვიძლის, ღორის თავის, ან ნარჩენ მდარე ნაჭრების მხერხავებისთვის ასაწონად. იდგა ასე და ელოდა ხვალისათვის ახალი ხორცის მოსატანად გაგზავნილ ბიჭებს, თან თვალს ადევნებდა გამვლელებს.

ტიგრანა ბოლოხანებში ხშირად იცინოდა, კარგ ხასიათზე ხვდებოდა სანისიაოდ მისულ მხერხავებსაც.

განსაკუთრებით გულთბილად უცქეროდა ყაფლანს, რომელსაც, ყოველთვის თავდახრით სიარულის გამო, შეუმჩნეველი რჩებოდა მეზობლის თანაგრძობა.

ყაფლანს ალაგ-ალაგ სირმებაწყვეტილი ძველი ჩაბალახი ეხურა. გახუნებულ ფარაჯას შიგნით ეცვა ყავარივით დახეთქილი შავი ატლასის ახალუხი.

ახალუხს მხოლოდ სარჩული იმაგრებდა. იმავე დროს სარჩული ნათავადარს პერანგის მაგიერობასაც უწევდა.

საღამოობით კარებში ფეხებგაჩაჩხული ტიგრანა ხედავდა, თუ როგორ მიძვრებოდა ყაფლანი სარდაფში, სადაც წინათ მალულად დაკლულ საქონლის ტყავს ინახავდა, და გულში ამბოდა:

— ჰაი გიდი, ბრწყინვალე თავადო!

მერე წარმოიდგენდა იმავე სარდაფში მყოფ თეოს და ლაფშებზე სისველე მოადგებოდა.

პირველ დანახვისთანავე თეოს ეშხმა და ნატიფობამ ტიგრანას თვალები გადმოუცვივნა.

მას აქეთ გახდა ტიგრანა შინ ხელმოცარვით დაბრუნებულ მხერხავებისა და გაჭირვებულების შემბრალე, თუმცა დღემდე ვერ მოახერხა ეს თვით თეოსათვის ეგრძნობინებინა.

ტიგრანას არ გამოეპარებოდა თეოს ზევით ამოსვლა. გახურებულ ვაჭრობის დროსაც კი დიდხანს უხიაგად გაადევნებ-

და თვალს ნელა მიმავალ ქალს, შემდეგ შედიოდა საყასბოში და ყველას საუკეთესო ხორცს უწონიდა.

ბევრი იფიქრა ტიგრანამ, მაგრამ ვერაფერი არჩია ისეთი, რითაც შესაძლო ყოფილიყო თეოს ყურადღება მიექცია.

ასე გავიდა რამდენიმე თვე.

ერთ საღამოს, როცა ტიგრანა საყასბოს დარაბას ბოქლომს ადებდა, დაინახა სადგომისაკენ წელში მოხრილი მღოღავი ყაფლანი, მაშინვე ახალმა აზრმა გაუელვა.

ტიგრანამ ცოტა შეიცადა საყასბოსთან, შემდეგ მოახლოებულ ყაფლანს გზა გადაუკრა.

— თავადო ყაფლან, ბოდიშს ვიხდი შეჩერებისათვის, მაგრამ ეს გამაბედვინა თქვენი გაცნობის სურვილმა. პირდაპირ დანაშაულად მიმაჩნია, რომ ამდენიხანი მეზობლები ვართ და ერთიმეორის სალამი არ ვიცით.

გაკვირვებულმა ყაფლანმა ალმაცერად შეხედა პირისპირ ზვინივით ამართულ კაცს.

— ცუდ დროში ვცხოვრობთ, ბატონო, წინათ სხვანაირად ვიცოდით მეზობლობა და ნაცნობობაც, მაგრამ ახლა გიჭირს კაცს. საშუალება არაა, არც ხალისი, — ტიგრანა ცდილობდა ბაზრული კილო არ ჰქონოდა.

ყაფლანს არაფერი უთქვამს სამაგიერო, მაგრამ ცოტა ეამა ასე მორიდებული და გულშემატკივარი შეხვედრა.

ტიგრანამ უფრო ცბიერად მიმართა:

— წამობრძანდით, ბატონო, ერთად ვივახშმოთ. მარტო პურის ჭამა არ მიყვარს. ნუ დამამადლით.

ტიგრანამ პასუხს აღარ დაუცადა, ყაფლანს მკლავში ხელი ჩაჭიდა და ქუჩის იქითა მხარეს ხალხით სავსე სამიკიტნოში შევიდნენ.

სამიკიტნოში ბოლი და ღრიანცელი იდგა.

თითქმის ყველა მაგიდაზე იჯდა ოთხი-ხუთი კაცი, უმრავლესობა ღვინოს ხმელა პურსა და მწვანილს ატანდა.

ზოგნი დახლთან იდგნენ ღვინით სავსე ჩაის ჭიქებით ხელში.

ენის მტვრევით ამბობდნენ სადღეგრძელოს, ეკოცნიდნენ ერთმანეთს და იგინებოდნენ.

მიკიტნის ბიჭები ციბრუტივით ტრიალებდნენ. მაგიდაზე

სწრაფად დგამდნენ ახალ კვარტებს, ცარიელები მიჰქონდათ.

ახალ მოსულებს ფიცრის ორ პატარა კედელს შუა გაუშალეს სუფრა.

ფიცრულს წინ ჩითის ფარდა ეფარა. პირდაპირ გამუდმებით უკრავდა კედლის არღანი. არღნის ხმა მეტ ხალისსა და წყურვილს იწვევდა მოქეიფეებში.

სითბომ და ღორის მწვადის სუნმა ყაფლანს ზრდილობა დაავიწყა, დაფეთებული შეუდგა ჭამას. დანა-ჩანგალი მაშინ გაახსენდა, როცა გაძღა.

ტიგრანა თავიდანვე დანა-ჩანგალს განგებ აჩხარუნებდა. აქამდე ჩუმად მყოფმა ყაფლანი მოწიწებით ადღეგრძელა.

— მე, ბატონო ყაფლან, გაგებული მაქვს ვინაც ბრძანდებით, ამიტომ გცემ პატივს. რა ვუყოთ, თუ ახლა ისე ვერ ცხოვრობთ, როგორც შეგფერით, როგორც გეკადრებათ. ამან არ უნდა გაგიტეხოთ გული. ეს ბრმა შემთხვევის ბრალია. ბოლშევიკების დღეები დათვლილია, ბატონო (აქ ხმას დაუწია ტიგრანამ). მანამდე გისურვებთ მხნეობას და ჯანმრთელობას თქვენი ძვირფასი ასულით.

უკანასკნელი სიტყვების წარმოთქმის დროს ტიგრანა უცნაურად შეირყა სკამზე. ჭიქა ერთბაშად დაცალა.

ყაფლანს გულში უხაროდა, რომ ასეთი კარგი მეგობარი იშოვა. ტიგრანას თავაზიანობით გათამამებული ღვინოს ისე სასოებით სვამდა, როგორც ზედაშეს.

დამჭკნარ სხეულში თანდათან ღონე ემატებოდა.

ბოლოს მანაც ამოიდგა ენა.

ბევრი იმუსაიფეს მეზობლებმა, ზოგი თავიანთ შესახებ, ზოგი სხვაზე. შუაღამე იქნებოდა, როცა გარეთ გამოვიდნენ.

აღარ თოვდა, მარტო სუსხიანი ქარი ქროდა. ყინავდა. ყაფლანს აღარ სციოდა — ღვინოს მისი სოველი წინდებიც გაეშრო.

ტიგრანამ ყაფლანი სარდაფამდე მიაცილა. გამომშვიდობებისას ბონების დასტა გადასცა.

— ბატონო ყაფლან, თუ არ მიწყენთ, ეს მცირე თანხა მიიღეთ ვალად. როცა გექნეთ, დამიბრუნეთ. მე ჯერჯერობით საშუალება მაქვს და მინდა დაგეხმაროთ. ახლა ისეთი დროა, თუ ჩვენ ერთმანეთს არ გავუმართეთ ხელი, სულს ამოგვხ-

დიან შიმშილით. ნუ გერიდებათ. გამომართვით. ხვალ შეიძ-ლება მე დამჭირდეს თქვენი მზრუნველობა და კიდევაც უნ-და დამეხმაროთ, რითაც შეგეძლებათ. ასე უნდა შეეინახოთ ერთმანეთი, თორემ, ხომ ხედავთ, ბატონო, თანდათან როგორ გვავიწროვებენ.

ყაფლანს პირველად ეუცხოვა ტიგრანას გულუხვობა, მაგ-რამ ბოლოს დაიჯერა მისი სიტყვების ჭეშმარიტება და ფული დიდი მადლობით ჩამოართვა.

ტიგრანამ ქურქზე ფართოდ მოვლებული კარაკულის სა-ყელო აიწია.

დამშვიდობებისას ყაფლანმა კვლავ მადლობა გადაუხადა და გახარებულმა სარდაფის კარზე დააკაკუნა.

მეორე დღეს ყაფლანმა თუნუქის ღუმელი და გუდურა იყიდა. შეშა ტიგრანასაგან ნათხოვარი ნაჯახით სარდაფშივე დაჩეხა. თეომ ცეცხლი დაანთო. მალე სარდაფში სითბო დად-გა. ღუმელზე გადაჩაჩხული ყაფლანი ხელების სავსავით თე-ოს ელაპარაკებოდა:

— აი, ხომ ხედავ, შვილო, კიდევ არიან ისეთები, რო-მელნიც პატივს გვცემენ, გვაფასებენ. მალე გადავუხდი ორ წილად, თუ კაცი ვყოფილვარ.

უკანასკნელი ნათქვამი თვითონვე არა სარწმუნოდ მოეჩ-ვენა. გაჩუმდა. ცოტახნის მერე გარეთ უხმოდ გავიდა...

სითბოსაგან ლოყებშეწითლებულ თეოს ტანში საამო ჟრუანტელი უვლიდა, მაგრამ გულში რაღაც ხინჯს გრძნობდა.

უკვირდა ყასაბ ტიგრანას სიბრალული მათდამი, თანაც გაურკვევი, მძიმე ფიქრი იპყრობდა.

„იქნებ მართლა კეთილია? რა ვუყოთ, რომ ყასაბია, განა მას კი არა აქვს გული? — გაუელვებდა ხანდახან, მაგრამ მა-ლე ისევ მწუხარების ბურუსში ეხვეოდა.

ამ საღამოსაც ყაფლანი გვიან, მთვრალი დაბრუნდა, შინ. მის ლოდინში თეოს თვალი არ მოუხუჭავს, რაღაც აწვალებ-და, ბორგავდა.

მამის დანახვამ შეაკრთო: ყაფლანს თითქმის სულ ახალი პალტო და დახეული ჩუსტების მაგიერ, ჯარისკაცის მაღალ-ყელიანი ჩექმები ეცვა.

წვერიც შეეკრიჭა, გაჯეელებულიყო, ღვინისა და ყინვისაგან ფერი მოსვლოდა.

სარდაფში ჩასვლისთანავე თეოს მოზრდილი ფუთა გადასცა და კისერზე მოეხვა.

— ჭეშმარიტად ღვთისაგან რჩეული კაცია. დიდი გვარიშვილივით იქცევა. სირცხვილია ის ყასაბი იყოს!

ლუღლუღებდა ის, თანაც შვილს კოცნიდა.

ბოლოს ბარბაცით გაეშურა ტახტისკენ.

— გახსენი, გახსენი, ჩემო გოგონა, ნახე, რა ძვირფასი რაგინდნაირებია შიგ. მაშ, როგორ გგონია, ჩვენც ხალხი ვართ, კიდევ გვყვანან თაყვანისმცემლები. არც დაგველევა. დარდი ნუ გაქვს.

...მაგრამ ღმერთი არ გაწირავს, კაცსა შენგნით განაწირსა"...

გაიხსენა რუსთაველი და შვილს მიმართა:

— აბა, გეთაყვა, ერთი ღუმელი დააგუგუნე, თორემ ამ სამარეში კაცი გაიყინება. ცოტა ხანი კიდევ და შეიძლება ისევ ავიდეთ მზის სინათლეზე, შეიძლება კი არა, უსათუოდ ავალთ, უეჭველად.

თეო კვლავ კარებთან იდგა. ჩამოვარდნილ ხელებში ფუთა უხალისოდ ეჭირა, ნირგამოცვლილ მამას მიშტერებოდა.

— რა მოგივიდა, მითხარი, შენს გაზრდას! ავად ხომ არა ხარ?

შიშნარევი ხმით შეეკითხა ყაფლანი, წამოდგომა დააპირა, მაგრამ ტანი ვეღარ ზიდა.

— არა.

ცივად წარმოსთქვა თეომ, ფუთა თავის ლოგინზე დააგდო, ღუმელის გაჩაღებას შეუდგა.

— მაშ, რა მოგივიდა, ძღვენი რომ ვისმეს წყენოდეს, პირველად მესმის. ახირებულია, შენ ნუ მომიკვდე!

ყაფლანი დააფიქრა შვილის უგუნებობამ. მალე ხელი ჩაიქნია, თვალებმოხუჭული კედელს ზურგით მიეყრდნო და ღიღინით წარმოთქვა:

„იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღვთისაგან სვიანი,

ღუმელი ერთბაშად გახურდა.

სითბოსაგან მოტეხილი ყაფლანი გაუხდელი მიწვა.

.. თეო გულის მკაწვრელმა იჭვებმა შებოჭეს. შეეცადა ტიგრანას განზრახვებისათვის სარქველი აეხადა, მაგრამ ვერ შეძლო.

კარგა ხანს იყო ფიქრების კორიანტელში. დიდი ყოყმანის შემდეგ იმ აზრს მოეჭიდა, რომ ტიგრანას ყველაფერი ეს, თითქოს, ზედმეტი გულკეთილობით მოდიოდა. ალბათ, ყასაბი დარწმუნებულიც იყო — ოდესმე ყაფლანი მას სამაგიეროს ორმაგად გადაუხდიდა.

დილას, მამის გაღვიძებამდე, თეომ ფუთა გახსნა, გაოცდა. თვალებაკრელებულმა სათითაოდ გასინჯა ძვირფასი საზამთრო მანტო, კაბა, ლაკის ფეხსაცმელები, მოსასხამი შალი, არშიებმოვლებული საცვლები. სიხარულმა აიტაცა.

დაავიწყდა თუ ვისგან იყო ყველაფერი ეს გამოგზავნილი, მაშინვე შეუდგა ჩაცმას.

როცა ყაფლანმა თვალი გაახილა, უკვე მორთულ თეოს სარკის ნატეხი ეჭირა.

ყაფლანი გაოცებული უცქეროდა თეოს. თავი სიზმარში ეგონა. მერე ყველაფერი თანდათან მოაგონდა, გულზე რაღაცამ უკბინა. წუხანდელი ხალისის ნაცვლად მწუხარებით აივსო.

ეს რომ თეოს არ შეემჩნია, წამოდგა, სარკის ნატეხში მაცქერალ შვილს თავი გადაუწია და შუბლზე აკოცა.

გამობრუნებულმა, რატომღაც, გადაწყვიტა, ტიგრანასთან აღარ გაევლო, არც რაიმე მეზობლური კავშირი დაეჭირა მასთან.

მართლაც, ერთი კვირის განმავლობაში ყაფლანი გაურბოდა ტიგრანასთან შეხვედრას.

ტიგრანა გრძნობდა ამას, თვითონაც განგებ არიდებდა თვალს.

ფული და შეშაც მალე გაქრა.

სარდაფში კვლავ სიცივე დამკვიდრდა.

მადაგახსნილებს პურიც აღარ ჰქონდათ საყოფი.

ყაფლანმა ნაჩუქარი პალტო გაყიდა. ისევ ძველი ფარაჯა ჩაიცვა.

— მამა, რატომ ემალები იმ კაცს, უზრდელობაში ჩამოგვართმევს. ესეც არ იყოს, შეიძლება კიდევ გაეწია დახმარე-

ბა, თორემ გინდა შიმშილს შევუწუხებივართ და გინდა სიშიშვლეს. — თეოს ეშინოდა, მის ახალ ტანისამოსსაც მამის პალტოს ბედი არ წვევოდა.

ასე ლამაზად გამოწყობილს ერთხელაც არ მიეცა საშუალება გაევლო ქუჩაში, ენახა მამიდა და ნაცნობები.

„მაინც, რომ აღარ გამოკეთდა ამინდი!"

თეოს ენანებოდა ლაკის ფეხსაცმელები თოვლ-ქუაპში დაესველებია.

ყაფლანი ამაოდ ცდილობდა რაიმე სამუშაო ეშოვნა.

არც არაფერი ეხერხებოდა, დღემდე უზრუნველს!

ახალწლისათვის ყველა ემზადებოდა.

ქალაქში ფუსფუსი იყო.

ახალწლის წინა საღამოს ყაფლანი ხელცარიელი ბრუნდებოდა თავის ცივ სარდაფში.

გზაში გადარაჯებულ ტიგრანას შეეფეთა. საქციელი წაუხდა.

ტიგრანა ჩვეულებრივად მიესალმა, შემდეგ მკლავში ხელგაყრით სამიკიტნოსაკენ წაიყვანა.

ყაფლანს ფეხები უკან რჩებოდა, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევის თავი არ ჰქონდა.

მეზობლები კვლავ ჩვეულ ადგილას დასხდნენ. სამიკიტნოში ახლა ხალხი ცოტა იყო. სუფრა მალე ნაირ-ნაირი საჭმელებით აივსო.

ტიგრანა მოშაქრული ენით ემუსაიფებოდა მეზობელს და ღვინოს აძალებდა.

ბოლოს სიტყვა ჩამოუგდო თავის სიმდიდრეზე, ჯიბისკენ ხელი წაიღო. ხელს უამრავი ბონები ამოჰყვა. ყაფლანმა თვალები გააცეცა.

ტიგრანას რატომღაც ქლოშინი აუვარდა, ცხვირის ნესტოები უფრო დაებერა. ჯერ ბონები ყაფლანის წინ დაყარა, მერე ყურთან დაბალი ხმით რაღაც უთხრა.

გაფითრებული ყაფლანი ზეზე წამოიჭრა და კვარტიანს ხელი წაავლო.

ტიგრანა არ შენძრეულა, ბონები ისევ ჯიბეში ჩაიწყო და ყაფლანს მშვიდად მიმართა:

— დაბრძანდი, ბატონო, დაბრძანდი, ასეთი სიფიცხე რომ

არ შეგფერით! მე ისე გითხარი, თანხმობა თქვენი საქმეა. მოძალე არა ვარ. ვახშამს ნუ წავიმწარებთ უბრალოდ.

ტიგრანამ ბოთლი ხელიდან გამოაცალა და ჭიქები აავსო.

ყაფლანი მოსხლეტით დაეშვა სკამზე.

თვალებში ნისლი ედგა, სამიკიტნო კარუსელივით ტრიალებდა.

ათრთოლებული ხელით ჭიქა სწრაფად აიღო და სულმოუთქმლად დაცალა.

ტიგრანამ მაშინვე ბოთლს თავი მოუქცია, ღვინის შხეფები ყაფლანს თვალებში მოხვდა.

ეს ჭიქაც უხმოდ შესვა მან, სახე მთლად მოეღრიცა.

ტიგრანა მიკიტანთან გავიდა.

წინასწარ მომზადებული კალათით მიკიტნის ბიჭი გარეთ გავარდა.

შემობრუნებულმა ტიგრანამ მაგიდაზე დამხობილი ყაყლანი წამოაყენა, ბონები გულის ჯიბეში ჩაუქმუნა, ბეწვგაცლილი ყალმუხური ქუდი თავისი ხელით დაახურა და ანიშნა წასულიყვნენ.

ყინვისაგან თოვლი ჭიქად ქცეულიყო. მოფანდალე ყაფლანი ტიგრანს თითქმის ხელში აყვანილი მიჰყავდა.

სარდაფის კარები გაიღო. ყასაბის დანახვაზე შეშინებული თეო კედელს მიეყრდნო. ტიგრანამ ყაფლანი ტახტზე დასვა და თეოსთან ქუდმოხდილი მივიდა.

— ბოდიშს ვიხდი, იქნებ უკმაყოფილო ხართ ჩემი სტუმრობით, მაგრამ დღეს სხვა დღეა და მეპატიება. მამათქვენსაც და მეც სურვილი გვაქვს ახალწელიწადს თქვენთან ერთად შევხვდეთ.

თეოს სახეზე წამოანათა, უკმეხი პასუხი კბილებით დაიჭირა.

ყაფლანს თავი გულზე ეკიდა.

მაგიდაზე იდგა მიკიტნის ბიჭის მიერ მოტანილი კალათი სანოვაგით, ვაშლებით და ფორთოხლებით სავსე. შიგვე ეწყო რამდენიმე ბოთლი ტკბილი ღვინო.

— თეო!

უსიცოცხლოდ დაუძახა შვილს ყაფლანმა. ცოტა ხნის შემდეგ აკანკალებული ხმით დაუმატა:

— ახალი წელიწადი მოდის, ხვალ ახალი წელიწადია, გაშალე, შვილო, სუფრა.

— ჩვენ თვითონ გავისარჯოთ, ბატონო ყაფლან, ქალბატონ თეოს ნუ შევაწუხებთ, — მოგონილი ზრდილობით წარმოთქვა ტიგრანამ და კალათი დაცალა.

თეო კვლავ იმავე ალაგას იდგა.

— რა მოგვივიდა, რას გაშეშებულხარ! ასე ვიცოდით ჩვენ ახალი წლის შეხვედრა, სტუმრების პატივისცემა? გაინძერიმეთქი! — სიავემორეული ხმით შესძახა ყაფლანმა თეოს და თავი ასწია.

თეომ თვალებზე ხელი მოისვა, გასწორდა.

მერე ნელი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით მივიდა ტიგრანასაგან გაწყობილ მაგიდასთან.

ტიგრანა თეოს მოსაზღვრედ, ყაფლანის გვერდით დაჯდა ტახტზე.

ტიგრანამ თამადობა დაიწყო.

მსხვილთვლებიანი ბეჭდები ყველა თითზე ჰქონდა წამოცმული, ჭიქის აღების დროს ცდილობდა თეოს ისინი დაენახა.

პირველად თეო ადღეგრძელა, შემდეგ ყაფლანი, მესამედ მამა-შვილი ერთად. ბოლოს სიყვარულის სადღეგრძელო დალია, რამაც უძრავად მჯდომარე თეოს ზიზღი მოგვარა. ნაჩუქარმა ტანისამოსმა სხეული დაწვა.

ტიგრანამ საათს დახედა.

თორმეტი იყო.

უხეშად შეიშმუშნა. მსუნაგი სურვილით ბრუდახვეულმა ახალი წლის დადგომის გამო, ხელახლა თეოს სადღეგრძელო შესვა, თან მისი ხელი აიღო და აკოცა.

თეოს წინააღმდეგობა არ გაუწევია, რამაც ტიგრანა გაათამამა, და, ჟინმორეულმა, ახლა ხელისგულზე დაახოცა თავისი ლეზვიანი ლაშები.

ტიგრანამ ქალის თვინიერება თანხმობად ჩათვალა.

წარმოიდგინა თეოს შიშველი ტანი, მისი შეხებით გამოწვეული ბედნიერება და ყაფლანს მოუთმენლად ფეხი-ფეხზე მაგრად დააჭირა.

ყაფლანი ცივწყალ გადასხმულივით შეტოკდა.

თითქო გამოფხიზლდა, მაგრამ ქედის გამართვა ვერ გაბედა.

ერიდებოდა თეოსი, რომელსაც ამ საღამოს ერთხელაც ვერ გაუსწორა თვალი.

ეშინოდა მისი დანახვის. ეგონა, ტიგრანასაგან მოცემული ფულის მიგიერ გულის ჯიბეში გველი ჰყავდა.

სტუმარმა მეორედ ანიშნა მასპინძელს. ყაფლანმა ისე გააღრჭიალა კბილები, რომ ტიგრანა ერთბაშად შეკრთა, თეოს კი თვალები ნაღვერდლებად ექცა.

ყაფლანმა კიდევ ერთხელ დაავლო ჭიქას ხელი, ღვინო გიჟივით გადაჰკრა, ცარიელი ჭიქა კედელს მიაფშვნა და წამოდგომა დააპირა. თეომ, რომელიც თვალს ადევნებდა მამას, ინსტინქტურად იგრძნო მოახლოებული საშინელება და ელვის სისწრაფით წამოხტა.

ვიდრე ყაფლანი ფეხზე დადგებოდა ან ტიგრანა გაინძრეოდა, თეო უკვე გარეთ იყო.

ყაფლანს ცა გაეხსნა. თავის სიცოცხლეში განუცდელი შვება იგრძნო. ძალამოცემული მალე თვითონაც გაიქცა სარდაფიდან.

კარებისაკენ მიბრუნებული ტიგრანა ერთ ხანს პირდაღებული იჯდა. მერე ზლაზვნით აიმართა და დოინჯშემოყრით წარმოთქვა:

— ვა, ე რა ქაჯი ვინმე ყოფილა, კაცოო? როგორ ჩიტივით გამიფრინდა თვალსა და ხელს შუა! ჰმ, ნამდვილი ოინი კი მიყვეს ამ მასაფძაღლებმა აი, მთელი ახალი წელი გამიფუჭეს, რაღა.

ტიგრანამ თვალი მოავლო იქაურობას და ქადილით ქურჭი ჩაიცვა.

— ჩემი ფული და დანახარჯი მაინც დამიბრუნეთ, თორემა, დედას გიტირებთ...

ერთხელ კიდევ შეუკურთხა გაქცეულ მასპინძლებს და წავიდა.

## XIX

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღიდანვე პარტიამ მირზა აჭარაში გაგზავნა.

ორ წელზე მეტია, რაც მირზა ხელისუფლების სათავეში დგას და უკვე ღარიბთა უმწიკვლო ნდობა და სიყვარული მოიპოვა.

სამაგიეროდ, სამკვდროდ გადაიკიდა ბეგები და მოლები, რომლებიც, რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო გრძნობდნენ ფრთაშეკვეცილობას.

მათი გავლენისათვის რომ ნიადაგი გამოეცალა, მირზა პირველ რიგში შეუდგა ფუხარათა დარაზმვას, მათში კლასიური ინსტინქტის გამახვილებას და სოფლად აღმშენებლობის გაძლიერებას.

ძნელი იყო მირზას ნაკისრი, მისი მოვალეობა, მაგრამ ის არ უშინდებოდა საუკუნოებით შექმნილ დაბრკოლებებს. ცდილობდა დაეძლია თანამოძმეთა ჯიუტობა და სიბეჩავე, გამოწვეული როგორც სიღატაკით, ისე ადათით, ყურანის ბანგიანი ქადაგითა და შიშით.

მირზამ იცოდა თუ რა პირობებში უხდებოდა ბრძოლა, ამიტომაც პარტიისა და მთავრობის დირექტივებს უფარდებდა ხალხის სულისკვეთებასა და ყოფას.

ჯერ კიდევ იხტიბარგაუტეხავი ბეგების, მოლებისა და ყადების წინააღმდეგ მირზა ზოგჯერ არ იღებდა აშკარა და სასტიკ ზომებს. არც მიზანშეწონილად მიაჩნდა, რადგან მისი მუშაობა თავისთავად მიმართული იყო მათ წინააღმდეგ.

მეტ სიმკაცრეს კი შეიძლებოდა მდგომარეობა გაერთულებია, ხელი შეეშალა ახალი წესწყობილების განმტკიცებისათვის.

იმ ზვიადებს, რომელნიც პირველ ხანებში გადაურჩნენ ფუხარა ხალხის რისხვას, მირზა რევოლუციური კანონიერების გზით აიძულებდა ქედი მოედრიკათ, დამორჩილებოდნენ ხალხის ნებას, ხოლო, თუ რომელიმე მათგანი გაბედავდა ურჩობას, განიზრახავდა ახალი ცხოვრების კალაპოტის გარღვევას, მისდამი მირზა განუკითხავი იყო.

მირზა გაათმაგებული ენერგიით მუშაობდა:

აკეთებდა გზებს, ხიდებს.

ანაწილებდა მიწებს.

მიყრუებულ სოფლებში აარსებდა საექიმო პუნქტებს.

გაყავდა არხები.

აწესრიგებდა საძოვრებისათვის ატეხილ დავას. ხალხს უნერგავდა სისხლისაღებისა და სხვა საადათო წესების მავნებლობას.

მისი თაოსნობით შესაძლებელი გახდა კომკავშირის დაარსება და სკოლების გახსნაც.

ხალხი თვალნათლივ ხედავდა ამ ღვაწლს და მადლიერი იყო.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დუშმანები მალულად ცდილობდნენ ყველაფრის გაქარწყლებას. მირზას შესახებ ავრცელებდნენ: თითქოს ის იმიტომ ებრძოდა მეჩეთსა და მამა-პაპეულ ზნეს, რომ მონათლული იყო. მაგრამ ამ მზაკვრობას ფუხარა ხალხი არ აქცევდა ყურადღებას.

მუდამ მოუცლელსა და ზრუნვით სავსეს, იშვიათად ავონდებოდა გული — თეოსაგან ნატკენი.

ხანდახან მძიფრი სურვილი აღეძვროდა, გაეგო მაინც, როგორ ან სად ცხოვრობდა ის ქალი, რომელზედაც ფიქრი მირზას, შეუპოვარსა და ბევრ ფათერაკში გამოვლილს, მარტოობისას ასე უნიათოდ ხდიდა.

მირზა მარტო თეოს გახსენებისას გრძნობდა ერთგვარ სიცალიერეს, სევდას, რასაც მალე ძლევდა და მუშაობაში იქარვებდა.

თეოს დაკარგულად თვლიდა. გადაწყვეტილი ჰქონდა, არც ოდესმე ეძებნა მისი კვალი.

თეოსთან შეხვედრის წარმოდგენაც უმძიმდა, ამიტომ იყო თბილისში ძვირად და მხოლოდ აუცილებელი საჭიროების დროს ჩამოდიოდა.

ახლაც, მირზას თბილისში ჩამოსვლა გამოწვეული იყო აუცილებლობით — პარტიულ ყრილობას უნდა დასწრებოდა, როგორც დელეგატი და პასუხისმგებელი მუშაკი.

ყრილობა ახალი წლის სწორზე გაიხსნა რუსთაველის თეატრში.

სხდომის დამთავრების შემდეგ მირზა ფოიეში ბოლოლინელად ირაკლის შეხვდა, გვერდის აცლა განიზრახა, მაგრამ ირაკლი ძმასავით გადაეხვია წლის მოზიარეს და გადაკოცნა.

მირზასაც გუნება მოუბრუნდა. გაეხარდა კიდეც, რომ ირაკლი ნახა.

გარეთ გამოსულებმა გზა ერთად განაგრძეს. ირაკლი ბავშვივით მომღიმარ მირზას ესაუბედურებოდა დავიწყებისათვის.

ამბის გამოკითხვის შემდეგ ირაკლიმ მირზას ლაპარაკი დაუწყო პარტყრილობაზე მოსმენილი მოხსენების ირგვლივ.

მირზა რატომღაც ვერ ახერხებდა მხარის აბმას და სიტყვებს ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისროდა.

ზემელის აფთიაქთან მირზა შეჩერდა. ირაკლიმ შორს დაიჭირა:

— რას ამბობ! აქ, სადღაც სასტუმროში ღამის გათევას, ჩვენთან წამოხვიდე არ გირჩევნია? აჰ, არ მითხრა, ძმობას გაფიცებ, შენ ჩემი სტუმარი ხარ, კრინტი!

ბევრი იუარა მირზამ, მაგრამ ირაკლიმ მაინც თავისი გაიტანა.

როცა სახლს მიუახლოდნენ, მირზა პატრუქივით აენთო. ძარღვებში სისხლის უჩვეულო ჩქროლვა იგრძნო.

მირზას უნდოდა რამე ეკითხა თეოს შესახებ, ვერ გაბედა. ამან კიდევ უფრო დაცხრილა მისი გონება.

„რომ იქ დამხვდეს თეო! ხომ მოსალოდნელია?!“ — ფიქრობდა მირზა და ფეხები თოვლში რჩებოდა.

„ასე რამ დაგაგლახავა. დასამალი რა გაქვს!“ — შეედავა თავს მირზა და გატაცებით მოლაპარაკე ირაკლის საუბარში შეება.

სტუმარ-მასპინძელი აივანზე მუსაიფით ავიდნენ.

ირაკლი უცბად შეჩერდა, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ თავი შეიკავა. კარების შეღებისთანავე შინ მყოფთ შესძახა:

— ხელები ასწით, თან ყაჩაღი მახლავს!

შეფოცებული რუსუდანი მაშინვე ფეხზე წამოდგა, შვილს შეეგება.

— როგორი ხუმრობა იცი, შემაშინე. შემოდი, შვილო, რავა შუა კარებში გაჩერებულხარ, გაცივდა ოთახი.

ირაკლი შინ შემოსვლის მაგიერ გატრიალდა და მირზა ოთახში შეაგდო:

— იცნობდეთ. აჭარელი ზელიმხანი!

თუნუქის ღუმელთან მჯდომ თეოს მირზას დანახვაზე თვალები გაუფართოვდა.

რუსუდანმა მართლა ვერ იცნო ახალმოსული.

— თეო, რა მოგივიდა! მირზაა, ვერ იცანი?

— უი, შენ გაგახარა, შვილო, ღმერთმა, როგორ დავაქაცებულხარ! — შეიცხადა რუსუდანმა და მირზას შუბლზე აკოცა.

— გაუშვი ხელი, ნუ გატეხე ეს კაცი წელში! — გაეხუმრა დედას ირაკლი და პალტო გაიძრო.

— მობრძანდი, მობრძანდი, გენაცვალე. შეციებული იქნები, ღუმელთან მოდი ახლო.

საქციელწამხდარი თეო კვლავ შეურხევლად იჯდა.

— ოჰო, ამფერუმ შენ ქალობას! გეწყინა ამ კაცის სტუმრობა თუ რაშია შენი ქორონიკონი?!

ირაკლიმ შეანჯღრია თეო, რომელსაც ახლა სახე ალმეერად ექცა და არევით წარმოთქვა:

— რატომ უნდა მწყენოდა...

შემდეგ ადგა, ხელი გაუწოდა.

მირზამ თავის ტორში მოიმწყვდია მისი პატარა ხელი. ხმიანი სალამი ვეღარ მოახერხა. სუნთქვა შეეკრა.

ხელის ჩამორთმევის დროს უეცრად ერთმანეთს თვალებში პირდაპირ შეხედეს.

რუსუდანი ფუსფუსით მეორე ოთახში გავიდა. ირაკლი ღუმელში შეშის შესალაგებლად დაიხარა.

— სად დაიკარგე, მირზა, სადა ხარ აქამდე? — რბილად და საყვედურნარევი ხმით შეეკითხა თეო.

— დასაკარგავი რა აქვს, მთელი აჭარა აბარია კაცს. დედოფალი აკლია, თორემ... — მირზას მაგიერ ირაკლი თავაუღებლად გამოეხმაურა თეოს და ცეცხლის გასაღვივებლად ღუმელს შეუბერა, გამოცვენილი ნაცარი თვალებში შეეფრქვა და ბრმასავით ადგა.

— ბიჭოს, დავბრუციანდი მგონია.

თეოს ხმამაღლა გაეცინა.

— რა გაცინებს, ჯოჯო, სტუმრისა მაინც არ გერიდება? მაგას არ უყვარს, როცა ქალები იცინიან.

— ხოოო!

— დიახ, დიახ. საერთოდ ეჯავრება ქალები. — კვლავ იხუმრა ირაკლიმ და თვალების სრესით ღუმელის კარი ჩაკეტა, შემდეგ მირზას მიმართა:

— კაცო, როგორ სარგადაყლაპულივით დგახარ. გაიძვრე პალტო. ეს მთელი ცხვარი თავზე რომ ჩამოგიცვამს, არ გამ-ძიმებს?

ირაკლიმ თვითონ მოხადა პალტო და ბოხოხი.

მირზას ლაპარაკი ეძნელებოდა, ერთთავად სულ იღიმე-ბოდა.

ამასობაში რუსუდანი გამოვიდა. ყველანი ღუმელს მი-უსხდნენ.

შეიქმნა გამოკითხვა, მუსაიფი. მირზა ცოტა მოთვინი-ერდა, გათამამდა.

რუსუდანმა ქმარი მოიგონა და აცრემლდა.

თეო ქურდულად უცქეროდა მირზას. ბავშვობა წინ ეხა-ტებოდა.

მირზა ახლა წვერგაპარსული იყო. ულვაშები მოკლედ ჰქონდა დაყენებული.

„სულ არ გამოცვლილა. ისევ ისეთია, კბილებიც კვლავ მარგალიტებივით უელავს. ცოტა დადინჯებული სჩანს“, — ფიქრობდა თეო და გული უჩვეულოდ უტოკავდა.

თვითონ თეო გამხდარიყო, ღაწვები გაცრეცოდა, მოელ-ვარე თვალები ამოლილავებოდა.

ახალი ნაავადმყოფარი იყო.

სარდაფიდან გამოქცეულმა, გათენებისას მიაღწია მამი-დასთან. იმავე დღეს გააცივა. სამი დღე იწვა.

თეოს ტანჯავდა მამისაგან ისეთი მოპყრობა და ამან უფ-რო დაატყო დაღი.

მირზამ რამდენჯერმე შეაპარა თეოს თვალი. იქვები აწ-ვალებდა.

„გათხოვდა, ალბათ, ვინ იცის, შვილიცა ჰყავს“, — გა-უელვა და აიმღვრა.

— ეს თუნუქის ღუმელი პირდაპირ მისწრებაა. ტყუილაა ნათქვამი იაფს გემო არა აქვსო, — წარმოთქვა ღუმელზე მი-ფიცხებულმა ირაკლიმ და თეოს მიუბრუნდა:

— თეოჯან, ერთი შენებურად დატრიალდი, სუფრა გა-შალე. სტუმარიც რომ არ იყოს, გაელა. მოგიხდება. სასიკ-ვდილო აღარაფერი გიქირს. ჰა?

— ავად იყო? — უეცრად იკითხა მირზამ შეცვლილი ხმით.

თეოს სიხარულმა კოქებამდე დაუარა.

— ავად იყო, შვილო, ავად. მაგას მოუკვდა მამიდა... — აწუწუნდა რუსუდანი.

თეოს შეეშინდა, მირზას არ გაეგო მისი ავადმყოფობის მიზეზი და მამიდას ვედრებით შეხედა.

— აბა, რა დროს ვალალია, დედი, შენც წამოდექი, ჰო. არც ისე ბებერი ხარ, რამდენადაც თავს იკატუნებ. როცა რძალი მოგიყვანო, მაშინ მოირთხი ფეხი, ახლა კი გაისარეე და თეოს გაუძეხ, თორემ, ხომ იცი, როგორი კვიმატია, სუფრაზე მოტანამდე ყველაფერს გზაში დააბნევს.

— კი, შვილო, ნეტავი შენს ცოლ-შვილს მოვესწრებოდე და მერე თქვენს სანაცვლოდ წავსულვარ.

თეო და რუსუდანი ვახშმის თადარიგს შეუდგნენ.

მირზამ პაპიროსი ამოიღო, ირაკლისაც მიაწოდა.

ირაკლიმ და მირზამ მუსაიფი გააბეს. მირზა აღტაცებით უყურებოდა აკარის ამბებს. თანდათან ავიწყდებოდა, რომ თეო მის ძახლობლად იმყოფებოდა.

— მოდით, შვილებო! — შეაწყვეტინა მათ ლაპარაკი რუსუდანმა.

— უი, დედიჯან, წაიღე, წაიღე, ეგ რა მოგიტანია, ღორის თავი და თათარი! წაიღე-მეთქი, თორემ გაგვექცევა ეს კაცი!

მირზას სიცილი აუვარდა.

— ჯერ კიდევ ახალი წელია, შვილო, გოზინაყსაც გაჭმევთ.

მხიარულად ივახშმეს.

ირაკლი ხუმრობდა, მაგრამ გულგახსნილი თეოც არ უგდებდა ცალს.

მირზასაც გაუარა რიდმა.

ნავახშმევს ირაკლიმ სტუმარი თავის ოთახში წაიყვანა.

მირზას დიდხანობამდე არ მოუხუჭავს თვალი, შფოთავდა: თეო ხან უცოდველი ეგონა, ხან მოღალატე და ფარისეველი.

დილას ირაკლი სამსახურში წავიდა.

ყრილობის სხდომები საღამოობით იმართებოდა, მირზა არ გაუღვიძებია.

რუსუდანი ჩვეულებრივ ბაზარში წავიდა.

თეო აწრიალდა. ადგილს ვერ პოულობდა. რამდენჯერმე დააყურა ირაკლის ოთახის კარებს, მაგრამ შეღება ვერ გაბედა.

მალე მირზაც ადგა.

დარბაზში გამოსულს მარტო თეო დახვდა და შედრკა.

თეო ჩაის ჭიქებს წმენდდა.

— ირაკლი წავიდა? — რატომღაც მწუხარეთ იკითხა მირზამ.

— დიახ. გთხოვათ ერთად ვისადილოთ, ყრილობაზედაც ერთად წავიდეთო... აგერ პირსაბანი!

მირზას ეუცხოვა თეოს ბილო. ხელ-პირი სწრაფად დაიბანა.

— მობრძანდით, ჩაი მიირთვით.

მირზა მაგიდას დამნაშავესავით მიუჯდა.

სიჩუმეს სამოვარის შიშინი არღვევდა.

წინა ფანჯრიდან მოჩანდა, თუ როგორ უხვად ცვივოდა თოვლის ფანტელები.

ჩაი პირს თუთქავდა მირზას, მაგრამ მაინც შეუსვენებლად სვამდა.

— მირზა!

წყნარად დაუძახა თეომ. მირზამ საკირეში იგრძნო თავი. თეო მაგიდის იქითა მხარეს, მირზას პირდაპირ დაჯდა.

— მირზა, გახსოვს უკანასკნელი შეხვედრა ფიქრის გორაზე? მაშინ შენი მოცემული პირობა მეორედ ნახვის შესახებ რატომ გადათქვი?

მირზამ ჭიქას ჩასძახა მოკვეთით:

— დამიჭირეს.

— მართლა?.. მე კი...

მირზამ თავი ასწია და თეოს ცრემლებით სავსე თვალებს შეეჩეხა. მირზა მოიღვენთა, დალბა.

იმის იქვი, რომ მაშინ თეოს მიზეზით ან მისი გაუფრთხილებლობით დაიჭირეს, ერთბაშად გაეფანტა.

— დამიჭირეს და ვერც კი შეგატყობინე. ვერ მოვახერხე, — მონანიებით წარმოთქვა მირზამ.

თეოს ტუჩები აუთრთოლდა.

— მე სხვაფრივ ვიფიქრე.

— მეც მეგონა, რომ... კედიას ნაცნობობამ იმოქმედა შენზე, დაგცდა რამე. ხშირი მიმოსვლა გქონდათ, კარგი განწყობილება და იმიტომ... — ნაძალადევი ღიმილით თქვა მირზამ.

თეოს ალმურმა გადაჰკრა:

— რას მემართლები, მირზა, ასე მიუსანდოდ როგორ ჩამთვალე!

— არა, ეს მეტი... იმით მომივიდა, — დაება მირზას ენა.

ცოტა სიჩუმის შემდეგ მირზამ თეოს უამბო დაშერის პირველ დღეებში ციხეში განცდილი მწუხარება. იშვები. საქართველოდან გადასახლება. დაბრუნება და აჭარაში წასვლა.

თეომაც მოუთხრო თავისი თავგადასავალი.

უკანასკნელი ამბის დროს თავი ვეღარ შეიმაგრა და ქვითინმა დაახრჩო.

მირზა გულში ტუქსავდა თავის თავს, რომ ერთხელაც არ ცდილა გაეგო თეოს ამბავი, მისი მდგომარეობა, ან შეემოწმებინა აღძრული იშვები.

მირზა გულწრფელად შეაშფოთა ახალწლის ღამეს თეოს თავზე დატრიალებულმა უბედურებამ.

მალე მათ შორის ჩატეხილი ხიდი გამთელდა. ერთმანეთისთვის აღარაფერი დაუმალავთ.

რამდენიმე დღის განმავლობაში ყოველ დილას მარტო რჩებოდნენ და ეს დრო მათთვის ისევე ძვირფასი გახდა, როგორც მთაზე და ფიქრის გორაზე ერთად ყოფნა.

ყრილობის დახურვის შემდეგ, გზაში, მირზამ ირაკლის გაანდო თავისი განზრახვა და ამხანაგური რჩევა თხოვა...

ირაკლიმ სიხარულით ჩამოართვა ხელი მირზას. გამვლელთა გასაოცად, მაყრულიც შემოსძახა.

შინ მისვლისთანავე თეოს მივარდა, ერთბაშად ჰაერში აიტაცა და ააბურთავა.

— მომილოცავს, მომილოცავს დედოფლობა.

შემდეგ თეოს ხელი გაუშვა და დარბაისელის კილოთი წარმოთქვა:

— მზე და მთვარესავით შეგაბეროთ... შეგაბეროთ ღმ... უჰ, რა გვეშველება, ღმერთის მაგიერ რაღაცა სხვა სიტყვა უნდა გამოვძებნოთ, თორემ ლაპარაკი ჭირს.

რუსუდანი გაოცებული იყო, შვილის ნათქვამი ვერ გაეგო.

— რას ულოცავ, ბიჭო, ამ ბავშს! მთვრალი ხომ არ ხარ, რავა ციყვივით ხტი ამოდენა კაცი.

— რას ვულოცავ! არ იცი? თათარი და თეო უნდა ვაგვირგვინოთ, დედი.

რუსუდანი კიდევ უფრო გაოცდა, მირზას და თეოს მცდელი თვალით შეხედა.

ორივე დარცხვენილი იდგა.

რუსუდანი დარწმუნდა, ირაკლი აღარ ხუმრობდა. ეწყინა, მაგრამ არ შეიმჩნია და სიტყვა აუკრა:

— გვირგვინი, თუ არა იმას რომ ფასი აქვს!

ირაკლიმ კვლავ ხუმრობა დაიწყო, ჩამოვარდნილი უხერხულობა გაქრა.

ვახშმის შემდეგ, როცა ირაკლი და მირზა დასაძინებლად გავიდნენ, რუსუდანმა თეოს უსაყვედურა:

— შვილო, რატომ მე არ გამეხდე პირველად, რა იქნებოდა გეკითხა ჩემთვის. გათხოვება ხუმრობა ხომ არაა.

თეო გრძნობდა, მისი არჩევანი მაინცდამაინც არაფრად მოსწონდა რუსუდანს. შეწუხდა, თუმცა გადაწყვეტილება და მირზასთან შეუღლების სურვილი ოდნავადაც არ შერყევია.

— არ ვიცი, შვილო, ღმერთმა ბედნიერი გამყოფოს, მარა ყაფლანის გაუგებლად მაგ საქმეს ვერ გირჩევ. თუ ქალი ხარ, მის ყბაში არ ჩამაგდო.

ამ სიტყვებით რუსუდანი ადგა და თავისი ლოგინის გაშლა დაიწყო.

თეო დიდხანს იჯდა დაფიქრებული.

* *

მეორე დღეს რუსუდანმა მეეზოვეს ხელით ყაფლანს წერილი გაუგზავნა, წერდა აუცილებლად მისულიყო.

მართლაც, ყაფლანი შებინდებისას მივიდა.

მარტო რუსუდანი შეეგება.

ირაკლი და თეო მეორე ოთახში იყვნენ.

მირზა განგებ გავიდა ქალაქში.

ყაფლანი მუნჯივით ღუმელს მიუჯდა.

შესაბრალი შესახედი იყო, — სახე სულ გაფითრებოდა, ყბები შელეწოდა, ცხვირი გათხელებოდა, თვალები კუკუნახში ჩაცვეხოდა.

ცოტა სიჩუმის შემდეგ რუსუდანმა ოდნავ გასაგონი ხმით წარმოთქვა:

— ყაფლან, გასახარელი ამბავი უნდა გითხრა.

ყაფლანმა პასუხის ნაცვლად დას შეხედა.

— ჰო, მე მგონია, არ გეწყინება... თეო თხოვდება...

ყაფლანი გამოცოცხლდა, სახეზე ნუგეშის სხივმა გადაურბინა, გულით ინატრა:

— ნეტავი მართლა...

— მართლა, და-ძმობას გეფიცები. თხოვდება, თუ შენი სურვილიც იქნება.

სიჩუმე ჩამოვარდა. ცოტა ხნის მერე ყაფლანმა თითქოს თავისთვის თქვა:

— ვის მიჰყვება?

რუსუდანს ფერი ეცვალა, პასუხი შეაგვიანა, ღუმელის კარი გამოაღო და შიგ ნაპობის შედების დროს უთხრა:

— მირზას უნდა გაჰყვეს. აი შენს გაზრდილ მირზას.

ყაფლანს სახე მოექცა. სკამზე გველნაკბეხივით შეტოკდა. თვალები კიდევ უფრო ამოუქვევრდა.

ყაფლანი თავის ყურებს არ უჯეროდა. ბოლოს მკვახედ ისევ იკითხა:

— ვის მიჰყვება?!

რუსუდანი შიშით დაილია, მაგრამ მაინც გაბედა:

— დაყრუვდი, შე კაცო! მირზა ხომ იცი, იმაზე აპირებს წაყოლას.

— ჩემს ნამოჯამაგირალზე? მეხუმრები თუ!..

— საქმე ჯერ არ გაუთავებიათ, ისე, ლაპარაკია...

— უწინამც სიკვდილი ღირსებია, ვიდრე მისი ცოლი გახდებოდეს. კარგი სიძე კი ამოგირჩევია. დაც შენისთანა უნდა. ამისათვის დამიბარე? შეგირცხვა ქალობა!

ყაფლანი გაალმასებული წამოდგა. მზად იყო თავისი დის სისხლი შეესვა.

რუსუდანმა თავშალის ყურს დაუწყო ჩეჩვა.

— მოიცა, შე კაცო, რა ხშირად შენ დადიხარ. მართლა, როგორ მოვიქცეთ?

— რას მეკითხები, შე სულწაწყმენდილო! არ იცი, რომ თეოს მე იმას არ გავატან? თუ კარგ სამაჭანკლოსაა შეპირებული და ამიტომ იწვავ კუჭს?

რუსუდანმა შეურაცხყოფა იგრძნო და ხმას აუწია:

— რა ჯანდაბამ გაგაშხამა ასე. როგორ, თეოს სიგლახე შენზე ნაკლებ მეწყინება?

— ერთხელ გითქვამს და მეორედ აღარ გამაგონო. თეოს ზვარაკივით დავკლავ და ჩემს ნამოჯამაგირალს არ გავატან. გესმის, შვილს ნუ მომაკვლევინებთ.

— მე ჩემი ვალი მოვიხადე, ახლა, როგორც გერჩიოს.

— კი წავხდი, მაგრამ სული ისევ მიდგას. შენ მაინც ნუ გადაივლი ჩემს გულზე, სხვებიც მეყოფიან.

— კაცო, ისე მელაპარაკები, თითქოს მე ვათხოვებდე ძალით შენს ქალიშვილს. მისი წადილია და მოციქულობას ვასრულებ. არ გინდა და ჩოხის კალთებს არავინ გაგლეჯს, მარა ქალს პატრონობა უნდა, ნუ დაგავიწყდება...

ეს სიტყვები ისრებივით მოხვდნენ გულზე ყაფლანს. შეტორტმანდა, მძულვარებით დას გადახედა და წასვლა დაპირა.

ოთახის კარები გაიღო, ირაკლი გამოვიდა.

— გამარჯობა, ბიძაჩემო! სად მიიჩქარი? კიდევ ხომ არ მემდური? დროა შევრიგდეთ.

ყაფლანი ისე იყო აღელვებული, ხმის ამოღება გაუჭირდა.

— მოდი, მოდი. დიდი ხანია აღარ გვიმუსაიფია ერთად. მომენატრე, როგორც კაცი.

ამ სიტყვებით ირაკლიმ ყაფლანი მოაბრუნა და დასვა.

— გეტყობა გულმოსული ხარ. ალბათ, დედაჩემმა გაწყენინა, ხომ! დიდი ახირებულია ეს შენი და.

ირაკლის უნდოდა ხუმრობით გადაებირებია ყაფლანი, მაგრამ ენა ებორძიკებოდა, არ გამოუდიოდა.

ბოლოს კვლავ ხუმრობის კილოთი ცადა:

— არაფერი გითხრა დედაჩემმა თეოს შესახებ? ერთი რჯულზე ვიქეიფოთ! ა, რას იტყვი?

— დამცინით, თუ რა ამბავია! — იყვირა ყაფლანმა.

— რატომ! უსინდისო ვიყო, თუ კარგი არ გვინდოდეს, როგორც თეოსათვის, ისე შენთვის.

— მადლობელი ვარ. ამისთანა სიკეთე არ გაშოგილიოთ ღმერთმა.

— რაზე ხარ, ძია ასე გახელებული, რა მოგივიდა!

— რა მომივიდა!? ამაზე მეტი რაღა მომივა, ამაზე მეტი რა უნდა დამემართოს: მამული მქონდა, აღარ მაქვს. აღარც სიმდიდრე გამაჩნია. საკუთარი სახლი დავკარგე, კაცი ვიყავი, მათხოვრად ვიქეცი, ერთი შვილიღა დამრჩა და ისიც გინდათ მომგლიჯოთ!

რუსუდანს თვალები ცრემლებით აევსო.

— ვინ გატანს ძალას, ვინ გართმევს შვილს, გყავდეს, მაგრამ ჭკუას კი იზამდი, რომ...

— რომ ჩემს ნამოჯამაგირალს, გადაგვარებულს, ვიგინდარას, ჩემს მტერს მივცემდე ერთადერთ შვილს, არა! მანამდე უკეთესია დავმიწდეთ მეც და ჩემი შვილიც.

ირაკლის სიფიცხე იპყრობდა, მაგრამ თავს იკავებდა.

— ნამოჯამაგირალი, კაცი არაა, შენის აზრით? არ ვარგა ასე კერპობა, ძია, მირზა ის მირზა კი აღარაა, ნახირს რომ ამწყემსვინებდი. აღარც ბავშვია. ახლა გონებაგასსნილია და ჭკვიანი. მთელ კუთხეს უძღვება.

— ხელმწიფედ რომ გახდეს, მაინც არ მინდა სიძედ ჩემი ნამოჯამაგირალი, გესმით თუ არა!

ირაკლიმ იფეთქა:

— როგორ, მაშ, ყასბებს! ჩაუგდებ ხელში? მეძავად აქცევ, არა? ეს უკეთესია და უფრო შეეფერება შენს ღირსებას, ხომ! სულელები ჩვენ ვართ, რომ გებოდიშებით.

ირაკლი ფეხზე წამოხტა.

რუსუდანი აკანკალდა და შვილს შეკნავლა:

— ირაკლი... შვილო...

— თავი დამანებე, თუ გიყვარდე, — ცივად შესძახა დედას და კელავ ყაფლანს მიუბრუნდა:

— მაგ ყოყოჩობამ ჩაგაგდო ამ დღეში. ახია, თვითონ რაც მოგივა. მაგრამ ნურას უკაცრავად, თუ აწი თეო ყასბე-

ბის საჯიჯგნად არ დაგანებოთ. შენ, როგორც გინდა, სადაც გინდა, იქ გამოიჩინე შენი გვარიშვილობა, ბიჭოს!

ყაფლანი დიდხანს იყო უხმოდ და უძრავად.

შემდეგ ნაღველჩაქცეულივით, მოკაკვული წამოდგა, ლასლასით კარებთან მივიდა, კარებში ფეხი ძლივს გადგა.

მოყურებული თეო ოთახიდან გამწარებული გამოვარდა და ქვითინით მიაძახა:

— მამა...მა...მა...

ყაფლანმა უკან მოუხედავად, ნელა გაიხურა კარი.

* *

ახლადდაქორწინებულ თეოსა და მირზას მატარებელი ბათუმისაკენ მიაქროლებდა.

ყაფლანმა, როგორც კი გაიგო თეოსა და მირზას გამგზავრება, შვილი მკვდრად ჩათვალა.

მთელი სამი დღე სარდაფიდან არ ამოსულა.

შემდეგ ტიგრანას ნამალევად გაყიდა სარდაფში თუ რამე ჰქონდა და იქაურობა მიატოვა.

ყაფლანი ხშირად უსაქმოდ დაეხეტებოდა ქუჩებში.

ხან მშიერი იყო, ხან სამადლოდ სამიკიტნოებში აქმევდნენ ლუკმას, სამაგიეროდ ახეხვინებდნენ ქვაბებსა და იატაკს.

შემთხვევით ნაშოვნ ორ გროშს გულმოდგინედ ახვევდა ჩვარში და უბეში ინახავდა.

ღამეს ხანდახან ნაცნობი მიკიტნის სამზარეულო'ში ათევდა. მეტწილად მეთორნეებთან იყო, რომლებსაც ყაფლანი შეშას უპობდა. ნაჯახის ტარისაგან ხელის გულზე ფუთქები უჩნდებოდა.

ასე გაატარა ზამთარი.

გაზაფხულზე დაიწყო რკინიგზის სადგურზე სიარული, რომ ვინმესთვის ბარგი წაეღო, მაგრამ მატარებლის მოსვლისას ჯეელები მუდამ ფეხის ცერებზე იდგნენ და ხშირად მუშტარს ხელიდან აცლიდნენ.

ყაფლანმა ისევ მათხოვრობა არჩია.

სირცხვილის ასაცდენად და მეტი თამამობისათვის წვერულვაში გაიპარსა. პირველად გარეუბანში სცადა ბედი.

მერე თანდათან შუაგულ ქალაქში გადმოვიდა.

ერთ შაბათს მეკუბოვე როსტომოვს, რომელიც თავისი დუქნის კარებში იდგა ახალნასადილევი და ჩაშავებულ კბილებს იჩიჩქნიდა, უაფლანმა ხელი გაუწოდა.

ჩასუქებულმა, თმიან-სახიახად წითელმა როსტომოვმა ჯერ გამოხრული კბილიდან ასანთის ღერით ფინჩხა გამოიღო, დაყნოსა და ისევ პირში ჩაიდვა. შემდეგ პირის წკლაპუნით გლახას აგდებულად შეხედა და წაიდუდუნა:

— გაიარე, გაიარე.

ყაფლანი უკმაყოფილოდ გაუდგა გზას.

უცებ როსტომოვის ძახილი შეესმა და მობრუნდა:

— მოდი აქ. შეგიძლია ცხენების მოვლა ან ბალდახინის გაყოლა?

ყაფლანი დაფიქრდა. ცოტა ყოყმანის მერე მუდარით თქვა:

— გამომცადეთ, ბატონო.

როსტომოვმა ერთი კიდევ ჩაათვალიერა ყაფლანი, ასანთის ღერიანად გადააფურთხა და დუქანში შევიდა.

ყაფლანი თან შეჰყვა.

ვეება დუქანი სავსე იყო დიდი და პატარა ზომის კუბოებით.

ზოგი მაგარი ხისგან სუფთად იყო გაკეთებული, ზოგი უხეიროდ გასალაშინებული ფიცრებისაგან ხერელედ შეეკრათ.

კედლებზე ეკიდა სხვადასხვა ფერისა და მოყვანილობის თუნუქის გვირგვინები.

ამ გვირგვინებს ყიდულობდნენ მიცვალებულთა პატივსაცემად, მაგრამ მალე ისინი ისევ როსტომოვის დუქანში ჩნდებოდნენ. მეკუბოვე მათ სხვანაირად ღებავდა და კვლავ ყიდდა. ამრიგად, როსტომოვს ერთი გვირგვინი ასჯერ მაინც ექნებოდა გაყიდული.

წასაღებად გამზადებული გვირგვინები, წარწერილი ლესტებით, გამოკიდებული იყო ვიტრინაში.

იქვე ელაგა სხვადასხვა ზომის და ფერის საცხედრო ფეხსაცმელები.

რამდენიმე ხნის წინათ როსტომოვს ერთი მებალდახინე

არაყმა დაუხრჩო. ყაფლანი მის მაგიერ უნდოდა აეყვანა.

ყაფლანს თავისი გვარი არ გაუმხელია, არც ფასზე მორიგებია წინასწარ როსტომოვს, ისე შეუდგა სამსახურს.

თავიდანვე დიდი მუყაითობა გამოიჩინა. როსტომოვი კმაყოფილი დარჩა.

ამგვარად, ნათავადარმა იშოვა მუდმივი და იოლი საქმე.

უწვერულვაშო ყაფლანი, როცა ბალდახინის გასაყოლად მოირთვებოდა, უცხოდ გრძნობდა თავს.

გულმოდგინედ იცვამდა ფრაკის მსგავს შავ პალტოს, რომელსაც სილამაზეს მხოლოდ საყელოზე, სახელოებზე და მერცხლის ბოლოსავით მოყვანილ უკანა ნაწილზე შემოვლებული თეთრი ლენტი უკარგავდა, სამაგიეროდ ცილინდრი არაფრით არ განსხვავდებოდა ნამდვილისაგან.

ასე მოკაზმული ყაფლანი უფრო ხალისიანად იყო.

ადამიანებზე გაბოროტებული გასვენებებში სიარულით იოხებდა გულს.

სასაფლაოდან დაბრუნებული, ბალდახინზე ისეთი სახით იჯდა, თითქო საუკეთესო ეტლი მიაქროლებდა.

თავის ახალ ამხანაგებსაც შეეგუა. მათთან ერთად საღამოობით სვამდა არაყს.

ღამე იძინებდა ბალდახინის ყუთში.

* *

ყაფლანისეულ მამულში შარშან მოეწყო უღარიბეს გლეხთა დიდი კოლექტივი.

უფრო ადრე მისეულ სახლში გახსნეს კლუბი, სამკითხველო და ჭრა-კერვის სკოლა, ხოლო ქვედა სართულში მოაწყვეს კოოპერატივი.

დანარჩენი საჯალაბო ხის სახლები სოფელმა გადაცა უსახლკაროებს.

1929-30 წ.

ᲗᲘᲐᲙᲝᲥᲝᲜᲐ

I

ამბავი იწყება უბრალოდ:

ირმას მამას, თეოფილეს, დღე და ღამე გაერთიანებული ჰქონდა, მაგრამ ოჯახის რჩენა მაინც უჭირდა.

ხელისგულის ოდენა ვენახში არაოდეს მოუკრეფია ერთ საწხაელზე მეტი ყურძენი. დიდიხნის წინათ გაშენებული, ნაცრისაგან დაკნინებული ზვარი კიმპლა-კიმპლა ისხამდა, ღვინო ყოველწელს მეავე დგებოდა.

მიუხედავად ამისა, თეოფილეს დედას, ანუსის, ჭიაკოკონობაზე ვენახის თავში ცეცხლის დახთებას ვერავინ მოასწრებდა.

ახლაც ანუსი და ირმა საჭიაკოკოზე ფიჩხის მოძარაგებას დილიდანვე შეუდგნენ.

ირმას სიხარულისაგან ფრთები ესხა:

თრითინასავით დახტოდა. ვენახში და ვენახის კიდურებზე დარჩენილ ჩალის ღერებს შეუსვენებლივ თხრიდა, ხოლო ანუსი მოთხრილ ჩალის ღერებს, გამხმარ ლერწებს და ხეხილის ნასხლავ ტოტებს ერთ ალაგას აგროვებდა.

ირმა ღონიერი და მკვირცხლი გოგო იყო, ჩალის ღერებს იოლად თხრიდა, მაგრამ ერთი ჩალის ღერი ძეტად გაუძალიანდა. ირმა ჯინზე არ მოეშვა. ცოტა შეისვენა, წინ გადმოცვენილი კულულები გაისწორა, ნაჭრის საბანივით შეკერილი კაბის კალთით ფართო შუბლზე ოფლი მოიწმინდა და ღრმად ფესვებგამდგარ ჩალის ღერას ორივე ხელით მოეჭიდა. უეცრად, ერთი მოწევისთანავე, ჩალის ღერა მიწიდან ამოვარდა და ირმა ბოწყვეტით წაიქცა.

ამის დამხახველმა ანუსიმ ძკლავზე დაწყობილი ჩალის ღერები იქვე დაყარა და ირმასაკენ შემკრთალი გაეშურა. ბებიას მისვლამდე ირმა კისკისით ფეხზე წამოხტა, თან თავზე წამოხურული კაბა ჩამოუშვა.

— ხო არაფერი გიტკენია, გოგო?

— არაფერი, ბები, სრულებით არაფერი! გინდა კიდო გადავიდე ყირაზე?

— ნუ სულელობ, ყირაზე ხტომა რა გოგოს საქმეა! აწი თხრას თავი დაანებე, მოთხრილების თავისმოყრაში მომეხმარე, სახლში წავიდეთ. გვეყოფა.

— ცოტას კიდევ მოვთხრი, ბები. ხომ იცი, ჩვენი კოცონი ყველაზე ძლიერი უნდა იყოს. როინი ძაან დამექადნა, მაგრამ ვაყურებიებ სეირს, ის რავა მაჯობებს, — სხაპასხუპით წარმოთქვა ირმამ და კვლავ დატრიალდა.

საღამოს, როცა მზე გორებს მოეფარა, ირმამ კეცის ნატეხით სახლიდან ნაკვერცხლები და ნაპირებდაჭყლეტილი სპილენძის მომცრო ტაშტი მოარბენინა.

ანუსი ცეცხლის გაჩაღებას შეუდგა, ხოლო ირმამ მოკლე კომბალი და ტაშტი მოიმარჯვა.

ნაკვერცხლების გაღვივებისთანავე კვამლის ზვინი აიმართა, მალე ეს ზვინი ანუსის ადრინდელი საჩიხტიკოპე ლეჩაქივით გაიშალა. შემდეგ ლეჩაქს აქა-იქ წითელი ზოლები აჰყვა, ზოლები თანდათან ზედმეტ-ნაკლებად გაფართოვდნენ, გამრავლდნენ და როცა ყველა ერთ დიდ ალად იქცა, ირმამ ფიცხლად ტაშტს კომბალი შემოჰკრა, ტაშტის ხმაურთან ერთად თეოფილეს გარემოდან შორიშორ გაისმა:

„აარული კუდიანებს,
თქვენი სვით და თქვენი ჭამეთ,
ჩვენსას ჯვარი დაგვიწერეთ...
ჩვენს ვენახში გოდრა-გოდრა,
სხვის ვენახში კიმპლა-კიმპლა".

გაჰკიოდა ირმა და ტაშტზე კომბლის ცემით ჭიაკოკონას ირგვლივ თავგამეტებით დარბოდა.

ირმასა და ანუსის მეზობლებმაც წაბაძეს, მეზობლებს კიდევ სხვებმა, და მალე სოფელი პატარა კოცონების შუქში გაეხვა.

ყველგან, კოცონების გარშემო, ბავშვები, მეტწილად ბიჭები, დარბოდნენ, ხან ცეცხლს ახტებოდნენ, არულსაც ირმასავით გაჰკიოდნენ, თან ტაშტებზე მთელი ძალღონით ჯოხებს ცემდნენ.

განსაკუთრებით როინი ეჯიბრებოდა ირმას, თუმცა კოცო-

ნი არ ენთო ირმასთანა, მაგრამ არულში კი ჯობნიდა.

ხანდახან ისე გამძაფრდებოდა ბავშვების კივილი და ტაშ-ტებისაგან გამოცემული ხმა, რომ შეშინებული ძაღლები უჩ-ვეულო ყეფას ტეხდნენ.

მარტო თეოფილეს ძმის, ხოსროს ეზოდან არ ისმოდა არული, თუმცა წესად ჰიაკოკონა მის ცოლს კესოსაც და-ენთო.

— რა ჯანდაბა აკივლებს ასე ცივი ხმით იმ გომბიოს! — შურით წარმოთქვა აივნის კუთხეში სკამლოგინზე წამოწო-ლილმა ხოსრომ.

— მეტი არ გაგიძლია, რავაც შენმა კივილმა მამაშენს ჭურები არ აუვსოს. არ გამიხვრიტა ყურები, ბეჩა! — ღვარ-ძლიანად დაუმატა მოაჯირზე დაყრდნობილმა კესომ და გა-დახედა თავის კოცონს, რომელიც, ირმას კოცონთან შედარე-ბით, საცოდავად ბჟუტავდა.

— მართალი უნდა თქვას კაცმა, თეოფილე უფრო ბედ-ნიერია ჩემზე. ის გოგო ისეთი გამოვა, რომ ბარე ორ ვაჟ-კაცს აჯობებს.

— კარგი მოუვა მის პატრონს, ყარგი ის იქნება.

— ჩვენ რომ არც კარგი გვყავს და არც გლახა!

კესომ არაფერი უპასუხა.

ცოტახნის შემდეგ ხოსრო ზანტად წამოდგა და ცოლის გვერდით გაჩერდა.

ხოსროს თვალწინ გადაეშალა გაღმა-გამოღმა ჰიაკოკო-ნებით გაბრდღიალებული და არულით ახმაურებული სოფე-ლი. სოფელი გაშენებული იყო გარსშემორტყმული მთების კალთებზე, გულზე პატარა მდინარე ჩაუდიოდა, რის გამო სოფლის მდებარეობა შუაზე გაპობილ დიდ გობს მოაგონებ-და კაცს.

მდინარის ნაპირებს, ორივ მხრივ, მთელს ოკრიბაში იშვი-ათი ნოყიერი, საკმაოდ ვრცელი საყანე ადგილები ეკრა. ეს მდინარე, მთების გაწყვეტილ რგოლში გაელის შემდეგ, ერთვოდა წყალწითელას, რომელსაც, აქეთა კედაროს, ტყი-ბულის რკინიგზა მიჰყვებოდა.

მდინარეზე რამდენიმე ალაგას გაეკეთებიათ ჩელტის ნი-

დები, რომელთა საშუალებით გაღმა-გამოღმელებს ხშირი მიმოსვლა ჰქონდათ ერთმანეთში.

ადრე დამდგარ გაზაფხულს თოვლი მაღალ მთებზედაც დაედნო, სოფელში უკვე თბილი სიო ჰქროდა.

ხოსროს ახლადაგებული წაბლის ოთხთვალიანი მშვენიერი ოდა ბექობზე იდგა, საიდანაც ყველაფერი თვალნათლივ მოჩანდა.

ისედაც გამჭვირვალე ღამეს კოცონების ალი ძალავდა და ხოსრო ახლო-მახლო ეზოებში მყოფთაც ცნობილობდა.

განსაკუთრებით გარკვევით არჩევდა თეოფილეს ნახევრად მიწურ სახლს, მის პატარა ეზოს, ცამდე ავარდნილი კოცონის ირგვლივ მარბენალ ირმას.

— გასაოცარია იმ დედაშენის საქმე, როცა ჩვენსა იყო, განძრევა ეზარებოდა, იქ კი მთელ დღეს ფუსფუსებს და ყველაფრით მოწადინებულია თეოფილეს ჩვენზე მეტი შეძინოს. ახლაც, ხედავ, რამხელა ცეცხლი დაუნთია?

ხოსრო ფიქრებში იყო გართული. ცოლის ნალაპარაკევისათვის ყურადღება არ მიუქცევია. ბოლოს თავისთვის გულნაკლულად წარმოთქვა:

— მთელ სოფელში მარტო ჩვენი ეზოა პარტახივით, რა შავქვად მინდა ეს სიმდიდრე, თუ კაცი ვერ გაიგებს ჩემს არსებობასა ან ვის უნდა დავუტოვოთ ამდენი ქონება!

— ნეტავი ვის ესაყვედურები, ღმერთს თუ შენივე თავს? — მქირდავად შეეკითხა კესო.

— სასაყვედურო ვინცაა, კარგად იცი!

— უი, ღმერთო მომკალი, იქნება, მე მაბრალებ შენს სიგლახეს!

— აბა, ვისი ბრალია, ქალო!

— ვისი? ვისი და შენი. კაცს სისხლი არ ვივარგოდეს, მე რა შუაში ვარ!

— მე კი არა, შენ ხარ გამოფიტული, თვარა...

— თვარა რა, ერთბაშად, სულ ბიჭები გეყოლებოდა, აი! არა, შენ თვალდამდგარო, ქალს კანი მისკდება და მაჭიკივით სისხლისაგან დაწრეტილებს მადარებ?

— არ მეყოლებოდა თუ! დიახაც მეყოლებოდა, შენ რომ ბერწი არ გამომდგომოდი. მე შენ გეტყვი, ჯანი მაკლია, ვაჟ-

კაცი არ ვარ! ჰაი გიდი-გედმანეს, თათარი ვიყო, მაშინ გან:ხ-ვებდი ჩემს ბიჭობას!

— გაჩუმდი, ტრაბახის მეტი არაფერი იცი, შე საცო-დავო!

— ნუ მაქეზებ, თვარა, ქალი სხვაც ბევრია და მართლა დაგიმტკიცებ, ვინცაა ბერწი.

კესოს უარესი უნდოდა ეთქვა, მაგრამ შეეშიხდა, ისეთი რომ არ წამოცდენოდა, რაც ხოსროს ეჭვს აღუძრავდა და სიტ-ყვა აუკრა:

— რამ აგტეხა, შე კაცო, რავა მაცდურივით შემომიჩნდი ამ მაზიარებელ ქალს და უხიაგ რამეზე ამდენს მალაპარაკებ. შენც კარგი ხარ და მეც, მარა, ალბათ, ღმერთს ასე სურს... შეიძლება, აწი გაგვიჩნდეს შვილი, რა დიდიხნის ცოლ-ქმარი ჩვენ ვართ!

დატკბა კესო და უნდოდა მაგალითად თავისი ბებია და-ესახელებია, რომელსაც, თურმე, ჯვარისწერიდან ათი წლის შემდეგ შეძენოდა პირველი შვილი შირიანი, მაგრამ ამ დროს როინის ჯიბრზე ირმამ ისე მკვახე ხმით შემოსძახა ირული, ისე ძლიერ აახმაურა ტაშტი, რომ ძმების სანაკილოსთან ტყემალზე კესოს შებუდრებული ქათმები ხაშინლად აკრიახ-დნენ, თანაც ერთი დამფრთხალი დედალი ქვასავით ძირს ჩამოვარდა.

მათ კრიახს ნაგაზიც აჰყვა და იქაურობა აფორიაქდა.

— ღმერთო, იკურთხა შენი სახელი, გაგიჟდა ეს გომბიო თუ რა ამბავია! სულ არ ამიწიოკა ქათმები! — ამ სიტყვებით კესომ მაშინვე კიბე სწრაფად ჩაირბინა. აიყვანა თუ ბრა ჩა-მოვარდნილი დედალი, ერთბაშად შეიცხადა:

— უი, დამიდგეს თვალი, ჩემი ახლად მოფსებული ქო-ჩორა არ ჩამოვარდნილა? ღმერთო, შენ გადაუშენე ირმაიას თავი მის პატრონს, რავაც ამან აწი სანაშენოდ აღარ ივარ-გოს! რამდი უნდა იკივლოს იმ გომბიომ ასე?

გაცეცხლდა კესო და ქათმიანად ირმას სახლის პირდაპირ ღობეს მიადგა:

— დაანებე თავი, სახლში მოდი, ადამიანო. ტყუილა თავს ნუ იცუცურაკებ! — ურჩია ხოსრომ, მაგრამ კესომ არ დაი-შალა და მკივანა ხმით გადასძახა:

— ეფროსინე, ეფროსინე!

ანუსი კოცონს ფიჩხს უმატებდა, ხოლო ირმა ისევ შეუსვენებლად განაგრძობდა არულს და ტაშტზე ჯოხის ცემას, რის გამო კესოს ძახილი დიდხანს არავის გაუგონია.

კესომ კვლავ გადაჰკივლა:

— ეფროსინე, ირმა, ეფროსინე!

ეფროსინე ვახშმის მზადებაში იყო გართული, უკვე კარგად გახურებული კეცები, რომ არ განელებოდა, ჭადის ცომს ჩქარა ზელდა.

იქვე, კერიასთან, სამფეხა სკამზე იჯდა ტყიბულიდან გვიან დაბრუნებული თეოფილე, რომელიც ყალიონს დაფიქრებული წევდა.

ძახილი პირველად თეოფილეს შეესმა და ცოლს უთხრა:

— გახედე, ბოშო, ვიღაც სტუმარია!

— დასწყევლოს ღმერთმა, ვინაა ნეტავი, ჭადების დაჯენა მაინც მომესწრო, საცაა კეცები ჩამიცვინდება!

ამ სიტყვებით ეფროსინემ ცომი ააგუნდავა და კარი გამოაღო:

— რომელი ბრძანდები?

— ქალო, წელკავიანივით რომ აყვირებთ იმ ბავშვს, მოძულებული გყავთ თუ რავაა თქვენი საქმე?

წელიწადზე მეტი იქნებოდა, რაც უბრად იყვნენ შილები, ამიტომ ეფროსინე ძლიერ გაოცებული დარჩა, როცა მომდურავის ხმა იცნო.

„მაზიარებელია, იქნება, ამიტომ უნდა გამომელაპარაკოს!“ — გაიფიქრა ეფროსინემ და რადგან თვითონაც არ სურდა ვინმეს უბარი ზიარებულიყო, რიდით შეეკითხა:

— რა იყო ბეჩა, დაგიშავა რამე თუ!

— რავა რა იყო, გაგვაყრუა, ქალო, გაგვაყრუა. ამას ვინ ჩივა, ქათმები გადამირია ამდენი კივილით, მაგი გადარია ციხის მაცხოვარმა. ერთი დამფრთხალი დედალი ძირს ჩამოვარდნილა და აგერ ხელში მაკვდება! ესაა კარგი?

ეფროსინეს იმდენად გერის დაწყევლა არ წყენია, მაგრამ მაინც ნიშნისმოგებით უპასუხა:

— მაგაზე დამდგარა ჩემი დარდი, ნეტავი სულაც გაგიწყდებოდეს!

— მაშ ასე, ხო, აწი მე მიყურე, რავაცხა უნდა მტრობა. შენთან არაფერი გაუვა ადამიანს, ისეთი წყეული მონაგარება გაქვს.

— რას მომხტომიხარ ამ შუაღამეზე, შე კახპა, ა! სახლში წაეთრიე, თვარა ქვით გაგიპობ მაგ ბატისტვინა თავს! — გაალმასდა ეფროსინეც.

კესომ უარესი უთხრა, ეფროსინემ კიდევ უფრო საწყენი სიტყვები ესროლა, შეიქნა კივილი, წყევლა და გაბახება.

აურზაურზე ცნობისმოყვარე მეზობლის ქალები ღობეებს ჩუმად მიადგნენ.

ირმამ და ანუსიმ საჩქაროდ მიატოვეს კოცონი. თეოფილეც გამოვიდა ცოლის დასაშოშმინებლად. შეამჩნია თუ არა კესომ თეოფილე, მაშინვე დაუტატანა:

— კარგი მოგვიდა, კარგი ცოლ-შვილის პატრონი შენ ხარ, მარა თვითონაც რომ არ უქნიხარ ღმერთს! როცა კაცი ცოლისაგან თავში საჩაჩქუნებელი გახდება, იმასთან მეზობლობას სულ უმეზობლობა ჯობია.

თეოფილე დიდად მომთმენი კაცი იყო, მაგრამ კესოს უკმეხობამ ისე გააბრაზა, რომ თავი ვეღარ შეიკავა და უკადრისად შესძახა:

— ხმა ჩაიწყვიტე, დედაკაცო, თვარა ძირში მიგაკრი მაგ გველის ენას!

— ხოსრო, ხოსრო, არ გესმის, კაცო, რაფერ ათრევენ შენს ცოლს? რას უდგიხარ მანდ! — შეჩივლა კესომ ქმარს და ხმიანი ტირილი მორთო.

ამ დროს მოსულიერებული დედალი ბავშვივით მოტირალ კესოს ხელიდან გაუსხლტა და თეოფილეს ეზოში კრიალხით გადაფრინდა.

აივნიდან ხოსრო პირდაპირ გადმოხტა. გამგელებული, ქადილით მივარდა ღობესთან:

— რა ამბავში ხარ, ვაუბატონო, მე შენ გაჩვენებ, რავა უნდა ქალთან ჩხუბი. აქეთ გამოიწი, თუ გულს გერჩის, ნაცარქექიასავით რომ იქადნები მაქედან! — დაიღრიალა ხოსრომ და ღობიდან სარი ამოაძრო.

თეოფილეს ეგონა, მოხტომას მიპირებსო და იქვე, სოხა-

ნეზე, ჯირკთან დაგდებულ ნაჯახს ხელი დააკლო, თან ხოსროს შეუტია:

— ღმერთი არ გაგიწყრეს, ფეხი არ გადმოდგა აქეთ, თვარა სააღდგომო კვერცხივით შეგილებავ მაგ თავ-პირს!

— ვის აშინებ. შე პირძაღლო, ა! — წამოიძახა ხოსრომ და ცალი ფეხი ღობეზე შედგა, მაგრამ აკიელებულმა კესომ ახალუხის კალთებში მაშინვე ხელები წაავლო.

აქეთ თეოფილეს ჩააფრინდა ეფროსინე. ანუსიც წინ გადაეღობა უფროს შვილს, თან უმწეოდ ბუტბუტებდა.

— რას მოვესწარი ამას, ასე რავა უნდა შეჭამონ ერთმანეთი ძმებმა, ვის გაუგონია ამნაირი რამე!

ამ დროს როინი მოვარდა და შიშისაგან გაქვავებულ ირმას გასამხნევებლად გვერდით დაუდგა.

— გამიშვი, მაგისი სისხლი დავლიო, მაგის, — იმუქრებოდა ხოსრო.

— ბიჭო, რამ შეგიცვალა ასე მხარი, მეზობლების მაინც არ გრცხვენია? — საცოდავათ შეკნავლა ანუსიამ ხოსროს.

— შენი ბრალია ყველაფერი, შე კუდიანო! — შვილის მაგიერ რძალმა გადმოძახა ისედაც გულდაკოდილ ანუსის.

— რაა ჩემი ბრალი, რას გიშავებთ მე უბედური, ქე მაინც ვიცოდე, ნეტავი! — უსასოოდ წაილუღლუღა მან და აქვითინდა.

ხოსრო კვლავ იწევდა ძმისკენ, მაგრამ მალე მეზობლები მოცვივდნენ და დიდი ვაივაგლახით, როგორც იქნა, ძმები თავიანთ სახლებში შეიყვანეს.

## II

თეოფილეს და ხოსროს ბავშვობაშიაც არ ჰქონიათ ძმური განწყობილება.

თეოფილეს ხშირად ანაღვლიანებდა ის გარემოება, რომ მშობლები მასზე უფრო ხოსროს ესიყვარულებოდნენ.

თეოფილეს ისიც კი უკვირდა, თუ რატომ მაინცდამაინც მას ასაქმებდნენ ყველაფერს, ხოლო ხოსროს ნებას აძლევდნენ მთელი დღე ეთამაშა და იავარად ერბინა.

თეოფილე სიყრმიდანვე გარჯაში იყო.

მამამისი, მიქელა, გვერდიდან არ იშორებდა: ხან ტყეში დაპყავდა, ხან ყანაში.

შინ ხომ სულ არ ჰქონდა მოსვენება — დედამისი, ანუსი, კუდში გამოიბამდა და გოგოსავით აკეთებინებდა ყველაფერს.

განებივრებული ხოსრო ამ დროს ან სარიკტაფელე ჯოხებს თლიდა, ან მშვილდ-კოდალათი ჩიტებს დადევდა, ხან, გაფაციცებული, ბუდეებს ეძებდა.

ხშირად ხოსროს, პატარა, ჭორფლიანი კვერცხებით სავსე ბუდე მოუტანია შინ.

ერთხელ ბუდიდან ახლად გადმოსხმული ორი გულჭრელა ბარტყი მოიყვანა და წნელისაგან მოწნულ გალიაში დაამწყვდია.

მალე გულსაკლავი ყივილით დედა ჩიტი მოფრინდა.

ხოსრომ ხან ქვა ესროლა, ხან მშვილდ-კოდალათი გამოუდგა, მაგრამ ვერც მოკლა და ვერც მოიშორა.

გამწარებული დედა ჩიტი ხიდან-ხეზე მოუსვენრად დაფრინავდა. ხანდახან ისე მწუხარედ მოთქვამდა, რომ მისმა საცოდაობამ თეოფილეს მოსვენება დაუკარგა.

ბარტყები გალიაში ფრთებდაცვენილი დაფოთხავდნენ, თან უცნაურად სხიოდნენ.

— გაუშვი, ბიქო, ეს ბარტყები, რად გინდა, მგალობელი ჩიტები ხომ არ არიან, უბრალო ჩიტებია, ვერც დახრდი შენ მაგათ!

ხოსრომ არც კი შეხედა თეოფილეს.

ერთბაშად დედა ჩიტის ხმა შეწყდა.

გახარებული ხოსრო ბარტყებისათვის თუთის მოსატანად გაიქცა.

სიჩქარისათვის ხეზე ასვლას ტოტების დარეკა ამჯობინა და ყვერი მოიმარჯვა.

ხოსრომ ფაცაფუცით აკრიფა მოლზე დაცვენილი თუთის მარცვლები. როცა ხამის პერანგის კალთაში თუთა ბლომად მოაგროვა, უკან სირბილითვე დაბრუნდა. პერანგის აკვალთული კალთიდან გამოყონილი წითელი თუთის წვენი შიშველ მუცელზე ზოლ-ზოლად დიოდა.

ხოსრომ სვეტზე დაკიდებულ გალიაზე დედა ჩიტი შეამჩნია. ჩიტს გალიის ღარალებში, წნელებს შუა, ნისკარტი

უხმოდ ჩაეყო, ქვევიდან კი ბარტყები დამშვიდებული ყივილით შეცქეროდნენ მას. ხოსრომ განიზრახა ჩიტის დაჭერა და გალიისაკენ ფეხაკრეფით გაეშურა, მაგრამ მიახლოვებისთანავე ჩიტმა იფრთქიალა და იქვე, თელის კენწეროზე ზრიალით შემოჯდა.

ხოსრომ თუთის ნაწილი გალიაში ჩაყარა, ხოლო დანარჩენი პეშვით თვითონ შეჭამა.

თუთის წვენით სახე მოზუზუნულ ხოსროს ახლა ბალი მოენატრა და ეზოს ბოლოსაკენ სტვენით გაიქცა.

ბარტყების დამკარგველი ჩიტი კვლავ გოდებდა.

თეოფილემ, რომელიც ჩერო'ში გიდელს წნავდა, ვეღარ გაუძლო მის მწუხარე ყღურტულს და ხოსროს ნამალავად ბარტყები ვენახში გადასხა.

უკან დაბრუნებულმა, ბალით ყელამდე გამძღარმა ხოსრომ დაინახა თუ არა ცარიელი გალია, გველისაგან შეშინებულივით, უჩვეულო კივილი მორთო, მერე მანამდე იზლუქუნა, სანამ დედას თეოფილე არ გაალახვინა.

როცა ძმები წამოიზარდნენ, მიქელამ გადაწყვიტა:

— ორი ვაჟი გვყავს, უფროსი ოჯახში მომხმარედ ვიყოლიოთ, უმცროსს რაიმე ხელობა ვასწავლოთ, — უთხრა ერთ დღეს ანუსის მან და შემოდგომაზე ხოსრო ქუთაისს წაიყვანა.

ორი წლის შემდეგ, ოხტად გამოწყობილი ხოსრო მშობლებს ეწვია.

დედას შავი დარაიის თავსაფარი მოუტანა, მამას საჩოხე შალი, ძმას ხანჯალი.

ეს იყო და ეს, მისგან მეტი ნრაფერი უნახავთ მათ.

როცა მეორედ ჩამოვიდა, ძმის ნამალავად, მშობლებს მთელი რამე რაღაცაზე ელაპარაკა და ეხვეწა.

მეორე დღეს თეოფილე განგებ დედულეთს გააგზავნეს.

დედულეთიდან დაბრუნებულს შინ აღარც ხოსრო დახვდა, აღარც ხარები.

თეოფილეს უსიამო ჟრუანტელმა დაუარა და მამას მოკვეთით ჰკითხა:

— სადაა ხოსრო, სადაა ხარები?

მამამ დაგვიანებით დაღერღილად უპასუხა:

— ხოსროია წავიდა, შვილო, ხარები გავატანე გასაყიდათ, თავისთვის დუქანს აღებს, სერმია ჭირდება.

თეოფილეს ფეხქვეშ მიწა შეერყა. ყურებმა უცნაურად დაუწყეს ჟუილი.

ანუსიმ შეატყო შვილს წყენა და დაყვავებით უთხრა:

— შე კაცო, ასე რაფერ გეწყინა, ხარები ხარებია. ახლა ზამთარია მაინც და რჩენა-მოვლის მეტს რას უნდა გამორჩენილიყავი. გაზაფხულამდე ჩალაც არ გვეყოფოდა. გაზაფხულზე ის ბიჭი ხარების ფულს სარგებლით დააბრუნებს და ქე იყიდით სამაგიერო ხარებს. უკეთესსაც, აბა რა, შენ გგონია, ხარების ფულს ხოსრო შეჭამს თუ! იმას რომ არღანი უყიდია, მარტო ის ღირს თურმე ათ უღელ ხარად. არ უნდოდა ჩვენი შეწუხება, მარა ცოტა მიაკლდა და დახმარება გვთხოვა! უარი გვეთქვა? მაგაზე მეტი საჯავრო ღმერთმა ნუ მოგცეს, შვილო!

თეოფილე უხმოდ გატრიალდა.

— არ მეგონა, თუ ასე დაწყდებოდა გული. ვაი თუ ხოსრომ დანაპირი ვერ შეასრულოს და სულ უხაროდ დავრჩეთ. ხომ დავიღუპებით მაშინ! — ცოტახნის შემდეგ დაფიქრებით წარმოთქვა მიქელამ.

— რა ვიცი, ისე რავა წაუხდება საქმე, თავნი მაინც ვერ ამოიგოს, — დაეჭვებით ჩაილაპარაკა ანუსიმაც.

— ვაჭრობა ლატარიაა ვინ იცის!

— შე კაცო, ამდენი თუ გესმოდა, ქე რას დაყაბულდი.

— ამ ბიჭისთვის მაინც გვეკითხა. ვერ მოგვივიდა კარგად! — კვლავ ნაღვლიანად წარმოთქვა მიქელამ და დაქეჟილი ადგა.

მიქელას იჭვი გამართლდა:

ხოსრო არ გაკოტრებულა, მაგრამ მშობლები კი დააღალატა.

ქუთაისს რამდენჯერმე შვილთან ჩასული მიქელა ყოველთვის წელმოწყვეტილი დაბრუნებულა.

ხვნა-თესვის ალო დგებოდა. მიქელა ისე იყო დაბნეული, რომ ვენახში მუშაობასაც ვეღარ ახერხებდა.

ისევ თეოფილე დატრიალდა — ხან ერთ მეზობელს შეურჩია დრო, ხან მეორეს და ნათხოვარი ხარებით ყანები

დახნა. სამაგიეროდ ზოგს ზედმეტად ვენახის სხვლაზე მოეხ-მარა, ზოგს ტყიდან შეშის მოტანაში, ზოგს კიდევ სიმინდის მარგვლა-გამოროდებაში მეხადობა აღუთქვა.

იმავე წლის შემოდგომაზე თეოფილეს ქალი შერთეს — მიქელამ ღარიბული, მაგრამ ლამაზი, ტკბილი ქორწილი გა-დაუხადა უფროს შვილს.

მაიკოს კარგი მზითვი მოჰყვა. არც შეხედულებით ჩამორ-ჩებოდა სხვა პატარძლებს.

ხოსრომ ძმას არღნიანი სარკე უსახსოვრა, რამაც მექორ-წილენი აღტაცებაში მოიყვანა.

მომღერალი სარკის ამბავი მთელ სოფელს მოედვა.

ქორწილის შემდეგ შორეული მეზობლებიც კი მიდიოდ-ნენ მის მოსასმენად.

განსაკუთრებით ბავშვები არ შორდებოდნენ იქაურობას.

ერთი კვირის განმავლობაში სარკე განუწყვეტლივ უკრავ-და, მაგრამ მალე ვერასგზით ხმა ვერ ამოაღებინეს.

— ნუ გეშინიათ, ხოსროა მაგისი ექიმი! — ახუგეშა მიქე-ლამ შეწუხებული რძალ-დედამთილი, და იმავე დღეს დიდი სიფრთხილით სარკე ქუთაისს წაიღო.

## III

მაიკო დღე-დღეზე ელოდა მოლოგინებას. ანუსი მთელი დღე უკან დასდევდა, რომ რამე მძიმე არ აეწია ან არ შე-შინებოდა.

— იქნებ, გენატრება რამე, მითხარი, ქალო! — ტკბილად და დაბალი ხმით ეუბნებოდა თეოფილე.

— ჩაი ხომ არ გინდა, შვილო? — ეკითხებოდა მიქელა.

ყველანი ზედმეტად უფრთხილდებოდნენ მაიკოს.

— ბოშო, არსად წახვიდე, ქალს თვალი არ მოაშორო, არაფერი მოიწიოს, ყური უგდე, მე მარჩიელთან გავიქცევი, გავიგებ, ხომ მშვიდობით ლოგინობა ექნება. ბიჭი რომ ეყო-ლება, ქე ვიცი, ისეთი მუცელი აქვს, მარა ამის შესახებაც ვამკითხავებინებ, — უთხრა ერთ კვირას ანუსიმ ქმარს და თავშლის ცალ ყურეში გახვეული ყვინჩილით გაუდგა გზას.

ყვინჩილას მარტო თავი უჩანდა და ხანდახან თავშალის ფოჩს კორტნიდა.

— შე სატურე, თავშალი არ დამიხიო, თვარა წაგაწყვეტავ მაგ თავს! — წაილაპარაკებდა ხანდახან ანუსი და ყვინჩილას ნისკარტს დაუჭერდა.

ანუსი ფრენით დაბრუნდა. მოსვლისთანავე რძალს აკოცა:

— ბიჭი იქნება, ბიჭი, იოლადაც მოილოგინებ, ვენაცვალე შენს გამზრდელს.

თეოფილეს იმ დღეს სამხრე გოდორით ვაშლი ჰქონდა წაღებული ქუთაისს და გვიან დაბრუნდა, მაგრამ მკითხავის წინასწარმეტყველებით გახარებული, დაღლილობას სრულიად აღარ გრძნობდა.

„ბიჭის მამა ვიქნები, ალბათ, მე მემგვანება. უსათუოდ ვასწავლი, მიწიდან აღარაფერი ხეირია. რაც დრო გავა, უსწავლელი კაცისათვის ცხოვრება უფრო გაჭირდება. ან მღვდლად გავხდი, ან სუდიათ, ორივეს კაი გამორჩენა აქვს", — ფიქრობდა თეოფილე და ცოლს ორკეცი სიყვარულით გადახედავდა ხოლმე.

დერეფანში ანუსი და მიქელაც დიდხანს ისხდნენ და ლაპარაკობდნენ მომავალი შვილიშვილის შესახებ.

მარიამობისთვის სავსე და ბაკმიანი მთვარე მთელ სოფელს დღესავით ანათებდა.

— რაკარც ფეხს აიდგამს, ჩოხა-ახალუხს შევუკერავ, — ამბობდა მიქელა და თან ჩოხა-ახალუხში გამოწყობილ ბიჭს ენას უჩლექდა:

— ბაბუ, მოდი ერთი ყალიონისთვის ნაკვერცხალი მომიტანე! დავუძახებ და მაშინვე მომირბენინებს. მერე რა ტკბილი იქნება მისი ხელით მოტანილი ნაკვერცხლით გაჩაღებული ყალიონი, იფ! — წარმოთქვა მიქელამ და მოსალოდნელი სიამით ყალიონი მოსწია.

— მე კი ჯანჯუხებს და ტკბილისკვერს არ გამოვულევ ჩემს ბიჭიკოს. ზამთრისათვის ისეთ ჭრელყელა წინდებს მოვუქსოვ, რომ სულ ღაბოსავით ჰქონდეს ფეხები, ენაცვალოს იმას ბებია!

— კი მარა, რა უნდა დავარქვათ, ა? — სერიოზულად იკითხა მიქელამ.

— სახელების მეტი რაა, შე კაცო. რომელიც კარგი იყოს, ის დავარქვათ!

— რომელია, მერე, კარგი, ხო უნდა ამოვარჩიოთ!

— მე ნიკიფორე მომწონს, კარგი სახელია!

— კარგი მოგივიდა შენ! მაგას რავა დავარქმევ ბავშვს!

— აბა, შენ თქვი უკეთესი, ყველაფრის დაწუნება რომ იცი!

მიქელა დაფიქრდა:

— ოქროპირა! ჩვენი მღვდლის შვილის სახელი; ისიც სამღვდლოდ ემზადება, კარგი ბიჭიცაა, მარა სეხნიაც კარგი ეყოლება!

— უი, შენ შემოგივიდა გულზე, რა სახელია, ბოშო, ეს, ნწუ!

— რატომ ხარ, ქალო, ასე გაუგონებელი. რავა, ჩვენ მღვდელს ყველა სახელები წიგნში უწერია და გლახა სახელს დაარქმევდა თავის შვილს?

— შეიძლება კარგიც იყოს, მარა მე არ მომწონს, მაგას ცხონებული მამაჩემის სახელი ჯობია!

— ლუკაია? ხა, ხა, ხა, — მჭირდავად გაიცინა მიქელამ.

— შენმა თავისტეხამ, მამაშენის სახელი უფრო კარგია, აპა! — გაგულისდა ანუსი.

— დიახაც კარგია. სად ლუკაია და სად დავითი. ჩვენი გელათი ვისი აგებულია, თუ იცი? დავით აღმაშენებელმა არ ააშენა? მას ადარებ მამაშენს, რავა არ გრცხვენია, ქალო!

— იმას კი არა, მამაშენს ვადარებ! მაგაზე თუ წავა საქმე, არც ერთი წირვა არ იქნება ისე, რომ მღვდელმა და დიაკონმა ლუკაია არ ახსენონ! მთელი სახარება წმინდა ლუკაიას გამოთქმული არაა?

ალბათ, მოხუცებულებს ჩხუბიც მოუვიდოდათ სახელების რჩევა-რჩევაში, მაგრამ ამ დროს ოთახიდან თეოფილე თოფნაკრავივით გამოვარდა:

— მაიკო წუხს, მიშველეთ! — წამოიძახა და ისევ ოთახში შეიჭრა.

— არიქა, გაიქეცი ბებიასთან, მალე, რავა ბურკულობ, შე საცოდავო, ჩქარა, ქენი! — შეუძახა ანუსიმ მიქელას და ისიც ოთახში შევარდა.

მაიკოს ტკივილმა უმატა, მალე კივილი დაიწყო. ანუსიმ სასწრაფოდ მოამზადა ყველაფერი და რძალი მკლავზე დაიწვინა. თეოფილე ცახცახმა აიტანა. ამასობაში მიქელა და

ბებიაქალიც მოვიდნენ. მათ რამდენიმე მეზობელი ქალი მოჰყვა და შეიქმნა ფუსფუსი.

— რა თქვენი საქმეა ასეთი ამბის ყურება! — დატუქსვით წარმოთქვა ბებიამ და კაცები სამზად სახლში გადენა.

მაიკო თანდათან ცივი ხმით ჰკიოდა, რაც თეოფილეს გულზე ლურსმანივით ეჭდობოდა. ბოლოს ვეღარ გაუძლო ცოლის ვაებას და გარეთ გავიდა.

— ღმერთო, შენ გადამირჩინე ჩემი...

ვედრება მიქელამ შეაწყვეტინა:

— მორჩა, მორჩა. ა, თოფი ისროლე მალე! — განათებული სახით უთხრა შვილს მიქელამ და ერთი კვირის წინ გატენილი საჩიტე თოფი მიაწოდა. თვითონ ისევ შინ შევიდა. აკანკალებული ხელით თეოფილემ ლულა მთვარეს მიუშვირა და თოფის ხმა მთებმაც გაიმეორეს.

სადღაც შეშინებული ძაღლი აყეფდა.

შინ შებრუნებულ თეოფილეს მიქელა წელმოწყვეტილი დახვდა.

— რა იყო, მამა, ქალს უჭირს რამე თუ?

მიქელა იქვე სამფეხა სკამზე დაჯდა და ძლივს წაილუღლუღა:

— არა, შევცდი, გოგო ყოფილა!

## IV

მაიკოს მშობიარობა იოლი ჰქონდა, მაგრამ ფეხზე წამოდგომა კი გაუჭირდა.

რაც დრო გადიოდა, რძე თანდათან უშრებოდა და თვითონაც სუსტდებოდა.

მაიკომ ერთხელ დედამთილს მუცლის ტკივილი შეჩივლა.

— არაფერია, ქალო, ცხელ კეცს დაგადებ და გაგივლის, — დააიმედა ანუსიმ.

დაამების ნაცვლად მაიკოს ტკივილი ემატებოდა. აღარც მადა ჰქონდა, აღარც ბავშვის მოვლის თავი, უჭმელობით ბავშვი დღე და ღამე ტიროდა.

ანუსი შეაფიქრიანა რძლის მდგომარეობამ.

— რა უბედურებაა ჩვენს თავს, ეს მოწიფული ქალი რავა სანთელივით გვადნება ხელში, ბავშვიც რომ ხორცს არ

იბამს? — უთხრა ერთ დღეს ანუსიმ ქმარს და თვითონვე დაასკვნა:

— ნამდვილად გაგვითვალა ვინცხამ! რატომ აქამდის ვერ მივხვდი მე სამიწე!

ანუსიმ იმავე დღეს მლოცველ ქალებს მოუხმო, მაგრამ მაიკოს უკეთობა არ დაეტყო.

— წავიყვანოთ ქუთაისში, თვარა, საცაა, ქალს სული ამოძვრება, — უთხრა შეწუხებულმა თეოფილემ მშობლებს.

— დოხტურებმა ბევრი იციან, ძაან გათვალულია და იმიტომ უჭირს მომჯობინება. ხვალ ადრიანად მანდიკორში გადავალ და დაღუნდარიძის ქალს გადმოვიყვან. იმისთანა შემლოცავი ამ ოკრიბაში მეორე არაა, რანაირი გათვალულიც არ უნდა იყოს, უსათუოდ მოარჩენს. ლოცვის გარდა მკითხაობა და წამალიც იშვიათი იცის. შენ ჯავრი ნუ გაქვს, უავადმყოფო ჩიტი არაა, შე კაცო!

მართლაც, ანუსიმ მეორე დღეს დიდის ამბით მოიყვანა დაღუნდარიძის ქალი, რომელსაც ყაპო ჩინჩახვივით ეკიდა და სახე თავისივე შავი კაბის სათავესავით ჰქონდა დანაოჭებული.

დაღუნდარიძის ქალმა ცოტა ხხის შესვენების შემდეგ ორადლიანი, ჭრელი, ფოჩებიანი სარტყელი მოიხსნა, თან ჯიბიდან შავტარიანი დანა ამოიღო და ანუსის ნახშირი მოთხოვა.

როცა ყველაფერი მოიმარაგა, სარტყელი დამტკავლა, მაიკო ლოგინში წამოაჯინა და წელზე შემოარტყა. შემდეგ ნახშირი და დანა ავადმყოფს თავზე რამდენჯერმე შემოავლო და დაიწყო ჩიფჩიფი;

ალისასი მალისასა,
შეგილოცავ თვალისასა...
შინაურისასა, გარეულისასა,
ქორი გახტა ქანდარასა,
დედალი საბუდარასა.
გულო, მოდი საგულესა,
გულო, ნუ შეგეშინდება!

ანუსი და ცნობისმოყვარე მეზობლის ქალები გასუსულნი ადევნებდნენ თვალს შემლოცველს.

ერთ მეძუძურ ქალს მაიკოს ბავშვი ეჭირა.

შემლოცველი შაშვის ბარტყივით აფჩენდა პირს და თანდათან ძლიერ ამთქნარებდა. ხანდახან თავისთვის, მაგრამ სხვების გასაგონად იტყოდა:

— დედა, დედა, რა თვალსაკრავია, თქვენი ჭირიმე! ღრანჭები დამემტვრა.

დროგამოშვებით, აგრეთვე, ნახშირს ჩამოთლიდა, ჩამონათალს სულს შეუბერავდა.

როცა ლოცვას მორჩა, მაიკოს სარტყელი მოხსნა და დამტკავლა, მაგრამ სარტყელი წინანდელზე ნახევარი ციდით მეტი აღმოჩნდა.

— უიმე, ასეთი გათვალული ჩემს დღეში არ მინახავს — გაიოცა მან და ანუსის მიმართა:

— ვიღაცაა, სწორედ თქვენი ამოგდება უნდა, ეტყობა, თვალი ძაან უპრის იმ წყეულს, მარა მალე მოვტეხავ ღოჯს!

შემდეგ სარტყელი მაიკოს კვლავ შემოარტყა და განმეორებით შეუდგა ლოცვას. სარტყელმა მეორედ თავის ზომას მარტო ერთი გოჯით გადაამეტა. იქ მყოფთ ფერი ეცვალათ. დაღუნდარიძის ქალის ლოცვა, მთქნარება, ნახშირის ნათლეების განიავება და სარტყელის ზომვა მათში თანდათან შიშს იწვევდა.

— მალე ვძლევ ღვთის წყალობით! — წარმოთქვა შემლოცველმა და მესამედ შემოარტყა სარტყელი ავადმყოფს, რომელიც წაქცევისაგან თავს ძლივს იკავებდა, ისე დაიღალა.

დაღუნდარიძემ მთქნარება უკლო. როცა შელოცვას მორჩა, ავადმყოფს სარტყელი მოხსნა და მის დამტკავლას ოსტატურად შეუდგა: დაძარღვულ, გამხმარ თითებს ისე შლიდა, რომ სარტყელი მეტ-ნაკლები არ გამოსულიყო.

— აი, ხომ ხედავთ, პირველად რომ შემოვარტყი, სწორედ მისი ტოლა გახდა. ძაან გამიჭირდა, მარა მაინც ვძლიე, ჩემს შელოცვას რომელი ავთვალის ჯადო გაუძლებს. დაწექი, ბიცოლა, დაისვენე, აწი არაფერი გიჭირს, — წარმოთქვა მან და ადგა.

მაიკო მკვდარცოცხალი დაწვა.

— შენს ენას ვენაცვალე, თუ მაგას მომირჩენ, შენ იქნები ჩვენი სატი და სამუდამოდ გემსახურებით! — საწყალმა მიმართა ანუსიმ.

— მაგისთანები მომირჩენია? მუცლის ტკივილის წამალსაც დავუმზადებ და მეტი არაფერი უნდა, წყაროსავით წამოვა.

— ქეც უნდა მიმარჩიელო კიდო, შენ შემოგევლე, კი, უნდა მანიშნო, ვინცხაა ჩვენი დამაქცევარი!

— მომათქმევინე, შე ქალო, სული. აბა, თუ არ გირჩიე, ისე რავა წავალ!

— დაისვენეთ, ჩემო ქალბატონო, თუ გნებავთ, აგერ წამოწექით ტახტზე, ყველაფერი სუფთაა.

დაღუნდარიძის ქალი წამოწვა. ანუსიმ მოიბოდიშა და გარეთ გავიდა. სახლის წინ მოწრიალე მიქელა მაშინვე დაბალი ხმით შეეკითხა:

— რა თქვა, ქალო!

— ნუღა მკითხავ. დედა, რა ყოფილა, რა ყოფილა! რატომ აქამდე არ მოვიყვანე, რამ შეგვკრა ასე.

— რაო, აღარ იტყვი?

— ძაან გათვალულიაო, ვინცხაა, თქვენი ამოგდება უნდაო, აპა. ახლა უნდა ვაკითხიო და თუ მიმაგნებია მის კვალს, გადაუწვავს არ გავუშვებ. დაწვრილებით მერე გეტყვი. ახლა წადი, ერთი დოქი თავი ღვინო ამოიღე, კალათში ყველაფერი ჩალაგებულია, დღეს აქ კი არ მოიცდის, უნდა წაყვე და ძღვენიც თან წაუღო. ძღვენს ვერ დამიწუნებს, მარა ათი შაურის მეტი რომ არ გვაქვს!

— მეორედ მეტს მივცემთ. რავა, ძღვენი ფული არ ღირს!

— კიდო ღმერთმა ნუ დაგვაჭირვოს, რას ამბობ; წამალს რომ გაგიმზადებს, ფული მაშინ მიეცი, თუ იცოტაოს, შეპირდი, რას უზამ! წამალი კი წამოიღე, — დაარიგა ქმარი ანუსიმ და შინ შეტრიალდა.

დაღუნდარიძის ქალი და ანუსი მეორე, სამზად ოთახში გავიდნენ.

სუფთა საინზე დასხმულ წყალში მარჩიელმა მაიკოს ბეჭედი ჩააგდო და გამახვილებული თვალით ცქერა დაუწყო. ბევრი რამე უთხრა ანუსის, მაგრამ ავთვალიანის ვინაობა დაბეჭითებით ვერ ანიშნა.

— მემალება, მარა, როცა იქნება, მივაგნებ. გათვალულთან ერთად ქალს ნადისი მოდევს, ციხიის მაცხოვარი უნიშნო მოზვერს ითხოვს, — წარმოთქვა ბოლოს და მარჩიელობა

შეწყვიტა, თან დუმატა: შესაწირავს ნული დააგვიანებთ, უამისოდ ავადმყოფს არც ჩემი შელოცვა არგებს და არც წამალი. დასალევ წამალს დღესვე გამოვატან გამყოლს. იმ კვირაში ამბავი შემატყობინე და ავთვალისაგან დასაცავ წამალსაც დაგიმზადებ, შავ ჭინჭში სამყურად გამოკრულს, ეს წამალი ქალს პერანგზე ღლიავთან დაუკერე, ხოლო ბავშვს მაჯაზე შეაბი შავი ყაითნით. ხომ გაიგონე, ასე ჩემო ანუსი, როგორც დაგარიგე, ისე მოიქეცი და ეშმაკი ვერაფერს დაგაკლებთ.

ამ სიტყვებით მარჩიელი და ანუსი ავადმყოფთან გამოვიდნენ.

— ჩაძინებია! არ გააღვიძოთ. აი, რავა ხელად უშვა ხელი იმ წყეულმა, — საიდუმლოებით მოცული ხმით წარმოთქვა მარჩიელმა და თავშალი მოიხურა, შემდეგ ჯოხზე დაბჯენილი გარეთ ნელა გავიდა.

ანუსი პატიჟით გაჰყვა:

— დარჩენილიყავით ამაღამ, საკადრისად მოგასვენებდით, შვილებს გეფიცებით.

— არა, შენ გენაცვალე, რას ბრძანებ; ვინ იცის, ახლა საიდან მოსულები მელოდებიან შინ. მათი ცოდვით აქ რა გამაჩერებს.

სიძველისაგან წაფერდებულ მარნის კარებთან ატუზულ მიქელას გარეთ გამოსვლისთანავე ანუსიმ მიაძახა:

— აპა, ჩქარა, კაცო, რაღაი აღარ იცდის, ქე მაინც, ნუღა დავაგვიანებთ.

მიქელა მაშინვე კალათით და დოქით მარჩიელს უკან გამოუდგა.

დაღუნდარიძის წასვლის შემდეგ მაიკოს ცივმა ოფლმა დაასხა. როცა თვალი გაახილა, მუცელში ბასრი დანის გასობა იგრძნო. მაიკო ტკივილისაგან პირუტყვივით აზმუილდა.

მთელ დღეს ტყეში ნამუშევარმა თეოფილემ მასთან ერთად თეთრად გაათენა ღამე.

დილას მიქელამ ნავალევი ფულით რგუნაში უნიშნო მოზვერი იყიდა და მოიყვანა.

მესამე დღეს, ალიონზე, მიქელა უბრად ადგა, მოზვერის

რქებზე თაფლის სანთლები დაანთო და ავადმყოფ რძალსა და ბავშვს სამჯერ გარს შემოავლო.

მიქელამ უბრადვე წაიყვანა ზვარაკი.

მზის ჩასვლისას ციხიიდან დაბრუნებულ მიქელას ეზოს ბოლოში მოესმა ანუსის გამწარებული კივილი და მუხლები მოეკვეთა.

V

ხოსრომ სამიკიტნო რესტორნად აქცია. ძველ მღებავს დიდი აბრა გააკეთებინა.

აბრაზე ოქროს ასოებით ეწერა:

„ნოეს ვაზი".

წარწერის ერთ მხარეს ეხატა ჩიხტიკოპიანი ახალგაზრდა ქალი, რომელიც ფოთლოვან ვაზიდან მტევანს წყვეტდა, იმავე დროს მალული ღიმილით გაცქეროდა მეორე მხარეს დახატულ ვაეს.

მაგრამ ვაეი, რომელიც ხოსროს ჰგავდა და მასავით საგარეო ჩოხა-ახალუხში იყო გამოწყობილი, რატომღაც, პირდაპირ, თავისთვის იცქირებოდა და ქალისაკენ მხოლოდ ღვინით სავსე ყანწი ჰქონდა გაწვდილი.

რესტორანის ცალი კარის თეთრად შეღებილ მინაზე წაწვენილი ჭრელი ასოებით ეწერა — Входъ, ხოლო ფანჯრების მინებზე ეხატა მრგვალად შემწვარი დედალი, გოჭი და მწვანილი, დახლის პირდაპირ სუფთა მინებიდან კი მოჩანდა ნამდვილი სანოვაგე.

შიგნით რესტორანი შნოიანად იყო მორთული.

ხოსროს ღვინოც იშვიათი ჰქონდა, ამიტომ მუშტრები გამოულევლად ჰყავდა.

„ნოეს ვაზში" უმთავრესად ქეიფობდნენ პურ-მარილის მოყვარული ინტელიგენტები, ადრე დავაჟკაცებული და სასწავლებლიდან გამორიცხული მოწაფეები, გახამებულ საყელოებში კ[illegible]ურგაშეშებული და აჭრელებულ ტანისამოსში გამოკოხტავებული ნოქრები, უფრო ხშირად კი რესტორანიდან მოისმოდა ყელსალამურა თავადაზნაურების სიმღერა.

ხოსრო საკმაოდ დაიგეშა — ყველა წრეში გაიჩინა ახლო ნაცნობი.

ის მეგობრადაც კი თვლიდა რამდენიმე ნოქარს, რომელთა დემოკრატობა თებერვლის რევოლუციის შემდეგ გაიგო და მათი მეგობრობა გამოადგა.

ხოსრო ყველას მომეტებული თავაზით ეგებებოდა, თუმცა ამავე დროს ძულდა მონისიავე მუშტრები. მაგრამ ქესატად დარჩენილ თავადაზნაურებს ზოგჯერ უარის თქმას ვერ უბედავდა. ამიტომ იძულებული გახდა სანისიო დავთარიც შეეძინა.

დავთარი მალე სიგელს დაემსგავსა, სადაც ჩამოთვლილი იყო თითქმის ყველა უძველესი და ისტორიაში ცნობილი გვარი, რომელთა ახლანდელ მატარებელთ წინაპრები ძსოლოდ ხოსროს რესტორანში აგონდებოდათ და მჭევრმეტყველურადაც ტრაბახობდნენ მათი ამაგით.

რესტორანში მოხერხებულ ადგილას ახალთახალი კედლის არღანი იდგა. კედლის არღანი ქუთაისში მარტო ხოსროს ჰქონდა, მაგრამ შემთვრალ სტუმრებს უფრო მოწონდათ „მიხეილა ურიას“ გარმონი, მისი სიმღერა. მიხეილა განსაკუთრებით ნოქრების და სხვა მდაბიოთა მომლხენი იყო. თავადაზნაურები მაშინ დაუძახებდნენ მიხეილას, როცა თან დანიელა არ ახლდათ და თავიანთი სიმღერა მოწყინდებოდათ.

დანიელას კი იშვიათად ეცალა რესტორნებში სასიმღეროდ, რადგან უიმისოდ არცერთი ხეირიანი თავადი ან აზნაური არ გამართავდა საოჯახო ლხინს, ქორწილს და დღეობას.

ამიტომ ჰქონდა ხოსროს რესტორანში ფასი მიხეილას, რომელიც უქმე დღეებში შეუსვენებლად წელავდა თავის მომცრო გარმონს და თან ზედ ამღერებდა:

„ნოვრასიის პარახოდი
ადესაში ბრუნდება,
ჩემი მონაგები ფული
სულ გოგოებს უნდება.
...დარირირი, თქვენი გამარჯვებისა“.

ქუთაისში პარასკეობით ჩასულ სოფლელებს ახალახალი ამბები მიჰქონდათ ხოსროს გამდიდრების შესახებ.

ზოგიერთები გაზვიადებით ლაპარაკობდნენ ხოსროზე, რომელიც მათგან ჭყინტ ყველს, გოჭებსა და მოჩეთებს ყი-

დულობდა, თან თითო ჭიქა ღვინით თავს ალოცვინებდა თავისი კუთხის კაცებს.

— არაფერი გამორჩენა არა აქვს, გენაცვალე, თავს იყოლიებს მხოლოდ. თქვენც მოგეხსენებათ ყმაწვილის ამბავი, ფული უფაიდოდ ეხარჯება, — ამბობდა ანუსი.

— დიდ კაცებშია გარეული. ყოველდღე წარჩინებული სტუმრები ჰყავს. მისი მოგება მათ პატივისცემას უნდება, — ნაძალადევი სიამაყით ამბობდა მიქელა.

— რას იზამ, განათლებულ ცხოვრებას მეტი ხარჯი მოდევს, — კვერს უკრავდნენ მოსაუბრენი.

მიქელა და ანუსი განგებ ლაპარაკობდნენ ასე მეზობლებში, თორემ გულში შვილს ესაყვედურებოდნენ უყურადღებობისათვის, რადგან მისი გამდიდრება არც ოჯახს და არც მათ დატყობია.

ხოსროს სახელი პირველხანებში მთელ ოკრიბას პირზე ეკერა. დავიწყებული, შორეული ნათესავებიც ამაყობდნენ მისი მოყვრობით და ანახლებდნენ მირონს.

ხოსრო იშვიათად ადიოდა სოფელში. ყოველ ასვლისას საგანგებოდ მოირთვებოდა. თუ რესტორანში მუშტრებს თვალში შესცქეროდა, სამაგიეროდ სოფელში გამორჩევით ეჭირა თავი.

ხოსრომ განსაკუთრებით ერთ გიორგობას გააკვირვა სოფელი. ამ დღესასწაულისათვის ადრე შეუდგა მზადებას. ქუთაისში განთქმულ მეცხენე შაფათასაგან იქირავა საუკეთესო ლაფშა და წინადღით, საღამოს, სოფლისაკენ დაუჭირა აღვირი. გიორგობა დღეს წირვაზე ყასიდად დაიგვიანა.

მიქელამ წირვის თავიდან მოყურებას, სანაქებო შვილთან ერთად ეკლესიაში წასვლა არჩია, და ვიდრე ხოსრო მოირთვებოდა, თეოფილეს მოეხმარა საოჯახო საქმეებში. შემდეგ თეოფილემაც მოიცვა ჩოხა და ახლადნათხოვი მეორე ცოლით, მისი მშობლებით და ადრე მოსულ სტუმრებიანად ხოსროს გაჰყვა. ანუსი ობოლი პატარა ირმათი შინ დარჩა.

ეკლესიაში პირველად ხოსრო შევიდა.

მის დანახვაზე მლოცველები ერთბაშად შუაზე გაიყო — ხოსროს გზა დაუთმეს. ის ნელი ნაბიჯით გაემართა საკურ-

თხევლისაკენ. იმ ადგილას, სადაც ჩვეულებრივად აზნაურები იდგნენ, ყველაზე წინ გაჩერდა.

აზნაურებს არ ესიამოვნათ ხოსროს კადნიერება, ის მზაკვრულად თავიდან ფეხამდე აათვალ-ჩაათვალიერეს. მაგრამ ოქროს წყალში ამოვლებულმა ხოსროს ვერცხლის ხანჯალმა და სადაევემოვარაყებულმა ლეკურმა მალე გატეხა მათი იხტიბარი. გახუნებულ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი აზნაურები შურით გაიმსჭვალნენ. ხოსროს გარეგნობამ თანდათან მათში მოწიწებაც გამოიწვია, რასაც არ იმჩნევდნენ, და თუ ხოსროს მოსვლამდე მაინცდამაინც სხვებისაგან განსხვავებულად არ გრძნობდნენ თავს, ახლა მალი-მალ დაიწყეს შეძველებული ქამარ-ხანჯლის სწორება და ულვაშების გრეხა.

განსაკუთრებით ხოსროს თავხედობა არ ეპაშნიკა მირიან მხეიძეს, რომელიც საგიორგობოდ სტუმრად იყო მოსული ბობოთიდან და რომლის ჩაცმა-დახურვა, მოლხენა და გაბედულება ერთ დროს ბევრს ენატრებოდა.

მაგრამ ბოლო წლებში ისე წაუვიდა საქმე, რომ მისი ჩოხა ახლა ჯვალოს ტომარას ჰგავდა, ხოლო მესტების ნაცვლად უბრალო პაიჭები და დაკერებული წუღები ეცვა.

მლოცველები კისრებდაგრძელებულნი უცქერდნენ ხოსროს, რომელიც ხანგამოშვებით პირჯვარს ისე ისახავდა, რომ მისი ბეჭდებიანი თითები ყველას დაენახა.

დიაკონმაც, რომელსაც თეთრი წვერი მარტო ნიკაპს უფარავდა, დიდხანს ვერ მოაშორა თვალი ხოსროს. გაოცებულმა მღვდლის საპასუხო სიტყვები არევით და არასაგალობელი კილოთი წარმოთქვა, მაგრამ შეცდომა მალე გამოასწორა და სცადა ადრინდელზე უფრო ძლიერი, საამო ხმა გამოეჩინა.

კიმოთე მღვდელმა საკურთხევლიდან შეასწრო თვალი ხოსროს, მაგრამ ვერ იცნო და უცხოსთან თავის მოსაწონებლად, მნათეს გადაუფუჩუნა — საცეცხლურში საკმეველი ბლომად ჩაეყარა. შემდეგ საღაღადებელი მკვეთრად ჩამარცვლა. საღაღადებლის წარმოთქმისთანავე მნათეს საცეცხლური ჩამოართვა და მლოცველებისაკენ დინჯად წამოვიდა.

კიმოთე ჩია კაცი იყო, მამის ნაქონი ოლარი ფეხის ტერფებამდე წვდებოდა. ოლარს გულისპირიც ისე ფართო ჰქონდა, რომ მხრებით ძლივს იკავებდა. კიმოთემ ჯერ საკმეველი

აღსავლის ვარაყიან სვეტებზე დაკიდებულ მაცხოვარ-ღვთისმშობლის მომცრო ხატებს უკმია, შემდეგ მლოცველებისაკენ მოწიწებით მობრუნდა და საცეცხლურით შისალმება დაიწყო.

საცეცხლურში მნათეს მართლა იმდენი საკმეველი ჩაეყარა, რომ თანდათან ნედლი ჯირკივით ახრჩოლდა, რის გამო მთელ ეკლესიაში უცნაური ბოლი დადგა.

ხოსრო სულ გაეხვა ბოლში — კიმოთემ თავისი ბეცი თვალებით მხოლოდ მისი წითელი ჩოხა დაინახა.

კიმოთემ სწრაფად მოათავა საკმეველის კმევა, საკურთხეველში შებრუნებულმა, საცეცხლურის ჩამოსართმევად გადარაჯებულ მნათეს რისხვაშეკავებული ხმით მიახალა:

— რა მოგეჩვენა, შე გამოჩერჩეტებულო, ასე რომ გაგიტენია საცეცხლური, ა? ხალხი სულს ვეღარ ითქვამს, რას იტყვის ის უცხო კაცი!

კიმოთემ მალე კრეტსაბმელი ჩამოუშვა და მნათეს დაუტატანა:

— რავა დაგიღია პირი, გადი ჩქარა და ახლადანთებულ სანთლების გარდა ყველა მოაქრე, პატარა ნამწვავები რაღა გამოსადეგია. ადგილიც აღარაა შანდლებზე! იქნება, იმ უცხო კაცს ჯერ ერთი ღერი სანთელიც არ აუნთია შენი უჭკუობის გამო!

როცა დიაკონი გაბრიელის ქადაგების კითხვას შეუდგა, ხოსრომ ძვირფასი ბოხოხი სატევრის სადავეზე ჩამოაცვა, ერთი კონა შაურიანი სანთლები იყიდა, ყველა შანდალზე დაანთო. შემდეგ კიმოთეს დავალების ასასრულებლად გამოსულ მნათეს, აღსავლის კარების თავთან, საიდუმლო სეროების წინ დაკიდებული პატარა კანდელი ჩამოაშვებინა და ისიც სანთლებით შემოსარა.

— ამ ჩვენ მნათეს მეორე ფეხიც უნდა მოამტვრიოს კაცმა, სანთლებს თავის მოწვას რომ არ აცლის! — წაულაპარაკა ერთმა გლეხმა მეორეს.

— სწორედ ღირსია... შეხედე, ერთი ამ მიქელას ბიჭს, მთელი საყდარი რაფერ გააჩაღა, შე კაცო. ეს ჩვენი კუჭგამხმარი აზნაურები სულ არ დაჩრდილა?

— აზნაური ახლა ისაა, ვისაც რამე აქვს, — უგულოდ თქვა მესამემ.

აზნაურებმა, რომელთაც კაპეიკიანი სანთელიც კი არ ჰქონდათ ანთებული, ამბიონიდან ჩამომავალ ხოსროს თვალი მოარიდეს.

ხოსრომ მლოცველებს ქურდულად გადახედა. როცა ქალებში მომღიმარი კესო შეამჩნია, ერთბაშად სახეზე წამოანათა და, რატომღაც ნირწამხდარი, კვლავ თავის ალაგას გაჩერდა.

ამასობაში, მლოცველთაგან წვლილის შესაგროვებლად, მნათემ ჩამოატარა ლანგარი, რომელზედაც გადაფარებული იყო სირმის ჯვრიანი, ხავსისფერი ძველი ხავერდი. მნათე იცნობდა მირიან მხეიძეს და, როგორც დარბაისელ აზნაურს, პირველად ლანგარი მას გაუწოდა. მირიანმა ლანგარზე ბელტი შაურიანი დადვა. დანარჩენმა აზნაურებმა — ზოგმა სამი კაპეიკი, ზოგმა ვერცხლის ორშაურიანიც კი გაიმეტა ხოსროს შესახედავად.

მნათე ახლა ხოსროს ეახლა.

ხოსრომ შეუნძრევლად ჩოხა-ახალუხის ცალი კალთა გადაიწია, ყარამანდულ შარვლის ჯიბიდან ვერცხლის ფული მუჭით ამოიღო, ლანგარზე მანეთიანი დააგდო და დანარჩენი ისევ ჯიბეში ჩხრიალით ჩაიყარა. გაოცებულმა მნათემ ერთი შეხედა ხოსროს, მდაბლად თავი დაუკრა და სხვებისაკენ გაეშურა.

წირვის დამთავრებისას დაწინაურდნენ მლოცველები საზიარებელი ბავშვებით და შეიქმნა ჩოჩქოლი. ერთ ქალს ატირებული ბავშვი ეჭირა ხელში და შეწუხებული ხმით ტუქსავდა ჩვილს:

— სუ, სუ!

ბავშვების ზიარების შემდეგ კიმოთემ ჯვარი გამოიტანა, ყველაზე წინ ჯვარს ხოსრო ამთხვია, რაც შეურაცხყოფად მიიღეს აზნაურებმა. განსაკუთრებით კიმოთეს ქვისლს, მირიან მხეიძეს, დარჩა ეს საწყენად.

ხოსრო ეკლესიიდან ყოჩივით გამოვიდა და მამასთან ერთად ცაცხვებში გაჩერდა. მათ გარშემო მალე შეგროვდა წირვა-მოყურებული ხალხი. უცნობი და ნაცნობი ყველა ხელს ართმევდა ხოსროს და გაუთავებლად ისმოდა:

— როგორ ბრძანდებით! ხო კარგად?

— გმადლობთ, როგორც შეფერის ამ დროს! არა მიშავს!

მიქელა ისეთებსაც კი აცნობდა შვილს, რომელთაც ხოსრო ბავშვობიდანვე იცნობდა.

— აი ივანეა, შვილო... ეს დარისპანაა, ხომ გახსოვს!.. ეს კიდო პავლეს ბიჭია, სევასტი, — დაუზარებლად ჩაჩიჩინებდა მიქელა გაღმა-გამოღმელების სახელებს ხოსროს, თანაც ზოგიერთებს მის მაგიერ ელაპარაკებოდა.

მომკითხავთა შორის ქალებიც ერიენ.

— რაფერ დავაქაცებულხარ, ბეჩა... ნეტავი შენს მშობლებს... ანუსის სიხარულით მიწაზე აღარ ედგმება ფეხი... ბედნიერი ხარ, მიქელა... ჩემო ხოსრო, დროა ოჯახს მოეკიდო, სიკვდილის მეტი ყველაფერი ნაადრევი ჯობია... კარგი დაგემართოს... ჩვენს უნახავად არ წახვიდე, — ეუბნებოდნენ ტუჩზე ხელის მიფარებით უფრო ახლო მეზობლის ქალები.

ხოსროს კი ცალი თვალი იქით ჰქონდა, სადაც სამრეკლოს მაგიერობას მუხა წევდა. ზარიანი მუხის ახლო ახალგაზრდა ქალები შეეუჩებულიყვნენ, რომელთა შორისაც იყო კესო და თამამად კისკისებდა.

ხის პატარა ეკლესიიდან კვლავ ისმოდა კიმოთეს ხმა.

წირვის დამთავრების შემდეგ, სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის კალათები ეკლესიის შუაგულში ერთად დაედგათ. იქვე, შორიახლო, მესაკურთხენი იდგნენ. კიმოთე მიცვალებულთა სულის მოსაოხებელ ლოცვებს გაუგებრად ამბობდა, ეტყობოდა, ჩქარობდა, რადგან პანაშვიდიც ბევრ ახალ საფლავზე უნდა გადაეხადა.

კიმოთეს საგანგებოდ ჰყავდა დარიგებული მნათე, რათა მღვდლის არჩევი მესაკუთრეებისაგან დღეს მეტი რაოდენობით შეეგროვებია და მას უკვე გამზადებული ჰქონდა დიდთვლებიანი ხურჯინი.

სახლისკენ გაბრუნებულმა ხოსრომ ზარიან მუხას განგებ ახლოს გაუარა. ქალები გაისუსენ. ეკლესიის გალავნიდან გადმოსვლისას ხოსრომ მამას ჩუმად ჰკითხა:

— ვინ იყო ის ქალი?

— რომელი, ხმამაღლა რომ იცინოდა? რაში გეკითხულება, შვილო. ბობოთელი აზნაურის, მხეიძის ქალია. აი, იმის გოგოა, შენ რომ ერთხელ მათრახით გცემა. სადაცაა, საქმროს

ძებნა-ძებნაში დაბერდება. ვაი იმ ოჯახს, საცა ის შევა. ნაშ-
დვილი აშარია.

ხოსროს არც გალახვის ამბის გახსენება ესიამოვნა და არც
კესოს დახასიათება. კიდევ კარგი, მუსაიფში გართულ სტუმ-
რებს მიქელას ნათქვამი არ გაუგონიათ.

ის ფიქრებს აჰყვა.

მოიგონა თავისი ბავშვობის დრო, როცა სოფლის განა-
პირას, პაპანაქებაში ნახირის მწყემსობისას, ცხენით თავზე
წამოადგა კიმოთე ხუცესისას ნაქეიფარი მირიანი.

ღვინომორეულ მირიანს ჩრდილში დაძინება მოესურვა და
ცხენი ხოსროს ჩააბარა.

დიდი ხნის ფიქრის შემდეგ ხოსრომ გაბედა ცხენზე შეჯ-
დომა, მაგრამ ამ დროს მირიანს გაეღვიძა და პატარა მხედარს
მათრახით ზურგი აუჭრელა.

ხოსრომ მაშინდელი ტკივილი იგრძნო, მაგრამ უცებ
თვალწინ მოკისკისე კესო გამოესახა და მირიანისაგან ბავშ-
ვობაში მიყენებული შეურაცხყოფა არაფრად ჩააგდო.

შინ ქუთაისიდან ჩამოსული ამქრები დახვდა. მალე გარეთ,
ხეებში, გრძელი სუფრა გაიშალა. ხოსრომ სტუმრებთან ერ-
თად არაჩვეულებრივად მოილხინა. მზის გადახრისას ცხენებს
მოახტნენ და ჯირითით თემში წავიდნენ.

ცხენოსნებმა ხალხით სავსე სათემოს რამდენჯერმე გარს
შემოუქროლეს, ბოლოს გაქაფული ცხენები იქ გააჩერეს, სა-
დაც დიდი ცეკვა-თამაში იყო გამართული.

მათ დანახვაზე მოცეკვავენი უფრო გახალისდნენ, ტაში
გახურდა, ხოლო ოფლში გაწუწულმა მეარღნემ განსაკუთ-
რებული სიმარჯვით დაუკრა არღანი. არღანს წინა გვერდზე,
შუა ალაგას, როგორც ჩარჩოში, ჩასმული ჰქონდა აფიშიდან
ამოჭრილი მოჭიდავე ესებუას და ცირკში მავთულზე ქოლგით
ხელში მოსიარულე ლამაზი ქალის სურათები.

ხოსრომ ცხენიდან წრეში კესო შეამჩნია. მასთან ცეკვის
სურვილმა გაუელვა, მაგრამ კესო მალე ოქროპირ მაყარაძეს-
თან ერთად წრეს გაშორდა.

ხოსრო მაშინვე ცხენიდან ჩამოხტა და სადავე ამხანაგს
გადაცა.

ის განგებ შეეჩეხა წინ საყდრის ახლო მოსეირნე ოქროპირსა და კესოს.

— ოო, ხოსროს გაუმარჯოს; ხოსროს, — ხალისით მიაძახა ოქროპირმა რატომღაც დარცხვენილ ხოსროს და ხელი მაგრად ჩამოართვა.

ოქროპირ მაყარაძე კარგად იცნობდა ხოსროს, მისი გვარიც ხოსროს სანისიაო დავთარში მრავალ გვერდზე ეწერა.

ოქროპირი შარშანწინ გამორიცხეს „სოციალისტობისათვის" ქუთაისის სასულიერო სემინარიიდან, რამაც მოულოდნელად გაუცრუა იმედი მოხუც კიმოთეს, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა თავისი მრევლი შვილისათვის ჩაებარებია.

ოქროპირი პირველ ხანებში ტოლსტოის მოძღვრებით იყო გატაცებული. თუმცა შემდეგ მარქსის მიმდევარი გახდა, მაგრამ ტოლსტოის გარეგნულად მაინც ბაძავდა. ოქროპირი ტოლსტოივით უბრალოდ იცვამდა, გრძელ, ლურჯ ხალათზე ფოჩებიანი შავი გრეხილი ერტყა, ხოლო „სოციალისტობის" ნიშნად თმა მარქსივით ჰქონდა მოშვებული.

ღინღლოვან წვერს კი იპარსავდა.

ოქროპირი მოგრძო და სანდომიანი სახის პატრონი იყო. მაღალ შუბლსა და წინ წამოწეულ კოპებს ქვეშ მისი ჭროღა თვალები ყოველთვის უცნაურად ბრწყინავდნენ. კიმოთესთან შედარებით ხმა ბოხი ჰქონდა. უფრო დალაგებული და მშვიდი ლაპარაკი იცოდა, ხანდახან პოლიტიკურ საკითხებზე კამათის დროს თუ შეიპყრობდა სიფიცხე. ასეთ დროს ხშირად საგანს ცილდებოდა, რაც მეტწილად გაუგებარს ხდიდა მის აზრს.

ოქროპირს გულწრფელად ახარებდა მდაბიო ხალხში თვითარსებობისათვის ბრძოლის სურვილის გაძლიერება. ამიტომ ხოსრო ახალ კაცად მიაჩნდა. ოქროპირმა იცოდა, რომ ხოსრო ამ ბრძოლაში სხვა გზას ადგა, მაგრამ ოქროპირის აზრით ხოსროების „ბრძოლა" მაინც პროგრესს ნიშნავდა და ამიტომაც იყო, რომ ასეთი ხალისით შეეგება მას.

— როგორა ხარ, ჩემო ხოსრო, ა? — კვლავ ღიმილით შეეკითხა ოქროპირი და ბეჭებზე ხელი მოუთათუნა.

— მართლა, იცნობდე, ჩემი ნათესავია, მხეიძის ასულიჯ ლამაზი და კესარიად წოდებული, — იხუმრა ოქროპირმა.

სიწითლემორეულ კესოს ხოსრომ ხელი ნასწავლი ზრდილობით ჩამოართვა.

ხალხი ფუტკარივით ირეოდა. ყველგან ერიამული იდგა. ზოგან არღანს უკრავდნენ, ზოგან გარმონს და დაირას.

ერთმანეთზე ხელგადახვეული ახალგაზრდები კი, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, გაჰკიოდნენ:

„ჰეინტი ყველის ჭამა მიყვარს,
ოდელია რანუნი
კბილის გაკრაჭუნებაო,
ოდელია რანუნი.
გოგოებში გავლა მიყვარს,
ოდელია რანუნი.
თვალის დაპაჭუნებაო,
ოდელია რანუნი“.

უმარილით სახეშეფეთქილი, საფერავით ღაწვებგაწითლებული გოგოები გუნდ-გუნდად დადიოდნენ და უმიზეზოდ იცინოდნენ.

ზოგ მათგანს, წითელი სიმინდის ტაროსავით, ხელში ეჭირა ჯოხზე აცმული საადრიო ბალი, მსხმოიარე ალუჩის ტოტი, ზოგს აბორცვილ მკერდზე პირქვე ებნია მაისის ვარდი.

გარეთ გაზრდილი და ფულზე გაწუწკებული ახალგაზრდები ყოველ ხესთან ყიდდნენ ფოჩებიან კაქფეტებს, უცნაურად შეფერილს და სახარინით გატკბილებულ წყალს. „კრენტილებს“ და ტუჩით დასაკრავ საპიპისო პატარა „ჭუზიკებს“.

ახლადგაცნობილებმა ოქროპირთან ერთად ეკლესიის გასწვრივ, დაიწყეს სეირნობა. ოქროპირი ხალისზე იყო, მოხდენილად უვებოდა სხვადასხვა ამბებს, რაც კესოს გულიან სიცილს იწვევდა.

როცა სამივე ზარიან მუხას მიუხალოვდა, კესოზე შეყვარებულმა, გაღმა მოსახლე ფრიდონ ქელებქიანმა, ძალად გვერდი გაჰკრა ხოსროს, ხოლო მისმა დამქაშებმა კესოს ხოსროს გასაკილი სიტყვები გააგონეს.

— სწორედ გაიარე, ყმაწვილო! — მედიდურად მიაძახა ხოსრომ ფრიდონს.

— რაი, რაი? — გამომწვევად შეეკითხა მოქიშპე.

— არ გესმის? ზრდილობიანად მოიქეცი, თორემ...

— ვის ასწავლი ზრდილობას, შე ხეპრე, ა? — დაიყვირა ფრიდონმა და ხოსროსაკენ გაიწია, მაგრამ ამხანაგებმა მაშინვე განგებ შეაკავეს.

ამ ამბით გაამაყებული, მაგრამ ოდნავ ფერჩათეთქვილი კესო განზე გადგა, ხოლო ოქროპირი გაშმაგებულ ხოსროს წინ გადაეღობა.

ის იყო ხოსრო დაძალა ოქროპირის მუდარამ, რომ კელავ მოესმა მოპირდაპირისაგან დამამცირებელი სიტყვები. ხოსრომ სწრაფად მოიშორა ოქროპირი და ხმალი იშიშვლა.

ხოსროს მხარში ამოუდგნენ თავისი ამქრები. იქით ფრიდონს მოემატა მომხრეები და შეიქმნა ქალების კივილი.

მალე თემი შუაზე გაიყო.

გამოლმელებმა, აზხაურებს გარდა, ხოსროს მხარე დაიკავეს, ხოლო გალმელებმა ფრიდონს დაუწყეს გამხნევება.

შეწყდა სიმღერა, არღნის ხმა.

ისმოდა მხოლოდ ქალების კივილი, მოდავეთა შეძახილი. ჩამავალ მზეზე ლაპლაპი გაჰქონდა ხმალ-ხანჯლებს. აქა-იქ კეტებიც აემართათ.

გამოჩნდნენ გამზავებელნი, მაგრამ ვერავინ შეძლო თემის დაწყნარება.

ხოსროს მოქნეული ხმალი ვიღაცას მოხვდა.

მეორეს კეტმა თავი გაუტეხა და ყველაფერი აირია.

გაცოფებულმა ხოსრომ გზა გაიკაფა ფრიდონისაკენ, მაგრამ უცებ მათ შუა კესო ჩადგა და შემართული ხმალი ხოსრომ ჰაერში შეაჩერა.

ფრიდონმაც დახარა თავისი ადლიანი ხანჯალი. ცოტა ხნის ჩოჩქოლის შემდეგ ჩხუბი გათავდა.

დაჭრილი აღმოჩნდა გალმელი, ხოლო თავგატეხილი გამოლმელი.

საშიში ჭრილობა არცერთს არ ჰქონდა და ორივე მხარე გაქვითებული დარჩა.

სადღაც არღანი ისევ დაუკრეს.

არღანს სიმღერა მოჰყვა და თემი მთვარის ამოსვლამდე აღარ დაშლილა.

## VI

— გამიშვით ჩემთვის, ხომ ხედავთ, დღე-ღამე ვირჯები, ბევრია თუ ცოტა, ოჯახს დოვლათს ვმატებ. ის ჩემი ძმა კი აქეთკენ არც იხედება. მერე მოვა და ყველაფერზე ლარს დამიდებს. ბოლოს უსიამოვნებას ახლა მშვიდობიანად გაყრა ჯობია. შეიძლება, მარტო ცხოვრება უფრო გამიჭირდეს, მარა მაინც ცალკე ყოფნა მირჩევნია, — გაუბედავად უთხრა ნაგიორგობევს თეოფილემ მშობლებს და პასუხის მოლოდინში ქალამნის წვერით სოხანეს ჩიჩქნა დაუწყო.

გაოცებული მიქელა და ანუსი ერთხანს გაშტერებულნი შეცქეროდნენ ხან ერთმანეთს, ხან თავდახრილ თეოფილეს.

გარეთ გაზაფხულის წვიმა თქეშად მოდიოდა. ჭექა-ქუხილი ყველაფერს აზანზარებდა.

ირმა ბებიას ეჯდა კალთაში, ყოველ ქუხილზე, შეშინებული, მკერდზე ეკვროდა. გაწუწული ქათმები დერეფნის ერთ ყურეში შეგროვილიყვნენ, ხოლო მათ ახლო წინა თათებში თავჩარგული ბომბორა მურა ოდნავ თვლემდა. ეფროსინეს მეტი ყველა დერეფანში იყო. სვეტზე მიყრდნობილი თეოფილე კვლავ მიწას ჩაჰკირკიტებდა. მიქელას თანდათან სიფითრე შეეპარა. თვალებში ნამი ჩაუდგა. პირველი რძლის, მაიკოსაგან, შეკერილი ქისა ამოიღო, აკანკალებული ხელით თავი მოუხსნა, ყალიონი შინაური თუთუნით გატენა, შემდეგ ტალს აბედის ნამცეცი დაადვა და კვესი გაჰკრა. ახრჩოლებული აბედით მიქელამ ყალიონი გააჩაღა და პირიდან ბოლის ბოლქვად აფუილებით წყნარად წარმოთქვა:

— რავა ერთბაშად მოიხსნა ამ ცამ პირი. ყანები ხელმეორედ დასახნავი გაგვიხდება, ეს ნიაღვარი ერთ ბელტსაც აღარ დატოვებს ჩვენს კორტოხ ყანებზე, ღმერთმაც რომ სულ აგვაღო ხელი!

ანუსი გააკვირვა მიქელას ასეთმა მშვიდმა ლაპარაკმა, მაგრამ მალე იგრძნო მის გულში დაგუბებული ბოღმა და თავი საწყლად ჩაჰკიდა.

თეოფილე არ შერხეულა. მამის კილოში მანაც იგრძნო დაფარული მწუხარება და თავისი განზრახვის გამომქღავნება ინანა.

ცოტა სიჩუმის შემდეგ, მიქელამ განზე ყრუდ იკითხა:

— რა თქვი, შვილო? კარგად გამაგებინე, რა გიძევს გულში, გაუეჟილს გატეხილი ჯობია! ვატყობ, სიბერე მიმწარდება, მარა რა ვუყო, ყველაფერი ღვთის ნებაა! ჰო, თქვი რაცხა გინდა, რავა დამუნჯდი, შე კაცო.

თეოფილე უცნაურად აწმაწურდა და ენისბორძიკით გაიმეორა ნათქვამი.

— უი, ღმერთო მომკალი, რა ესმის ჩემს დასაფსებ ყურებს. ვაი ჩვენს მოხუცებულობას. ბიჭო, სამათხოვროდ გვიშობ, არ გცხვენია? — ატირდა ანუსი.

— არ მეგონა, შვილო, თუ ასე გაგვწირავდი, სწორედ არ მეგონა! შე კაცო, რა გაიძულებს გაწყობილი ოჯახის დანგრევას, ყველაფერი შენი არაა? ჩვენ ორი დღის ფოხიალი დაგვრჩენია და რატომ გინდა შენს უმადურებს, ძალლებივით ამოგვხვდეს სული!.. მთელი სიცოცხლე იმის ფიქრში ვიყავი, შვილებს მოვესწრები და ცოტას გავიხარებ-მეთქი, და ახლა სოფლის სამოწყალოდ მიხდი საქმეს? რატომ შვრები ამას! მართალია, ცხოვრებამ გაგვტეხა, მარა ჯერ არც ისე დავრდომილები ვართ, სულ შენ დაგაწვეთ კისერზე. თუ ხოსროზე ამბობ, იმას რად უნდა შენი ნაოფლარი! ვთქვათ, აიღო ნამუსზე ხელი და თანაბარი წილი მოითხოვა, შენ გგონია მე მხარს დავუჭერ? არა, შვილო, ბრმა კი არა ვარ, ქე ვხედავ შენს მუყაითობას. დარწმუნებული ვარ, არც ხოსრო მოინდომებს შენს მოპოვებულს. ჰო და, ერთი მითხარი, რიღასთვის გვიპირებ გაყრას, ა? თუ მამა-შვილობა გწამს, აწი აღარ მითხრა მაგისთანა სიტყვა. ამოიფხიკე გულიდან მაგ აზრი და ვიცხოვროთ ისე, როგორც აქამდე ვყოფილვართ. თუ მაინცდამაინც გწადია ჩვენი გაუბედურება, ჯერ სამარე გაგვითხარე, მერე, რაც გერჩიოს, იგი ქენი.

თეოფილეს არაფერი უთქვამს, წელმოწყვეტილი შეევიდა შინ.

— ცოლმა გადარია, ცოლმა, თვარა ყოველთვის ჩვენი მორჩილი და თვინიერი თეოფილე ასე რავა გაგვიმეტებდა! — აწუწუნდა ანუსი. — რატომ ის დღე არ დაიქცა, როცა მაგან ჩვენს ოჯახში ფეხი შემოდგა. ჩვენი მაამებელი ამისი დედა იყო, მარა...

— ნუ იცი, ქალო, დაუკვირვებელი რიშვა, არ გაიგონოს! — უსაყვედურა მიქელამ ცოლს.

თეოფილე ამის შემდეგ აიღერღა — გული აღარაფერზე მიუდიოდა.

მალე ტყიბულის მაღაროებში დაიწყო მუშაობა. მარტო შაბათ-კვირაზე ამოდიოდა შინ, საოჯახო საქმეები სულ მიქელას დააწვა. მიქელა ჯანს არ იზოგავდა, ოღონდ თავისი გაწყობილი ოჯახი არ დანგრეოდა.

ერთხელ მოულოდნელად ხოსრო ეწვია მშობლებს და ქალის შერთვის სურვილი გაუმჟღავნა, თანაც დაასახელა ვის შერთვასაც აპირებდა.

მიქელამ დიდი ხნის ფიქრის შემდეგ უპასუხა:

— შენი გუნების საქმეა, შვილო, მარა, მართალი თუ გინდა გითხრა, აზნაურის ქალის შერთვას არ გირჩევ. ისინი სხვანაირი მოდგმისანი არიან, ვერ შეეგუები. გაღატაკებული მისი მამა და ნათესავები ყველაფერს ჩაგინთქავენ. სვავები არიან, შვილო. იფიქრე კიდევ კარგად.

ანუსიმაც ასეთივე შიში გამოთქვა და დაუმატა:

— აზნაურის ქალი საოჯახოდ არ ვარგა, შვილო, არც მე მიკადრებს ღედად, მარა შენ თუკი გამოგადგება, როგორც იქნება, შევიწყობი.

მიქელა და ანუსი ხოსროს გადაწყვეტილებამ საგონებელში ჩააგდო, მაგრამ მეტი ვეღარაფერი უთხრეს. ხოსრო იმავე დღეს გაბრუნდა.

ხოსროს მიერ გაყიდული ხარების საბადლოდ, მოსავლის მოწევისას, როგორც იქნა, მიქელამ მოახერხა მოზვრების ყიდვა და ურემს ღერძი გამოუცვალა.

შემოდგომის ერთ ცივ დღეს, ალიონზე, მიქელა ჭიშკართან იასაულმა გაიხმო და მამასახლისის განკარგულებით მთაში წაყოლა მოთხოვა კანცელარიისათვის შეშის ჩამოსატანად.

— ჯერ ხეირიანად მოზვრები გახედნილი არ მყავს, ულელს უცხოობენ და ტყეში როგორ წამოვიდე? — უთხრა იასაულს მიქელამ. მაგრამ შეატყო, უარი არ გაუვიდოდა და შეუდგა მზადებას.

ამ ამბავმა მთელი ოჯახი ფეხზე დააყენა. მიქელამ ძლივს

შეაბა მოზვრები უღელში, შემდეგ, შორიახლო მდგარი, ფეხშიშველა და თმააბურძგვნილი ირმა, რომელსაც სუსხისაგან ლოყები ნაკვერცხლებად ქცეოდა, ხელში აიყვანა და აკოცა. ბავშვი, რატომღაც, ჩვეულებრივზე უფრო ალერსით შეხვდა ბაბუას და კისერზე მოესკვნა. ირმას ეშინოდა იასაულის და არ უნდოდა ამ საშიშ კაცს მისი საყვარელი ბაბუა გაჰყოლოდა. ირმა ძლივს მოგლიჯა მიქელას ანუსიმ. იასაული ჩქარობდა. მიქელამ კიდევ ერთხელ აკოცა ბავშვს, შემდეგ ანუსის რაღაც დაუბარა, პირჯვარი გამოისახა, და ხელნაზე ცალხელჩაკიდებული, მოზვრებს გაუძღვა.

— ფრთხილად იარე, ბოშო, არაფერი მოიწიო! — მიაძახა ანუსიმ ქმარს და გულამომჯდარ ირმას ალერსით გადახედა.

— რა მოგეჩვენა, გოგო, რა ჯანდაბა გაზლუქუნებს, ა? — შეუტია ეფროსინემ გერს და სახლისაკენ წინ გაიგდო.

— ნუ იცი, ქალო, ბავშვის ასე გაწყრომა! — უსაყვედურა რძალს ანუსიმ და ჭიშკრის მოსახურად გაეშურა.

ირმა მთელი დღე უხალისოდ იყო. უკვე მაღალმა ვახშობამ მოაწია და მიქელა კიდევ არ ჩანდა. გარეთ ნოტიო ქარი გააფთრებული სტვენდა. ქარი კედლების ფარღალალებიდან შემოქროდა და კერიას ახლო, სამფეხა სკამზე დადგმულ ჭრაქის ალს დასაჭრობად აფარფატებდა. ირმა განელებულ ცეცხლის პირას იჯდა, ძილმორეულს თვალები ეკერებოდა.

— ნეტავი რა დაემართა იმ კაცს, სადაა აქამდე! — შიშნარევი ხმით წარმოთქვა ანუსიმ და თითისტარი უხალისოდ დაატრიალა.

— ჩემი ვაუბატონივით ბლუა და გაუბედავი, უარი რომ ეთქვა, ვითომ რას უზამდნენ. გუშინდელი გახედნილი მოხვრებით მთაში წასვლა ხუმრობაა? — წაიპუტუნა ეფროსინემ.

— შენც ერთი, ისე ლაპარაკობ, თითქოს არ იცოდე ჩვენი მამასახლისის ღჯუ ხასიათი.

ეფროსინემ ტახტის ერთ კუთხეში ლოგინი გაშალა და ირმას მიუბრუნდა:

— რამდი უნდა იჯდე, გოგო, ასე ბაციკუკუსავით, დაწექი ჩქარა!

— ღმერთმანი არ მეძინება! — თითქმის ვედრებით წამოიძახა ირმამ და თვალები განგებ ფართოდ გაახილა.

ამ დროს გაისმა ძაღლის ყმუილი:

ვა-ვა-ვა-უუუუუ...

ყველას ცივმა ჟრუანტელმა დაუარა. ანუსის მატყლის ფთილა და თითისტარი ხელებში შეაშეშდა. ირმა წამსვე გამოფხიზლდა, ხოლო ეფროსინე ერთ ადგილს გაქვავდა.

ვა-ვა-ვა-უუუუუუ! — უფრო გაბმით აყმუვლდა ძაღლი.

— ვაი და უი შენს თავს! — წამოიძახა ანუსიმ, სწრაფად წამოხტა და კარი გამოაღო, საიდანაც დაქროლილმა ქარმა ჭრაქი ჩააქრო და კვლავ საზარლად გაისმა:

ვავა-ვა-ვა-უუუუუუ!

ანუსიმ დაავლო ხელი კარების საურდულე ჯოხს და მთელი ძალით ესროლა დერეფნის ახლო წამოყუნტულ ძაღლს, რომელიც მაშინვე წკავწკავით გაიქცა. ეფროსინემ ხის საკეცით ნაკვერცხალი აიღო, ჭრაქთან ახლო მიიტანა და რამდენჯერმე სულის შებერვის შემდეგ ჭრაქს მოუკიდა.

შემობრუნებული ანუსი გაფითრებული დაჯდა.

ირმას შიშისაგან თვალები საცერისოდენა გახდომოდა.

ეფროსინე თაროსთან მივიდა.

ქარი თანდათან ფხიანდებოდა, სახლის კედლებს აჭრიალებდა.

— რაღაც კარგი ამბავი არაა ჩვენს თავზე! ერთი პეტრიასას გადავალ, გავიგებ რამეს, ისიც ხომ მიქელასთან ერთად წავიდა, — წარმოთქვა კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ ანუსიმ და სასწრაფოდ წამოდგა, მაგრამ ამ დროს ქარის ზუილმა ადამიანის ხმა შემოისროლა შინ.

ძაღლის ყეფაც გაისმა.

— ჩუ, ვიღაცა იძახის! — ძლივს მოაბრუნა ენა ერთ ალაგას გაქვავებულმა ანუსიმ.

— მოგეჩვენა, — ცოტა ხანს დაყურების შემდეგ უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ეფროსინემ და თაროდან, თვითონაც არ იცოდა რისთვის, მარილით სავსე მომცრო კოთხო გადმოიღო.

უეცრად კარი გაიღო:

— დაიხოცეთ თუ რა მოგვიდათ? ყბები მეტკინა ამდენი ძახილით.

— ბაბუ! ბაბუ! — იკივლა ირმამ და კარებთან გაოცებით შემდგარ მიქელას მუხლებზე მოეხვია.

## VII

მირიანს ეთაკილებოდა სიძეთ გლეხი და ისიც მიკიტანი, მაგრამ იმ გარემოებამ, რომ ხოსროს ხელცარიელი მიჰყავდა კესო, მოთოკა მისი გოროზობა. მაშვლებს მაინც ჭოჭმანით ელაპარაკებოდა და გადაჭრილ პასუხს განგებ აგვიანებდა, რომ ბოლოს მისი დასტური ხოსროს დიდ ბედნიერებად ჩაეთვალა.

მირიანს მოქარგული ენით ელაპარაკებოდნენ ფრიდონის მაშვლებიც, მაგრამ ფრიდონს აზნაურობის მეტი არაფერი გააჩნდა და შარავანდედშემოცლილი მირიანი ფიქრობდა:

„ფრიდონს ისევ ხოსრო ჯობია. ქალს კარგად შეინახავს და ხანდახან მეც ხელს გამიმართავს. ფრიდონი კი თვითონ შესანახია“.

როცა უკანასკნელად მოსულმა ხოსროს მაშვლებმა გადაჭრილი პასუხი მოთხოვეს მირიანს, მან დინჯად წარმოთქვა:

— რადგან ასე მატანთ ძალას, მე აღარ ვერევი საქმეში. თუ ჩემი ქალი ისურვებს, გაჰყვეს... მე თანახმა ვარ.

კესომ კი დიდი ხანია თავისი არჩევანი ხოსროზე შეაჩერა.

სათემოდ უკვე საცოლედ აღიარებული კესო ხოსრომ ქუთაისს დაიბარა.

კესო დედით ქუთაისში ესტუმრა შორეულ ნათესავს, რომელთანაც ბინადრობდა ოქროპირი.

ხოსრომ დაიქირავა საუკეთესო მეეტლე მელია, და მეორე დღეს, ნათხოვარ ტანისამოსში გამოწყობილი კესო, სასიდედრო ქიონია და მათი მასპინძლის ცოლი ეტლით მთელ ქუთაისში ატარა.

დიდი რჩევის შემდეგ ოქრომჭედელ იოსებ გვეტაძის მაღაზიაში იყიდეს ბეჭდები, ურმის ბორბლების სალტეების მსგავსი საყურეები, კისერზე დასაკიდი გრძელძეწკვიანი საათი, სამაჯური და ფარჩეულის შესაძენად ეტლი კემულარიას სავაჭროსთან გააჩერეს.

ოქროულობის ელვარებით თვალებაჭრელებულმა და ფარჩის კაბების ჩაცმის სურვილით გაბანგულმა კესომ მთელი ღამე ძილღვიძილად გაატარა.

ხოსრო თანდათან იმ რაინდად ესახებოდა კესოს, რომელზეც ხშირად უოცნებია მას, და უხაროდა, რომ არჩევანი კარგი გამოუვიდა.

ქორწილი საგაისოდ გადადვეს.

მალე დადგა ნანატრი დღეც და, როცა ხოსრო ოცი ცხენოსანი მაყრით ჭიშკარს მიადგა, მირიანს ელდა ეცა:

„ამდენ მიკიტანს რა ღვინო ეყოფა, ნამდვილი ვეშაპები არიან", — გაიფიქრა მან და ნაძალადევი სიხარულით სტუმრებს მიეგება.

მოყვრის ეზოში პირველად ცხენი ხოსრომ შეაგდო და ჯირითის შემდეგ ცხენიდან პირდაპირ აივანზე შეხტა.

სიძის მაყრების გარეგნობამ და სითამამემ მირიანის სტუმრები ერთბაშად დაჯაბნა. ხოსროს ამალის უმეტესობას ისინი შეადგენდნენ, რომლებიც ადრე მირიანს და მირიანის მსგავსებს სალამის მიცემასაც ვერ უბედავდნენ, მაგრამ ახლა მათი ბუნაგის დასაკუთრებასაც ლამობდნენ.

ხოსროსთანები ამის უფლებას დღითი დღე იპოვებდნენ და უკვე შეეძლოთ სააზნაურო ღირსებები ეყიდათ, ხოლო თვით აზნაურები იმ მდგომარეობაში ჩაეყენებიათ, რომელსაც, დროთა ცვალებადობის გამო, დიდი ვაი-ვაგლახით თვითონ დააღწიეს თავი.

ამ უფლებით ისინი ხშირად ზედმეტად ამაყობდნენ. მათი ლაღობა თითქმის შურისძიებას ჰგავდა, მაგრამ გათავხედებულთა შესამუსრავად, მირიანის სარბიელზე მყოფთ გაბედულობაც აღარ შესწევდათ, რაშიაც ოქროპირი ამ დღეს უფრო დარწმუნდა.

ოქროპირმა აგრეთვე იგრძნო, რომ „დემოკრატიული იდეებით" მასაც გაუჭირდებოდა ბრძოლა ახალი დროის აზნაურებთან, მაგრამ ეს „ფერისცვალობა" ისტორიულ აუცილებლობად მიაჩნდა და ასეთ მეტოქეობაში დემოკრატიზმის საფუძვლებსაც ხედავდა.

ამიტომ ოქროპირს სხვა აზნაურებივით სრულებით არ ეხამუშებოდა ახალმოსულებთან მუსაიფი და ეკლესიაზე წას-

ვლამდე მათთან უკვე მეგობრული ურთიერთობა დაამყარა.

ეკლესიაზე მოგვიანებით მოუხდათ წასვლა. გალავანში ტევა არ იყო. ეკლესიის კარები დაკეტილი დახვდათ. დიდი გამოკითხვისა და განგაშის შემდეგ გამოირკვა, რომ მღვდელი ჯვრისწერისათვის წინასწარ თხოულობდა ფულს.

— ტყუილა ვემდურით, თურმე, ჩვენს კიმოთე-ხუცესს; ის ჯობნებია ისევ სხვას.

— ერთი წყლისაა ყველა.

— ამისთანა ჩარჩი მაინც არაა, შე კაცო!

— რაღა ახლა გახდა ავად! — ლაპარაკობდნენ ხოსროს ნათესავები კიმოთეზე.

მღვდლის უკმეხობამ თანაბრად ააღელვა მაყრიონი, მაგრამ ბოლოს იძულებულნი შეიქნენ ეკლესიაში ჩაკეტილი მღვდლისთვის ორი წითელი ქაღალდის თუმნიანი შეეგზავნათ.

მალე ეკლესია განათდა და კარები გაიღო. ეკლესიაში ადრე შესვლის მსურველები ერთმანეთს მიაწყდნენ, შეიქნა ჯიკავ-ჯიკავი, მოხნევებული ქალების კაპასი და ახალგაზრდების სიცილი.

„ბედნიერების წიგნში“ ხელისმოწერის შემდეგ ნეფე-დედოფალი შუა ადგილას დააყენეს, მოსირმული და ვარდებით შემკული სანთლები ხელში მისცეს. დაიწყო ჯვრისწერა. მღვდელმა ჯვრისწერა განგებ გააჭიანურა იმ მოსაზრებით, რომ ფულის სიხარბე კარგი მღვდელმსახურებით დაეფარა.

საყდარში ხალხი ხმაურობდა.

მაცქერალნი ყოველმხრივ სინჯავდნენ ძვირფასად მორთულ ნეფე-დედოფალს და მოწონების ნიშნად კესოს ბედის მონატრული გოგოები ერთმანეთს ჩქმეტდნენ.

მღვდელი ლოცვებისა და საგალობლების წარმოთქმის დროს ნახევარჯერ ხალხს უყვიროდა სიწყნარე დაეცვათ, რაც კიდევ უფრო მეტ ხმაურს და როხროხს იწვევდა.

— მამაო, გავათაოთ! — წაუფუჩუნა დიაკონმა მღვდელს, მაგრამ ის მაინც თავისას არ იშლიდა.

— რა მოეჩვენა, ნეტავი, ამ ჩვენს ხუცესს, როდის უყვარდა ამდენი ლოცვა — თქვა ვილაცამ.

— სამი ჯვრისწერის ფული აიღო და ასე მალე გაათავებს? — იხუმრა მეორემ.

ბეჭდების შეცვლა გახანგრძლივდა.

ზედაშის შესმის დროს კესოს წითელი ღვინის წვეთი გულზე დაუცურდა, კაბის გაფუჭება ეწყინა, მაგრამ არ შეიმჩნია. თავდახრილს უცებ გაახსენდა დედის დარიგება და თავისი სანთელი დაფრჩხილა.

ბოლოს, როგორც იყო, მღვდელმა ამღერებული ხმით დაიწყო:

„ისაია მხიარული“... — და ნეფე-დედოფალს სამჯერ წრე გააკეთებინა, შემდეგ ამბიონზე აიყვანა, გვირგვინები მოხადა, აღსავლის კარებზე დაკიდებულ ხატებს ამთხვია, სანთლები ჩამოართვა და წაღმა მოაბრუნა.

ნეფე-დედოფლის სანთლები მდადემ ჩაიბარა შინ წასაღებად.

დაიწყო მილოცვა.

შორეული და ახლობელი, ყველა ვალდებულად თვლიდა თავს ახლად ჯვარდაწერილებისათვის ესურვა ხანგრძლივი ბედნიერება და პირზე ეკოცნა.

როგორც იყო, ხოსრომ თავი დააღწია მოძალადე მოკეთეებს და კესოსთან ერთად კარებისაკენ გაეშურა, სადაც მაყრები ხმლებს აჩახუნებდნენ. ხმლებისაგან გაკეთებულ თაღში ხოსრომ და კესომ, მკლავში-მკლავგაყრილებმა, ღიმილით გაიარეს.

გარეთ ფეხის გადგმისთანავე მიკიტანმა გაბრიელმა, ქუთაისში შეჩვეულ „გარადავოისაგან“ ნათხოვარი, ხბოს კანჭის ტოლა რევოლვერი იძრო და რამდენჯერმე ზედიზედ ისროლა.

ქალების კივილის გარდა რევოლვერის ხმას ორი დასტა ზურნა აჰყვა, მაყრებმა სიმჩატე იგრძნეს.

გალავნის გადაღმა გაისმა მწყობრი მაყრული:

„მოვდივართ, მოგვიხარია,
მოგვყავს დედალი ხოხობი...“

ფირიანს ეშინოდა მისი მოძველებული ჭდეული ოდა სტუმრების სიმძიმეს არ ჩაენგრია. ამიტომ სეფა სახელდახელოდ გაკეთებულ ტალავარში გაეშალათ, გარეთ, მწვანე მინ-

დორზე; საამური ამინდი იდგა და მასპინძლის წინდახედულობა ყველამ მოიწონა.

ნეფე-დედოფალი ჯერ სახლში შეიყვანეს. კარებთან, გადაჯვარედინებულ ხმლებს გარდა, გადმოპირქვავებული საინი დაახვედრეს. საინს ჯერ კესომ დაარტყა ფეხი, შემდეგ ხოსრომ. საინი დაიფშვნა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ცოლ-ქმარნი ყოველგვარ ფათერაკს დაძლევდნენ და ბედნიერად იცხოვრებდნენ.

ხოსრო და კესო კარების პირდაპირ, ‚ქედელთან მდგარ' მოგრძო მაგიდასთან დასხდნენ. მათ წინ პატარა შანდლებში სანთლები ენთო.

პირველად ნეფე-დედოფალს მდადემ მიუძღვნა ღვთისმშობლის ხატი, რის შემდეგ მალე მაგიდა აივსო თავზეგადაგდებული ნივთებით, რომლებშიაც ერია ვერცხლით მოპირუული ქარვისფერი ყანწები, სამურაბე ტაშტი, უთო, საშაქრეები. დანა-ჩანგალი, კოვზები, სარკე და სხვა. ზოგი ფულით იხდიდა მოვალეობას: ფერადი თუნუქის ყუთში ეყარა ვერცხლის მანეთიანები, ათშაურიანები, ცოტა წვრილი ფულიც.

ამასობაში სეფა გაიწყო და ნეფე-დედოფალი გაიწვიეს.

ისინი შუა სეფასთან დასვეს.

ტალავრის შეფოთლილ თაღზე და სვეტებზე ეკიდა ფერადი ქაღალდის ფანრები. სეფაზე კი იდგა სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის ლამპები, რომელთა შუქი პირსავსე და მოქათქათე მთვარის გამო მკრთალად კრთოდა.

ენამჭევრობისა და უფრო კი ღვინოში სისუსტისათვის, წესისამებრ, დამხვდური მაყრებიდან, მირიანმა თამადად ოქროპირი დაასახელა და მასპინძლის სურვილს ყველა დაემორჩილა.

ოქროპირმა ჯერ იუარა, შემდეგ მინიჭებული უფლება შეიფერა და დაიწყო სადღეგრძელოები. ოქროპირმა ცოცხალი, შინაარსიანი სიტყვებით პირველად ადღეგრძელა ჯვარდაწერილები.

მოხდენილად წარმოთქმულ ყოველ სადღეგრძელოზე ზურნა „ტუშს" უკრავდა. მაყრები ღვინის სმის სურვილმა გაიტაცა, მაგრამ თამადა დიდ სასმისებს და ყანწებს ერიდებოდა.

— დაგვახრჩო წყურვილით ამ ოჯახქორმა. რად გვინდა ცარიელი ლაილაი, ღვინო გვასვას.

— გვარის მეტი მაგას სამაყრო არაფერი აქვს! — აძბოტ-დნენ ხოსროს მაყრები.

— ხვალ ჩვენი ჯერია თამადობა და მაგას ვაჩვენებთ სეირს! — იქადნებოდა ხოსროს მიერ საგანგებოდ და სათამადოდ დაპატიჟებული სირაჯი კოსტავა, რომელიც ნამდვილ რუმბს ჰგავდა.

ცოტა ხნის შემდეგ თამადას არავინ ემორჩილებოდა, ღვინოს თვითონ აძალებდნენ ერთმანეთს.

„წყალწითელა რომ ღვინოთ იქცეს, ისიც არ ეყოფა მაგათ!“ — გაიფიქრა მირიანმა და მერიქიფეები სხვათა შეუმჩნევლად გაიხმო, შემდეგ მის ოჯახში ბავშვობიდანვე შეხიზნული და ოდნავ თმაშეევერცხლილი ივანე დაარიგა, თუ რომელი მერიქიფისათვის უნდა ეძლიოა პილპილა-გარეული ღვინო და კვლავ ოქროპირს მიუჯდა გვერდით.

ყანწები ხელიდან ხელში გადადიოდა. სიმღერას ზურნა ენაცვლებოდა. ერთპირი ტაში აღიზიანებდათ მინდორში მოცეკვავეთ, რომელთა ლანდები მთვარით მოვერცხლილ და ცვარმონაპკურ მოლზე უცნაურად დაჰქროდნენ. მათ დანახვაზე ღობეებიდან მოთვალთვალე ახლობელ და შორეულ მეზობლებს ტანი ერწეოდათ. რაც დრო გადიოდა, კესოს უფრო ძალუმად უფართქალებდა გული და ბანგშესმულივით ნაბავდა თვალებს.

„საწყალი ფრიდონი!“ — ჩასძახა ვიღაცამ კესოს, და ფრიდონისადმი სიბრალული იგრძნო. ამ დროს ატყდა საინების ჩხრიალი, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა. მექორწილენი ერთხმად იძახდნენ:

— გორკა... გორკა...

ხოსრო უცნაურად იშმუშნებოდა, ხოლო წითლად ლოყებატკეცილი კესო თავის აწევას ვერ ბედავდა. როცა მექორწილეთა სურვილი ყიჟინად იქცა, ხოსრომ ქალს ხელი სტაცა და ტუჩებში აკოცა.

ხოსროს გაბედულებას ქუხილივით ვაშას ძახილი მოჰყვა. ლხინი გაცხოველდა.

— რაფერ გამიკვირდა, შე ქალო, რა ჯანდაბაა ეს გორკა,

ასე გაგიჟებული რო იძახის ყველა-მეთქი, თურმე, კოცნა არ ყოფილა!

— სულ დაკარგა სირცხვილ-ნამუსი ხალხმა, ასე აშკარად ხვევნა-კოცნა გაგონილა?

— არა, გენაცვალე, ნამეტანი გაცუცურაკდა ყველაფერი, ნამეტანი!

— აი დალახვროს ღმერთმა მაგათი თავი, მეც რომ შემაცდინეს, იმდენი ვურტყი დანა საინს, გონია, ქეც გავტეხე, რა ვიცოდი თუ ასეთ უხიაგ ამბავს ვნახავდი, — პუტუნებდნენ ქალები.

— კაცო, ჩემი ედუკიისათვის ლოგინში ვერ მიკოცნია თამამად და ამ ხოსრომ ეს რა ჰქნა, იკურთხა ღმერთო, შენი სახელი!

— ეგ არაფერია. ნეტავი უფრო უარესს არ იზამდენ ჩვენ თვალწინ და... — ხუმრობდნენ გლეხები.

მალე ხოსროს მაყრებს ღვინო აღარ ეჰაშნიკათ, და შეიქნა თვალით ნიშნება, ეჰვის მარწმუნებელი ღვინის წრუპვა და ფუჩუნი.

„მიკიტნები არიან, მაგათ ღვინის გემოში ვინ მოატყუებს, მარა, აპა, გაბედონ რამე!“ — გაივლო გულში მირიანმა და ქალიშვილის მაყრებს გადახედა.

პილპილით შიგანგახურებულებმა მართლა ვერაფერი გაბედეს ჯერ, მაგრამ ჯიბრზე ღვინის სმას კი მოუტამეს.

მთვარის გადახრისას, კესოს დედამ, ქიონიამ, შვილს სიყვარულით შეხედა და ადგა.

— ამ ქალის დაბერებას რომ არაფერი ეშველა, გინახავს, ბეჩა, ამისთანა? — გადაულაპარაკა ერთმა სტუმარმა ქალმა მეორეს და ნელი ნაბიჯით მიმავალ ახოვან ქიონიას თვალი გააყოლეს. ქიონია დარბაზში გავლით სანთიობოში შევიდა სიძე-შვილისთვის პირველი ღამის ლოგინის გასაშლელად. სანთიობო წარმოადგენდა სახლის უკანა აივნის ერთ კუთხეში შარშან კესოსათვის გაკეთებულ მომცრო ოთახს. ქიონიამ შესვლისთანავე კესოს მიერ დაფრჩხილული სანთელი და სიძის ხელში ნაპერი სანთელი ერთმანეთს დაატოლა. ორივე სანთელი თანაბრად თავმომწვარი აღმოჩნდა და ქიონიამ დაასკვნა, რომ ცოლ-ქმარი ერთმანეთს შეაბერდებოდა. შემდეგ

მთვარის შუქით განათებულ ოთახს თვალი მოავლო და შედგა. ქიონიას დიდი ხნის წინათ განცდილი სურათი ცხადად გამოეხატა. საამო ერუანტელმა დაუარა, ლოგინზე ჩამოჯდა.

გული უცხოსთან შეთვისებას თხოვდა და ახალგაზრდული ძალით უცემდა. ქიონია თითქოს ელოდა ამ უცხოს, აღტაცებით მიაპყრო თვალები კარს და, მის გასაოცად, კარი მართლაც გაიღო.

— პილპილა გამოგველია, იქნება, გაქვთ სადმე შემონახული, ქალბატონო! — კრძალვით წარმოთქვა მოჯამაგირე ივანემ.

ქიონია პასუხის ნაცვლად წამოხტა, კარები გადარაზა და გაოცებულ ივანეს კისერზე მოეხვია.

უეცრად გაისმა თოფის ხმა და კივილი.

გონზე მოსული ივანე მაშინვე გარეთ გამოვარდა და აივნიდან გადახტა.

ქიონია კი დიდხანს ვერ გამოერკვა, მაგრამ როცა კივილი და ყვირილი გაძლიერდა, სასწრაფოდ კაბა გაისწორა და დარბაზი სირბილით გაიარა.

წინა აივანზე გასულს მოესმა:

— არ გაუშვათ, არ გაუშვათ...

— რა ამბავია! — არაჩვეულებრივი და გამკივანი ხმით გადასძახა აფორიაქებულ სტუმრებს ქიონიამ.

— სიძე მოგვიკლეს! — უპასუხა ვიღაცამ.

„ნამდვილად ფრიდონი იქნებოდა!“ — გაუელვა ქიონიას და შეცხადებით კიბე ჩაირბინა.

## VIII

მიქელა სეფას მეორე თავში იჯდა.

ოდნავ შემთვრალი და შვილის ბედნიერებით გახარებული მოხუცი შუა ქეიფში წამოდგა და დინჯი ნაბიჯით გაემართა ნეფე-პატარძლისაკენ.

ახალი ჯვარდაწერილები მიქელამ ჯერ ალალი გულით დალოცა, მერე თუთუნის ბოლით შეყვითლებული თეთრი ულვაშები ჩოხის სახელოთი მოიწმინდა და რძალს შუბლზე ეამბორა, ხოლო შვილს ტუჩებში აკოცა.

გულაჩუყებული მოხუცი შვილის უკან გაჩერდა, ცალი

ხელი კისერზე მოხვია, მეორეთი აცრემლებული თვალები ამოიმშრალა.

ამ დროს გავარდა თოფი. ხოსროს მკერდში გავლილი ტყვია, მიქელას მუცელში მოხვდა.

მოხუცი იქვე გარდაიცვალა.

სასიკვდილოდ დაჭრილი ხოსრო კი ამქრებმა იმავე ღამეს წაიყვანეს ქუთაისს.

სისხლისაგან დაცლილი ხოსრო მესამე დღეს ინახულა ცოლმა და სიმამრმა.

მირიანი დარწმუნდა, რომ ხოსროს დღეები დათვლილი იყო და მეორედ ნახვისას თან წაიყვანა ნათესავი ნოტარიუსი.

ნოტარიუსის დაჟინებული რჩევით მომაკვდავმა ხოსრომ ძლივს მოაწერა ხელი ანდერძის ქაღალდს და აცრემლებულ კესოს თვალი მოარიდა.

საავადმყოფოს კარებთან მოწრიალე მირიანს ნოტარიუსმა საბუთი გადაცა. ამ დროს კესოც გამოვიდა. დანაღვლიანებული იერი ჰქონდა. მამას საყვედურით შეხედა. მირიანი კი კუნთებში უჩვეულო ძალას გრძნობდა. კარგა მანძილის გავლის შემდეგ მირიანმა ნამუსის დასამშვიდებლად და შვილის გასაგონად წარმოთქვა:

— ასე არ ჯობია? თუ განიკურნება, ვინ ოხერი, პირიქით დავეხმარები, რაც გამეწყობა, მარა, ვინიცობაა, რომ ვერ გამობრუნდეს? რატომ უნდა დაიკარგოს იმდენი ქონება. ცოლი ხარ და კანონითაც შენ გეკუთვნის.

მირიანი ისე მიაბიჯებდა, თითქო მთელი ქუთაისის პატრონი გამხდარიყო.

„რაღა მაქვს სოფელში, მივყიდი იქაურობას და აქ გადმოვსახლდები! — ფიქრობდა ის და უკვე თავისად თვლიდა რკინიგზის სადგურის ახლო, ხოსროს მიერ ეკლარის ნათალი ქვით ახლადაგებულ და მარსელის კრამიტით დახურულ, ორსართულიან სახლს.

მირიანს განსაკუთრებით ხოსროს რესტორანი იზიდავდა. თუ ამ რამდენიმე თვის წინათ სიძედ ესირცხვებოდა მიკიტანი, ახლა თვითონ ლამობდა მზამზარეულ და სხვისგან გაწყობილ დახლში ჩადგომას.

„ვაჭრობა რა სათაკილოა. ჩემზე უფრო დიდი გვარისანი

უარესსაც ჩადიან. პირველსანებში, ვიცი, გამიჟირდება საზეინობა, მარა შევეჩვევი, არაფერია", — ინუგეშებდა თავს მირიანი, მაგრამ ნაოცნებარი ზღაპრული ჩიტივით გაუფრინდა:

ხოსრო ერთ თვეში ფეხზე დადგა.

საათივით მომართული რესტორანი არეული დახვდა.

— შენი ავადმყოფობის შემდეგ ერთი დღე არ გვქონია ხეირიანი ვაჭრობა. ექიმებს ნავალებ ფულს ვაძლევდი, — თავს იმართლებდა დახლიდარი.

ხოსროს ემწუთხა ვალები და ზარალი, მაგრამ დავის არაქათი აღარ ჰქონდა და დაასკვნა:

„მე კიდო დიდხანს ვერ შევძლებ საქმის გაძღოლას, მანამდე ყველაფერს გამინიავებენ".

ხოსრომ რესტორანი გაჰყიდა, სახლი გააქირავა და სოფელში წავიდა.

სოფლის სუფთა ჰაერმა და ანუსის მოვლამ რამდენიმე თვეში საესებით გააჯანსაღა. მალე კესოც მოპგვარეს. დაიწყო სტუმრიანობა. თეოფილეს მოწეული ქირნახული ხოსროს მოყვრების პატივისცემას უნდებოდა.

ეფროსინე და ანუსი კერიას ვეღარ შორდებოდნენ: მთელი დღე ცეცხლი ენთო და იწვოდა ახალი ქათმები, გოჭები, ცხვებოდა ხაჭაპურები და კარდალაში შიშინებდა ღომი.

„ტყიბულში მუშაობას თავი დავანებე, ვიფიქრე, ოჯახს მამის სიკვდილს არ დავამჩნევ-მეოქი და რას მიშვრება ეს კაცი, რავა უქნარა აზნაურების მოჯამაგირედ მაქცია! გასაყიდად ვეღარაფერი გადავარჩინე, რომ ქალამანი გამოვიცვალო. ცოლ-შვილი სულ დამიტიტვლდა, რამდი უნდა გაგრძელდეს ასე?" — ასკდებოდა თავის გულს თეოფილე.

— აქაო და, აზნაურის ქალი ვარო, არაფერს კიდებს ხელს, მე მოახლედ მთვლის თუ რავაა მაგის საქმე! რატომ უნდა ჩავანთქევიო კესოიას ნათესავებს ჩემი ნაოფლარი, ა? — ეკაპასებოდა დედამთილს ეფროსინე.

თეოფილემ ახალთაობის დროს ასისთავად ნამყოფი ლეონტი ზაუტაშვილი მიუგზავნა ძმას მოციქულად და გაყოფა მოთხოვა.

ხოსრომ ჯერ იუარა, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა

დაყაბულებოდა და ძმებს შუა დაიწყო ასეთ საქმეებში გამოცდილი კაცების მისვლა-მოსვლა.

ხოსრომ მტკიცედ განაცხადა, რომ ყველაფერი თანაბრად გაყოფილიყო.

— რად გინდა ამ დამკილული სახლის ნახევარი, დაშლაზე ღერღერა დაიფშვნება, სათაოდ სხვა მიითვალე რამე! — ეუბნებოდნენ შუამავლები ხოსროს, მაგრამ ის ჯიუტობდა.

— მამაჩემმა დამღუპა, შემომიბერა ხელში. თავის დროზე რომ გავეშვი ჩემთვის, ახლა თავშესაფარი საძებარი აღარ მექნებოდა. თავისი თავიც ხოსროს შესწირა და მეც მანაცვალა მას. იმისი სული წაწყდეს ჩემი ასეთ დღეში ჩაგდებისათვის, ბატონად გამიხადა ძმა. რასაც მე მაგი მიშვრება, იმას ძმა კი არა, მოსისხლე მტერი არ უზამს კაცს. მამაჩემიზა ცხვრის მაგიერ ძაღლი უნდა დამეკლა, ძაღლი, — ცხარობდა თეოფილე.

მიქელას უხიაგად ხსენებაზე ანუსის ტირილი ახრჩობდა.

სანამდე შუაკაცები საქმეს გაარიგებდნენ, ძმებმა ერთმანეთზე ორჯერ-სამჯერ წაიწიეს მოსაკლავად. დიდი დავიდარაბის შემდეგ შუაკაცებმა შესძლეს მათი გაყრა. ეზოს საუკეთესო ნაჭერი ხოსროს ერგო. მას აგრეთვე წილში ხვდა ცალი ხარი, უშობელი, რამდენიმე ქათამი, ხაბაკის ნაწილი და ნახევარი სახლი, რომლის აგებაში ანუსი, ერთდროს, მიქელასთან ერთად, ვაჟკაცივით ეხმარებოდა დურგლებს.

— ხარები მაინც არგე გაუყოფად თეოფილეს, ცოდვაა, ცალი ხარით რა უნდა გააწყოს. შეძლებული კაცი ხარ, ამით შენ არაფერი დაგაკლდება, იმას კი იხსნის სიღატაკისაგან, რაც უნდა იყოს, ძმაა, — ურჩია ხოსროს ლეონტი ზაუტაშვილმა, მაგრამ ხოსრომ ხეირიანი პასუხიც არ გაცა მას.

როცა სახლის დარღვევა დაიწყეს, ანუსის კივილმა მთელი სოფელი შეძრა.

თეოფილე გარეტებული იდგა და უსასოოდ უცქეროდა, თუ როგორ მკვდარი ჩიტებივით ცვივოდნენ ძირს ხავსმოკიდებული ყავრები.

ხოსროს გადაწყვეტილი ჰქონდა ქუთაისში ეცხოვრა, მაგრამ ძმისა და მტრების ჯინზე არც სოფლიდან უნდოდა ფეხის

ამოკვეთა, რის გამო კესო ცოლოურს გახიზნა და შეუდგა ოჯახის მოწყობას.

მალე წაბლის ოთხთვალიანი სახლი დადგა. სახლი თეთრი თუნუქით დახურა და იისფრად შეღება. მამისეული სახლის მასალისაგან ბოსელი გააკეთა, ავთვალიანთა ჯადოს გასაცუდებლად უზარმაზარ ქვის ბოძებზე დაკიდებულ ჭიშკარს რამდენიმე ნალი მიაჭედა და იქვე მარგილს ცხენის თავისქალა ჩამოაცვა.

შემონახული ფული, რომ აღარ ეყო, იეალა და სახლი მორთო — ქუთაისიდან ჩამოიტანა ხალიჩები, რკინის საწოლები, კარადა, გრამოფონი და მეორე ქორწილი გადაიხადა.

ყოველ უქმეს ხოსროს ეზოში რამდენიმე ცხენი ება, სახლიდან გაბმით ისმოდა „მრავალჟამიერ“, რომელსაც გრამოფონის ხმა ენაცვლებოდა. ხანდახან კი კესო ამღერდებოდა გიტარაზე.

მალე ძმებმა დავა დაიწყეს საზღვრისა და დედის შენახვის თაობაზე. დავაში კვლავ შუაკაცები ჩაერივნენ და ორთავე დაიყაბულეს იმაზე, რომ ანუსის ჯერობით თითო წელიწადს ეცხოვრა მათთან, ხოლო საზღვარი ისევ გაუსწორებელი დარჩათ.

ანუსი ყოველი წლის ბოლოს, აიკიდებდა ჭილოფში გახვეულ თავის ძველ ლოგინს და ხან ერთ შვილს მიადგებოდა, ხან მეორეს.

ყავლის გათავებამდე ანუსი ხოსროდან ორი-სამი დღით ადრე მიდიოდა თეოფილესთან, რადგან იმ ფუძეზე მთელი თავისი სიცოცხლე ჰქონდა გატარებული და უყვარდა იქაურობა. ხოსროსთან გული იმიტომაც არ უდგებოდა, რომ კესოს ვერ შეუგუა ხასიათი, რძალი ყოველთვის უმიზეზოდ ეკინკლავებოდა. უფრო კი წვალებით გაზრდილ ირმას სიყვარული იზიდავდა. უკანასკნელად ანუსიმ არჩია სულ თეოფილესთან ცხოვრება, რაც ხოსრომ იწყინა და სარჩოს მიცემაზე უარი შეუთვალა. ანუსი იძულებული შეიქნა სასამართლოსათვის მიემართა, მაგრამ საჩივარი გახანგრძლივდა და ანუსის თავი მოაბეზრა მამასახლისთან წოწიალმაც.

თეოფილემ ისევ ტყიბულში დაიწყო მუშაობა და უფრო-

სი ადამიანის სახლში ყოფნა კიდეც უხაროდა, თუმცა ხანდა-ხან ნიშნისმოგებით მაინც ეტყოდა დედას:

— ესეც შენი საყვარელი ხოსროო!..

## IX

...ჭიაკოკონობის შემდეგ ძმებს შორის შუღლმა კიდევ უფრო გაიდგა ფესვები.

აღდგომას შილებიც უბრად უნდა ზიარებულიყვნენ.

ცისკარზე ანუსი და ირმა ადრე წავიდნენ.

თეთრკოპლებიან და ცისფერ კაბაში კოპწიად გამოწყობილი ირმა ფრთხილად მიაბიჯებდა, რომ ქვებსა და კოლბოხებზე წითელი ჩუსტები არ გაფუჭებოდა.

ეკლესია უკვე გაჩირაღდნებული და ხალხით სავსე იყო.

მლოცველებს სუფთა სახეები უბრწყინავდათ, გულმოდგინედ უსმენდნენ ახლად გამომწესებულ მღვდელს, ესტატე გიორგაძეს, რომელსაც მეტად საამო, ზარსავით ხმა ჰქონდა.

ესტატე კესოს სოფლელი იყო.

მღვდლად კურთხევისთანავე სოფელ ძმუისის მრევლი ჩაბარეს და თავის სამწყსოში იგი აღდგომას პირველად წირავდა.

ესტატეს ეწადა მღვდელმსახურების სარბიელი გამოეყენებია ბეჩავთა და ტვირთმძიმეთათვის სააქაო შვების მოსაპოებლადაც. ამ განზრახვით დაშორდა ის სხვადასხვა გზით მიმავალ სემინარიელ ტოლებს, მაგრამ ეს საქმე არც ისე ადვილი იყო, როგორც სემინარიაში ფიქრობდა, უფრო იოლი აღმოჩნდა ნათვლაში თამადობა და აღაპებში სიარული.

ესტატემ ვერც ბიბლიური ადამიანის ცოდვას დააღწია თავი და მოსვლისთანავე სოფლად მაცდური რაყიფის სახელი მოიხვეჭა. იგი მალულ ეტრფიალებოდა პირსავსე მთვარესავით გაბადრულ კესოს, რაც ყველაზე ადრე ეფროსინემ შეამჩნია და კესოს აუგი დედამთილს აუწყა. ეს იცოდა კესომ და შილები შემდურდნენ, მაგრამ არ იცოდა ხოსრომ და ესტატე ფრთხილად განაგრძობდა აკრძალულისაკენ ლტოლვას.

ახალი მიცვალებულების ჭირისუფლებს საფლავებზე თაფლის სანთლები დაენთოთ. სანთლების სხივები ეკლესიის მთელ გარემოში ციცინათელებივით ციალებდნენ.

დაიწყო ლიტანია. მლოცველები მღვდლის წინამძღოლობით, ანთებული სანთლებითა და ხატებით გარეთ გამოვიდნენ. ეკლესიას გალობით სამჯერ შემოუარეს. ლიტანიის შემდეგ აბბიონიდან სამჯერ გაისმა ესტატეს მხიარული და მკვეთრი ხმა:

— ქრისტე აღსდგა!

რასაც ხალხი ერთპირად გამოეხმაურა:

— ჭეშმარიტად!

ბოლოს ესტატემ ბარძიმი სასოებით გამოიტანა და ღაღადჰყო:

— „ესე არს სისხლი ჩემი, თქვენთვისა და მრავალთათვის დანთხეული, მისატევებლად ცოდვათაააა!“.

ეს სიტყვები ასე მკაფიოდ ირმას ჯერ არაოდეს გაეგონა.

„აპა, სისხლს ჰქვია ზიარება? რა დამალევინებს კაცის სისხლს“, — გაიფიქრა მან და ზიზღით გააჟრჟოლა, მაგრამ ამ დროს სამეტანიოდ წახრილი ანუსი კაბის კალთაში წვდა და ირმამაც დაიჩოქა.

როინი ოქროპირის მიერ შედგენილ გუნდში იყო და გუნდი ხშირად დიაკონის მაგიერ გალობდა. გალობის დროს როინი ხშირად იკიდებდა ხელს ახალი შარვლის ჯიბეებზე, სადაც კერკეტა კვერცხები ეწყო. წირვის დასრულებას მოუთმენლად ელოდა, ხან ირმას გადახედავდა და თავმომწონედ ხმას უალოოდ აუწევდა, რისთვისაც ორჯერ-სამჯერ ისე შეუბღვირა ოქროპირმა, რომ სიმღერის ნაცვლად ყვინჩილასავით აყივლდა.

ვერც გუნდის სხვა წევრები გალობდნენ ხმაშეწყობით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ოქროპირი დარწმუნებული იყო, რომ მლოცველები გულდასმით და სიამოვნებით უსმენდნენ მის მოწაფეებს.

ამით გამხნევებული ოქროპირი ნამდვილ ლოტბარზე უფრო შლიდა ხელებს, თან განგებ გაბოხებული ხმით გუნდს ეხმარებოდა.

ყოველი გალობის შემდეგ ოქროპირი. დაბურდული თმის სწორებით გუნდისაკენ ზურგშექცევით დგებოდა, ხოლო როცა დიაკონი ანიშნებდა ახალი გალობის დროს და იმას, თუ რა უნდა ემღერათ, ის კვლავ გუნდის პირდაპირ გაჩერდებო-

და, მლოცველებისაგან განსაცალკევებლად სახელდახელოდ გაკეთებულ მოაჯირზე ცალ ტოტმოტეხილ კამერტონს ააწკრიალებდა და მალე ეკლესია ბავშვების გალობით გაივსებოდა.

— რისთვის დაუთმო მამის ალაგი სხვას, მღვდლობა არ ერჩია ამ ბავშვების ჭყვირილს?

— უჩიტლობა რა ცუდია, თუ იცი! ძაან კაი უჩიტელიცაა, ხალხსაც ეხმარება!

— კი მარა, სად მღვდელი და სად უჩიტელი.

—საწყალი კიმოთია მაგის ჯავრმა მოკლა, — ამბობდნენ ჩუმად გლეხები ოქროპირზე.

ზიარების დაწყებისას ირმა ტუჩებმოკუმული გაჰყვა ბებიას, მათზე წინ კი კესო გაემართა ტრაპეზისაკენ.

აისმა სარკმლებს კუპრი შემოაცალა, სანთლების კიაფი თანდათან გაფერმკრთალდა.

წირვამოწყურებულნი ერთმანეთს ეხვეოდნენ და კოცნიდნენ, შემდეგ მიდიოდნენ და თავიანთ მიცვალებულთა საფლავებზე აგორებდნენ შეღებილ კვერცხებს, რომლებსაც მაშინვე ბავშვები იტაცებდნენ.

— ქრისტე აღსდგა!

მოესმა გარეთ გამოსულ ირმას და პასუხის სათქმელად მომზადებულ ტუჩებში როინმა აკოცა.

ირმას ერთბაშად ლოყები ნაკვერცხლებად ექცა. გულმა უცნაურად დაუწყო ფართქალი.

მისთვის ჯერ ასე არავის უკოცნია, არც ასეთი რამე უგრძვნია ოდესმე.

როინიც ბანგშესმულივით შეცქეროდა ირმას, მათი ხელები ერთმანეთს უჭერდნენ.

უცებ როინმა ეკლესიიდან გამომავალი ანუსი დაინახა, ირმას ხელი უშვა და გაიქცა.

ის თვალისწამში გაჩნდა ახლად გაკეთებულ ხის სამრეკლოზე, რომელზედაც ძველ, მომცრო ზართან ერთად ეკიდა ხოსროს მიერ შეწირული დიდი ზარი, და შინ მიმავალ ირმას დიდხანს ესმოდა:

ნაუ, ნაუ, ნაუ-ნი-ნი-ნი, ნაუ, ნაუ....

როცა მზის პირველი სხივებით გუმბათი აელვარდა, რო-

ინმა ზარების თოკი სხვა ბავშვს გადაცა და ძირს ჩამოხტა.

— როინ, დავკრათ კვერცხები, გინდა? — ამაყად მიმართა მას აზნაურის შვილმა, მასზე ბევრიხნით უფროსმა, სათავადაზნაურო გიმნაზიის ფორმაში გამოწყობილმა ერისტომ და ჯიბიდან კვერცხი ამოიღო.

ᲛᲐᲗ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ ᲨᲔᲒᲠᲝᲕᲘᲚᲛᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲛᲐ ᲛᲝᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲔᲑᲔᲑᲡ ᲓᲐᲣᲬᲧᲔᲡ ᲬᲐᲥᲔᲖᲔᲑᲐ, ᲗᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲙᲕᲔᲠᲪᲮᲔᲑᲡ ᲙᲑᲘᲚᲔᲑᲖᲔ ᲘᲯᲐᲯᲣᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ. ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲢᲣᲩᲔᲑᲘ ᲭᲘᲐᲤᲔᲠᲘᲗ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲨᲔᲤᲔᲠᲘᲚᲘ.

— დავკრათ! — გაბედვით წარმოთქვა როინმა და თავის კერკეტა კიდევ ერთხელ გასინჯა, მაგრამ უეცრად ხელში გატეხილი კვერცხი შერჩა.

ნაწყენმა როინმა ბატის კვერცხები ამოიღო, რომელსაც ერისტომ უყოყმანოდ დაახვედრა თავისი ფალავანი.

გამარჯვება კვლავ ერისტოს ხვდა.

როინმა ციცრის კვერცხიც დაკარგა.

მალე ჯიბეები სულ დაუცარიელდა.

— დაკირულია! — წამოიძახა ვიღაცამ და ატყდა ჩოჩქოლი.

— მანახე შენი კვერცხი!.. — შესძახა როინმა და საყელოში ხელი ჩაავლო.

ერისტო გაუსხლტა, მაგრამ როინმა იქვე დაიჭირა და ქუდი წაართვა.

— სანამ შენს კვერცხებსაც არ დააწყობ აქ, მანამ ქუდს ვერ ეღირსები! — უთხრა როინმა და ქუდი უბეში ჩაიჭმუჭნა.

ერისტოს არავინ გამოექომაგა, ცრემლმორეულმა კვერცხები წინ დაულაგა როინს:

— მეტი არა მაქვს. მომეცი ჩემი ქუდი, — წაილუღლუღა ერისტომ.

როინმა უბე და ჯიბეები მოუსინჯა, ორი კვერცხი კიდევ ამოართვა, შემდეგ ქუდი ცხვირამდე ჩამოაცვა და პანღური ამოჰკრა. ეს კი ვეღარ მოითმინა ერისტომ, ქვას ხელი დაავლო და შეურაცხმყოფელს თავში გაარტყა. როინი დაბარბაცდა, ვიდრე გონს მოვიდოდა, ერისტო უკვე შორს იყო.

## X

ᲮᲝᲡᲠᲝ ᲡᲝᲤᲔᲚᲡ ᲨᲔᲠᲩᲐ. ᲩᲐᲠᲩᲝᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ.

ᲧᲘᲓᲣᲚᲝᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲧᲘᲓᲓᲐ ᲮᲐᲠᲔᲑᲡ, ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲡ, ᲮᲘᲚᲡ ᲓᲐ ᲧᲕᲔ-

ლაფერს იმას, რაზედაც შეიძლებოდა ორმაგად მოეგო. სახლის ქვეშ, პალატაში, არაყის სახდელი ქვაბი დადგა. ქუთაისის სამიკიტნოებში თვალებიდან ცინცხლების ცვენით სვამდნენ მისგან ფარულად გამოხდილ არაყს. იმ დროს, როცა გლეხებს თავიანთ სასმელად ვერ გაებედათ არაყის გამოხდა, ხოსროს მოჯამაგირე პარასკეობით არხეინად მიაჭრიალებდა ქუთაისისაკენ ძარიან ურემს, თავზე ჩალა მოფენილ ძარში ეწყო არაყით სავსე ჩაფები. ხოსრო მუქთად ყიდულობდა სოფლელებისაგან ჭაჭას, ასევე მუქთად იძენდა ხილის მთელ მოსავალს. გადარჩეულ ხილს ხრესილიდან ყუთებით სადღაც აგზავნიდა, ხოლო მდარე ხილს საარაყედ ქვევრებში ყრიდა და ამქავებდა.

მამასახლისმა ექვთიმემ იცოდა, რასაც ჩადიოდა ხოსრო, მაგრამ თავი ისე ეჭირა, თითქო ვერაფერს ამჩნევდა და ყოველ დილას ხოსროსაგან ნაფეშქაშარ თავ-არაყს თვალებმოხუჭული სვამდა. ხოსრო ბოქაულთანაც შინაური კაცი იყო. გლეხები, როცა რამე საქმე გაუჩნდებოდათ მთავრობასთან, ისევ ხოსროს თხოვდნენ რჩევას და დახმარებას.

ხოსრომ ჩარჩობასთან ერთად მევახშეობას მიჰყო ხელი. მალე სოფელი მუჭში მოიმწყვდია. ხელმოკლე გლეხები სარგებელში ამუშავებდნენ მის ყანებს და ვენახს. ხოსრო უარს არ ამბობდა აგრეთვე სარგებელში მიეღო ნახევრის ფასად გლეხების ნაამაგარი. ხოსროს ფულს ესესხებოდნენ შორეული სოფლებიდანაც. ოქროების გარდა მას თამასუქები ზანდუკში დასტა-დასტა ეწყო. გაჭირვებულნი ხოსროს უგირავებდნენ ყანებს და სახლ-კარსაც. ბევრი მოსახლე დააჩაჩანაკა და აყარა მან, საუკეთესო ნოყიერი მიწები დაისაკუთრა, — გლეხები თავის გუშინდელ ყანებს ახლა სამესამედოდ ამუშავებდნენ.

ხოსრომ არც ძმა დაინდო.

ერთხელ თეოფილეს ირმა გაუხდა ხურვებით ავად და იძულებული შეიქნა დედის პირით ძმას ფულს დასესხებოდა.

თეოფილემ ვალი ვადაზე ვერ გადაიხადა, ხოსრომ ვალში დაწინდებული მისი ეზოს ნახევარი თავის ეზოს მიაკრა და ღობე ზედ სახლის ყურესთან გაუვლო ძმას.

ხოსრო აზნაურებს უფრო იოლად ექცეოდა, რადგან ბევ-

რი მათგანი გამოსადეგი ეგონა, ზოგი კიდევ დამქაშად ჭირდებოდა. გარდა ამისა, მან იცოდა, რომ ყველას გადაკიდება ხიფათს წარმოადგენდა, და ის კეთილგანწყობილებას ამყარებდა წელმაგარ გლეხებთანაც.

მირიანი ხშირად მიმართავდა სიძეს ხელისმოსანაცვლებლად, და როცა ასე წვრილ-წვრილად წაღებულმა ოც თუმანს გადააჭარბა, ერთხელ ხოსრომ სიმამრს სიცილით თამასუქი წინ დაუდვა. მირიანმა გაკვირვებით დახედა მოგრძო ქაღალდს და სიძეს ჰკითხა:

— რაა ეს!

— არაფერი. ხელი მოაწერე მარტო და იქრო წაიღე! — ხუმრობით უთხრა სიძემ და მელანში ამოწებული კალამი მიაწოდა.

— რავა, არ მენდობი? შენი წვირიანი მეზობლები გგონივარ თუ! ღმერთმა შეარცხვინოს შენი ფული და შენი კაცობაც! — ფიცხად წარმოთქვა მირიანმა და წამოდგა.

— ანგარიშიანობა რა საწყენია, მე ვინ მაძლევს ხერელედ რამეს. ხელისმოწერას ხომ ჯაფა არ უნდა! — უხერხულად წაილაპარაკა ხოსრომ და განზე გაიხედა.

ამ დროს კესო შემოვიდა და გოცებით იკითხა:

— რა მოგივიდა, მამა?

— შენ ქმარს კითხე, მაგისაგან უარესიც მეკადრება! — გესლიანად უთხრა შვილს და სწრაფად გავიდა გარეთ.

ამის შემდეგ სიძე-სიმამრს ერთ თვეს არ გაუცია სმა ერთმანეთისათვის, მაგრამ მირიანმა მეტხანს ვეღარ გაუძლო ქესატობას და უხვად გაწყობილ სუფრაზე მოლხენის სურვილს.

უმადურად სიძეს თამასუქზე ხელი მოუწერა, თანაც კესოს მოციქულობით ხუთი თუმანი კიდევ ზედმეტად გამოართვა. მირიანმა კვლავ განაახლა თავისი სახლისკაცებით მსვლელობა სიძესთან.

„რა მოსვენებული ვიყავი ამ ერთ თვეს, ამოიღეს პირდაპირ სული. მაგათ გაძღომას რომ არაფერი ეშველა?“ — იტყოდა ხანდახან თავისთვის ხოსრო, ხოლო, როცა მისი შინ არყოფნის დროს სტუმრების წვევას გაიგებდა, მაშინ ცოლთან აშკარად გამოთქვამდა გულისწყრომას.

ხოსრო ხშირად იყო გარეთ.

სარფიანი ვაჭრობა მთელი კვირაობით ატოვებინებდა ოჯახს. კესოს უხდებოდა მისი მაგივრობის გაწევა.

— მამაშენს გადაეცი, ფული მჭირდება და ვალი გადამიხადოს! — უთხრა ერთ საღამოს ხოსრომ ცოლს.

— ნეტავი თუ მართლა ლაპარაკობ მაგას?

— რავა მეკითხები, იქნება, მამაშენის მოხარკეთ მთვლი? — რაღაც ნაწყენი კილოთი წარმოთქვა ხოსრომ და პაპიროსი მაგრად მოწია.

კესო დაიბნა. დაბალი ხმით, მაგრამ თან გაკილვით უპასუხა:

— ფულის გულისათვის ჩემს მშობლებს კი არა, მგონია, მეც შემელევი.

— რაებს ჩმახავ, ქალო, ა? ფულითაა ქალბატონივით რომ ზიხარ, თორემ შენც სხვებივით იქნებოდი ჩითის კაბას მონატრული!

— უკაცრავად, მე ჩითის კაბაშიც ქალბატონობას ვერავინ წამართმევს, შენ იკითხე თვარა, — გადაკრა კესომ.

— ჰა, ჰა, ჰა! შენი აზნაურობა კარგად შეინახე, არსად დაგეკარგოს. თუ აზნაური არ ვარ, იმიტომ ვერ ვცხოვრობ ლამაზად. რომ მოვინდომო, მთელ შენს გვარს ხვალვე ჩოქვით მოვიყვან აქ, ჩემს წინ.

— კი, დოუწრუპუნე, და მეტი არ გინდა. ყელამდე რომ ოქროებში ჩაჯდე, მაინც ვერაოდეს გაუტოლდები ჩემს ვვარს, — კვლავ დაცინვით წარმოთქვა კესომ და მაჯის სიმსხო ადლიანი ნაწნავები ამაყად შეირხია.

ხოსრო აინთო:

— ნუ მაქეზებ, თორემ, მამის სულს გეფიცები, მამაშენს საგლახაკოდ გავუხდი საქმეს.

— რაო, რაო, მანამდე არ მოგასწრებს მაგ დღეს ღმერთი. მართალი მითხრა მამაჩემმა — ღორის ტილი რომ ფეხზე დაისვა, თავზე აგაღოღდებაო. ისეა შენი საქმე სწორედ, ვაი ჩვენი ბრალი!

ამ სიტყვებმა ხოსროს გონი დაუკარგეს და გააფთრებული წვდა კესოს თმებში, სკამიდან ძირს გადმოითრია და ჩაწიხლა.

ყესომ საშინელი კივილი მორთო.

ხოსრომ ტუჩებზე ხელი დააჭირა, მაგრამ კესომ ისე მაგრად უკბინა, რომ სანამ მეორე ხელის მუშტი არ ჩაარტყა თავში, მანამ ვერ გააშვებინა კბილები.

კესო გულშეწუხებული გაიშხლართა იატაკზე.

კესოს კივილი გაეგონა ანუსის და მაშინვე აღელვებული მივარდა.

— რა ამბავია, ბიჭო? — შინ შესვლისთანავე იკითხა ანუსიმ, მაგრამ ხოსროს მოღრეცილი სახე და გონმიხდილი კესო რომ დაინახა, მიხვდა რაც მომხდარიყო და რძალს მივარდა მოსაბრუნებლად. ხოსრო დაკოდილი მხეცივით კარებში გავარდა.

კესო მეორე დღეს გათენებამდე დაადგა გზას ბობოთისაკენ. ბევრი ეხვეწა და ეეედრა ანუსი, მაგრამ დედამთილი ახლოსაც არ გაიკარა.

სადღაც ღამენათევი და ცოლთან ჩხუბის გამო დარცხვენილი ხოსრო შუადღეზე დაბრუნდა შინ.

— სადაა ქალბატონი? — ოთახებში მივლა-მოვლის შემდეგ ცივად ჰკითხა მოჯამაგირეს.

— მგონია, თავის სახლს გეახლათ, კარგად არ ვიცი! — კრძალვით უპასუხა მოჯამაგირემ და, კვლავ ხოსროს გაფითრებული სახე რომ დაინახა, უკან ნელ-ნელა დახევით გავიდა ოთახიდან.

— ფერი ფერსაო, მადლი ღმერთსაო, ნათქვამია. მაგათ ცოლქმრობას ფერი კი აქვს, მარა მადლი აკლია. აზნაურის ძაღლიც სხვანაირად ყეფს, ჩემო თეოფილე, თვარა შვილი რავა დაკარგავს ჯილაგს, — უთხრა ლეონტიმ თეოფილეს, როცა ხოსროს ოჯახში მომხდარ უსიამოვნებას მოჰკრა ყური.

— ძმაა და კიდო მეცოდება, თუმცა ცალი თვალი წამოეთხარა. ეზოში გარება მეზარება. აღარც ვარგა ჩემი გარემო რამედ. სახლის საწვეთელი რომ სხვის ალაგში მოგექცევა, კაცს, იქ ცხოვრებას სულ მიუსაფარი იყო ჯობია.

— რაღა დასამალია და, უნდა მოგახსენო, რომ ძაან მსუნაგი და ხარბი გახდა. თქვენ არაფერში გეტყობათ ერთი დედმამის შვილობა, აჰ! მასეთი ბილწი კაცი მეორე არ დადის მთელ ოკრიბაში, წურბელასავით გეწოვს სისხლს. როინს გეფიცები, აზნაურებზე უფრო გლახად იქცევა კი! აზნაურს, შე

კაცო, ახლა მარტო კუდისბზეკის მეტი რა შეუძლია, მაგი კი ყველას კუდის რიკამდე აძრობს ტყავს. მერე, მე შენ გეტყვი, შვილი ჰყავს, ქველია! რა ოხრად უნდა ეს ამოდენა ქონება, ა?

— ჩვენი ბრალია, ცხვრებივით ჩავუცვინდით ხელში და ახლა როგორც მოეპრიანება, ისე გვკრეჭს. პირი უნდა შეკრას სოფელმა, რომ არც ჭირში და არც ლხინში არავინ გაეკაროს, არც ვინმემ გაიკაროს და მაშინ ვნახოთ, როგორ იფარფაშებს! — ბრაზმორეული კილოთი ჩამოართვა სიტყვა თეოფილემ.

— ახალთაობის დრო იყოს, მოგეცა ღვთის წყალობა, შენს ხოსროს მოვადრეკინთ ქედი, მარა ხალხი დამფრთხალია, ჩემო კეთილო. ერთს დაიყოლიებ, მეორეს ვერაფერს გააბედვინებ!.. — ამ სიტყვებით ლეონტი თავის ჭიშკარში შევიდა, თეოფილემ კი გულჩათხრობით განაგრძო გზა.

...ხოსრომ ორჯერ შეუთვალა მირიანს — კესო გამოეგზავნა, მაგრამ მოციქულმა ორჯერვე ცივი უარი მოუტანა.

— ჰატ, ის წუნკალი, იმას ვაჩვენებ ჩემი ასე დამცირებისათვის სეირს, რავა გაბედა და ხელი შეახო ჩემს შვილს იმ უჯიშომ, იმან — ცეცხლს აფრქვევდა მირიანი.

მესამედ მირიანს კარზე მიადგა სასამართლოს ბოქაული. ხოსროს ვალის ასანაზღაურებლად, მის ქონებას ყადაღა დაადვა. მირიანი სახსრებში მოიშალა. კესო მამის უთქმელად დაბრუნდა ქმართან.

## XI

— ბავშვებო, ხვალ კვირაა, წავიდეთ სოკოების საკრეფად, გინდათ?

სკოლიდან მომავალნი სიხარულით გამოეხმაურნენ როინის წინადადებას და შექნეს გაცხარებული ბჭობა იმის შესახებ, თუ სად უფრო შეიძლებოდა ბევრი სოკოს შოვნა.

— ირმა, რამ დაგამუნჯა, რატომ არაფერს იტყვი ა? — შეეკითხა როინის და — ნათელა.

— მე ვერ წამოვალ, დაია, ბებიაა ავად, ჩვენები ქუთაისს მიდიან, მე უნდა მივხედო! — გულდაწყვეტით წარმოთქვა ირმამ და უნებურად როინს შეხედა.

ამ ამბავმა ყველა დააღონა.

ირმას გამოკლებით სოკოების საკრეფად წასვლა კი არა, ქორობუდობიას თამაშიც არ ეხერხებოდათ. გოგოებში ირმა იყო ყველაფრის მოთავე და სულისჩამდგმელი, ხოლო ბიჭებში — როინი. ირმას იმედით და გამბედაობით გოგოები ხანდახან ბიჭებს კიდეც ჯაბნიდნენ, მაგრამ ბიჭებს მაინც უყვარდათ ის, რაც ყველაზე მეტად როინს ემჩნეოდა, თუმცა ხშირად ჩხუბობდნენ.

— თავპატიჟს ნუ იდებ, რომელი დოხტური შენ ხარ, რა უნდა გაუკეთო ბებიაშენს შინ ჯდომით, ა? ტყუილა გვახვევწებს, თვარა რას არ წამოვა? — იხუმრა როინმა.

— რა უნდა გავუკეთო? წყალს დავალევინებ, ან ბუზებს მოვუგერებ, ხმას გაეცემ...

— ბუზების მოგერებაც თუ აღარ შეუძლია, ბარემ შავები შეიკერე და ის იქნება.

— უწინ შენი კუბო ვნახე, პიწაკი ენა შენ გაქვს! — ანთებული სახით წარმოთქვა ირმამ და ქუთუთოებზე ცრემლი მოადგა.

— რა სულელი ხარ, შე საწყალო, სახუმრო სხვა ვერაფერი ნახე? — უსაყვედურა როინს ნათელამ.

მეგობრის გამოქომაგებაზე ირმამ ცრემლი ვეღარ შეიკავა და ატირდა.

როინი შეწუხდა.

— სიტყვას რომ ასეთი ძალა ჰქონდეს, აქამდე ბიძაშენი ათჯერ უნდა მომკვდარიყო, რაც იმას წყევლიან. ისე ვთქვი, თვარა ბებია ანუსი მეც ძაან მიყვარს. იმასაც ვუყვარვარ, მაშ. ერთხელ შენი სიგრძე ჯანჯუხა და მთელი სუფრისოდენა ტკბილისკვერი მომცა, — მონანიებულის კილოთი თქვა როინმა და თანვე ეშმაკურად დაუმატა: — თუმცა შენ რა ხარ და შენი სიგრძე ჯანჯუხა რა უნდა ყოფილიყო...

— უკაცრავად ბრძანდები, შენზე მაღალი კი ვარ და, — ალუღლუღდა ირმა.

— რას ამბობს, რას ამბობს, ვინაა ჩემზე მაღალი? ჰა, ჰა, ჰა, წელამდე ძლივ შემომწვდება და ალვის ხეთ მოაქვს თავი!

— დამეტოლე აპა, ასე ტრაბახი რომ იცი!

— მოდი, ჰო, მოდი!

გაწაღიზიანებლად მიმართა როინმა ირმას და წინ დაუდგა.

ამ დროს ბავშვებმა აქეთ-იქიდან როინს და ირმას ხელი ჰკრეს და ხმიანი სიცილით ერთმანეთს გულებით დაატაკეს.

როინი რატომღაც ენინეილივით აენთო, მაგრამ სიწითლე რომ დაემალა, ისიც აჰყვა საერთო ჟრიამულს.

ირმასაც გაეღიმა. გაღიმებული ახალ ნაწვიმარზე ღრუბლებიდან გამოსულ მზეს დაემსგავსა.

— შერიგდენ, შერიგდენ! — კვლავ აყიჟინდნენ ბავშვები და შინისაკენ გაემართნენ.

როინის რჩევით გადაწყვიტეს, იმ შემთხვევაში, თუ ანუსი ირმას გამოუშვებდა, დილას ადრე შეკრებილიყვნენ წყაროსთან.

ყვირა დილას, თეოფილეს და ეფროსინეს გამგზავრებისთანავე, ნათელა მივიდა და ანუსის შეეხვეწა:

— ბები, წამოვიდეს ირმა სოკოების საკრეფად, კარგ სოკოებს სულ შენ მოგიტანთ, ღმერთმანი, გეამება! წირვის გათავებამდე დავბრუნდებით!

ანუსიმ თავის სასთუმალთან მოფუსფუსე ირმას ღიმილით თვალი შეავლო და უთხრა:

— წადი, გენაცვალე, ოღონდ ბევრს ნუ დაიგვიანებ, ჭკუით იარეთ. წყლიანი ლიტრა ახლო დამიდგი.

ირმამ პასუხის ნაცვლად ბებიას აკოცა და ნათელასთან ერთად მოკურცხლა.

მალე ტყეში შეჭრილ ბილიკზე გაისმა ბავშვების კისკისი, სიმღერა, წინ გასწრებულთა ძახილი. გზადაგზა წყვეტდნენ ნაირ ყვავილებს და იჭერდნენ ფრთებჭრელა პეპლებს.

მთის წვერზე წამოგებული მზე ხალისიანად ბრწყინავდა. ფოთლებზე ცვარი კამკამებდა. დაწინაურებული როინი და ირმა ტყემ დამალა.

უეცრად ირმამ კალათი იქვე დააგდო და ელვის სისწრაფით განზე ისკუპა.

— მომეხმარე, მომეხმარე, როინ! — აყვირდა ბუჩქთან ნამიან ბალახებში ხელებჩაფლული ირმა.

როინი მაშინვე მივარდა და ჩაიჩოქა.

მათი თავები ისე ახლო იყო ერთმანეთთან, რომ როინი უცნაურმა, აღდგომას განცდილის განმეორების სურვილმა აიტაცა.

— რა ქაჯი ხარ! — ჩურჩულით წარმოთქვა მან და ირმას ლოყა ლოყაზე მიადვა.

ამასობაში მოზრდილი ბაჭია ირმას ხელიდან გაუსხლტა და გაქრა.

— ეს რა ქენი, ეს რა ქენი? — წამოიძახა ირმამ და აქეთ-იქით დაიწყო თვალების ცეცება.

— რას აკეთებთ მანდ?

თითქმის ერთხმად მიაძახეს ორთავეს წამოწეულმა ამხანაგებმა.

— კურდღელი დავიჭირეთ, მარა გაგვექცა... — არეეით თქვა ირმამ და ბუჩქები გადაწია. თუმცა იცოდა, რომ ბაჭიას უკვე ცხრა მთა ექნებოდა გადარბენილი.

— ვის ატყუებთ, კურდღელი კი არა, მგელი იქნებოდა, — დასცინა ვიღაცამ მათ და ატყდა საერთო ხარხარი.

— ღმერთმანი, კურდღელი იყო... შავი. ჰო... — აუბორძიკდა ენა როინსაც და წამოდგა.

ირმა კვლავ განაგრძობდა ბუჩქებში ცქერას. შემდეგ ისიც წამოდგა და ამხანაგებს მოუყვა, თუ როგორ დაინახა, როგორ დაიჭირა და... მერე გაექცა იმიტომ, რომ როინი დროზე ვერ მიეშველა.

ბავშვებმა თითქმის დაიჯერეს.

გადაწყვიტეს ჯერ ესაუზმათ. ‚ალათებიდან ამოიღეს — ზოგმა ლობიანი მჭადი, ზოგმა ყველი და ცივი ღომი, მწნილი, პრასი, ვაზის ფოთლებში გახვეული ნადუღი და გაქცეულ კურდღელზე ლაპარაკით შეუდგნენ დანაყრებას.

სწრაფად ისაუზმეს. შემდეგ მხიარული ყიჟინით სოკოების ძებნა დაიწყეს.

შუადღემდე სავსე ‚ალათებით უკან სიმღერით დაბრუნდნენ.

* *

ორშაბათს სკოლაში თან წაიღეს რამდენიმე სოკო, ყვავილები და ასანთის კოლოფებში ჩაწყობილი პეპლები.

— ვთქვათ, რომელიმე თქვენგანს მივეცი ერთი თუმანი და დავავალე — იყიდოს სრული ასი თავი რამე და თუმანიც ისე დახარჯოს, რომ არც კაპეიკი მოემატოს თუმანს და არც

დააკლდეს. ნაყიდ ნივთებს კი უნდა შეადგენდნენ მხოლოდ კაპეიკად, აბაზად და ორ აბაზად ღირებული ნივთები. აბა, მითხარით, რას და რამდენს იყიდიდით?

ბავშვებმა ოქროპირის ნათქვამი ჩაიწერეს და დაიწყეს ვარაუდით ანგარიში, თუ რამდენი უნდა ეყიდათ კაპეიკიანი, აბაზიანი ან ორაბაზიანი, რომ ნაყიდი ნივთების რაოდენობა გამოსვლოდათ ასი და თუმანიც სრულად დაეხარჯათ.

დიდი ხნის ფიქრის შემდეგ როინმა ითხოვა:

— მასწავლებელო, მომეცით ნება ერთი რაიმე მაინც ვიყიდო ორკაპეიკიანი.

— არ შეიძლება! — მკაცრად ესროლა ოქროპირმა და ამოცანა კვლავ მკაფიოდ გაიმეორა.

გუშინ ეს ამოცანა ოქროპირს სახალისოდ უთხრა ერთმა გონებამახვილმა გლეხმა და მან იმავე გლეხის დახმარებით ძლივს იხსნა თავი სირცხვილისაგან.

ოქროპირმა იცოდა, რომ მისი მოწაფეები ამ ამოცანას ვერაფერს გაუგებდნენ, მაგრამ საცდელად მაინც თქვა.

მოწაფეები თავს იმტვრევდნენ, მაგრამ თუმანზე ხან აკლდებოდათ. ხან ემატებოდათ, და არც ნავაჭრი გამოუდიოდათ სათვალავში.

— აპა, ვინ იყოჩაღა, ჰა, რა ქენით! ცნობილაძე, ვერც შენ გამოიყვანე?

— ბატონო მასწავლებელო, ჯერ მომეცი თუმანი და ანგარიშს მერე ჩაგაბარებ, — უეცრად წამოიძახა ირმამ და ბავშვებმა უჩვეულო ხარხარი ატეხეს.

ოქროპირმა, როგორც იყო, დააწყნარა მოწაფეები და გამწყრალი ხმით ირმა გამოიძახა:

— ცნობილაძე, გამოდი დაფასთან!

ირმა დარცხვენით გაჩერდა დაფასთან და ცარცი მოიმარჯვა.

ოქროპირმა დაიწყო კარნახი. დაფაზე გაჩნდა თეთრი, ლამაზად გამოსახული სიტყვები და ციფრები.

დაფაზე წერის დროს ირმას უნებლიედ მიაქცია ყურადღება ოქროპირმა.

თითქოს თვალები ახლა აეხილა და პირველად ნახა ადრე

ტანაყრილი, მკერდაკოკრებული ირმა, რომელსაც შავი მსხვილი ორი ნაწნავი კოჭებამდე წვდებოდა.

„ქალი ყოფილა, დახატულს ჰგავს!“ — გაიფიქრა ოქროპირმა.

დიდი გაჭირვებით ირმამ დავალება შეასრულა და ოქროპირის წინ თავდახრით გაიარა. დაფაზე ეწერა:

60 კვერცხი, თითო 1 კაპ. = 60 კაპ.

33 წიწილა, თითო 20 კაპ. = 6 მ. 60 კაპ.

7 ქათამი, თითო 40 კაპ. = 2 მ. 80 კაპ.

ფეხზე წამომდგარი მოწაფეები კი დაფას შეცქეროდნენ და გაოცებული ამბობდნენ:

— რა იოლი ყოფილა!

## XII

ოქროპირი თავაუღებლივ სწავლობდა მარქსისტულ მოძღვრებას და უკვე ამ მოძღვრების ფილოსოფიის მცოდნედ მოჰქონდა თავი.

წიგნებში ჩრჩილივით ჩამჯდარი, მისთვის სადაო აზრებს კომენტარიებს უკეთებდა, თუმცა ოთახში მის მეტი არავინ იყო, ხანდახან ავტორებს ხმამაღლაც კი ეკამათებოდა.

მაგიდაზე ედგა თუნუქის ლამპა. შუშას, მომტვრეული თავის მაგიერ, რვეულის ფურცელი ჰქონდა გაკეთებული.

კედელზე დიდი ხნის წინათ გაკრული ვარდებიანი შპალერი ზოგან ჩამოხეული იყო, ჩამოსულ წვიმას ალაგ-ალაგ ზეღ უცნაური ცხოველები გამოეხატა, მეტწილად შპალერის გახუნებული ვარდები დაფარული იყო დამსკდარ ადგილებზე გაკრული გაზეთის ნაჭრებით.

ლოგინთან ეკიდა მღვდლად ჯურთხევისას გადაღებული ვიმოთეს სურათი, ოჯახის სხვა წევრებისა და ნათესავების სახეები. სურათების ნაირი ჩარჩოები დამკილული და ბუზებისაგან დასვრილი იყო.

მაგიდასთან მოჩანდა უცნობი მხატვრის მიერ უცნაურად დახატული შოთა რუსთაველის სურათი, წიგნებიდან ამოხეული აკაკის, ილიას, ტოლსტოის და მამია გურიელის პორტრეტები, ხოლო გამოჩენილი სოციალისტებისა და ბელადების სურათები ოქროპირს შენახული ჰქონდა სიფრთხილის გამო.

ოქროპირს ხშირად დათენებია წიგნების კითხვაში და წაკითხულის შეფასებაში. ის დარწმუნებული იყო საკუთარი ცოდნის სიღრმეში. ეს რწმენა კიდევ უფრო გაუორკეცდა, როცა ქუთაისის პარტიული საოლქო კომიტეტის ორგანოში — გაზეთ „მერცხალში“ თვალსაჩინო ადგილზე მოთავსებული თავისი წერილი წაიკითხა. მალე მისი რამდენიმე წერილი, პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ, იმავე გაზეთში მეთაურადაც დაიბეჭდა და ოქროპირი სულ ჩაიკეტა ოთახში. ის გამუდმებით წერდა და კითხულობდა. სკოლიდან პირდაპირ შინ მიდიოდა და ოთახში არავის უშვებდა.

მოუცლელობის გამო ოქროპირმა არალეგალურ კრებებზედაც შეწყვიტა სიარული, თუმცა თეოფილე ხშირად თხოვდა მას, როგორც ტყიბულის მუშებში, ისე რამდენიმე ხნის წინათ დაარსებულ გლეხების წრეში სახელმძღვანელო მოხსენებების გაკეთებას.

მისი ცხოვრება სრულებით არ ჰგავდა რევოლუციონერის დაუდგრომელ ყოფას. ოქროპირი ნამდვილი განდეგილივით ატარებდა დროს.

მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ასე.

უკანასკნელ ხანებში ოქროპირს მოულოდნელი ცვლილება დაეტყო, ყველას გასაკვირად წვერი გაიპარსა, სუფთად ჩაიცვა და ღიმილით დაიწყო ლაპარაკი. ხშირად იყო მხიარულ გუნებაზე. ხანდახან ჩიტივით უნდოდა გაფრენა. თანაც უკვირდა, თუ რამ ჩაურგო გულში ამდენი ყვავილი ან რატომ აქამდე ვერ ამჩნევდა ამ ლურჯქათიბიან მთებს, ანკარა წყაროებს, მოკრიალებულ ცის კაბადონს და ყველაფერ იმას, რასაც სილამაზე ჰქვია.

ბუნების ბრწყინვალება ოქროპირს თვალს ჭრიდა. წიგნების მტვერით დაშრეტილ ძარღვებში ხალასმა სისხლმა უწყო ჩქეფა. მას უხაროდა მზიანი ტაროსი და წყინდა, როცა ცა პირქუში იყო, თუმცა ამინდის ავკარგიანობას დღემდე სრულებით არ აქცევდა ყურადღებას.

„რა მემართება? რაც ახლა ასე მიზიდავს, ხომ წინათაც არსებობდა!.. დიახ, არსებობდა, მაგრამ მე არ ვარსებობდი. მე დავიბადე... როდის? რა არის ყოველივე ამის მიზეზი?“ — მოთხოვა აღსარება ერთ საღამოს თავს ოქროპირმა და შედ-

რკა, საიდუმლოების გამხელა ვერ გაბედა, მაგრამ ვერც ნაგრძნობი უარყო.

„რა ქვია ამას, სიყვარული? ვინ მისცა მას ამდენი ძალა, საკუთარი გზიდან ამაცდინოს!“

ჩაკეტა გულისკარები ოქროპირმა და სცადა განეგრძო ერთი თვის წინათ დაწყებული წერილი, მაგრამ სიტყვები ერთმანეთს არ ეთანაბრებოდნენ და აზრი თილისმას ემორჩილებოდა.

თილისმა კი სხვას ჰქონდა. — ყოველი ბწკარი ქალის ნაწნავებს აგონებდა ოქროპირს.

ხან ასოები ხეებად იქცეოდნენ, წერტილები ბუჩქებად და ყველა ერთად კი ტყედ. ტყეში ალი იყო, ნადირობაში შემოღამებულ ოქროპირს რომ უღიმოდა და ოქროსწყალში ნაბანი თმა მხრებზე ტევრად ეყარა. ოქროპირი მისკენ მიიწევდა, ალი კისკისებდა, სამოსშემოძარცულ ტანს ფოთლებში იმალავდა, ფოთლებს ცეცხლი ეკიდა. აი, ოქროპირი მიუახლოვდა კიდეც, მაგრამ ალი გაიქცა და ფოთლები ძირს დაცვივდა.

— ოქროპირ, მოდი, შვილო, ვახშამი გაცივდა!

მოესმა დედის ხმა ოქროპირს და შემკრთალი წამოდგა. საფეთქლები დახეთქაზე ჰქონდა, მოლანდებული ტანის სურნელით თავი უბრუოდა.

ოქროპირი ძალდატანებით გავიდა აივანზე.

ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი. მთვარის ამოსვლის მოლოდინში გაზაფხულის ბორიო ფოთლებს აშრიალებდა.

სადღაც ტურები კიოდნენ, ბუ იძახოდა.

* *

დილას მოგვიანებით წავიდა სკოლაში.

ცინცხალა მზე ნაპერწკლებს ყრიდა.

სკოლის ეზოში უკვე ბავშვების ჟრიამული იდგა.

ოქროპირი ფერმკრთალი შევიდა სკოლის ჭიშკარში.

ერთბაშად, სიჩუმე დამკვიდრდა, — ბავშვები მასწავლებელს მიესალმენ.

ოქროპირმა წყნარად გაიარა მათ შუა.

განაპირებით მდგარ ირმას ვარდებიანი ლაინის ახალი კაბა ეცვა.

მალე ზარი აწკრიალდა, ბავშვები ყიჟინით აცვივდნენ აივანზე.

ისინი დღეს უკანასკნელად იყვნენ ამ ჭერქვეშ, სადაც რამდენიმე წელი გაატარეს. ამიტომ ბუდიდან გადმოსაფრენ ბარტყებივით გრძნობდნენ თავს.

ჩვეულებრივ როინმა სხარტად წარმოთქვა „მამაო ჩვენო“, შემდეგ ოქროპირმა ენის ბორძიკით გააბა საუბარი, მაგრამ მალე სისუსტე დაძლია, სიტყვებმა თავისთავად იწყეს დენა.

ოქროპირის ხმა ხან ხავერდივით რბილი იყო, ხან მძაფრი.

ბავშვები სულგანაბული უსმენდნენ მას.

თვალწინ ეხატებოდათ მომავალი ცხოვრება. ყველას სახელოვან და ხალხისათვის სასარგებლო კაცად გახდომის სურვილი იპყრობდა. ოქროპირმა მგრძნობიარედ დაასრულა საუბარი და ბავშვებს სიყვარულით გადახედა. დარბაზში ერთ წუთს სიჩუმემ დაისადგურა.

მალე ოქროპირი შეუდგა ატესტატების დარიგებას. ბავშვები ხმაურით წამოიშალნენ. ატესტატების მიღებისთანავე ხტუნვით გარბოდნენ გარეთ.

ბოლოს მარტო რამდენიმე ბავშვი დარჩა ოქროპირთან, მათ შორის იყო ირმაც, რომელიც მოუთმენლად ელოდა თავისი გვარის გაგონებას.

როცა ყველა გაისტუმრა, ოქროპირმა შემკრთალ ირმას ათრთოლებული ხელით გაუწოდა ატესტატი, რომელიც მაშინვე თავაზიანად ჩამოართვა მან და ტოლებს დაედევნა.

სკოლა დაცალიერდა.

ოქროპირი დიდხანს იჯდა გარინდებული.

ირმა კი როინთან ერთად ხმიანი სიცილით შინისაკენ მირბოდა და თან მიჰქონდა ოქროპირის მიერ ხელმოწერილი ფარატინა ქაღალდი, რომელშიაც აღნიშნული იყო:

„1914 წელს, ირმა თეოფილეს-ასულმა ცნობილაძემ წარჩინებით დაამთავრა სოფ. ძმუისის სამინისტრო სკოლა“.

იმავე ხანებში ომი გამოცხადდა და ოქროპირი სოფლიდან წავიდა.

## XIII

სოფელი შედრკა.

ომის ამბავმა ყველას ელდა დასცა, გულში ახალი იარები გაჩნდნენ.

მამები ჭმუნვამ მოიცვა, დედებს ცრემლისგან დასეტყვილ ღაწვებზე ნაოჭები უმრავლდებოდათ. ახალგაზრდები გულდაწყვეტილნი ტოვებდნენ საყვარელ კარმიდამოს. უკანასკნელად მღეროდნენ „ოდელია რანუნის“. შემდეგ მყარდებოდა სამარისებური სიჩუმე, რასაც არღვევდა ომში წასულთა ჭირისუფლების განუქარვებელი გოდება და მათი ვიშის გაჟო სოფელს უჭირდა გაძლება.

გოგოები აღარ იცხებდნენ ფერ-უმარილს, დიდი ხანია არც ვინმეს უცდია უმძრახ სარკეში საბედოს დანახვა.

აღარც დღეობები იმართებოდა კვლავინდებურად. სათემო საცრემლო ალაგად იქცა.

ხანდახან უასაკონი ხევდნენ სამგლოვიარო რიდეს. მათი ლაღობა წუთიერად ჩქმალავდა საერთო ვალალს. ასე ანაზდად დარხეული ხმები ჰგავდნენ შემოდგომის ფოთოლთა შრიალს, რომელშიაც გაზაფხულის ეჟვნები ოდნავ ეღარუნებდნენ. მაგრამ გაზაფხული შორს იყო და ხალისს სუსხი ზრავდა.

შინდარჩენილებს ცისმარადღეს ჭიშკრისაკენ ეჭირათ თვალი და წასულების ამბავს ელოდნენ.

სახლის წინ ტოტებდახრილ ხეზე შემომჯდარი ჩიტის ძახილი ოჯახს აშფოთებდა და შიშით ისმოდა:

— ოქროს ნისკარტი!

— კარგი ამბავი, ჩიტო!

უეცრად სადღაც კივილი ავარდებოდა და სოფელს ერუანტელი უვლიდა.

შემდეგ იკვლებოდა კრავი და დაკარგულის სულს ხელისგახსნაზე მღვდელი ახსენებდა.

საკმეველის სურნელით გაბრუებული ჭირისუფალნი გულზე ხელებდაკრეფილნი დასცქეროდნენ უპატრონოდ დარჩენილ სამოსს და უსასოოდ ზლუქუნებდნენ.

ასე ხდებოდა ხშირად ხან აქ, ხან იქ, ქოხების სვეტებზე

გლოვის ნიშნად შემოკრული შავი ფალასის ნაჭრები ყორნის ფრთებსავით ფრიალებდნენ.

სევდა არ ეკარებოდა მარტო ხოსროს გულს.

ის დილიდანვე ცხენზე იჯდა და დადიოდა მამასახლისთან, მღვდელთან. ხან მაზრის სამხედრო უფროსთან. საღამოს, გვიან დაბრუნებულს, გლეხები უთვლიდნენ ოქროს თუმნიანებს. ამ ოქროებში თანაბარი წილი ედო მღვდელ ესტატეს და ქუთაისელ ხახამს — თარიმას.

ესტატე ჯარში გასაწვევ ახალგაზრდებს ხნოვანებას უკლებდა ან უმატებდა და კიმოთეს ხელით საეკლესიო დავთარში აღნიშნულ დაბადების თარიღებს ოსტატურად ასწორებდა.

იმათ კი, რომელთა ასაკის შეცვლა ესტატეს სახიფათოდ მოეჩვენებოდა, თარიმა სალოკ თითში ძუას უყრიდა, ზოგს ჯინკოლას ასმევდა და თვალს უცრიდა, ხოლო ზოგიერთს, როგორც ტახს, სახახმე დანით კოდავდა და მამლის ყივილამდე ხოსროს პალატიდან ხშირად ისმოდა გულისმხარავი ზმუილი.

— ბიჭო, ნახე ხოსრო, იქნება რამე'ში წაგადგეს! — უთხრა ანუსიმ უმცროს დისშვილს, შუაურეთიდან გამოსამშვიდობებლად გადმოსულ თადეოზ მორჩაძეს.

— ერიჰა, შენც ასე? ხოსროს რა შენი დახმარება უნდა, დეიდა, მუშტრები კალიასავით ეხვევა, თავს რატომ იწუხებ, ხომ იცი, ის ძუნწია და დალალობა ამაოდ ჩაგივლის!

— შენ ხუმრობ და მე კი დასტურ მართლა გირჩევ.

— არა, დეიდა, არც თვალი მემეტება და არც მარჯვენა, არც ყვერულად მინდა თავი, ხოსროს მეოხებით კი შეიძლება ყველაფერი ერთად შემემთხვეს. ცოტას გაუმწარდა სიცოცხლე? ზოგს მზის დანახვა სანატრელი გაუხდა, ზოგმა მარჯვენა დაკარგა და ბევრი კიდევ ლოგინიდან ვეღარ დგება. ასე პირუტყვს არ გაიმეტებენ. კაცად თუ აღარ ვივარგებ, შინ რა მინდა! ხოსროს ხელში ჩემი მტერი ჩავარდა!

თადეოზს ბრაზი იპყრობდა, მაგრამ უეცრად ჭიშკარში შემომავალ ირმას თვალი მოჰკრა და ისევ გამხიარულდა.

— ეი, გომბიო, რავა მობობღავ, შენთვისაც ხომ არ დაუთხრიათ თვალები, ჩქარა, მოდი, წყურვილი მკლავს!

ირმა შედგა და სახლს გახედა. დაინახა თუ არა სოხანეში თადეოზი, ნაბიჯს უმატა, მაგრამ მალე სტუმარი წინ შეეგება და თუნგი ჩამოართვა.

— რას იწყვიტავ, გოგო, წელს, ამ თუნგისხელა ხარ? — შეეხუმრა თადეოზი, გადაკოცნა, შემდეგ ბზრიალასავით დაატრიალა და გაიცა:

— იმე, თუნგისხელა კი არა, კარგი უშობელის ტოლი გამხდარხარ, ასე სწრაფად რა გზრდის, შე მათხოჯო? ა? ალბათ, გათხოვებაც გინდა, ჰოო! მარა კარგ მოზვრებს სასაკლაოზე ერეკებიან, უხეიროებს კიდო ბიძაშენი კოდავს და, მგონია, შენ მოლოზნად მოგიხდეს წასვლა, იქ ბერები მაინც იქნებიან!

— ნუ იცი უხიაგი ხუმრობა, რა დროს ჩემი გათხოვებაა, მანამდე თუ არაფერი ჭამე, ეს წელი კიდევ უფრო გაგიწვრილდება, — ატიტინდა დარცხვენილი ირმა და სოხანეზე შესვლისას სიყვარულით მიუბრუნდა: — ასე უნდა? რატომ არ გვნახე, აქამდე, ბებია რაღმე მოგვიკვდა!

— ცოლი შევირთე და მოშორება მეზარებოდა, მარა ახლა ძალით მატოვებინებენ.

— სწორად ილაპარაკე, რამ მოგანატრა ჩვენი თავი?

— რუსის ხელმწიფემ. ნოვობრანცი ვარ, ჩემო დაია, აბა? მალე გენერლობას მივიღებ და მერე თქვენს სანახავად სულ აღარ მეცლება, არც გიკადრებთ!

თადეოზმა თუნგი მიიყუდა და მის მაღალ ყელში დიდხანს რაკრაკებდა ანკარა წყალი.

თადეოზს დარაიის ბლუზა ეცვა. ყარამანდული ხვანჯრიანი შარვალი ჩატანებული ჰქონდა გადმობრუნებულ მესტებში. მაღალ წვივებზე შემოტმასნილ მესტებს ზაფრანის ფერი დაჰკრავდა, ხოლო ოდნავ გადმოკეცილი ყელი შავ ქობასავით ევლებოდა მუხლებთან. ფოსუსხულ უძიროებში ფეხები მოძრავ მაქოებს უგავდა.

ტანმორჩილი იყო, თხელი, მაგრამ რვალის კუნთებიანი, მხარბეჭგანიერს წელი სამაჯურში ჩაეტეოდა. მის მოგრძო სახეს წაწვეტილი ნიკაპი და მოკაუჭებული ცხვირი დაუდეგარის იერს აძლევდა, ხოლო გრძელწამწამებიან თვალებში თაფლის სანთლების შუქი უკრთოდა, რაც მზისაგან გატრუ-

სულ სახეს სათნოებას მატებდა. მაგრამ იგივე თვალები სიაფთრის დროს გაღვივებულ მუგუზლებივით უგიზგიზებდნენ და ნიკაპი კიდევ უფრო ემახვებოდა.

ახლა კი, თუნგმოყუდებულს, სახეზე ვარდი ეფინა და უმანკოებით სავსე თვალები ჭერისთვის მიეპყრო.

— ასე რამ მოგაწყურა! მთელი თუნგი დაცალე, ჭიქის გამოტანა მაინც გეცლია, შენი ნატუჩარი საწმინდეთ როგორღა ვიხმაროთ? — ღიმილით უთხრა ირმამ, როცა თადეოზმა თუნგი ძირს დადგა და დანამული ჯეჯილოვანი ულვაშები ჯაფისაგან კანგაქერქებული თითებით გაისწორა.

— ნუ ტირი, ჰო, ხუთ თუნგს მოგიტან სანაცვლოდ, ამის მეტი რა გეშოვებათ ძმუისელებს! მე შენ გეტყვი, ღვინო ჭურებს გიხეთქავთ. ა, ტყუილია, დეიდა!?

— შე კაცო, არც მასეა საქმე, იმისთანა ღვინო დაგალევინოთ, რომ სახლისაკენ გზა ვერ გაიგნო, მოიცა, მოვიდეს თეოფილე! — ქადილით წარმოთქვა ანუსიმ და ირმას მიუბრუნდა:

— წადი, ბებია, მოეხმარე იმ ქალს, თორემ ვახშამი დაუგვიანდება, ხომ ხედავ, მე არ შემიძლია. ნუღა აყოვნებ, გაინძერი, ჰო! კარდალათი წყლის შედგმა არ დაგავიწყდეს, საცაა, მამაშენიც მოვა და თავსაბანი წყალი მზად იქონიე.

— კი, კი. მაცადე პაწია... ვინ შეგიკერა, ბიჭო, ეს ბლუზა? — მოულოდნელად შეეკითხა ირმა თადეოზს და თავისი ტოლი როინი წარმოიდგინა იმგვარ ბლუზაში.

— ვინაა შენი ბიჭი, ტუტუცო, რავა აუშვი ენა! — შეუტია ანუსიმ ირმას.

— ჯერ ბიჭი ვარ, დეიდა, მარა, თუ ხოსროს ხახაშმა ჩამიგდო ხელში, მაშინ კი კაბა უნდა ჩავიცვა, მე შენ გეტყვი, არ დამშვენდება.

— უი, შენ გაგიხმა ეგ ენა, რაფერი ლაპარაკი იცი! — წაიტიტინა სიმორცხვემორეულმა ირმამ და თუნგიანად სახლში შევარდა.

ანუსის გვერდით თადეოზი სამფეხა სკამზე მესტების სწორებით დაჯდა და მთებს გახედა.

ერისიონი გადახრილ მზის შუქზე შინდისფრად ლივლივებდა. მთებს აქეთ, ცის კამარაში, ძერა ტრიალებდა.

უეცრად რეკა გაისმა, ანუსიამ პირჯვარი გამოისახა.

ზარის ცალფა გუგუნს ხევები იმეორებდნენ.

მალე მოგუგუნე ზარს მომცრო ზარის წკრიალი აჰყვა, ანუსის გული სასოებით აევსო.

შარაზე გამოჩნდნენ ლოცვაზე მიმავალი ქალები და თითო-ოროლა მოხუცი კაცები, რომლებსაც თეთრი წვერი სუფთად ჰქონდათ დავარცხნილი და ყალიონს აბოლებდნენ.

— რაღად ღირს ჩემი სიცოცხლე, საყდარზე გასვლაც აღარ შემიძლია, ისე დამეხეთა მუხლები, — აწუწუნდა ანუსი.

შაბათის ზარების ხმა თადეოზსაც გულში წვდებოდა. გაყუჩებული იჯდა. მათი წკრიალი თადეოზს ნაცნობ კილოს აგონებდა, სივრცეში ეკას სახე ესახებოდა. აგონდებოდა ჭურდულად მასთან ალერსში გატარებული საღამოები და ძარღვებში ნაპერწკლები უჩნდებოდა.

— საწყალი დედაშენი, ჭკვაზე აღარ იქნება, რაფერ აიტანს უშენობას, არ ვიცი! — დაარღვია სიჩუმე ანუსიამ და ლმობიერად შეხედა დისშვილს.

— ძაან წუხს, მარა რას გააწყობს. მართალი გითხრა, მეც მეტად მეძნელება ოჯახის დატოვება! — მოწყენით უპასუხა თადეოზმა და გრეხილი სარტყელი წელზე უფრო შემოიჭირა.

შემოდგომა მოდის, მის მაგიერ, რომ იქორწილოს და ეკასთან ერთად თავის ოჯახში გაატაროს ზამთარი, სადღაც უნდა გადაიხვეწოს. შეიძლება, ვეღარც კი დაბრუნდეს და ეკას სიყვარული თან ჩაიტანოს უცხო მიწაში.

„იქნებ, ეკამ ჩემს სიკვდილსაც არ დაუცადოს, მანამდე აირჩიოს გულის სხვა ტოლი“, — გაიფიქრა მან და უფრო დანაღვლიანდა.

— თადეოზ, დამიჯერე, დეიდაშვილობას. ვუთხრათ, ბიჭო, ხოსროს, იქნებ, მართლა ისე მოგიწყოს საქმე, რომ არც რამე დაგიშავდეს და სალდათობასაც გადარჩე. ვცადოთ, შე კაცო! სხვაზე უფრო შენთვის გაირჯება! ვიგინდარები ხომ არა ხართ! — დაყვავებით ურჩია ანუსიმ და მხარზე ხელი დაადვა.

— არა, დეიდა! რომ ვიცოდე, წასვლისთანავე დავიღუპები, მაინც არ ვთხოვ ხოსროს დახმარებას არაფრის გულისათვის. რაც მაგან ჩვენ საქმე გვიყო, კი არ დამვიწყნია! ან

ვი რა დამავიწყებს. მაგ უსინდისომ მამაჩემი ჩაფრებს გა-ალახვინა და ისე გამოაგდო სართველე ვენახიდან, მთელი მოსავალი სარგებელში წაიღო და ჩვენ ერთი მტევანიც არ დაგვანება საკუთარი მამულიდან. მაგისთვის ნათესავიც და მტერიც ერთია, მარა, თუ ბიჭი ვყოფილვარ, ერთხელაც იქ-ნება, ვანანებ მამაჩემის ცრემლებს, — ბრაზით წარმოთქვა მან და წამოდგა.

თვალებში რისხვაჩამდგარი, სვეტს მხარით მიეყრდნო და გედებივით კაბადონზე მიმცურავ ლეგა ღრუბლებს მზერა აადევნა.

უეცრად ცხენების ფლოქვების თქარა-თქური მოისმა, მა-ლე ჭიშკარს რამდენიმე ცხენოსანმა აუარა.

— თვალს აღარ მიჭრის, ნეტავი, ვინ არიან?

— შენი შვილია თავის ავანჩავანებით!

ხოსროს მოჯამაგირემ სტუმრებს ჭიშკარი გაუღო.

ცხენოსნები ჭენებით შევიდნენ ეზოში და ბედაურები სეებზე მიაბეს.

— ისე აიარა, ერთხელაც არ გამოუხედავს აქეთკენ! — ანუსის გასაგონად თქვა თადეოზმა და დაჯდა.

— რა ვუყო, მადლობა ღმერთს, მხეიძეებმა წამართვეს შეილი, მარა ჩემი ცოდვა არცერთს არ დააყრის ხეირს. მის ცოლს თავისი ნათესავებისათვის სუფრა ყოველთვის გაშლი-ლი აქვს, ჩემთვის კი ლუკმა ენანება! — ალუღლუღდა ანუსი და თვალებზე მომდგარი ცრემლები შავი თავსაფრის ყურით ამოიმშრალა.

ბინდდებოდა.

ფერდებამოვსებულ ნახირს ფეხშიშველა მენახირე ბიჭე-ბი მოსდევდნენ, ჯიქნებდადიდგინებული ძროხები ბღაოდნენ, ძაღლები ყეფდნენ.

თადეოზი კვლავ ეკაზე ფიქრში იყო გართული.

ანუსი თავის ახალგაზრდობას იგონებდა, როცა თეოფი-ლე და ხოსრო პატარები ჰყავდა, ხოლო ოჯახის მოსიყვარუ-ლე მიქელა ნიადაგ ჯაფაში იყო და წლის სარჩოს იმარა-გებდა.

სახლის ღია კარიდან მოჩანდა გაჩაღებული კერა, საიდა-ნაც გამოდიოდა მუხის ნეშოში შემწვარი ტარნის სურნელი.

ირმა ტარანს ძმრიან საწებელში აწყობდა, ხოლო ეფროსინე კეცებზე ჭადებს აკრავდა.

დეიდა-დისშვილი თავიანთი ფიქრებიდან ლეონტის ბიჭის, როინის ძახილმა გამოარკვია.

როინი ირმას სახელს რაღაც მკვახედ და ზედიზედ იძახდა. მისი ხმის გაგონებაზე ირმა მაშინვე გარეთ ჩიტივით გამოფრინდა. და გაეხმაურა:

— რა გინდა, როინ? თუ გცალია, გადმოდი აქეთ!

როინი სირბილით წამოვიდა, დერეფნის დედაბოძთან უეცრად შედგა.

— შემოდი, შე კაცო, რა მოგივიდა! — მზრუნველად მიიპატიჟა ანუსიმ.

— მოდი, მოდი, ხოხონიკა, ვეღარ მიცანი? — ახლა თადეოზმა მიაგება ალერსი.

როინმა თადეოზს ხელი ჩამოართვა და ენის ბორძიკით მოიკითხა.

— რა გინდოდა, როინ? — თბილი ხმით შეეკითხა ირმა.

—მე, არაფერი, ისე... — კიდევ უფრო დაება ენა და აიბუზა.

ანუსის ყუათში არ მოუვიდა მისი ქცევა. ირმას ჭრაქის გამოტანა დაასაქმა. ჭრაქის მოფარფატე შუქზე გამოჩნდა როინის ფერჩათეთქვილი სახე და დამფრთხალი თვალები.

ანუსი კვლავ იჭვნეულად შეეკითხა:

— რა მოგივიდა, ბიჭო, ხო არ გაციებს!

— არა, ისე, ახლა ხრესილიდან მოვდივარ და...

— მერე შეგაშინა რამემ თუ, გამოლოცვა ხო არ გინდა!

— მაგას რა შეაშინებს, ქვასავით მაგარი გული აქვს! — ჩაურთო კარებზე მომდგარმა ეფროსინემ.

ხოსროს სახლიდან გრამოფონის ხმა მოიჭრა. წუთით სიჩუმე დამყარდა.

გრამოფონი ჯადო ქალივით მღეროდა, ხანდახან მისი ვისვისი წისქვილზე მიშვებული წყალის შხუილად იცვლებოდა.

ირმა შემკრთალი იდგა და როინს თვალს არ აშორებდა.

როინი განძრევას ვერ ახერხებდა.

— დაჯექი, ბებია, აგერ, ჯორკოზე.

ყველა უცნაურმა გრძნობამ შებოჭა.

როინმა ხრესილიდან სიცივე მოიტანა, დამხვდურებს ტანზე ბუძგლები ბწკენდათ.

— დღეს... ბიძია თეოფილე... ვერ მოვა...

როინის სიტყვები ირმას მეტმა კარგად ვერავინ გაიგონა, მაგრამ თეოფილეს სახელი კი ყველამ მკაფიოდ გაარჩია და შეკრთენ.

— რატომ, საიდან იცი შენ? — მოუთმენლად და ერთბაშად შეეკითხა ირმა.

— ტყიბულში გვირაბი ჩამონგრეულა... ბიძია თეოფილეს ფეხი ულრძვია... — ძლივს წარმოთქვა როინმა და განზე გაიწია.

— უი, ჩემს მოსწრებას! — წამოიკივლა ეფროსინემ და ლოყაზე სილა იტკიცა.

— მარტო ფეხი ილრძო თუ სხვა რამეც იტკინაო, როგორ გითხრეს! — ჩაეკითხა ფეხზე სწრაფად წამომდგარი თადეოზი.

— არ ვიცი, ბევრი ყოფილა დაშავებული. ბიძიას, მგონი, უფრო ფეხი უნდა ჰქონდეს ნატკენი... ზოგი ქეც მომკვდარა.

როინის უკანასკნელ სიტყვებზე ეფროსინე, ანუსი და ირმა ერთხმად აკივლდნენ, ხოლო თადეოზ მორჩაძეს ხმა ჩაუწყდა და გახევდა.

როინი კი საცოდავად აიჩეჩა. ირმას გულისმკაწვრელმა ქვითინმა მასაც ცრემლი მოგვარა.

მთის წვერზე მთვარე გამოჩნდა.

## XIV

ომი გახანგრძლივდა.

ქვეყანა სისხლის ტბორში ტივტივებდა.

ჯანსაღ თაობასთან ერთად ინთქებოდა ხალხის დოვლათი და გარჯას ბარაქა აღარ ჰქონდა. აღარ იყო ხალისი. ბოღმა მძაფრდებოდა. გულს სევდის მღილები ღრღნიდნენ.

ასე იყო ხალხში. მაგრამ ომით გამოწვეულ ტკივილებს ასე არ განიცდიდნენ „ზედა ფენებში“.

ქართველ თავადაზნაურებს ომში ბჭყვიალა ჩინები იზიდავდა. დროებით შინ ჩამოსულებს, მოოქროვილ ხმლითა და

წკარუნა დეზებით ქუთაისის „ბულვარში“ გავლა მთელ საქართველოს ერჩიათ.

წელმომაგრებული ბურჟუაზია კი „ხელს ითბობდა“. მათი შვილები სამხედრო ბეგარას ოქროთი იხდიდნენ.

ქუთაისელი ვაჭრები საზოგადო მოღვაწეობასაც ეჯრეებოდნენ; ისინი სოციალ-ფედერალისტებისა ან ნაციონალ-დემოკრატების პარტიათა ბურჯებად ითვლებოდნენ: საწევრო გადასახადი ათასობით შეჰქონდათ. გარდა ამისა, თავიანთი პარტიის სასარგებლოდ ხშირად მართავდნენ „გრანდიოზულ სეირნობა-ალეგრებს“.

ამგვარად შექმნილი ფონდით ორივე პარტია ქუთაისში ცემდა საკუთარ გაზეთს და ამ გაზეთებში ომის საწინააღმდეგო წერილების ნაცვლად ბეჭდავდნენ ომში დაჭრილ და დალუპულ ქართველ ოფიცერ-გენერლების სურათებს, მხატვრულად შეთხზული ცნობებით, რედაქტორების პაციფისტურ მიდრეკილებათა მიუხედავად, მეტწილად ეს ცნობები „რაინდული ოდების“ გავლენას ახდენდნენ და სახელის მაძიებელ ახალგაზრდებს ომში წასვლის სურვილი იპყრობდა.

უთუოდ ამითაც აიხსნებოდა ის მოვლენა, რომ ომის უკანასკნელ ხანებში სოკოებივით გამრავლდნენ პრაპორშჩიკები, რომელთაც კაცი ვაგლახად გვერდს ვერ შეუვლიდა.

ქუთაისში აგრეთვე ბევრნი იყვნენ ნოქრები, რომელთა უმრავლესობა მენშევიკური პარტიის წევრებად ითვლებოდნენ. რატომღაც, მათ შორის „მენშევიკობა“ მოდად იყო ქცეული.

საღამოობით „ბულვარის“ იქითა მხარეს, სადაც უფრო ხალვათობა იყო და ბნელოდა, ჯგუფ-ჯგუფად სხდებოდნენ. ალაგ-ალაგ წაკითხული ლიტერატურიდან დაზეპირებული ფრაზებით კამათობდნენ. მეორე დღეს ადლს მარდად ატრიალებდნენ და მოქარგული მუსაიფით მუშტრებს აბრუებდნენ.

რევოლუციაზე ფიქრთან ერთად, ყველა მათგანი გულში ნატრობდა საკუთარი დუქნის გახსნას და ამ ბედნიერების შემდეგ უყოყმანოდ გადიოდნენ ნაციონალ-დემოკრატების ბანაკში ან სრულებით თავს ანებებდნენ პოლიტიკას.

გახაზეინებული ნოქრები მალე იქცევდნენ ხორცს და დიდი ხნის ვაჭრებივით ახლა დინჯად აცევნებდნენ თვალს პარტიების კამათს.

კამათი ხშირად ეროვნულ საკითხს ეხებოდა, რის დროსაც ავტონომიის ხსენებას გაურბოდნენ, რადგან სიტყვა „ავტონომია“ სოციალ-დემოკრატებმა საფრთხობელად აქციეს.

გაზეთებში ქარაგმებით დაწყებული კამათი ინტელიგენტებს ოჯახებში გადაჰქონდათ, რასაც მოსდევდა უსიამოვნება და ვახშმის გაუგემურება.

პარტიებს, მომხრეებს გარდა, ჰყავდათ საკუთარი პოეტები, რომელთა ლექსების ყალიბი უმეტესად ერთგვარი იყო და მათი შემოქმედების განსხვავება მხოლოდ გამოგონილი გვარებით თუ შეიძლებოდა.

პოეტების სიმრავლის გამო ბუნებრივად ითვლებოდა ლიტერატურული საღამოების გამართვა. საღამოებში ხანდახან მონაწილეობდნენ თბილისიდან მოწვეული პოპულარული პოეტებიც, რომლებიც გიჟდებოდნენ ქუთაისელი ქალების მოგოგმანე ფეხების ხილვით; მათი კაბების შარიშურს ციურ მუსიკას ადარებდნენ.

ხშირი მოვლენა იყო აგრეთვე ლიტერატურული სამსჯავროები, სადაც ასამართლებდნენ „ქრისტინეს“, „მოძღვარს“ და კიდევ სხვა მრავალ ცოდვილს.

სამსჯავროში სხვადასხვა პარტიის წარმომადგენელნი სხვადასხვაგვარად მსჯელობდნენ — თავიანთი პარტიის თვალსაზრისით ბრალდებულს იცავდნენ ან სჯიდნენ, ეს იმის მიხედვითაც ხდებოდა, თუ რა პოზიციას დაადგებოდა მოპირდაპირე.

განსაკუთრებით მრავალ ხალხს იზიდავდა ოქროპირის ბრალმდებლად ან დამცველად გამოსვლა.

ოქროპირის მჭევრმეტყველებას და პათოსს ბევრჯერ უხსნია ქრისტინე გაკიცხვისაგან და იასონი ჯვარზე გაუკრავთ.

მეორე დღეს გაზეთებში იბეჭდებოდა ერთიმეორის საწინააღმდეგო შეფასება და ოქროპირი დამარცხებულებს რეცენზიაშიც ურტყამდა.

ოქროპირი სოციალ-დემოკრატების ქუთათური გაზეთის რედაქტორი იყო, მისი „შხამიანი კალამი“ ბევრს მოხვედრია გულზე ისარივით.

ასე მიდიოდა ხანი.

სავარდო და სამაისო ქუთაისში ხან წვიმა იყო, ხან დარი,

ქუთათურების გუნებაზე კი იშვიათად ახდენდა გავლენას ბუ-ნების ცვალებადობა.

„ბულვარის“ კიდეზე მზეს მიფიცხებული ჩოხოსანი თა-ვადაზნაურები დაპატიჟების ლოდინში კბილებს ბატის ფრთით იჩიჩქნიდნენ და თან სალამს წყალობასავით არიგებ-დნენ.

პოეტებსაც უყვარდათ ქეიფი, რაც ყოველთვის აყალ-მა-ყალით მთავრდებოდა, მაგრამ მიუხედავად ასეთი ზნისა, ისი-ნი მასპინძელს უფრო იოლად შოულობდნენ, რადგან მწერ-ლობას ჯერ კიდევ ფასი ჰქონდა და ბევრს ესახელებოდა მათ-თან პურ-მარილი.

ასე და ამგვარად, ქუთაისის მყუდრო ცხოვრებას ომის საშინელებამაც კი ვერ შეუცვალა ნირი.

მხოლოდ ერთ დღეს შორეთიდან დაქროლილმა ქარმა და-თოვლილ ქალაქს თავზე დააყარა რევოლუციის აბობოქრე-ბული ცეცხლის ნაპერწკლები, მაგრამ ხანძარი არ ჩანდა და ქალაქი მალე დაშოშმინდა.

მერე რუსეთიდან მოვიდა უცნაური დეპეშა, რომელშიაც ეწერა ორად-ორი სიტყვა:

„მთავრობაძე გარდაიცვალა“.

ქუთათურებს ეს ხუმრობა ეგონათ და მშვიდად დაიძინეს, მაგრამ თებერვლის სუსხიან ალიონს მარსელიეზას გუგუნი მოჰყვა და ქალაქი შეტორტმანდა.

მშვიდ ცხოვრებას ჩვეულნი, საცვლებისამარა, დამფრთ-ხალი თვალებით იჭვრიტებოდნენ ფანჯრებიდან, გარეთ თავის გამოყოფასაც ვერ ბედავდნენ.

თვითმპყრობელობის დამხობა ქუთაისს პირველად ახარეს მოწაფეებმა, რომელთა უთვალავმა დასტებმა ერთბაშად გა-თელეს ქუჩებში დახვავებული თოვლი.

მათი ყიჟინა ცას წვდებოდა, გული ბუდიდან უფრინ-დებოდათ.

მალე გრგვინვასავით გაისმა მშრომელთა ხმა და მშვი-დობისმოყვარე ვაჭრებს უკვირდათ, თუ საიდან გაჩნდა პატა-რა ქუთაისში ამდენი ბოგანო, რომელთა დასხლეტილი მზე-რა მათში გაურკვევ შიშს იწვევდა.

მხოლოდ რამდენიმე ვაჭარს გაებედა გარეთ გამოსვლა.

ისინი ფერჩანაცრებულნი იდგნენ თავიანთი დაკეტილი დუქნების წინ და გამვლელ ნაცნობებს შეცვლილი ხმით ეკითხებოდნენ:

— რა მოხდა? მართლა გადადგა მეფე?

ნაცნობები სადღაც მიიჩქაროდნენ და პასუხი ტყვიასავით ხვდებოდა ცნობისმოყვარეებს:

— გადადგა კი არა, გადააგდეს!

ბაღი და მახლობელი ქუჩები ხალხს ვეღარ იტევდა. მეამბოხეთა განგაში დილის სუსხს ალხობდა.

შავიქვის მრეწველთა საბჭოს შენობის აივანზე უეცრად გადმოდგა კიტა აბაშიძე და დემონსტრაციის იმ ნაწილს, რომელიც უფრო მოწაფეებისაგან შედგებოდა, მღელვარე ხმით გადმოსძახა:

— ქრისტე აღსდგა!

ამ ძახილში მოვარდნილ ენერგიასთან ერთად იყო სასოება და რაღაც რელიგიური რწმენა იმისა, რომ შეიძლება რევოლუცია ასე ზეიმით მოხდეს და რომ სოციალიზმიც შეიძლება „უსისხლოდ“ დამყარდეს.

შიგ ბაღში სახელდახელოდ ამართულ ტრიბუნაზე ორატორები ერთმანეთს ცვლიდნენ, მოსოციალისტო პარტიები ცდილობდნენ „უსისხლო“ რევოლუციის სათავეში მარტო მოქცევას.

მიტინგები იმართებოდა ბაღს გარეთაც, ქუჩებში. ოქროპირი ყველგან ასწრებდა სიტყვის თქმას.

როცა ოქროპირმა ხალხით გაჭედილ ქუჩას თვალი მოავლო, ფეხის ცერებზე შემდგარი ვიღაცა ქალი ირმად მოეჩვენა და გულის სიღრმეში უჩვეულო სითბო იგრძნო, მაგრამ ერთიმეორეზე მომდინარე მგზნებარე სიტყვებმა ეს სითბო თან ამოიტანეს და ოქროპირის პირიდან ნაკვერცხლებმა იწყეს ცვენა.

— ჯარი მოდის! — დაიყვირა ვიღაცამ და ერთბაშად სიჩუმემ დაისადგურა.

ოქროპირსაც ენა დაება, მაგრამ როცა უიარაღო ჯარისკაცები დაინახა, სახეგანათებულმა იყვირა:

— ჯარი რევოლუციის მხარეზეა!

ამ სიტყვებმა ყველაში უჩვეულო აღტაცება გამოიწვია.

დემონსტრაციამ ვაშას ძახილით ჯარისაკენ იბრუნა პირი,

ჯართან ძმური შეხვედრა უცნაურ ღრეობად იქცა.

ჯარისკაცთა დელეგაციის წევრები ბურთივით ხელიდან ხელში გადადიოდნენ.

შემდეგ კვლავ გაისმა ორატორების ცეცხლიანი ხმები. გამარჯვების ჰიმნის მეხისებური ბგერები ქალაქში შუღამემდე არ შეწყვეტილა.

ასე დაირღვა ქუთაისის მყუდროება თებერვლის ერთ სუსხიან დღეს.

## XV

დროებითი მთავრობა თებერვლის რევოლუციის სახელით ცდილობდა „დიდი რუსეთის“ დაცვას და ომის გაგრძელებას მოითხოვდა.

მაგრამ მთავრობას ძალა არ ეყო.

კერენსკი ცუდი კორსიკელი გამოდგა.

ნამდვილი რევოლუცია ბოლშევიკებმა მოახდინეს.

ოქტომბრის რევოლუციით დამფრთხალმა მენშევიკებმა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს.

ჯარმა მენშევიკურ მთავრობას უტია.

სახლში მიმავალმა ჯარისკაცებმა თოფებისა და სამხედრო სამოსელის თან წაღება მოინდომეს.

რა თქმა უნდა, ამას ვერ დაუშვებდა „ქუთაისის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭო“, მაგრამ ჯარისკაცები ძალას დაადგნენ და ქუთაისი ამბოხების ალში გაეხვა.

ჯარისკაცები მოედვნენ მთავარ ქუჩებს.

„დამცველ რაზმელებს“ ნაბრძანები ჰქონდათ რბევა „უსისხლოდ“ შეეჩერებინათ, ჯარისკაცებსაც მათთან ბრძოლა ეთაკილებოდათ, და ტყვიების ზუზუნი მარტო ჰაერში ისმოდა.

„დამცველი რაზმი“ თითქმის სულ ნოქრებისაგან შედგებოდა. ისინი ხეირიანად თოფს მაღლა სროლასაც ვერ ახერხებდნენ და, რადგან გულადობაც აკლდათ, ყველა მათგანი მხოლოდ შორიდან ცდილობდა თავისი ხაზეინის დუქნის გადარჩენას. მრბეველები არავის ეპუებოდნენ და რაგინდნაირი

საქონლით დატვირთულნი არხეინად მიდიოდნენ სოფლებისაკენ.

სახლებში შეყუჟული ვაჭრები გულზე სკდებოდნენ, თან თავიანთ თავს ტუქსავდნენ იმის გამო, რომ წინათ რევოლუციისათვის ქველმოქმედებასაც კი ეწეოდნენ.

რბევა მთელ დღეს გაგრძელდა.

საღამოს „მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოში“ რაზმელებს სათითაოდ მოჰყავდათ დამარტოხელებული ჯარისკაცები და ატოვებინებდნენ ნადავლს, თოფს და მაზარას.

იმ კვირაში ჯარისკაცმა თადეოზ მორჩაძემ ოფიცერი უგრეხელიძე მოჰკლა და ერობის მილიცია ფეხზე დადგა.

ეს ამბავი მკვლელობის ღამესვე ლოგინში მწოლარეებმაც კი გაიგეს.

მკვლელობის მიზეზი არავინ იცოდა.

ზოგი მკვლელობას რბევას უკავშირებდა, ზოგი ქალის სიყვარულს, ხოლო მყუდრო ცხოვრების მოყვარულნი ამ უწესობას ახალ მთავრობის სისუსტეს აწერდნენ.

ვერც მკვლელის კვალს მიაგნეს. მოკლულის ჭირისუფლები თვით შეეცადნენ მორჩაძის დასჯას.

მორჩაძე კი უკვე ყაჩაღების მეთაური გამხდარიყო და ოკრიბის მხარეში დათარეშობდა.

მორჩაძის ყაჩაღად გავარდნამ მაშინვე მეხი დასცა ხოსროს.

ხოსროს ძილი გაუტყდა.

მორჩაძე თავისი ამალით ხშირად შუაღამისას ეწვეოდა მას და ხარკს ართმევდა.

ხოსრო იძულებული გახდა იქაურობა დაეტოვებია და ერთ დღეს კესოთი ქუთაისს გაიხიზნა.

მენშევიკურმა ხელისუფლებამ მორჩაძე ბოლშევიკად მონათლა. მის წინააღმდეგ, ერობის მილიციის გარდა, გაგზავნა გვარდიელთა დამსჯელი რაზმი, მაგრამ მორჩაძე მიზანს არ აცდენდა და მისმა ტყვიამ ბევრი იმსხვერპლა.

მორჩაძე ღარიბებს არ ერჩოდა.

ეს იცოდნენ მთავრობით უკმაყოფილო გლეხებმა და ისინი მას ხელს უწყობდნენ, ამიტომ ხელისუფლების ზომები უნაყოფო იყო. მორჩაძე ხშირად შარა-შარა უწყინარი სოფლელივით დადიოდა.

ხელისუფლება სჯიდა იმ გლეხს, რომელიც მორჩაძეს ოდ მეს გაათევინებდა ან საზრდოს მიაწვდიდა მის ამალას, რის გამო მრავალი უკვე იჯდა ქუთაისის ციხეში. მიუხედავად ამისა, მორჩაძეს მასპინძელი არაოდეს გამოლევია და ის ყველგან მოყვრის სახლში გრძნობდა თავს.

ერთხელ მორჩაძემ ორი ამხანაგით უდროო დროს დააკაკუნა ლეონტი ზაუტაშვილის კარებზე და მასთან ღამე გათია. ხელისუფლება სანდო კაცად თვლიდა ლეონტის, მაგრამ ეს ბოროტება არ აპატია და „ყაჩაღების შენახვისათვის" შეიპყრო.

ამ ამბავმა როინი გააოგნა.

მკვირცხლი და ხალისიანი როინი ბოლო ხანებში უტყვი შეიქნა.

„საწყალი მამა, როგორ ძალით გაათრიეს ჭიშკარში... მერე რამდენი ცემეს!.. მე კი ვიდექი მუნჯივით და შორიდან ვუცქეროდი სისხლში შეღებილ მის თეთრ წვერს. ქალაჩუნა!.." კიცხავდა თავისთავს ირმას ვენახის სანაკილოზე გზად მიმავალი როინი და საფეთქლები ებორცვებოდა. საოცარი ფიქრები ფუტკრებივით ეხვეოდა. ბორგავდა, გული ყელში ეჩრებოდა. სიმწრისაგან უნდოდა დაეყვირა, მაგრამ ამ დროს მოესმა საიდუმლოებით გამსჭვალული ხმა:

— როინ, როინ!

და შეკრთა.

— როინ, როინ!

ახლა ძახილი უფრო მკაფიოდ გაიგონა. როინმა დაინახა ღობეზე მომდგარი ირმა.

ღობის მაგივრობას მწკრივად დარგული თუთის ხეები ეწეოდნენ, რომელთა შუა ბროწეულის ბუჩქები იყო გაბარდნილი. ირმას თავი ამ ცოცხალი ღობიდან უცხო ყვავილივით ჩანდა.

— გადმოდი, ორიოდე სიტყვა მაქვს შენთან სათქმელი, როინ! — დაბალი ხმით უთხრა ირმამ მოახლოვებულ როინს.

ვაჟს გული გაეხსნა, მოეჩვენა, რომ ირმა იმას ეტყოდა, რაც თვითონ ვერ გაემხილა მისთვის და სახეზე ალმური მოედვა, მაგრამ როინი რატომღაც შეყოყმანდა და ბავშვივით იკითხა:

— რა გინდა?

ირმამ ჯერ იქაურობას თვალი მოავლო და კვლავ ღიმილით გაუმეორა:

— გადმოდი... რის გეშინია, აქ გვარდიელები არ არიან!

როინს რაღაცამ გულზე უსასიამოვნოთ უკბინა და გაფითრდა.

ირმას აზრადაც არ ჰქონია მისი წყენა. მიამიტად ნათქვამი რომ გაეჭარწყლებია, ალერსით მიმართა:

— რა გემართება, როინ, გადმოდი, სანამ ვინმე დაგვინახავდეს!

როინს აღარაფერი უთქვამს, ბროწეულის ბუჩქებში დათვის ბელივით გაძვრა და ვაზებში ჩაჯდა.

აკვალთული კაბის კალთა ირმას პარკილობიოთი ჰქონდა სავსე. შიშველი, მზეზე დამწვარი მაღალი ფეხები მუხლებამდე უჩანდა. ქალის მუხლების დანახვამ როინს ერთბაშად დაავიწყა მისგან უნებურად მიყენებული ტკივილი და ვაზის ფოთლებში მზის სვეტივით ჩამდგარს ანთებული თვალები ანაზდად მიაპყრო.

ვაჟის ცქერამ ქალს სიწითლე მოგვარა. სიშიშვლე რომ დაეფარა, იქვე ფეხმორთხმით ჩაჯდა.

სამხრობა იქნებოდა. სოფელში სიწყნარე იდგა.

თუთის ხარდნებს ვაზები მიჯნურებივით ჩახვეოდნენ, მტევნები ჯიქნებივით ეკიდათ. ცერის სისხო მარცვლებს ქარვა მორეოდათ და ვაზის ფოთლებში შეჭრილ მზის სხივებზე კამკამი გაუდიოდათ.

ვენახში დატაროებული სიმინდი ერია, მათი ფოჩები ხარდნებს აცდენოდნენ. სიმინდსა და ვაზს შუა დარჩენილი ხარვეზები დაფარული იყო ლობიოს ბუჩქებით და ხოკერა კვახის ყლორტებით.

მზე იხრებოდა.

თუთის ჩრდილები იზრდებოდნენ.

ოდნავ მოძალებული ბორიო ჰქროდა.

ხანჯლებივით გაწვდილი სიმინდის ფოთლები ნელინელ შრიალებდნენ.

როინმა ვაზებს თვალი შეავლო და სიცილით თქვა:

— ყოველ ჭიაკოკონობას იმდენს ყვიროდი — ჩვენს ვენახში გოდრა-გოდრაო, რომ წლევანდელ მოსავალს მართლა ვერაფერში ჩაატევთ.

— ჩემი არულისაგან ამ ზვარს ერთი ფოთოლიც არ შემატებია. ნამყენი ვენახია და ამიტომ ასხია ასე უხვად. წინათ ძველ ვაზებს პატარ-პატარა, თითო-ოროლა მტევანი ება და მოკრეფის დროსაც ყურძენს ისრიმის გემო ჰქონდა. ახლა კი თაფლივით ტკბილია, აპა ნახე! — ღუღუნით წარმოთქვა ირმამ, მახლობელ ვაზზე მკვრივი მტევანი მოწყვიტა და როინს გაუწოდა.

— არ მინდა, გმადლობთ! — უნებურად იუარა როინმა.

— გამომართვი, ჰო, ნუ გამამგუნებ!

როინმა მტევანი გამოართვა და კინწით დაიკავა.

— შენც შემეზიარე, თორემ ამოდენა მტევანს მარტო მე რა შემაჭმევს!

— თუ მინდოდეს, აგერ ყურძნის მეტი რაა!

— აპა, არც მე მინდა!

— კარგი. კარგი, ნუ იბუტები!

და ორივემ ერთ მტევანს დაუწყო მარცვლა. მოულოდნელად როინმა ქალს ხელზე ხელი წაავლო და სუნთქვაშეკრულმა თვალებში ჩახედა.

— ირმა!

— რა გინდა!

ძლივს ამოთქვა ირმამ.

უცებ ყურძნის წვენით სველი მათი ტუჩები ერთმანეთს შეეწებნენ.

შემდეგ ერთიმეორეს თვალი მოარიდეს.

დიდხანს იყვნენ ჩუმად.

გულები უჩვეულოდ უცემდათ.

თუთის ჩრდილები უკვე დაგრძელებულიყვნენ, ბორიოც ძალუმად ქროდა.

— რა გინდოდა გეთქვა, ირმა?

ამ შეკითხვამ ქალი ერთბაშად გამოაფხიზლა, ადრინდელი იერი დაუბრუნა.

— როინ, შეგიძლია ნახო თადეოზი?

— რატომ არ შემიძლია! — რაღაც ყრუდ და ქადილით უპასუხა მან. თან მოაგონდა, რომ მორჩაძის გულისათვის დაიჭირეს მამამისი და ერთ წუთს მისდამი შურით განიმსჭვალა.

— იცი, როინ, ბლუზა-შარვალი შევუკერე, მარა წასაღე-

ბაი მოსვლას ვერ ბედავს, ეშინია, ჩვენც რამე აო აგვიტეხონ. თუ წაუღებ, კარგს იზამ.

როინი ჩაფიქრდა:

„რომ გაიგონ, ხომ ამასაც დაიჭერენ მაშინვე!“ — გაუელვა უეცრად ირმას და შეკრთა.

— საჩქარო კი არაა, აგრილდა მაინც, საზაფხულო ტანისამოსი რაღად უნდა. ნუ წახვალ. შეიძლება, ამ უბრალო რამისათვის ხიფათი შეგემთხვეს. არა, არა, იყოს...

ირმამ გადაჭრით გადათქვა განზრახვა და გარინდებულ როინს თავი დააყრდნო.

„ალბათ, ირმას კვლავ ბავშვი ვგონივარ, ფრთხილი და გაუბედავი. დღესვე დავარწმუნებ, რომ მორჩაძეზე ნაკლები არა ვარ და შემიძლია მამის შეურაცხყოფისათვის შურიც ვიძიო“, — გაიფიქრა მან და მთის ქედზე დაგორებულ მზეს თვალი გაუსწორა.

„ეს როგორი თავისუფლებაა, მორჩაძეს რომ არა, მთელი სოფელი ისევ ხოსროს საწველ ფურად უნდა ყოფილიყო... ან ეს გვარდიელები რით განსხვავდებიან ჩაფრებისაგან. მორჩაძეს თვითონ ვერაფერს აკლებენ და ჯავრს ხალხზე იყრიან“, — განაგრძობდა ის ფიქრს და სივრცეში წასული თვალები უფართოვდებოდა.

ბოლოს, ხმამაღლა, მტკიცედ წარმოთქვა:

— წავალ, დღესვე წავალ მასთან!

ირმას ერჟოლა მოჰგვარა მისმა კილომ და სახის გამომეტყველებამ. მოეჩვენა, რომ როინს ვეღარ ნახავს, რომ ასეთი წინდაუხედაობით ხიფათში აგდებს ყველაზე მეტად ძვირფასად ქცეულ არსებას. გული ეტკინა:

— არ გაგიშვებ! ან რატომ უნდა გაწირო თავი, კი იცი, როგორ ძაღლებივით დადევენ მორჩაძის მომხრეებს... ნუ წახვალ, კარგი?

— წეღან თუ მეხვეწებოდი, ახლა რატომღა მიშლი?

— ისე, განგებ მოვიმიზეზე, შენთან მუსაიფი მინდოდა და იმიტომ, — მორცხვად წაილაპარაკა და, ყურებიანად წამოწითლებულმა, თავი ძირს დახარა.

ორივე გაყუჩდა.

როინი თითქო უკუნეთში იყო, ვეღარაფერს არჩევდა, სად-

ღაც შორს აშუქებდა ირმას მიერ დანთებული ჭიაკოკონა, რომელიც თანდათან ხანძარივით მძაფრდებოდა და შიგ შავწვერიანი თადეოზი იდგა. უეცრად შავწვერიანი კაცი გაქრა, მის მაგიერ ცეცხლის ალში როინი გაეხვა. მაგრამ მას ცეცხლი არ ეკიდებოდა და ხანძარი მთელ ქვეყანას ანათებდა.

— ირმაა, ირმაა, — უცებ გაისმა ანუსის ძახილი. ირმა ჭურციკივით წამოხტა.

— დაღამდა და მე კი სავახშმე ლობიო ისევ კალთაში მიყრია... უნდა წავიდე!

— როინიც ადგა. პირისპირ გაჩერებულნი ერთმანეთს უსიტყვოდ შეაცქერდნენ. ლობიანი კალთა ირმას მუცელთან ჰქონდა აკვალთული, ფეხმძიმე ქალს ჰგავდა.

„ნეტავი ცოლ-ქმარი გაგეხადა და მართლა ორსულად იყოს!“ — ინატრა როინმა, მაგრამ ეს შეუძლებლად წარმოიდგინა და დანაღვლიანდა.

ირმა თითქოს მიუხვდა ნაფიქრს, გაუღიმა და ერთბაშად ყისერზე მოეხვია, ელვის სისწრაფით რამდენჯერმე ზედიზედ აკოცა, შემდეგ კაბის კალთას ორივე ხელი ჩაავლო და სახლისაკენ გაიქცა.

როინს სიმინდისა და ვაზის ფოთლების შრიალთან ერთად შორიდან მოესმა:

— სახლში წადი, იცოდე!

როცა ვენახში ირმას ჭრელი თავსაფარიც გაუჩინარდა, როინმა ბროწეულის ბუჩქი გადათელა და თავის ეზოში გადავიდა.

შინ ფეხაკრეფით შევიდა.

არავინ იყო.

მაზარამოხურულმა გარეთ გამოსვლისას დაინახა დედა, რომელიც ბოსელთან ძროხას წველიდა, იქვე ნათელას ხბო ეჭირა და ეალერსებოდა.

ნათელამ სიცილით ხბოს ხელი უშვა, ხბო გალურსულ ძროხას მივარდა, დაუწყო ხარბად წოვა, თან ჯიქანზე თავს ურტყამდა, რომ მეტი რძე მიეცა, მაგრამ თეკლე წოვას არ აცლიდა — ხან ერთ ძუძუს მოაბოცნინებდა, ხან მეორეს როცა ძროხამ ხბოსთვის შემონახული რძეც ჯიქანში ჩაიყენა,

ხბო კვლავ ნათელამ წაიყვანა და ძროხის წინ გააჩერა.

ცურისაკენ გასაქცევად მოკუნტრუშე ხბოს ძროხამ ლოკვა დაუწყო.

ქოთანში რძის ჩხრიალმა იკლო. მალე სავსე ქოთნით თეკლე წელში გაიმართა.

ვიდრე თეკლე და ნათელა სახლისაკენ პირს იზამდნენ, როინმა ერთხელ კიდევ სიყვარულით მოავლო თვალი მათ, იქაურობას და შეუმჩნევლად გაქრა.

## XVI

ორი-სამი დღის შემდეგ მთელი სოფელი ალაპარაკდა როინ ზაუტაშვილის ყაჩაღად გავარდნის თაობაზე, თუმცა ეს ამბავი არავის უკვირდა, რადგან უკანასკნელ ხანებში ბევრმა ახალგაზრდამ აიღო თოფი და მორჩაძის კვალს გაჰყვა.

მაგრამ თეკლეს და ნათელას ჩუმმა მოთქმამ მაინც მთელი კუთხე ააწრიალა. უკაცოდ დარჩენილი ოჯახი ყველას ეცოდებოდა. წუხდა ირმაც, როინის ტყედ გაქრას თავისთავს აბრალებდა; სინანული და სიყვარული ორივე ერთნაირად ღადრავდა მის გულს. მაგრამ იმავე გულში სადღაც ჩნდებოდა სატრფოს ვაჟკაცობით გამოწვეული სიამაყე და ცრემლი ტკბილი ხდებოდა.

მორჩაძის რაზმი სწრაფად მრავლდებოდა. მასთან ბრძოლა უკვე საფათერაკო იყო. მისი გამკლავება იმიტომაც უფრო საშიში შეიქნა, რომ რაზმელები არწივებივით დაფრინავდნენ მიუვალ მთებში და ციცაბოები ბილიკებად ჰქონდათ. არავინ იცოდა მათი მუდმივი საფარი — სად უთენდებოდათ, იქ აღარ უღამდებოდათ. და ყოველ ჟამს ახალი მთის წყაროთი იგრილებდნენ საკირედ ქცეულ გულს.

ხანდახან, როცა დაივაკებდნენ, მაშინაც ვერვინ ბედავდა მათთან პირისპირ შეყრას. ხშირად გვერდსაც უხვევდნენ წესიერების აღსადგენად ჩამოსულები.

მორჩაძემ თანდათან ქუთაისს თითქმის სავსებით მოწყვიტა ოკრიბის მხარე და ტყიბულის მაღაროებსაც დაეუფლა.

ეს მეტისმეტი იყო. ტყიბულის დასაბრუნებლად გაიგზავნა ჯავშნოსანი მატარებელი, მაგრამ მორჩაძემ ჯავშნოსანს

უკან დასახევი ლიანდაგი აუყარა და მატარებლის უფროსი, გოგუაძე, ბეწვზე გადარჩა ტყვეობას.

მიუხედავად ასეთი გამარჯვებებისა, მორჩაძის ბრძოლას ნათელი აკლდა. ხალხი მხოლოდ შორიდან თანაუგრძნობდა მას.

ხალხს მოწონდა მარტო მისი გაბედობა და ის, რომ მორჩაძემ არსენასავით იცოდა ღარიბისა და მდიდრის გარჩევა.

მრავალ ცხარე შეტაკებაში მორჩაძე გაუკაწრავი დარჩენილა და ამის გამო სოფლად არაკად ლაპარაკობდნენ:

— რაღაც ჯადო ჰქონია, მტრისგან ნასროლ ტყვიას ხელით იჭირავს და არც ბასრი ხანჯალი ეკარება, თურმე.

— ეგ არ ვიცი, მარა, მგონია, უჩინმაჩინის ქუდი კი ახურავს. როგორც ამბობენ, თან ისეთი რეზინის წუღები უშოვნია, რომ თუ ერთი ფეხი დაჰკრა მეტი არ უნდა ჩიტივით გადააფრინდება ყველაფერს.

— ეს ჩვენი ზაუტაშვილის ბიჭიც დიდი გამბედავი ყოფილა.

— იმიტომაა, მორჩაძე გვერდიდან არ იშორებს, სულ ერთად იბრძვიან, მარა დაშავებით არც იმას უშავდება რამე.

— ისიც იშოვიდა ჯადოს, ალბათ.

ოკრიბაში შექმნილი საფრთხე მოსვენებას არ აძლევდა ოქროპირს, რომელიც ახლა გვარდიის შტაბის უფროსიც იყო და მორჩაძის ურჩობა საკუთარ შეურაცხყოფად მიაჩნდა.

ერთ დილას, როცა გვარდიის შტაბში ოქროპირი ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ აელაგმა მორჩაძის თარეში, მასთან შევიდა ხოსრო და კრძალული სალამი მისცა.

— რაზე გარჯილხარ! — რაღაც გულგრილად შეეკითხა ოქროპირი და თავაუღებლად ანიშნა დამჯდარიყო.

— მოვედი, განზრახული გაგიზიარო, — გაუბედავად, თითქო თავისთვის, ჩაილაპარაკა მან, — იქნებ ყუათში დაგიჯდეს!

— თქვი.

ხოსრომ მაგიდასთან სკამი ახლო მიიჩოჩა და დაბალი ხმით, ნაწყვეტ-ნაწყვეტად დაცრა:

— მორჩაძის რაზმში ერთი ძოწენიძეა... შეიძლება მისი გაბრიყვება... მამამისს კარგად ვიცნობ, თუ...

ოქროპირი უცნაურად შეიშმუშნა, თავი უგემურად განზე წაიღო და ოდნავ მოხუჭული თვალები თანდათან ისე გაუგანიერდა, რომ გუგები ღია ფანჯრებიდან სივრცეში ბუშტებივით გაფრინდნენ. დამცხრალ მზის შუქზე ბუშტები აბჟუვიალდნენ და ოქროპირს მზერა დაუჩლუნგდა.

დიდხანს იყო ასე ოქროპირი. შემდეგ თვალები მოისრისა და ფანჯრებს შუა დაკიდებულ ირაკლი წერეთლის სურათს მიაპყრო. სურათის ქვედა ნაწიბურზე დაბეჭდილი იყო ირაკლის მიერვე სტუდენტობაში დაწერილი ლექსი, რომელსაც რევოლუციის შემდეგ ქუთაისში ხშირად მღეროდნენ. ოქროპირმაც ეს ლექსი ზეპირად იცოდა, მაგრამ ახლა ერთი სტრიქონიც ვერ მოიგონა და სურათს ისე დაჟინებით დაუწყო ცქერა, თითქოს იმ ლექსის გახსენებაზე ყოფილიყო დამოკიდებული ის, თუ რა პასუხი გაეცა ხოსროსთვის.

უეცრად ოქროპირი წამოხტა და თავდახრილ ხოსროს უმადურად ესროლა:

— ჩემს მოადგილეს მოელაპარაკე, მე არც მცალია!

ძოწენიძე, რომლის მეოხებითაც ხოსრო აპირებდა კვლავ ოკრიბაში დაბრუნებას, იყო მორჩაძის გულითადი მეგობარი, მისი ზრახვების თანაზიარი, მაგრამ ბოლო ხანებში მათ შორის ქიშპობამ იჩინა თავი და ძოწენიძემ მეთაურის ნამალავად რაზმელებს დაუწყო ქეზება:

— ჩვენ რანი ვართ! ჩვენ ვინ რას გვკითხავს, სითაც მოესურვება, იქით გვიკრავს თავს და მთელი რაზმის სიცოცხლე ჩირადაც არ უღირს... დავშიშვლდით და ჭადის ნატეხი გვენატრება, ის კი გვაიძულებს ვაგლახად ხელი არავის ვახლოთ! ოკრიბაში სოვდაგრების მოსვლას რომ ვუცადოთ, შიმშილით სული ამოგვხვდება... რატომ უნდა მოვითმინოთ, ა? მე შენ გეტყვი და, სახელი გვაქვს! ყველაფერ სასახელოს თვითონ იმისებს და ჩვენ არც კი გვიცნობს ვინმე.. სულ ნადირებად გვაქცია, ბრიყვები ვგონივართ...

ზაუტაშვილის მოსვლამ დააჩქარა მათი გათიშვა. მან ნელინელ, შეუმჩნევლად დაიმკვიდრა ძოწენიძის ადგილი და მორჩაძე ახლა მხოლოდ მას ენდობოდა.

მორჩაძესა და ზაუტაშვილს შორის ასე ერთბაშად დამყარებულმა ძმურმა კავშირმა ძოწენიძეს აგრძნობინა, რომ ის მეთაურისათვის აღარ იყო რჩეული და მრჩეველი.

ხშირად მორჩაძე. ზაუტაშვილის ამარა რაზმსაც კი ტოვებდა. ძოწენიძეს მოთმინება ეკარგებოდა, მაგრამ ნაფიქრის აშკარად აღიარებას ვერ ბედავდა.

— ეს გუშინ მოთრეული ლაწირაკი რავა სულ დაგვაჯინა თავზე... — გესლიანად წაილაპარაკებდა ძოწენიძე, მაგრამ ზაუტაშვილი რაზმელებსაც მოწონდათ და მისი გაკილვა მხოლოდ უკმაყოფილებას იწვევდა.

ერთხელ ძოწენიძე რაზმის დაუკითხავად სადღაც წავიდა. დაბრუნება იმ დროს მოუხდა, როცა მორჩაძე ეკას სიკვდილის ამბის გაგებით გაოგნებული და დაზაფრებული იყო.

ელვისმსროლელი თვალები თადეოზს ახლა კუკუნახში ჰქონდა ჩაცვენილი, ტყეში მკერდამდე გაზრდილი შავი წვერით დაფარულ ღაწვებზე ფითრი გადაკვროდა.

მოწყვეტით თავჩაკიდებულს თანდათან მხრები აუცახცახდა. ამ ხნის განმავლობაში პირველად აღმოხდა უსასოო გმინვა, რომელიც მალე დაკოდილი დათვის ღმუილად შეიცვალა. შეძრწუნებულ რაზმელებს ძოწენიძის დაბრუნება არც კი შეუმჩნევიათ.

ნუგეშის თქმა ვერავინ გაბედა. ყაჩაღს ცრემლები ბავშვივით დიდხანს ცვიოდა.

ამ დღიდან მოყოლებული მორჩაძე ხალისიანი აღარავის უნახავს.

ის თითქო ახლა მიხვდა თავისი ბრძოლის უმიზნობას და იმას, რომ ამაოდ დაეხეტება ამ ტყე-ღრეში, უბრალოდ ღვრის სისხლს და რომ მისი გულისათვის მთავრობა კიდევ უფრო ავიწროებს ხალხს.

მაგრამ ტყის გარდა მას ბინა აღარსად ეგულებოდა და ხანდახან სისხლი ნადირივით მოწყურდებოდა.

მორჩაძე მიზეზიანი გახდა, აღარც საფარს იცვლიდა ისე მალიმალ.

რაზმელებს ხშირად ეკინწლავებოდა, ტუქსავდა, რის შემდეგ ყოველთვის მარტო რჩებოდა. რულდაკარგულს, აისამდე

მხოლოდ ვარსკვლავთა შუქი ეფრქვეოდა გახელილ თვალებში.

მასთან ერთად ფხიზლობდა ზაუტაშვილიც, რადგან ძოწენიძეს ატყობდა მხარის შეცვლას და შიშობდა, მუხანათურად სისხლი არ დაღვრილიყო.

ერთხელ, თეთრად ღამენათევი, რაზმის გასაოცად, მორჩაძე მზეს მხიარულად შეეგება და ღვინო ინატრა.

რამდენიმე რაზმელი მყისვე დაეშვა ბარისაკენ. დაისამდე მუხის ქვეშ უკვე დაგორებული იყო კამკამა ღვინით სავსე სამი ტიკი. რაზმელებმა თან ამოიტანეს ჭყინტი ყველი. სახაჭაპურე ქვის კეცებზე გამომცხვარი ჰჭადები, მრგვალად მოხარშული დედლები და წელში ხანჯლით გაჩეხილი, გაუპუტავი ბურვაკი.

იმავე დღეს ზაუტაშვილმა მოჰკლა ოკრიბის მთებს შეუჩვევი და უცხო სამყოფიდან გადმოხვეწილი ხარირემი, რომლის ირგვლივ რაზმელები ბავშვებივით ირეოდნენ და იღიმებოდნენ.

მორჩაძემ თვითონ აქნა ირემი. მისი მრავალტოტოვანი რქები იქვე საოცარ არსების მსგავსად გამოყვანილ ციცაბოს მიამაგრა.

რაზმი, კვირაზე მეტი იქნებოდა, დაბანაკებული იყო როკაპის მთის ტაფობზე, რომელსაც ბარიდან მხოლოდ ერთი, ახლად გატეხილი ბილიკი უდგებოდა. ბილიკი ორწოხების ნაპირებს თასმასავით მიჰყვებოდა. გარშემო ასწლოვან ხეთა კენწეროებს ძლიერი ქარიც ვერ არხევდა ნებაზე.

ტაფობი ჭილოფივით იშლებოდა ერთი ლელოს მანძილზე, რომლის შუა განმარტოებით იდგა ტანმსხვილი და შორს ტოტებგაშლილი მუხა.

ტაფობის უკან ამართული იყო შიშველი სალი კლდეანაზდად გამოცალკევებულ, ირმისრქებიან ციცაბოს ქვეშ წყარო ჩხრიალებდა.

მთვარის ამოსვლისას სუფრა უკვე გაშლილი იყო, გახარებული რაზმელები მწყობრად დასხდნენ.

დაიწყო სმა-ჭამა.

მახლობლად, დანაკვერცხლებულ ცეცხლზე, ორივემხრივ

გამუდმებით იწვოდა ახალ-ახალი წვაღები, მათი შიშხინი მადას აორკეცებდა.

ირმის მლაშე ხორცი გულს ახურებდა, — ჭიქის სამაგიერო თიხის კვაწია ხელიდან ხელში გადადიოდა.

თამადა არ აურჩევიათ, ისე სვამდნენ სადღეგრძელოს. ყველა სადღეგრძელო მორჩაძეს შეეხებოდა.

მორჩაძეც რაზმელებს სათითაოდ უხსნიდა გულს. ბაგეთაგან რაღაც შშობლიური, ნათესაური და წინათ გამოუჩენელი გრძნობით გამთბარი სიტყვები მაჭარივით ჩქეფდა.

ამ ღამეს მთვარე ბროლივით ქათქათებდა, მისი სხივები სირმებად ეკიდნენ მუხის ტოტებზე.

მორჩაძემ სიმღერა დაიწყო.

ყველა გაკვირდა, რადგან მისი სიმღერა დიდი ხანია არავის გაეგონა.

მეთაური ჯერ დატბორებული, გახევებული ხმით მღეროდა. მის ხმათა ბგერაში ნაღველი ერია, ხოლო ნაღველში კიდევ ისეთი რამ, რომელიც სიმღერას სიტკბოს აძლევდა.

ნელი-ნელ მას მთელი რაზმი იმავე კილოთი აჰყვა, მალე როკაპის მთიდან ნიავმა შორს წაიღო განწირულთა გუგუნადქცეული გოდება.

უეცრად გუგუნს ჭოტის მკვახე ძახილი შეერია, რაზმელებს კრიჭა შეეკრათ.

ზაუტაშვილმა მაშინვე თოფს დაავლო ხელი და მთვარით გაშუქებულ, ირმისრქებიან ციცაბოს ზევით, კლდის ქიმზე მჯდარი ჭოტი უფსკრულმა ჩანთქა, ხოლო მისი ბუმბული ვარდის ფურცლებივით ჰაერში გაიფანტა.

ზაუტაშვილმა თოფს აკოცა და გვერდით დაიდვა.

— მაგ კი არა, შენი თვალები და მარჯვენაა საკოცნი, მოდი აქ! — თბილად უთხრა მორჩაძემ როინს და ორი ვაჟკაცი ერთმანეთს გადაეხვია.

— აბა, ბიჭებო, გამხიარულდით, რამ შეგაკრთოთ, ძმებო. ყოველი წუთი ძვირფასია, თორემ იმ ჭოტივით, ვინ იცის, ხვალ რა მოგველის! ჰეი, თითო კვაწია კიდევ და სიმღერა.

გადასძახა მორჩაძემ რაზმს და კვლავ გაისმა გუგუნი. რაზმელების ხმაში ახლა იმედი კრთოდა, მეტი ხალისი იყო.

ვიღაცამ საცეკვაო შაირი დაიწყო, რაზმელებს ტანში ელვამ დაურბიხათ.

შაირს გამალებული ტაში მიეშველა. უცებ მინდორში მორჩაძე მარქენალი მოზვერივით გაიჭრა, ჯერ ზოზინით შემოსერა წრე, შემდეგ ერთი შეჰკივლა და შურდულზე უსწრაფესად შეჰკრა კამარა. მისი სხეული თასმად იქცა. ფრთებგამოსხმული, მიწას ფეხს არ აკარებდა. მხოლოდ ერთხელ შედგა, უცნაური ენინთ მოკიაფე თვალები მთვარეს ისე მიაპყრო, როგორც ერთხელ ეკას, როცა პირველად გაუბედა:

— მიყვარხარ!

ეს იყო წუთით, და მორჩაძე ისევ გაქანდა სივრცეში, თან გიჟივით ყვიროდა:

— ტაში! ტაში!! ტაში!!!

დიდხანს ცეკვავდა ის ისე აღტკინებული და ცალფად. გაფიცხებული ტაში და კიდევ უფრო გამძაფრებული მოშაირის ხმა, მთელი რაზმის დაძახილთან შეწონილი, მოვარდნილი ნიაღვარივით შხუოდა უდაბურ გარემოში.

მორჩაძემ ერთხელ კიდევ შეჰკრა კამარა და მინდორში ხანჯალივით დაესო. ასე იყო კარგა ხანს. შემდეგ თავდახრილი, როგორც უმწეო, ტაატით წამოვიდა სუფრისაკენ და თავის ალაგას მოსხლეტით დაჯდა.

აყიჟინებულმა რაზმელებმა მეთაურის სადღეგრძელო ხელახლა სულმოუთქმელად შესვეს.

— რაჟდენ, რატომ არ სვამ თადეოზის სადღეგრძელოს? — გაისმა ზაუტაშვილის ხმა. ძოწენიძეს ფერი ეცვალა.

— დავლიე... — იცრუა მან.

— მართლა, რისაგანაა, შენ დღეს ღვინოს ასე რომ წრუპავ, ა?

— დალიე, დალიე. თორემ გუდას თავზე ჩამოგაცობთ! — შესძახეს აქეთ-იქიდან.

— დაწყნარდით, ბიჭებო! მაგას ახლა კი არა, არც წეღან დაულევია ჩემი სადღეგრძელო, მარა ამისთვის რად უნდა დაახრჩოთ. არ უნდა და არ სვამს... სამაგიეროდ მე ვადღეგრძელებ. რაჟდენ, გისურვებ უფრო მხიარულად ყოფილიყავ, ვიდრე ამ საღამოს ხარ!

რაზმელებმა მაინც ძალად შეასვეს მეთაურის სადღეგრძელო ძოწენიძეს და ქეიფი გაგრძელდა.

ნაშუაღამევს მთვარე ღრუბლებმა გასუდრეს. დაბნელდა. მთვარის გაქრობას სუსტი ქუხილი მოჰყვა, შემდეგ ქუხილი გრგვინვად იქცა და ელვამ რამდენჯერმე ზედიზედ გაჰკრა. მალე ცა აზანზარდა, სადღაც მეხი ჭახჭახით ჩამოვარდა. ერთ წუთს ყველაფერი დაცხრა, დაამდა, მაგრამ ერთბაშად წამოსულმა კოკისპირულმა წვიმამ კვლავ აახმაურა ტყე და რაზმელებმა მუხის ტოტებს ქვეშიდან ნაბდები ააკრეს.

სუფრაზე წვეთი აღარ დაცემულა.

იქვე ახალი კოცონი გააჩაღეს, შემონახული წვადები ცეცხლზე დააფიცხეს.

ყველანი ისევ სუფრას შემოუსხდნენ და, როცა კვაწიამ მორჩაძემდე მიაღწია, ქუთუთოებზე მომდგარი ცრემლებით მან თავი ჩაჰკიდა და მოსავებული ხმით დაიწყო:

„ამაღამდელო ღამეო,
ნუ გათენდები მალეო...“

ტანზე ეკლების ჩხვლეტით რაზმი გამოეხმაურა:

ო, ო, ო, დილ-ოდელავ,
დელია და ო, ო, ო!..“

წვიმის თქეშში გაბზარული ზარის ხმასავით ისმოდა რაზმის გუგუნი. გუგუნს ხევიდან ხევი იმეორებდა, შემდეგ სადღაც იძირებოდა. მაგრამ ვიდრე პირველი ტალღა სულ მოსავდებოდა, მას მეორე მოდუდუნე ზვირთი აედევნებოდა და ასე, მთელი სივრცე ქარიშხლის მოლოდინში ოდნავ ატოკებულ ზღვას ჰგავდა.

და როცა უკანასკნელი ჰანგი ჩაიფერფლა, რაზმელები დიდხანს იყვნენ უხმოდ, ახლა მხოლოდ ღვინოს სვამდნენ მეტი ჟინითა და გამალებით.

ალიონზე ყველა მოიღვენთა. კინწდაქექილი ნაყოფივით თავი გულზე დაეკიდათ. ცნობადაკარგული რაზმელები მალე იქვე ჭერეხებივით დაეყარნენ. წვიმამ გადაიარა. ცოტა ხნის წინათ გაგიჟებული ტაფობი სასაფლაოს დაემსგავსა.

სუფრას მარტო თადეოზი და როინი შერჩა.

მორჩაძეს ხანდახან ღვინო არწევდა და ულვაშებს ნერვიულად იგრეხდა.

ზაუტაშვილი კი, რომელიც უფრო მხნედ იყო, ერთიმეორეზე წაწოლილ, გალეშილ ამხანაგებს უცქერდა და კვიმატი ფიქრები სიფრთხილეს გვრიდნენ.

ცეცხლი ჩამქრალიყო, ნაამბოხარი ცა აქა-იქ ისარკებოდა

— როინ, უნდა წავიდე... დედასთან!

მოულოდნელად ბავშვივით თქვა მორჩაძემ. წამოდგა, მაგრამ მუხლებში კვლავინდებური ძალა აღარ ჰქონდა, წაქცევისაგან თავი ძლივს შეიმაგრა.

ზაუტაშვილი შეაკრთო მეთაურის სურვილმა. თუმცა იცოდა მისი გუნება, მაინც ურჩია:

— ახლა ბილიკზე ნადირი ვერ მოიკიდებს ფეხს, მოლიპული იქნება. მერე წადი, დღისით. ჯერ გამოიძინე...

— სუს! — რაღაც წყრომით, მაგრამ ძმური კილოთი გააჩუმა ის მორჩაძემ.

ზაუტაშვილს აღარაფერი უთქვამს, მხოლოდ უფრო დაჯინებით დაუწყო ცქერა მძინარე რაზმელებს. მორჩაძემ ნაბადი მხრებზე მოიგდო, თოფი კომბალივით დაიბიჯგა და მუხას ნელა გაცილდა. ცოტა მანძილის გავლის შემდეგ შედგა, მეგობარს უკან მოხედა:

— მშვიდობით, როინ!

როინი ფიცხლავ წამოხტა, მაგრამ მორჩაძემ კვლავ პირი იბრუნა. ერთ ადგილას დასობილი ზაუტაშვილი ხედავდა, თუ როგორი ბარბაცით მიდიოდა მეთაური, როგორ ღამესავით ქრებოდა მისი ნაბდის სიშავე და იგრძნო, რომ მიმავალს ეძნელებოდა წასვლა, ენანებოდა იქაურობის მიტოვება, მაგრამ მაინც განაგრძობდა გზას.

მალე მორჩაძე თვალს მიეფარა... ზაუტაშვილი იქვე მიწვა. დიდი ხნის ბორგვის შემდეგ თანდათან თვალებში ნისლი ჩაუდგა. როგორც კი ჩათვლიმა, ერთი რაზმელთაგანი ფრთხილად წამოდგა, მძინარეთ დააყურა, შემდეგ მუხაზე მიყუდებულ თოფს ხელი წაატანა და სწრაფად ტყეს შეაფარა თავი.

ძოწენიძემ ტყიდან ბილიკისაკენ გადაუხვია და მორჩაძეს კვალში ჩაუდგა.

როცა ტაფობის ბილიკს სხვა ბილიკები ტოტებივით გა-

მოება, ძოწენიძემ მეთაურს გვერდი აუქცია და ნამალეევად წინ გაუსწრო. მზე უკვე შუა ცაზე ცეცხლის ბურთივით ეკიდა, წუხანდელი ავდრისაგან განბანილ ტყეს ოხშივარი ბოლივით ადიოდა.

ძოწენიძემ სირბილით ავლო შუყურეთის მთის აღმართი, ბილიკს გადმომყურე ბორცვზე საფარი მონახა, მუხის გვერდით გულით წაწვა, თოფი მოიმარჯვა, თან ტუჩებს კუმავდა, რომ აჩქარებული სუნთქვა შეენელებია.

ძოწენიძე გაფაციცებული დაცქეროდა ვიწრო ბილიკს, რომლის იქით თვალუწვდენი წკვარამი იყო.

მორჩაძე ზანტად მიდიოდა, სახსრებში უჩვევ ტკივილსა და სისუსტეს გრძნობდა, მაგრამ როცა აღმართს შეუდგა, თითქოს ახალი ძალა იგრძნოო, წელში გაიმართა და ნაბიჯს მოუმატა.

სხვა დროს ეს მთა სხვა მუხლით გადაუვლია მას — ამ მთას იქით ეგულებოდა ეკა და დედის გული, მაგრამ დღეს რა აჩქარებს?

აი, აივაკა კიდეც, თოფი ახლა მხარზე გაუდევს და მოკლებეწვიანი ბოხოხი კეფისაკენ გადაუწევია.

„რალაც უღონოდ ვარ. დავიღალე. ცოტას დავისვენებ თორემ ლამის წავიქცე“. — გაიფიქრა მან და დასასვენებლად ტყეში შეხვევა იმ მხარეს დააპირა, საიდანაც მზერაგაალმასებულ ძოწენიძეს თოფი ჰქონდა დამიზნებული. ვიდრე ნაბიჯს წინ წადგამდა, ტყემ უეცრად დაიქუხა და ტყვიამ ზუზუნით გააპო მისი მკერდი. მორჩაძე ერთი შეტორტმანდა, ხის ტოტს ჩაეჭიდა, რომ უფსკრულში არ გადაჩეხილიყო; მაგრამ თავი ვეღარ შეიმაგრა და დაგორებულ ქვასავით ბილიკიდან გადავარადა.

ამ დროს მეორედ იგრიალა თოფმა და ასადგომად წამოწეული ძოწენიძეც პირქვე მიწაზე დაეცა.

— ვერაგს ვერაგული ტყვია გაასწორებს! — ჩახლეჩილი ხმით წაილაპარაკა ზაუტაშვილმა და უკან სირბილით დაბრუნდა.

— პატივცემულო ოქროპირ, ერთი სათხოვარი მაქვს, იმედია, არ გამამგუნებ, ამ ჩემს ჭაღარას პატივს დადებ!

— რას ბოდიშობ, თქვი!

— საბოდიშოზე მეტია, უბრალო რამისათვის არ გაწუხებ. ასე რომ არ იყოს, ცალფეხა კაცს იმ სიშორიდან რა მომიყვანდა.

ოქროპირი წამიერ ჩაფიქრდა და კვლავ სათამამოდ მიმართა:

— მაინც რაა ასეთი, ამიხსენი, ნუ გერიდება!

— აი, ზაუტაშვილის ბიჭის თაობაზე გეახელი, — დუნედ დაიწყო თეოფილემ. — მისი დედისა და დის საცოდაობამ პირდაპირ დაგვანელა ყველა... საწყალი ლეონტი იყო და, ციხეში ამოხდა სული, ახლა იმ ბიჭსაც თუ რამე დაემართა, ნაძდვილ ჭკუაზე შეიშლებიან. ჰოდა, ჩემი მუდარაა, როგორმე ისე გაუწიო მფარველობა, რომ მარტო ციხე აკმარონ, სიცოცხლეს ნუ მოუსპობენ... ბავშვია ჯერ, გამოსწორდება.

თეოფილემ ჩაბალახის ტოტით შუბლზე ოფლი მოიწმინდა და დაუმატა:

— თქვენს ხელში გაზრდილია, გემახსოვრებათ! ჭკვიანი ბალღი იყო, მარა...

ოქროპირი თავდახრილი უსმენდა თეოფილეს. მის უკანასკნელ სიტყვებზე რაღაცამ ტალკვესივით გაჰკრა გულში, მიძინებული გრძნობები კელაპტრებივით აენთნენ. მათ შუქზე გამოჩნდა სოფელი, მოყიჟინე ბავშვები, ბავშვებს შორის ცქრიალა, გრძელნაწნავებიანი ირმა.. .ოქროპირი უნებურად შეტოკდა.

უხერხულობის დასამალად ერთბაშად უპასუხა:

— ძნელი საქმეა, მაგრამ ვეცდები, იქნებ შეუმსუბუქონ სასჯელი.

— მამაშვილობას გაფიცებ, ნუ დაიზარებ გარჯას. კი ვიცი, თქვენ სიტყვას რა გასავალი აქვს!

— ვნახოთ, ვნახოთ!

— აბა, დავაიმედებ იმ ქალებს, აბ? — მოუთმენლად ჰკითხა თეოფილემ და ყავარჯნები მოიმარჯვა.

— ‚არგი, ‚არგი, — ღიმილით მიცა დასტური ოქროპირმა, და წამოდგა.

„რატომ ასე გულდაგულ წადია მისი გადარჩენა? იქნებ, სიძეა ან სასიძო?“ — უეცრად გაუელვა ოქროპირს. შურთან ერთად ირმას ამბის გაგების სურვილმა აიტაცა, მაგრამ თეოფილე უკვე ქუჩაში იყო და, ჯოხებზე ღლიავებით დაკიდებული, კალიასავით მიხტოდა.

მართალია, ტყიბულის მაღაროში დაშავებული ფეხის მოკვეთის შემდეგ თეოფილეს კიდევ უფრო გაძნელებული ცხოვრება ჰქონდა, მაგრამ მისი სიმხნევე ვერც ამ უბედურებას გაეტეხა. არც თუ ხანდაზმულობას იმჩნევდა და ყავარჯნებს ისე შეეჩვია, რომ ბევრს უკვირდა მისი სიმარდე.

გული სიკეთის საჭურჭლედ ჰქონდა, თუმცა მისი სახე იშვიათად ამქღავნებდა ამ თვისებას და მრავალთათვის გამოუცნობი ხდებოდა ცალფეხა კაცის ზრუნვისა და წყენის საგანი.

მოყვასთან სიტყვაც ტკბილი იცოდა. მისმა ნუგეშმა როინის დედას და დას წყლული დაუამა, ხოლო მწუხარებით დაოსებულ ირმას, მამისაგან გაგონილი, უკვდავების ნამად ეპკურა.

მთვარეულს დამსგავსებული ‚ალი გამოფხიზლდა, მაგრამ მაინც დიდი იყო მისი სევდა, გულის ტკივილი.

ირმას ამგვარი ცვლილება ბევრს უკვირდა.

მხოლოდ ანუსიმ იცოდა მისი ვაების მიზეზი და საიდუმლოს უნახავდა, თან მომეტებულად ელოლიავებოდა, რომ ჭირისათვის გაეძლო.

არც თუ ღამით ტოვებდა მარტო. რულდაკარგული ირმა შეშინებული ბავშვივით ეკვროდა მის მკერდს, რომელზედაც დაჩუტული ძუძუები მკვდარი ჩიტებივით ეკიდნენ, მაგრამ ამ ძუძუებს და ყავარივით ხმელ მკერდს ჯერ კიდევ იმდენი სითბო შერჩენოდა, რომ დარდით გათოშილ ირმას სასიცოცხლო ძალას მატებდა.

— გოგო, ნუ ასკდები გულს, თორემ დაშლექდები, შვილო. წახდები ‚ალი. იმას რაში წაადგება, შენ რომ თავი მოიკლა, ა? აწი რა უჭირს, ციხეში იმისთანები არიან!.. ჰო, მართლა, ამ კვირას ბიძაშენთან არ წახვალ? მამაშენი მიდის, რაღაი შერიგდნენ, მისვლა-მოსვლაც ‚ე უნდა ექნეთ. მადლობა

ღმერთს, ბოლო მოეღო მათ შორის შუღლსა და მდურებას. უთუოდ წადი, თვალი გაახილე, ცოტა გულზე მოგეშვება... — ხმადაბლა უთხრა ერთ ღამეს ძილგატეხილ ირმას მოხუცმა.

— რას ამბობ ბები, წვეულებაში რა მიხდა, ბაგის გუნებაზე ვარ? — შეშფოთებით უპასუხა ირმამ.

— ოქროპირი ყავს დაპატიჟებული. მისი ხათრი მაინც იქონიე, სახრჩობელას გადაარჩინა როინი... მამაშენი მთლად მისი გულისათვის შეურიგდა ხოსროს, თორემ რომ ოქროპირი არა, მგონია, ისე მოვკვდებოდი, ერთხელ დალაპარაკებულსაც ვეღარ ვნახავდი შვილებს. კი უნდა წახვიდე, აჰა!

ოქროპირის ხსენებაზე ირმას ოღაც უსიამოვნო გრძნობები აეშალა. ერთი გულით ის ოქროპირს უმადლოდა სიკვდილისაგან როინის გადარჩენას, მაგრამ იმავე დროს უკვარდა მისი ლმობიერება, რადგან როინს და მას შეურიგებელ მტრებად თვლიდა. ირმას ვერ წარმოედგინა ოქროპირთან პირისპირ შეყრა და იმ ხალხში გარევა, რომელთა წინააღმდეგაც იბრძოდა როინი.

წვეულების დღეს ირმამ ავადმყოფობა მოიმიზეზა, ბევრიც იტირა, მაგრამ უარი არ გაუვიდა და ნაძალადევად მოიკაზმა.

როცა ანუსი და დარცხვენილი ირმა აივანზე ავიდნენ, წინ გამოგებებულმა კესომ ყასიდად გადაკოცა მაზლიშვილი და ჩვეული კისკისით მიგვარა მოწამეთის ახალ არქიმანდრიტთან განკერძოებით მუსაიფში გართულ ოქროპირს.

მისი უეცარი გამოცხადებით გაოცებული ოქროპირი მაშინვე ზეზე წამოიჭრა. ვიდრე ისინი ერთმანეთს მიესალმებოდნენ, ანუსი მოწიწებით ეამბორა ხელზე არქიმანდრიტ ესტატეს და კურთხევა გამოთხოვა.

ოქროპირი უხმოდ უცქეროდა თავჩაქინდრულ ირმას. ადრე, დიდი ხნის წინათ განცდილი ახლა თანდათან უცხოველდებოდა. ამ უჩვეულო შინაგან ღელვას უკვე ენაბრგვილად გაეხადა მუდამ თამამად მოლაპარაკე და, სასურველი ქალის ხილვით დატყვევებულს თავი სიზმარში ეგონა.

ოქროპირის ასეთმა უცნაურმა შეხვედრამ ირმას წაართვა ფიქრის უნარიც, იმავე დროს სხეულის საშინელ მოდუნებას

განიცდიდა, მაგრამ რაღაც ძალით კვლავ განაგრძობდა ქანდაკებასავით დგომას.

ირმა უაზრო ყინით დაცქეროდა იატაკს.

დასრულებული ტანის ნაკვთები მკაფიოდ უჩანდა სადა, მარმაშა სამოსში. მკერდის კორდები ტალღებივით უტოკავდა. ზედ გადმოგდებული ცალი ნაწნავის ბოლოს ნირწამხდარი ჩეჩდა.

— აღარ შეგფერის, კეთილო მამაო, დედათა ტრფიალი, გეყოფა! — კილვით წასჩურჩულა კესომ ირმას კდემამოსილებით მზერაგამახვილებულ ესტატეს და შემდეგ სიცილით ოქროპირს მიმართა:

— მგონი, გაგიჭირდა ცნობა! ხომ ხედავ, შენი ნამოწაფარი როგორი ქალი დადგა! ნამდვილი ტურფა, ასეთ უნაკლო ქალს ქალაქში წამლად ვერ ნახავ.

ირმა სირცხვილმა დაწვა. დამფრთხალი შველივით მიმოიხედა ირგვლივ და გაქცევა განიზრახა, მაგრამ ამ დროს კესომ ალერსით ხელი წავლო მკლავში და მეორე ოთახში გაყვანა დაუპირა, თან ოქროპირს ეშმაკური ღიმილით ესროლა:

— თქვენ მუსაიფი განაგრძეთ, ჩვენ კი სუფრას გავაწყობთ, ისედაც დაგვიგვიანდა სადილი!

სტუმრები კვლავ ახმაურდნენ.

გვარდიის ოფიცერმა ერისტომ გრამოფონი მომართა და ოქროპირს ყურში თაფლივით ჩაეწვეთა:

„რომ იცოდე ჩემი გულის დარდები...“

— დაბრძანდით, ოქროპირ, ლამაზი ქალები მღვდლებისა და პოლიტიკოსებისათვის არ არიან გაჩენილი! — ხმადაბლა მიიწვია ესტატემ სახტად ღარჩენილი ოქროპირი და შავი კოთხო გაისწორა.

— მღვდლების რა მოგახსენო, მაგრამ პოლიტიკოსებს ქალები არაფერს უშავებენ! — მოგვიანებით, ოხუნჯობითვე უპასუხა მან და დაჯდა.

— არაა მართალი, ლამაზი ქალები ზოგჯერ პოლიტიკას თვითონ ქმნიან და, მაშასადამე, თქვენ, პოლიტიკოსები, მათ გავლენას, ბევრიც რომ ეცადოთ, ვერ აიცდენთ.

— ქალების საკუთარ პოლიტიკაზე ლაპარაკი, სხვა არა

იყოს-რა, უცნაურია. ის, რასაც თქვენ პოლიტიკას ეძახით, წარმოადგენდა მხოლოდ მაღალი წრის ქალთა კაპრიზს, რომელსაც ანგარიშს უწევდნენ ვიწრო წრეებში და რომელიც ოდნავადაც არ ყოფილა დაკავშირებული ქალთა უფლებრივი ბრძოლის იდეებთან.

— ყველა ქალი უპირველესად ბიბლიური ქალის განმეორებას წარმოადგენს და, თუ ეს ასეა, არ შეიძლება თვითოეულ მათგანს არ ჰქონდეს კაპრიზი, ანუ საკუთარი პოლიტიკა, რომელიც ჩვენს ცხოვრებაში ხშირად დიდ როლს თამაშობს და თვალსაჩინოდ ცვლის მოვლენებს. აი, ავიღოთ, თუ გინდ, თეოფილეს პირმშო. მის კაპრიზს ბევრი პოლიტიკოსი შეწირავდა თავის პოლიტიკის ურყეობას. კაპრიზი კი მასაც უთუოდ აქვს, რადგან ისიც ქალია.

უეცრად ოქროპირს მოეჩვენა, რომ მან მართლა ირმას გულისათვის შეუმსუბუქა სასჯელი ზაუტაშვილს და უნებურად შეიშმუშნა. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ოქროპირმა წყენით მიმართა არქიმანდრიტს:

— რა კაპრიზზე ლაპარაკობ, ვერ გამიგია! ქალი იგივე ადამიანია და ცხოვრების თანაბარ მონაწილედ ითვლება. მართალია, სოციალურ-ეკონომიური უკუღმართი პირობების გამო ქალი მოკლებულია ბევრ ადამიანურ უფლებებს, მაგრამ ეს არის უკანონობა მხოლოდ და არა „ღვთით დადგინებული ხვედრი". ამიტომ ბუნებრივია ჩვენი ბრძოლა ამ უსამართლობის წინააღმდეგაც.

— ტყუილად ირჯებით.

— თქვენ გგონიათ ასე!

— მე მგონია, რომ ქალის მდგომარეობის ასე საშიშად დასახვა, გაზვიადებულია. თქვენი რაინდული სურვილების განხორციელება ქალს დაუკარგავდა დედისა და ცოლის გრძნობებს, რაც თავისთავად გამოიწვევდა ოჯახის დანგრევას. ეს კი უფრო დიდი უბედურება იქნებოდა ქალისათვის, რადგან მისი ნებიერი ბუნება მოითხოვს მასზე ძლიერთან მუდმივ კავშირს. ამ კავშირის გარეშე შეუძლებელია ოჯახის შექმნაც. ოჯახია ნამდვილი ცხოვრება. თქვენ კი ქალს უპირებთ ოჯახიდან შარაზე გამოყვანას და ამით აუბედურებთ კაცსაც, — დინჯად წარმოთქვა არქიმანდიტრმა. თავისი აზრის

დასაბუთება თვითონვე მოეწონა. კმაყოფილებით დარბაზს თვა-ლი მოავლო და ყურადღება გადაიტანა კუთხეში მჯდომ მი-რიან მხეიძეზე, რომელსაც გარსშემოხვეული მონამცეცე აზნაურები რაღაცას ეხვეწებოდნენ, მაგრამ მირიანი ჯიუტობ-და:

— ლაპარაკის თავი მაქვს, თქვე მამაცხონებულებო!? ისე გამომეწალა მუცელი, რომ ფერდი ფერდზე მეკვრის, ამ სუფ-რის გაშლას კი არაფერი ეშველა. ნეტავი, ჩემს სიძე-ბატონს რამდენი უნდა გვაყურყუტოს ასე, ა?

— უკეთესია, ლაპარაკში კიდევ უფრო მოგემშევა და სა-ღილს მეტ გემოს ჩაატან.

— ჰო, ჰო, ბატონო მარიან, მოგვიყევი, მოგვიყევი!..

— კაცო, კარგ სათქმელს კარგი მთქმელი უნდა, ნათქვამს კიდევ კარგი გამგონე. ჩვენ კი, ვიდრე არ დავნაყრდებით, არცერთი არ ვარგივართ ამისათვის, დამიჯერეთ!

— ნუ გადაგვაყოლე თან, ამდენ ხანს ქე იტყოდი!

— ჯანდაბას თქვენი თავი, გიამბობთ, მარა, ვინც ყურად-ღებით არ მომისმენს, ვაი მის ტყავს! — გააფრთხილა მირიან-მა მსმენელები და თან ერთ მათგანს, მოსიმღერე აზნაურს, დაუცაცხანა:

— რამ წაგახდინა აზნაური კაცი ასე, მარტო ერთი ღერი რომ ამოაძვრინე, ვითომ რაო! ჰაი დედასა, მამაშენისათვის მთელი ფირალოვის ფაბრიკა რომ ეთხოვა კაცს, უარს არ ეტყოდა, შენ კი საცოდავი სამკაპეიკიანი პაპიროსი ვერ გა-გიმეტებია! მოიტა ჰო, თუთუნის ხვევაზე ნუ გამაცდენ!

ყველას ხმამაღლა გაეცინა.

ვიდრე მირიანი პაპიროსს მოუკიდებდა, მსმენელები უფ-რო მოხერხებულად დალაგდნენ და გაისუსენ.

— დათა ნიჟარაძეს ხომ იცნობთ? — შეეკითხა მირიანი მათ და პასუხს აღარ დაუცადა, განაგრძო: — აი, ჩვენი მარ-შალი რომ იყო. მოგეცათ ღვთის წყალობა, კარგი წარმოსა-დეგი ვაჟკაცი იგი არი, მაგრამ თუ ისეთ საარაკო გმირო-ბას ჩაიდენდა, მაინც არავის ეგონა!

— რა ქნა იმისთანა, შე კაცო! — მოუთმენლად შეეკითხა ვილაცა.

— რაც ქნა, იმას მის მეტი ვერავინ იზამდა, პატიოსნებას

გეფიცებით, აპა, რომ გამოვა კაცი ყოველმხრივ შემკობილი, გამოვა!

— თუ ამბობ, ქე თქვი ბარელამ, თვარა მეტი აღარ შემიძლია, გავიქცევი საცხა! — უთხრა მოსიმღერე აზნაურმა.

— გაიქეცი, შენ გენაცვალე, ერთბაშად სახლში შემწვარი გოჭი არ დაგხვდეს. სხვისას რომ არ დახვიდოდე, შენი ბულბულის პირიდან ტირილის მეტს ვერაფერს გაიგონებდა კაცი... მოითმინე, ნუ ცმუკავ. სახუმრო ამბავს კი არ ვყვები, — შენიშნა მირიანმა და კვლავ თავისებურად დაიწყო: — ჰო, იმას ვამბობდი, ეს ჩვენი დავითი დიდი გამბედავი ყოფილა სწორედ. თავი ისახელა, მაგრამ ჩვენც გვასახელა სამუდამოდ. ეს საშვილიშვილო გმირობა მან ჩაიდინა ამ რამდენიმე წლის წინათ. ხომ გახსოვთ მეფის ჩამობრძანება? მართალია, ქუთაისში არ ყოფილა, მაგრამ გაგონილი გექნებათ!

— როგორ არა, მაშინ თბილისში გახლდით! — წამოიძახა მოსიმღერემ.

—კი ვიცი, შენი ხმა ძაან მოეწონა, თურმე, ცხონებულს! — დაცინვით ჩაუკრა მირიანმა, ისე რომ თხრობა არ შეუწყვეტია. — მეფის შესახვედრად ქუთაისიდან გავაგზავნეთ დავითი. თბილისის ქუჩები სულ ხალიჩებით მოეგოთ. მთელი ქალაქი ზღაპრული ყვავილების ბაღს წარმოადგენდა. ყველა მოუთმენლად ელოდა მეფის მობრძანებას. სადგურზე მარტო დიდჩინიანები და წარჩინებული თავადაზნაურები იყვნენ გამწკრივებულნი. — მირიანმა ოდნავ შეისვენა და უეცრად იკითხა: — თქვენი აზრით, ვინ უნდა შეხვედროდა პურმარილით რუსეთის იმპერატორს, ა?

მსმენელები დაიბნენ.

— ალბათ, მეფისნაცვალი, — გაუბედავად წარმოთქვა ვიღაცამ.

— პირდაპირ ეკუის კოლოფი ხარ, — უკმეხად ეცინა მირიანმა ამოცანის ცუდად ამხსნელს და განაგრძო: — მოაკივლა მატარებელმა თუ არა, ვიღაცა ხატისოვი, იმას გაუწყრა ჩემი გამჩენი ხატი, უტიფრად გაიჭიმა ყველაზე წინ და ფერცხლის ლანგარი მოიმარჯვა. ეხ რომ დათამ დაინახა, რაღმე გაგიედა კაცი: ამ კრუა სიმეხს ვინ კითხავს ჩვენს სატახ-

ტო ქალაქში მასპინძლობასო, გაიფიქრა მან, მაგრამ ძალით რაღას გააწყობდა. მაშინ მოიაზრა თუ როგორ უნდა მოქცეულიყო და ამაყად გასწია მისკენ. ისე დაუდგა გვერდით, არც კი შეუხედავს მისთვის. ამასობაში მოაქროლა მატარებელმა და როგორც კი გადმობრძანდა მეფე ვაგონიდან, დათამ სწრაფად ხელიდან გამოტაცა ლანგარი ხატისოვს და სინ-ის გონს მოვიდოდა, ძვირფას სტუმარს პურმარილი მიართვა...

— ბიჭოს! — ერთხმად გაიოცა ყველამ.

— ნიკოლოზმა, თურმე, ხატისოვი ნიჟარაძის ლაქიად ჩათვალა და ყურადღებაც არ მიაქცია. ასე გადაგვარჩინა სირცხვილს ჩვენმა დავითმა, მაშ! — კმაყოფილებით დაამთავრა მირიანმა.

— ნეტავი, რა უჭირდა, ხატისოვის ხელით რომ მიეღო პურ-მარილი, ა? — კრძალვით იკითხა ყავარჯენზე დაყრდნობილმა თეოფილემ.

მისმა სიტყვებმა მოულოდნელად აღაშფოთა როგორც მირიანი, ისე მისი მსმენელები.

— შენთვის რა უჭირდა და არაფერი, მარა ჩვენთვის დიდი სირცხვილი იქნებოდა. როცა არ გესმის, ენას კბილები მაგრად უნდა დააჭირო, — მკაცრად შესძახა მირიანმა და სათუთუნე ქისა ისე ამოიღო, რომ სხვა ფერის ნაჭრით დაკერებული ახალოხის კალთა არავის დაენახა.

ერთ ხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

—რა გამოვიდა მერე, როგორც გადმომცეს, ნიჟარაძის პატივისცემა მალე წაამწარა თურმე ნიკოლოზს შენმა სახლიკაცმა! — დაბალი ხმით უთხრა ერთმა დარბაისელმა აზნაურმა მირიანს, რომელმაც უკმეხად ესროლა მას:

— ხომ არ გადაირიე შენ, ჩემს სახლიკაცს რა ესაქმებოდა მეფესთან!

— შენი სახლიკაცია, აბა ვინაა, კარლოს რო ეძახიან!

— უკაცრავად, ასეთი მახინჯი ჩვენს გვარში არ ურევია. ის ჩხეიძეა, მე კი მხეიძე გახლავარ. რამ დაგიკარგა ცნობა ასე, მიკვირს!

— თქვენ ძაან თამამად ლაპარაკობთ. ოქროპირი შორს ვი არაა,თუ გაიგონა! — შენიშნა მათ მოსიმღერემ.

— გაიგონოს მერე, მაგის კი არა ანტექრისტესი არ მე-

შინია! — ტრაბახით, მაგრამ ძლივს გასაგონად წარმოსთქვა მირიანმა.

— ნეტავი, რას მუსაიფობენ ასე გულდაგულ? ესტატე ისე იშვესებს არქიმანდრიტობას, რომ დარწმუნებულია, ოქროპირს მართლა ეკრძალება მისი! — გამონახა ახალი სალაპარაკო მოსიმღერემ.

— ცოტა ხრდილობა კიდო გააჩნია და იმიტომ, თორემ, თუ მოინდომა, როგორც დააყენა, ისე გიდააყენებს! — წაილაპარაკა მირიანმა.

— რას ამბობ, შე კაცო, რომელი კათალიკოსი მაგია, არქიმანდრიტის არჩევა-კურთხევას ვინ კითხავს ოქროპირს! — გაიკვირვა მოხუცმა ყიფიანმა.

— ვინ კითხავს, ჩემო ნათლია, და არავის, მარა თვითონ კითხულობს. სასულიერო წოდებამაც უხდა თავისი კაცები ჰყავდეს, — დინჯად უპასუხა მირიანმა.

— არ გამიკვირდა, ესტატეს სხვა დროს დასტურ ვინ მიაშავებდა არქიმანდრიტობას. წინათ არქიმანდრიტობისათვის ქვრივობის გარდა, საჭირო იყო ღირსებაც, მარა ახლა ყველაფერი გაბათილებულია. — ეჰ! — ჩაიქნია ხელი დარბაისელმა აზნაურმა.

— იკურთხა, ღმერთო, შენი სამართალი, გარშემო რავა ყველა კონტრრევოლუციონერი მიზის. ისე სანაწეროდ არიან ატეხილი, რომ თუ არ ვავიპარე, რაცხა ხლაფორთში გამხვევენ! — იხუმრა მოსიმღერემ.

— ძაან ცდები, — შესძახა მას გაბრაზებულმა მირიანმა, — შენზე ნაკლებ სოციალისტს დავასხი თავსხლაფი. მე ძაანაც მომწონს ახალი მთავრობის კანონები. ამ კანონებით დაწესებული მიწის ნორმა რომ მომცა, კიდო უფრო კმაყოფილი ვიქნებოდი. მენშევიკებს სწორედ არაფერი დაუკლიათ ჩემთვის. პურმარილიც იციან. მათი ნაკლი ისაა, რომ ცოტა თავადაზნაურობას ახსენებენ ხანდახან უხიაგად, მარა საქმით არაფერს გვიშავებენ და ისე, ილაპარაკონ, რას ვჩივი! ჩვენ, ესტატეზე გვქონდა ბაასი, თორემ მთავრობასთან რა გვესაქმება! — ტკბილად დაუმატა ბოლოს დარბაისელი აზნაურის ნათქვამის გამოსასწორებლად მირიანმა და მუჭში მუნდშტუკი მოიმწყვდია, შემდეგ ზევიდან მეორე ხელისგუ-

ლი დაარტყა და პაპიროსის ნამწვი მოსიმღერეს ფეხებთან დაეცა. მოსიმღერე აზნაურმა უნებურად წინ დაიხედა. გაიხსენდა თავისი დახეული ცალი აზიური ჩექმა, რის გამო ერთ ფეხზე მარტო კალოში ეცვა და რისთვისაც იძულებული იყო განზრახ, სხვების თვალის ასახვევად ცოტა კოჭლობით ევლო.

ამ დროს დარბაზში შემოვიდა სახეალანძული ირმა და სუფრაზე საინები მწკრივად დაალაგა.

— რა გვადაევებს, თუ ღმერთი გწამს, ამ ქალის ერთი დანახვა საკმაოა იმისთვის, რომ კაცმა იგრძნო სხვად ყოფნა და თვითონ იქცე მის ყმად. ქალის უუფლებობაზე ლაპარაკი იმათი საქმეა, რომელთაც ლამაზი ქალები არ წყალობენ, — ერისკაცის კილოთი წარმოთქვა არქიმანდრიტმა და ოქროპირს ორჭოფული ღიმილით შეხედა.

ოქროპირს არაფერი ესმოდა მისი; ის დატყვევებული იყო ქალის კდემამოსილებით. ცდილობდა, მაგრამ ვერ მოეხერხებია მოჭარბებული განცდების დამალვა.

— რაღაც ფარცაგადაა შენი საქმე, გეტყობა, ტარიელის სენი შეგყრია, მიხარია სწორედ, ასეთი გრძნობაა, ცხოვრებას რომ მიზანს აძლევს. მიგულვე ჩვთანდილად, — იხუმრა არქიმანდრიტმა.

ოქროპირი ისე აირია, თითქოს საქურდალზე შესწრებოდა ვინმე, მაგრამ მალე დაძლია უხერხულობას და ეჭვების გასაფანტად მოულოდნელად შეეკითხა ახირებულ მოსაუბრეს:

— რევოლუციაზე რა აზრისა ხარ!

ამ კითხვით გაკვირვებულმა არქიმანდრიტმა მოგვიანებით უპასუხა:

— პირადად კეთილი აზრის, მაგრამ, რადგან ყოველი რევოლუცია ეკლესიის მტერია, მისი მომხრე მაინც არა ვარ. მე ამ რევოლუციას ვუმადლი მარტო იმას, რომ მისი მეოხებით შესაძლებელი გახდა საქართველოს სუვერენობის აღდგენა.

— ოჰო, პატრიოტიც ყოფილხარ!

— ყოველი ქართველი პატრიოტი უნდა იყოს. მაგრამ ამ შემთხვევაში, სამწუხაროდ, ისე როგორც ჩვენი მდგომარეობით, ჩვენს შორის დიდი განსხვავებაა.

— ეკლესია და საქართველო, ეს მეტად ძველი სინონიმებია! — უგულოდ წარმოთქვა ოქროპირმა და დაუმატა: — საქართველოს დამოუკიდებლობა შემთხვევითი მოვლენაა. ჩვენ არაფერი გვაქვს რუსეთის და არც სხვა ქვეყნების პროლეტარიატთან გასაყოფი. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება წარმოადგენს მხოლოდ იმ ავანტურისტებისაგან თავისდაცვის საშუალებას, რომელთა წყალობით რუსეთის მუშათა კლასი აცდა სოციალიზმის ნამდვილ გზას.

ამ აღსარებით გაოცებული არქიმანდრიტი თავის ყურებს არ უჯეროდა. ოქროპირის სიტყვები თავხედობად მიიჩნია, მაგრამ იცოდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე და მკაცრი პასუხის გაცემის მაგიერ, მხოლოდ ყრუდ ჰკითხა:

— რა თქვი, ოქროპირ? მაშ, ყველაფერი ეს ამბავი მარტო სცენაზე ხდება?

— დიახ, ჩვენ იძულებული გავხდით, ნაწილობრივ ვაკეთოთ ის, რაც ქართველ ნაციონალისტებს უნდათ!

— ჰმმ!

— მობრძანდით, ბატონებო, მობრძანდით! — მოესმათ მოსაუბრეთ დიასახლისის მხიარული ხმა და წამოდგნენ. მათ სხვა სტუმრებმაც მიბაძეს და მალე სუფრას ყველა გარს შემოუსხდა.

არქიმანდრიტმა სუფრა აკურთხა, რის დროსაც ოქროპირმა დანარჩენებთან ერთად პირჯვარი უნებლიედ გამოისახა და დაჯდა.

კესომ თითქმის ძალით მოუსვა გვერდით მას ირმა, რომელსაც ქალური წინათგრძნობა რაღაც უხილავი თასმებით ბოჭავდა და ჩვეულ სითამამეს უკვეცავდა.

ქალი დამნაშავედ თვლიდა თავს, რომ იმ დროს, როცა როინი, ვინ იცის, რა ყოფაშია, თვითონ გაშლილ სუფრას უზის ვიგინდარებთან ერთად.

ირმას რატომღაც თვალები ეტკინა, როცა ამაყად წამომდგარ ბიძას შეხედა და უნებლიედ თავი დახარა.

ხოსრომ, როგორც მასპინძელმა, თამადობა თვით იკისრა და სხვებზე უწინ ადღეგრძელა მთავრობის წარმომადგენელი ოქროპირი.

პირველხანად ყველას მორიდებით ეპირა თავი, მაგრამ

რამდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ, სტუმრები ანდალთან გათამამდნენ და წვეულება ჩვეულებრივ ქეიფად იქცა.

არქიმანდრიტმა დიდხანს ითმინა, მაგრამ ვეღარ გაუძლო საერთო მხიარულებაში მონაწილების სურვილს. და, როცა მოზრდილი ყანწი მესამედ მიირთვა, „მაღალ მრავალეამიერს“ თავისი ღიღინიც ააყოლა.

მისი წახედვით ძმუისის ახალი მღვდელიც წელში გასწორდა და ჭიქებს ჯერზე ადრე დაუწყო დაცლა.

მარტო ოქროპირი ეთიშებოდა ზეიმს. ირმას სიახლოვით გრძნობებაფორიაქებულს ვეღარ წარმოედგინა, რომ შეიძლებოდა დიდებისაკენ მიმავალი მისი გზა ქალისათვის დაუმხარი გამომდგარიყო.

— როგორ ცხოვრობთ, ირმა, რატომ აღარ გააგრძელეთ სწავლა?! — უეცრად, მაგრამ ლბილად ჰკითხა მან ქალს და ვაშლის ნაჭერი შეთავაზა.

— რა ვიცი, ხელმოკლეობამ დამაბრკოლა! — მორიდებით უპასუხა ქალმა.

— ახლაც შეგიძლიათ ისწავლოთ, თქვენ ისეთი ნიჭიერი ხართ, რომ, თუ სურვილს გამოიჩენთ, გზა ადვილად გამოინახება.

— რას ბრძანებთ, რაღა დროისაა, რაც მისწავლია, ისიც აღარ მახსოვს!

— ასე გეჩვენებათ, მაგრამ, როცა სწავლას მოკიდებთ ხელს, მაშინ ყველაფერი გაგახსენდებათ. ჯერ გვიანი არაა, ცოდვაც იქნება თქვენისთანა.. — ოქროპირს სიტყვა შეაწყვეტინა მირიანის გაანჩხლებამ.

— ასეთ ღვინოს კაცი გაწოდებდეს და არ სვამდე! — უყვიროდა ის ანუსის ნათლულს, რკინიგზის მუშას, ბოჭორიშვილს, რომელიც ქუთაისიდან ნათლიის სანახავად იყო ჩამოსული და შემთხვევით შეესწრო წვეულებას.

— არ შემიძლია, ბატონო მირიან, და რა ვქნა!

— ხოსრო, ან ამ ტუტუცს შეასვი იმდენი, რომ გაგვიტოლდეს, ან და აქედან მომაშორე, თორემ წიწილივით შემომაკვდება... მაგისთანა ბიჭები თუ თავიდანვე არ მოტეხე, მერე მოინდომებენ ვაქკაცობის გამოჩენას... არქიმანდრიტი სვამს და მაგი ვინ ოხერია...

ხოსრო შუა ცეცხლში ჩავარდა, არც სიმამრისთვის უნდოდა ეწყენინებინა და არც დედის ნათლულისათვის. უფრო კი ოქროპირის რიდი ჰქონდა და ცდილობდა აყალმაყალის მიფუჩეჩებას. მაგრამ მირიანი ჭინჭყლობას არ იშლიდა, ხოლო შემოსწრებული — ჯიუტობას.

— აპა, არ სვამ?

— მაგ ყანწის დამლევი სწორედ არ ვარ!

— დალიე, თორემ, იცოდე, პანღურისკვრით გაგაგდებ ყარში!

— რაო, რაო! ნეტავი მართლა გაბედავდე რამეს, მაშინ გაჩვენებ, როგორ უნდა პანღურის ამოკვრა! — უკმეხად ესროლა შემოსწრებულმა და ადგა.

შეიქნა მიწევ-მოწევა, ხმაური.

— პატივცემულო მირიან, დაწყნარდით, ასე ღვინის დაძალება როგორ შეიძლება! — მშვიდად მიმართა ოქროპირმა გაცოფებულ მირიანს.

— სუფრაზე სოციალისტობა არ გამიგონია მე. შენ რომ პატარძალივით გვიზიხარ; ისიც გვეყოფა, სხვას მაინც ნუღარ ესარჩლები. ქეიფის დროს ქეიფი უნდა... — ცალყბად გადასძახა მირიანმა ოქროპირს და თავხედისაკენ გაიწია.

ანუსი ყელზე მოეხვა ნათლულს და, როგორც იქნა, გაიყვანა გარეთ, ხოლო მოთმინებიდან გამოსულმა ხოსრომ მირიანს ისე მაგრად მოჰკიდა ხელი, რომ სკამზე ბავშვივით დასვა, თან გააფრთხილა, კინკლაობა აღარავისთვის გაებედა. შემდეგ მივიდა ოქროპირთან და სიმამრის მაგიერ ბოდიში მოიხადა.

სუფრის კვლავ გასამხიარულებლად კესომ გრამოფონი დაუკრა. გრამოფონს ალზე გაფიცხებული დაირა ააყოლა. უცნაურად შეწყობილ მათ ხმაზე გვარდიის ოფიცერი, ერისტო, მარდად წამოხტა და წრეში გაჭრისთანავე ირმა გაიწვია.

ქალსა ფერმა აუარ-დაუარა, როგორც იქნა, შეძლო უარის თქმა, მაგრამ სტუმრებმა არქიმანდრიტის მეთაურობით ისეთი განგაში ატეხეს, რომ ირმას ეგონა, ჭერი ენგრეოდა თავზე.

კესომ დაირის დაკვრა შეწყვიტა, ირმა ძალით წამოაგდო

ზეზე, შემდეგ გრამოფონს კვლავ შეუწყო თითები, და მოცეკვავეთა წასახალისებლად ტაში გაცხოველდა.

უეცრად ძმუისის ასალი მღვდელი ზეზე წამოვარდა, სკამი შორს ისროლა და ქალ-ვაჟის შუა ყორანივით შეფრინდა.

ამ ამბავმა არაჩვეულებრივი მხიარულება, თან გაოცება გამოიწვია. განსაკუთრებით ანუსი არ უჯეროდა თავის თვალებს, სასოებაშელახულს შუბლი ორივე ხელით შემოეყავრა, რომ უფრო ცხადად დაენახა სულიერი მამის ცუცურაკი ქცევა.

ანაფორააკაპიწებული მღვდელი ისე იყო გატაცებული ცეკვით, რომ მალე სულ დაივიწყა ქალი და თავისთვის დაიწყო „ფიგურების" კეთება, შემდეგ რამდენჯერმე კიდეც ჩაბუქნა, მაგრამ უკანასკნელად ანაფორის ცალი კალთა ფეხებში გაებლანდა და პირქვე მოწყვეტით წაიქცა.

განზე გამდგარ ირმას ერთბაშად სიცილი წასკდა, მას სხვებიც აყვნენ და მთელი დარბაზი უცნაურ სანახაობად იქცა. დიდი და პატარა მუცელზე ხელებმოჭერილი ხარხარებდა, ხოლო ღვინითა და ცეკვით გაბრუებული მღვდელი ძირს კვლავ უმწეოდ გორავდა.

გაბრაზებულ არქიმანდრიტსაც მოერია ღიმილი.

სიცილით გასავათებულმა რამდენიმე წვეულმა, როგორც იყო, მღვდელი ფეხზე წამოაყენა და თავის ალაგას დასვა.

ირმა ისევ გულდაგულ კისკისებდა, მისი წკრიალა ხმა ოქროპირს შიგ გულში წვდებოდა.

ირმა მეორე ოთახში გავარდა, სხვებმა სიცილი ძლივს შეიკავეს, ზოგი სახემოღრეცილ მღვდლის ყოველ დანახვაზე კვლავ საშინლად იგუდებოდა.

მალე ოქროპირი იმ ოთახში გავიდა, საიდანაც შეუწყვეტლივ ისმოდა ირმას კისკისი. როგორც კი ოქროპირმა ოთახში ფეხი შედგა, კესომ აივანზე გაიხმო თეოფილე და ანუსი, ხოსროც თან გაჰყვათ.

ოქროპირის შესვლისას ირმამ სიცილი შეწყვიტა, თვალზე სიამით მომდგარი ცრემლები ბავშვივით ხელისგულით ამოიმშრალა, მაგრამ მალე ისევ აუტყდა მძლავრი სიცილი

და ღონის გამოლევის გამო გვერდით დამდგარ ოქროპირს უნებლიედ მკერდზე მიეყრდნო.

ოქროპირს ჟრუანტელმა ელვასავით დაუარა... ქალი მთრთოლვარე ხელით მიიხუტა და თვითონაც ახითხითდა... ირმამ, როგორც კი იგრძნო ვაჟის უჩვეულო შეხება, ერთბაშად გაცილდა მას და იქვე ტახტზე უხმოდ ჩამოჯდა.

ვიღაცამ კარები გაიხურა, გათამამებულმა ოქროპირმა გადაწყვიტა, დღესვე მთლად გადაეშალა გული ქალისათვის.

— ირმა, მე უსაზღვროდ ბედნიერი ვიქნები, თუ თქვენ ღირსად ჩამთვლიდით და... ჰო, ჩვენს ცხოვრებას ისე მოვაწყობ, როგორც გესურვება. თუ სწავლას მოინდომებ, ყოველმხრივ შეგიწყობ ხელს. ჩვენ უფრო მეგობრები ვიქნებით, ვიდრე უბრალო... ცოლ-ქმარი... — აკანკალებული ხმით უთხრა ოქროპირმა ქალს და გვერდით მოუჯდა. ირმა დამეხილივით დარჩა, ოქროპირის ნათქვამი ყურში უწიოდა, მოულოდნელ ამბის გაგებით გონება დახშობილს პირი შეეკრა, გამოლენჩდა.

ქალის სიჩუმე ოქროპირმა თანხმობის ნიშნად მიიღო. უეცრად დაწვდა მის ხელს. ჯერ ქალის ხელი თავის ხელებში მოიმწყვდია, შემდეგ სუნთქვაშეგუბებული ზედ ხარბად დაეკონა.

ოქროპირი გრძნობდა, რომ ეს ხელი სრულებით არ ჰგავდა აზიზი ქალის ხელს, მაგრამ ამ ხელს ჰქონდა ისეთი ძალა, რომელსაც ოქროპირი ვეღარსად გაექცეოდა.

როცა ის მეორედ უფრო ხანგრძლივად დაეკონა ქალის ხელს, ხოსრომ ფრთხილად შეაღო კარი და შესვლისთანავე ხმამაღლა წამოიძახა:

— ოო, ნეფე-დედოფალს გაუმარჯოს, გაუმარჯოს!

ხოსრომ სწრაფად გადაკოცნა ქალ-ვაჟი და კარში გახეერილ თეოფილეს მიუბრუნდა:

— ბედნიერი ხარ, ბედნიერი, ჩემო ძმაო! მიდი, დალოცე სიძე-ქალიშვილი.

ხოსროს საქციელმა თვით ოქროპირიც გააკვირვა, წყინდა კიდეც, მაგრამ თან უხაროდა, რომ ასე იოლად უსრულდებოდა დიდი ხნის წადილი.

თეოფილე თავდახრილი მიუახლოვდა მათ.

— ბედნიერი გამყოფოთ, შვილებო, ღმერთმა — წაილუღლუღა მან და შვილს შუბლზე აკოცა, ხოლო ოქროპირს ხელი ჩამოართვა.

ირმას უნდოდა დაეყვირა, რომ ის სრულებით არაა ბედნიერი, რომ არ სურს გახდეს ოქროპირის ცოლი, რომ ამაზე მას არც კი უფიქრია, მაგრამ ყვლიდან ხმა არ ამოდიოდა, ენას გამოთქმის უნარი დაკარგოდა.

ძალის მოკრების საშუალებას კი არ აძლევდა კესო, რომელიც კისერზე უნასივით მოხვეოდა და სუნთქვას უშლიდა.

ხოსრო ქაქანით შეიჭრა დარბაზში.

— სამახარობლო, სამახარობლო... ფეხი არსად გაადგათ, ამ კვირაში ჩემი წვეული ხართ, ქორწილია, ქორწილი!

მთვრალმა სტუმრებმა ყურები ცქვიტეს, მაგრამ ხოსროს ნათქვამი კარგად ვერ გაიგეს.

ხოსრო კვლავ ყვიროდა:

— გამხიარულდით, გამხიარულდით, ქორწილია-მეთქი, არ გესმით!?

— რის ქორწილი, რა ქორწილი, ხომ არ გადარეულხარ, ყმაწვილო! — ენისბორძიკით შეეკითხა მირიანი და თავი ჩაქინდრა.

— როგორ თუ რის ქორწილი, ოქროპირი და ჩემი ძმისწული შეუღლდნენ, მიდით, მიულოცეთ!

ახლა კი ბევრს ეჭაშნიკა მისი სიტყვები. სტუმრები წამოიშალნენ.

სულ ბოლოს ირმასთან ანუსიმ დააპირა მისვლა, მაგრამ, როგორც კი მიუახლოვდა, ირმა შეშლილივით წამოვარდა და დალოცვის სათქმელად გამზადილ დამჭკნარ ბაგეთაგან მოხუცს კვნესა აღმოხდა.

ხმამაღლა აქვითინებული ირმა ბებიას გულში ჩაეხვია და ცნობა დაჰკარგა.

## XVIII

ქორწილი არ ყოფილა.

მარტო ხოსრომ და კესომ წაიყვანეს ირმა მოწამეთას.

ბებიამ, საყვარელმა ანუსიმაც, მხოლოდ სერამდე მიაცილა ის. ამ სერს უკან დარჩა ბავშვობა, ჭიაკოკონა, გული და ყავარჯნებზე უსასოოდ დაყრდნობილი მამა, რომელსაც მსხვი-

ლი ცრემლები მძივებივით ეკიდა ქუთუთოებზე და რომელიც ჭიშკრამდეც კი არ მიყოლია მისი თვალების ერთადერთ დამხუჭველ შვილს.

„ტირი, მამიკო? ნუ, ნურც გამყვები, ცალფეხა ხარ და ყავარჯნები დააბეჯდებულ ღლიავებს კიდევ უფრო გატკენს. ჩემი გათხოვება რატომ უნდა გწყინდეს, ყველა ქალი ქმარს მიყავს, და, აპა, მე რა გამონაკლისი ვარ, მაგრამ ეს რომ ქორწილს არ ჰგავს?“ — ფიქრობდა ირმა და, თავდახრილი, თვინიერი ზვარაკივით მიჰყვებოდა ბიძა-ბიცოლას.

რა კეთილი არიან ბიძა ხოსრო და ბიცოლა კესარია, როგორ მზრუნველობას იჩენენ მისდამი, ობოლ ირმასადმი. მართალია, აქამდე ერთხელაც არ უგრძვნია მათგან ამგვარი ყურადღება, მაგრამ ეს იმიტომ, ალბათ, რომ მომდურავად იყვნენ.

ანუსიმ გაოგნებული ირმა სერზე სამჯერ წაღმა მოატრიალა, დალოცა და, რომ ცრემლები შეემაგრებია, თვალების ხუჭვით გადაკოცნა.

„რა უგემური და ფაფასავით ტუჩები აქვს ამ ბებერს“, — გაიფიქრა ირმამ და გატრიალდა.

— გოგო, უკანასკნელად მაინც გამეცი ხმა, რას მერჩი, შვილო! — საწყლად წარმოთქვა ანუსიმ და თვალებზე დამჭკნარი ხელები მიიფარა.

ირმამ მხოლოდ დავაკების შემდეგ მიიხედა უკან, შინისაკენ ფოფხვით გაბრუნებული ანუსი შავ დიდ წერტილად მოეჩვენა. წერტილი თანდათან პატარავდებოდა, მალე სულ გაქრა.

მოწამეთის გალავანთან ოქროპირი მიეგება ახლადმისულებს, ის და ხოსრო ქალებს უკან ჩამორჩნენ. შემდეგ საყდრის ბჭესთან არქიმანდრიტი ესტატე შეხვდა ქალებს და ორივე ღიმილით შეიწვია შიგნით. როცა საყდარში ხოსრო და ოქროპირიც შევიდნენ, ვიღაც ბერმა კარები გადარაზა და არქიმანდრიტს საკურთხეველში შეჰყვა.

ირმა და კესო დავით-კონსტანტინეს შემურვილი ნეშტების სასთუმალის ახლო გაჩერდნენ. ნეშტები ერთად ესვენა ძვირფას საცხედრეში, საგანგებო კვარცხლბეკზე. კვარცხლ-

ბეკის ქვეშ მღვიმე იყო, ამ წმინდა სოროში მორწმუნენი სასოებით ძვრებოდნენ.

ირმასაც ბევრჯერ გაუვლია ფორთხვით მასში.

ბებია სულ აფრთხილებდა:

— ისე გაძვერი, გენაცვალე, წმინდანებს ზურგი არ აკრა, თორემ ცუდი ბედი გექნებაო!

ბებიას დარიგება ხშირად ვერ შეუსრულებია ირმას და უნებლიედ გვირაბის თაღისათვის სწორედ გარეთ გამოსვლისას აუკრავს წელი, მაგრამ რითაა უბედური, ისეთი კაცი თხოულობს, რომელსაც მეფის საქმეები ეკითხება. დედინაცვალი მართალს ეუბნებოდა:

— დედოფალივით გაცხოვრებს, როინი მჭადსაც ვერ გიშოვის სამყოფათო!

ირმას დედინაცვალი ჭკვიანი ქალია. აბა, როინი რას შეედრება ოქროპირს, ერთი უბირი კაცის შვილია. ციხიდან, ვინ იცის, როდის გამოვა. ნაყაჩაღარი ოჯახის კაცადაც ვერ ივარგებს.

„მარა რომ მიყვარს!“

შეუშფოთებლივ გაიფიქრა ირმამ და კვლავ მოაგონდა ბავშვობა. თვალწინ დაეხატა ყოველ მოწამეთობას როინთან ერთად ნათევი ღამეები, როცა მოუთმენლად ელოდნენ წყალწითელაში ჩაძირულ წმინდა ქვის ბორბალზე ნათელი სვეტის დადგომის წუთს და გათენებას.

მონასტერი სახნისის მსგავს გორაზე იდგა. გორის წაწვეტებული წინა ნაწილი შეჭრილი იყო მაღალი მთების მოღუნული გრეხილის შუა, ამიტომ ამ ალაგას წყალწითელას კალაპოტიც, რომელიც წმინდათა სავანეს ანცალკევებდა მთებისაგან, მოხრილ მშვილდს ჰგავდა. მდინარის ნელი დუდუნი ძლივს აღწევდა მლოცველებამდე. გორის მარცხენა ფერდობზე, მდინარის ნაპირების გაყოლებით, ბერებს გაეშენებიათ ბაღები და საზედაშე ზვარი.

ირმამ მთელი ეს მიდამო ზეპირად იცის. იცის მდინარის ის ადგილიც, სადაც დაიხრჩვნენ დანი ჯორჯაძენი: უეცრად წყალში ჩავარდნილ ერთ დას მეორე მიეშველა, მაგრამ მორევმა ისიც ჩაითრია და მცურავებმა დიდხანს ვერ შეძლეს მათი ცხედრების პოვნა.

„რატომ გაიმეტა სალოცავად მოსული დები ღმერთმა? მეტრე როგორ ყვარებიათ ერთმანეთი, მე კი“...

ფიქრებით მოღვენთილს კესომ მზრუნველობით მოჰკიდა ხელი და შუა საყდარში დააყენა. მალე გვერდით ოქროპირი ამოუდგა. ბრჭყვიალა სამოსით მორთულ არქიმანდრიტის ხმა თაღებში ვიღაცამ უგემურად გაიმეორა.

ირმა ახლა არაფერზე არ ფიქრობდა, არც გრძნობდა რამეს.

ერთთავად დაეჭეროდა ხელში ნაძალადევად დაჭერილ სანთელს, რომელსაც გალღობისაგან დადენილი ყვითელი წვეთები ზედვე უცნაურ გრეხილად ახორცდებოდა.

არქიმანდრიტმა ისე შეასრულა ჯვრისწერის წესი, რომ ირმას ერთხელაც არ აუწევია თავი. მაშინაც არ შერხეულა, როცა ხოსრომ უცაბედად გვირგვინი ყურებამდე ჩამოაცვა. ალბათ, მკლავები დაეღალა, რადგან ორივე გვირგვინი მარტო მას ეჭირა, თორემ ხუმრობის ხასიათზე მაინცდამაინც არც ხოსრო იყო.

ირმამ მხოლოდ ერთხელ აწია თავი — საიდუმლო ზიარების დროს, და მეორედ — როცა ოქროპიმა მკლავში მკლავგაყრილი გაიყვანა გარეთ.

ასე ტყუპადქცეულებმა უხმოდ გაიარეს მონასტრის ეზო, სადაც წინათ ზღვა ხალხი უნახავს ირმას. ახლაც ცხადად ახსოვს ერთი მონაზონი, რომელიც სწორედ ამ ჭიშკართან ყიდდა ავგაროზებს, შანას, ყველაზე შესაბამ თითბრის ხატებს. ეს ხატები გამოსახავდნენ დავით-კონსტანტინეს. ერთი ასეთი ხატი დღემდე ყელზე ჰკიდია ირმას, მაგრამ ახლა გული სრულებით არ უტოკავს იმ სიხარულით, რომელიც ეწინიცადა მაშინ, როცა ბებიამ პირველად ჩამოჰკიდა მას წმინდათა სახე. დიდხანს ვერ შეეგუა ამ სამკაულს, რომლის ძაწკვი რუს პატარა ფშანივით ჩაუდიოდა მკერდის ლბილ ბუსუსოვან ღარში, ხან კი ქამანდსავით ხვდებოდა აქეთ-იქეთ ახლად ამოხეთქილ ძუძუებს.

ბოლოს ისე შეეჩვია, რომ, აი, ამჟამადაც ის არ გრძნობს, თუ ყელზე იგივე ხატი ჰკიდია.

„იქნებ, სახლში დამრჩა — გაუელვა ირმას, თან მარჯვე-

ნა ხელი უბისაკენ წაიღო. მაგრამ ამ დროს წაიფორხილა და ცალი ძუძუ ოქროპირის მკლავმა ატკინა.

ქალს უეცრივ სახეზე წამოანათა. სცადა თანამგზავრთან შორი-შორ ევლო, მაგრამ ვაჟმა უფრო მაგრად ჩაჰკიდა ხელი.

მხოლოდ ბაქანზე მისვლისას გაითავისუფლა ირმამ თავი და მთელი მკერდით ამოისუნთქა.

კარგად დაბინდებული იყო, როცა გაისმა მატარებლის კივილი, ირმა გაურკვევმა შიშმა შეიპყრო.

მატარებლის მობრიალე თვალები შორიდან დაინახა. მოეჩვენა, თითქოს მისკენ მოქროდა ის ვეშაპი, რომელიც ზღაპარში ჰყავდა წარმოდგენილი, და რომელსაც ხალხი ხარკად სწირავდა რჩეულ ასულებს. ამ ზღაპრის გახსენებაზე ირმას ცივმა ერუანტელმა ტერფებამდე დაუარა, ვერხვის ფოთოლივით აცახცახდა. ეს ვერ შეამჩნიეს ლაპარაკში გართულმა მისმა მხლებლებმა. ძალის მოსაკრეფად ირმამ იმ ასულად წარმოიდგინა თავი, რომლის გულისთვისაც უცხო ჭაბუკი შეებრძოლა ვეშაპს, დალახვრა ის და ქალთან ერთად მთელი ქვეყანა იხსნა უწმინდური ცხოველისაგან.

— წმინდა გიორგი, შენ დამიფარე! — წაიდუდუნა ირმამ და ქშენით მოვარდნილ მატარებელს თვალი აარიდა.

ბიძა-ბიცოლამ სწრაფად გადაკოცნეს ირმა, ვაგონის კიბეზე თითქმის ძალით შეაყენეს, შემდეგ ოქროპირს მიუბრუნდნენ გამოსამშვიდობებლად.

ვიდრე ოქროპირი თავს დააღწევდა კესოს, მოსავებული ირმა ვილაცამ ბუმბულივით აიტაცა ზევით და მატარებელიც ატორტმანდა.

ოქროპირმა საჩქაროდ წაავლო ხელი ვაგონის კიბის სახელურს, მაგრამ კარებში გადარაჯებულმა უცნობმა მაშინვე მთელი ძალღონით მკერდზე ფეხი ჰკრა და ოქროპირი ბაქანის სვეტებთან მოწყვეტით დაეცა.

## XIX

ირმა და უცნობი მატარებლის ტალანში გაჩერდნენ.

მატარებელი თითქოს გრძნობდა ამ ორი მგზავრის წადილს, გატყორცნილი ისარივით მიჰქროდა.

ნაბდიანი კაცი თავის ძლიერ მკლავს ქალს წელზე სალტესავით უჭერდა, თანაც მოგიზგიზე თვალთაგან ნაპერწკლებს აფრქვევდა. მის არწივისებრ მზერას ანდამატივით იზიდავდა შორს, ნისლოვან ცაზე, კენტად მანათობელი ვარსკვლავი. უცნობი ვერ ამჩნევდა, თუ როგორი ბრუდამხვევი სისწრაფით რჩებოდნენ უკან კლდეები. ნაკაფი ტყეები, რკინიგზის სადარაჯო პატარა თეთრი სახლები და ტელეგრაფის ბოძები.

ტელეგრაფის ბოძები ხანდახან ისე ახლოვდებოდნენ, მზის ჩასვლისას ამოვარდნილი ქარის სივილს ისე უცნაურად იმეორებდნენ, თითქოს მავთულების მაგივრად მათზე გაბმული ყოფილიყვნენ უგრძესი გველები. ნაბადში გაუჩინარებულ ირმას ეს სისინი გამახვილებულ სმენას უწამლავდა და კიდევ უფრო ძალუმად ეკვროდა უცნობის ბობოქარ მკერდს.

მატარებელი ჭახათის აღმართს მიუახლოვდა. ერთბაშად, ღონივრად სადავემოწეული მერანივით შედგა, მალე სულ დაცხრა და ზოზინით განაგრძო გზა.

— მომყევი, ირმა! — დაძაბული ხმით წარმოთქვა უცნობმა.

მან ჯერ ნაბადი ისროლა ძირს, კიბის უკანასკნელ საფეხურზე შემდგარმა, ქალი ბავშვივით აიტაცა, შემდეგ სიბნელეს შეჩვეული თვალი კიდევ ერთხელ მოავლო იქაურობას და გადახტა. ორი ტანის სიმძიმეს ვერ გაუძლეს მუხლებმა და უცნობი ჩაიკეცა.

— იტკინე რამე, როინ? — ძლივს ჰკითხა შიშითა და სიხარულით აკანკალებულმა ირმამ ჰაბუკს, რომელსაც წამოდგომა უძნელდებოდა.

— არაფერია, ცოტა ფეხი ვიღრძე!

— ვაი თუ სიარული ვეღარ შეძლო!

— გამივლის, ნუ გეშინია! — ნუგეშით წარმოთქვა ძალდატანებით წელში გამართულმა და ცალი ხელით ქალის ბეჭს დაეყრდნო.

მატარებელმა უკვე ავლო აღმართი. უკანასკნელი შეკივლების შემდეგ ადრინდელი სისწრაფე გამოიჩინა. როცა ბოლო ვაგონის უკან ვარსკვლავებივით მოკიაფე ორი ფანრის შუქიც გაქრა, როინმა ძლივძლიობით მონახა ნაბადი. იგი ორ-

თავემ მოიხურა, და ნანაბრებისაკენ მიმავალ ბილიკს დაადგნენ.

მგზავრებს მოძალებული ქარი ცემდათ ბეჭებში და სვლას უადვილებდათ.

ისინი, დიდხანს უხმოდ მიმავალნი, ერთსადაიმავეს ფიქრობდნენ:

„სად მივდივართ!“

ბოლოს ირმამ ეს ფიქრი გაუბედავის ენით გამოთქვა და როინი შეკრთა.

— კარგად იცი, ჩემი ბინა ციხეა. მეც არ ვიცი, სად შევაფაროთ თავი. თუ გიძნელდება, დაბრუნდი, ამალამვე მიგგვრი შენს... ქმარს, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად, მწარედ უთხრა მან ქალს, რომელსაც გაგონილმა გული ჩაწყვიტა და თვალის ქუთუთოები საცრემლედ აუწვა.

— რა განუკითხავი ხარ!

ესლა მოახერხა ირმამ და ენა დაება, მაგრამ ის გრძნობდა, რომ ახლა ყოველ კურცხალს შეეძლო ორთავესათვის წაერთმია თავის გადარჩენის უნარი. ამიტომ მოწოლილ ბოღმას სარქველი დააფარა.

როგორც იქნა, ჩავლეს ნანაბრების ფერდობი, წყალწითელას ნაპირზე შეჩერდნენ. ციატ ღამეში მოჩანდა აგურისფერი მდინარე, რომლის მდორე ზვირთებს მღელვარება ეტყობოდა. ირმამ გაიფიქრა, რომ ახლა მის სოფელში უთუოდ წვიმს.

— მართლა, აქ სადღაც გვირაბია, დავისვენოთ ცოტა! — გულუბრყვილოდ გაიხსენა გვირაბი როინმა და მდინარის მარჯვენა ნაპირს აჩქარებით გაყვნენ. ირმას სახეზე წვეთი დაეცა. ქალმა თვალი მიაპყრო საწვიმრად პირშეკრულ ცას და ძიგძიგმა აიტანა.

— გცივა? — მზრუნველობით ჰკითხა ვაჟმა. და ნაბადი შემოაფუთნა.

გვირაბში ფეხის შედგმისას ირმას მძიმე, ნესტიანი ჰაერი ეცა, სუნთქვა შეეგუბა.

გვირაბის სიღრმეში რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ, როინმა ნაბადი ძირს ისე გააფინა, რომ მოსახურავადაც ყოფნოდათ. ქალ-ვაჟი გვერდი-გვერდ დასხდნენ. ირმას ჯერ

კიდევ ვერ წარმოედგინა ნათლად, რაც მას მარტო ამ ერთ დღეს თავზე გადახდა. როინის სიახლოვე კიდევ უფრო აფორიაქებდა მის გონებას და სრულ უმწეობას განიცდიდა, მაგრამ იმავე დროს რაღაც უჩვეულო სისავსესა და გამოუთქმელ ბედნიერებას გრძნობდა.

გვირაბში ისმოდა წისქვილის სათავედან გადმოგდებული წყლის შხუილი და იმავე წისქვილიდან ოთხი გელაზის მონოტონური ხმაური, რომელსაც დაქანცული ირმა ჯერ კიდევ განუცდელ მოოქროვილ სიზმრების სავანეში შეჰყავდა. იქვე, ქვის ხიდზე, ურემი მიქრიალებდა, დაღლილ ხარებს მეურმე ხალისიანი შეძახილით ამხნევებდა.

ბებუკი გარინდებული იჯდა.

— როინ, თქვი რამე! — ალერსით უთხრა მან როინს, რომელიც ერთიმეორის საწინააღმდეგო ფიქრებით იყო შეპყრობილი და გვირაბიდან უშიშრად გასვლისათვის გზას ეძებდა.

მენშევიკური მთავრობის ხელში მეტეხმაც დაკარგა სიმტკიცე. როინმა ამ რამდენიმე დღის წინათ იოლად მოახერხა იქიდან გამოქცევა, მაგრამ ახლა? ახლა რა ჰქნას ნაციხარმა?

— შენ გინდა გითხრა, რატომ ჩაგაგდე ამ დღეში? — გვიან და გესლიანად წარმოთქვა როინმა.

ირმა არ მოელოდა ასეთ პასუხს და წელან შეკავებული ბოღმა თვალთაგან წასკდა.

როინი დაიბნა, საყვარელი არსების ქვითინმა სწრაფად მოულბო ეპვებით გათოშილი გული და მის უნებურად ხელებმა ღამეში კრძალვით მონახეს ცრემლებით დასველებული ქალის სახე.

თვითონაც ტირილის ხასიათზე დამდგარმა ხელისგულით მოწმინდა ქალს ცრემლები, თანაც, როგორც ბავშვს, ისე დაუწყო ალერსი. ფერების დროს როინი ანაზდად ქალის მკერდს შეეხო და მის ტუჩებს მყისვე დაეწაფა. როცა ვაეს ქალის ბაგეთაგან შესმულმა ბანგმა თვალებში ნისლი ჩაუყენა, ქალი ნაბადზე დააწვინა, მაგრამ მის მკლავებში მომწყვდეული ქალი სასოებით შეევედრა:

— ნუ, როინ, ნუ...

მალე ორი ადამიანი ერთ არსებად იქცა და მათი გულებიც, უჩვეულო გრძნობით სავსენი, თანაბრად აყოერდნენ.

— მხოლოდ შენ ხარ ჩემი... შენ... — აღმოხდა მიბნედილ ირმას და ნათქვამს მისი ბაგიდან როინი ბაგითვე წყვეტდა.

როცა გონს მოვიდნენ, როინმა ქალი ნაბადში გაახვია და გარეთ გავიდა. ქაცვიანმა ქარმა და ახლად წამოსულმა მსუბუქმა წვიმამ თანდათან დაუბრუნა ცნობიერება. მოსალოდნელი საფრთხე როინს მთელი თავისი საშინელებით გამოეხატა ახლა თვალწინ და ბადაგისაგან დაცლილ ძარღვებში სამსალა ჩაუდგა. ამჟამად უფრო შეუძლებლად მოეჩვენა მას ირმას დათმობა, მაგრამ თან მწვავედ იგრძნო, რომ თავის თავთან ერთად ქალსაც უფსკრულის მოლიპულ ნაპირზე აყენებდა.

— რა ვქნა, რა? — ამოიგმინა მან და სიმწრისაგან თითზე იკბინა.

კარგა ხანს იყო გაქვავებული. ბოლოს თვალები მოიფშვნიტა. გვირაბში ფეხაკრეფით შევიდა. დაჩოქილმა ფრთხილად ხელი გადაუსვა თავზე მთვლემარე ირმას, რომელმაც თვალების გაუხელად ხელები კისერზე მოხვია და მიიზიდა.

ერთმანეთის ტრფობით კვლავ თავდავიწყებულნი, ერთბაშად შეაკრთო გვირაბში შემოსავალთან ატეხილმა ხმაურმა. როინმა მაშინვე მოიმარჯვა რევოლვერი. მალე შეამჩნია, რომ გვირაბში დასადგურებული მყუდროების დამრღვევი იყო ძაღლი, რომელიც ხარის ბეჭს ქვებზე ახათქუნებდა.

— ნუ გეშინია, ძაღლი ყოფილა...

გაამხნევა როინმა ნაბადში შიშისაგან ზღარბივით მოკრუნჩხული ირმა და ძაღლს ქვა ესროლა. ძაღლმა წკავწკავით ძვალს კბილი წაავლო და ძუნძულით გაიქცა.

ამ შემთხვევამ ორივეს დაუბრუნა საღი აზროვნების უნარი. ორივე კი მარტო იმაზე ფიქრობდა, თუ რა მოჰყვებოდა დილას, როგორ აცდენოდნენ ყოველმხრივ დაგებულ მახეს, მაგრამ ნათელი არსაიდან ჩანდა.

— ტყეც აღარაა სანდო!

— ღმერთო, რა გვეშველება, — ამოიოხრა ირმამ.

როინს სიკვდილი ერჩია ირმას დაცილებას. მაგრამ გვირაბივით ბნელ გონებაში უეცრად პაწია ბრწყინვალე წერტილი ჩაესახა, წერტილს წითელი ძაფებით ჩამოეკიდა ციხეში ტუსაღი ბოლშევიკებისაგან გულში ჩანერგილი სიტყ-

ვები. ამ სიტყვების გახსენებამ მასში გამოიწვია ქალის სიყვარულზე უფრო ძვირფასი სურვილი. ეს სურვილი იყო ბრძოლა არსებული წესწყობილების წინააღმდეგ. ბრძოლა უკეთესი მერმისისათვის, როცა საჭირო არ იქნება კაცმა თავშესაფარი გვირაბში ეძიოს და გულში ჩაიკლას სიყვარული, უარი თქვას ცხოვრებაზე იმიტომ, რომ ვიღაცამ იცხოვროს.

„ვიდრე ოქროპირები განაგებენ ჩვენს ბედს, შეუძლებელია თავისუფლად ისუნთქოს ადამიანმა. ჯერ საჭიროა მათი მოსპობა!“ დაასკვნა როინმა, მაგრამ იმავე დროს მეორე გულმა დასწია:

„მერე, მანამდე ოქროპირს უტოვებ საჯიჯგნად ირმას?“

როინი გველნაკბენივით შეტოკდა. ცივმა ოფლმა დაასხა.

„წავიყვან ტყეში... მაგრამ, იქნებ, ირმას არ სურს ტყეში ჭოტივით დაიდოს ბინა? იქნება, ჩემთან ყოფნას და ყოველდღე სიკვდილის ლოდინს სხვა გზა არჩიოს?“

როინმა ნააზრევის გასამხელად ენის მობრუნება ვერ მოახერხა. ბოლოს, როგორც იქნა, გაბედა და ირმას ნელი, გაბზარული ხმით უთხრა:

— ირმა! ჩემი გზა უფსკრულებზე გადის. ყოველ წამს მომელის დაღუპვა. მე არ მინდა ძალად დაგაყენო შენც ამ გზაზე. იფიქრე, იქნებ, შენთვის უკეთესი იყოს... მმ... იქნებ, დროებით შეურიგდე ხვედრს... — ბოლო სიტყვები უნებურად და სხვისი გონებით წარმოთქვა. საკუთარი ხმა და ნათქვამი როინს თვითონვე ეუცხოვა.

გაოცებულ ირმას როინის თითოეული სიტყვა ლურსმანივით მოხვდა, გული გაეყინა, სუნთქვა გაუძნელდა და ვეღარც სამაგიეროს თქმა შეძლო, ვეღარც განძრევა. რაღაც ყელში მოაწვა და სუნთქვა შეუგუბა.

რა მოხდა? ახლა, როცა სამუდამოდ დაუკავშირდა როინს, როცა გულთან ერთად სხეულიც მარტო მას ერთს ეკუთვნის, ახლა იფიქროს დაუბრუნდეს თუ არა იმ კაცს, რომელსაც ამ საღამოს მანვე გამოტაცა მისი თავი! „დროებით შეურიგდი ხვედრს“, რა იოლად თქვა! ირმასათვის ათასჯერ უფრო კარგი იყო გარეწარივით ევლო ღრეებში, ეტანჯა და მომკვდარიყო, ოღონდ ასეთი რამ არ გაეგონა როინის პირი-

დან... რა მოხდა, რა!? რატომ მოუვიდა აზრად, რომ მასთან გაჭირვებაში ყოფნას, შეიძლება, ირმას ერჩიოს საძულველ კაცთან ფუფუნებით ცხოვრება? რით მიცა ამის საბაბი?

„შენ ახლა დაცლილი სურა ხარ, როინს მხოლოდ წყურვილი კლავდა, აისრულა კიდეც წადილი და“... — ჩასძახა ვიღაცამ ყურში. ირმამ მიწასთან გასწორებულად იგრძნო თავი. სხვას რომ გაექელა, თუ გინდა, იმავე ოქროპირს, ირმა უფრო იოლად აიტანდა დამცირებას, მაგრამ როინისაგან ასე აბუჩად აგდება როგორ მოინელოს, როგორღა იცხოვროს მისგან შებღალული გულით?! მოიკლა ჟინი და ახლა აღარ უნდა აიკიდოს ბარგად! ირმა საშინელი ზიზღით აივსო როინისადმი, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინათ უსაზღვრო სიყვარულით შეეგება.

— კარგი, მე დავუბრუნდები... ჩემს ქმარს... — დაქექილი ხმით, მაგრამ გადაჭრით წარმოთქვა ირმამ და ადგა.

როინი გააკვირვა ქალის ასეთმა ერთბაშმა პასუხმა. სცადა რამე ეთქვა, მაგრამ სიტყვა ვერ მოიძია.

ირმა გვირაბიდან სწრაფად გავიდა. დამცირებულმა, გარეთ ფეხის გადგმისთანავე, უჩვეულო სიამაყე იგრძნო. ის მზად იყო ახლა საკუთარი ძალით დაეცვა თავი, თუ კიდევ ვინმე მოისურვებდა მისი სხეულის სათამაშოდ გადაქცევას.

ნირწამხდარი როინი ხიდთან მიეწია ირმას და შეაჩერა:

— სად მიხვალ?

— რა გაკითხებს!

— ვისთან მიხვალ-მეთქი?!

— ქმართან!

როინს ცეცხლი მოეკიდა, მაგრამ წელან ირმასათვის საკუთარი პირით ნათქვამი რჩევა მოაგონდა და შედრკა. მაწანწალა ძაღლივით აედევნა უკან ჩქარა შიმავალ ქალს. როინს ათასგვარი მკორტნელი ფიქრები დაეხვა. ეშვებაშლილი უკვე დარწმუნდა, რომ ირმა ნებით გაჰყვა ცოლად ოქროპირს, რომ მისთვის ძალა არავის დაუტანებია.

„მაშ, ასე, ღმერთმა ტკბილი ცხოვრება მოგცეთ!“ — გაუელვა როინს გონებაში და გული დაეშეჭა.

ისინი, საკუთარი ფიქრებით შებურვილნი, უხმოდ მი-

დიოდნენ ატალახებულ შარაზე. ფიქრებში გზა მალე დაილია. საფიჩხიის საყდართან მიახლოებისას ირმამ ცივად მიმართა:

— წადი. აწი გზას თვითონ გავიგნებ... ჩემზე ნუღა იწუხებ. საკუთარ თავს გაუფრთხილდი კარგად!

— ირმა! — გამწარებით შეძახა როინმა და მისკენ წაიწია, მაგრამ ქალმა ზიზღით მოიგერია, თანვე მობეზრებით ესროლა:

— მშვიდობით!

როინი გახევდა.

## XX

ნაშუაღამევი იყო. ნაწვიმარი ცა დაცხრილულ ნაბადს ჰგავდა, რომლის ჭუჭრუტანებიდან მთვარის სხივები ბურბუშელებივით ცვიოდნენ ქვეყით. ხან მთვარის კვარცხლბეკს გადაუვლიდა აქარავნებული შავი ღრუბლები და უკუნი დგებოდა.

ლაფიანი ორღობეების გასწვრივ, პატარა ეზოებიან ჯუჯა ქოხებში, სიჩუმე იდგა. ზოგიერთი ქოხის მტკაველა სარკმლიდან დაწეული ლამპა ციცინათელასავით აშუქებდა, მისი კიაფი ირმას თვალებს უბრჭყვიალებდა, მაგრამ თან მუხლებში სიმაგრეს მატებდა.

გული ანკესზე წამოგებული თევზივით უფართქალებდა, თუმცა შიშს არ გრძნობდა, რადგან ის გულს აღარას ეკითხებოდა. გონებაც დახშული ჰქონდა, უხილავი ძალა აიძულებდა მხოლოდ წინსვლას.

ფერდებგამოწლეულ ძაღლებს, რომელნიც ორჩაფეხა ქოხების აივნების ქვეშ ჩვრებზე იწვნენ, ადგომა ეზარებოდათ და ბუნაგიდან უღიმღამოდ უყეფდნენ დაგვიანებულ მგზავრს.

ამ ქოხებში ცხოვრობდნენ მხერხავები, ქვრივი მრეცხავი ქალები, მეკურტნე რაჭველები, მეჯღანეები და უმთავრესად ისეთები, რომელთაც ყოველდღიურად უხდებოდათ ლუკმის ძებნა.

ირმა ხანდახან ქვიდან ქვაზე ხტოდა, ნამიანი ნაწნავები დამძიმებოდა. ორღობის ახალ მოსახვევთან უეცრად მოესმა ძუძუმწოვარა ბალღის ტირილი და უნებლიედ შედგა. წა-

ფერდებულ და დაჩხარულ, ალაგ მესრის, ალაგ ძველი ფიცრის ღობის პირად, გოჯიელას მსგავს ქოხში, ცარიელი ძუძუს ლოღნით გაბეზრებული ბავშვი უცნაურად სხაოდა. აკვანზე გადაკიდებული, ნახევრად მძინარე დედა ბავშვთან ერთად ტუქსავდა თავის ბედსაც.

ირმას მოაგონდა გაცუდებული სიყვარული და საშინელი მოდუნება იგრძნო.

ეგონა ჯურღმულში ინთქებოდა. ღობეში ბოძად დატანებულ თუთის ხეს მიეყრდნო. იმავე ხის ტოტიდან ფრთათა ფათქუნით მამალმა გრძლად დაიყივლა, მას კანტი-კუნტად სხვა მამლებიც აყვნენ და მალე იქაურობა შეძრეს განთიადის მახარობლებმა, მაგრამ ირმასათვის ახლა სულერთი იყო, გათენდებოდა თუ ეს ღამე საუკუნედ იქცეოდა. უფრო ნატრობდა მზე სულ აღარ ეხილა, რადგან მისთვის ყველაფერს დაკარგული ჰქონდა მიმზიდველობა. არყოფნა ერჩია უხალისოდ არსებობას, ძალ-უმადურ ცხოვრებას, რაღას უნდა გაეხარებია აწი იგი! რა შეიძლებდა მისი გულის კვლავ იმ ყვავილად გადაქცევას, რომელიც ჯერ კიდევ კოკობი მოუსრეს. მერე ვინ, ვინ შეეხო ასე მზაკვრულად!

— ახ, როინ, როინ! — გულის სიღრმიდან ამოხეთქა ფანშეზრდილმა სახელმა, და საკუთარმა ხმამ შეაკრთო, გამოაფხიზლა.

ბავშვის ტირილი უკვე აღარ ისმოდა, აღარც მამლები ყიოდნენ. ცა ოდნავ მოწმენდილიყო, აქა-იქ მოჩანდნენ მბჟუტავი ვარსკვლავები. რიდეახდილ მფვარეს ბაკმი ისევ გაუხვეწავი ჰქონდა, მის მღვრია შუქზე ორღობეებში დამდგარი მომცრო გუბეები მიცვალებულთა ღიად დარჩენილ თვალებს ჰგვანდნენ.

ირმას შეცივდა.

როცა ძალა მოიკრიბა და წასვლა დააპირა, ვიღაცის ყვირილმა სივრცე გააპო, მუხლები კვლავ მოუსავდა. ირმამ ვერ გაარკვია, თუ რომელი მხრიდან მოდიოდა ხმა. უცნობი ხანგამოშვებით იქადნებოდა და უწმაწურ სიტყვებს საფანტივით აყრიდა ქოხებს. მისმა ღრიალმა ძაღლები აყარა და ააწრიალა. მაგრამ მალე ხმაური მიწყდა. აცახცახებულმა ირმამ შეამჩნია ქვევიდან ბანდალით მომავალი მგზავრი, რომელიც მისგან კარგა მოშორებით ტალახში კოჭებამდე ჩაეფლო.

დიდხანს ბორძიკის შემდეგ მწდალზე გამოსულმა მთვარეს შეხედა და აღიღინდა:

„ახ მთვარეე, მთვარემ,
დამწვართ იმედო!..:

უცნობს კურტანი ეკიდა. აკვართულ ფეშტემალში ეყარა კიტრავაშლი. შიგვე ეწყო აგურისფერი გოგორა პური და სამწვადე ღვიძლი. მალე გარღვეული ღობიდან მთვრალი იმ ქოხის ეზოში შევიდა, საიდანაც წეღან გაგონილმა ბავშვის ტირილმა ირმა დააყოვნა.

მეკურტნემ ქოხს უკანა კარებიდან მოუარა. ირმამ სული მოითქვა, მაგრამ ნაბიჯის წადგმაც ვერ მოასწრო, რომ მეხივით მოხვდა:

— ვინ ხარ!

ქალი გაქვავდა.

მოსახვევიდან სწრაფად გამოვიდა ვიღაცა, რომელიც თითქმის სირბილით მიიჭრა მასთან და სიხარულით, თან გაოცებით ჰკითხა:

— ირმა, რა გინდა აქ, ვის ელოდები?

— არავის! — ამოიკნავლა ირმამ.

პასუხი არ ეამა ხოსროს. მას თანდათან ბრაზი ერეოდა, რადგან იგრძნო, რომ ქალი სიმართლეს არ გაუმხელდა, არაფერს ეტყოდა იმის შესახებ, თუ სად იყო აქამდე ან რად იდგა ამ შუაღამისას უცხო ალაგას. უნდოდა თმებით დაეთრია ამდენი შფოთის ამტეხი და შემრცხვენი, მაგრამ გაახსენდა, რომ მის წინ უკვე ოქროპირის ცოლი იდგა და ნაძალადევი დაყვავებით მიმართა:

— წამოდი... შენმა ძებნამ მომკლა კაცი, მთელი ქუთაისი გადავაბრუნეთ... სად იყავი?

ირმა უხმოდ, წელმოწყვეტილი გაჰყვა ბიძას.

ბევრი ეცადა ხოსრო, გაეგო რამე, მაგრამ ქალს ერთი სიტყვაც ვერ წამოაცდენია.

„ჯანდაბას მაგის თავი. რაღაი ცოცხალი ვნახე, აღარ ვჩივი. მისმა პატრონმა იძიოს სად იყო. მე ჩემი ცოლის მწყემსვაც მიჭირს", — გაიფიქრა მან და ქალი დააწინაურა.

გაცდნენ შმორიან ორღობეებს.

მგზავრებს მოვარე ხან წინ უძღოდათ, ხან თანამგზავრივით გვერდი-გვერდ ამიჰყვებოდათ.

ირმა თახდათან სუსტდებოდა. სახსრები ტკიოდა. თავი დამძიმებული ჰქონდა. კახაკოვის ქუჩის ყელთან ერთბაშად დაბარბაცდა. რომ არ წაქცეულიყო, ფანრის სვეტს ხელი წაატანა.

ხოსროს შეეცოდა და მოშვებული ქალი თითქმის ატაატებული წაიყვანა. გაოგნებულმა ვერც კი შეამჩნია, თუ როგორ მიაყენა ბიძამ ნათალი ქვის ორსართულიანი სახლის სადარბაზო კარებს. მხოლოდ მაშინ გაახილა თვალები, როცა ხოსრომ მავთულზე მობმულ ჯოხს ხელი წააკარა და საღამაც, შიგნით, ზარი აწკრიალდა.

ირმამ აგრეთვე გარკვევით გაიგონა კიბეზე სირბილით ჩამომავალის ფეხის ხმა. კარის გაღებისთანავე ბიძის მაგიერ კესომ ძოჰკიდა ხელი.

— სად იყავი, ადამიანო, ა? შიშით გადავირიეთ! უი, უი, მთლად სოველი ხარ, ხომ გაციოდებოდი, შე საწყალო! თავსასხური რა უყავი?... მითხარი, ბეჩა, რამე, ასე რამ შეგიკრა კრიჭა! — სსაპასხუპით ეკითხებოდა კესო და თან კიბეზე ასვლაში შველოდა.

— ვერ ხედავ, რა დღეშია? დაანებე თავი! — წყრომით უთხრა ცოლს უკან ჩამორჩენილმა ხოსრომ.

მეორე სართულის შუშაბანდში ოქროპირის დედა, ჯანშენახული მელანია, მოსულებს სანათით შეეგება. უხმოდ შეუძღვა მათ ოთახში, შემდეგ მობრუნდა, ლამპა მაღლა ასწია, თან მარცხენა ხელით თვალები მოიჩრდილა, რომ კარგად დაენახა შემომავალი რძალი.

— ღმერთმა კეთილი ჰქნას ჩემს ოჯახში შენი ფეხის შემოდგმა! — რაღაც უგემურად და წესად წაილაპარაკა მან. მაგიდაზე ლამპის დადგმისას ხოსროს ჩუმად ჰკითხა:

— სად იყო, როგორ ნახე!

— დედაჩემის ნათლულთან. აი, საფიჩხიაზე რომ რკინიგზის მუშა ბოჭორიშვილი ცხოვრობს, იმასთან, აბა! ადრე მომგონებოდა. კარგი იყო, ამდენი სირბილი არ დამჭირდებოდა, — ხოსრომ ჩოხაზე მოცმული პალტოს ფოლაქები შეიხსნა, თან დაუმატა:

— კამეჩებს გაუჭირდებათ გავლა, ისეთი ტალახებია იმ დასაქცევში. რაღმე დავიხჩვით, პატიოსნებას გეფიცები!.. მართლა, ოქროპირი შინ ბრძანდება?

— თავის ოთახშია ჩაკეტილი. ახლოს არ მიკარებს. რას მერჩის, არ ვიცი.. .მე ასე არ მინდოდა მისი დაცოლშვილება, მარა ვინღა მიჯერის რამეს. რა ვუყო!

კესომ მათ საუბარში ირმას პალტო მოხადა, თმა გაუსწორა და გაჩაღებულ ბუხართან სავარძელში ჩასვა. მელანიამ რძალს ალმაცერად გაჰხედა და წაიდუდუნა:

— მკვდრის ფერი ადევს, რა დაემართა ნეტავი!

— რაც ჩვენ ვიარეთ, კიდევ ასე რომაა, მიკვირს. არაფერია, ხვალ მერცხალივით იქნება! — გაამხნევა მელანია ხოსრომ და ცოლს მიუბრუნდა:

— კესარია, რაღას დატრიალებ თავს, მოასვენე ბარემ. მეც აღარ შემიძლია, საცაა, წავიქცევი!

კესომ მელანიას დასტურს აღარ დაუცადა, ირმა წამოაყენა და საწოლი ოთახისაკენ წაუძღვა. მელანიას უნდოდა ეთქვა რამე რძლისათვის, მაგრამ ვერ მოახერხა. მხოლოდ თვალი გააყოლა ტუჩების კვნეტით და შემდეგ ხოსროს უსაყვედურა:

— რა მოხდა, გაოცებას ვარ. შენ მაინც როგორ დაგემართა ეს საქმე, გამოცდილი კაცი ხარ!

— მართალი გითხრა, მეც მიკვირს. მე და კესარია წამოსვლას არ ვაპირებდით. პირველად ირმა შევსვით ვაგონში, ოქროპირმა ცოტა შეიგვიანა და მატარებელმა გამოასწრო. მაინც, იმ ოხერში ერთ წუთსაც არ ჩერდება. ჩვენდა ბედად, მალე მეორე მატარებელმა ჩამოიარა და ოქროპირი მარტო აღარ გამოვუშვით. ეჰ, რაც იყო, იყო, ცოტა კი გავწვალდით, მარა სამაგიეროდ აწი ვიმხიარულოთ.

— შავ ორშაბათს ჯვარისწერა ვის მოსწრია, რას ჰგავს ეს? თუ ასე სულწასასვლელი საქმე იყო, მოწამეთას რა უნდოდა, ქუთაისში ეკლესიები ცოტაა? არა, ესტატე არქიმანდრიტს მაინც რა ეშმაკმა მოუქცია მხარი, ა!?

— ქალბატონო მელანო, სოციალისტებს ჯვარისწერა აკრძალული აქვთ, აკრძალული. აქ რომ მოგვეხდინა საქმე, მთელი ქუთაისი გაიგებდა.

— ჯვრისწერა რა დასამალია, გაეგოთ მერე.

— სწორია, მარა ახლა სხვანაირი დროა. ბაირაღებზე რომ ქრისტეს მაგიერ ვიღაც ლომისთავიან კაცებს ხატავენ, ვერ ხედავ? ან რას დავეძებთ, რაც უნდათ, ის ქნან, ოღონდ ჩვენ ამაზე მეტს ნუ შეგვაწუხებენ და...

მოხუცის შესაქცევად ხოსრო ნახევრად მხიარული კილოთი ლაპარაკობდა, თან გულში კესოზე ჯავრობდა აუჩქარებლობისათვის. უნდოდა ისე წასულიყო, ოქროპირს აღარ შეხვედროდა.

— როგორ ლაპარაკობ?! ერთი საწყალი კიმოთე მყავდეს ცოცხალი, შენ გაყურებიებდა სეირს.

ამ დროს კესო გამოვიდა ფერმკრთალი და შეშფოთებული. ხოსროს არ ეჭაშნიკა მისი გამოცვლილი იერი და უფრო ააჩქარა:

— აპა, წავიდეთ, ქალო. მამიდაშენსაც ეშირვება მოსვენება.

— კი, ჰო, ნუ დამახრჩვე.

— წასვლას აპირებთ თუ!

— წავალ, მამიდა, წელიწადში ერთხელ მაინც მოვეჩვენებით მდგმურებს, თვარა სულ ხელს აგვაღებინებენ საკუთარ სახლზე. ხვალ ქე მოვალთ ისევ, — წაილაპარაკა კესომ და საჩქაროდ დაიწყო მორთვა.

— როგორც გერჩიოთ...ფანარს მაინც გაგატანთ.

მელანია სამზარეულოში გავიდა.

— კაცო! ვისთან იყო, რატომ არ ამბობ, სხვისი ნათრევი ქალი ეკადრება მამიდაჩემს რძლად?

— ხმა ჩაიკმინდე, შენი საქმე არაა! — შეუტია ცოლს ხოსრომ და თვალები დაკაკლა. შემდეგ ისევ თვინიერი სახე მიიღო და დაბრუნებულ მელანიას ფანარი თავაზით ჩამოართვა.

მელანია მათ თან გაყვა, სადარბაზო კარები ჩაკეტა და ეიბის საფეხურები ძლივს ამოათავა. ოთახში ოქროპირი დახვდა, რომელიც კედლიდან კედლამდე თავაუღებლად მიმოდიოდა. ბეჭებში ისე იყო წახრილი, თითქო ნაწიხლარი მკერდი მართლა ჩანგრეული ჰქონოდა. მიტკალივით თეთრი სახე უცნაურად დაგრძელებოდა. შეჭმუხვნილ შუბლზე თმა უწესრი-

გოდ ეყარა. საგნების ნათლად დანახვის შიშით თვალები სანახევროდ მოეხუჭა. დალეული და ქონდრის კაცად ქცეული, სრულებით აღარ ჰგავდა იმ ოქროპირს, რომელიც გუშინ და გუშინწინ ზვიადი სარდალივით ცემდა ბრძანებებს, მაგრამ ახლა, ახლა რა მოუვიდა?

შვილის გამომეტყველებამ მელანია შეაკრთო.

— დაწყნარდი, ისეთი არაფერი მომხდარა, ქალი უვნებლათაა... ხოსროს დედის ნათლულთან ყოფილა თურმე.

ამ სიტყვებით მელანიამ ბუხარში ჯირკს ნაპერწკლები გააცვინა და შეშა შეუმატა.

— ქალი მოსვენებულია, შენც დაწექი, შვილო, სადაცაა ინათებს, საჯავრო რა გაქვს. ლამაზად არ მოგვივიდა, მარა არც რამე დაშავებულა...

ოქროპირი ცალი ყურით უსმენდა დედას, ნათქვამის გაგების უნარი აღარ ჰქონდა. მის თავში კორიანტელი იდგა. საფეთქლები ეპობოდა.

შვილზე არანაკლებ შეწუხებული მელანია დიდხანს იჯდა ბუხრის წინ, უხმოდ, დაჟინებით უცქეროდა ნაკვერცხლებს და ნანობდა, რომ მისმა საქვეყნოდ ქებულმა შვილმა უღირსი ქალი შეირთო. მერე როგორ ნამალავად! რა მოსატაცებელი იყო. განსაკუთრებით მელანიას მოსვენებას არ აძლევდა ირმას დაკარგვის ამბავი და ვერ გაეგო, თუ რას მოასწავებდა ოქროპირის ერთ დღეს ასე შეცვლა. ამ ფიქრებით შებოჭილი უეცრად კარის ჭრიალმა გამოაფხიზლა, ძლივს მოასწრო სანთიობოში ფეხაკრეფით შემავალი ოქროპირის დანახვა.

— იკურთხა, ღმერთო, შენი სახელი, რაფერ გააგიჟა ასე ამ დაფსებულ ცნობილაძის გოგომ! — წაიდუდუნა მელანომ და უხალისოდ წამოდა.

* *

ჭიაკოკონობა დღეს, დაღამებისას ხოსრო და ვესო ხრესილში მატარებლიდან გადმოვიდნენ. ვესომ მოფარებით ქუსლიანი ფეხსაცმელების მაგიერ ჩუსტები სწრაფად ჩაიცვა და ქმართან ერთად დაადგა გზას ძმუისისაკენ. ისინი, რატომ-

ღაც, უხოდ და ჩქარა მიდიოდნენ, მაგრამ, როგორც კი იმ გორაკზე შედგეს ფეხი, სადაც გუშინწინ ირმა უბრად განშორდა გულჩაწყვეტილ, მწუხარებით დალეულ ანუსის, ორთავეს თვალები მოკვეთა უჩვეულოდ გაღადღადებულმა სოფელმა და გაშეშდნენ.

სოფლის შუაგულში, მაღლობზე, ბრეალებდა დიდი ცეცხლი, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა და რომლის ელვარებასთან შედარებით, აქა-იქ ეზოებში დანთებული ჭიაკოკონები ჭრაქებივით ბჟუტავდნენ.

მალე ხანძარი ავარვარებულ ზვინად აიმართა და ვეებერთელა ვეშაპის ენად ქცეულმა ცეცხლის ალმა ნისლიან ცის კაბადონს დაუწყო ლოკვა.

დღესავით განათებულ სოფელში უცნაური გუგუნი იდგა. დაფეთებული მცხოვრებლები ყვირილით მიმორბოდნენ.

— ჩვენი სახლი იწვის... ჩვენი... — იკივლა კესომ.

ხოსრო გამოლენჩდა, გახევდა. ხან გაფოფრილ ცოლს უცქეროდა უაზროდ, ხან ხანძარში გახვეულ სოფელს. კესო თავდაღმართზე დაეშვა. გონებააფორიაქებული ხოსროც უკან დაედევნა, ამ დროს იჯექა ბუჩქებში ჩასაფრებულ როინის თოფმა და შიშით შემობრუნებულ კესოს ფეხებთან ხოსრო უსულოდ დაეცა.

## XXI

ოქროპირი გამოიცვალა. გულღია და შუბლგახსნილი წინათაც არ ყოფილა, მაგრამ ბოლო ხანებში კიდევ უფრო უკარება შეიქნა. შინ და გარეთაც უბრალო რამე წყინდა. ხშირად უმიზეზოდ თოფის წამალივით იცოდა აფეთქება. სიცოცხლეს ანანებდა ყველას, მრისხანების დროს ვინც თვალის გასწორებას გაუბედავდა.

ყოველთვის ამრეზილი და ნერვიული, თავჩაღუნული და საკუთარ ნაჭუჭში მომწყვდეული, მელანიასაც კი შიშს გვრიდა, ხოლო ირმა მასთან ახლო ყოფნისას იმ ჩიტად გრძნობდა თავს, რომელსაც გველის ცქერისაგან გაფრენა აღარ შეეძლო.

ამიტომ გაურბოდა ირმა ქმართან პირდაპირ შეხვედრას. სახლიდან მის წასვლას მოუთმენლად ელოდა, მარტო დარ-

ნენილს უსაზღვრო შვებით ევსებოდა დამწუხრებული გული. მაგრამ ეს იყო წუთით. მალე ისევ იპყრობდა უსასოო ფიქრები: აგონდებოდა ბავშვობა, ძალადალეული, საყვარელი ბებია, ცალფეხა მამა და ის კაცი, რომლის სახე წამწამებზე განუშორებლივ ეკიდა. შემდეგ წარმოიდგენდა თავის მდგომარეობას, მუდამ მოღუშულ ოქროპირს, და დედამთილის ნამალევად მწარედ აქვითინდებოდა.

ოქროპირიც თითქო ერიდებოდა ცოლს, არას ეუბნებოდა. თივისი კაბინეტიდან ი'შვიათად გამოდიოდა. მაგრამ ხანდახან უხილავი ძალა ეზიდებოდა მას ირმასაკენ. ოქროპირს აწვალებდა იმ ქალის სავსებით დაუფლების სურვილი, რომელმაც უარყო მისი სიყვარული, არად ჩააგდო მისი ცოლობა.

ასეთი ფიქრის დროს ის მხოლოდ სადღაც, გულის კუნჭულ'ში, გრძნობდა, რომ ქალი არაა მარტო ლოგინისათვის გაჩენილი, რომ ქალის გული წარმოადგენს იმ ზღაპრული უკვდავების წყაროს, რომელსაც სიყვარული ჰქვია. ოქროპირმა მიაგნო ამ წყაროს, მაგრამ წყურვილი ვერ დაიოკა, რადგან ქალის გული სხვისი აღმოჩნდა.

მან საკუთარ თავზე გამოცადა, თუ რა ძნელია უგულო ქალთან ცხოვრება მაშინაც კი, როცა სიყვარულისაგან თვითონ კვარივით იწვი. სიყვარული არ ყოფილა მარტო უბრალო ამბავი. ოქროპირი ამაში დიდი ხანია დარწმუნდა და ამიტომაა, უჭირს ხვედრის ატანა.

მერე ვინ უწევს მეტოქეობას, ვინ ფლობს უკვე მისი ცოლის გულს?

როგორ აიტანოს ვიღაც ყაჩაღის მეტოქეობა, როგორ დაუთმოს მას საკუთარი ცოლი ან თვით ირმას როგორ აპატიოს ღალატი?

ოქროპირს ხშირად ეგონა, რომ ირმა მისთვის სრულებით უცხო იყო, რომ მას ნება აღარ ჰქონდა კვლავ შეხებოდა მის მუხლებს, ფიქალივით ტანს და დამამცირებელ უმწეობას განიცდიდა. მაგრამ მალე შეუცნობი შური აღეძვროდა, შემდეგ თანდათან ცოფი მოერეოდა და შეშლილივით ზეზე წამოვარდებოდა. ამ დროს საცოდავი შესახედი იყო. დიდხანს იტანჯებოდა ასე. ბოლოს ერთბაშად შეიჭრებოდა ირმას ოთახში.

ქალი ხედავდა მარტო მის დაკუსულ თვალებს, ეჩვენებოდა თითქოს მკერდზე დიდი, ცივი გომბეშო ეტმასნებოდა, რომელიც შეუბრალებლად ჯიჯგნიდა მის სხეულს.

გავიდა დრო.

როინის კვალიც აღარსად ჩანდა, ოქროპირი თანდათან დამშვიდდა.

ირმა კვლავ ხიზანივით გრძნობდა თავს. მაგრამ ერთ დილას მელანიას რაღაცა გამოცვლილი ეჩვენა რძალი, რომელიც ოთახიდან გამოსვლისთანავე წელში წახრილ დედამთილს ღიმილით მიუახლოვდა და ცოცხი გამოართვა. ირმამ, მელანიას გასაკვირად, თვალისწამში დაგავა ყველა ოთახი, ნივთებს მდებარეობა შეუცვალა, უფრო ლაზათიანად დაალაგა. შემდეგ სამზარეულოში გავიდა და იმ დღეს სადილი მარტო მან დაამზადა.

მელანია ხედავდა ჯარასავით მოტრიალე რძალს და გახარებული ბუტბუტებდა:

— მადლობა ღმერთს! მადლობა ღმერთს!

სუფრაც ირმამ გააწყო.

ოქროპირი გვიან დაბრუნდა. ჩვეულებრივ ის პირდაპირ თავის კაბინეტში შევიდა და გაოცდა: ლამპა ანთებული დახვდა, რომლის შუქზე ყველაფერს საზეიმო ელფერი ჰქონდა: სურათები ცოცხლად გამოიყურებოდნენ, ფანჯრებზე სუფთა ფარდები ეკიდა, სავარძლები სხვანაირად ეწყო; ძველ ადგილას მაგიდაც კი აღარ იდგა, რომელზედაც თვეობით უწესრიგოდ დაყრილი წიგნები ახლა ლამაზად ელაგა.

რამდენს მეტს აკვირდებოდა იქაურობას, იმდენს ახალ-ახალ ცვლილებებს ნახულობდა, რაც უცნაური ცნობისმოყვარეობით მსჭვალავდა მის გონებას.

ოქროპირს გამოუთქმელი ნეტარებით ეღვენთებოდა ტანი. მზად იყო ეყვირა, რათა ყველას გაეგო მისი ბედნიერება და თვითონაც უფრო დარწმუნებულიყო მომხდარი ცვლილებების სიცხადეში.

— რავა ვახშმად გვიქციე სადილი, შე კაცო. რა, ერთხელ არ მოხვალ დროზე შინ... — ალერსით უთხრა შვილს კარზე მიმდგარმა მელანიამ.

რაც ოქროპირმა ირმა შეირთო, დედისაგან იშვიათად გა-

უგონია ასეთი ტკბილი ხმა, იშვიათად უნახავს ასე სახეგაშ-ლილი. რა მოხდა?

საიდუმლოების ჩქარა გაგების სურვილით შეპყრობილი, დედას მსუბუქი ნაბიჯით გაჰყვა. ირმა სუფრასთან იდგა. სიწითლემორეული ხან ერთ საინს კიდებდა ხელს, ხან მეორეს. ცდილობდა მოძრაობით დაეფარა შინაგანი მღელვარება.

— ძალიან მოგშივდა? — დაარღვია სიჩუმე ოქროპირმა და სუფრის პირდაპირ, შუა ჭერზე ჯაჭვით დაკიდებულ ლამპას შეხედა.

— არა! — თამამად, თავაწევით უპასუხა ირმამ და გაღიმებული გვერდით მოუჯდა.

ოქროპირს ცა გაეხსნა, ასე ამაყი და იმავე დროს ნაზი არასოდეს უნახავს ირმა.

მელანიამ შვილს განგებ დაუწყო მუსაიფი, შემდეგ ლაპარაკში ირმაც აიყოლია და უკვე შუალამე იქნებოდა, სუფრიდან რომ აიშალნენ.

იმ ღამეს ოქროპირმა უბედნიერეს კაცად ჩათვალა თავი.

ირმას ჯერ კიდევ ეძინა, როცა ოქროპირი ადგა. ქალი გულაღმა იწვა, ნებიერი ფშვინვისაგან მკერდი ნელი-ნელ ერხეოდა. ლოყები ჩათეთქვოდა, მაგრამ ოდავ გაპობილი ბაგე კვლავ ბროწეულის ყვავილს უგავდა, საიდანაც მარგალიტის მომცრო სოლთა მოაჯირი ელვარებას ისროდა. ცოტა კეხიანი ცხვირის ნესტოები სუნთქვის დროს პეპელას ფრთებივით უთრთოდა. გრძელი გიშრის ისროვანი წამწამები ღაწვებამდე ეფინა.

უცხო ვარდებიანი აბრეშუმის თხელი საბანი გულამდე ეხურა. ცალი ფეხი მოეხარა. მუხლით აქლემის კუზივით აზიდული საბნიდან სადაფივით თეთრი თეძო მოუჩანდა. გაშლილი შავი თმის ტევრს ბალიში მთლად დაეფარა. მკლავები აქეთ-იქით ჰქონდა გაშხვართული.

„რომელ თავადის ქალს არ შეეხარბება ამ „შავსისხლიანის“ სიტურფე!“ კმაყოფილებით გაიფიქრა ოქროპირმა და ცოტა ყოყმანის შემდეგ ქალის გადამტკიცულ შუბლზე საკოცნელად დაიხარა, მაგრამ ვერ გაბედა. ბოლოს ერთხელ

კიდევ გადახედა მძინარეს და ფეხის ცერებზე შემდგარი გავიდა.

დიდი ხანია ასე ტკბილად და განცხრომით არ უძინია ირმას. მერე რამ დაშუშა მისი წყლულები? რამ გაუქრო ნაღველი?! თვალის გახელისთანავე სახეზე უსაზღვრო ნეტარება აღებეჭდა.

„პატარა როინი!"

სასოებით და ჩუმად წარმოთქვა ირმამ, მაგრამ როინის ხსენებამ ერთბაშად შეუცვალა გუნება.

„სადაა ნეტავი? შეიძლება, ცოცხალიც არაა!"

თავისივე თავს შიშით ჰკითხა და თვალები ცრემლებით აევსო.

„რად მოვშორდი, რატომ მაინცდამაინც ცუდად ავხსენი მისი ნათქვამი, რატომ არ გადავიხვეწე მასთან ერთად შორს, შორს, სადაც თავისუფლად შეგვეძლებოდა ცხოვრება. ახლა რაღაი, მისმა შვილმა სხვას უნდა უძახოს მამა, მერე ვის..."

ირმას ქვითინი წასკდა.

„იქნება, ოქროპირის შვილია?!"

გაუელვა უეცრად და ცრემლი შეაშრა.

„ხომ ერთ ღამეს მოხდა ყველაფერი... რომელია მამა? ვაიმე, ვაიმე..."

მწარედ ამოიკვნესა და თავი ბალიშში ჩარგო.

❧ ❧

— სადაა ირმა?

ფიცხლავ ჰკითხა დედას სადილობისას უჩვეულოდ ადრე დაბრუნებულმა ოქროპირმა.

— თავის ოთახშია. მიზეზობს, თურმე...

ოქროპირს სახე გაუნათდა:

„მაშ, შვილიც მეყოლება, მამა ვიქნები!"

გახარებულს უნდოდა დედას გადახვეოდა, მაგრამ მისმა ცივმა გამომეტყველებამ შეაკავა. რა მოხდა? რატომ მას არ ახარებს შვილიშვილის ყოლა?

— მგონია, სხვა ამბავია, დედაჩემო, რაღაცას მიმალავ!

— კიმოთეს სულს გეფიცები, ფეხმძიმეთაა, მარა... — მელანიამ ენაზე იკბინა.

— მარა რა, თქვი?

— რა ვთქვა, ადამიანო.

— თქვი-მეთქი! — წამოიყვირა ოქროპირმა, თან დედას მკლავებში ჩააფრინდა, ღონივრად შეანჯღრია და თვალებში ჩააშტერდა. შვილის საქციელით შეურაცხყოფილმა და ისედაც გაბოროტებულმა მელანიამ მკაცრად შესძახა:

— ხელი გამიშვი. შენი კახპა ცოლის ამბავს მე მეკითხები? დღესვე, სადაც გინდა, იქ წაიყვანე. არც ბოზის დედამთილი მინდა ვიყო და არც მისი ბუშის ბებია, გესმის?!

ოქროპირი იქვე მოწყვეტით დაეცა სკამზე. დიდხანს იყო დამეხილივით. შემდეგ ბარბაცით შევიდა თავის კაბინეტში და კარები ჩაიკეტა.

მელანიამ დილას შემთხვევით მოჰკრა ყური რძლის მიერ მწუხარებით წამოსროლილ სიტყვებს და ელდა ეცა. ის მხოლოდ ახლა მიხვდა, თუ რატომ გაუგარეულდა შვილი ან რა იყო რძლის მუდამ უხალისოდ ყოფნის მიზეზი და ბრაზმა ლამის დაახრჩო. მელანია გააფთრებული შეუვარდა ირმას და ყველაფერი თავისი პირით ათქმევინა.

მელანიამ, როცა გონს მოვიდა, არჩია შვილისათვის არაფერი გაემხილა, მაგრამ, აგერ, ერთბაშად მიახალა.

„იმ ჩემმა ძმისწულმა და მისმა სულწაწყმენდილმა ქმარმა დამღუპეს, დამღუპეს, მარა ჩემი და ჩემი შვილის ცოდვამ უკვე უწიათ, ვენაცვალე ღმერთს!“ — გამწარებით წარმოთქვა მან და გულზე მჯიღის ცემით სამზარეულოსკენ წაფოფხდა... ამ დროს თავისი ოთახიდან ირმა ფეხაკრეფით გამოვიდა, იქაურობას დააყურა, ელვის სისწრაფით აივანზე გაჩნდა, კიბეც ისე სწრაფად ჩაირბინა, რომ არავის შეუმჩნევია.

როცა მთავარ ქუჩას გაცდა და მოსახვევში მიიმალა, მხოლოდ მაშინ შეწყვიტა სირბილი. შენელებული ნაბიჯით განაგრძო გზა. ხანდახან შედგებოდა, უკან მიიხედავდა, მდევარი არ ჩანდა.

ცხელი ქარი ქროდა, ჰაერში ბუღი ტრიალებდა. ირმას სუნთქვა უძნელდებოდა, თავსაბურში დამალულს, სახეზე ალმური ედებოდა.

უკვე ბინდდებოდა, როცა ნანაბრებზე გადადგა. ქვევით, ნანაბრების გორის ძირას, წყალწითელა ზანტად მიიკლაკნე-

ბოდა. ხიდიდან კიდევ ხტებოდნენ მცურავი ბიჭები. გაღმა იშ-ლებოდა ვრცელი ველი, რომელიც დაფარული იყო საღამოს სიოსაგან მონანავე თავნაყარი სიმინდის ყანებით. ყანებს იქით მოჩანდა თვალჭრელიძის ბაღები და დიდი, ლურჯად შეღებილი, კრამიტიანი სახლი, ხოლო მის მარცხნივ, კორ-ტოხზე, იდგა ვიღაც პრინცის შვილის საფლავზე აგებული პა-ტარა საყდარი. საყდრის გუმბათი ხვატიანი მხის უკანასკნელ შუქზე მკვეთრად ბრჭყვიალებდა. მთელ შარაზე, ხიდამდე და მის აქეთ, მოზოზინებდა ალერდით და ჩხეიძის წყაროს წყლით ფერდებამოვსებული ნახირი. მოჰყავდათ ეკლარის ქვით დატვირთული ურმები, რომელთა ჭრიალი ნანაბრების თავშიაც კი ისმოდა.

დაღმართზე ირმას მუხლები წინ უსწრებდა, ბაგრამ უჩ-ვეულო სიმჩატეს გრძნობდა, ამიტომ სიარული არ უჭირდა. ჩაათავა თუ არა ნანაბრები, კიდეც დაბნელდა. შარა თანდათან იცვლებოდა. ძროხების კისერზე შებმული ზარების წკარუ-ნისა და მოცურავეთა ყიჟინის ნაცვლად ირგვლივ სიჩუმე მყარდებოდა.

ირმა ახლა წყნარად მიდიოდა იმ გვირაბში, სადაც უკანას-კნელად შეხვდა როინს, სადაც დატოვა ქალწულობა და უკა-ნასკნელი სიხარული. გვირაბში შესვლისას მუხლები მოეკ-ვეთა, ჩაიკეცა. დიდხანს იყო გარინდებული. მდინარის დუ-დუნი კიდევ უფრო ასევდიანებდა მის გულს და ერუანტელს გვრიდა. უცებ პირსავსე მთვარის სხივები გვირაბში ქარ-ვის წიწილებივით შეიცქინდნენ, ირმას გარს შემოეხვივ-ნენ. ქალი მაშინვე შეიშმუშნა, დაჟეჟილი ადგა. ყოველი ნაკ-ვთი ტკიოდა, გული ელეოდა, ყურებში რაღაც საოცრად უწიოდა. სხეული უცახცახებდა. ბოლოს, როგორც იქნა, ძლია სისუსტეს და გვირაბიდან ლასლასით გავიდა.

მთვარის შუქით ალაპლაპებული მდინარის მკერდზე გაღ-მა ნაპირიდან გადმოტყორცნილი ხეთა ჩრდილები ადამიანებს გვანდნენ. ერთი მათგანი თითქო როინი იყო, ირმასკენ ხე-ლებგამოწვდილი.

„მოვდივარ, მოვდივარ!“

დუნედ გასძახა როინის აჩრდილს მთვარეულად ქცეულმა და მისკენ დაჟინებით მაცქერალი, მშვიდადა შეეიდა წყალში

როგორც ჯეჯილში, ისე განაგრძობდა ირმა მდინარეში სვლას, მაგრამ რამდენაც ნაპირს ცილდებოდა, ორი იმდენი მახძილით ლანდი უკან იხევდა. წყალი უკვე წელზე შემოწვდა, შემდეგ ტალღები მკერდთან იგრძნო და ლანდი ისევ შორს იყო, როცა ჩაიძირა.

გაღმა მხრიდან უეცრად მდინარეში უცნობი გადახტა. ჩრდილები მოულოდნელად ჩანთქეს მისი ცურვით გამოწვეულმა ჟავლებმა. ხიდზე შემთხვევით გამვლელებმა საშინელი ყვირილი ატეხეს:

— ვიღაც იხრჩობა... უშველეთ... უშველეთ...

უცნობი ღონიერი მკლავებით აპობდა მდინარის ზედაპირს, ხან გაუჩინარდებოდა. როცა უკასასკნელად გამოჩნდა, ნაპირიდან მაცქერლებმა ხმამაღალი შეძახილებით დაუწყეს გამხნევება. მალე ხიდის ქვევით, წისქვილთან, მდინარიდან თანდათანობით ამოიმართა იგი, რომელსაც ხელში გოსდაკარგული ირმა ეჭირა.

* *

ოქროპირი გარისდებული იჯდა. თითქოს აღარ სუნთქავდა. მისი ჩაცვენილი თვალები ბნელ ოთახში უბრალო ქიქის მარცვლებივით ბრჭყვიალებდნენ.

ირგვლივ სასაფლაოს სიჩუმე იდგა, მძიმე და სევდიანი.

ხანდახან ღია ფანჯრიდან ეტლის ხმაური თუ შემოიჭრებოდა.

სავარძელში მოკრუნჩხული ოქროპირი უცებ კარზე ფრთხილმა კაკუნმა შეაკრთო.

— შვილო, ოქროპირ, ოქროპირ! — კაკუნთან ერთად მოესმა მას დედის შეშფოთებული, მაგრამ თანაც მოკრძალებული ხმა.

ფიქრების ბურანიდან გამორკვეულმა ძახილს ყური მიუგდო.

— ოქროპირ, გამიღე კარი! — თითქო საშარიდან მოდიოდა მელანიას მუდარა.

ოქროპირმა თვალებზე ხელი მოისვა, მერე პაპიროსს მოუკიდა, ნელა წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა. თუთუნის ბოლთან ერთად საღამოს ნიავით შეგრილებული ჰაერი ღრმად

შეისუნთქა. ფანჯრიდან კარგა ხანს უცქეროდა ამომავალ მთვარეს, რომლის ნათელი ბრე თანდათან უხვად იფრქვეოდა სივრცეში. ბოლოს, როცა კვლავ მოესმა დედის უსასოო ძახილი, კარისაკენ მოგონილი სიმშვიდით გაემართა.

უმადურად გადაატრიალა კლიტე და კარი ხელუკულმა გამოიღო. ოთახში მოჩვენებასავით შემოვიდა მელანია. მწუხარებასთან ერთად მის ფერმკრთალ სახეს დამნაშავის იერი გადაჰკრავდა.

მელანიამ თავდახრილ შვილს თვალი შეავლო და გაუბედავად უთხრა:

— ქალი არ ჩანს...

— რაო? — შეკავებული მღელვარებით ჩაკითხა ოქროპირმა.

— ირმა წასულა სადღაც... თავს არაფერი აუტეხოს... იღონე რამე.

ოქროპირმა პაპიროსი ღონივრად მოსწია და ბოლი დაზოგვით გამოუშვა მთრთოლვარე ნესტოებიდან. ფანჯრიდან ოთახში გადმოღვრილი მთვარის შუქი დედა-შვილს მუხლებამდე მოდგომოდა. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ოქროპირმა მელანიას ისეთი ზიზღით შეხედა, თითქოს ის ყოფილიყოს მისი უბედურების ერთადერთი მიზეზი. მალე დედას თვალი მოარიდა და გულში დაიწყო ბჭობა თუ როგორ მოქცეულიყო, რა გზას დადგომოდა, რომ სახლიდან ირმას გაქცევის ამბავს სხვების შეუმჩნეველად ჩაევლო.

„ალბათ, იმ ყაჩაღთან წავიდა. ჯერ ისევ ქუთაისში იქნებიან, მაგრამ ღირს ახლა აურზაურად მათი დევნა?“ — ფიქრობდა ოქროპირი. „ჩემი ხელიდან ისინი მაინც ვერსად წავლენ, ადრე იქნება თუ გვიან, შურს ვიძიებ. ჯერჯერობით უნდა მოვითმინო, თორემ ჩემი მტრების ქირდვას ვინ გაუძლებს! ესეც არ იყოს, რად მინდა სხვისი ნახასარი ცოლად“, — დაასკვნა მან. მაგრამ სადღაც, გულის კუნჭულში, ისევ იჩინა თავი სინანულმა იმის გამო, რომ ქალმა ვიღაც გარეწარი არჩია მას.

ოქროპირი აილეწა, მაგრამ შეურაცხყოფით გამოწვეული ტკივილი არ შეიმჩნია და დედას გულგრილად უთხრა:

— წასულა, წავიდეს!

— სირცხვილია, რას იტყვიან, — აღმოხდა მელანიას.

— რაც უნდათ, ის თქვან. ახლა სირცხვილ-ნამუსზე ლაპარაკი გვიანღაა. მაგაზე ადრე უნდა გეფიქრა! — უხეშად ესროლა მან დედას და იქვე, რბილ მერხზე, დაგდებულ ქუდს ხელი დაავლო.

— კი, მარა...

— რა მარა! გააწყალე გული, — შეუწყრა ოქროპირი მელანიას და ოთახიდან გიჟივით გავარდა. კიბეც სირბილით ჩავლო. როცა ქუჩაში გავიდა, მხოლოდ მაშინ უკლო ნაბიჯს, თანაც კეპი თვალებზე ჩამოიფხატა.

ოქროპირი ალალბედზე გაჰყვა ქუჩას. ვერავის და ვერაფერს ამჩნევდა. ასე ბრმადმავალმა ჩატეხილი ქვაფენილის ქიმს ფეხი უნებურად წამოჰკრა და, რატომღაც, შეშფოთებით გარშემო მიმოიხედა. მთვარით გაშუქებულ ქუჩაში არავინ ჩანდა. უცებ სიჩუმე თულუხმა დაარღვია — კასრის თავზე წამომჯდარ შავწვერა მეთულუხეს ხელნებზე ფეხები გაეჩაჩხა და გაძვალტყავებულ ცხენს შინისაკენ აჩქარებდა. ქვებზე თულუხის ბორბლების რახრახმა ოქროპირს კუბოზე მიწის დაყრა მოაგონა.

კასრს უზარმაზარ წურბელასავით უკან წყლის გამოსაშვები ტყავის ლორწოვანი თოფჩა ეკიდა, თოფჩიდან წყალი ჟონავდა და, როგორც ლოკოკინა, თულუხი ქუჩის შუაგულზე უსწორმასწორო სველ კვალს ტოვებდა.

მალე თულუხი თვალს მიეფარა. ოქროპირმა უსიამო გრძნობით განაგრძო გზა. როცა თბილისის ქუჩაზე გავიდა, წინ რამდენიმე მგზავრს შეეჩეხა, ცოტა ხნის მერე სადგურისაკენ მიმავალმა ეტლმა ჩაუქროლა და კვლავ მყუდროება დადგა.

ოქროპირმა გვარდიის შტაბისაკენ გაუხვია.

## XXII

შუა ზამთარი იქნებოდა, მაგრამ ჯერ თოვლის ერთი ფანტელიც არ დასცემოდა ქუთაისს.

მხოლოდ მთოშავი ქარი ჰქროდა გამუდმებით. ეზოებსა და ქუჩებში ჩონჩხებივით მდგარ ხეებს ქარი უფოთლო, კან-

შემხმარ ტოტებს უმსხვრევდა და სოხანესავით მშრალ ქუ-ჩებში მტვრის კორიანტელს აყენებდა.

ხანდახან ისე გაძლიერდებოდა ქარი, რომ სახლებს ღერა-ღერა სტაცებდა ყავარს. ზოგ სახლს თუნუქის სახურავისაგან ლეღვივით ფცქვნიდა, ზოგსაც ერთბაშად ხდიდა სარქველს.

ქარისაგან ჩალეწილი მინების ალაგას ფანჯრებში ბუმბ-ლის ბალიშები გამოეჩრათ. მორღვეული ღობეების შეკეთე-ბას არავინ ფიქრობდა. დაწყვეტილი ტელეფონის მავთულე-ბი გველის წიწილებივით სისინებდნენ. ლაღიძის ელექტრო-სადგური აღარ მუშაობდა და ღამე თვალში თითის მიტანა ჭირდა.

არც ნავთი იშოვებოდა. მცხოვრებლები ქათმების და-ბუდრებისას წვებოდნენ და ქალაქს დაბინდებისთანავე სა-მარისებური სიჩუმე ეუფლებოდა.

ბავშვები გვიან დგებოდნენ, რადგან გაყინულ სკოლებში სწავლა შეწყვეტილი იყო.

როცა კარგად მომზევდებოდა, აქა-იქ ვაჭრები ცალ და-რაბას გამოაღებდნენ და გადამალული საქონლით ცოტა ხნის ვაჭრობის შემდეგ დუქნებს ისევ ადებდნენ ბოქლომებს.

კონტრაბანდისტებისა და სპეკულანტების მიერ გახსნილი ბრწყინვალე რესტორანები სულ მალე საპნის ბუშტებივით გაქრენ და ახლა გვარდიელები ჭუჭყიან სამიკიტნოებში სვამ-დნენ ოქროპირის სადღეგრძელოს.

ოქროპირი მუდმივად შტაბში ან პარტიულ კომიტეტში იჯდა. ცდილობდა, ბოლშევიზმის ნატამალიც კი მოესპო ქუ-თაისის არემარეზე, მაგრამ, რაც დრო გადიოდა, ბოლშევი-კები უფრო მრავლდებოდნენ და აშკარად ეწინააღმდეგებოდ-ნენ ხელისუფლებას.

ოქროპირს, ბოლშევიკებთან ბრძოლის გარდა, სხვაც მრა-ვალი საზრუნავი ჰქონდა. კერძოდ, დიდი შეხლა მოუხდა მღვდლებთან, რომლებიც ვერაფრით ვერ გადააჩვია წირვის დროს რუსეთის მეფის ხსენებას, თუმცა ახალი მთავრობის ბრძანებით ეს აკრძალული ჰქონდათ. ბოლოს, როგორც იყო, შეძლო ეკლესიებში ამ წესის აღმოფხვრა და პირველად მო-წამეთის არქიმანდრიტმა ესტატემ შემოიღო „საქართველოს

დემოკრატიული მთავრობის“ წირვაში მოხსენების ცერემონია.

საქმეებში გართული ოქროპირი ბოლო დროს ათასში ერთხელ თუ მოიგონებდა ირმას და მაშინაც უგულოდ. ხანდახან უკვირდა კიდეც, რომ გიმნაზიელივით მოიქცა და სიყვარულისათვის მოიცალა, მაგრამ, როცა ირმასთან ერთად ზაუტაშვილსაც მოიგონებდა, მაშინ კი ბოღმით აევსებოდა გული. ოქროპირს ვერ მოენელებია მისი მეტოქეობა. ამის გამო ყოველ ღონეს ხმარობდა ხელში ჩაეგდო „ნაყაჩაღარი“, რომელიც ხელისუფლებაში შეცილებასაც უპირებდა.

თუ სადმე შეიგულვებდა ზაუტაშვილს, მაშინვე მის შესაპყრობად რჩეულ გვარდიელებს აფრენდა, მაგრამ მამაცად წასულები მალე უფხოდ ბრუნდებოდნენ უკან.

შარშან ამბოხებული მთელი რაჭა-ლეჩხუმი ოქროპირმა კანონგარეშე გამოაცხადა. ეს სასტიკი განაჩენი მან უფრო იმიტომ გამოუტანა რაჭველებს და ლეჩხუმელებს, რომ აჯანყებულებს, თურმე, ზაუტაშვილიც მეთაურობდა.

ბოლო ხანებში ზაუტაშვილი კვლავ სადღაც გადაიხვეწა. მასზე სრულებით აღარაფერი ისმოდა. დაუოკებელი შურისძიების სურვილი ოქროპირს მოსვენებას არ აძლევდა.

ერთხელ, როცა გარეთ ქარყინვა იყო და მზე არ ჩანდა, ოქროპირი მარტო იჯდა შტაბში, თავის კაბინეტში. ცალ ხელზე თავდაყრდნობილი ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლს თვალს არ აშორებდა.

უცქეროდა ბუხარს და თანდათან აგონდებოდა თავისი ბავშვობა. უცებ ბუხარს ნაპირები მოეღლვა, მერე კედელიც გაიცრიცა, გამჭვირვალე გახდა. შორს, სივრცეში, წარმოუდგა სოფელი, სკოლა, სკოლაში დაფასთან მდგომი ირმა. ოქროპირი კვალდაკვალ მიჰყვა მოგონებას და...

— თბილისიდან სასწრაფო დეპეშაა, — მორიდებით მოახსენა გვერდით გაჩერებულმა მდივანმა, მაგრამ ოქროპირი არც კი შერხეულა, კვლავ გარინდებული განაგრძობდა ბუხარში ცქერას.

მდივანმა ხმამაღლა ჩაახველა და წინ, მაგიდაზე, დეპეშა დაუდვა.

ოქროპირი ერთბაშად შეტორტმანდა. მაგრამ მალე მოვი-

და გონს. მდივანს დამტუქსავი თვალები შეანათა, რომ ასე ქურდულად გაბედა მასთან შესვლა, თანაც ცივად ჰკითხა:

— რა გინდა?

— თბილისიდან დეპეშაა. ეს-ეს არის მივიღეთ, — კვლავ კრძალვით გაუმეორა მდივანმა და დეპეშაზე მიუთითა.

ოქროპირმა დეპეშას ალმაცერად დახედა, მერე მდივანს უბრძანა:

— წადი, რედაქციას აცნობე, მოწინავე წერილის კორექტურა მალე გამომიგზავნონ.

მდივანი სწრაფად გატრიალდა.

ოქროპირმა დეპეშა უხალისოდ აიღო და გახსნა.

დეპეშა დაშიფრული გამოდგა.

ოქროპირი ერთბაშად გამოცოცხლდა, მყისვე შეუდგა დეპეშის განმარტებას. როცა გაშიფვრას მორჩა, კალამი ხელიდან გააგდო და ჩუმად დაიწყო კითხვა. კითხვის დროს თვალები თანდათან გაუფართოვდა, სახეზე ფერი ეცვალა. კარგა ხანს ფიქრის მერე უნებლიედ წამოდგა, მთრთოლვარე ხელში რამდენჯერმე შეატრიალა ქაღალდი და ახლა ხმამაღლა კიდევ ერთხელ ჩაიკითხა:

„ბოლშევიკები აჯანყებისათვის ემზადებიან... ფრთხილად და მზად იყავით... ელოდეთ განკარგულებას...“

ამ დროს კაბინეტში კვლავ მდივანი შემოვიდა...

— დელეგაციას სურს თქვენი ნახვა, — აუწყა მდივანმა, მაგრამ, როცა მისი გაფთრებული სახე დაინახა, უკან გაბრუნება დააპირა.

— ვინ არიან! — ცალყბად იკითხა ოქროპირმა.

კართან შემდგარმა მდივანმა ენისბორძიკით უპასუხა:

— საბჭოს წევრების დელეგაციაა.

ოქროპირი შეყოყმანდა, ბოლოს სავარძელში კოპებშეკრული ჩაჯდა და მდივანს ესროლა:

— შემოვიდნენ.

მდივანმა კაბინეტში სათითაოდ შემოუშვა სამი კაცი, მათ შორის ერთი ჯარისკაცი იყო, თადეოზ მორჩაძე.

ახლადმოსულებმა შემოსვლისთანავე ქუდები მოიხადეს და მაგიდაზე თავდახრილი ოქროპირის შორიახლო დადგნენ.

კარგა ხნის ლოდინის მერე ფეხზე მდგომთ ოქროპირმა თავაუღებლად მიახალა:

— რა გნებავთ?

დელეგატებმა ერთმანეთს გადახედეს.

— რა გნებავთ-მეთქი! — ისევ წყრომით შესძახა მათ ოქროპირმა და თავი ასწია.

— ორიოდე სიტყვა გვინდა მოგახსენოთ, — დაიწყო ერთმა მათგანმა, რკინიგზის მუშამ, ირმას ბებიას ნათლულმა ბოქორიშვილმა, რომელსაც მაზუთით გაზინთულ ლურჯ ხალათზე ალაგ ფოლაქებაწყვეტილი ძველი პალტო ეცვა. — დიახ, გვინდა ჩვენს ჭირ-ვარამზე გითხრათ რამე. სამივეს ჩვენ თავთავის სათქმელი გვაქვს. დაგვავალეს, — დაუმატა მან, შეთეთრებული ულვაშები გაისწორა და განაგრძო: — მე, მამაგალითად, მსურს აგიწეროთ რკინიგზელების გაჭირვებული მდგომარეობა. იქნებ, გაგვიწიო რაიმე დახმარება, თორემ...

— თორემ რა! — დაცინვით ჩამოართვა სიტყვა ოქროპირმა და მაგიდაზე თითები აათამაშა.

— არაფერი...

— მე ვიცი, რაც გინდა შენ, ვიცი! — მკვახედ მოუჭრა ოქროპირმა მას და უეცრად სტამბის მუშას, ლევიძეს, მიმართა:

— შენ რაღა გინდა?

— მეც, ამხანაგო ოქროპირ, გაჭირვებამ მომიყვანა თქვენთან, სტამბის მუშები ერთობ აუტანელ მდგომარეობაში ვართ ჩავარდნილნი. ჩვენი ხელფასით ერთ ფუთ ჭადისფქვილსაც ვერ ვყიდულობთ. ისიც ვერ გვიშოვია. თუ რაიმე ნივთი გვქონდა, გურია-სამეგრელოში გადავცვალეთ სიმინდზე. დავშიშვლდით... ასე თუ გაგრძელდა...

— რას იზამთ? — მოულოდნელად შეეკითხა ოქროპირი სახეგაცრეცილ, ქერა ასოთამწყობს და ადგა.

— დაგვეხოცება ცოლ-შვილი... ცოცხის კაკლის მჭადის ჭამამ ბავშვები დაგვისნეულა...

— ბოლშევიკები თეთრ პურს გვპირდებიან, ხომ?

— ბოლშევიკები აქ არაფერ შუაში არიან, ამხანაგო ოქროპირ, — ლევიძის მაგიერ თადეოზ მორჩაძემ გასცა პასუხი. — ჯარისკაცები კიდევ უფრო უარეს დღეში არიან. იმ

დროს, როცა გვარდიელებს ყველაფერი თავზესაყრელი აქვთ, ჩვენ თბილი ლუკმა გვენატრება. ტანზეც აღარ გვაცვია და ფეხსაცმელებში თითები გვიჩანს. გვარდიელები კი დადეშქელიანებივით დადიან...

— ჩუმად! ასი ჯარისკაცი ერთი გვარდიელის ფეხის ნაბანად არ ღირს... — გაცეცხლდა ოქროპირი. მაგრამ მალე იგრძნო უხერხულობა და ხმას დაუწია. — როგორ არ გრცხვენიათ, რა რევოლუციური სინდისი გაძლევთ ნებას მოთხოვოთ მთავრობას სრული უზრუნველყოფა იმ დროს, როცა შიგნით და გარეთ ათასი მტერი გვახვევია. განა მთავრობა არ ცდილობს, განა ჩვენ არ გვინდა ხალხს შევუქმნათ ცხოვრების ნორმალური პირობები? მაგრამ არის ამის საშუალება? გვაძლევენ ამის საშუალებას მტრები? ყველაფერი ის, რაც თქვენ თქვით, დროებითი მოვლენაა. უნდა მოითმინოთ კიდევ ცოტა, დაგვეხმაროთ, ხელი შეგვიწყოთ, ნაცვლად ამისა კი თქვენ წუწუნებთ, ბოლშევიკების ანკესზე ეგებით და მთავრობას კრიჭაში უდგეხართ... არ ვარგა ეს. ეს თავსედობა სახელმწიფო ღალატს უდრის, მოღალატეებს ჩვენ სასტიკად ვსჯით, — კვლავ მკაცრად თქვა მან.

— ამხანაგო ოქროპირ... — სცადა ჯარისკაცმა შესიტყვეობა, მაგრამ ოქროპირმა, რომელიც სიბრაზისაგან ხმას ძლივს იღებდა, ხელით ანიშნა გაჩუმებულიყო.

ოქროპირმა გაითვალისწინა, რომ დღეს დელეგატებთან მშვიდად ლაპარაკი მას არ შეეძლო და გადაწყვიტა ჩქარა მოეშორებია ისინი.

— თქვენ ახლა წადით, — დაყვავებით უთხრა მათ ოქროპირმა, — დარწმუნებული იყავით, რომ ჩვენ არაფერს დავიშურებთ ხალხისათვის. დაამშვიდეთ სხვებიც. მდგომარეობა მალე გამოსწორდება. მაშ ასე! — უხეიროდ დაატანა მან და ზარი დარეკა.

კაბინეტში მდივანი შემოვიდა.

## XXIII

გვარდიის შტაბი სამხედრო ბანაკად იქცა. შტაბის ტალანები სავსე იყო გვარდიელებით და მათი ოფიცრებით.

შტაბის ეზოში გვარდიელებს ურიგებდნენ ახალ ტანისა-

მოსს, იარაღს, ფულს და შემდეგ ამწკრივებდნენ შტაბის წინ.

წასასვლელად გამზადებულებს შტაბის აივნიდან ოქროპირი ეუბნებოდა სიტყვას. აქეზებდა მათ ბოლშევიკების წინააღმდეგ და მუსიკით ისტუმრებდა ზოგს აჯანყებულ რაიონში, ზოგსაც თბილისისაკენ.

შემდეგ ოქროპირი შედიოდა ისევ თავის კაბინეტში, ამტკიცებდა გვარდიელთა ახალი გუნდების სიას, ნიშნავდა მეთაურებს და არკვევდა, თუ რომელი გუნდი სად უფრო იყო საჭირო.

სხვადასხვა პარტიებთან კონტაქტის დასამყარებლად ოფიციალურად ესაუბრებოდა მათ წარმომადგენლებს. ღამით თათბირობდა შტაბის წევრებთან, ადგენდა მეორე დღისათვის მოქმედების გეგმას, სცემდა განკარგულებებს და თბილისისათვის წერდა ვრცელ მოხსენებებს.

ნერვიულობით, დარდითა და მწუხარებით ოქროპირის ჯანმრთელობა დაუკნინდა, რაღაც უცნაურად ბეჭებში მოიხარა და დაპატარავდა. იმავე დროს ადრინდელზე უფრო ფიცხი და ავი გახდა; შმაგსა და ყველასადმი იჭვით შეპყრობილს, მაუზერი მუდამ მაგიდაზე ედვა.

ბოლო ხანებში თბილისიდან მოსულმა ერთიმეორის საწინააღმდეგო ცნობებმა სავსებით შეუცვალა ნირი და იერი.

ხანდახან მარტო ჩაიკეტებოდა თავის კაბინეტში და თითეების მტვრევით კედლიდან კედელს უმწეოდ აწყდებოდა.

წვერგაუპარსავი და თმააბურძგვნილი ამ დროს ნამდვილ გიჟს ჰგავდა. როცა ოთახში სირბილით დაიღლებოდა, დაემხობოდა მაგიდაზე რევოლვერით ხელში და გაირინდებოდა. ამოცვენილსა და გამხდარ მხრებში ჩამალულ თავს დროდადრო შემკრთალი ასწევდა და შუბლზე ავარდნილ თვალებს კარებს მიაშტერებდა.

ზოგჯერ ამ ყოფაში ოდნავ ჩათვლემდა. ხან ღრმადაც ჩაეძინებოდა. დილას ადრე გამოღვიძებული მყისვე თვალებს მოიფშვნეტდა, შემდეგ სწრაფად წამომდგარი ფანჯარასთან მივარდებოდა, ფანჯრიდან გაფაციცებით მოავლებდა თვალს ქალაქს და რაკი ვერავითარ ცვლილებას შენიშნავდა, შვებას იგრძნობდა.

ახლა დამშვიდებული სახით დიდხანს გაცქეროდა მოახ-

ლოებული გაზაფხულით დამტკბარ სივრცეს და ჯერ კიდევ მძინარე ქალაქს, რომელიც წინათ, ამ დროს, თოვლით ყოფილა მუდამ გადაფიფქული.

ბოლოს ტელეფონით გამოიძახებდა შტაბის წევრებს, რომლებიც ისევ ლოგინში იწვნენ. მათ მოსვლამდე შუშის სურიდან ცხვირსახოცს დაასველებდა, სველ ცხვირსახოცს სახეზე რამდენჯერმე მოისვამდა, მაგიდას ხალათის სწორებით კვლავ მიუჯდებოდა და ქაღალდებში ჩაეფლობოდა.

შტაბში თანდათან იწყებოდა მოძრაობა. იქაურობა ივსებოდა გვარდიელებით, მათი ოფიცრებით და მენშევიკური პარტიის ხელმძღვანელი მუშაკებით. შტაბის წევრების კაბინეტებიდან ისმოდა ტელეფონების წკარუნი, იცემოდა ბრძანებები, რემინგტონზე მომუშავე ქალები გადაბეჭდილ ქაღალდებს მიარბენინებდნენ ხან ერთ, ხან მეორე ოთახში.

მთელ შტაბს კი ოქროპირი უდგამდა სულს და ყველგან მისი თვალი ტრიალებდა.

ერთ, ჩვეულებრივზე უფრო მშვიდობიან დღეს, საღამო ხანს, ოქროპირმა თბილისიდან მისთვის შემაძრწუნებელი ამბავი მიიღო:

მთავრობა თბილისს ტოვებდა.

ამ ცნობას მალე ვრცელი, მანუგეშებელი განმარტება მოჰყვა და ოქროპირი ცოტა დაშოშმინდა, მაგრამ წარმოდგენილი საფრთხის შიშით აფორიაქებულ თავში ერთი კვიმატი აზრი ჩაუჯდა და მატლივით დაუწყო ღრღნა.

დიდხანს ებრძოდა ამ აზრს ოქროპირი. ბოლოს იძულებული გახდა ყველაფერი წაგებულად ჩაეთვალა, თუმცა სხვებთან თავი ისე ეჭირა, თითქოს თბილისის დატოვება მხოლოდ მანევრი ყოფილიყოს და სხვა არაფერი.

მისი ბრძანებით სასწრაფოდ შეუდგნენ ლტოლვილებისა და მარქაფა მხედრობის საცხოვრებელ ბინებად სკოლების შენობების გამოყენების საქმეს. ზოგიც მთავრობის დაწესებულებებისათვის დაცალეს.

იმარაგებდნენ აგრეთვე სურსათ-სანოვაგეს და სხვა პირველსაჭიროების საგნებს გადმოხვეწილთათვის.

მალე ჩამოვიდნენ გამოქცეული მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრები, სახელმწიფო დაწესებულე-

ბები თავისი ბარგითა და მოხელეებით, ლტოლვილები, ჯარისა და გვარდიის ნაწილები.

ქალაქი ერთბაშად გამოცოცხლდა.

ქუჩები აივსო ხიზნებით.

განუწყვეტლივ მიმოქროდნენ მარტის მზეზე კრიალა, თბილისიდან ჩამოტანილი ავტომობილები, რომლებშიაც ყოყოჩად ისხდნენ მინისტრები და დამფუძნებელი კრების წევრები.

ისინი ისეთი გამომეტყველებით იცქირებოდნენ აქეთ-იქით, თითქოს თავიანთი ჩამოსვლით ქუთაისისათვის დიდი ბედნერება მიენიჭებიოთ.

ოქროპირი თითქმის სულ აღარ შედიოდა შტაბში. ის მთელ დღეს ანდომებდა მთავრობის კაცების დაბინავებას და მათი ნივთების გადმოტანას სადგურიდან.

ხშირად ოქროპირი უხეირო სასტუმროს მეპატრონეს ჰგავდა, რომელიც თავს ვეღარ ართმევდა უეცრად ღამის გასათევად მისულთა კაპრიზებს.

განსაკუთრებით უკმეხად ეპყრობოდნენ ოქროპირს დიდი მოვალეობის მქონეთა ცოლები; როგორც ლაქიას, ზოგჯერ ისინი მას აკისრებდნენ წვრილმანი საქმეების გაკეთებასაც, თანაც საყვედურებით იკლებდნენ.

შტაბში ოქროპირის მაგივრად ახლა გვარდიის ცენტრალური შტაბის წევრები, მინისტრები და დამფუძნებელი კრების მესვეურები ისხდნენ.

მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ასე. აჯანყებამ კვლავ იფეთქა რაჭა-ლეჩხუმში, ოკრიბაში, საჩხერეში, სენაკში, ხონში...

დაყოვნება აღარ შეიძლებოდა.

ქუთაისი თანდათან ცეცხლის რკალში ექცეოდა.

შედგა მთავრობის საგანგებო თათბირი.

გადაწყდა: ქუთაისიც დაეცალათ.

ევაკუაციის წინა დღით, საღამოს, თეატრში მოიწვიეს დამფუძნებელი კრების სხდომა, რომელსაც მრავალი გარეშე პირიც დაესწრო.

მიუხედავად მოახლოებული კატასტროფისა, ორატორები

იხტიბარს არ იტეხდნენ, გულში კი თითოეული მათგანი ბათუმში გაქცევაზე ფიქრობდა.

მართლაც, სხდომის დამთავრებისთანავე, სხვადასხვა გზით და ცალ-ცალკე, ყველანი გაეშურნენ სადგურისაკენ, სადაც უკვე მატარებელში იჯდა მათი ცოლ-შვილი, ზოგიერთი უფრო სულმოკლე მინისტრი და დამფუძნებელი კრების წევრი.

ოქროპირმაც დატოვა ქუთაისი.

## XXIV

ადრე გაზაფხულდა.

წისქვილის წინ მაღალი, ორტანა ტყემალი დიდმარხვაში აყვავდა. მთელი ხე ბამბის სპეტაკ ქულას წარმოადგენდა. ჯერ ისევ სუსხიანი სიოსაგან მის ყიბორჩხალა ტოტებს ნელ-ნელ ცვიოდნენ მსუბუქი, ფრჩხილის ტოლა ყვავილთა ფურცლები. ტყემლის ალაგი ისე იყო თეთრად გადაფიფქული, რომ ხე თითქო დიდ საინზე იდგა.

მიწა ყოველმხრივ ლურჯი ქათიბით იმოსებოდა. ახლადამოხეთქილ ბალახებში უხვად ერია რძია-რძია და იები.

ყანებში და თვალჭრელიძის ბაღებში სამუშაოდ გლეხები სახეგაცისკროვნებულნი მიეშურებოდნენ. ზოგს უღელი მხარზე კომბალივით გაედვა და ხარებს იფნის სახრით აჩქარებდა. ზოგი ურემს ეტლივით მიაქროლებდა. გახარებული ბავშვებიც ნახირს საძოვრებისაკენ ყიჟინით მიერეკებოდნენ.

მდინარის სანაპირო ყანებში აქა-იქ ჩამდგარიყვნენ გლეხები და, ღონემომატებულნი, სახნის შიგ მიწის გულში ატარებდნენ, თან ზამთარში უქმელობით გალახულ ხარებს სიმღერის კილოზე შესძახოდნენ:

— აბა, ჰა, ჰა!

— მოიშ, მოიშ!

გამხნევებულ ხარებს სვრელი სვრელზე გაჰქონდათ. გიორგელა და მოლოქა ფხალით მოჩითული მიწა თანდათან ლბილი ბელტებით იფარებოდა.

წისქვილის ღია კარიდან ისმოდა გელაზების ჩვეულებრივი ხმაური, რომელსაც ცერაღმა დაქანებული და მათი ღერძების ფრთებზე შხეფებად ქცეული წყლის შხუილი ენასკვებოდა.

იმავე კარიდან გამოდიოდა მემინდე ბოჩი გვეტაძის ომაჯ-ხიანი ხმა. საფქვავზე მისულნიც ყვიროდნენ, რომ შეუწყვეტელ ხმაურში ერთმანეთის ნათქვამი გაეგოთ.

მაღალი, ფართო მხარბეჭიანი ბოჩი ხანდახან ისე ჩაიხედავდა წისქვილის ხვიმერებში, რომ ფეხის ცერებზე არ შედგებოდა. ახლა, საფქვავის სიმცირის გამო, მარტო ორი თვალი ბრუნავდა, მათზედაც თითო-ოროლა ბათმანი სიმინდი ეყარა და საფქვავის ჩამოთავებას ბოჩი მოუთმენლად ელოდა.

როფებში თვლებიდან ნაცვენ თბილ ფქვილს ბოჩითი თითებით სრესდა. სარეკელებს მალიმალ ასწორებდა, რომ ფქვილი მეტად წმინდა ან მომსხო არ გამოსულიყო, იმავე დროს მოსულებს კვლავ ხმამაღლა ელაპარაკებოდა საბჭოთა ხელისუფლებისა და ბოლშევიკების შესახებ.

მემინდე ბოჩი გვეტაძე ძველ ეკლესიებში დახატულ რაინდ წმინდანებს ჰგავდა: მოკლე და ერთი ზომის, მაყვალივით შავი წვერი ყურებთან ვიწრო ბილიკით და თმისაგან განუსხვავებლად ეწყობოდა. ულვაშები წვერიდან არ ერჩეოდა. კორტოხოვანი, ჟანგისფერი ღაწვები კი სავსებით უბუსუსო, გახვეწილი ჰქონდა.

ასე, თითქოს განგებ დაყენებული წვერი მხოლოდ ლავიწებს უფარავდა, რის გამო მის ოდნავ მოგრძო სახეს ერთბაშად უცხო იერი ეძლეოდა. ცხვირი მტაცებელი ფრინველის ნისკარტს მიუგავდა, მაგრამ, სამაგიეროდ, თვალებში ვარსკვლავები ეწყო, რომელთა ელვარება ირგვლივ სათნოებას და ბავშვურ სიხარულს აბნევდა. ზედა წამწამები ბუჩქოვან, გაერთიანებულ და საფეთქლებამდე ბოლოებ წახანჯლულ წარბებს ებჯინებოდნენ, ხოლო ქვეითური — ღაწვებამდე ეფინა.

მისი გაშლილი შუბლი, რომლის ზევით, შუა ალაგას, თმაში ერთი მუჭა თეთრი ერია, იშვიათად უნახავს ვინმეს შეჭმუხვნილი. ხალისიანს და მცინარეს მოსქო ტუჩებიდან ხშირად უჩანდა თეთრი, სიმინდის მარცვლების ოდენა კბილები.

ბოჩი სიცილის გუნებაზე ყოველთვის არ იყო, მაგრამ, ბედისადმი მდურება და ჩივილი მისგან არავის გაუგონია. -

რაგინდ დამწუხრებული არ ჰქონოდა გული, სახეზე მა

ინც ნათელი ეფინა, მწუხარება კი ბევრი უნახავს ბოჩის. ღა-ტაკი და ობოლი სხვათა მოჯამაგირეობაში დავაქკაცებულა. ახლაც ოცდაცამეტი წლის ბოჩი, როგორც ხიზანი, კვლავ სხვის კარზე ცხოვრობდა.

ბავშვობაში ბოჩი თვითონ იყო სიხარული. ტოლებში ყველას უყვარდა, იმავე დროს ყველას ეშინოდა მისი, რადგან გაბრაზებისას ბოჩის თვალები ნაპერწკლებს კვესავდნენ; მა-გარკუნთებიანი მკლავებით შეეძლო ხე მოეთხარა ფესვებია-ნად.

ვაგლახად ვერც პატრონები უბედავდნენ ხმის გაცემას, გამრჯელსა და ჯანიან ბოჩის რიდით ექცეოდნენ.

ბოჩის უყვარდა ტოლების გახალისება. ამიტომ სამწყე-სურში უცნაურ რამეებს იგონებდა, ხან გვერდით მოისვამდა პატარა მწყემსებს, ერთ მათგანს ხელის გულზე დაუყრიდა ტუტას ან სილას და სალოკი თითით „კვალიაკვალიას“ გაუ-კეთებდა, შემდეგ თითებს შიშველ მკლავზე ააყოლებდა და თან იძახოდა:

— მოვიდა ბოჩი, მოვიდა ბოჩი!

ბოლოს ღლიავებში შეუღიტინებდა და სიცილით გადა-ფიჩინებული ბავშვი დიდხანს გორავდა მიწაზე. ამის გამო ტოლებმა „ბოჩი“ შეარქვეს და ნათლობის სახელი თვითო-ნაც დაავიწყდა.

ბოჩი უღონოთა თავდადებული ქომაგი იყო; დაბეჩავებულ მოზრდილებსაც ხშირად ესარჩლებოდა და მისი გაბედულე-ბა, სიმარდე და მუშტის ძალა ყველას აკვირვებდა.

დევივით ბიჭს საწყალი გული ჰქონდა. სხვის მწუხარე-ბას ხშირად აუტირებია ის, მაგრამ ცრემლთა ფრქვევის დრო-საც სახეზე ღიმი იშვიათად მოშორებია.

ახლად ულვაშებ-აჯეჯილებული ბოჩი უკანასკნელად მო-ჯამაგირედ დაუდგა ბაღდადში ერთ მდიდარ აზნაურს, გენე-რლად ნამყოფ ოტიას, რომლის უმცროსი ასულის სილამა-ზემ მისვლისთანავე მოაჯადოვა და მისი გული პირველად შეა-ტოკა ქალმა.

ბოჩი დიდხანს ეტრფოდა მალულად აზნაურის ქალს, ხა-თუნას. მის ყოველ დანახვაზე ალმური ედებოდა, რაღაც სხვად გრძნობდა თავს, თანაც ამჩნევდა, რომ ხათუნა მის

ფარულ წადილს მიმხვდარი იყო, მაგრამ ქალი მოჯამაგირის მიჯნურობას, რატომღაც, არ თაკილობდა, პირიქით, თავისი თამამი ქცევით და მრავალმეტყველი ღიმილით კიდევ უფრო აღვიძებდა ბოჩის გულში დანთებულ ცეცხლს.

ერთხელ, პაპანაქებაში, კაკლის ხის ქეშ, ჭილოფზე მძინარე ხათუნას ანაზდად თავს წაადგა ბოჩი. ქალს გაღეღილი მკერდი უჩანდა, გვერდზე მწოლარეს, მუხლებიც გაშიშვლებოდა.

ბოჩიმ უეცრად ჩაიჩოქა, ქალს ყურის ძირში მსურვალედ აკოცა; ამ ქცევით თვითონვე გაოცებული, მოჩვენებასავით გაქრა.

შემკრთალმა ქალმა მხოლოდ მის ზურგს მოატანა თვალი და, ჭილოფზე წამომჯდარმა, სწრაფად მოისვა ხელი ყურის ძირთან, — ბოჩის ნატუჩარი ხათუნას ეწვოდა, მაგრამ წყროშის მაგიერ სახეზე შვება ეხატებოდა.

იმავე საღამოს დარცხვენილი ბოჩი ხათუნამ საბძლის უკან დაიჭირა და მიყვარხარო, უთხრა.

მაგრამ უსაზღვროდ ბედნიერი ბოჩი მალე ყველაზე უბედური შეიქნა.

ეს მოხდა ასე:

ოტიას ყავდა რჩოლია ბუღა-ხარი. ბუღას სიმსუქნისაგან კანი ასკდებოდა, ალუბლისფერი მისი ბალანი ჭიქაში ჩასხმულ საფერის ღვინოსავით კრიალებდა. ბუღას თვალებში ხანძარი ენთო. რქები შუბებივით სწორი და წვეტიანი ჰქონდა, კუდი ჩლიქებამდე წვდებოდა. როგორც ჩლიქებზე, ისე კუდის ბოლოზე და რქების შუა გრძელი ბალანი ფოჩებად ეკიდა.

ხათუნას სიყვარულით ღონემოჭარბებული ბოჩი ხშირად ეჭიდებოდა ბუღას, რაც მეტად მოწონდა აზნაურ ოტიას.

მაჭრობაზე ოტიამ დიდი წვეულება გადაიხადა. შეზარხოშებული სტუმრების სასიამოდ ოტიამ განიზრახა უჩვეულო სეირის მოწყობა, მაგრამ ბოჩიმ მტკიცე უარი განაცხადა.

ბოლოს, შამის წაქეზებით, ხათუნა შეეხვეწა. დათანხმდა. ბოსლიდან მოზვერი გამოიყვანა. ბუღა ბრდღვინავდა, რაშივით ცემდა ტორებს, მაგრამ ბოჩის ხელებში კისერსაც ვერ აქანებდა ნებაზე.

გრძელი აივანი ცნობისმოყვარე სტუმრებით აივსო, ყველაზე მოხერხებულ ალაგას ოტია დაჯდა. მალე ღობეებს მოაწყდა უამრავი ხალხი და ათასი თვალი გაფაციცებით უცქეროდა ბოჩის, რომელმაც ვეშაპისდარი ხარი ხბოსავით მიაბა სახლის წინ, კაკლის ხეზე.

ბოჩი პალატში შევიდა. დაბრუნებულს მარტო პერანგი ეცვა ღლიავებამდე დაკაპიწებული. თან მოაქონდა წითელი ჩითის ნაჭერი და შავი დიდი ფალასი.

ბოჩი მძიმე ნაბიჯით მიუახლოვდა ბუღას, მსხვილი კისრიდან საბელი მოხსნა და თვალებთან წითელი ნაჭერი აუფრიალა. ბუღამ ჯერ უკან დაიხია, შემდეგ სწრაფად გაექანა ბოჩისაკენ.

განზე გამხტარმა ბოჩიმ კიდე ერთხელ აუფრიალა წითელი ნაჭერი და გაგიჟებულ ხარს თავზე შავი ფალასი გადააფარა. ხარი შედგა. როცა ბოჩიმ ბნელი მოხადა, ხარი სარქენად კვლავ გაიჭრა მისკენ, მაგრამ მოღერებულ რქებზე ბოჩიმ სწრაფად წაატანა ხელები და ქედი მოუდრიკა. დაბერილი ნესტოებიდან ბუღას სუნთქვა მიწიდან მტვერს აყენებდა.

კარგა ხანს იდგნენ ასე ერთ ადგილზე, ხარიც და კაციც, ნიადაგს სინჯავდა, ერთიმეორეს ძალას წონიდა.

ვიღაცას გული შეუწუხდა. აქა-იქ შეიქნა ქალების კივილი. ბავშვები ატირდნენ, მამაკაცები ულვაშებს ნერვიულად იგრეხდნენ, ხოლო ოტია იჯდა კვლავ დინჯად და, სახეგაფითრებული, მღელვარებას არ იჩენდა.

კიბის თავში მდგარ ხათუნას გული ხელით ეჭირა, სახეგაფითრებული თვალს არ აშორებდა ბოჩის, რომელსაც კისრის ძარღვები დახეთქაზე ჰქონდა.

„ღმერთო, ეს რა ვქენი, რათ წავაქეზე, რატომ ჩავაგდე საფრთხეში. თუ უვნებლად გადარჩა...“ — ფიქრობდა ხათუნა.

ბუღამ უკან დახევით რქები გაინთავისუფლა, მერე ისევ სარჩოლად გაემართა. მაგრამ ბოჩის მაგიერ ნიგვზის ხეს დაეტაკა, ხის ტანს გაალმასებული რქები გოჯამდე შეასო. ბუღამ მალე გაითავისუფლა რქები და უფრო გახელებული გაეშურა განზე მყოფი მეტოქისაკენ, რომელიც შავი ფალასის აღებას აპირებდა, მაგრამ ვერ მოასწრო.

ბოჩი ხელცარიელი დარჩა. ფალასი მოშორებით ეგდო. მისი სიცოცხლე ახლა კი ნამდვილად ბეწვზე ეკიდა. ბევრი ეცადა, მაგრამ ბუღა საშუალებას არ აძლევდა, რომ ფალასი აეღო და მისთვის თვალები აეხვია.

ბოჩს შიშმა გაჰკრა გულში.

სხვებმაც იგრძნეს, რომ გაცოფებულ ხარს შეიძლებოდა ყოველ წამს ადამიანი რქებით გაეფატრა. მაგრამ შველას ვერავინ ბედავდა.

საშინელების მოლოდინში ირგვლივ სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

ისმოდა მარტო ბუღას და ბოჩის ქშენა.

ფალავნებს შემოდგომის მზე უკანასკნელად აფრქვევდა განელებულ, ზაფრანისფერ სხივებს.

ბოჩის უკვე ნახტომი ეშლებოდა.

უეცრად, ყველას გასაოცრად, ხათუნამ იქვე გაიძრო ახალი შავი კაბა და კიბე ისარივით ჩაიქროლა, მაგრამ ვიდრე მას ბოჩი დაინახავდა, ბუღამ ხათუნასაკენ იბრუნა პირი და საცვლებისამარა ქალი თვალის დახამხამებაში ძუძუებით რქებზე წამოიგო.

რქებზე ძუძუებით დაკიდებული ხათუნა შემზარავი ხმით აკივლდა. ხარმა თავი გაიქნია, მკერდდაგლეჯილი ქალი ძნასავით ისროლა. ამ დროს ვეფხვადქცეული ბოჩი ბუღას კისერზე დაახტა და სისხლით შეღებილ მის რქებს გარკინებული ხელები მარწუხებივით ჩასჭიდა.

პირველად რამდენჯერმე ბუღას ცხვირი მიწაზე დაარტყამევია, შემდეგ ისე ღონივრად მოუგრიხა კისერი, რომ ჩაჩოქილმა ხარმა თავი ვეღარ შეიმაგრა და წაიქცა. ბოჩის, ცარიელი ყანწებივით, ხელებში შერჩა მისი ორივე რქა.

ეს იყო დიდი ხნის წინათ.

მას შემდეგ ბოჩიმ მთელი ქვეყანა მოიარა. მსახურობდა მეფის ჯარში. ჯარიდან დაბრუნებული, ჯერ ქვას ტეხდა. ერთხანს კურტანიც ეკიდა. ხან რიონზე სვანეთიდან ტივებს აცურებდა. ომის გამოცხადებისას, როგორც სათადარიგო, კვლავ ჯარში გაიწვიეს. ფრონტზე ტყვიამ მარჯვენა ხელზე ორი თითი წააწყვიტა და თებერვლის რევოლუციას საქართველოში ერთი კვირით ჩამოასწრო.

ძმავ ხანებში, მარტვილად ყოფნის მოსურნე, მემიხდედ დადგა.

ბოჩი საფქვავზე მოსულ გლეხებს უყვებოდა ომის და ნახული ქვეყნების ამბებს. ხან იტყოდა უცნაურ არაკებსა და ზღაპრებს. მოჯადოებულ მსმენელებს მასთან ერთად ხშირად თეთრად გაუთენებიათ ღამე.

დროდადრო მთვარიან ღამეში თევზაობდა, ნაპირიდან მისგან მარჯვედ ნასროლი ბადე ძდინარის შუაგულზე მარაოსავით იშლებოდა. იმ ღამესაც, როცა ირმა დახრჩობას გადაარჩინა, სათავის ზევით იყო სათევზაოდ. ბოჩი ამ საოცარმა შემთხვევამ სრულებით გამოცვალა, უწვერულვაშო ბოჩად აქცია. ახლაც, ამ დილით, უჩვეულო სიამით უცემდა გული.

როცა წისქვილიდან ორ უკანასკნელ გლეხთან ერთად გამოვიდა გარეთ, მზე უკვე კარგა მაღლა იყო აწეული. წისქვილის კარები თან გამოიხურა, შემდეგ ორ ღარსაც თავებთან მოკლეტარიანი ნიჩბები ჩაულაგა და წისქვილის ხმაური შეწყდა.

ბოჩიმ გაფქვილული წვერი იქვე, წისქვილის არხში, დაიბანა და უბრალოდ მოცმული შავი ახალოხის კალთით სახე შეიმშრალა. გამობრუნებისას შენიშნა გაღმიდან მომავალი უცხო კაცი, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია.

ბოჩიმ ღიმილით შეაღო წისქვილზე მიდგმული ფიცრული კარი.

შესულს ღიმილითვე შეეგება ირმა, რომელიც პატარა სარკმელზე მიტკლის ფარდას კიდებდა.

ირმა გამხდარი იყო, ფერმკრთალი. თვალები ორ პატარა ორმოდ ქცეოდა, მაგრამ ეშხი და მიმზიდველობა კვლავ შერჩენოდა.

მის ღიმილში აღარ კრთოდა სიხარული.

არც სიყვარულით უძგერდა გული.

ეს იცოდა ბოჩიმ, მაგრამ საყვედური ერთხელაც არ უთქვამს.

თვითონაც არ გრძნობდა ირმასადმი იმ სიყვარულს, რომელიც ბუღასთან ბრძოლაში დაკარგა.

ისინი მხოლოდ კარგი მეგობრები იყვნენ.

მაგრამ ბოჩის დღეს განსაკუთრებით მოუნდა ირმას ალერ-

სი და ფიცრულში შესვლისთანავე, ლოგინზე ჩამომჯდარმა, ქალი მუხლებზე დაისვა.

ბოჩიმ, როგორც ბავშვს, ირმას თავზე ხელი გადაუსვა, შემდეგ მკერდზე მიიხუტა და მის გაცრეცილ ტუჩებს დაეკონა.

ერთბაშად ვილაც ფიცრულში შევიდა.

უცხოს დანახვისთანავე ირმა ბოჩის ხელიდან გაუსხლტა და კედელს შეშლილივით აეკრა.

ბოჩიც ფიცხლავ წამოდგა, გაკვირვებულმა, უცნობს მკვახედ ესროლა:

— რა გნებავთ!

უცნობმა ალმაცერად შეხედა მას, შემდეგ აკვანში მძინარე ბავშვს მოავლო თვალი და ირმას მიაშტერდა.

ერთ წუთს ქვესკნელმა ჩანთქა ყველაფერი.

ბოლოს უცნობი ცივად გატრიალდა და კარები ისე მაგრად გაიჯახუნა, რომ მთელი ფიცრული შეირყა.

ირმა მოხურულ კარებს ჯარგა ხანს უსიცოცხლოდ მიჩერებოდა, შემდეგ თვალებში თანდათან ჭიაკოკონები აუგიზგიზდნენ და განწირულის ხმით იკივლა:

— როინ, როინ!!!

გარეთ გასაქცევად ფრთებგამოსხმულს წინ ბოჩი გადუდგა.

ეპილოგის მაგიერ

გავიდა საუკუნე
და კვლავ გავა, —
ქვეყანა მუდამ იმღერებს იმაზე,
ვისაც ქალწული უყვარდა.
ძველია ეს სიმღერა, თანაც ახალი,
ვიმღეროთ ის უშიშრად;
„იყო ერთი ჭაბუკი
და ქალწული უყვარდა“.

მე მიყვარს ეს ლექსი, თუმცა „ჭიაკოკონას“ ეპილოგის ეპიგრაფად მაინცდამაინც არაა მოხდენილი.

ახლა სხვა საუკუნეა და სხვა გული.

ჭაბუკი სხვა სიყვარულითაა გამსჭვალული და ეს სიყვარულია ბრძოლა უკეთესი მერმისისათვის, ბრძოლა იმისათვის, რომ ყველას გული სიხარულით ფეთქდეს.

და როცა მთელი მსოფლიო იქცევა სავანედ, მაშინ მოიგონებენ მეორე პოეტს და იტყვიან:

„როდის იყო აპრილი
ასეთი, როგორიც ახლაა!?
ვარდები... მერცხლები,
ღია კარები...“

ჯერ კი ბრძოლა გრძელდება და როინს არწივის ფრთები ასხია. მისი სიმღერა ყიჟინაა, ხან რომ ნადურის გუგუნად ისმის და ცალ ხელში თუ ხმალი უჭირავს, მეორეთი ეროს სცემს; გავარვარებულ რკინას ნაპერწკლები ცვივა და მალე დაინთება უმძაფრესი ჭიაკოკონა — „რიონჰესი“.

ზაუტაშვილი ახლა რიონჰესის დირექტორია.

სხვები? სხვები როგორღა არიან?

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე მოწამეთის მონასტერი დაიხურა. შეშინებულმა არქიმანდრიტმა ესტატემ ანაფორას კალთები შემოჭრა, თან თმა და წვერი დაიმოკლა, იმავე კვირაში ხოსროს ქვრივი „ზაქსში“ წაიყვანა და ახალ ცხოვრებას შეუდგა, მაგრამ გული ძველი შერჩა. რის გამო ფეხი ვერსად მოიკიდა. ბოლოს, როგორც იქნა, ფოსტალიონად დადგა და მთელი დღე, ოფლში გაწუწული, კარიდან კარზე დაწანწალებდა.

ესტატეს განსაკუთრებით ეძნელებოდა ბოჩისათვის გაზეთ „კომუნისტის“ მიტანა.

„ამ სიშორეს და ისიც მეწისქვილეს რა შავქვად უნდა გაზეთი“! — იტყოდა ბრაზით და, წყალწითელიდან დაბრუნებულს, მუხლები ეკეცებოდა.

ხოსროს მიერ რკინიგზის სადგურის ახლო აგებულ სახლიდან კესო მშობლებთან ერთად და მეორე ქმრიანად გამოაძევეს. ესტატე იძულებული გახდა კათოლიკეთა ძველ, პარტახ სასაფლაოზე გაეკეთებია ბინა.

ახალი სახლის კედლები საფლავის დაპობილი ქვებისაგან ყორესავით ააგო. პირველ ხანებში კესოს ეშინოდა მარტო

შინ ყოფნა, ელანდებოდა სხვადასხვა ასაკის და იერის მიცვალებულნი, რომელთა გვარები კედლებში დატანებულ ლოდებზე ზოგან სრულად და გარკვევით იკითხებოდა; მაგრამ შემდეგ ისე შეეჩვია იქაურობას, რომ ყველა ეპიტაფია ზეპირად ისწავლა.

ესტატესათვის კი ერთხელაც არ შეუცვლია გუნება სასაფლაოზე ცხოვრებას. მხოლოდ აწუხებდა იმაზე ფიქრი, რომ ვარაუდში შეცდა და ასე იოლად დათმო არქიმანდრიტის ხარისხი. მაინც ამ კომუნისტებმა რაღა მოწამეთა ამოიჩემეს, როცა საფიჩხიის ეკლესიაშიაც ისევ ჩვეულებრივად წარმოებს წირვა-ლოცვა. ისინი რომ არა, ვინ იცის, იქნება, ესტატე ახლა ქუთაისის ეპარქიის ეპისკოპოსიც ყოფილიყო.

ესტატე მზად იყო შხამიანი გველივით დაეკბინა ბრალიანი და უბრალო, და ისინიც, რომელთაც წარსული მასავით სანატრელი გახდომოდათ. ეზარებოდა ყველა, სძულდა თავისთავიც, კესოც, მაგრამ სიცოცხლე მაინც უნდოდა. რაღაცას ელოდა, რაღაცის იმედის ნაპერწკალი კვლავ უღვიოდა გესლით სავსე გულში და ამიტომ ქვეყანას განგებ უცინოდა.

მორჩებოდა თუ არა წერილების დარიგებას, ესტატე ჯარასავით დატრიალდებოდა თავის ახალ კარ-მიდამოში.

ნახუცარმა სახლის ახლომახლო ლოდებაცლილი სამარეები გადაბარა, პირველ წელსვე ზოგან სიმინდი დათესა. ნაწილზე მზისუმზირა. უფრო მოხერხებულ ალაგას კესომ ბოსტანი გააშენა, როგორც სიმინდი, ისე მზისუმზირა იმ სიმაღლე გაიზარდა, რომ შიგ ცხენიანი კაცი დაიმალებოდა. არაჩვეულებრივად გაიხარა ბოსტნეულმაც. მართალია, შრომას მიუჩვეველი ხელისგულები ცოლ-ქმარს დიდხანს ეწვოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, კმაყოფილნი იყვნენ მოსავლის ბარაქით.

ცოლ-ქმარს ძველი ქონი არ დაკლებია, სასაფლაოზე მოწეული ჭირნახული წლიდან-წლამდე ყოფნიდათ სარჩოდ. ბევრი სიარულის გამო ესტატე ცოტა გალახული იყო, თუმცა სეფისკვერის მსგავსი ლოყები ისევ უღაღაქებდა და შეკრეჭილი წვერი ძლივს უფარავდა ყაპოს.

ბოსტანში გარჯის შემდეგ და საოჯახო საქმიდან მოც-

ლილი კესო ესტატეს დაბრუნებამდე ხშირად ირთობდა თავს ეპიტაფიების კითხვით. ყველაზე მეტად ერთ წარწერას კითხულობდა. ეს წარწერა ამოკვეთილი იყო შავ მარმარილოს ქვაზე, რომელიც უკანა კედელს, შუა ალაგას, თითქო განგებ, ცერაღმა ჰქონდა დატანებული და უფრო მკაფიოდ ჩანდა.

ასოებს მხოლოდ აქა-იქ ეტყობოდა ვარაყი, რაც ლამპის შუქზე, შავ მარმარილოსთან ერთად, უცნაურად ბრჭყვიალებდა.

მარტოობით მოწყენილს რომ არ დაძინებოდა, კესო ხანდახან ამ წარწერას ხმამაღლა კითხულობდა:

„ამა ლოდის ქვეშ განისვენებს თამარ იაკობის-ასული ფეიქაროვი. უფალო, მიიღე მბევალი შენი სასუფეველსა შინა, რამეთუ იგი იყო უცოდველ და უბიწო. დაიბადა ჩყნთ წელსა... მიიცვალა ჩყპბ წელსა...“

შემდეგ იწყებოდა ქართულის რუსული თარგმანი, რომლის ერთი ბწკარი-ღა შერჩენოდა მარმარილოს ამ ნატეხს.

ამასობაში ესტატე შემოაღებდა კარს და კესო იმავე მარმარილოიან კედელთან, მომცრო, უბრალო მაგიდაზე, ვახშამს გააწყობდა. როცა კარგად დანაყრდებოდნენ, ცნობისმოყვარე ესტატე ტყავის ჩანთიდან ამოალაგებდა მეორე დღეს დასარიგებელ ბარათებს და ცოლს წაუკითხავდა ყოველი კუთხიდან მოსულ ამბებს. ბევრ საინტერესო რამეს გებულობდნენ ისინი. ზეპირად იცოდნენ: ვის ვინ უყვარდა ან შორს წასული ქმარი რა საალერსო სიტყვებით იგონებდა ცოლს. ზოგი წერილი მწუხარებით იყო სავსე და ესტატე მისი წაკითხვით უფრო მეტ სიამეს გრძნობდა. ისე იყო გაბოროტებული, რომ გასახარელ წერილებში მიმსგავსებული ხელით უსათუოდ უნდა ჩაემატებია საწყენი სიტყვები. ბოლოს გახსნილ კონვერტებს ოსტატურად დააწებებდა, ზოგიერთს მარკასაც ააცლიდა და მასზე ადრე დაწოლილ კესოს ლოგინში კუნძივით შეუგორდებოდა.

ესტატემ ბევრი გადაკიდა ერთმანეთს, მრავალი შეყვარებულის გული დაამწუხრა უმიზეზოდ და, ალბათ, მთელ ქუთაისს გააგიჟებდა თავისი მზაკვრობით, რომ წერილებით გამოგზავნილი ფულის მითვისებაც არ გადაქცეოდა ნირად. ეს

ბოროტება მალე გამოაშკარავდა, რისთვისაც, უკვე ორი წელია, ნახუცარი ქუთაისის ციხეში ზის.

ესტატეს დაპატიმრების შემდეგ, სმის გამცენად კესომ შეიხიზნა გასაწყლებული და ჯავრით დაპატარავებული მელანია, რომელსაც დღემდე თვალი გზისკენ უჭირავს, მაგრამ არც ოქროპირი ჩანს და არც ძისი მნახველი კაცი.

ქალიშვილთან ხშირად იწყო სიარული ქიოხიამ.

ზაფხულობით მთელი კვირაობით რჩებოდა მასთან, რადგან კათოლიკეთა ძველ სასაფლაოზე უფრო გრილოდა და იმავე დროს იქაურობა სოფელს აგონებდა.

მირიანი კი არ შორდებოდა მომცრო დუქანს, რომლის მეორე ნახევარში ბინა ჰქონდა მოწყობილი. წინ, ქუჩისკენ, უბრალო. ღია დახლზე, ეწყო წურბლებით სავსე რამდენიმე წყლიანი შუშის ქილა, რომლებსაც თავზე მოკრულ ნარმის ნაფლეთებს მირიანი ხშირად უსველებდა.

წურბლების გარდა ყიდდა გუნდა-ლახუსტაკს, ხვარასანს, ბურნუთს და საექიმბაშო წამლეულობას, რომლებიც ზოგი ხის, ზოგი თუნუქის პატარა ყუთებით ელაგა შიგნით, დახლის მეორე ნაწილზე და თაროებზე.

ერთციცქნა დახლში, სადაც ხეირიანად განძრევაც ჭირდა, მირიანი იჯდა შუმიასავით და ელოდა მუშტარს. მაგრამ რაც დრო გადიოდა, ისედაც მცირე მისი შემოსავალი თანდათან კლებულობდა. როცა გამჭვირვალე ქილებში მოსრიალე წურბლების ცქერა მოწყინდებოდა, ბურნუთს ბოლქვად იყნოსავდა, რამდენჯერმე ზედიზედ ცხვირის დაცემინების შემდეგ აცრემლებული თვალებითა და ბურნუთისაგან შეყვითლებული ულვაშებით კარებში აიტუზებოდა.

წურბლების ძველი ვაჭრები მირიანს პირველხანად ალმაცერად შეცქეროდნენ და ერთმანეთს ეფუჩუნებოდნენ:

— ერთი შეხე ამ ტახტის აზნაურს, რას დაემგვანა... არა, ჩვენ რაღა დიდი ხეირი გვაქვს, რომ მაგ სულმკვდარიც შუაში გამოგვეჩხირა!

— ეგონა, წურბლები ოქროს თევზებად იქცეოდნენ, მარა, აგერ, სიმშილით, მგონია, სულიც ძვრება.

— ანასუნ მაგის საქმეს!

ბოლოს ყველანი შეურიგდნენ მის ვაჭრად გახდომას და მეგობრობაც კი დაუწყეს.

მეწვრილმანეების თვალწინ ყოველდღე იკეტებოდა კერძო დიდი სავაჭროები, რომელთა ნაცვლად ხსნიდნენ კოოპერატივებს, ახალი ბრდღვიალა აბრებით. გრძნობდნენ მათი აღსასრულის დღეც ახლოვდებოდა, მაგრამ თავს ზევით ძალა არ იყო და გამოცალიერებულ დუქნებს უკვე დაკარგულად თვლიდნენ.

დამწუხრებულებს ხანდახან თუ მოგვრიდათ ღიმილს კუდზე თუნუქგამობმული ძაღლი, რომელიც თავპირისმტვრევით გამორბოდა ზევიდან. დაფეთებული ძაღლის წკმუტუნთან ერთად ისმოდა არტელების გარეთ დარჩენილი, ჯერ კიდევ ხუმრობის გუნებაზე მყოფი თერძების და ხარაზების ხარხარი, აგრეთვე გულიანად იცინოდნენ სამართებლით ხელში სადალაქოებიდან გამოცვენილი დალაქები და კარებზე მომდგარი ლოყებგასაპნული მუშტრები.

დაწყნარების შემდეგ მირიანის მეზობლები იგონებდნენ ძველ დროს, როცა ასეთი სეირი ხშირი იყო და უდარდელებს ჯიბეები ოქროებით სავსე ჰქონდათ.

მირიანი წუხდა, რომ სოფელში ყველაფერი გაყიდა და ქალაქში გაძაღლებულ ცხოვრებაში ჩავარდა, მაგრამ როდესაც კოლექტივიზაცია მთელ საქართველოს მოედვა, მაშინ თავი დიდ ჭკუიან კაცად ჩათვალა და დამშვიდდა.

ქიონია ხმირად ეტყოდა ქმარს:

— რას იხჩობი, ნეტავი, აქ, წამოდი იმ გოგოსთან, ცოტა სულს მოითქვამ!

მაგრამ მირიანი გულაყრილი იყო შვილზე იმისათვის, რომ მან დაუჯერა ესტატეს და ხოსროსეული სახლის ჩამორთმევის შემდეგ ცალკე ცხოვრება ისურვა. ამის გამო მირიანმა დაიფიცა, სიძე-ქალიშვილის ახალ სამყოფში არასოდეს დაედგა ფეხი, და ფიცს მტკიცედ ინახავდა.

რაც შეეხება ბოჩის და ირმას, ისინი დიდხანს დარჩნენ წისქვილში, თუმცა ბოჩის იქ გული აღარ უდგებოდა. დაბმული მოზვერივით გრძნობდა თავს. მას უნდოდა გასულიყო ახალ ქვეყანაში და მის შენებაში მიეღო მონაწილეობა, მაგრამ ირმას კვლავ ეძნელებოდა ყველას დასანახი ცხოვრება და ბო-

ჩიც ითმენდა. ბოჩის სათნოებით იარებმოშუშებული ირმა დღე-ღამ თავს ევლებოდა ქმარს და სამ ვაჟს. ბოჩის სიხარულიც უსაზღვრო იყო: ხანდახან, როგორც დათვი თავის ბელებს, ისე დაუწყებდა ბავშვებს თამაშს.

ღვიძლი შვილებიდან არ არჩევდა გერს, რომელიც თანდათან როინს ემსგავსებოდა. ეს ბოჩისთვის შეუმჩნეველი იყო, მაგრამ უფროსი შვილის სახით ირმას ყოველთვის თვალწინ ედგა ჭიაკოკონას ირგვლივ მარბენალი პატარა როინი.

ირმას გულს უკლავდა ის გარემოება, რომ ბავშვმა არ იცოდა, ვინ იყო მისი ნამდვილი მამა. არც როინმა იცოდა, თუ შვილი ჰყავდა. ხოლო ბოჩის ეგონა, რომ გერი ოქროპირს ეკუთვნოდა.

ბოლოს, როგორც იყო, ბოჩიმ დაიყოლია ირმა და სოფელ ძმუისში გადასახლდა სიმამრთან. ცაგახსნილ თეოფილეს სიხარულის ცრემლები დიდხანს არ შეშრობია.

მამასთან ერთად ირმაც ბავშვივით ქვითინებდა და იგონებდა მის უნახავად გარდაცვლილ ანუსის.

ბოჩის ხელი მაშინვე დაეტყო თეოფილეს ქოხს, ერთ ნაბდისხელა ეზოს და მთელ სოფელსაც. არც ერთი სასოფლო საქმე აღარ კეთდებოდა უმისოდ. ბოჩი იყო ყველაფრის სულისჩამდგმელი და თაოსანი.

— სად იყო ეს ოჯახქორი ამდენხანს!

— ,ცხონდა მაგის მშობელი, კაცი მაგისთანა უნდა.

— ბევრი სიმწარე ნახა თეოფილემ, მარა სიბერე თაფლად ექცა და ესაა! — ამბობდნენ ბოჩის გარჯით გახარებული გლეხები.

ოკრიბაში ბოჩი იყო კოლექტივიზაციის პირველი მერცხალი. ყველაზე წინ მან ამოყარა ყორღნები, მან მოშალა სამნები და მოარღვია ღობეები.

ახლა ბოჩი ოკრიბის რაიონული აღმასკომის თავმჯდომარეა და გაორკეცებული ენერგიით მთელ ოკრიბას უპირებს გარდაქმნას.

* * *

დასასრულ:

„წითელი და შავში" სტენდალის ნათქვამი, თითქოს მხატვრულ ნაწარმოებში პოლიტიკაზე ლაპარაკი ისეთი იყოს,

როგორც კონცერტში თოფის სროლა, არაა მართებული. მიუხედავად ამისა, „ჭიაკოკონაში" ვერაა პოლიტიკური მოვლენები სათანადოდ გაშუქებული, არც თუ ახალი ქუთაისი და სოფლად მომხდარი ძვრები დამიხატავს მკვეთრი ფერებით; ეს იმიტომ მოხდა, რომ მე თითქმის უცვლელად დავწერე როინ ზაუტაშვილის, ჩემი სახლიკაცის — ბოჩი გვეტაძის და აწ მისი მეუღლის — ირმას მიერ სხვადასხვა დროს და ცალ-ცალკე ნაამბობი.

აქვე უნდა ვაღიარო, რომ ნამდვილი გვარებით ხსენებულ პირთა ცხოვრების ასე საქვეყნოდ გამომზეურება, ჩემი მხრით უთუოდ კადნიერებაა, რისთვისაც ბოდიშს ვიხდი მათ წინაშე.

1931—32 წწ.



# ლაშაური სალამოები

ჩემი გულითადი მეგობარი, პოეტი ლაშა თვარელი, უეცრად მძიმე ავად გახდა. რაც დრო გადიოდა, მისი მდგომარეობა უარესდებოდა. ექიმებმაც დაკარგეს თითქმის იმედი, მაგრამ, ყველას გასახარად, შემოდგომის მიწურულს ლაშა ერთბაშად მომჯობინდა.

სნეული მალე ისე წამოვიდა, როგორც წყაროს თვალი დიდი გვალვის შემდეგ. იმავე დროს ვატყობდით, რომ სავსებით მის განკურნებას და ფეხზე წამოყენებას კიდევ კარგა ხანი დაჭირდებოდა, ამიტომ ვცდილობდით, მოელა არ დაკლებოდა.

ლაშა ერთი კაკალა კაცი იყო.

რიგრიგობით ვუთევდით მეგობრები ღამეს.

როცა თვალსაჩინოდ მოღონიერდა, მხოლოდ მაშინ ვიწყეთ მის ბინაზე ერთად შეკრება.

ბინა ხალვათი და მყუდრო ჰქონდა ლაშას, თანაც დასამხარ ალაგს.

მაღალჭერიან და ფართოფანჯრებიან ოთახში ცოტა, მაგრამ იშვიათი ნივთები ისე ელაგა, რომ მათი დანახვა ყოველთვის საამო და მიმზიდველი ყოფილიყო.

ერთი საგანი უხილავი ძაფით იყო დაკავშირებული მეორესთან, მეორე — მესამესთან და, ამგვარად, თითოეული მათგანი წარმოადგენდა ოთახში შექმნილი ჰარმონიული მთლიანობის განუყოფელ ნაწილს.

ყველაფერს ემჩნეოდა ფაქიზი ხელი.

მე ვიცოდი, თუ ამავე ხელმა როგორ უწყალოდ გაიმეტა ლაშას გული და ამიტომაც თვალს ვარიდებდი ნივთებს, რომელნიც ახლა წარმოადგენდნენ დაკარგული სიყვარულის პატარა ძეგლებს, დაფარულებს მსუბუქი მტვერით.

დამტვერილიყვნენ თაროებზე ძვირფას ყდებში ჩასმული წიგნებიც, მათ ყუებზე მოოქროვილი წარწერები დიდი ხანია

არ გაუფერავს ნაზი დიასახლისის ხელს ხავერდის ნაჭრით, არც ლაშას გადაუშლია მათი ფურცლები.

მზისა და სიხარულის, სილამაზისა და სიყვარულის პოეტი გაძვალტყავებული იწვა მაღალთავებიან წითელი ხის ლოგინში და ისე უსუსური გამხდარიყო, რომ საბნის სიმძიმეც ცი ტკივილს გვრიდა.

მის უმწეობას მალავდა შირმა, რომლის აღება რამდენჯერმე ვცადე, მაგრამ ყოველთვის უშედეგოდ.

შეიძლება ლაშა ამ შირმას უფრო იმიტომ არ ელეოდა, რომ ეს ფარშავანგის ბოლოსავით გაშლილი და ფორეჯებიანი აბრეშუმი არაერთხელ ყოფილა მისი უსაზღვრო ბედნიერების მოწამე, და, ალბათ, მას უნდოდა, იგივე შირმა ჰქონოდა სხვებისთვის გაუგებარი მწუხარების დასაფარავად.

მაგრამ, როცა დავრწმუნდი— ხიფათი აშორებული იყო, ვიძალე და შირმა მარაოსავით დავკეცე.

ეს ურჩობა ლაშამ მალე დამიმადლა: ოთახში მეტი სინათლე დადგა და თვითონაც შეღავათი იგრძნო.

იანვრის დამლევს სუსხიანი ამინდი დაიჭირა. რამდენიმე დღის მერე მოთოვა კიდეც. მეგობრებმა ლაშას ლოგინის ახლო, ყრუ კედელში, ჩუქურთმებიანი ქვებით ნაგები განიერი ბუხარი გავაჩაღეთ და კიბორჩხალა ჭაღს ლილისფერი ჩარსავი შემოვახვიეთ.

ლურჯი შუქი ოთახში ზღაპრულ ფერად დაიღვარა.

ლაშას შესაქცევად მისული მეგობრები ხშირად ვბაასობდით პოლიტიკაზე, ქვეყნის ჭირ-ვარამზე, პოეზიაზე, ქალებზე, ახალ ოჯახზე და ვინ იცის, კიდევ რაზე. პაექრობაში ზოგჯერ ლაშაც ჩაგვერეოდა და მისი ხმის გაგონება ხალისს გვმატებდა.

ხან რომელიმე ჩვენგანი კითხულობდა ახალ ლექსს თუ ნოველას და ამგვარად საღამოს გატარება გადაუჩვეველ ზნედ გვექცა.

ასე მიდიოდა დრო.

ლაშამ ოთახში დაიწყო სიარული.

დღით, მარტომყოფი, ფანჯრიდან გაცქეროდა თოვლით დაფარულ მახათის გორებს, მლაშე ტბის იქით მდებარე უნა-

გირა მთებს და თვალს ადევნებდა ცაში ჩხავილით მფრინავ ყვავებს.

მის ბინამდე ვერ აღწევდა ქალაქის ხმაური: ირგვლივ დამ-კვიდრებული მყუდროებით თავმობეზრებული, მოუთმენლად ელოდა ჩვენს მისვლას.

საღამოს შეკრებილი მეგობრები კვლავ ვაბაძდით მუსაიფს მოგიზგიზე ბუხართან.

ერთხელ ლაშამ გვირჩია, რომ ყოველი შეკრების დასას-რულს მორიგეობით გვეთქვა რაიმე ამბავი.

ყველას მოგვეწონა ეს აზრი.

დავასკვენით, რომ პოეტების ასეთი სერობა მოგვეწყო მხოლოდ დასასვენებელი დღეების წინ. თანაც ამ საღამოებს, მეგობრის საამებლად, ვუწოდეთ „ლაშაური საღამოები“.

წილიც ვყარეთ:

პირველად ამბავი უნდა მოეთხრო გულბათს.

1)

ბარაქიანად თოვს. რუსთაველის პროსპექტის ორივე მხრივ ჩამწკრივებული ხეები ისე არიან დათოვილნი, თითქო თეთრ ნაბდებმოხურული გოლიათები იდგნენ.

ელექტროშუქზე თოვლის ფანტელები სპეტაკი პეპლები-ვით ირევიან. თუ მთელ ღამეს ასე ითოვა, ხვალ ვერცერთი ავტომობილი გარაჟიდან ვერ გამოვა.

თუმცა ასეთ ამინდში მე ფეხით სიარული მირჩევნია.

ახლაც ბავშვივით მინდა გავგორდე ამ თეთრ მინდორზე და თოვლის ფიფქში ამოვიგვარგნო.

ნელა მივდივარ.

შესანიშნავი ღამეა.

არა მგონია, თბილისის ბადალი ქალაქი სადმე იყოს.

აქ ზამთარიც სხვანაირი იცის.

მეტწილად შემოდგომის ღამეებია თბილისში აუწერელი.

მაგონდება ერთი პატარა ლექსი:

ცაზე ღრუბლები ისე აწყვია
და ცას მოუსხამს იმდენი მარწყვი,

ისე ჰკიდია მთვარე ერთ ალაგს,
მთვარე იმგვარად ეფრქვევა ქალაქს,
თითქოს ქარვაა გამონახადი
და ფიროსმანის არის ნახატი.

ბესიკის ქუჩის ყელში შეგროვილი ხალხი გაფაციცებით უცქერის ავტომობილს, რომელსაც წასვლა ვერ მოუხერხებია, რადგან თოვლზე აცურებული მისი ბორბლები ერთ ადგილზე ბზრიალასავით ტრიალებენ.

— რა ჯობია მარხილს და მასში შებმულ ეჟვნებიან ცხენებს, — ჩაილაპარაკა ვიღაც მოქალაქემ. დავაკვირდი: ნაცხოვრებ კაცს ჰგავდა და ახლა წარსულის მოგონებით ედგა მხოლოდ სული. რამდენი სინანული და შური იფარებოდა მის კილოში.

ძნელია სიბერე...

ამიტომ ახალგაზრდამ არც ერთი წამი არ უნდა დაკარგოს ტყუილად, უსიყვარულოდ.

ჩქარა, თორემ წავიდა
ჩვენი ახალგაზრდობა!

ვამბობ ლეონიძის სტრიქონებს და გზას განვაგრძობ.

უეცრად მუსიკის ხმებმა შეარხიეს ტყვიისფერი ჰაერი. მუსიკა ომახიანმა სიმღერამ შეცვალა და მალე წითელარმიელების გუნდი გამოჩნდა. შევჩერდი, ქართული ჰანგის მელოდიურობა, სიფიცხესა და მჭექარობაში გადასული, ერუანტელს მგვრის.

ეს წითელარმიელი ბიჭები ახალი ქვეყნის, ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს არწივები არიან. ვინა თქვა, ქართული მოდგმა დაბერდაო! სისულელეა, დეგენერატების ფილოსოფიაა.

აბა შეხედონ ამ ვაჟკაცებს! ადლიან ბეჭებს, მგლის მუხლებს, მათი ტანების მიმოტანას.

— რა კარგად მღერიან! — მომესმა ქალის ხმა. ის ჩემს გვერდით იდგა. გაკვირვებით შევხედე. გამიღიმა. თითქოს ნაცნობია. სად მინახავს, ვინაა?

მაგონდება:

ზამთრის ღამე. მთვარე კაშკაშებს. ყინავს. მოლიპულ პროსპექტზე ახალფეხადგმული ბავშვივით მიდის ყმაწვილი

ქალი. შორიახლო მივყვები. გვიანაა. პროსპექტზე ჩვენ ორის მეტი არავინა ჩანს, ეტყობა, ქალი იჩქარის, მაგრამ სიარულს ბარაქას ვერ აძლევს. წამოვეწიე. ერთბაშად ფეხი აუცურდა. მყისვე მივეშველე. მორცხვად მიხდიხ მადლობას. ვთხოვ, ნება დამრთოს სახლამდე მივაცილო. შედგა, წარბები შეიკრა, მაგრამ ჩქარა გაუარა ჭმუნვამ, ღიმილით მომცა დასტური. მხარში შევუდექი: მისმა ტანის სითბომ ტერფებამდე ელვასავით დამკრა. თანდათან ვეჩვევით ერთმანეთს. ლაპარაკი აღარ გვიჭირს. გამოირკვა — მიცნობს, თურმე. თვითონ ინჟინერი ყოფილა. ზეინაბი ჰქვია. წაქცევის შიშით ჩემს მკლავზე სავსებით დანდობილი — სუფთა, საამური ქართულით ლაპარაკობს პოეზიაზე, მეკითხება თუ რას ვწერ, რა არის ახალი მწერლობაში.

შევყევით ჭავჭავაძის ქუჩას.

უცნაური რაღაც მემართება: ამ სუსხში ტანზე ალი მედება. თვალები მიბრჭყვიალებს. ის გულუბრყვილოდ განაგრძობს მუსაიფს. მოულოდნელად თავს ვუჭერ და შეცივებულ ტუჩებში ვკოცნი. შემკრთალი, ჩემი თავხედობით გაოცებული ქალი ხელიდან მისხლტება და კედელს ეყრდნობა.

ვამჩნევ, თვალებში ნამი უდგება.

ვგრძნობ დანაშაულს და ვეხვეწები მაპატიოს. ალბათ, ჩემი მუდარა იმდენად ალალია, რომ ზეინაბი მალე იბრუნებს გულს და კვლავ მაძლევს ნებას მხარდამხარ გავყვე.

უხმოდ განვაგრძობთ გზას.

— ამასწინათ თქვენი ლექსების წიგნი წავიკითხე, — არღვევს სიჩუმეს ის და ზოგიერთი ლექსის შესახებ მსჯელობას მიმართავს. მისაყვედურებს, რომ ჩემს ლექსებში ისე სჭარბობენ ძველი სახეები, ძველი მეტაფორები, რომ ახალი თემები არ მაქვს დაძლეული და სისრულით ასახული.

მაკვირვებს მისი გემოვნება, ცოდნა და ოპტიმიზმი.

წყენამ სავსებით გაუარა. თითქოზს, ჩვენს შორის არაფერი მომხდარიყოს. უბრალოდ და უფრო თამამად მელაპარაკება, მხოლოდ ხანდახან ისეთი თვალით შემომხედავს, რომ სირცხვილი მწვავს.

— აი, მივედით კიდეც, — რაღაც სინანულით ამბობს და ჩერდება, თანვე კრძალვით უმატებს, — თუ არ იჩქარით, შე-

მობრძანდით, ოთახში განვაგრძოთ ბაასი, ღამე მაინც დიდია.

— სხვა დროს გეწვევით, ახლა გვიანა, — წამომცდა უარი ასე მოულოდნელი დაპატიჟებით გაკვირვებულს.

— არა უშავს...თქვენ აქ დამიცადეთ! მე ეზოდან შევირბენ შინ და კარს ახლავე გაგიღებთ, — თქვა და მარდად შევიდა იქვე ჭიშკარში.

მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ, უცნაურმა მასპინძელმა კარი საიდუმლოდ გამიღო და ჩუმად მითხრა:

— წინა ოთახში დედაჩემს ძინავს. მოხუცია, ფრთხილი ძილი იცის. რომ არ გავაღვიძოთ და უფრო თავისუფლად ვიყოთ, ფეხსაცმელები გაიხადეთ და ნელა მომყევით. მე უკვე ქოშები მაცვია.

მის ხმაში იმდენი ანდამატი და დაპირება იყო, რომ დაუფიქრებლად დავემორჩილე.

ცალ ხელში კალოშებიანი ფეხსაცმელები დავიკავე, მეორე ზეინაბს ჩავჭიდე და, წინდების ამარა, ბრმასავით წავყევი.

ფეხაკრეფით ავედით მოკლე კიბეზე, ასევე ქურდულად გავიარეთ ბნელი დერეფანი, მერე სადღაც შევედით. გული ბუდიდან მივარდება. ბოლოს შევჩერდით, ზეინაბი ელექტრონის ღილს შეეხო, მაგრამ შუქის ნაცვლად თავზე მეხი დამეცა: ელექტრონის სინათლეს საოცარი ხარხარი მოჰყვა — დარბაზში გაშლილ გრძელ სუფრასთან ორივ მხრივ მწკრივად მჯდომარე უთვალავი ქალი და კაცი მოგვჩერებოდა ჩვენ და მთელი ხმით იცინოდა.

იცინოდა ზეინაბიც.

რამდენჯერმე დავხუჭე თვალები და გავახილე. როცა დავრწმუნდი, ყველაფერი ცხადი იყო, ვცადე უკანასკნელი ღონის მოკრეფა და გაქცევა, მაგრამ ვერ შევძელი.

შემატყვეს, ვკვდებოდი ადამიანი, და შეწყდა სიცილი. წამოიშალნენ ყველანი, ირგვლივ შემომეხვივნენ. დამსვეს, დამიწყეს დამშვიდება და ალერსი.

ასეთი ხუმრობის შედეგით შეწუხებული ზეინაბი მუხლებზე დაეცა და თავისი ხელით ჩამაცვა ფეხსაცმელები. შემდეგ კისერზე მომეხვია და პატიება მთხოვა.

მე არაფრის თავი აღარ მქონდა, ძლივს ვითქვამდი სულს.

როგორც იქნა, მოვედი გონს. უსიტყვოდ წამოვდექი და

ყვლავ დავაპირე წასვლა, მაგრამ მასპინძლები წინ გადამიდგნენ.

ერთმა ქუდი მომხადა. მეორემ პალტო.

ზეინაბი კარებს აკვროდა და აცრემლებული თვალებით მიცქეროდა.

უარი არ გამივიდა. დავრჩი.

მე და ზეინაბი ერთად დაგვსვეს სუფრასთან. როგორც დაგვიანებულ და უცნაურ სტუმრებს, ახალგაზრდა დიასახლისი თავს გვევლებოდა.

— სრულებით არ ჰგავს თინა პატარძალს, ხომ? — მორიდებით მანიშნა ზეინაბმა დიასახლისზე, — ჩვენ მის ქორწილში ვართ. ბავშვობის მეგობარია ჩემი.

გაჩაღდა შეწყვეტილი ლხინი.

თანდათან დამიბრუნდა ძველი იერი და სითამამე.

— ჩვენ ახლა ბარდაბარ ვართ. მაშ, როგორ გეგონა, ძალით კოცნას ისე იოლად შეგარჩენდი? — უცებ ღიმილით მითხრა ყურთან ზეინაბმა და ნათელ საფეთქელთან ჩამოშლილი თმა გაისწორა.

ეს იყო დიდი ხნის წინათ.

* *

— ნუთუ ეს ქალი ზეინაბია? — ვფიქრობ და თვალს არ ვაშორებ.

— მართლა ვერ მიცანით? ასეთი გულმავიწყობა გაგონილა? — თითქმის წყენით მეუბნება ის.

— როგორ არა, როგორ არა! — სწრაფად ვეუბნები მოგონებით გაოგნებული და ხელს ვუწვდი, — იმ ქორწილის შემდეგ თქვენს თავს რა დამავიწყებს, ზეინაბ.

— გეტყობათ, კიდევ ჯავრობთ! მე კი მეგონა, ყველაფერი მაპატიეთ. დიდი გულჩახვეული კაცი ყოფილხართ. რამდენჯერმე მინდოდა მას შემდეგ თქვენი ნახვა, მაგრამ ბოლოს ისე უეცრად მომიხდა ქალაქიდან წასვლა, რომ განზრახვა შეუსრულებელი დამრჩა, — ხალისიანად, უბრალოდ მითხრა ზეინაბმა და თვალი გამიმართა.

გრძელ წამწამებსა და მოშვილდულ წარბებზე თოვლის ნამცეცა ფიფქი ეყარა.

ხოხობიც მოიჩრდილებდა
მისი თვალ-წარბის ჩრდილშია.

ამ ქალზეა სწორედ გამოთქმული. ტუჩ-კბილიც როგორი აქვს! გაოცებული ვუცქერი, თითქოს ის არ უნდა იყოს, ვინაც მგონია.

წყვილად გავყევით პროსპექტს.

ტანზე შევავლე თვალი — მაღალი თეძოები ოდნავ ერხეოდა ვიწროდ შეკერილ თუთუნისფერ პალტოში.

„ალალი იყოს შენზე იმღამინდელი ჩემი შერცხვენა", — ვთქვი გულში და მკლავი მკლავში გავუყარე.

მივდივართ ნელა და სიცილით ვიგონებთ ჩვენს პირველ ნაცნობობას: მის შურისძიებასა და უცხო ოჯახში ჩემს კომიკურ მდგომარეობას.

მასთან მუსაიფში გართულს ერთბაშად გამახსენდა, რომ „ლაშაურ საღამოზე" ვარ წასასვლელი და საგონებელში ჩავვარდი, — რომელი დავთმო, არ ვიცი: ზეინაბი თუ ბუხართან მეგობრების გვერდით მოსალოდნელი სიამე.

კარგა ხანს ვიყოყმანე. ბოლოს გავუტყდი ჩემს თანამგზავრს და თანაც ვთხოვე ისიც წამოსულიყო.

— სამაგიერო ხომ არ გინდა გადამიხადო? — შემეკითხა ცბიერად.

როგორც იყო, დავარწმუნე ჩემი განზრახვის სიწრფელეში. მალე ნებას დამყვა და ორივე გავეშურეთ ლაშას ბინისაკენ.

გაუფრთხილებლად შევაღე კარი.

ჩემს მეტი ყველა იქ იყო.

ერთხმად მისაყვედურეს დაგვიანება, მაგრამ როცა ჩემს გვერდით უცხო ქალი დაინახეს, მაშინვე წამოიშალნენ, თავაზიანად მოგვეგებნენ, პალტოები მოგვხადეს და ბუხართან ახლო დაგვსვეს.

ზეინაბის იერმა და საამურმა საუბარმა ყველა მოხიბლა. განსაკუთრებით მოეწონათ მისი ვაჟური, სადა სითამამე და ცეცხლი, რაც ისე ჰქონდა შეხამებული ქალურ კდემამოსილე-

ბასთან, რომ პირველი ნახვისთანავე ადამიანს იპყრობ-
და.

ცოტა ხნის განმავლობაში მან ბევრის თქმა მოასწრო. რა-
ტომღაც ჩემი მეგობრები გაოცებული დარჩნენ, როცა გაიგეს,
რომ ის ინჟინერია და უკვე რამდენიმე წელიწადი იქნება,
რაც რიონჰესის მშენებლობაზე მუშაობს.

მერე და როგორი სიყვარულით და ექსტაზით ყვება ამ
სადგურის აგების ეპიზოდებს, რა ხატოვანი სიტყვებით აგვი-
წერს მომავალი ქუთაისის გარემოს!

როგორი ნათელი გონებითა და დაკვირვებით აფასებს
მოვლენებს. ჩვენ წინ ზის ლამაზი ქალი, მაგრამ არა ისეთი,
რომლის საზრუნავი საგანია მხოლოდ ტუალეტი. არც ისე-
თი, რომელსაც დაკარგული აქვს ქალის იერი და ყველაფერ-
ში მამაკაცს ბაძავს.

ლაშა ხარბად უსმენს სტუმარს.

„ამ ეპოქის ქალი სწორედ ასეთი უნდა იყოს, — ვფიქ-
რობ მე, — როგორიც აგერაა და ბავშვური გულწრფელო-
ბით იცინის“.

ერთი შეხედვით კაცს ეგონება, რომ მას თავისი ვარდის-
ფერი ფრჩხილების მოვლისა და რომანების კითხვის მეტი
ჯერ თითქოს არაფერი ეკეთებიოს, მაგრამ ნამდვილად რამ-
დენჯერ გაუთევია, თურმე, თეთრად ღამე, რომ ვადაზე ად-
რე დამთავრებულიყო რიონ-ჰესის გვირაბის გათხრა.

რაც დრო გადის, უფროდაუფრო მეტ მოწიწებას ვგრძნობ
ამ ოშვიათი ქალისადმი და თვალს ვეღარ ვაშორებ მზისაგან
ოდნავ გარუჯულ მის პროფილს, რომელიც ბუხრიდან გამო-
ცემულ ელვარე შუქის ოვალში ახლა ასე სათნო ჩანს.

ზეინაბმა პაპიროსისათვის ჩანთა გახსნა, თვალი მოვკარი
პატარა რევოლვერის პრიალა ლულას და გავკვირდი. მან ეს
შემატყო, ჩანთა მშვიდად დახურა და ცეცხლი მთხოვა, თა-
ნაც ღიმილით ცნობისმოყვარეობა მისაყვედურა. ნირწამხ-
დარმა თხელი რკინის საკეცით ნაკვერცხალი მივაწოდე და
ჩუმად, ჩემდაუნებურად, რაღაც უხეირო ქათინაური ვუთხა-
რი.

ვიგრძენი, არაფრად ეჭაშნიკა ჩემი ქცევა.

უხერხულობის გასაქარწყლებლად წამოვდექი, პატარა მა-

გიდა ბუხართან მოხერხებულ ადგილას დავდგი, შემდეგ ზეინაბს ხუმრობით დიასახლისობა შევთავაზე.

ხალისით იკისრა. ბუხრის რაფაზე მოხაზირებული რამდენიმე ბოთლი ტკბილი სასმელი და სინი ხმელი ხილით მაგიდაზე ფაქიზად დააწყო. მომცრო სასმისები შარბათით აგვივსო და სავარძელში ისევ ჩემს გვერდით დაჯდა.

მალე ეს უცხო ქალი ჩვენი სერობის თანაბარ მოზიარედ მივიჩნიეთ და ჩვეულებრივ დავიწყეთ მუსაიფი. მაგრამ ჩვენი კილო აღარ იყო ჩვეულებრივი. თითოეული ჩვენგანი ცდილობდა ლამაზად ელაპარაკა, საგნის ცოდნა გამოეჩინა და ზედმეტი არაფერი ეთქვა.

ამ ქალმა ჩვენს თავყრილობაშიც საარაკო წესრიგი დაამყარა, საუბარი საინტერესო გახადა.

ბოლოს, დათქმისამებრ, გულბათს ამბის მოყოლა ვთხოვეთ.

## ზღვა და სიყვარული

— ამბავს, რომელსაც მე თქვენ მოგითხრობთ ახლა, — თქვა გულბათმა წყნარად, — და რომელიც მოხდა ამ ნახევარი საუკუნის წინათ, თუ უფრო ადრე, შეიძლება ვუწოდოთ „ზღვა და სიყვარული“:

რომელიღაც წიგნში წამიკითხავს, რომ სიყვარული თვითონ სიცოცხლეა, დანარჩენი მისი სამკაული — ზოგი ცუდი, მდარე, ზოგიც ბრწყინვალე და ძვირფასი.

მე ვფიქრობ, ეს ხალასი ჭეშმარიტებაა. მე იმასაც კი ვიტყოდი, რომ თუ სიყვარულის გრძნობა ნამდვილად ყველა გრძნობაზე უფრო სათუთია, ფაქიზი, იმავე დროს იგი უფრო მიწიერიცაა, მაგრამ ეს სრულებით არ ამცირებს მის მადლს, მის ცხოველმყოფელობას.

სიყვარული ადამიანს ძალას მატებს, ცხოვრებას აზრსა და ლაზათს აძლევს.

ცხადია, სიყვარული არაა მარტო შიშველი ვნების, ხორციელი აღტყინების დასაკებელი რამაა. თუმცა სქესი მისი პირველი წყაროა, მაგრამ სიყვარული მაშინაა მხოლოდ სრულყოფილი და დიადი, როცა საქმე გულსაც ეხება.

და თუ მართლა გული მთელი თავისი მგრძნობელობით

ღებს მონაწილეობას სიყვარულის ურთიერთობაში, მოსალოდნელია ბწკავე და ზოგჯერ აუტანელიც გახდეს სატრფოს დაკარგვა ან ღალატი. ამავე დროს, უმართებულო იქნებოდა დაგვესაჯა ვინმე იმისათვის, რომ თქვას: მიყვარდა, მაგრამ ალარ მიყვარს, ან: მიყვარდა, მაგრამ ახლა სხვა მიყვარს.

განსაკიცხია მხოლოდ ის, ქალი იქნება თუ კაცი, ვინც სიყვარულს მრუშობად აქცევს.

— თუ ძმა ხარ, დაანებე თავი ფილოსოფიას, — მკვახედ ესროლა მოთმინებადაკარგულმა პაატამ, — შენი ამბავი გვითხარი.

— მგონი, განაგებად ვლაპარაკობ... და ერთხელ კიდევ ვამბობ: უკადრისი და არაკეთილშობილური ქცევაა, მიუტევებელია, როცა ცდილობ დაარწმუნო ერთი შენს გულწრფელობაში, ნამდვილად კი სხვა გიყვარს ან სრულებით არავინ გიყვარს. ვიმეორებ, ეს ჭურდობაა და, როგორც ყოველგვარი ქურდობა, იგიც უნდა იქნეს დაგმობილი. თქვენ ამაში სავსებით დამეთანხმებით, როცა ჩემს წილად სათქმელ ამბავს ბოლომდე მოისმენთ.

უფრო მოხერხებულად დავლაგდით და დავჩუმდით.

გულბათმა დაიწყო:

— შოთას ენით რომ ვთქვათ, ვარდის ფურცლობისას ევროპიდან დაბრუნდა ახალგაზრდა ილია, თავის ასაკთან შედარებით, კაცი დიდად განსწავლული.

მაგრამ ერთი ნაკლი ჰქონდა: ცხოვრებას უცქეროდა ფერადი შუშით და ამიტომაც ხშირად უფრო გულის კარნახით მოქმედებდა, ვიდრე გონების რჩევით.

ბავშვური გულწრფელობით ბრწყინვალე სურვილებს აყოლილი ანგარიშს არ უწევდა გარემოებას, არც იმ პირობებს, რომლებშიაც უხდებოდა ყოფნა.

ილია ცხოვრებაში გამოვიდა იმ დროს, როცა გადაგვარების გზაზე დამდგარი თავადაზნაურობა ქვეყნის საქმეს კიდევ ფლობდა. მართალია, ბატონყმობის ინსტიტუტი გაუქმებული იყო, მაგრამ ხალხი იმყოფებოდა ისევ ძველ, არაადამიანურ მდგომარეობაში, საიდანაც მისი დახსნა მარტო

კეთილი სურვილებით, რა თქმა უნდა, უნაყოფო ცდას წარ-
მოადგენდა.

და ოცნებით გატაცებული ილია მალე მიხვდა, რომ ერ-
თი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანდა.

ის ყოველ ნაბიჯზე ხედავდა თანამედროვეთა ფუქსავატო-
ბას და თანდათან რწმუნდებოდა, რომ მათი უმრავლესობის
ლტოლვის საგანს შეადგენდა მხოლოდ კარიერა და ფიქრი
იმაზე, თუ როგორ დაწინაურებულიყო მეფის სამსახურში,
როგორ მოეწყო საკუთარი ცხოვრება, მოეხვეჭა მოსახვეჭელი.

ზოგი გრძნობდა ხალხის უმწეობას და ცდილობდა ქომა-
გობა გაეწია მისთვის, მაგრამ ისე, რომ თვითონ მას ამით
არაფერი დაშავებოდა. ზოგი კიდევ თვალს ხუჭავდა და ერი-
დებოდა სინამდვილის აშკარად დანახვას.

მოკლედ, ასეთი იყო მეტწილად მაშინდელი მცირერიც-
ხოვანი ინტელიგენცია.

მას არ ჰქონდა ნიშანდობლივი იერიც. რაც დრო გადიო-
და, ინტელიგენცია, ერთეულების გამოკლებით, უფროდაუფ-
რო ითვისებდა უცხო ენას, ზნეს, ბუნებას და, ხან ნებით,
ხან უნებლიედ, სავსებით ჰკარგავდა ნიადაგს.

ილიასა და მისებრ თითო-ოროლა ხალხისათვის ნამდვილ
გულშემატკივრებს ზიზღს ჰგვრიდა ამ უსახო ადამიანებთან
შეხვედრა.

ილიამ გადაწყვიტა — გაცლოდა მათ წრეს და უშუალოდ
გამხდარიყო ხალხის ჭირის მოზიარე, შებრძოლებოდა ხალხ-
ში ფესვებგამდგარ უვიცობას, აეხილა თვალი მისთვის და ამ
გზით თვით ხალხი აემოძრავებია უკეთესი მერმისის მოსაპო-
ვებლად.

მაგრამ ერთმა რამემ დააბრკოლა.

სახელდობრ:

ზაფხული მიწურულიყო.

შემოდგომის წყნარი და თვალღია ღამეები დგებოდა.

ერთ ასეთ ღამეს, გვიან, ილია მარტო ბრუნდებოდა წვე-
ულებიდან.

მთაწმინდას მოსირმული ფაფანაკივით ეხურა ბაკმიანი
მთვარე, მისი შუქი გამდნარი ქარვასავით ლივლივებდა მძი-
ნარე ქალაქის თავზე.

ღვინით შეხურებულმა ილიამ, მაღალი, გახამებული საყელო გაიხსნა, გიშერივით მბ'ხინავი ცილინდრი მოიხადა და ‚ოჯრის ქაცვიანი ნიავით ოდნავ გათოშილი ჰაერი რამდენჯერმე მთელი მკერდით შეისუნთქა. მერე სიონს შეხედა და იქვე ამართულ სამრეკლოს ქვის დიდ სვეტს მიეყრდნო.

დიდხანს უცქირა მჭმუნვარედ სიონის გუმბათს, მასზე ალაპლაპებულ ჯვარს.

ბოლოს ხელი ჩაიქნია და გზას გაუდგა, თანაც დაბალი ხმით ბესიკის ლექსის მღერა დაიწყო:

სევდის ბაღს შეველ შენაღონები;
მოკრეფად მსურდა ვარდის კონები;

ძველი თბილისის ფოლორცებში, დაბალ ორსართულიანი სახლების აივნების ქვეშ ნელა და მჩატედ მიდიოდა, ხანდახან ტანის რწევით.

როცა შუაბაზრის ქუჩის ყელს მიაღწია, მთვარემ პირდაპირ სახეში მიანათა. აქამდე მხარდამხარ მადევარი ლანდი ერთბაშად უკან მოექცა. ილია შეჩერდა. ურჩხულისთავიანი ჯოხი იღლიაში ამოიჩარა და პაპიროსს მოუკიდა.

ამ დროს შემაზრზენი კივილი მოესმა. შეშფოთებულმა მყისვე ირგვლივ მიმოიხედა, მაგრამ ვერავინ შენიშნა. კივილი თანდათან მძაფრდებოდა. ილიამ მთელ ტანზე ეკლების ჩხვლეტა იგრძნო. უეცრად მახლობელი შუკიდან შავი ბოლი ბოლქვად ავარდა. მალე ალიც გაჩნდა და არემარე წითლად აელვარდა.

ილია სწრაფად დაეშვა თავქვე. გაჩირაღდნებულ შუკაში შეიჭრა. ირგვლივ საშინელი ზრიალი იდგა. ფანჯრებზე და აივნებზე საცვლებისამარა გადმომდგარი ქალები ციცი ხმით კიოდნენ, ხოლო კაცები გაუგებარი ყვირილით გამორბოდნენ ჭიშკრებიდან და გზადაგზა იცვამდნენ ტანისამოსს. კარის მეზობლები ავეჯს გარეთ ყრიდნენ, იმავე დროს ცდილობდნენ ცეცხლი მათ სახლებსაც არ გადადებოდა.

ყველაზე გამწარებით და ზარით ცეცხლმოკიდებული სახლის აივანზე მყოფი მანდილოსანი კიოდა. ქალი გიჟივით დარბოდა ერთი კუთხიდან მეორემდე, ხან, მოაჯირზე გადმოკიდებული, საცოდავად ითხოვდა შველას. ილია ატყობ-

და, რომ ეს ორსართულიანი ხის სახლი, მოხარატებული ნვრილი აივნით, მალე იქცეოდა ცეცხლის ზვინად, რის შემდეგაც შიგ მომწყვდეული ადამიანების ფერფლსაც ვერვინ ნახავდა. ილიამ სწრაფად მოისაზრა, რა უნდა ეღონა, როგორ მოქცეულიყო და უმწეოდ მოფუსფუსე ხალხს შესძახა:

— კიბე ვის გაქვთ, კიბე!

საიდანღაც კიბე მოიტანეს.

ვიდრე აივანს კიბეს მიადგამდნენ, ილიამ ცილინდრი და ჯოხი ვილაცას მიაჩეჩა, ფრაკი გაიძრო, თავზე ჩაბალახივით მოიხვია და კიბე მარდად აირბინა.

ჯერ აივნიდან კიბეზე მანდილოსანი ძალის-ძალად გადმოსვა, მერე იქაურობას თვალი მოავლო და ბოლში შევარდა.

მანდილოსანი ნელა ჩამოდიოდა ძირს, თან კიოდა. მიეშველნენ, დამშვიდება დაუწყეს.

რომელიღაც მხარეს სახურავი ჩაინგრა, ცის მლოკავ ალს უთვალავი ნაპერწკალი აჰყვა.

— მზეევინარ, შვილო, მზეევინარ! — შეიცხადა მანდილოსანმა და ლოყები ჩამოიხოკა.

აქა-იქ ქალები ისევ აკივლდნენ.

უცებ, ყველას გასაოცრად, მოაჯირს ილია მოაწყდა, ხელში საბანში გახვეული ქალი ეჭირა.

თავზე საფარად მოხვეული ფრაკი, როგორც იქნა, მოიძრო და გადმოაგდო.

ძვირფასი ნადავლით ხელში, ლომის ფაფარივით თმააყრილი ილია ზღაპრულ კაცს ჰგავდა, რომელსაც ალში შერეულ მთვარის შუქზე შავი, დიდრონი თვალები საოცრად უბრწყინავდა.

მისმა გამოჩენამ ყველას შვება მოჰგვარა.

კიბესთან ერთმანეთზე მიტმასნილმა ხალხმა ილიას გამამხნევებელი და სახოტბო ყიჟინა ატეხა.

ილიამ მოაჯირს გადმოალაჯა. როცა კიბეზე ფეხი კარგად მოიმაგრა, ჯერ იმავე მოაჯირზე, მერე ჩამოვლილ საფეხურებზე ზურგით მიწოლილმა, ფრთხილად იწყო ძირს დაშვება.

თოვლივით თეთრი მისი პერანგის სახელოები ალაგ-ალაგ ცეცხლს ამოეწვა.

ვილაც ახლადმოსული ჭაბუკი შუა კიბეზე შეხვდა მისაშ-

ველებლად, მაგრამ მან მოსალული შეძახილით, რატომღაც, იგი უკანვე ჩააბრუნა.

დაადგა თუ არა ილიამ მიწას ფეხი, წინ შეგებებულმა მანდილოსანმა მის მკლავებზე მწოლარე შვილს მაშინვე სახეზე საბანი გადახადა.

— მზევინარ, მზევინარ! — ტირილით ჩასძახა გულშეწუხებულ ქალს.

ილიას თვალი მოტაცა მისმა მშვენებამ.

— ჩემთან წამოიყვანეთ, დედაშვილობას, ჩემთან, — თითქმის ვედრებით უთხრა ახლა მას შავებით მოსილმა ტანმაღალმა მეორე ქალმა და წინ წაუძღვა.

უცხო ქაბუკმა ერთხელ კიდევ სცადა შენაცვლება, მაგრამ ილიამ კვლავ ჩამოიცილა იგი გზიდან.

ბავშვივით ატატებული ქალი მახლობელ სახლში შეიყვანა და ლოგინზე მზრუნველობით დააწვინა.

რამდენჯერმე ცხარე სურნელოვანი წამლების შესუნთქებისა და წყლის პკურების შემდეგ, მზევინარი მოსულიერდა, გრძელწამწამებიანი თვალები გაახილა, პირველად ილიას შეხედა, მერე დედას გაუღიმა და ისევ მილულა.

ყველანი ფეხაკრეფით გავიდნენ მეორე ოთახში.

შავებიანმა ქალმა ილიას მოწიწებით მიუტანა ფრაკი, ცილინდრი და ჯოხი.

ილია საჩქაროდ მოემზადა წასასვლელად.

დამშვიდობებისას მზევინარის დედამ მადლობის ნაცვლად, როგორც პირმშოს, შუბლზე აკოცა და ალერსით კარამდე მიაცილა.

ილია გახარებული გამოვიდა გარეთ.

უცხო ვაჟი შენიშნა: იგი სახლის წინ მოუსვენრად მიმოდიოდა. პირისპირ შეფეთებულ ჭაბუკს ილიამ, რატომღაც, იქვნეულად თვალი თვალში გაუყარა და მყისვე გვერდი აუქცია.

ხანძარს მიუახლოვდა, შუკა კვლავ სავსე იყო ხალხით. ილიას აქეთ-იქით ქება შეესმა.

ყველამ თავაზიანად დაუთმო გზა.

შუკას გაცილებულმა, თვალი მოჰკრა ქვევიდან მომავალ

რამდენიმე თულუხს და პრიმიტიულად მოკაზმულ ცეცხლის-მჭრობელებს.

— დროზე გეშველათ, დროზე, თქვენ მოდიხართ, — სიცილით ჩაილაპარაკა მან და შინისაკენ წავიდა.

მეორე დღეს სამხრობამდე გვერდშეუცვლელად ეძინა.

საღამოს ილია ყვავილებით ესტუმრა ჯერ კიდევ მისთვის უცნობ დედა-შვილს.

დიდი ხალისით მიიღეს.

მზევინარი ისევ ლოგინში იწვა.

დედამ თბილად უთხრა შვილს:

— ამ ღვთის კაცმა გადაგარჩინა, მზევინარ, გენაცვალე.

მზევინარმა ჯერ გაოცებით შეხედა უცხოდ მორთულ კაცს, მერე მთელი სახით გაუღიმა და მისგან მიძღვნილი ყვავილები ბალიშზე დაიწყო.

მზევინარი ხარბად ყნოსავდა ვარდებს, თანაც დამფრთხალი ნუკრის თვალებით განაგრძობდა ილიას ცქერას.

დედამ იშვიათ სტუმარს მზევინარის ლოგინთან სკამი ახლო დაუდგა, ბოდიში მოიხადა და მეორე ოთახში გავიდა.

ილიამ ქურდულად გადახედა მზევინარს. ქალს გაშლილი შავი თმა ისე ეფინა ბალიშზე, თითქოს მელანი ყოფილიყო დაღვრილი სპეტაკ ეტრატზე.

სახე არამიწიერი სილამაზით ჰქონდა მოსილი. ღიმილისას მარცხენა ლოყაზე პატარა ღრუ უჩნდებოდა, რაც მის უმანკო გამომეტყველებას მეტ შნოს აძლევდა.

ლაპარაკს ვერც ერთი ვერ ახერხებდა. მხოლოდ ხანდახან ბავშვებივით უღიმოდნენ ერთმანეთს.

ბოლოს მზევინარმა დაარღვია სიჩუმე, ილიას მამაცობა შეამკო, თანაც მადლობა გამოუცხადა, რომ მისი გულისთვის ხიფათში ჩაიგდო თავი.

— თქვენ არაფერი გაქვთ სამადლობელი, მადლობელი მე ვარ, რადგან თქვენთვის თავგანწირვამ უდიდესი სიხარული მომანიჭა, — რაღაც უხერხულად თქვა ილიამ.

— არ ამბობთ მართალს. თქვენ ხომ არ იცით, ვისთვის შედიოდით ცეცხლში! — კეკლუცად უპასუხა ქალმა.

— გულმა მიგრძნო.

მზევინარმა ლმობიერად შეხედა მის წინ გულუბრყვილოდ

მოლაპარაკე კაცს, რომელმაც გუშინ საარაკო შეუპოვრობა გამოიჩინა. ქალი თანდათან სათუთი გრძნობით იმსჭვალებოდა ილიასადმი. შეატყო ეს ილიამ და ქალისადმი სიყვარულმა მთელი მისი არსება მოიცვა.

ამ დღიდან მოყოლებული ილიას გული მზევინარის სახლტედ იქცა.

ილია ცდილობდა მუდამ მასთან ყოფილიყო, მისი ტანის სიახლოვე ეგრძნო, მისი უმანკო და საამური ხმა გაეგონა, მის დიდრონ, სასოებით სავსე თვალებში ეცქირა.

■ ■

მზევინარი მალე მოკეთდა.

ფეხზე მყოფი უფრო მიმზიდველი ეჩვენა ილიას.

ერთხელ, როცა ისინი ჩვეულებრივ მარტო დარჩნენ, ილიამ ენისბორძიკით გაუმხილა მას თავისი წადილი და ცოლად წაყოლა თხოვა.

მზევინარი გაფითრდა.

ხმის ამოღება ვეღარ შეძლო. ფანჯრიდან დიდხანს გაცქეროდა იგი ჩამავალი მზით მოვარაყებულ ნარიყალას, ბოლოს სახე ხელებით დაიფარა და უცებ ოთახიდან გაიქცა.

ილია სახტად დარჩა.

ვერ გაეგო, რას მოასწავებდა მზევინარის ასეთი ქცევა.

— ნუ გიკვირს, შვილო, სულ ბავშვია, — მოესმა ჩაფიქრებულ ილიას მზევინარის დედის ხმა, — ისე კი, შენც ხედავ, როგორიცაა, — განაგრძობდა ტკბილად ის და შუა ოთახში გაჩერებულ ილიას კრძალვით უახლოვდებოდა. ამ კრძალვაში მკაფიოდ გამოსჭვივოდა მისი გოროზობა, დედური სიყვარულით გამთბარი, — მხოლოდ ეგ დადის ჩემს ბარობაზე. არც მას ჰყავს ვინმე ჩემს მეტი. ობოლია. მამამისი შამილთან ბრძოლაში დაიღუპა. შენი იღბალი ყოფილა და, თუ მართლა გულით გინდა ცოლად მზევინარი, შეირთე. ჯერ კარგად არ გიცნობ, მაგრამ ვგრძნობ, კეთილი უნდა იყო და ამდენი ვაების შემდეგ თავს უკვე ბედნიერად ვთვლი, — ქალს ხმა აუკანკალდა.

აღტაცებულმა ილიამ ორივე ხელი დაუკოცნა მოხუცს.

დაქორწინდნენ. ილია ორკაცად იქცა და ორკეცი ძალით შეუდგა ახალ ცხოვრებას.

მზევინარს კი, რაც დრო გადიოდა, უხალისობა უფრო და უფრო ეტყობოდა. ფერიც დაკარგა, სილაღეც. ხშირად იყო ნაღვლიანი და მწუხარე. ილია თავს ევლებოდა, ცდილობდა გაეგო მისი კაეშნის მიზეზი, მაგრამ გუმანი ვერაფერზე შეეჩერებია.

მზევინარი ექიმის მოყვანის ნებას არ აძლევდა.

ამ საგანზე სიტყვის გაგონებაც არ უნდოდა.

„იქნებ ორსულადაა და ესირცხვება ექიმის. შეიძლება უგუნებოთაც ამიტომ არის, — ფიქრობდა ილია. — უცხოეთში წავიყვან, გულს გადააყოლებს, თორემ ამ ყოფაში სანთელივით დადნება“, — გადაწყვიტა ბოლოს მან და განზრახული მზევინარს გაუზიარა.

ქალმა თანხმობა განუცხადა.

წასვლის წინ, მზევინარი ვაგონის ფანჯარას მიადგა. ილიამ შენიშნა — ბაქანზე მყოფთა შორის ვიღაცას ქურდულად უცქეროდა იგი.

მატარებელი მალე დაიძრა.

ზამთარი და გაზაფხული საზღვარგარეთ გაატარეს.

მოიარეს საფრანგეთი, იტალია, შვეიცარია.

მზევინარი სავსებით გამოიცვალა, ვარდივით გაიფურჩქნა, ხალისიანი გახდა.

ქმარს გვერდიდან არ იშორებდა. როგორც კი დროს იხელთებდა, მყისვე კისერზე მოეხვეოდა, მთელ სახეს დაუკოცნიდა.

გახარებულ და ბედნიერ ილიას მიწაზე აღარ ედგა ფეხი. სიყვარულით გაბავშვებულს თავი ნეტარ სიზმარში ეგონა. მზევინარის ბაგეთაგან შესმული ნექტარით მთვრალს, ყველაფერი უზომოდ წარმტაცი ეჩვენებოდა.

მაგრამ, როცა ზაფხულის პირველ თვეში საქართველოსკენ იბრუნეს პირი, მზევინარმა ერთბაშად მოიწყინა.

უზრუნველი, ხალისიანი იერი კვლავ დაჰკარგა.

გზაში ავად გახდა. სტამბოლში რამდენიმე დღეს მოუხდათ

დარჩენა. ამ ხნის განმავლობაში მზევინარი ერთხელაც აღარ ამდგარა ლოგინიდან.

მეხდაცემულ ილიას ის უფრო ტახჯავდა, რომ ავადმყოფი წამალს არ იკარებდა, არც ხემსს იღებდა პირში.

სასოწარკვეთილი და გაოგნებული ილია თეთრად ათენებდა ღამეებს მის სასიკუდალთან.

უკანასკნელ ღამეს მზევინარს გვიან ჩაეძინა. ილიასაც აეკერა თვალები. სკადა ფეხაზლად ყოფნა, მაგრამ ვეღარ აიტანა დაქანცულობა, საავარძელში მოკრუნჩხულს, თავი მხარზე დაუვარდა.

როცა თვალი გახილა, ოთახში უკვე მზის სვეტი იდგა. უცებ წამოხტა შემკრთალი. თვალები მოიფშვნიტა და მზევინარს გახედა.

რაღაც ჩაუწყდა მკერდში. გახევდა. კარგა ხანს იდგა სუნთქვაშეგუბებული. მერე ოდნავ გონმოსულმა თვალები კვლავ მოისრისა და ქალს შეეხო.

მზევინარის ხელი ყინულივით ცივი და ნოტიო იყო.

— მზევინარ, მზევინარ! — ერთი საზარლად დაიღრიალა და ლოგინთან მუხლებზე დაეცა.

როდის იყო, როდის არა, მზევინარის ცივ მკერდზე დადებული თავი ძლივს აწია, გაჭირვებით წამოდგა, ფანჯარასთან ბარბაცით მივიდა.

გავარვარებული მზე ბოსფორს თაკარას აფრქვევდა. ყველაფერი თვალისმომჭრელი ფერებით იყო მოოქვილი. წყალში ჩადგმული მარმარილოს სასახლეები უზარმაზარ გედებს ჰგავდნენ. მინარეთები და კოშკები მოკრიალებულ ცის კამადონს უწევდნენ თავებს.

„ოქროს რქა“ სავსე იყო გემებით, რომლებზედაც ათასნაირი ფერისა და ზომის დროშები, ოდნავ ირხეოდნენ.

ილიას შეუმჩნეველი რჩებოდა ეს უცხო სილამაზე. ამ ზღაპრული ხედის იქით იცქირებოდა ის. უცქეროდა ზღვას, ჯეჯილივით რომ ბიბინებდა ცის დასალიერამდე, მაგრამ ცხადად ვერც მას ხედავდა.

მზერადაჩლუნგებულს არც გეშთა სირენებს ხმა ესმოდა.

დიდხასს იდგა ფანჯარასთან ბაბოფიტული და გონება-

დახშული. სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. ბოლოს ერთი უცნაურად შეირხა, ფანჯარას ცივად მოშორდა და ნელა, ფრთხილად მიუახლოვდა ლოგინს. დააცქერდა: სულ რამდენიმე დღის წინად სიცოცხლით სავსე და ჯადო ღიმილით გაცისკროვნებული სახე მზევინარს ფიქალივით გახდომოდა, აბრეშუმივით სათუთი თმა გახუნებოდა. ღიად დარჩენილ თვალებში მგზნებარე გუგების მაგიერ უბრალო შუშის კენჭები ეწყო და გრძელი წამწამები, მიმზიდველობას რომ მატებდა მის მზერას, ჩხირებად ქცეოდა. შნოიანი ცხვირი ისე გათხელებოდა, რომ ნესტოებში ბღვრიე სინათლე ატანდა. ნიკაპი გაწვრილებოდა. ოდესღაც წითელი ტუჩები ხახვის ფურცელივით გათეთრებოდა, საიდანაც კრიალა კბილების ნაცვლად შეყვითლებული ძვლის მარცვლები ჩანდა.

ილიამ მთრთოლვარე ხელით მიცვალებულს სახეზე საბანი წააფარა, ქუდი დაიხურა და ნაძალადევი სიმშვიდით კარი გაიკეტა.

* *

მეორე დღეს, დილით ადრე, მუშებმა სასტუმროდან გამოიტანეს საგანგებოდ ნაკეთები მოგრძო ზანდუკი, რომელსაც ჯვარედინად ტყავის მაგარი თასმები ჰქონდა შემოკრული.

რამდენიმე საათის შემდეგ ილია გემის ერდოზე იდგა.

ის ღამე ერდოზე გაათია.

მეორე ღამეც.

მის გაწყალებულ თვალებს რული არ ეკარებოდა.

ილიამ დროს ვარაუდიც დაკარგა. არც ცდილა გაეგო, გემი რომელ ნავსადგურში შედიოდა ან სად რამდენ ხანს ჩერდებოდა.

უკანასკნელ ღამეს ამინდი შეიცვალა.

დილა უმზეო და პირქუში გათენდა.

ზღვის და ცის შუა სივრცე გამქრალიყო.

სქელი ნისლები რუხი ბაჭების მთებივით ამართულიყვნენ ყოველმხრივ. გემს თითქოს უჭირდა მათი გარღვევა. შორიდან მოისმოდა ყრუ ღრენა, რომელიც თანდათან ახლოვდებოდა. მალე ზღვა ურიცხვი ლომის ჯოგივით აღრიალდა.

პირწმინდა და თვალუწვდენელი, ბრტყელი შუშასავით სწორი ზღვა ახლა საოცრად კვარჩხალებდა. აზვირთებული ტალღები გემს ნაფოტივით ისროდნენ აქეთ-იქით. ხან უკან იხევდნენ, რომ შემდეგ უფრო მეტი ძალით დატაკებოდნენ მის ზღუდეს.

ერდოზე არავინ ჩანდა.

გემი აჭარას უახლოვდებოდა, ანძასთან მალულად მდგარმა ილიამ უცბად თვალი მოჰკრა ზანდუკს, რომელიც სწრაფად ამოჰქონდათ ზევით მეზღვაურებს. ამის დამნახველს თვალებიდან ნაპერწკლები წამოცვივდა.

ილიამ კუნთებში ჯერ ტკივილი იგრძნო, მერე უჩვეულო ღონე და მოაჯირთან მისულ მეზღვაურებს გულზე ცეცხლმოკიდებული მივარდა. ცდილობდა, ძვირფასი განძი ხელიდან გამოეტაცა მათთვის. თან არაადამიანური ხმით ყვიროდა, იმუქრებოდა, ხან საცოდავად ეხვეწებოდა ყველას ზანდუკის დაბრუნებას.

არაფერმა გაჭრა.

იქვე მყოფმა კაპიტანმა ილიას ერთი ალმაცერად შეხედა და ფრანგულად მრისხანედ უთხრა:

— თქვენ უნდა იცოდეთ, რომ გემით მიცვალებულის წაღება აკრძალულია. ამ წესის დარღვევისათვის პასუხს აგებთ!— ხმაურზე მოცვენილ სხვა მეზღვაურებს უბრძანა ილია შეებოჭათ. სამმა მეზღვაურმა ილია გააკავეს, დანარჩენებმა ზანდუკი ჰაერში რამდენჯერმე გააქან-გამოაქანეს და... ზღვაში გადააგდეს. უცებ ილიამ თავი გაითავისუფლა, ქვასავით შეკუმშული მუშტი მოულოდნელად კაპიტანს სახეში გაარტყა და, ვიდრე, მეზღვაურები გონს მოვიდოდნენ, გემიდან გადახტა.

ცამდე ატყორცნილი ვეება ზვირთები ზანდუკს ხან აქაფებულ ქეჩოზე მოიქცევდნენ, ხან ქვესკნელში ჩაიტანდნენ. უკანასკნელად, მოაჯირიდან გაფაციცებით მაცქერალმა მეზღვაურებმა შენიშნეს, რომ ზანდუკს რაღაცა ჩაბღაუჭებოდა. მაგრამ ვერ გაარკვიეს, რა უნდა ყოფილიყო.

გემი შხუილით მიაპობდა ბობოქარ ზღვას.

მალე განვლილი მანძილი თახახიან ნარმასავით უხეშმა ნისლმა დაფარა და მეზღვაურები ამაოდ ცდილობდნენ კიდევ დაენახათ რამე.

* *

ბათუმის მოშორებით იმავე საღამოს მეთევზეებმა ნახეს გამორიყული ზანდუკი და მის გვერდით სილაზე პირაღმა გაშოტილი ილია, რომელსაც ცალ ხელში ზანდუკის თასმა ჰქონდა ჩაბღუჯული.

გაოცებული მეთევზეები სასწრაფოდ შეეცადნენ ილიას მოსულიერებას. ერთმა მათგანმა, მოხუცმა ზექერიამ, რომელსაც სახე პირქუში ჰქონდა, ხოლო გული სათნო, რატომღაც ყველაზე უფრო მოინდომა — ამ უცხო და გადამთიელ კაცს სიცოცხლე დაბრუნებოდა. მართლაც, არ გაუვლია დიდხანს — ილიას გაქვავებული ცხვირის ნესტოები შეუტოკდა, სახის კუნთები და ქუთუთოები შეერხა.

მის ახლო ჩაჩოქილმა კეთილმა ზექერიამ ისეთი სიხარული იგრძნო, თითქოს ღვიძლი შვილი გაცოცხლებოდა, ნიჩაბივით ფართო წვერზე კმაყოფილებით დაისვა ხელი და მარდად წელში გაიმართა.

სხვებსაც გაეხსნათ შეკრული წარბები.

ზღვა ისე აღარ მძვინვარებდა. ფხიან ბორიოს ნისლი გაეფანტა. ნახევრად მოწმენდილი ცის კიდე ჩამავალი მზისაგან წითელი შუშასავით ბჟყვიალებდა. ეს ბჟყვიალი, დანაწილებული სირმის ძაფებად, ზღვის აფორიაქებულ დისკოს ეწნებოდა.

მეთევზეებმა ილია კარავში დააწვინეს.

მთელი ღამე ბურანში გაატარა.

მხოლოდ დილით მოვიდა ცნობაზე. როგორც კი შეძლო საგნების ცხადად დანახვა, მაშინვე დააპირა ადგომა, მაგრამ სხეული ისე ჰქონდა დალეწილი, რომ ხეირიანად განძრევაც ვერ მოახერხა.

ლაპარაკს უნარიც დაკარგოდა. მხოლოდ ერთი ამოილუღლუღა:

— ზანდუკი.

— დამშვიდდი, ეფენდი, — თბილად უთხრა იქვე მდგარმა ზექერიამ, — შენი სკივრი უვნებლადაა, ნუ გეშინია, მოყვრებთან ხარ.

ილიას თვალები ცრემლებით აევსო. მალე დაგუბებულ-

მა ნაღველმა გადმოხეთქა. ჭირისოფლით გაწუწულს ამ ხნის განმავლობაში პირველად აღმოხდა კვნესა. კვნესას გული თან ამოჰყვა და ამოდენა კაცი ხის ფურცელივით აცახცახდა.

ზექერია სასთუმალთან დაუჯდა.

მოხუცი ანუგეშებდა ილიას, ცდილობდა ეგრძნობინებინა მისთვის, რომ ირგვლივ გულშემატკივარი ხალხი ეხვია, რომ ცრემლი არ შეფერის ვაჟკაცს.

მისი მშობლიური, ნუგეშიანი სიტყვა, მისი ხმის კილო მალამოსავით ეცხებოდა ილიას დაიარებულ გულს.

გასამხნევებლად და შესაქცევად ზექერიამ ბევრი რამ უამბო ილიას.

თანდათანობით მანაც ამოიდგა ენა.

ილიამ მოიწადინა ამ კეთილი მოხუცისათვის ყველაფერი ეთქვა.

და როცა მთელი სურათი დახატა, ისეთი შეღავათი იგრძნო, თითქოს კისრიდან გელახი მოეხსნათ. დამშვიდდა, თვალები დახუჭა და გაინაბა.

მრავალი საოცარი ამბების მომსწრე და გამგონე ზექერიას, ილიას თავგადასავალი ზღაპრად მოეჩვენა.

გულაჩუყებულმა მოხუცმა ხმელი თითები წვერზე დაისვა, მერე ილიას სიბრალულით გადახედა, ადგა და კარავიდან გავიდა.

— ჭოვ, ურემი გააწყვე, — მიმართა ერთ ახალგაზრდა მეთევზეს, რომელიც კარავის წინ ხიდან ხეზე გაფენილ დიდ ბადეს ჩაცვენილ თვალებს უღებდა.

ჯერ კიდევ მზე აჭარის მთებს არ იყო ამოცილებული, რომ ზექერია ილიას მხარში შეუდგა და გარეთ გამოიყვანა.

როგორც კი დაინახა ურემზე შედგმული ზანდუკი, ილიას მუხლები სულ წაერთვა, მაგრამ ზექერიამ ღონიერი მკლავებით ერთბაშად შეიმაგრა მისი დაქანცული სხეული.

ურემზე ფრთხილად დასვა, თანაც ახალგაზრდა მეთევზე დაარიგა — ნელა ეავლო.

ზღვა დაწყნარებულიყო.

თბილი ნიავი ჰქროდა.

როცა პირველად ზანდუკს შეეხო, ილიას ცივმა ოფლმა დაასხა, მაგრამ თავი შეიმაგრა და ბათუმამდე ხული ალარ მოუშორებია მისთვის.

ილიამ ზანდუკი თბილისში ჩამოიტანა, იმავე დღეს სოფელში წაიღო.

ეზოში თავისი ხელით გაჭრა სამარე. მიწაც თვითონ დააყარა მზევინარს.

სამარის ირგვლივ ოთხი მუხა დარგო, ხოლო სამარის გულზე მარად უჭკნობი ვარდები გაახარა.

მუხებზე გაურანდავი ძელები გადვა, თვითეულ ხეზე უსურვაზი და ფათალო შეუშვა.

როცა მზევინარის უკანასკნელ სამყოფ ტალავრის მოწყობას მორჩა, სადად ჩაიცვა და ხალხში გაერია.

კარიდან კარზე იწყო სიარული, რომ სოფლის ლხინი და ვარამი გაეგო.

პირველ ხანებში გაუმჟღავნებელი უნდობლობით ეპყრობოდნენ მას გლეხები. ეცოდებოდათ კიდეც. თანაც უკვირდათ ნასწავლი კაცის ასე დაბეჩავება, მაგრამ მალე დარწმუნდნენ, რომ ილიას ოდნავადაც არ ჰქონდა დაკარგული თავისი ღირსება.

ილია დაუზარებლად ეხმარებოდა გაჭირვებულს, ექომაგებოდა სუსტს, რის გამო მალე მთელი სოფლის სათაყვანო კაცად იქცა.

დროც აღარ რჩებოდა, თავის თავზე ეფიქრა.

გვიან წვებოდა, ალიონზე დგებოდა. პირს წყაროზე იბანდა.

წყაროდან პირდაპირ სამარესთან მიდიოდა, ტალავარს რამდენჯერმე შემოუვლიდა, უსურვაზსა და ფათალოს ლერწებს გაუსწორებდა. ტალავარში მზის პირველი სხივების შეჭრისთანავე კვლავ სოფლის საქმეს ჰკიდებდა ხელს.

ილიამ სოფელში ააგო ორსართულიანი ქვის დიდი შენობა და შიგ სკოლა გახსნა.

ამ სკოლაში უფასოდ სწავლობდნენ ღატაკი გლეხის შვილები.

ამ სკოლაში არა ერთი და ორი სასახელო მოღვაწე აღიზარდა.

ილია სამუდამოდ სოფელში დარჩა.

თბილისში ოშვიათად ჩამოდიოდა.

ცხოვრობდა მარტო, სიხარულს მოკლებული და მწუხარე.

საღამოებს ტალავარში ატარებდა:

დაჯდებოდა სამარის ახლო, ქვის სკამზე, და გარინდდებოდა, ფოთლებში ჩამოღვრილი მთვარის შუქი მოშვებულ წვერზე აიაზმასავით ეპკურებოდა.

ასე ბურანში მყოფს ხშირად დათენებია თავზე.

* *

დრო შეუმჩნევლად და უხალისოდ გაეიდა. ილიას თმა და წვერი შეეფერცხლა, ბეჭებში მოიხარა.

ერთხელ, როგორც ჰაერი ხაროში ჩაგდებულს, ილიას მოესურვა მზევინარის ნივთების ნახვა. მისი დაკრძალვის შემდეგ პირველად უნდა შეხებოდა მათ და ამიტომ გული უცნაურად ეკუმშებოდა.

ოცი წლის წინათ დაკეტილ კარადასთან ილია კარგა ხანს წრიალებდა უმწეოდ. ბოლოს გაბედა და კლიტე კარადაში მთრთოლვარე ხელით გადაატრიალა. კარის ჭრიალზე სისხლი გაეყინა, თვალებში ციცინათელები აუთამაშდა, მაგრამ მალე ძლია სისუსტეს.

კარადიდან მოწიწებით გადმოალაგა ნივთები და თვითეულ მათგანს სასოებით დაუწყო ლოლიავი.

ნივთებს ძველი სურნელება შერჩენოდათ. ილიას ყნოსვა გაუმახვილდა. გაახსენდა მზევინარის თმის სურნელება, კვლავ იგრძნო მისი სიახლოვე და მთელი წარსული ცხადად წარმოუდგა თვალწინ.

მოგონებებით ტკივილებგანახლებულმა, პატარა, ყვითელი ტყავის ჩემოდანი გახსნა.

პირველად ხელში მოხვდა აბრეშუმის ზონარით ჯვარედინად შეკრული რვეული. ზონარის ქვეშ რვეულზე იდვა სიფრიფანა ქაღალდში გახვეული უცნობის სურათი.

ილიამ იგრძნო: ამ რვეულში ეწერა მზევინარის სხვა ცხოვრება, სხვა ფიქრები, რომ ეს ცხოვრება და ფიქრები ეკუთვნოდა მხოლოდ უცხოს, უცნობ მეტოქეს.

მთრთოლვარე ხელით რვეულს ზონარი შემოაგლიჯა და

სურათს გამჭვირვალე ქაღალდის ჩარსავი შემოაცალა.

კარგა ხანს დაცქეროდა იგი უცნობის სურათს. ბოლოს სურათი მაგიდაზე პირქვე დადვა და ახლა საწოლთან დაკიდებულ მზევინარის სურათს შეხედა. მზევინარს ჩვეულებრივი წყნარი და უმანკო გამომეტყველება ჰქონდა, თვალები სინაზით სავსე...

მორცხვ ღიმილს ოდნავ გაეპო მისი ბაგე. სურათი ისეთი იერით იხედებოდა, თითქოს დალაპარაკებას აპირებსო. ილიამ მზევინარის სურათს თვალი მოარიდა. წელმოწყვეტილი ადგა. საპყარივით გაიარ-გამოიარა, მაგრამ მალე თანდათან, ნაბიჯს უმატა და გესლიანი ფიქრებით გახელებულმა ოთახში სირბილი დაიწყო.

გალიაში დამწყვდეული აფთარივით კედლიდან კედელს აწყდებოდა, ხან დასაკლავი ზვარაკივით ზმუოდა.

მის გულში ახლა ისეთი ხანძარი ენთო, რომლიდანაც ოდესღაც მზევინარი იხსნა.

მხარშეცვლილი ილია აივანზე გაიჭრა.

გაზაფხულის მშვიდი და თბილი საღამო იყო.

გადახრილი მზე უხვად აფრქვევდა სხივებს ამწვანებულ სოფელს.

ეზოში რიგზე გაშენებულ ხეხილს კვირტები დახეთქოდა, მიწა სულ დაეფარა ზურმუხტისფერ ქორფა მოლს.

აყვავებულ ტყემლებსა და ატმებს, რომლებიც დიდი ჩიჩილაკებივით იდგნენ აქა-იქ, ფუტკრები მხიარული ბზუილით დახვეოდნენ. ჰაერში თაფლის სურნელი იდგა.

მახლობელ ბაღებსა და ზვრებში მეზობელი გლეხები მუყაითად ტრიალებდნენ.

სადღაც ძაღლი ჰყეფდა, ხბო ბღაოდა, ბავშვი ბავშს ეძახოდა, ვიღაცა შეშას ჩეხავდა.

შარაზე ფეხშიშველი და თმააბურძგვნილი პატარა გოგო წკეპლით ბატებს მიდენიდა, თანაც წკრიალა ხმით მღეროდა:

აქეთ ყანა, იქით ყანა,
კოტა ბიჭმა წამიყვანა,
ერთი ისეთი მაკოცა,
გუნებაზე მომიყვანა.

ილიამ ახლათშეფოთლილ ტალავერს დრტვინვით მიაპყრო მზერა. ამ დროს მათხოვარმა ჭიშკარი შემოაღო.

ბეჭებში წახრილი გლახაკი ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა აივანს. ცალ ხელში ორთითა არგანი ეჭირა, მეორეთი — ზურგზე მოკიდებული ტომარა.

ილიამ შენიშნა, რომ ის არ ჰგავდა ჩვეულებრივად სოფლად მოხეტიალე უსახლკაროს. უცხო იერი დაჰკრავდა.

ოდესღაც ახოვან ტანზე ძველი, ლაქებიანი შავი პიჯაკი ეცვა. ხოლებიანი, დაგლეჯილი შარვლიდან შიშველი მუხლები უჩანდა. ფეხსაცმელების ნაცვლად ფეხებზე ძონძები დაეხვია.

ჭილის ფარფლებშემოცრეცილი ქუდი თვალებს უფარავდა.

უცნობი კიბესთან ჯოხს დაეყრდნო და მოწყალება მორიდებით ითხოვა.

მოაჯირზე გადამდგარი ილია თვალს არ აშორებდა მათხოვარს.

— იქნებ გაიმეტო რაში, — კვლავ მორიდებით თქვა უცნობმა.

— ამოდი ზევით, დაისვენე, — გადასძახა ილიამ.

გლახაკმა მადლობით ახედა გულკეთილ მასპინძელს და, რაკი დარწმუნდა, მართლა ეპატიჟებოდა, უხმოდ ავიდა კიბეზე.

— დაჯექი. — მიაწოდა სკამი ილიამ.

მათხოვარმა ტომარა და ჯოხი ძირს დადვა, სკამის ახლოს, თვითონაც იქვე დაჯდა ფეხმორთხმული.

— აგერ სკამი!

— არა, ასე მირჩევნია, — უპასუხა მან.

ცოტა ხნის შემდეგ ილიამ ერთბაშად ჰკითხა:

— სადაური ხარ, მეგობარო, ამ მხრისას არ გევხარ.

— არც საიდან. თვითონაც არ ვიცი. დიდი ხანია ვხეტიალობ, — მოგვიანებით გასცა ხმა უცნობმა. თანაც ქუდი მოიხადა. გაბურძგვნილსა და ჭუჭყიან წვერზე გრძელფრჩხილებიანი თითები დაისვა. ხელებხე ეტყობოდა, სხვა ცხოვრება ჰქონდა ნანახი. მერე რიკულებიდან ეზოში გაიხედა. ტალავარი და საფლავი რომ დაინახა, გაკვირდა.

მათხოვარმა ისევ გახედა ტალავარს, შემდეგ წამოდგა, ილიას მიუბრუნდა, თვალი თვალში გაუყარა.

ილია შეშფოთდა.

თითქოს რაღაც გაახსენდა, უეცრად ოთახში შეიჭრა. უცხო ვაჟის სურათი აიღო, დააკვირდა. მერე სურათი ისევ მაგიდაზე დააგდო, აივანზე გიჟივით გავარდა და უცნობს მიაშტერდა.

ილიას წინ თითქოს მათხოვარი კი არ იდგა, არამედ მზევინარის ჩემოდანში ნაპოვნი სურათის მსგავსი ჭაბუკი.

სვეტზე ცალი მხარით მიყრდნობილი უცნობი არ იძროდა. თავდახრილს თვალები დაეხუჭა, თითქოს თვლემდა.

— შენ გიყვარდა ის?

— ვინ? — სიზმარში მყოფივით იკითხა მან.

— მზევინარი.

მათხოვარმა თვალები ფართოდ გაახილა.

— იქ მისი საფლავია, — ჩახლეჩილი ხმით უთხრა ილიამ ბურანში მყოფს.

გლახაკი ერთბაშად შეტოკდა, სახეზე უცნაური შუქი მოეფინა. ეს იყო ერთი წამით. შემდეგ სახე ისევ ავლისფერი გაუხდა. მონუსხული ფრინველივით მოდუნებულმა, ბოლოს თავი დააღწია ილიას მგზნებარე თვალებს და კიბეზე ფიცხლავ დაეშვა.

ილია კანკალმა აიტანა. სახე მოეღრიცა. წვერი თივის ბულულად ექცა. ყბები ჩაენგრა. თვალები უფსკრულებში ჩაუცვინდა, შუბლზე სიმწრის ოფლმა მარცვლებად გამოჟონა და ტუჩები ვაშლის ჩირივით გაუხდა. თვალწინ წარმოუდგა წარსული: ხანძარი, უცნობი ვაჟი, რომელიც ორჯერ შეეცადა მზევინარი ხელიდან გამოერთმია მისთვის. ჯვარისწერა. უცხოეთი. სტამბოლი: ზანდუკში ჩასვენებისას მზევინარის ლოგინში ნაპოვნი ცარიელი შუშა, რომელსაც მაშინ ყურადღება არ მიაქცია, და მიხვდა მის უეცარ სიკვდილის მიზეზს.

ილიამ გასაწყლებული სახით გაიხედა ტალავრისაკენ:

მათხოვარი მზევინარის საფლავზე დამხობილიყო.

თვალთ დაუბნელდა.

გვიან გამეღვიძა. ზანტად ვტოვებ ლოგინს. ცალ დარაბას ვაღებ. ფანჯრიდან რძისფერი სინათლე შემოდის. მინებზე სითბო გაყინულა და ზედ უცნაური, გამჭვირვალე ფრინველები და ვარდის ფოთლები გამოუსახავს უჩინარ მხატვარს.

ჩემი საათი გაჩერებულა.

ან კი რა მაჩქარებს. დღეს ერთი ფიორი საქმე არსად მაქვს. არც თუ წერის გუნებაზე ვარ. გულბათის მიერ ნაამბობი გონებაში ეკალივით ჩამრჩა და მოსვენებას არ მაძლევს. მეცოდება ილია, მენანება მზევინარის ადრე დაღუპული ქალობაც. ვეძებ დამნაშავეს მათ შორის, მაგრამ ვერ მიპოვია. ილია და მზევინარიც უბრალოა ცალ-ცალკე.

მხოლოდ ცუდი ისაა, რომ მზევინარმა ქაღალდს ანდო საიდუმლო. მაგრამ არც სხვისი დღიურების ქექვაა მაინცდამაინც კარგი ზნე.

დიდი სიფრთხილე და წინდახედულობა მართებს ადამიანს, სიყვარულის საიდუმლოს მხოლოდ გულში უნდა ინახავდეს. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ალალმა სიყვარულმა ბუხჰალტერია არ იცის. და, მართლაც, რას ემგვანებოდა ცხოვრება, რომ უანგარო გრძნობებიც მისხლობით იწონებოდეს!

ნეტავი ვინ იყო მზევინარის გულის მურაზი? იქნებ ის ილიაზე უფრო იწყევლიდა თავბედს? მაგრამ რას დავეძებ ან ერთს, ან მეორეს. მათი ძვლებიც აღარაა, ალბათ, ახლა. უკეთესია, ცოცხლებზე ვიფიქრო. ცოტა ჩემს თავსაც მივხედო. თორემ ცუდადაა საქმე. დიდი ხანია ასე მოწყალული არ ვყოფილვარ. ვითომ მარტო ილიას და მზევინარის ხვედრითაა ეს გამოწვეული?

რაღაც სხვა მაწუხებს, — განვაგრძობ მარჩიელობას, — გული ვიღაცას უხმობს.

— ზეინაბს!

ეს სახელი მკაფიოდ მესმის და გაოცებული ვიხედები აქეთ-იქით, ოთახში ჩემს მეტი არავინაა.

„ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვყოფილვარ", — ვამბობ ჩემთვის, და ამ ხუმრობით მსურს სარქველი მაგრა დავახურო გულში ჩასახულ ახალ გრძნობას. ვერიდები ზეინაბზე ფიქრს,

მაგრამ ლოკოკინას მსგავსად როდემდის უნდა ვმალო რქები?

აგერ, ვარაყიან ჩარჩოში ჩასმული სალომეია, რომელსაც ხელში ლანგარი უჭირავს იოქანაანის მოკვეთილი თავით, უცებ შეირხა და მის მაგიერ ზეინაბი გამოისახა. მალე მოჩვენებამ ხორცი შეისხა და ჩარჩო კარად იქცა, საიდანაც კაბის შრიალით ნამდვილი ზეინაბი შემოდის. ღიმილით ნელა მიახლოვდება. მისი სტუმრობა ცხადი მგონია და ვწუხვარ, რომ ასე შილიფად ვხვდები. რატომღაც თვალებს ვხუჭავ. ისევ ვახელ: სალომეია თავის ჩარჩოშია. ზეინაბის ნატერფალიც არ ჩანს.

უნებურად მეცინება. ამგვარი რამ მხოლოდ წინათ მემართებოდა, როცა პირტიტველი ჭაბუკი ვიყავი. მაგრამ ახლა რა ეშმაკმა მომიქცია მხარი!

მართალია, ლამაზია ზეინაბი. ამ დოვლათის გარდა მას სხვა თილისმაც აქვს, რაც ბევრ ქალს აკლია, მაგრამ მე რაში მეკითხება რამდენი კარგი ქალია ქვეყანაზე! ან იმ ძუ სალომეიას სურათი რა ოხრად მინდა, ნიადაგ თვალწინ რომ მიკიდია!

...გვიან ვღებულობ გაზეთებს. ვიდრე მათ მიღებას ეღირსებოდე, გული გაგიწვრილდება კაცს. არა და, უგაზეთოდ ისე ვგრძნობ თავს, თითქოს ქვევრში ვიჯდე. ვინ იცის, ახლა რა ამბავი ხდება ქვეყანაზე. იქნებ ჰიტლერი უკვე დამარცხდა, კომუნისტებმა ფაშისტების სინსილა გაწყვიტეს და ტელმანი თავისუფალია... ნეტავი მართლა! ერთი ამ დამყაყებულ ევროპას ოქტომბრის ხანძარი მოედებოდეს და მეტი არაფერი მინდა, — ვამბობ ხმამაღლა და თანაც ყელსახვევს ვისკვნი. მაგრამ სად უნდა წავიდე ამ ქარბუქში? ძაღლიც არ გაიგდება გარეთ, ისეთი ამინდია. უმჯობესი იქნება, შინ დავრჩე და კალამს მოვკიდო ხელი.

მაგიდას მივუჯექი. სუფთა და თოვლივით კრიალა ქაღალდის მთელი დასტა დავიდევი წინ. კალამი ნელა ამოვაწე მელანში, მაგრამ აზრი არ შემორჩილება. საშინელებაა პირდაპირ. ხანდახან ისე შეშეკვრება კრიჭა, რომ ერთიმეორეზე ორი სიტყვის გადაბმა მიჭირს.

ქვის კოდვა ჯობია წერას. აბა, რა შეედრება ახლა ჩემს

ტანჯვას: საათზე მეტია ვ'ხრვარ ფიქრებით თვალებგამოღამე-ბული და ლექსის მაგიერ ხედიხედ ვწერ ჩემსა და ზეინაბის სახელებს. ხან ბავშვივით ვხატავ ამავე ზეინაბის სახეს, ფარ-შავანგებს. ვეფხვებს, ჩაფხუტიან რაინდებს და ათასგვარ სასაცილო რამეს.

ასე მიდის დრო.

ახალი წიგნი მაინც მომცა, — ვნატრობ და, არაქათგამო-ლეული, კალამს ხელიდან ვაგდებ.

რამდენი პაპიროსი მომიწევია! ოთახში ნისლივით დგას თუთუნის ბოლი. სულს ვეღარ ვითქვამ ნებაზე. თვალები მიბ-რჭყვიალებს.

დაქექილი ავდექი. ფანჯარა გამოვაღე. სუსხიანმა ჰაერმა გამომაფხიზლა და ძალა დამიბრუნა. დავშოშმინდი. ფანჯარა მივხურე. თაროებზე წიგნებს ვათვალიერებ, მაგრამ რომელი-მე მათგანის ხელახლა წაკითხვა ყუათში არ მომდის. გადავ-წყვიტე, არქივი გადავსინჯო. ტყუილა ყოფნას ეს აჯობებს. ბალასტს გადავყრი, საჭიროსა და საყურადღებოს წესზე და-ვალაგებ. ვინ იცის, რა არ დამიგროვდა ამდენი ხნის გან-მავლობაში!

მაგიდას ვუბრუნდები. გამოვწიე პირველი უჯრა, მეორე, მესამე.

მაგიდა აივსო ნაჩქარევად თავმოხეული კონვერტებისა და ფერშეცვლილი ქაღალდების ზვინებით. მათი წაკითხვით ბევ-რი რამ საწყენი და სასიხარულო მომაგონდა.

აუჰ, რამდენს ვყვარებივარ, რამდენი მყვარებია, თურმე! რამდენი მეგობარი და კეთილი წყოლია!

სად არიან ნეტავ ახლა ყველა ისინი, რომელთა გარეშე ერთ დროს სიცოცხლე ვერ წარმომედგინა?

აგერ, ჩემი პირველი ლექსი, პირველი სიხარული და პირ-ველი ბედნიერება.

როგორი მონდომებითა და ზრუნვით გამომიყვანია ასოები ბწკარები, თითოეული ხანა.

ვიგონებ ბავშვობას:

„როცა დედაჩემს ნავთი აღარ ჰქონდა ლამპაში
და მთვარის შუქზე ვკითხულობდი აკაკის ლექსებს“.

რამდენი სიმწარე მახსოვს ბავშვობაში, მაგრამ რა სიამოვნებით გადავიქცეოდი ისევ იმ შარვალგამოხეულ ბავშვად, რომ ეს შესაძლებელი იყოს.

უკანასკნელი უჯრაც გამოვაღე. პირველადვე ხელში მომხდა უკანო, მოსქო და ფართო რვეული. გულისყურით ვათვალიერებ. წინა ფურცლები კარგა ბლომად აკლია.

საიდან, რა უნდა ამას ჩემთან? ვისია? — ვკვირობ, მაგრამ მალე მახსენდება, თუ სად, როგორ ვიპოვე ეს უსათაურო და უავტორო ხელნაწერი.

როდის იყო?

ერთ ზაფხულს დიდი ხნის უნახავ მშობლებთან ჩავედი ქუთაისს.

კვირა საღამოა. ნიავი ქრის. მზე აჭარის მთებს იქით ნელა ეშვება. ქალაქი განზე მრჩება. ვუახლოვდები იმ სახლს, სადაც ჩემი აკვანი დარწეულა, სადაც მინატრია თაგვის კბილები და ცისკარზე ახალი წუღებით წავსულვარ, სადაც ენის ბორძიკით მიკითხავს „დედა ენა“ და გამიგონია უცნაური ზღაპრები.

ამ შუკებში ფეხშიშველა მარბენალს რამდენი ეკალი და წვეტიანი ხვინჭკა შემსობია, ვინ მოთვლის!

მთავარ შარაზე ჩვენი უბნის ბავშვების ქრიამულია.

ზოგნი რიკტაფელას თამაშობენ, ზოგნი საყებურთობიას.

აგერ ერქანს უშვებენ, ჯვარედინ ტკეჩებზე გაკრული ქაღალდი სულ მაღლა-მაღლა იწევს. ერქანს კუდად გაკეთებული აქვს ძაფზე ასხმული ანწლის ტოტები და ისეთი სანახავია, თითქოს თეთრ არწივს მერცხლების მწკრივი მიდევდეს. ერქნის პატრონი ბიჭი, ცოტა მანძილის გარბენის შემდეგ უეცრად იჩოქებს, წვრილ თოკისაგან გაცლილი პატარა ჯოხი მიწამდე დააქვს, ხან ისევ წამოხტება და ერქანს კვლავ ქარის ნებაზე გაეკიდება.

ღობის ძირას, სადაც წინათ, ჩემს პატარაობაში, მნათე ლევანას ბრუციან ვირს უყვარდა გაჩერება, რამდენიმე ბავშვი ჩაცუცქულა და თავიანთ დახეულ ერქანს აახლებენ. ღიმილით მივდივარ მათთან. ბავშვებმა ერთი გაოცებით ამომხედეს და ისევ დაუბრუნდნენ ერქანს, რომელსაც დაზიანებულ ადგილებზე რვეულის ფურცლებს აწებებდნენ. ჩემი ყუ-

რადღება მიიქცია ამ ფურცლებზე სუფთა ნაწერმა. უცებ იქვე ახლოს თვალი მოვკარი თვით რვეულს. ძველმა ნირმა მძლია: ბავშვობაში წიგნებს დახარბებული ვიყავი, ქაღალდის ნაგლეჯსაც არ ვუშვებდი წაუკითხავს. რვეული ავიღე: ვიგრძენი, ვიღაცის ცხოვრება იყო შიგ მოთხრობილი და გადავწყვიტე მისი გადარჩენა.

ბავშვებმა იკადრეს წამოდგომა.

ერთ მათგანს ფული მივაჩეჩე და რვეულის ფურცვლით გზა განვაგრძე.

კარგა მანძილის გავლის შემდეგ უკან მივიხედე. ბავშვები ერთმანეთს ხელიდან გლეჯდნენ ფულს, მათ სხვებიც მიმატებოდნენ, და იყო ერთი ჩოჩქოლი.

„ნეტავი თქვენ", — ვთქვი გულში და ჩემი ეზოს ჭიშკარი შევაღე.

* *

რვეულის წასაკითხავად ქუთაისში არ მეცალა, მაგრამ თბილისშიაც ვერ ვიშოვნე დრო. რაღაი ერთხელ მიმრჩა, მიმრჩა და ბოლოს სულ დამავიწყდა მისი არსებობა.

ახლა კი უთუოდ უნდა წავიკითხო:

### უცნობი ქალის ცხოვრება

1925 წ. აპრილის 4

ჩვენს სახლში ნამდვილი ჯოჯოხეთია. კაცია მუდამ ძაღლივით იღრინება. ცოლს ეჩხუბება, ცემს. ამ დილასაც გალახა საწყალი. მე კი ბოლო დროს, რატომღაც, მეფერება. საკვირველია, წინათ მეც წარაბარა დამითრევდა თმით, ზოგჯერ სასიკვდილოდაც მომაქცევდა ხოლმე. ახლა აღარც საღამოს სკოლაში სწავლას მიშლის, აღარც გაზეთის კითხვისათვის მტუქსავს. როცა მისი შინ ყოფნისას საბჭოთა ხელისუფლების ქებას ვიტყვი, განგებ სხვა საგანზე იწყებს ლაპარაკს.

სამაგიეროდ ეფემიამ ამითვალისწუნა, უმიზეზოდ მლანძღავს და ქოქოლას მაყრის.

რა დავუშავე, არ ვიცი! ყოველთვის დედასავით მიყვარდა. ისიც ისე მექცეოდა, თითქოს მართლა მისი ალალი სის-

ხლი და ხორცი ვყოფილიყავი და არა ვიღაც უთვისტომო.

მაგრამ იმ დღესვე, რა დღესაც კაციამ ცოტა გული მოიბრუნა ჩემზე, ერთბაშად ამაღო ხელი. არაფერი აღარ მოწონს ჩემი: არც ქცევა, არც გარჯა, არც სიტყვა-პასუხი.

რა ვქნა, რა ცეცხლში ჩავარდე!

აპრილის 8

დღეს კაციამ ცოლს უკანასკნელი, ჯვარნაწერი ბეჭედიც წააძრო თითიდან და წაიღო. თავის ოქროს მედლებს კი სასოებით ინახავს. რა ოხრად უნდა ნეტავი! ალბათ, იმედი აქვს, რომ კიდევ ეღირსება იმათ დაკიდებას.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე კაცია თავის ნამდვილ ბუნებას მეფის გენერლის შუნდირით ფარავდა. ახლა მთლად გამოაშკარავდა მისი პირუტყვული სახე.

ეფემიასაც წინანდელი ქალობის აღარაფერი შერჩენია.

მაშინ, როცა 11-12 წლის ობოლი ბავშვი მოახლედ ამიყვანეს, მათზე უფრო კეთილი და სათნო ადამიანები სხვა არავინ მეგონა ქვეყანაზე.

თურმე ვცდებოდი.

როდის იქნება, საკუთარ გზას ვიპოვნი! ვეცდები სკოლის დამთავრებისთანავე სამსახური ვიშოვნო. თუ სამსახურს ვერ შევძლებ, რომელიმე ქარხანაში უბრალო მუშად ხომ გამოვდგები! ამათ ხელში ყოფნას ყველაფერი მირჩევნია.

ეფემია მაინც მაყვედრის: სამადლოდ გინახავთო. ნამდვილად კარგა ხანია მე ვინახავ ორივეს — ოჯახიდან ოჯახში დავდივარ და სარეცხს ვრეცხავ. რასაც ვიშოვნი, უკლებლივ შინ მომაქვს.

კიდევ კარგი, იმდენი ძალა შემწევს, საღამოობით სკოლაში ვიარო და ვისწავლო.

ესაა ჩემი სიხარული.

აპრილის 9

ჩვენი სკოლის უჯრედის ღია კრებას დავესწარი, მე და უშანგის ერთად მოგვიხდა წაპოსვლა. თინამ შურით გამოგვაყოლა თვალი. რა სულელია!

როცა უშანგისთან ვარ ახლო, ძალა მემატება. უფრო ხალისიანი ვხდები. ჩემი მდგომარეობა მავიწყდება.

საკონდიტროში ძალად შემიყვანა. სირცხვილისაგან ცეცხლი მომეკიდა. გემო ვერაფერს ვუნახე. ვებრალები უთუოდ, — ვფიქრობდი, რა მიწასთან გასწორებულად ვგრძნობდი თავს. ის ჩვეულებრივად ლაღი იყო, ენამჭევრი. ვცდილობდი მხარი ამება, ცალს არ ვუგდებდი, მაგრამ ნამდვილად ლუკმების მაგივრად ნაკვერცხლებს ვყლაპავდი. გარეთ როდ გამოვედით, მხოლოდ მაშინ ვიგრძენი შვება. ვიდრე მშიოდა, უბრალო ჭია მეგონა ჩემი თავი, დანაყრების შემდეგ კი თამარ-დედოფალივით თავაღერილი მივყვებოდი მხარდამხარ უშანგის და ისეთ გუნებაზე დავდექი, თითქოს მთელი ქვეყანა მარტო ჩემი და მისი ყოფილიყო.

სახლამდე მიმაცილა. ქალაქს მთვარე ვერცხლის ბრეს აყრიდა. შინ შესვლა დამეზარა.

დიდხანს ვიმუსაიფეთ.

— შენ ჭკვიანი გოგო ხარ, კარგი კომკავშირელი იქნები. შემოიტანე განცხადება, — მოულოდნელად მითხრა მან და თვალები მომაპყრო.

ნიადაგი შემერყა ფეხქვეშ. ენა დამება. სიხარულისაგან გული ყელში მომეჯინა და ჩემდაუნებურად ქვითინი ამივარდა.

უშანგიმ უცებ თავი ამიწია, ცრემლიან თვალებში კარგა ხანს მიცქირა, მერე ერთი მიმოიხედა ირგვლივ და... მხურვალედ მაკოცა. მაკოცა და გაიქცა.

კედელს მივეყრდნე. უცნობებმა გაიარეს, ჩემზე რაღაცა თქვეს, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია, ან სად მქონდა ამის უნარი. გული გაფრენას ლამობდა და თავი სიზმარში მეგონა. უცებ უჩვეულო ძალა ვიგრძენი.

გალიიდან გამოშვებული ჩიტივით მოვკურცხლე, ალმართი სულმოუბრუნებლად ავირბინე და ფრთხილად შევაღე ჩვენი სოროს კარი. კაცია ჯერ კიდევ არ იყო მოსული. ეფემია გაუხდელი იწვა. მის გაფითრებულ სახეს უსაზღვრო მწუხარება ეტყობოდა. გული მეტკინა. ალარ გამიღვიძებია, ისე დავწექი, მაგრამ რა დამაძინებდა!

ხუმრობაა! სულ მალე ახალ ცხოვრებას დავიწყებ, ქვეყ-

ნისათვის გამოსადეგ ქალად ვიქცევი! ფიქრებმა წამიღეს. ბოლოს ჩამთვლიმა. უცებ ხმაური მომესმა: კაცია მთვრალი მოსულიყო და საჩქაროდ წამომდგარ ეფემიას უკმეხად ელაპარაკებოდა, თან ოთახში დაბორიალობდა. დიდხანს იყბედა, ბოლოს ჩემს ლოგინს ბანდალით მოუახლოვდა და ერთბაშად საბანი გადამხადა.

ვიკივლე.

— რამ შეგაშინა, სულელო? კაცისმჭამელი ხომ არა ვარ! — მითხრა ლუღლუღით ლოგინზე წამომჯდარს.

ამ დროს მოვარდა გამწარებული ეფემია და ძლივს მომაშორა.

მეგონა, ეფემიას ცემით მოკლავდა, მაგრამ ჩხუბის ნაცვლად, ახლა მას მოეხვა. საწყალი ქალი ცდილობდა ხელიდან გასხლტომოდა, მაგრამ ვერ შეძლო.

მხეცი!..

3

სამი დღეა საწერ მაგიდას არ გავკარებივარ.

არც ლაშასთან შემივლია.

უცნობი ქალის დღიურმა უგუნებოდ გამხადა. უბედურებაა პირდაპირ, რაღა მაინცდამაინც მე უნდა გადავაწყდე ყველაფერ უცნაურს!

ვატყობ, დღიურის გაგრძელება უფრო საშინელი იქნება. მეტს აღარ მოვკიდებ ხელს.

უკვე დაღამდა.

ელექტრონი ავანთე და ოთახში ფრთამოტეხილი ბატივით დავიწყე ფარფატი.

ზეინაბი მაგონდება.

ნეტავი რას აკეთებს!

გუშინ ტრამვაიდან თვალი მოვკარი პროსპექტზე ჯეირანივით მარტო მიმავალს და გულმა რეჩხი მიყო.

არ მეგონა, თუ ასე გამეხარდებოდა მისი დანახვა.

ჩემი ამბავი მიკვირს სწორედ: ეს დაბრძენებული კაცი რა ჯანდაბამ ამატრუა, რომ არ ვიცი?

არცაა საჭირო ვიცოდე. ავად იყო თუ კარგად, მე ჩემი არ-

ჩივი კიდეც მომიხნავს და კიდეც მომიმკია. ახალი ტრაგედიების თავი სადა მაქვს. სიყვარულის გარდა სხვაც ბევრი რამაა საინტერესო ამ ქვეყნად.

სავარძელში ჩავჯექი და გავინაბე.

ფიქრებში გართულს უეცრად გივი წამომადგა თავზე.

— როგორ მუმიად ქცეულხარ! ადე, ადე, თეატრში წავიდეთ, შილერი ვნახოთ, — შემოსვლისთანავე მითხრა მან და ერთი კარგათაც შემანჯღრია. — აბა, ჩქარა ჰო, დავგვიანდებით.

გივიმ თან მოიტანა თოვლის სურნელი და სუსხი.

უხალისოდ შევუდექი მზადებას. იმავე დროს ვეუბნები:

— შე გაუთლელო, კალოშებით რომ შემოძლაგუნდი, ჩემი ბინა თავლა ხომ არ გგონია?!

გივის მამა თბილისის გუბერნატორის მეჯინიბედ იყო ნამყოფი და ჩემი ხუმრობა არაფრად იამა. ეს გვიან გამახსენდა.

— კიდევ თოვს? — ვცადე ნათქვამის გაქარწყლება.

— არა. ქუჩებში შუშაა მოგებული. ცა მოწმენდილია და ყინავს. მთვარე არ ჩანს, მაგრამ დღესავით ნათელია. გარეთ ყოფნას ახლა არაფერი ჯობია, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად მიპასუხა მან. ცოტა ხნის შემდეგ ცალყბად დაუმატა:

— წავიდეთ!

სახლიდან მარდად გამოვედით, მაგრამ ქუჩაში მუხლები ვეღარ გავმართეთ, მოლიპულ ქვაფენილებზე წარამარა გვიცურდებოდა ფეხი. მართლაც, შესანიშნავი ღამე იყო. ჯანსაღ ჰაერს მთელი მკერდით ვსუნთქავდით. ნესტოებიდან ორთქლი ბოლად გვდიოდა.

შევედით თეატრში. ხარიხები სავსეა. ჩვენი პალტოების დასაკიდებელი ადგილის შოვნა გაჭირდა. ეტყობა, მთელი თბილისი აქაა დღეს.

დიდი ხანია თეატრში არ ვყოფილვარ, მეხამუშება ფოიეში აჭრელებულ ხალხში გარევა.

ესეც არ იყოს, მე კარგი პიესის წაკითხვა უფრო მირჩევნია.

მაინც, რა ცამ თოვა ამდენი ხალხი!

გივი თვალსა და ხელს შუა გამიქრა. მეშინია, არავინ ამე-

ყიდოს. სხვასთან საუბრის თავი სრულებით არა მაქვს. სი-სულელე მომივიდა: ჩემს მღგომარეობაში მყოფ ადამიანს თეატრში რა უნდოდა.

კედელს მივეყუდე და გამვლელ-გამომვლელ ქალებს ვათ-ვალიერებ; მათ უმრავლესობას ფრესკის სახე აქვს, მაგრამ ტანი?

არა, დღეს მეტად ახირებულ ხასიათზე ვარ, ყველაფერი სხვანაირად მეჩვენება, თორემ ქართველი ქალების სილამაზე დასაბამიდან განთქმული ყოფილა. ირანის შაჰებს და თურ-ქეთის სულთნებს, ყოველგვარ ძვირფას ხარკს, ქართველი ქალწულები ერჩიათ.

ახლაც, ამ თეატრში, ბევრია ლამაზი და აზიზი, მაგრამ ის ქალი, რომელიც ფოიეში შემოსასვლელ კართან დგას ზურგით ჩემსკენ, ვატყობ, ყველას ჯობია. გამვლელები მიშ-ლიან, მაგრამ მაინც ვახერხებ ამისი გარეგნობის დანახვას: კე-ნარი ტანი აქვს. მხრები ზომიერი და სათუთი. თეძოები მა-ღალი და ჩამოსხმული. წელზე სამაჯური შემოწვდება. თა-ვი შეუმჩნეველი სიამაყით უჭირავს. თმა ვაჟურად შეკრეჭი-ლი და სადად დავარცხნილი.

ზარი მეორედ დარეკეს.

ქალი მობრუნდა.

ეს ხომ ზეინაბია!

ის ვაჟი ვინღაა?

გულბათ...

მომასწრეს დარბაზში შესვლა.

რამ დამაბრმავა ასე, რატომ აქამდე ვერ ვიცანი ან ერთი ან მეორე?

შუა ფოიეში ვარ გაშეშებული. ვგრძნობ, დარბაზი ჩქა-რა შესვლის მსურველებს გზას ვუღობავ, მაგრამ დაძვრა ვერ მომიხერხებია.

აი, დალახვროს ეშმაკმა! ჩემს თავს ვეღარ ვცნობ. აბა, რა საწყენია ზეინაბისა და გულბათის ერთად ყოფნა?

ფოიე დაცარიელდა. კაპელდინერმა მთხოვა დარბაზში შევსულიყავი, მაგრამ მე პირდაპირ დავადექი გზას. პალტო ულაზათოდ მოვიცვი და გარეთ გამოვედი. უჰ, როგორ ცხე-ლოდა თეატრში, ძლივს არ მოვითქვი სული!

მინდა სხვა რამეზე ვიფიქრო, მაგრამ მთელი არსებით ისევ თეატრში ვარ. სხედან ახლა ისინი, — ვფიქრობ მე, — გვერდიგვერდ და ისმენენ კარლ მოორის ცეცხლოვან სიტყვებს, მე კი უგულოდ ვხეტიალობ ამ ყინვაში.

მინდოდა ლაშასთან შემეევლო, მაგრამ გადავიფიქრე.

ხვალ სერობაზე მივალ და იქ იქნება. დღეს აღარ ღირს.

* *

ლაშასთან იმ დროს მივედი, როცა გივი ამბის სათქმელად ემზადებოდა.

ზეინაბმა მთელი სახით გაბიღიმა. მანიშნა, მის გვეოდით დავმჯდარიყავი, მაგრამ მე ლაშას ახლო დავიდგი სავარძელი.

მეგობრებს თვალი გადავავლე.

გულბათმა, რატომღაც, სახე მომარიდა.

ზეინაბმა საყვედურით შემომხედა.

ბუხარი ჩვეულებრივ გუგუნებდა.

ტკბილი სასმელების გარდა მაგიდაზე რამდენიმე ბოთლი ღვინო იდგა.

— სად დაიკარგე წუხელის, რაიბულ? ზეინაბს უნდოდა ენახე, ყოველი ანტრაქტის დროს გეძებდით, მაგრამ შენი ასავალ-დასავალის ვერაფერი გავიგეთ, — ნახევრად სინანულის, ნახევრად საყვედურის კილოთი მომმართა გივიმ.

— ცუდად გავხდი და შინ წავედი, — ნაძალადევად ეუპასუხე მე.

— გეტყობა, შენ არც ახლა უნდა იყო კარგად, — მზრუნველობით მკითხა ზეინაბმა.

— პირიქით, მშვენივრად ვგრძნობ თავს.

— რადგან აღარავინ გვაკლია, ნება მიბოძეთ, მეგობრებო, ჩემი ვალი მოვიხადო, — თქვა გივიმ და პაპიროსს მოუკიდა.

### უცნაური გასვენება

— 1918-19 წლებში ქუთაისში პოეტების მთელი რემა დადიოდა, — ცოტა დამცინავ კილოზე დაიწყო მან. —მეც, რა თქმა უნდა, მათ რიცხვში ვერიე. ბევრი ჩვენგანი ჩხირის გა-

დამბრუნებელიც არ იყო, ეშვიათად ვწერდით ლექსებს, უფრო ხშირად ვქეიფობდით. ახლაც არ ვიცი, რა სერმიით ვახერხებდით ამას.

საღამოს გამოვდიოდით რესტორანებიდან და ქუჩებში ვტეხდით აყალმაყალს. ხანდახან შევიჭრებოდით თეატრში ან კლუბში და თუ სადმე ღიპიან კაცს დავინახავდით, გაჩენის დღეს ვაწყევლინებდით.

ამის გამო განსაკუთრებით ვაჭრებს ვძულდით. ჩვენს დანახვაზე ელეთმელეთი მოდიოდათ. არც მენშევიკებს ვუყვარდით მაინცდამაინც. ჩვენს თავაშვებულებას ისინი არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებად თვლიდნენ და, რაც შეეძლოთ, გვდევნიდნენ.

მაშინდელი მილიციის უფროსი ჭორავით დაგვდევდა, მაგრამ რაღაცა იღბლად, მისგან ყოველთვის უვნებლად ვაღწევდით თავს.

ბევრი უცნაური ამბავი მახსოვს იმ დროიდან. მე თქვენ მოგიყვებით მხოლოდ ერთ მათგანს, ყველაზე უფრო კურიოზულს და თანაც განსაცვიფრებელს.

ჩვენთან მუდამ იყო ერთი ფარმაცევტი, ვინმე აბელ ლაბაძე. კაცი თავზეხელაღებული და ნამდვილი უქნარა. პოეტები სიცოცხლეს ერჩია. უჩვენოდ ფინჩხას არ ჩაიდებდა პირში. კოპლსა და ჭარხალივით სახეწითელ აბელს ორთაყვირებივით მკლავები ჰქონდა.

ლაბაძის მუშტის ძალა მთელმა ქუთაისმა იცოდა, ამიტომ, როცა ის თან გვახლდა, უფრო გაბედულად ვახდენდით სკანდალებს.

აბელი ცხოვრობდა ბალახვანში, პატარა ქოხში, მოხუც მამიდასთან, რომელთანაც შეხიზნული იყო აგრეთვე ერთი უბინაო, პოეტობისათვის თავგადადებული ყმაწვილი.

ერთხელ აბელი ამ ყმაწვილთან ერთად სოფელში წავიდა.

რამდენიმე დღის შემდეგ, კვირა დილას, მოულოდნელად აბელი შეწუხებული სახით მოვიდა ჩემთან ბინაზე და მითხრა:

— ის უბედური ყმაწვილი სოფელში უეცრად გარდაიც-

ვალა, წუხელის ჩამოვასვენე. დღეს უსათუოდ უნდა დავმარ-
ხო. ან კი რას ვუცადო? გთხოვ, მცე პატივი და მოხვიდე.

შევწუხდი, მეწყინა.

— რა თქმა უნდა, მოვალ, — ვუთხარი შეცვლილი ხმით.

— შენთან ყველაზე ბოლოს მოვედი. სხვებს უკვე ვაცნობე. დარწმუნებული ვარ, არავინ დაიზარებს მოსვლას. კერძოდ შენი დიდი იმედი მაქვს, — ეს თქვა და სწრაფად გავიდა. ვეღარაფრის კითხვა მოვასწარი.

დღის სამი საათისთვის უკლებლად მოვიყარეთ თავი მის ბინაზე. თითქმის ჩვენს მეტი არავინ იყო. აბელის მამიდაც არსად ჩანდა.

— მამიდაშენს რაღა მოუვიდა? — გავიკვირვე მე.

— ჯავრზე ავად გახდა, მეზობლისას წევს, — სერიოზულად მიპასუხა მან.

მალე მღვდელიც მოვიდა.

— მღვდლით გასვენება არ მინდოდა, მაგრამ მამიდაჩემის ხათრით დავუძახე, — ჩუმად გვითხრა აბელმა და თან დაუმატა: — საწყალი, ისე უცებ გაიხრწნა, კუბოს რომ თავი ავხადო, აქ კაცი ვეღარ გაჩერდება.

იმავე დროს გავიგეთ, რომ აბელს მისი დასაფლავება, როგორც პოეტის, არქიელის გორაზე უნდოდა, ბაგრატის ტაძრის გალავნში, მამია გურიელის ახლო.

მორჩა თუ არა მღვდელი წესის აგებას, კუბო მხრებზე გავიდევით.

მიცვალებული პირდაპირი ქუჩით ნელა წავასვენეთ ქალაქის ბაღისაკენ. ბრჭყვიალა ოლარით შემოსილი მღვდელი წინ მიგვიძღოდა.

მაისის მშვენიერი, მზიანი ამინდი იდგა. ბაღში და ბაღის აქეთ მდებარე ქუჩის ორივე მხარეს, ჩვეულებრივ, როგორც ყოველ უქმე დღეს, აუარებელი ხალხი იდგა.

ჩვენს დანახვაზე მოსეირნენი ჯგუფ-ჯგუფად შეჩერდნენ და ყველამ გაოცებით დაგვიწყო ცქერა. როცა გაიგეს, პოეტს მივასვენებდით, ნაცნობები მაშინვე შემოგვიერთდნენ. მათ სხვებმაც მიბაძეს და მალე ჩვენი პატარა ასაბია ვებერთელა პროცესიად იქცა.

ჯაჭვის ხიდთან უკან მოვიხედე: პროცესია კიდევ უფრო გაზრდილიყო.

იმ დროში ქუთათურებს ძლიერ უყვარდათ გასვენებებში სიარული. ზოგჯერ სრულიად უცნობის გასვენებაშიაც კი მიდიოდნენ და რა გასაკვირია, რომ პოეტების მიერ პოეტის გასვენება ყველა გასვენებაზე უფრო საინტერესო ყოფილიყო მათთვის.

ჩვენ, როგორც ჭირისუფლებს, აღარავინ გვაკარებდა კუბოს.

სულ ჰაერში აწეული მიჰქონდათ.

როგორც იყო, ავაღწიეთ ბაგრატის ტაძრამდე.

სამარის გათხრას ჯერ არც კი შედგომოდნენ.

ყველას გაგვიკვირდა ეს გარემოება.

მეტი გზა არ იყო, კუბო ტაძრის ნახევრად დანგრეულ კედელთან დავასვენეთ.

მღვდელმა უკანასკნელად იმღერა სულთათანა და ოლარი მოიხსნა.

მძიმე სიჩუმე დადგა.

მეგობრებმა მაიძულეს სიტყვა მეთქვა.

უარი არ გამ ვიდა

შევდექი ლოდზე. გაფითრებულმა ჯერ თვალი მოვავლე იქაურობას, მერე თმაზე ხელი გადავისვი და აკანკალებული ხმით დავიწყე ლაპარაკი.

ხალხი სულგანაბული მისმენდა.

მართლა ისე ვიყავი გულსატკენი იმ ყმაწვილის უდროო დაღუპვით, რომ თითოეულ სიტყვას მთელი გრძნობით ვამბობდი. შევატყვე, ხალხს გული აუჩუყდა და ხმას ავუწიე. აქაიქ გაისმა ქალების ქვითინი.

მწუხარებით სავსე ჩემი ხმა გაბზარული ზარივით რეკდა და მისი გაგონება მევე უცნაურ ერუანტელს მგვრიდა.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვილაპარაკე. როგორც კი ჩამოვედი ძირს, ბავშვივით აზლუქუნებულმა აბელმა გულში ჩამიკრა და მაკოცა.

— დამწვა კაცი შენმა ენამ, ისეთი გრძნობით ლაპარაკობდი, თითქოს... ძმობას გეფიცები, მამჩემის გასვენებაში არ

მიტიია ასე გულდაგულ, — ლუღლუღით მითხრა მან და კელავ მაკოცა.

ჩემს შემდეგ ლოდზე ავიდა მენშევიკი ნოქარი, რომელმაც მთელი მენშევიკური პარტიის სახელით ილაპარაკა.

მენშევიკი ნოქარი შეცვალა ფედერალისტების ჭაღაროსანმა წარმომადგენელმა, ის — ნაციონალ-დემოკრატმა და ამასობაში მზეც გადიხარა.

როცა სიტყვების წარმოთქმა დასრულდა, აბელმა ხალხს ხმამაღლა მიმართა:

— პატივცემულო საზოგადოებავ, ჩემთვის გაუგებარი მიზეზების გამო, მესაფლავეებს სამარის გაჭრა ვერ მოუსწრიათ. ვიდრე ისინი თავის მოვალეობას შეასრულებდნენ, კარგა ხანი გაივლის. თქვენ ნუღა შეწუხდებით. მიცვალებულთან, მის დაკრძალვამდე, ახლო მეგობრები დავრჩებით. მათი სახელით დიდი მადლობა მომიხსენებია ყველასათვის.

საზოგადოება თანდათან დაიშალა.

მალე ერთი უცხოთაგანიც არ დარჩენილა ჩვენს მახლობლად.

დრო გადიოდა და მესაფლავენი არსად ჩანდნენ.

აბელი, რატომღაც, ჩუმად იყო. თვალს გვარიდებდა. წარამარა აქეთ-იქით იცქირებოდა.

უეცრად ერთმა ჩვენთაგანმა იყვირა:

— მკვდარი გაცოცხლებულა!

უნებლიედ ყველანი შიშმა შეგვიპყრო: მართლაც, „გარდაცვლილი პოეტი" ჩვენსკენ მოდიოდა, თან ნაჯახი მოჰქონდა.

აბელი უხმოდ მიეგება მას, გამოართვა ნაჯახი და მისი საშუალებით კუბოს თავსახურავი მშვიდად ახადა...

...კუბოში იდვა ერთი დიდი ტიკი, შიგვე ეწყო კალათები შემწვარი გოჭით, ხაჭაპურებით, მრგვლად მოხარშული ქათმებითა და მწვანილით სავსე.

ბაგრატის ტაძრის ნანგრევებთან ჩვენი ლექსების კითხვა და სადღეგრძელოები ალიონამდე არ შეწყვეტილა.

* *

ფინალმა ბევრი აცინა ზეინაბი.

— ვერაფერი ხუმრობაა მაინცდამაინც, რომ მართალი თქვას კაცმა, — ჩაილაპარაკა გულბათმა.

— მაგ ხულიგნურ ამბავში საინტერესოა მხოლოდ აბელის ტირილი, რაც იმავე დროს იმას ამტკიცებს, რომ შენს სიტყვას მართლა დიდი ზემოქმედების ძალა ჰქონია, — გაეხუმრა ლაშა გივის.

— არა, შენ რომ გაცუცურაკებულხარ ჩემო გივი, ცხადია, მაგრამ არც იმ მენშევიკ ნოქარს დაყრია კარგი დღე, — სიცილით უთხრა გივის პაატამ, თან ჭიქები აავსო და თვითნებურად თამადობა დაიწყო.

რამდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ უფრო მხიარულ გუნებაზე დავდექით, თუმცა მე კიდევ ვერ ვგრძნობდი თავს ჩემს ტყავში.

განსაკუთრებით მოილხინა ლაშამ. სულ აღარ ეტყობოდა თუ ნაავადმყოფარი იყო.

— ამხანაგო ლაშა, მე როგორც გავიგე, შენ მეტად საინტერესო წარსული გქონია. გთხოვ, გვიამბო ერთი ეპიზოდი მაინც შენი წარსული ცხოვრებიდან. — მოულოდნელად მიმართა მას ზეინაბმა.

— კარგი იქნება, კარგი! გთხოვთ, გთხოვთ, ლაშა! — ყველამ ერთხმად შევძახეთ.

— სხვა დროს, ახლა არ შემიძლია, — ბოდიში მოიხადა ლაშამ და ვაშლის ნაჭერი აიღო.

— უარი არ შეიძლება. ჩვენ, ახალგაზრდებს, გვსურს ვიცოდეთ: როგორ იბრძოდნენ ჩვენი მამები და პეპერები თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. და შენ, პატივცემულო ლაშა, რომელიც ერთი პირველთაგანი იყავი მათ შორის, ვალდებული ხარ, ჩვენი სურვილი უყოყმანოდ შეასრულო, — პათეტიურად მოუწოდა მასპინძელს გივიმ.

— თავის დროზე ცოლი რომ შეგერთო, ლაშას ტოლა შვილი გეყოლებოდა. შენ თუ ახალგაზრდა ხარ, მაშინ მე რაღა ვყოფილვარ? — ორჭოფულად გამოექომაგა ლაშას თამადა.

— რა ყოფილხარ და... წყნეთელი რაში! — იმავე კილო-

ზე უპასუხა გივიმ და ლაშას მიუბრუნდა: ― ხუმრობა იქით იყოს და ზეინაბს მაინც ნუ გააწბილებ.

― რა გაეწყობა, ზეინაბის ხათრისათვის მზად ვარ ისევ ჩავიწყო ბომბები ჯიბეებში, ― ღიმილით თქვა ლაშამ, ოდნავ შეეერცხლილი თმის სწორებით ბუხრისაკენ პირი იბრუნა და მცირე სიჩუმის შემდეგ მოგვესმა მისი მშვიდი ხმა.

## ჩაფხან დადეშქელიანი

მთვარე არ ჩანდა მაგრამ ცა ისე კრიალებდა და ისე იყო მოკენჭილი ვარსკვლავებით, რომ წითელი ვაშლებით მსხმოიარე უზარმაზარ ხეს ჰგავდა.

მოვარვარე მზისაგან დარჩენილი თაკარა ჯერ კიდევ ვერ გაენელებინა კოჯრის ნიავს და, როგორც ახლად ჩამქრალი ხანძრის ალაგას, ქუჩაში სუნთქვა ჭირდა.

თეთრად შემოსილი ხალხი ფარეხიდან უეცრივ გამორეკილ ცხვრის ფარასავით მიჰყვებოდა ვიტრინებიდან გამოცემულ შუქს.

მეტადრე დიდი ფუსფუსი იყო ქართული კლუბის ალაყაფთან, სადაც ჩემმა მეეტლემ ისე ერთბაშად შეაჩერა დაოთხილი ცხენები, რომ მათ ნალებს ნაპერწკლები ავარდა.

წინასწარ განდობილ მეეტლეს გარეშეთათვის თვალის ასახვევად ფული მივეცი, თანაც ვანიშნე ― შორს არ წასულიყო, მერე მტკიცე ნაბიჯით ალაყაფში შევედი.

კლუბის კარებთან უნებურად ჯიბეში რევოლვერი მოვისინჯე. იმავე დროს განგებ უდარდელი იერი მივიღე.

მარმარილოს საფეხურზე ნელა ამავლს მომეჩვენა, თითქოს, წინ მეგებება თვალწარმტაცი და უცხო სილამაზის მქონე ქალი. დიახ, მომეჩვენა, რომ ეს ქალი მეორე კიბიდან ამოდიოდა, ჩემთან შესახვედრად. დავაკვირდი: ქალს ლოყებზე სიმკრთალე დაჰკრავდა, ხოლო ღაწვებზე ოდნავ ლალი უქვიოდა; ქერა, გრუზა თმა ზევით ჰქონდა ავარცხნილი და ერთიმეორეზე გადაბმული წარბები ნათელ, მაღალ შუბლზე მწყერის ფრთებივით საფეთქლებამდე გაშლოდა. მოლისფერი დიდრონი თვალები, საოცრად გრძელი წამწამებით, ციაგ სხივებს ისროდნენ. მის მოგრძო სახეს უფრო მიმზიდველს ხდიდა ორკაპა ნიკაპი და ცოტა სქელი, წითელი ტუჩები.

სათუთი ცხვირის ნესტოები პეპელას ფრთებივით უთრთოდა, ჩალისფერ კაბაში შოლტივით მოქნილი ტანი არც კი ერხეოდა.

ეს სურათი უფრო მერმინდელი შექმნილი და მოგონების ნაყოფია, თორემ მაშინ ასე ზედმიწევნით მისი გარეგნობის აწერისათვის არც დრო მქონდა და, მით უმეტეს, არც სურვილი.

საოცარი ის იყო, რომ მისმა დანახვამ უნებლიედ შემაჩქვიფა, მაგრამ მალე, პირისპირ შეყრის მაგიერ, ქალმა ღიმილით გვერდი ამიარა და აჩდილივით გაჰქრა.

მასთან ერთად თვალს მიეფარა ჩაფხან დადეშქელიანიც, რომლის ორეული სულ ბოლოს შევნიშნე კიბის მოსახვევთან ძთელი კედლის სიფართეზე დაკიდებულ სარკეში.

იმავე სარკეში გვიან შევამჩნიე ჩემი ლანდიც.

* *

კლუბის ბაღში ჟინიანი ჟრიამული იდგა.

ერთთავად ისმოდა ნაირად ძორთული ქალების კისკისი და ერკემლებივით მოსიარულე ოფიცერთა დეზების წკარუნი.

ჰაერი გაჟღენთილი იყო ყვავილებისა და ვარდის წყალში ნაბანი ქალების სურნელით.

გავნაპირდი.

ამდენი ქალ-კაცის ხორხოცი თანდათან გულს ზიზღით მიმსჭვალავდა.

იმავე დროს თვალწინ მესახებოდა მუშათა უბნები, ჩაბნელებული, ვიწრო ქუჩებითა და ჭერდაბალი ქოხებით, სადაც ბავშვებს ძილშიაც კი ენატრებოდათ ხმელა პური. მერე ფრონტი მომაგონდა მთელი თავისი საშინელებითა და ფარსაგი ცეცხლით, და ვფიქრობდი, ახლა, ამ წუთს, ვინ იცის, იქ რამდენ ვაჟკაცს ყორნები კორტნიან თვალებს, რამდენს სდის თქრიალით სისხლი, რამდენს უჭირავს ყუმბარის ნატეხით გადმოყრილი შიგანი საკუთარი ხელით, უკანასკნელად ეძახის დედას და ერთი წვეთი წყალი სიცოცხლეს ურჩევნია.

აქ კი ნამდვილი ღრეობა გაუმართავთ, რომ შემდეგ ნასუფრალი მათ საჩუქრად გაუგზავნონ.

ფიქრებიდან გამომარკვია მეყუსეულად დარხეულმა მუსიკის ხმებმა.

ხალხში გარეცა დავაპირე.

უცებ მკერდზე ვარდი მომხვდა, მისი დაჭერა არც კი მიცდია. ძირს დავარდნილ ვარდს ფეხი დავაბიჯე და გზა განვაგრძე.

კარგა ხანს ვიარე ცალფად...

დროდადრო გამახვილებულ მზერას ბაღს მიმოვავლებდი, მაგრამ ვისაც ვეძებდი, ჯერ არსად ჩანდა.

ერთხელ, ასე მზვერავი, წინ შევეჩეხე სარკეში ნახულ ქალს და მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ ეს ქალი იყო გენერალ ლაზარევის ასული, რომელსაც უფრო ბევრი იცნობდა, როგორც ვორონცოვ-დაშკოვის ნათლულს.

ქალი მკლავდამკლავ მოჰყვებოდა შალიაპინს. მომღერალს ხელში ეჭირა ომში მოკლული უცნობი ჯარისკაცის ქუდი. შალიაპინის გარდა ქალს ახლდა შავ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, იშვიათი თვალტანადობის ჭაბუკი — იგივე ჩაფხან დადეშქელიანი და რამდენიმე ქალისა და ოფიცრის ამალა.

ქალმა უცნაური ღიმილით შემომანათა თვალები:

— გთხოვთ, დაეხმაროთ ომში დასახიჩრებულებს!

მისმა ხმამ, უნდა გამოვტყდე, უხილავი თასმებით შემბოჭა, მაგრამ მის ჯადოს მალე ვძლიე: ოქროს თუმნიანი ცივად ჩავუგდე შალიაპინს უკვე ფულით სავსე ქუდში და სწრაფად გავბრუნდი.

სათქმელად მომზადებული მადლობა ქალს ბაგეზე შერჩა.

მარტო დადეშქელიანმა შეამჩნია, თუ როგორ დაწყდა გული ლაზარევის ასულს.

სვანმა ღაზო თვალი გამომაყოლა.

ალალბედზე გავწიე ზევით ყვავილოვან ტერასებით, როგორც მაშინ ეძახდნენ, „ოქროს ჩარდახისაკენ“.

ჩარდახი გაჩირაღდნებული იყო.

ფათალოთი შეფოთლილ სვეტებზე იაპონური ფანრები ეკიდნენ.

შიგ შესვლისთანავე თვალში მეცა ჟანდარმთა პოლკოვნიკის დრაგომიროვის სტაფილოს მსგავსი ულვაშები.

უცებ ცივმა ოფლმა დამასხა.

არ ველოდი, თუ იქ შევხვდებოდი მას.

დავიბენი, მაგრამ მალე მოვედი გონს.

დრაგომიროვს გარდა, დიდი, მოგრძო და ლურჯ მაუდგადაკრულ მაგიდას უსხდნენ სოლოლაკელი სოვდაგრები.

ვიღაცა, რომელსაც ეტყობოდა ბლომად ჰქონდა წაგებული, სწორედ ჩემი მისვლისას ადგა.

მაშინვე დავიკავე მისი ადგილი.

* *

ქაღალდის თამაშში ჩემი ჩარევა რატომღაც ყველაზე უფრო არ ეჭაშნიკა ქალაქის მოურავს, ხატისოვს.

დრაგომიროვმა, რომელიც ტოვებდა ბავშვების მიერ ყვითელი თიხით ულაზათოდ გაკეთებული კაცის შთაბეჭდილებას, ჭიქის წვრილი თვალები ერთი უტიფრად მომაპყრო, მერე ხატისოვის წინ დახვავებულ ფულს შეხედა და გაბიჟვინებული თითებით ულვაშები გაისწორა.

ძალისძალად ვითმენდი მის ახლოს ყოფნას, ან კი როგორ შემეძლო მშვიდად მეცქირა იმ კაცისათვის, რომელიც მთელი სისასტიკით არბევდა არალეგალურ წრეებს, მუსრს ავლებდა რევოლუციონერებს და შეტეხის ხაროებში ყრიდა მათ. დრაგომიროვი ცდილობდა არალეგალური მოძრაობის მესაჭენიც ხელში ჩაეგდო, მაგრამ მისი გუმანი უკვე ვიცოდით და, დღეს იქნებოდა თუ ხვალ, სამაგიერო უნდა მიგვეზღო.

საჭირო იყო დრაგომიროვი ისე აგველაგმა, ისე მოგვეხერხებია მისი მოკვლა, რომ ტერორისტულ აქტს მიცემოდა შემთხვევითი ხასიათი და ბრალიც მარტო ერთს დადებოდა.

და ჩემი გონება მოცული იყო ერთი ფიქრით: რით გამომეწვია მისი რისხვა, რომ სხვების თვალის ასახვევად საბაბი მქონოდა იქვე მომეყვანა დავალება სისრულეში.

„ოქროს ჩარდახი" ამ მიზნის განსახორციელებლად ყველაზე უფრო დასამხარ ალაგად მომეჩვენა.

* *

კაფანდარა კრუპიემ გამოაცხადა ბანკში დაგროვილი თანხის რაოდენობა.

დარიგდა კარტი.

მოგების სურვილი მეტოქეებს აშკარად გამოეხატათ სახეზე, მაგრამ ხატისოვმა ზედიზედ დაამარცხა ისინი.

ჩემმა ჯერმაც მოაღწია.

— ხუთი თუმანი! — უხალისოდ დავიძახე.

ხატისოვს მქირდავმა ღიმილმა შეურხია მოკუმული ბაგე.

წავაგე.

ხატისოვმა კრუპიეს ჩოგანი გამოართვა და ჩემგან მონაგები ფული ხელუკუღმა მისცა იქვე მდგომ ლაქიას, რომელიც დროგამოშვებით ქალაქის მოურავს ლანგარით აწვდიდა ხილს და მაღალ ფეხიან ჭიქას, სავსეს ყინულზე გაცივებული შამპანიურით.

დრაგომიროვს ხმამაღლა გაეცინა.

ლაჩარი ყოველთვის გმირია მაშინ, როცა მის მტერს ხელები შეკრული აქვს, — გავიფიქრე მე და თვალები ნაკვერცხლებად მექცა, მაგრამ თავი შევიკავე.

ბანკში უკვე ას თუმანზე მეტი იყო.

ხელახლა დაარიგეს კარტი.

კვლავ წააგო:

პირველმა,

მეორემ,

მესამემ,

მეოთხემაც.

დადგა ისევ ჩემი ჯერი. შევყოყმანდი. ათასმა აზრმა გამიელვა. რა კარგი იქნებოდა, ხატისოვის ნაცვლად ამ ჭიდილში დრაგომიროვი მყავდეს მოქიშპედ, — ვინატრე ჩუმად, — მაშინ ყველაფერი იოლად მოხდებოდა.

პარტნიორები თვალს არ მაშორებდნენ.

ჩემსკენ ალმაცერად მაცქერალი ხატისოვი შამპანიურით ისველებდა სქელ ტუჩებს.

„ჩარდახში" უჩვეულო სიჩუმემ დაისადგურა.

მუსიკის ხმაც რაღაც ძალიან შორიდან მოდიოდა.

ფათალოს ფოთლებსაც მოძალებული კოჯრის ნიავი სხვანაირად აშრიალებდა.

— ბანკ!.

გაისმა იჩქითად ქალის ჩეა და გულმა დარეკა.

ვიგრძენი: ჩემს უკან იდგა მეფისნაცვალის, ვორონცოვის ნათლული, რომელიც ცალი ხელით მხარზე მსუბუქად დამყრდნობოდა.

მეც თავიც არ ამიწევია, ვიდექი გარინრებული.

სხვებიც გაოცებით უცქეროდნენ ჩემს ქომაგს.

სწრაფად წამომდგარი დრაგომიროვი მხედრულად მიესალმა ქალს და მისი რიდით ახლა მეც მოწიწებით გადმომხედა.

დანარჩენებიც გაიმსჭვალნენ ჩემდამი კრძალვით.

ზოგს, ალბათ, ქალის მურაზი ვეგონე, ზოგს თვით ვორონცოვ-დაშკოვის მახლობელი, ზოგსაც მოეჩვენა, რომ ხელმწიფისაგან ახლად მოვლენილი დიდი კაცი ვიყავი, რომელსაც, მათი ფიქრით, სამოქალაქო ტანისამოსი იმ საღამოს განგებ მეცვა.

ხატისოვი შედრკა: საწინდრის მოთხოვნა ვეღარ გაბედა.

— ინებეთ! — ნაძალადევი ღიმილით მესროლა მან.

მეტი გზა არ იყო: კარტი შშვიდად ავიღე.

ხატისოვი თვალებად იქცა.

მთელი კრებული მოუთმენლობამ შეიპყრო, ყველა განცვიფრებული მომჩერებოდა.

ლენჩივით მდგარ კრუპიეს ფულის სახვეტი ჩოგანი ჰაერში დარჩა გაწვდილი.

მეგონა, სხვისი ხელები მება: უეცრად გამხდარი და ფრჩხილებგათეთრებული თითები აღარ მემორჩილებოდნენ. როგორც იყო, კარტს თავები მოვუსინჯე და ისევ მაგიდაზე დავაწყე. მერე პორტსიგარი ამოვიღე, ასანთს გავკარი და ერთი მოწევით პაპიროსი შუამდე დავიყვანე. მოლურჯო ბოლი ჩემს წინ გრძელლერიან ყვავილივით აიმართა. ენით გამოუთქმელი სიმსუბუქე ვიგრძენი.

ქალის მკერდს თავით ვეხებოდი და მისი აჩქარებული სუნთქვა ქოჩორს მირხევდა.

— გაშალეთ კარტი! — ვეღარ მოითმინა ხატისოვმა.

— თვითონ გაისარჯეთ, — დაუდევრად ვუპასუხე და კარტი მივაწოდე.

ხატისოვს ცოფი მოერია, მაგრამ შეურაცხყოფაზე უფრო ცნობისმოყვარეობამ ძლია და კარტი გაშალა.

— ო-ო-ო-ო, — ერთსა და იმავე დროს აღმოხდა ყველას.

ნახევრად მოხუჭული თვალები ფართოდ გავახილე და ჩემს კარტს დავხედე.

— მოვიგეთ! — აღელვებული ხმით დაიძახა ქალმა.

მე დიდხანს ვიყავი მდუმარედ, ბოლოს კრუპიეს ჩოგანი მოვთხოვე და სახემოღრეცილ ხატისოვის უკან სვეტადქცეულ ლაქიას დავუძახე.

ლაქიამ დაუყოვნებლივ მოირბინა ლანგრით. ალბათ, ეგონა, შამპანიურს ვთხოვდი.

მარცხენა ხელით ლანგრიდან ყველაფერი ძიოს გადავუშვი, მერე ჩოგანით ფული ავხვეტე და გაკვირვებულ ლაქიას ზედ დავუყარე.

მჩატედ წამოვდექი, მაგრამ წინ დრაგომიროვი გადამეღობა:

— რას შვრებით, თქვენო კეთილშობილებავ, ამდენი ფულის გაჩუქება როგორ შეიძლება!

პოლკოვნიკს ზიზღით ვკარი გულზე ხელი.

უჩვეულო ჩოჩქოლი შეიქნა. ვიდრე სახტად განზე გამდგარი დრაგომიროვი გონს მოვიდოდა, სარკეში ნახული ქალითურთ „ჩარდახი“ დავტოვე.

მეგონა, ჟანდარმთა პოლკოვნიკი, განთქმული თავისი სიმკაცრითა და ვერაგობით, არ მაპატიებდა ამ დამცირებას და თვალი უკან მეჭირა, მაგრამ მდევარი არ ჩანდა.

* * *

მეფისნაცვლის ხათლული თვინიერი ნიამოროვით მიმყვებოდა კვიმატ ფიქრებში გართულს.

ქალს აღიზიანებდა და თანაც იზიდავდა ჩემი ურჩი და უკმეხი ქცევა.

— უცნაური ყოფილხართ, — მითხრა მან ტკბილად, — უცნაურია ჩვენი შეხვედრაც, მაგრამ მე კმაყოფილი ვარ ამ შეხვედრით. ასეთი რამ ჯერ არასოდეს მიგრძვნია სხვა მამაკაცებთან, რომელნიც ფარვანებივით მუდამ გარს მეხვევიან და

მზად არიან ჩემი ნატერფალი ლოკონ, მაგრამ ისინი მე მიყვარს, როგორც უყვართ მხოლოდ კარგი ძაღლები.

მცირე სიჩუმის შემდეგ, ჩემდა გასაკვირად, ქალმა მიამიტი ხმით კვლავ განაგრძო ლაპარაკი. პირველ ხანებში ის ცოტა სხვანაირად ეპყრობოდა, თურმე, სვან თავადს. ქალი მოუხიბლავს დადეშქელიანის გარეგნობას და ზრდილობით დაოკებულ მის ველურ ბუნებას, მაგრამ მალე ჩაფხანში მარტო ხვადი დაუნახავს, რის შემდეგაც მასზე გული აუყრია. ქალს ხანდახან თუ იამებოდა მასთან ყოფნა, მეტწილად კი მობეზრებული ჰქონია მუნჯი თავადის უტყვი ტრფიალი.

ეს შეუტყვია დადეშქელიანს და ბარათით გაუმხელია ქალისთვის თავისი ალალი სიყვარული. იქვე დაწვრილებით ყოფილა მოთხრობილი გიმნაზიაში ორძელზე ვარჯიშობისას სვანის ძირს ჩამოვარდნის ამბავი. ამ შემთხვევის დროს დაკარგვია, თურმე, მას მეტყველების უნარი, მაგრამ ქალში ბარათს მარტოოდენ სიბრალული აღუძრავს მისდამი.

ქალი მიხვდა, რომ მე მაინცდამაინც არაფრად მაინტერესებდა მისი აღსარება და გაჩუმდა.

კარგა ხანს ვიარეთ ასე უბრად ბაღის ზევითა მხარეს, მომცრო ხეივანში.

ქვევით ისევ ლაღობდნენ.

— თქვენზე მე ნაწყენი ვარ, — დაარღვია ქალმა სიჩუმე და თავი დახარა.

— რატომ? — გულუბრყვილოდ ვკითხე და შევჩერდი.

— როგორ თუ რატომ! — გაიოცა მან. — როცა პირველად დაგინახეთ სარკეში, სიხარულით ცა გამეხსნა, მაგრამ მერე რა! ჩემგან მოძღვნილი ვარდი გათელეთ, ჩემს ბედზე მონაგები ფული ლაქიას აჩუქეთ, მამაჩემის მეგობარი, დრაგომიროვი, შეურაცხყავით, არ კმარა? თქვენი გულისთვის რა არ ჩავიდინე ამ საღამოს, უცხო კაცს გულიც გადაგიშალეთ, თქვენ კი ორი სიტყვაც არ გემეტებათ ჩემთვის! — ქალი პირისპირ დამიდგა და ვნებიანი ჩურჩულით მითხრა: — უმადური ყოფილხართ, ღმერთმანი.

სხვა დროს, სხვა გარემოში, ალბათ, ბედნიერად ჩავთვლიდი თავს მეცქირა მის ლურჯად მოკიაფე თვალებში, მაგრამ ახლა, როცა მისი მეოხებით განზრახვა ლამის ჩამეშალოს, —

ვფიქრობდი მე, — როცა ასეთი დიდი მოვალეობა მაწევს, რა უფლება მაქვს საკუთარ გრძნობებს ავყვე!

ჭკუამოკლე ხალხი ცდილობს, რაც შეიძლება გადასდოს არასასიამოვნო საქმის გაკეთება. ასე დამემართა მეც. წინდაუხედავად მოვიქეცი, „ჩარდახში“ უნდა გავსწორებოდი მტერს, — ვსაყვედურობდი თავს. — მაინც რას ამეკვიატა ეს ქალი, იქნებ, შემოჩენილია? — გამიელვა უცებ, მაგრამ მისმა უმანკო გამომეტყველებამ მალე გამიქარვა ეჭვი.

ამასობაში ქალი სულ ახლო მოვიდა ჩემთან. მისმა სუნთქვამ და ტანის სითბომ ნებისყოფა მომიდუნა. საგნების ცხადად დანახვის უნარი დამიკარგა.

ძარღვებში ბადაგი ჩამიდგა, ტკბილი და ბრუდამხვევი.

წელზე ხელი მოვხვიე.

ქალმა თავი გვერდზე გადაიგდო და თვალები მინაბა. გაშმაგებული მხურვალედ დავეწაფე მის ბაგეს...

ერთიმეორის ალერსით თავდავიწყებულებს უეცრად მოგვესმა:

„ღმერთო, ფარვიდე მეფესა“...

მთელი ბაღი გუგუნებდა. ამ გუგუნში დიდი ზარივით რეკდა შალიაპინის ხმა.

უსიამოვნო ჟრუანტელმა დამიარა.

გამოვფხიზლდი.

ქალი ცივად მოვიშორე და დაუფიქრებლად ბილიკს გავხედე.

დადეშქელიანი აფთარის შემპარავი ნაბიჯით გვიახლოვდებოდა.

მუნჯმა ჯერ მახვილი მზერა, როგორც ბოძალი, მე მტყორცნა, მერე სატევრის ვადას ორივე ხელი მაგრა ჩაეჭიდა, ქალის წინ ქედი მდაბლად მოიდრიკა და მიახვედრა, რომ შალიაპინისაგან მოციქულად იყო მოგზავნილი.

— წადი, მოვალ, — მკვახედ მიახალა ქალმა და ჩამოცვენილი კულულები გაისწორა.

ზვიადი სვანი დატუქსული მწევარივით გაბრუნდა.

ჩვენც მალე დავტოვეთ ხეივანი.

ბაღში თითქმის აღარავინ იყო მოსეირნე. მაგიდებს უსხდნენ ყველანი. ბროლის სასმისებიდან შამპანიური შუშხუნით ისროდა შხეფებს.

დაგვინახეს თუ არა, მყისვე შეწყვიტეს მხიარული ხმაური.

ყველა იშვიათ ლუწს გვიცქეროდა.

მე უხერხულობა ვიგრძენი, ქალმა სიამაყე.

გვიან ამოსული მთვარე ნარიყალაზე ვერცხლის ფარიევით ეკიდა.

შალიაპინმა სწრაფად მიატოვა მაგიდა და ჩვენს შესახვედრად გამოემართა.

დეზებიც აწკარუნდნენ, ჩაფხანი კი აღარსად ჩანდა.

— მოგვკლა ლოდინმა, უთქვენოდ ყველაფერს ლაზათი დაეკარგა, — სიცილით უსაყვედურა შალიაპინმა ქალს და ხელზე აკოცა. შემდეგ მე მომიბრუნდა:

— გთხოვთ გვეწვიოთ.

ქალმა ფარული მუდარით შემომხედა.

ამ დროს თვალი მოვკარი ბაღიდან მიმავალ დრაგომიროვს.

— მადლობელი ვარ, მაგრამ მეტხანს დარჩენა არ შემიძლია, უნდა გეახლოთ, — შეკავებული ღელვით ვუპასუხე შალიაპინს და ქალს დავემშვიდობე.

შეწუხებულ ქალს ხმის ამოღებაც არ ვაცალე, ისე სწრაფად გავშორდი.

მანდილოსნებმა ლორნეტები მოიმარჯვეს.

„ოქროს ჩარდახის“ უნებური გმირი ყოველი მხრიდან ვგრძნობდი ცნობისმოყვარეთა თვალებს, მაგრამ ერთხელაც არ მიმიბრუნებია თავი განზე, არც სიარული შემინელებია. მხოლოდ უკანასკნელად მივიხედე უკან: მეფისნაცვლის ნათლული გაფითრებული სახით იყურებოდა ჩემსკენ.

დარწმუნებული ვიყავი, რომ მას ვერასოდეს შევხვდებოდი კიდევ და სინანულმა ბრჭყალი გამკრა.

მაგრამ რა დროს სინანული იყო!

ყოველი წუთი იმ ქალის წონა ოქროდ მიღირდა.

სწრაფად დავეშვი კიბეზე.

წინ არავინ შემხვედრია.

კლუბის ტალანებში ისმოდა მხოლოდ ჩემი აჩქარებული ფეხის ხმა.

გული ბუდიდან ამოვარდნას ლამობდა. უკვე აღარ მახსოვდა ქალი.

ჩემი გონება ახლა მოცული იყო ერთადერთი ფიქრით: დრაგომიროვი ხელიდან არ გამსხლტომოდა.

როგორც კი კლუბის კარებს გავცდი, თვალი მომკვეთა მთვარის შუქზე ორლესულის პრიალმა, მაგრამ რაღაც ძალით მოვასწარი უკან დახევა და მომარჯვებული რევოლვერი მტერს რამდენჯერმე ვესროლე.

დადეშქელიანს სატევარი ხელიდან დაუვარდა.

4

## უცნობი ქალის ცხოვრება

1925 წ. აპრილის 11

ეფემია თვალს მარიდებს, გველის წიწილივით ვეზარები. თავი უდაბნოში მგონია, ირგვლივ სიცალიერეა.

უშანგი, მიშველე!

აპრილის 13

გუშინ ადრე დავწექი, ზეზე ყოფნა სულ აღარ შემეძლო. მთელი სხეული მტკიოდა. უღონოსა და ბრუდასხმულს თითოეული საგანი ორად მეჩვენებოდა. მეგონა, გულის მაგიერ ჩვარი მედვა მკერდში და ჩემი თავი შემეცოდა, იმავე დროს ვინატრე: ისე დამძინებოდა, რომ თვალი აღარ გამეხილა, აღარ მენახა ჩემი პირუტყვი ნაბატონარი, აღარც ეფემია, რომლის სიყვარული წინათ ლამპარივით მინათებდა ცხოვრების გზას.

ახლა?..

უეცრად ცრემლის ნიაღვარი წამსკდა.

ძველ საბანში ზღარბად ვიქეცი, სახე ბალიშში ჩავფალი, ვცდილობდი, ჩემი კვნესა ეფემიას არ გაეგონა, მაგრამ მეტი

ველარ ავიტანე და ხმამაღალი ქვითინი ამივარდა, თანაც სიმწრისაგან თითებს ვიკბენდი.

ეფემია კარგა ხანს მიცქეროდა შორიდან.

ბოლოს მოვიდა, დამადგა თავზე და ცივად მკითხა:

— რა გატირებს?

მისმა გულგრილობამ გამაოცა, თავი მაღლა ავწიე, ცრემლიანი თვალები მივაპყარი და ვიგრძენი, ის ხმა მთლად უცხოსი არ იყო. წავაელე ხელი კაბაზე, ლოგინთან ახლო მივიყვანე და გულამომჯდარი მუხლებზე მოვეხვიე.

— ჩემო დედის მაგიერო, ჩემო კარგო ეფემია, რა დაგიშავე, რომ შემიძულე, რომ ასე ზიზღით მიცქერი! მითხარი, მითხარი რამე, მანუგეშე. მითხარი, თორემ გავგიჟდები, თავს მოვიკლავ! —ვლუღლუღებდი ცრემლის ყლაპვით და კაბის კალთებს ვუკოცნიდი.

ეფემია მოლბა, გვერდით მომიჯდა. მიტკალივით სახეგათეთრებულმა ერთი შემომხედა, მერე თვალები დახუჭა და ისიც ატირდა, მაგრამ უხმოდ. დახუჭული თვალების წამწამებზე დაკიდებული მსხვილი ცრემლები ცვარ-ცვარად ეცემოდა ოდესღაც ლამაზ მაგრამ ახლა კორტოხებად ქცეულ ღაწვებზე.

უცნაურმა კანკალმა ამიტანა, მკერდზე მაგრად მიეხუტე.

სიყვარულის ნიშნად გამხდარი თითები თმაში ჩამიყო. მისმა ფრჩხილების შეხებამ საამურ ჟრუანტელთან ერთად, მალე რულიც მომგვარა.

არ მახსოვს რამდენ ხანს ვიყავი ეფემიას უბეში ასე გაყუჩებული.

როცა გამეღვიძა, ოთახში უკვე დღის სინათლე იდგა.

ეფემიას კატასავით ეძინა ჩემს ფეხებთან.

გვიან დაბრუნებული კაცია გაუხდელი დაწოლილიყო და საბერველივით ქშენდა.

აპრილის 17

რამდენიმე დღე იქნება ჩემი „დღიური" არ გადამიშლია. უშანგიმ ისე დამტვირთა, რომ ხეირიანად გაკვეთილების

მომზადებასაც ვეღარ ვასწრებ. ლამაზი ხელი გაქვსო და მთელი კედლის გაზეთის გაკეთება მარტო მე დამაკისრა.

— ამხანაგო უშანგი, — შევეხვეწე ერთხელ, — მომახმარე ვინმე, თორემ ყველა მასალის გადაწერას თავის დროზე მე ერთი ვერ მოვასწრებ-მეთქი.

— ვისაც კომკავშირელობა უნდა, მას მუშაობაც უნდა უყვარდესო, — მიპასუხა მკაცრად.

სულ არ ვეცოდები.

გუშინ დამშვიდობებისას ისე მაგრად მომიჭირა ხელი ხელზე, რომ კინაღამ თითები დამამტვრია.

აპრილის 18

კაციას ხეიბრების არტელში მოუხერხებია ჩაწერა და ომში დაშავებულ ფეხს ისე დაათრევს, თითქოს ძალიან ნატკენი ჰქონდეს. დღეს ერთი ტომარა პაპიროსი და წითლად შეღებილი ყუთი მოიტანა. მოსვლისთანავე ცოლს ძველი ხავერდის ნაჭერი მოაძებნინა და მით ყუთი ერთ საათს ფერა, მერე გახსნა და შიგ პაპიროსები საგანგებოდ ჩაალაგა.

როგორი გამომეტყველებით უტრიალებდა ყუთს ირგვლივ! მგონი ხუთჯერ კი გააღო და დაკეტა მასზე დაკიდებული პატარა ბოქლომი. თანაც ყუთის ხუფზე თეთრი ასოებით წარწერილ სიტყვას — „გლარჯა“ — წარამარა ამბობდა ხმამაღლა.

იშოვა საქმე.

ალბათ, ამ ყუთს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ბოლო დროს ღვინის სმას ერიდება, არც ცოლს ეჩხუბება, აღარც მე მიცქერის მგელივით.

აპრილის 23

მოვისვენეთ. ჩემი ნაბატონარი მთელი დღეობით არაა შინ. დილას ადრე მოიკიდებს ყუთს და მიდის. საღამოს გვიან ბრუნდება. მოვა თუ არა, დაჯდება კუთხეში მოფარებით და ითვლის ფულს. შუაღამემდე ანგარიშობს რამდენი პაპიროსი გაყიდა, რამდენი დარჩა და რამდენი მოიგო. შემდეგ ადგება უხმოდ, შეჭამს შავი პურის მთელ ყუას, რამდენიმე

თავ ხახვს, ზედ დააყოლებს სახარინით გატკბილებულ ცხელ წყალს და ზმორებით დაწვება.

ვიდრე დაიძინებდეს, რამდენჯერმე ნახავს ბალიშის ქვეშ შენახულ ფულიან ქისას და ყუთის გასაღებს.

სულ აღარ გვცემს ხმას.

წინათ ისე როგორ მილულავდა თვალს, რომ ჯერ საშინელი უბედურება არ დაეთია ცოლისათვის ან მე არ გავეთახთხე.

ახლა მის შინ ყოფნას არც კი ვგრძნობთ.

ამასთან ერთად, წარმოუდგენელი ძუნწი გახდა. ვაპეიკს კაპეიკზე ადებს და სადღაც ინახავს. პაპიროსის წევაც კი მიატოვა, ხანდახან ყუთში შემთხვევით ჩაყრილ თუთუნს თუ გაახვევს გაზეთის ნაფლეთში.

საკვირველი კიდევ ისაა, რომ ყოველ საღამოს ჯიბეები გატენილი მოაქვს სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის დაჟანგული კლიტეებით, ლურსმნებით, ნალებით, ძველი რკინებითა და თუნუქის კოლოფებით.

მთელი სახლი ააესო ამ ხარახურით. რა ეშმაკად უნდა ნეტავი!

ან სად პოულობს ამდენ რამეს?

დღეს უშველებელი ბორბლის რკინის სალტე მოათრია. ეტყობა, მისმა სიმძიმემ მხარი ატკინა, რადგან ახლაც იკიდებს ზედ ხელს.

ჯანდაბას მაგისი თავი, რაც უნდა, ის ქნას, რას დავეძებ.

ერთი თვე კიდევ და მთაწმინდაზე ფეხსაც აღარ დავადგამ.

სკოლას დავამთავრებ, სამსახურს ვიშოვნი ან მუშაობას დავიწყებ სადმე და სულ მივატოვებ ამ ჯურღმულს.

კომკავშირში მიღების შემდეგ მაინც არ დამედგომება აქ.

ერთ პატარა ოთახს როგორ არ მომცემენ.

ეფემიასაც თან წავიყვან. მაგრამ წამომყვება კი? ისე უყვარს თავისი უკმური ქმარი, რომ საეჭვოა უმისოდ გაძლოს. მის სანაცვლოდ, მგონი, სიცოცხლეს დათმობს.

ეჰ...

ნეტავი უშანგი რას აკეთებს ახლა?

აპრილის 30

გუშინ კაცია უყუთოდ წავიდა და მთელი დღე-ღამე სადღაც დაიკარგა. მხოლოდ ამ საღამოს დაბრუნდა შინ.

შემზარა მისმა შეხედვამ: თვალებში გუგების ნაცვლად ხორცის ნაჭრები ეწყო. ცხვირიც უცნაურად გაწითლებოდა. პირიდან ისეთი ოხშივარი დიოდა, რომ სათოფედ ვერ მიეკარებოდა კაცი. ახლაც მისი ლოგინიდან საზიზღარი სუნი მოდის და გული მერევა.

არაყითაა გალეშილი.

ასე უზომოდ მთვრალი დიდი ხანია აღარ მინახავს.

მოსვლისთანავე ხელში მომაჩეჩა გაზეთში გახვეული კაბა და ფეხსაცმელები.

არ მინდოდა ჩამომერთმია.

მართალია, ძველი კაბა სულ შემომადნა ტანზე, აღარც ფეხსაცმელები მივარგა, რამდენიმე დღეა მავთულით ვაკერებ, რომ ფეხის თიეთბი არ გამომიჩნდეს, მაგრამ ისევ მირჩევნია შიშველი დავდიოდე, ვიდრე მისი ფულით ნაყიდი სამოსი მეცვას.

შემატყო ყოყმანი და ძალა დამატანა.

უარი არ გამივიდა, დიდი წინააღმდეგობის გაწევაც ვერ გავბედე.

მოვკიდე თუ არა ხელი კაბასა და ფეხსაცმელებს, რატომღაც ეფემიას შევხედე და გავქვავდი: გვერდით მედგა უცხო, ქორივით მაცქერალი და შურით აღსავსე ქალი.

დავიბენი, მხოლოდ მაშინ გამოვერკვიე, როცა კაციამ თავისი ბინძური თითები ნიკაპზე მომკიდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად, მზაკვრულად მითხრა:

— ხვალ პირველი მაისია... პროლეტარების დღესასწაული. კარგად ჩაიცვი. ჩაცმა-დახურვა და პირის გემო ჩვენ გვკითხონ. მააშ... ცოდვა არაა შენისთანა ვარსკვლავივით გოგო ამ ძონძებში დადიოდეს!... ნუ გეშინია, ისე მოგრთავ, ისე შეგმოსავ, ტოლი არ გყავდეს. მე შენ გეტყვი, არ დაგშვენდება. სადედოფლო ქალი ხარ, სადედოფლო... არა, ასეთი საჩუქრებისთვის მადლობა უთუოდ კოცნით უნდა გადამიხადო.

კაბა და ფეხსაცმელები ფეხებთან დავუყარე და გაქცევა მოვინდომე, მაგრამ წინ გადამიდგა:

— სად მირბიხარ... არ გინდა, ნუ გინდა... ძალას ვინ გატანს... სხვა დროს იყოს... შენი კოცნის თავი ახლა არცა მაქვს. ერთი დაძინება მთელ ქვეყანას მირჩევნია. ეი, დედაკაცო, ბაიყუშივით რომ გაჩერებულხარ, ვერა ხედავ, ფეხზე დგომა მიჭირს?.. სმირნაა... ხე-ხე-ხე...

ეფემია მხარში შეუდგა და ძლივს მიიყვანა ლოგინამდე. ჩექმებიც არ გაუძვრია, ისე დააწვინა. ქამარი და საყელო გაუხსნა მხოლოდ. მერე მობრუნდა, კაბა აიღო და ცხვირთან მომიტანა:

— ძვირფასი კაბაა. აბა შენ იცი, როგორ მოაწონებ თავს ჩემს მეუღლეს.

ლახვარივით მოგხვდა გულზე ეფემიას ნათქვამი და მუხლები მომეკვეთა.

იქვე უსასოოდ ჩაკეცილს, ეჭვით გაბოროტებულმა ეფემიამ დაშმუშვნილი კაბა კალთაში ჩამიგდო და გარეთ გავიდა.

მძორის სუნი ვიგრძენი, თითქოს მკვდარს ცემოდა. სუნთქვა შემიგუბდა. ზიზღით გულარეულმა და ამრეზილმა მაშინვე შორს ვისროლე.

წამოდგომა დავაპირე, მაგრამ ტანის ზიდვა გამიჭირდა.

კეფაზე რაღაც ჩაქუჩივით მცემდა, ყურები აწიოკებული წიწილებივით მიწიოდნენ.

კარგა ხანს ვიყავი ნაცემი ძაღლივით კარებთან ჩაცუცქული.

ბოლოს, როგორც იქნა, ავდექი, ბარბაცით მივედი ჩემს პატარა მაგიდასთან.

ჩვეულებრივზე ადრე დაბნელებულიყო.

ლამპა ავანთე, მოტეხილი თავის ნაცვლად შუშას რვეულის ფურცელი გავუკეთე და დავჯექი.

მაგიდაზე იდაყვებდაყრდნობილს სული აღარ მედგა.

სადღაც თარს უკრავდნენ. ჩემამდე ძლივს აღწევდა მისი სიმთა ეღერა და ბაიათის ხმა:

წყალში ვდგავარ, ცეცხლი მიკიდია.

ქუთუთოები მეწვოდა. ვგრძნობდი, ერთი კურცხალი მწუხარებას გამინახევრებდა, მაგრამ, გამოფიტულსა და ჩვრად ქცეულს ტირილის უნარიც აღარ მქონდა.

გულის მოსაოხებლად ისევ „დღიურს" მივმართე და ვწერ ახლა ამ სტრიქონებს.

უკვე შეაღამება.

მაისის 1

ტყუილა მქონდა თვალები დახუჭული. წარამარა ვიცვლიდი გვერდს. ერთხელ ჩაბთვლიმა და მაშინაც ყრუ ხმაურმა გამიკრთო ძილი; ამ ხმაურით შეშინებულმა სარკმლიდან შემოსულ მთვარის შუქზე ლანდი დავინახე.

უეცრად ლანდმა ასანთს გაჭკრა.

ვიცანი კაცია.

თავი მოვიმძინარე. მან ჯერ ეფემიას გადახედა, შემდეგ მე მომაპყრო ყური და ასანთს მეორედ გაჭკრა. ეტყობოდა, რაღაცას ეძებდა. ფეხის ცერებზე დადიოდა. კარგა ხანს იბორიალა. ბოლოს კარი ფრთხილად გამოაღო და წავიდა.

სული მოვითქვი.

მხოლოდ ახლა ვიგრძენი, რა ჩქარა მიძგერდა გული.

თვალი კარისკენ მეჭირა, მაგრამ გადიოდა დრო და კაცია არ ჩანდა.

დავარწმუნე თავი, რომ ის აღარ დაბრუნდებოდა. ვცადე დაძინება. ვეღარ მოვახერხე. მხოლოდ ალიონზე მომეკიდა რული.

მალე გამეღვიძა. ირგვლივ უმწეოდ მიმოვიხედე.

ეფემია უკვე ფეხზე იყო და პირს იბანდა.

— რატომ არ იცვამ ახალ კაბას, საცაა, კაცია მოვა და ეწყინება, მაგრე შილიფად რომ დაგინახავს, — დაცინვით მითხრა მან და სახის შემშრალების შემდეგ გატეხილ სარკეს მიუჯდა.

რაღაცამ ყელში წამიჭირა.

მაგრამ თავი შევიმაგრე, თან ბრიყვულად გავიფიქრე:

მართლა და, სად გაქრა კაბა და ფეხსაცმელები? რას ეძებდა წუხელის კაცია? ნუთუ ისევ უკან წაიღო?

ალბათ, ეფემიამ დამიმალა. კარგიც უქნია.

ღმერთმა მოახმაროს.

მაისის 3

გამაგრდი გულო, მალე მოეღება შენს ტანჯვას ბოლო. სადაცაა, სკოლას დავამთავრებ, ცალკე კუთხეს გავიჩენ. ვინ იცის, იქნებ, უმაღლეს სასწავლებელშიც მოვახერხო შესვლა.

ნამდვილი ბედნიერი მაშინ ვიქნები.

მაისის 7

ორი დღეა სხვის ოჯახში სარეცხს ვრეცხავ. დამაწყდა მკლავები. როგორც იქნა, მოვრჩი. გასავათებული ვბრუნდები შინ. თვალები საოცრად მიბრჭყვიალებს, მთაწმინდის აღმართზე ისე მეკეცება მუხლები, თითქოს გოლგოთაზე ავდიოდე.

ღრუბლიანი ამინდია, თქორი ცრის.

ვუახლოვდები სახლს. თუმცა, რას ვამბობ, ეს სახლი კი არა, პირველყოფილი ადამიანების ბუნაგია. ჩვენი ბინა ნახევრად კლდეშია შეჩრილი. წინა კედელი, ხორხი ქვით, ყორესავითაა ნაშენი, ძველი კასრის ფიცრებისაგან გაკეთებული კარის გარდა, დატანებული აქვს ერთი ციდა სარკმელი. წინ, ეზოდ მოვაკებულ პატარა ბექობიდან, მთელი თბილისი, როგორც ხელის გულზე, ისე ჩანს. ამ სოროს სასახლეს ვარჩევდი, რომ შიგ მოსიყვარულე, კეთილი ადამიანების გული მიმელოდეს.

ძლივს გადავაბიჯე ფეხი ზღურბლს. ერთბაშად ნაფტალინის სუნი მეცა.

კაციას სკივრი გაუხსნია და თავისი გენერლის ტანისამოსი ამოულაგებია. ეფემია კაბის კალთით მუნდირის ფოლაქებს ფერავს, ხოლო იქვე ჩაჩოქილ კაციას მკლავზე მაღალყელიანი ლაქის ჩექმა წამოუცვამს და მაუდის ნაჭრით გულდაგულ წმენდს.

მე არცერთი არ მაქცევს ყურადღებას.

რა მოეჩვენათ ნეტავი!

რას ნიშნავს ყველაფერი ეს?

მაისის 8

ადრე გამეღვიძა. თვალის გახელისთანავე თვალში მეცა გენერლის ტანისამოსში გამოწყობილი კაცია, რომელსაც ეფემია უცნაური ღიმილით უტრიალებდა ირგვლივ.

ვეღარც კი ვიცანი. ბეჭებში გასწორებულიყო, თითქოს სიმაღლეც მომატებოდა, წვერი გაეპარსა, შებუჩქული ულვაშები ყურებამდე გადაეგრიხა და ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, როგორითაც ჩემს პატარობაში დადიოდა.

მოჩვენება მეგონა, თვალები მოვიფშვნიტე და შიშით წამოვდექი. კაციამ მთელი სახით გამიცინა, მაგრამ ისევ მალე მიიღო ამაყი იერი.

ჯერ კიდევ არ ვიყავი კარგად გონზე მოსული, რომ ვიღაცამ კარზე დააკაკუნა. ეფემიამ სტუმარს კარი გაუღო და ჩვეულებრივად თავდახრილი შინ შემოვიდა ჩვენს ახლო მცხოვრები ყოფილი გარადოვოი, ივანოვი. როგორც კი დაინახა გენერალი, ფერი ეცვალა, მაშინვე სასაციოლოდ ისე გაეჯგიმა წინ კაციას, როგორც ამას სჩადიოდა ოდესღაც ყოველ გენერალსა თუ ბოქაულთან შეხვედრის დროს.

კაციაც ქანდაკად იქცა. ივანოვის გულუბრყვილო მოქმედებამ მთელი წარსული მოაგონა. მდიდარი და ფერადი სურათების წარმოდგენამ ერთ წუთს სინამდვილე დაავიწყა.

ივანოვმა, რომელიც კაციას პირისპირ ბოსტანში გაკეთებულ საფრთხობელასავით იდგა, უცებ მხრებზე დაიხედა და ხელი მოტეხილი ტოტივით დაუშვა.

დარცხვენით მოარიდა გენერალს მოყვითალო, დაჩხვლეტილი სახე და გულდაწყვეტილი ბავშვივით რაღაც წაილუღლუღა. ახლა ივანოვი უფრო გამხდარი ჩანდა, ღორის ყბებს ძლივს უფარავდა ჭუჭყიანი თხელი წვერი. ათრეული ნაბიჯით მივიდა ეფემიასთან, რამდენიმე ღერი პაპიროსი გამოართვა და ამოცვენილ ბეჭებში თავჩამალული გავიდა გარეთ.

კაცია კიდევ დიდხანს იდგა ტირში დახატული გენერალივით, ბოლოს ქუდი მოიხადა, მელოტ თავზე თეთრხელთათმანიანი ხელი გადაისვა და ზანტად დაიწყო ტანისამოსის გახდა.

სიბრალულთან ერთად ამაზრზენი ზიზღი ვიგრძენი მისდამი, უცებ ზურგი შევაქციე, პირის დასაბანად გარეთ გავედი. როცა შინ შევბრუნდი, კაცია უკვე ჩვეულებრივად იყო ჩაცმული, თეთრქარქაშიან ხმალს გაზეთში ახვევდა, ხოლო ეფემია გენერლის ტანისამოსს გვერდებგამოხეულ ტყავის ჩემოდანში აწყობდა.

ალბათ, ყიდიან, მაგრამ ვის რად უნდა ახლა გენერლის სამკაულები?

მაისის 15

კაცია კინოში თამაშობს თავის თავს და მშვენივრადაც თამაშობს, თურმე. ალ. წუწუნავა ძალიან კმაყოფილი ყოფილა. კაციას სიხარულით ფრთები გამოსხმია, როცა წუწუნავას უთქვამს: „ჯანყი გურიაში“ უშენოდ ჯანყი კი არა, უბრალო ჩხუბი იქნებოდაო.

უცნაური ხალხია ეს კინორეჟისორები.

ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ თუ კაცია მსახიობად გამოდგებოდა, ეს კი აღარ მეგონა.

მაისის 24

სკოლიდან თინა გამომყვა.

არ იცის თუ მოახლე ვარ, სხვის კარზე გაზრდილი, თორემ, ალბათ, ახლოსაც არ გამეკარებოდა: ამპარტავანია, გოროზი, თუმცა ამავე დროს საოცრად კეთილია და გულჩვილი. ერთი ზნეც ჭირს კიდევ: დაუცხრომლად უყვარს ლაპარაკი, მაგრამ ისეთი საამური კილო აქვს, ისე დაგიწყებს მუსაიფს, რომ ყველას და ყველაფერს დაგავიწყებს.

ქალაქში თუ რამ უცნაური მოხდა, როგორღაც, პირველად უთუოდ ის გაიგებს. ამ საღამოსაც ერთი ისეთი ამბავი მიამბო, რომ განუწყვეტლივ თვალწინ მიდგას:

ოპერის თეატრი.

წარმოდგენა ჯერ არ დაწყებულა.

ფოიეში ქმართან ერთად ხეირნობს ახალგაზრდა, თვალწარმტაცი ქალი.

ყველა გაოცებულია მისი გარეგნობით.

ყველას ყურადღებას იქცევს მისი რონინი.

იშვიათი გემოვნებით შეკერილ შავ კაბაში ისე რელიეფურად მოუჩანს ყოველი ნაკვთი, თითქოს გამქვირვალე და სიფრიფანა გიშერი ეცვას კენარ ტანზე.

ქალებს ეხარბებათ ამ ქალის ყისმათი და მოკაზმულობა, ამიტომ უცქერიან ასე დაურიდებლად. თანაც ზოგიერთი მათგანი ცდილობს კარგად დაიმახსოვროს მისი კაბის თარგი.

უცხო ქალის სილამაზით მოხიბლული მამაკაცები აშკარად გამოთქვამენ თავიანთ აღტაცებას.

მაგრამ ერთ მათგანში მისი ხილვა სიხარულის ნაცვლად შფოთს იწვევს.

ეს კაცი დიდი ხანია მარტო დგას ფოიეს ბოლოში და ისეთი გამომეტყველება აქვს, თითქოს ძალად მიეყვანოს ვინმეს თეატრში. არავის აქცევს ყურადღებას, სადღაც შორს იცქირება მწუხარებით სავსე თვალებით. უცებ დაინახავს იმ ქალს, თვალებზე ხელს მოისვამს, მერე უნებურად ყელსახვევს გაისწორებს და მშვიდად მოსეირნე ცოლ-ქმარს უკან აედევნება. ქურდულად უთვალთვალებს ქალს, ხან წინ გაუსწრებს, ხან ჩამორჩება და რაც მეტს აკვირდება, იმდენად უფრო და უფრო ემჩნევა მღელვარება.

მალე ცოლ-ქმარი ლოჟაში შედის.

ლოჟა ლარნაკს გავს და შიგ მყოფი ახალგაზრდა ცოლ-ქმარი — ორ უცხო ყვავილს.

იღება მეზობლად მეორე ლოჟის კარიც და უცნობი კაცი ახლა აქედან იწყებს ქალის ზვერვას.

ქალი მაშინ შენიშნავს მის დაჟინებულ-ცქერას, როცა დარბაზში დაბნელდება.

სცენიდან წამოსულ შუქზე ქალი გარკვევით ჩანს და უცნობს კვლავ მისკენ უჭირავს თვალი.

ნაცვლად სიამოვნებისა, რომელსაც, თინას აზრით, ყველა ქალი განიცდის უცხო მამაკაცის ყურადღების მიპყრობის დროს, მას უცნაური და უხეში გრძნობა ეუფლება.

შიშველ კისერზე ქალს ეკალივით ჩხვეტს უცნობის მახვილი ცქერა, უნდა გვერდზე გაიხედოს, მაგრამ რატომღაც ვერ ბედავს. ზის გაქვავებული და იმდენად შეწუხებულია,

რომ სრულიად შეუმჩნეველი რჩება, რაც სცენაზე ხდება.

როდის-როდის ფარდა დემონის ფრთების შრიალით ეშვება, დარბაზი ნათდება და ქალი შეებით მოითქვამს სულს.

ოდნავ ფერმკრთალია, მაგრამ ქმარი ამას ვერ ატყობს და პაპიროსის მოსაწევად გადის.

უცებ ქალთან შედის უცნობი და გვერდით მიუჯდება.

— რა გნებავთ, რად მიცქერით ასე? — მთრთოლვარე ხმით მიმართავს ქალი.

— ბოდიშს ვიხდი კადნიერებისათვის, ქალბატონო, მაგრამ იძულებული ვარ გკითხოთ, სად იყიდეთ ან ვინ შეგიკერათ ეს კაბა, — შეკავებული მღელვარებით ეუბნება უცნობი და კაბაზე თვალს არ აშორებს.

— რა გაკითხებთ თქვენ ჩემი კაბის ამბავს, ახლავ გადით აქედან... — მკვახედ ესვრის მოთმინებიდან გამოსული ქალი.

— ნუ ცხარობთ, ალბათ, მაქვს უფლება... ამ კაბით მე ერთი თვის წინათ ცოლი დავმარხე, ახლა კი თქვენს ტანზე ვხედავ. უნდა მითხრათ, როგორ მოხდა ეს.

ქალი ერთს შეკივლებს და გულწასული დაეცემა ლოჟის მოაჯირზე.

ირგვლივ უცნაური ჩოჩქოლი ატყდება.

ფეხზე წამომდგარი პარტერიც გაოცებული იცქირება მათკენ.

ამ დროს გიჟივით შემორბის ქმარი და ცოლს დაუწყებს მობრუნებას. მან არ იცის თუ რა მოხდა, რამ გამოიწვია მისი ცოლის ასეთ მდგომარეობაში ჩაგდება და იქვე ბოძივით მდგარ უცნობს ვერც კი ამჩნევს.

გონდაკარგული ქალი ლოჟიდან გაჰყავთ.

5

კარზე მაგრად აკაკუნებენ.

იძულებული ვარ დღიურის კითხვა შევწყვიტო, სულ ცოტაღა დამრჩა, მაგრამ სტუმრებს ხომ არ გავაბრუნებ.

„უცნობი ქალის ცხოვრებას“ უჯრაში ვინახავ და უხალისოდ მივდივარ კარის გასაღებად.

„გივი რომ იყოს, დაუკითხავად შემოვარდებოდა, ალბათ,

უცხოა ვინმე. რა ჯანდაბა უნდა ნეტავი?“ — ვფიქრობ და თანაც ოპერაში მომხდარი ამბაკი თავში მიტრიალებს.

პირქუშად ვაღებ კარს, ერთბაშად ცა მეხსნება, საიდანაც ორი ბრწყინვალე ვარსკვლავი უხვად მაყრის სხივებს.

— მობრძანდით, მობრძანდით. რამ მოგგოსათ ჩემი თავი. დიდად მოხარული ვარ. — დავიბენი: ხან თმას ვისწორებ, ხან საღამური ხალათის საყელოს ვიწევ, რომ შიშველი კისერი დავიფარო, ხანაც ზეინაბის უკან გაჩერებულ გულბათს ვუბღვერი.

— ფეხდაფეხ მოვდიოდით და როცა გულბათმა თქვენი ბინის განათებული ფანჯრები დამანახა, ვიფიქრე, რაიბული ჯერ შინ ყოფილა-მეთქი და გეწვიე. გულბათიც თან ვიახლე. მე მგონია, კარგად მოვიქეცი, — მოგონილი გულუბრყვილობით მეუბნება ზეინაბი და ირიბად მიცქერის.

— მაშ, გულბათს უნდა ვუმადლოდე თქვენს სტუმრობას, ასე გამოდის.

— დიახ, დიახ. ჩემი მადლიერი უნდა იყო არა მარტო ახლა, ყოველთვის, მაგრამ ამის ნაცვლად შენ სულ მარქენალი ხარივით მიპირებ დაჯახებას, — მეხუმრება გულბათი და კედელზე სურათების თვალიერებას იწყებს.

— გაიხადეთ პალტოები, დაბრძანდით, — სიტყვას ბანზე ვაგდებ, გულბათთან პაექრობისათვის უფრო სხვა დროა საჭირო, თუმცა რას ვერჩი!

— არა, რაიბულ, დაგვაგვიანდება. ლაშა, ალბათ, მოუთმენლად გველის, დღეს ხომ გამოსასვლელის წინა დღეა. პალტოების გახდა აღარ ღირს, ისე აჯობებს შენ ჩაიცვა ჩქარა, — თავაზიანად მეუბნება ზეინაბი და პაპიროსს უკიდებს.

— ჰო, ჰო, ხვალ გესტუმრებით ან ზეგ, — კვერს უკრავს გულბათი.

ბიჭოს, რატომ ასე სხვა კილოზე ლაპარაკობს გულბათი, რაშია საქმე?

წინააღმდეგობის გაწევას ვეღარ ვახერხებ და ბოდიშით გავდივარ მეორე ოთახში. გული კი მათთან მრჩება.

ვჩქარობ, მაგრამ რაც ბევრს ვცდილობ, უფრო მაგვიანდება: ხან საყელოს ვიკეთებ ცუდად, ხან ყელსახვევის გამოსკვნა მიჭირს, ბოლოს პიჯაკზე ღილიც ამაწყდა და იატაკ-

ზე გაგორდა. რაღა ნახავს ამ ეშმაკის თვალს ან სად მაქვს თერძობის თავი იმ დროს, როცა აგერ, მეორე ოთახში, ზეინაბი გულბათის ამარაა?

— ნუ მოგვკალი ლოდინით, რაიბულ, — მესმის გულბათის ხმა და მთლად მებორკება ხელები.

როგორც იქნა, დავიკერე ღილი. ნემსი სადღაც ვისროლე და გაოფლილი გავედი სტუმრებთან.

— კარგია ეს „კალევალა"? — შესვლის უმალ მეკითხება ზეინაბი და კარელიის ეპოსის წიგნს ხურავს.

— არც იმდენად, — ჩემს მაგივრად უპასუხებს გულბათი.

— საინტერესოა, უთუოდ წაიკითხეთ, — ეურჩევ ზეინაბს...

წასასვლელად მოვემზადეთ.

— დღევანდელი თქვენი სტუმრობა არაა სათვალავში ჩასაგდები. ვწუხვარ, რომ თქვენი პირველი მოსვლა ჩემს ბინაში ასე ნაუცბათევად მოხდა, — ვეჩურჩულები ზეინაბს და ბოტებს ჩემი ხელით ვაცმევ.

არ მანებებს, მაგრამ ვძალობ.

— საკვირველია, საიდან გჭირთ თქვენ ეს „ოქროს ახალგაზრდების" სენი, მე სრულიადაც არ ვარ მადლიერი ამ თქვენი თავაზიანობით, — უკმაყოფილოდ ჩამძახის ყურში მის წინ ცალ მუხლზე ჩაჩოქილს, თანაც ცდილობს ბოტი ჩემს დაუხმარებლად ჩაიცვას.

კოცნა დავუპირე.

უცბად გამშორდა. აღარც დამიცადა.

მართლაც უზრდელად მოვეპყარი.

საქციელწამხდარი მუხლისთავს ვიფერთხავ.

ციდევ კარგი, რომ გულბათს არ დაუნახავს ჩემი უნაირო ქცევა.

დარცხვენილი გავდივარ გარეთ.

ვერ მომივიდა, კარგად, — ვესაყვედურები თავს და ზეინაბს შორიახლო მივყვები.

— როგორ ერთბაშად დათბა, — თითქოს თავისთვის ამბობს წინ მიმავალი გულბათი.

— თბილისში მარტი უკვე გაზაფხულია, — უპასუხებს

ზეინაბი, რომელსაც ხმაზე ვატყობ, მაინცდამაინც დიდად არ უნდა იყოს ბოტის მომგონის მაწყევარი.

— მარტი არაა სანდო ისე, როგორც ქალის გული, — შეჩერდავად ვიძახი და მინდა ზეინაბს მხარში შევუდგე.

— ეს ძველი ანდაზაა, — ბურთივით მაჩრის პირში ზეინაბი, მაგრამ იმავე დროს ღიმილით იბრუნებს ჩემსკენ სახეს და ოდნავ გასაგონი ხმით მეკადნება: — ხომ გახსოვს, ასეთი თავხედობისათვის ერთხელ რა დაგმართე! უარესს ელოდე!

— ნეტავი ახლაც წამიყვანდე ქორწილში, — სიცილით ვუპასუხებ და ხელს მაგრად ვუჭერ მკლავზე.

ვგრძნობ, ჩვენი გულები თანაბრად ძგერენ.

გულბათი არც კი იხედება უკან.

მიდის მარტო ჭიდილში დამარცხებული ყოჩივით.

* *

ჩავათავეთ აერიამულებული პროსპექტი.

საოცარია თბილისის ბურგბა, რამდენიმე დღე თუ იქნება მას შემდეგ, რაც მკაცრი ყინვების გამო კაცს გარეთ გამოსვლა უჭირდა, ახლა კი ისე თბილა, ისეთი წყნარი და ტკბილი საღამოა, რომ შინ უკვე აღარავის უჩერდება გული.

შეგვყევით შიო ჩიტაძის აღმართს.

ეჰ, რა მალე დაილია ეს ოხერი გზა. ნეტავი ლაშას ბინა ფუნიკულიორზე იყოს.

პირველად გულბათმა შეაღო კარი.

ზეინაბის დანახვაზე ლაშას შარავანდედი დაადგა თავზე.

რა გვეწველება ამდენ რაყიფებს, არ ვიცი!

გივი ბუხართან იდგა და ხელში რაღაც ხელნაწერი ეჭირა.

პაატა არ ჩანდა.

ბუხარი უკვე აღარ იყო მიმზიდველი, მაგრამ ისევ მის ახლოს ვარჩიეთ ჯდომა.

— გივი, გეტყობა, ახალი ლექსი დაგიწერია, აბა, წაგვიკითხე, — ვუთხარი მას, როცა ხელში ქაღალდი დავუნახე.

— ჩემი არაა, მაგრამ ვისიც არის, მშვენიერია. უფრო იმითაა შესანიშნავი, რომ ბავშვის დაწერილია, — სიამოვნებით

თქვა მან და ცალხაზიან რეეულის ფურცელს თვალი გადააგ-
ლო.

ამ დროს პაატა შემოვიდა.

— აგერ პეტრე მოციქულიც, — წამოიძახა ლაშამ და პა-
ატას მიეგება.

— მე კი მოვედი, მაგრამ იუდას ვერ ვხედავ, — სიცილით
ჩასროლა პაატამ და როცა გულბათი დაინახა, განგებ გაიკ-
ვირვა: — ისიც აქ ყოფილა? მაშ, შეგვიძლია დავიწყოთ სე-
რობა... ქრისტე უფალო, — მიუბრუნდა ის ლაშას, — ყურად
იღე ვედრებანი ჩემნი და მიმიტევე ცოდვანი ჩემნი, რამეთუ
განმიზრახავს ქალწულთა შორის ამ პირმშვენიერის, — უთი-
თებს ზეინაბზე, — მარიამ მაგდალინელის გვერდით დავიმკ-
ვიდრო სასუფეველი.

— რა უკბილო ხუმრობა იცი, შე საწყალო! — ცივად უთ-
ხრა გულბათმა.

პასუხის ნაცვლად პაატამ გულბათი გადაკოცნა, შემდეგ
ზეინაბის ახლო ჩაჯდა სავარძელში.

— აბა, წაგვიკითხე შენი ნაქები ლექსი! — მიმართა ზეი-
ნაბმა გივის.

— ჯერ გვითხარი, ვინაა ავტორი, — მოითხოვა გულბათმა.

— ამ ლექსის ავტორი 15-16 წლის ყმაწვილია.

— ოჰო, — იუცხოვა პაატამ.

— სამი-ოთხი დღის წინათ მწერალთა სასახლეში ნუკრი-
ვით შემოვიდა ერთი ყმაწვილი, თან მოიტანა ძველად ვი-
ლაცის მიერ გადაწერილი საბა-სულხან ორბელიანის ლექსი-
კონი. ყმაწვილმა რატომღაც პირდაპირ მე მომაშურა და თა-
ვაზიანად მკითხა: მწერალთა კავშირი ხომ არ შეიძენს ამ ლექ-
სიკონსო. დამაინტერესა ცალკერძ ხელსაწერმა, ცალკერძ ყმა-
წვილის ვინაობის გაგების სურვილი აღძეძრა. ის თიანეთში
გადმოსახლებული სვანის შვილი გამოდგა, მერვე თუ მეცხ-
რე კლასის მოწაფე. ყმაწვილის გარეგნობამ და ლაპარაკმა
მიმიზიდა. დავუწყე მუსაიფი. გამოირკვა, რომ ლექსებს წერს.
წაუკითხავს არაფერს უშვებს. ბევრი პოეტის ლექსი ზეპირად
ცოდნია. გავამხნევე, დავარიგე და ბოლოს საბას ლექსიკო-
ნით მუზეუმში გავგზავნე.

დღეს მივიღე მისი მოკრძალებული წერილი და რამდენი-

მე ლექსი. ყველაზე უფრო შესანიშნავი მათ შორის თან წამოვიღე თქვენთვის წასაკითხად.

— საინტერესო ამბავია, — ჩაილაპარაკა ლაშამ.

— წაგვიკითხე, წაგვიკითხე! — შეევძახეთ დანარჩენებმა.

გივიმ წყნარი, ხავერდოვანი ხმით დაიწყო:

**თეთრი მიწა**

დედამიწა შეიმოსა თეთრი სამოსელით,
თეთრ ყარავებს დაემგვანენ ატეხილი მთები,
ბახსოვს შენი გუნდაობა უხელთათმნო ხელით,
ახლაც მინდა შენი ნახვა,
ახლაც მელანდები.
ეს სურვილი ძლიერია, როგორც ქარიშხალი
სისპეტაკით შემოსილი, ვით ეს თოვლი წმინდა.
მომაგონდა შენს ლოყაზე პაწაწინა ხალი
და თუ შენი ღიმილი მსურს:
შენი გულიც მინდა.

**რეზო გელოვანი**

გივიმ დაამთავრა ლექსის კითხვა და ყველა სათითაოდ შეგვათვალიერა.

— გადასარევი აქ არაფერია, ისე ლექსს არა უშავს, მხოლოდ დროზე უნდა იმ ბავშვს პატრონობა, თორემ დაიღუპება, — დაასკვნა ლაშამ.

— რა დაღუპავს? — გაოცებით იკითხა გივიმ.

— სიმბოლისტური პოეზიის გავლენა. გადასული სიმბოლისტების ხმა მაგ ლექსში საკმაოდ ისმის, — განმარტა ლაშამ.

— ასეთი შაქარყინულიანი ლექსების მოსმენა, რაგინდ ნიჭიერადაც არ უნდა იყოს ისინი დაწერილი, უკვე აუტანელია. ან ვის სჭირდება ახლა მელანქოლიური, საკუთარ გრძნობათა ვიწრო ნაჭუჭში მომწყვდეული ლირიკა. ეს არცაა ლირიკის მთავარი დანიშნულება. ცდება, ვინც ფიქრობს, თითქოს ლირიკულ ლექსში არ შეიძლებოდეს გეროიკა, ჯანსაღი სული, მოვლენებისა და საგნების ნათლად ასახვა, — გამომწვევად ამბობს პაატა.

— ამ ლექსში სრულიად არაფერია ავადმყოფური, — ბეჯითად უპასუხებს მას გივი.

— ლექსი უთუოდ ლამაზია, თუმცა, რა თქმა უნდა, ის თავისუფალი არაა დეკადენტიზმისაგან, — მორიდებით უპერს ზეინაბი მხარს ლაშას.

— დაანებეთ თავი დისკუსიას. ამბებს მოყვეთ, სჯობია, — გვირჩევს გულბათი.

არც ლაშას უნდა კამათის გაღრმავება, რადგან იცის ასეთ დავას ხშირად უსიამო შედეგი მოსდევს, ამიტომ გულბათის წინადადებას მაშინვე ეჭომაგება და პაატას ღიმილით მიმართავს:

— მართლა, დღეს შენი ჯერია, პაატა. გვიამბე, თუ კაცი იყო, რამე.

— სრულიად არა ვარ, ჩემო პატივცემულო მასპინძელო, ოქროპირობის გუნებაზე. გთხოვთ, გამანთავისუფლოთ ამ საპატიო მოვალეობისაგან, — განგებ იუარა პაატამ.

— თქვენი სურვილის შემწუნარებელი არავინ არის აქ. მოვალეობა მოვალეობაა, — თითქოს უბრძანებს ზეინაბი.

— კარგი, კარგი. შეეცდები მოგიყვეთ ერთ ამბავს ახალი სოფლის ცხოვრებიდან. არა, ეს დიდი თემაა, ამის დაძლევას სხვა ნიჭი და ხერხი უნდა. მე თქვენ გიამბობთ მხოლოდ ერთი უბრალო კაცის, უბრალო, მაგრამ ამავე დროს საგულისხმო თავგადასავალს, — დაგეყვა ნებას პაატა და ცოტა ხნის დაფიქრების შემდეგ დაიწყო:

## ოქროს მამალი

ჩვენს სოფელში იყო ერთი კაცი, მცონარე და ძილის მოყვარული.

მადაც პატარაობიდანვე იშვიათი დაჰყოლოდა: სამი კაცის იჯრას თვალის დახამხამებაში ნთქავდა, მაგრამ შინ მჭადიც არ ჰქონდა სამყოფად; ამიტომ კარდაკარ წოწიალი ნირად გაეხადა, — სადაც ბოლს დაინახავდა, პალოსავით იქ დაესობოდა, მანამ არ მოიცვლიდა ფეხს, ვიდრე არ დაანაყრებდნენ.

ერთი ახირებული ზნეც ჰირდა: არ უყვარდა ლაპარაკი, იჯდა მუნჯივით და უზომოდ დიდ ლუკმებს ზედიზედ იდებდა ყურებამდე გახეულ პირში, თან უხმოდ ცლიდა ჭიქას ჭიქაზე, შემდეგ ადამის დროინდელი ჩოხის კალთით წუნწკლს მოიწმენდდა და ზაქივით გავიდოდა კარში.

ლეღენდერას ეძახდნენ მას.

ხათლობის სახელი თვითონაც აღარ ახსოვდა.

სათნო გული ჰქონდა, მაგრამ ვაგლახად უკმეხ სიტყვას არავის შეაწევდა.

უფრო ამის გამო იყო, მისი სტუმრობა ბევრს ეხამუშებოდა, თუმცა ვერც გამგუნებას უბედავდა ვინმე. იცოდნენ მისი ღჯუ გუნების ამბავი: ვისაც ლეღენდერასთან პურშაობა გამოუჩენია, მეორე დღეს მას ან ბოსტნის ღობე დახვედრია მოფენილი და ღორებისაგან აოხრებული, ან ნახირიდან ძროხა დაბრუნებია კუდმოჭრილი, ან სხვა რამე ფათერაკი შემთხვევია.

ლეღენდერას ერთი ფიორი დიხაშხო მიწა ჰქონდა, იელისა და გვიმრის მეტი არაფერი ხარობდა ზედ. ეზოს მაყვალის ბარდი ერტყა ღობედ. შიგ იდგა ნახევრად მიწური ქოხი. ქოხის სახურავზე დადიოდა საარაკო წითელ-ბიბილოებიანი, ახმახი მამალი, რომელსაც მაღალ, კომშის წნელივით შავსა და ქერქეჭანა ფეხებზე ყანწების მსგავსი დეზები ქარვასავით უბზინავდა.

მამალს წვეტმოხრილი ნისკარტიც ქარვას მიუგავდა, ქოჩორი და ბოლო ფარშავანგივით ფორეჯებიანი ჰქონდა, ხოლო ტანი და მოღერილი ყელი — ცინცხალი ოქროსფერი.

მეზობლის ქალები განგებ დენიდნენ დედლებს ლეღენდერას ეზოში, მაგრამ მამალი ძირს ჩამოსული არავის უნახავს და კარგი ქათმების მოშენების სურვილი ყველას ფუჭად რჩებოდა.

ქოხის სახურავზე ამაყად მოსეირნე მამალი გამვლელებს აოცებდა. თითოეულ მათგანს სურდა გაეგო, საიდან ჰყავდა ლეღენდერას, ამ ყოვლად უფხოსა და ყოველთვის სხვის ხელში შემყურეს, ეს ზღაპრული ფრინველი, მაგრამ ძესულიერმა არიცოდა მისი ვინაობა და არც ოქროს მამლის მართალი ამბავი.

ეს მამალი საოცრად და მუდამ ალოზე ყიოდა. მისი ომახიანი და გამწვდომი ხმა სოფლის ბოლომდე ისმოდა.

მის ყივილზე იღვიძებდა სოფელი. ხუმრობით მამალს ლეღენდერას საათს ეძახდნენ.

ლეღენდარამ იცოდა, თუ რა ძვირფასი განძის პატრონი იყო და თავს ერჩია იგი.

შინისაკენ მიმავალი, როცა შორიდან თვალს მოჰკრავდა ქოხის თავზე ყელმოღერებულ მამალს, მუხლებში მეტ ღონეს იგრძნობდა.

სახურავის კიდურზე გადმომდგარი მამალი ფრთათა ფათქუნით შეეგებებოდა პატრონს და მიახლოვებისთანავე მხარზე შეაფრინდებოდა. ლეღენდერა ბავშვის ღიმილით დაჯდებოდა ქოხის წინ, კუნძზე, და ნიჩბისოდენა ხელის გულზე მამალს დაუფჩხვნიდა მასპინძლიდან წამოღებული ჭადის ნატეხს.

როცა მამალი უკანასკნელ ნამცეცებსაც აკენკავდა, ნისკარტს ლეღენდერას გაბურძგვნილ თმაზე გაიწმენდდა და მისივე მხარზე ჩაიმუხლებდა.

ლეღენდერა რულმორეული თვალებით დიდხანს გაცქეროდა კოლექტივის ხოდაბუნებს, თოვლით მარად დაფარულ შორეულ მთებს, შემოდგომის მზე რომ ათასფრად აბრჭყვიალებდა, და შემდეგ ზანტად წამოდგებოდა.

მამალი ისევ სახურავზე აფრინდებოდა, ხოლო ლეღენდერა შევიდოდა ქოხში და ნამორებზე ოღროჩოღროდ გადებულ ფიცრებზე ზმორებით დაწვებოდა.

გადიოდა დრო.

სოფელი ყოველდღე იცვლიდა ელფერს.

კოლექტივის წევრები აფართოვებდნენ შუკებს. დამკილული სახლის ნაცვლად სკოლისათვის აგებდნენ ქვის დიდ, ნათელ შენობას, დგამდნენ საერთო ბეღლებს, იშენებდნენ ახალ ოდებს და შიგ კიდებდნენ სტალინის სურათს. საღამოობით გულიანი სიცილით მიდიოდნენ კომკავშირელების მიერ ნასაყდარში გამართულ წარმოდგენებზე.

მარტო ლეღენდერა იყო თავისთვის. ვერც სიხარულს შეატყობდა კაცი, ვერც მწუხარებას. არც არავინ კითხულობდა მის ამბავს.

მხოლოდ ერთხელ, გაზაფხულის ერთ საღამოს, მოულოდნელად გოგოების მთელი გუნდი ეწვია.

ჩვეულებრივ ქოხის წინ მჯდომი ლეღენდერა, რომელსაც მხარზე მამალი ჰყავდა შესმული, ისე გააოცა ამდენი ქალის

მოულოდნელმა მსტუმრობამ, რომ თავი სიზმარში ეგონა.

გოგოები შორიახლო, გაპენტილი ბამბის ზვინივით თეთრად აყვავებულ ტყემლის ხესთან შეჯგუფდნენ და შეკავებული სიცილით ჩურჩული დაიწყეს.

ეტყობოდათ ერთმანეთს აქეზებდნენ, მაგრამ ხმამაღლა გუმანის გამჟღავნებას ვერავინ ბედავდა.

ტანზე შემომდგარ და ჭიპამდე ჩახეულ პერანგიდან ლეღენდერას სიპივით მაგარი, ბალნიანი, ფართო მკერდი და საუღლე მოზვერივით მკვრივი კისერი უჩანდა. დარცხვენილი გოგოები თვალს ვერ უმართავდნენ ნახევრად ტიტლიკანა მასპინძელს.

ლეღენდერა კვლავ უძრავად იჯდა. მხოლოდ მამალი აფათქუნებდა ხანდახან ფრთებს და ყვითელ ნისკარტთან გადმოკარკლული მისი ჭროღა სიდარბაისლით სავსე თვალები ჩამავალი მზის შუქზე საოცრად ბრჭყვიალებდნენ.

როდის იყო და როდის არა, ლეღენდერა ბანგშესმულივით წამოდგა, მამალი სახურავზე შეაფრინა, მერე ტორი ცოცხის მსგავს წვერზე უხეშად ჩამოისვა, მზისაგან გალანძულ გოგოების შიშველ წვივებს ერთხელ კიდევ შეავლო თვალი და რბილად იკითხა:

— რა გინდათ, გოგოებო?

— ბევრი არაფერი, ამხანაგო ლეღენდერა, — თამამად დაიწყო ერთმა მათგანმა, რომელსაც შიშისაგან სახეზე ალმური ელვასავით უვლიდა, — ცოტა სათხოვარი გვაქვს: გოგოებმა საერთო საქათმე მოვაწყვეთ... ჰო-და, თუ შენს მამალს დაგვითმობ კოლექტივისათვის...

— მამალსო? — აღარ აცალა სიტყვის დამთავრება ლეღენდერამ და როგორც კილოს, ისე მის სახეს მრისხანება დაეტყო. — მამალს?... — გაიმეორა უფრო ხმამაღლა მან, — ნწუ, მამალს სწორედ ვერ შეველევი, — ბეჯითად დაატანა ლეღენდერამ და გოგოებს თვალი მოარიდა.

— ნუ გვეტყვი, ლეღენდერა, უარს! — ალერსით მიმართა მეორემ.

— თუ გინდათ მე წამიყვანეთ, მამალს კი ვერ დაგანებებთ... — გულუბრყვილოდ წამოროშა ლეღენდერამ. გოგოებს სიცილი წასკდათ.

— შენ გაქრი ბარემ. სულ სულელია ეს უბედური, — ჩუმად თქვა ერთმა.

— არ დაგვანებებ და ვნახოთ! — უნებურად წამოცდა ყველაზე წინ გაჩერებულ, თმაშეკრეჭილ გოგოს.

— რაო, რაო?! — დაიქუსა უცებ ლეღენდერამ და თვალები საცრის ტოლა გაუხდა. იერშეცვლილი მყისვე წამოიჭრა ზეზე.

გოგოები ერთბაშად აზრიალდნენ და ქორისაგან დამფრთხალი წიწილებივით გაიფანტნენ.

როცა აკისკისებული უკანასკნელი გოგოც კისრისტეხით თვალს მიეფარა, ლეღენდერამ ქოხისაკენ იბრუნა პირი და სახურავზე მდგარ მამალს ორკეცი სიყვარულით შეხედა.

* *

მეორე დღეს მზე კარგა მაღლა იყო წამოსული, როცა ლეღენდერა შარას დაადგა. დაფიქრებული მიდიოდა, მაგრამ რომ ვინმეს ეკითხა, რაზე ფიქრობდა, პასუხს ვერ ეტყოდა. ხშირად ემართებოდა ასე: მის გონებას გადაეკვრებოდა ლიბრი, მზერაც დაუჩლუნგდებოდა და ცხადად ვერაფერს ამჩნევდა.

— გამარჯობა! — მოესმა ლეღენდერას გლახუნას საამური ხმა და შედგა. — რისთვის ხარ, ოჯო, ასე დაღვრემილი, ა?

— ისე...

— რატომ არ მინახულე. ოჯო, ერთი კვირაა, ლოგინიდან წელი ვერ ავათრიე. ახლაც შეუძლოთა ვარ, მაგრამ შინ გული არ მიჩერდება. ჩემი ბრიგადა ზეგანზე მუშაობს, ზვარში. იქ მივალ, მინდა დავხედო ბიჭებს.

ავადმყოფობისაგან გლახუნას ღაწვები გაცრეცოდა, ნახევრად თეთრი და სუფთად დავარცხნილი წვერით თავზე დათენებულ მთვარესავით გამოიყურებოდა.

— არ ვიცოდი, თუ ავად იყავი, — რაღაც მონანიებით თქვა ლეღენდერამ.

— როდი ვარგა ასე მეზობლის დავიწყება, ოჯო. არც ის ვარგა, რომ ჯეელობას სულ ცუდადყოფნაში ატარებ. არა, არ ვარგა.

— კოლექტივში არ მიმიღეთ და რა ვქნა აპა? — გულუბრ-ყვილოდ წამოიძახა ლეღენდერამ.

— ოჯო, როდის მოინდომე, ა? — გაიკვირვა გლახუნამ და უფრო მიუახლოვდა ლეღენდერას. — მე, ბერიკაცი, თუ მი-მიღეს, შენი წინააღმდეგი ვინ თავმკვდარი უნდა ყოფილი-ყო! ჯანღონით, სავსე ხარ, ქვას რომ ხელი მოუჭირო, მარი-ლივით დაფშვნი. მაგრამ ჯანს მოხმარა უნდა, ოჯო. გარჯა უნ-და გიყვარდეს კაცს. ზარმაცობა ყოველგვარი სიგლახისა და სიბილწის სათავეა.

მოხუცმა ერთხელ კიდევ შეავლო თვალი ლეღენდერას ჩა-ცირულ ტანს და ტკბილად განაგრძო:

— პირდაპირ გული მტკივა, რომ გიცქერი ასე უქმად მო-ხეტიალეს. აბა, რა კაცობაა მუდამ სხვის ჯამში ცქერა, საკუ-თარ ოფლით ნაშოვნ ლუკმას, დამიჯერე, არაფერი ჯობია, არც ის მომწონს სულ ელდანაკრავივით რომ ხარ. ამოიღე, ოჯო, ენა. იშრომე, სუფთად ჩაიცვი, ხალხში გაერიე და შე-ნისთანა ვაჟკაცი მეორე არ იქნება ჩვენს სოფელში.

ლეღენდერას სახე უბრწყინდებოდა.

— ამ საღამოს კოლექტივის კრებაა სკოლაში, ახალი წევ-რები უნდა მივიღოთ. მოდი შენც და თხოვე კრებას. მხო-ლოდ ჯერ თავმჯდომარეს გაანდე შენი გულისწადილი. მეც იქ ვიქნები, ერთ-ორ სიტყვას შეგაწევ. მაგრამ თუ ატყობ, ზარმაცობას ვერ მოიშლი, ოჯო, მაშინ, მამაშვილობას გაფი-ცებ, ნუ მოხვალ, — გააფრთხილა მოხუცმა და ყალიონს მოუ-კიდა.

— ყველას მაგიერ ვიმუშავებ. დღე და ღამეს გავასწო-რებ. მაგრამ მთლად ხელცარიელი რომ ვარ? ჩემს ბარობა-ზე ერთი მამლის მეტი არაფერი ჭაჭანობს, მისი შელევა კი, ცოდვა გამხელილი ჯობია, ქე მენანება, — ამეტყველ-და გახალისებული ღელენდერა.

მოხუცს გაეცინა და დაარწმუნა ლეღენდერა, რომ მის მამალს, თუგინდ ხარადაც ქცეულიყო იგი, კოლექტივი ხელს არ ახლებდა.

• •

ლეღენდერა ფრთებგამოსხმული დაშორდა გლახუნას. შინ დაბრუნებული ადგილს ვეღარ პოულობდა. რამდენჯერმე ჩავიდა წყაროზე და ხელ-პირი საგანგებოდ დაიბანა.

ბაღსა და ვენახებში მომუშავე კოლექტივის წევრების ბედი ლეღენდერას პირველად შეეხარბა იმ დღეს.

თანაც რცხვენოდა, რომ მის მეტი, დიდი და პატარა, ყველა გარჯაში იყო.

რაც დრო გადიოდა, მოუთმენლობა უფრო და უფრო იპყრობდა.

როგორც იქნა, დაბინდდა.

ლეღენდერა მტკიცე ნაბიჯით გაემართა სკოლისაკენ.

გული საგულეში არ ეტეოდა.

კოლექტივის წევრები იკრიბებოდნენ ახალი სკოლის დარბაზში. ზოგი აივანზე იდგა.

ლეღენდერა დაბმული მოზვერივით ერთ ალაგას ტრიალებდა ეზოში.

ის ფიქრობდა, თუ როგორ და რა სიტყვებით გაემხილა თავისი სურვილი ან რით ესიამოვნებინა თავმჯდომარისათვის, რით მოეგო მისი გული და წინასწარ იზეპირებდა სათქმელს. მაგრამ როგორც კი დაინახა ჭიშკარში შემომავალი თავმჯდომარე, მოაზრებული პეპელასავით სადღაც გაუფრინდა.

— გამარჯობა, ლეღენდერა! — ღიმილით მიესალმა თავმჯდომარე. ვიდრე ლეღენდერა სამაგიეროს თქმას მოახერხებდა, თავმჯდომარე უკვე აივანზე ავიდა.

უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილმა ლეღენდერამ ჯერ ირგვლივ მიმოიხედა, მერე კიბე სწრაფად აირბინა და თავმჯდომარეს წინ გადაუდგა.

დიდხანს უძებნა თავისი სურვილის გამოსახატავი სიტყვები, მაგრამ ისე ჰქონდა გონება დაბნეული, რომ კოლექტივზე კრინტის დაძვრაც ვერ შეძლო.

ბოლოს, თვითონაც არ იცოდა რატომ, მოულოდნელად თავმჯდომარეს ახლად შერთული ცოლის ამბავი ჰკითხა.

— შენი ცოლი, ფოტინე, როგორ ბრძანდება?

— რა შენი საქმეა, ჩემი ცოლი როგორაა, ტუტუცო! —

ერთბაშად გაუწყრა თავმჯდომარე ლეღენდერას და მყისვე მოშორდა.

დარბაზში თავმჯდომარის მესვლის შემდეგ აივანზე ლეღენდერას მეტი არავინ დარჩენილა.

*

— რამ დაგაღონა ასე, ოჯო, რა მოგივიდა! — მოესმა აივანზე განმარტოებით გაჩერებულ ლეღენდერას ყველაზე ბოლოს მოსული გლახუნას ხმა.

ლეღენდერამ ერთი შეხედა მას გასაწყლებული თვალებით და კვლავ თავი ჩაჰკიდა.

— არ იტყვი, ყმაწვილო, რა მოგივიდა?

— თავმჯდომარე გავაჯავრე, — ბავშვივით ამომარცვლა ლეღენდერამ.

— იჰ, მე რაცხა ფარსაგი მეგონა. წამოდი, ალბათ, კრება დაიწყეს კიდეც. — გლახუნამ ძალისძალად შეიყვანა დარბაზში იგი.

ლეღენდერა კუთხეში აიტუზა. მას არაფერი ესმოდა გარკვევით. არც ის იცოდა, რაზე ლაპარაკობდნენ ასე გაცხარებით კოლექტივის წევრები. ბურანში იყო, თვალისჩინიც დაჰკარგოდა.

მხოლოდ მაშინ გაახილა ფართოდ თვალები, როცა წინ გლახუნა წადგა და მისი სახელი ახსენა.

კრება გულმოდგინედ უსმენდა კოლექტივის მოთავეს და მოამაგეს.

მალე გლახუნა ერთბაშად ამართულმა ხელების მესერმა დაფარა და თავმჯდომარემ ლეღენდერა კოლექტივში მიღებულად გამოაცხადა.

ლეღენდერას არ ახსოვს, როგორ გამოვიდა გარეთ.

თითქოს ფრთები გამოსხმოდა ისე მსუბუქად მიდიოდა. წინ არ იხედებოდა, ალალბედზე მიაბიჯებდა.

გახარებულმა გვიანობამდე იხეტიალა.

უკვე სხვად გრძნობდა თავს და ძველ ბუნაგში, სადაც ამდენი წელიწადი ნადირივით ცხოვრობდა, დაბრუნება აღარ სურდა.

მთვარით გაქათქათებული სოფელიც გამოცვლილი ეჩვენებოდა.

თავის ლანდს, რომელიც ხან უკან მისდევდა, ხან მხარდამხარ მიჰყვებოდა, ხანაც წინ უსწრებდა — ჭკუას არიგებდა, დროდადრო უწყრებოდა, ზოგჯერ ეფერებოდა.

შუაღამე იქნებოდა, როცა ძალაუნებურად თავის ქოხში შევიდა.

დიდხანს არ მოუხუჭავს თვალი.

ბოლოს, როგორც იყო, ჩაეძინა.

ალიონზე წამოხტა:

მამალი ახლა რაღაც უჩვეულოდ, უფრო სამურად ჰყიოდა თითქოს.

* *

გავიდა ხანი.

ლეღენდერამ ფუძე გამოიცვალა, კოლექტივის დახმარებით პატარა ჭდეული ოდა დაიდგა, ახალი ჩოხა ჩაიცვა, თმა და წვერი შეიკრიჭა.

კოლექტივის ყანებიდან საღამოს დაბრუნებული, უპირველეს ყოვლისა, ხელპირს გულდაგულ დაიბანდა და გაოფვლილ პერანგს გამოიცვლიდა, შემდეგ გლახუნას ბადიშის მოსვლის მოლოდინში აივანზე დაიწყებდა წრიალს.

დაინახავდა თუ არა ყაყაჩოსავით წითელლოყებიან პიონერს, თამაზს, ყაყაჩოს ფერისავე ყელსახვევით, უჩვეული სიხარულით აივსებოდა.

თამაზი მარდად აირბენდა პატარა კიბეს, ლეღენდერას პიონერულად მიესალმებოდა, მერე რიკულზე გადასკუპდებოდა და განაბულ მასპინძელს მოუყვებოდა იმ დღეს წაკითხული მოთხრობის შინაარსს, თან ცალ თვალს არ აშორებდა აივნის წინ მწვანე მოლზე მოსეირნე მამალს. მამალიც ხშირად იცქირებოდა აივნისაკენ, მაგრამ ლეღენდერა სრულებით აღარ აქცევდა ყურადღებას ფრინველს. ამას გრძნობდა მამალი და მის გამოხედვაში გოროზობის ნაცვლად ახლა გაკვირვება იხატებოდა.

ბინდი როცა ჩამოწვებოდა და მამალი ფრთათა უცნაური ფათქუნით იქვე, ტყემლის ხეზე შეფრინდებოდა, ლეღენდე-

რა სახეგაბადრული შეუძღვებოდა შინ ცეროდენა სტუმარს.

ცოტა ხნის მერე ორივე მაგიდასთან იჯდა.

შუშის ლამპის ახლო ედვათ გაშლილი წიგნი, რომელსაც თავით-თავზე მიდებულნი, გულდაგულ ჩაჰკირკიტებდნენ.

ლეღენდერა ტაბიკივით მაგარ და მსხვილ სალოკ თითს ნელა აყოლებდა მკაფიოდ გამოსახული ასოებით დაბეჭდილ სტრიქონებს და გაუტეხავი ენით მარცვალ-მარცვალ ამოკითხულ სიტყვებს ბოხი ხმით წარმოთქვამდა.

მალე ლეღენდერამ იმავე გლახუნას რჩევით ქალიც შეირთო.

ეს ამბავი იმითაც იყო აღსანიშნავი ლეღენდერას ცხოვრებაში, რომ მან მხოლოდ ქორწინების დროს გაიხსენა და თამაზისაგან ნასწავლი ასოებით ქაღალდზედაც პირველად გამოიყვანა თავისი ნამდვილი სახელი. ამ დღიდან მოკიდებული ყველა ცდილობდა მისთვის ლეღენდერა აღარ ეწოდებია.

— ხატებზე უფრო გლახუნას შეძლებია სასწაული, — ამბობდნენ ღიმილით ლეღენდერას მაცქერალი კოლექტივის წევრები.

## 6

ლაშა მეორედ იშვა, როგორც პაატას უბირი კაცი ლეღენდერა.

ასე მხნედ დიდი ხანია აღარ ყოფილა.

ცოლის გაყრით გამოწვეულ სევდის ნიშანს უცხო თვალი ვერც შეატყობდა.

ზეინაბმა მასზე სასწაული მოახდინა, ამას სხვებიც ცხადად ხედავდნენ.

მაგრამ ეს სასწაული მე როგორღაც თვალში არ მომდიოდა. ხშირად მომჩვენებია, რომ ლაშა ჩემს მაგიერ ეტრფოდა, თითქოს ჩემი ხმით და იერით ელაპარაკებოდა ზეინაბს.

ზეინაბთან მყოფი ლაშა ჩემი ორადი მეგონა, იმდენ ზიარსა და საცნაურ რამეს ვხედავდი მის ქცევაში.

გამიგონია, რომ ადამიანები ერთმანეთს უმთავრესად სიყვარულში გვანანო, მაგრამ მე და ლაშას, რომელთაც ამდენი ხნის მეგობრობის მანძილზე სრულიად სხვადასხვანაირი გუ-

ნება გვქონდა მუდამ, ახლა, ზეინაბის მეოხებით უნებლიედ გათიშულებს, ვერ გამიგია, რაღა უნდა გვქონდეს საერ-ოთ.

ვისაც სიყვარული შეუძლია, მას შეუძლია იყოს პოეტიც, ესეც სხვისგან გამიგონია, — მაგრამ არავინ მოსწრებია, რომ პოეტი ყაჩაღი ყოფილიყოს.

ლაშა კი, აგერ, ზეინაბის ვულის გარდა, ბუნებისაგან მონიჭებულ საკუთარ დოვლათსაც აშკარად მტაცებს. იქნებ, ლაშა უბრალოა და მე შურით ვწამებ ცილს! შეიძლება... ყველაფერი შეიძლება, მაგრამ ვიდრე ამ რებუსის ახსნას მოვახერხებდე, მე ჩემი დამემართება.

და, ხანდახან ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ჩემი თავი მართლა მე აღარ მეკუთვნოდეს და მხოლოდ ლაშას ჩრდილი ვიყო ან გადაბელილი ხე, რომლის კენწერო ერთ დროს ლაქვარდს სწვდებოდა. ეს უფრო მაშინ მემართება, როცა ზეინაბს მასთან ვხედავ.

ფიქრებით ამრეზილი ნელა მივდივარ. გვიანაა, ნისლიანი ღამეა და თქორი. ელექტრონის შუქზე წვიმის წვრილი ძაფები ისე ჩანან, თითქოს ცისა და მიწის შუა ობობას ქსელი იყოს გაბმული. ეტყობა მალე გადაიკარებს. ოდნავ სველი, ცარიელი პროსპექტი მოძოვილ მინდორს ჰგავს, რომელზედაც ხანდახან ავტომობილი დამფრთხალი შველივით გაიქროლებს ან პარკში მიმავალი ტრამვაის ვაგონი, დაკოდილი დათვის მსგავსად, ზათქით გაირბენს თითო-ოროლა მგზავრით და კვლავ სიჩუმე დგება.

პროსპექტს გავცქერი და ვხედავ შორს მარტო მიმავალი ქალის ფეხებს.

— რაიბულ, საით მიიჩქარი! — მესმის უეცრად.

ჭავჭავაძის ქუჩისაკენ ასახვევში გულბათი შეკვირტებულ ხეს მიყუდებია და ვიღაცის მუსაიფს უხალისოდ უგდებს ყურს.

მისმა როყიო შეძახილმა რატომღაც საქურდალზე შესწრებული ბავშვივით შემაკრთო და უნებურად შევჩერდი.

შეიძლება ის ლამაზფეხებიანი ქალი ზეინაბი იყო, — ვფიქრობ მე და კვლავ პროსპექტს გავცქერი.

აღარავინ ჩანს. ზეინაბი რომ ყოფილიყო, — განვაგრძობ

მარჩიელობას, — გულბათიც ხომ მოჰკრავდა თვალს. ზეინაბის დამნახველს აქ რაღა გააჩერებდა.

მაინც ვერ გამიგია, რატომ დამდევს მოჩვენებასავით გულბათი ამ ბოლო დროს. სადაც არ ველი, სწორედ იქ შემეჩეხება. ნამდვილად მითვალთვალებს!

ჯანდაბას მაგისი თავი.

თუმცა რას ვემართლები...

ზეინაბს მიეცა ჩვენი ცოდვა. აქამდე ერთი თხილის გულს ვიყოფდით, ახლა, მისი თილისმით გათარანებულნი, მტრებივით ვუცქერით ერთმანეთს.

ათრეული ნაბიჯით მივდივარ გულბათთან. როცა მისი თანამოსაუბრე ამირიდონი ვიცანი, არ მეამა. არ მიყვარს მიზანტროპი და ციანიკი ხალხი. ეს კაცი კი ყველაფერს და ყველას ქირდავს. წარამარა ქირქილებს უხიაგად და.მისი ყოველი სიტყვა გუნებას უფუჭებს ადამიანს. ის გალიაში ნამწყვდევ და იმ ფრთებდაჭრილ ჩხიკვს ჰგავს, რომელიც გაფრენას მხოლოდ იმიტომ-ღა ნატრობს, რომ ნაკვერცხალის მოტაცება შეძლოს და ადამიანები ცეცხლის ალში გახვიოს, თუმცა თვითონ მას არაფრის ეშინია ისე, როგორც ცეცხლის.

მე მყავდა ბავშვობაში ასეთი ჩხიკვი, ანჩხლი და ბოროტი.

საიდანღაც ჩვენმა მურამ მოიყვანა ის, სულ ბარტყი. მაშინ „წითელა ბატონებით“ ვიყავი მძიმე ავად, სიცხისაგან აფორაჯებული სახე ბროწეულის ყვავილს მიმიგავდა. რაც დრო გადიოდა, თანდათან უარესად ვხდებოდი. აღარც ნაირი ფეშქეშები მახარებდა, აღარც ჩონგური.

ერთხელ, ბურანში მყოფმა, უეცრად თვალები გავახილე და სასთუმალთან ჩემი საყვარელი მურა დავინახე, რომელსაც პირში ცოცხალი ჩიტი ეჭირა. ერთბაშად გამოვცოცხლდი. ძაღლმა პაწია ფრინველი ბალიშზე ფრთხილად დამისვა და, უკანა თათებზე წამომჯდარმა, სათუთად დამიწყო ცქერა.

გავიდა დრო.

მოვრჩი.

ჩხიკვი გაიზარდა.

თავს ვევლებოდი, მაგრამ ვერაფრით მოვიგე მისი გუ-

ლი. ნირად ჰქონდა: როცა საკენკს დავუყრიდი, უთუოდ ჯერ თითებზე უნდა ეკორტნა, მანამდე ნისკარტს არ დააკარებდა საკვებს.

განსაკუთრებით ერჩოდა მურას. როგორც კი დაინახავდა ჩრდილში წამოწოლილს, მაშინვე ხტომა-ხტომით წავიდოდა მისკენ, თან დამოკლებულ ფრთებს ოდნავ შლიდა. ცდილობდა, მთვლემარე ძაღლისათვის როგორმე თვალები ამოეჩიჩქნა, მაგრამ ახლო მისვლას ვერ ბედავდა, მხოლოდ შორიდან უვლიდა.

მე მგონია ჩემს ჩხიკვზე საინტერესო ეს კაცი იმით უნდა იყოს, რომ უფრო ეხერხება ბოროტი ზრახვების დაფარვა.

უწყინარი იერით მოსილი მისი ნიღაბი, მუდამ მოხამხამე თვალებით, ჩემში ზიზღთან ერთად, რატომღაც, სიბრალულსაც იწვევს. საზიზღარია, რადგან მას არაფერი წმინდა არ გააჩნია, იმავე დროს ცდილობს სხვისი რწმენა შებღალოს, საოხუნჯოდ აქციოს.

საბრალოა იმიტომ, რომ მას აღარც სიყვარული შეუძლია, აღარც ნამდვილი სიძულვილი. თანაც ჰგონია: სხვებზე ერთი თავით მაღლა დგას...

უხალისოა. გულგრილი. ხეიბარივით დადის და ხშირად იცის თავისთავთან ლაპარაკი. ასეთ დროს თმაგაცვენილ, სათითურივით მოგრძო თავზე ოფლი მარცვალ-მარცვალ აჯდება და მრგვალ ლოყებზე აყალო მიწის ფერი ედება. ქუდს ხელიდან ხელში ინაცვლებს და მოკლე ფეხებზე მომცრო, მრგვალი ტანი ოდნავ ერწევა.

ამირიდონი მუდამ მოწყენილია, მხოლოდ მაშინ ცხოვრობს, როცა შეუძლია რამე ან ვინმე გაკილოს. ენამახვილობაში სერგია ერისთავს ეცილება, მაგრამ თუ ხელი მოეცარა და სხვა მრევლში მოხვდა, სფინქსივით დადუმდება.

ინდიფერენტულად და ირონიულად უყურებს მოვლენებს. იმავე დროს კატასავით აზიზია: წვერს ყოველდღე იპარსავს, ფეხსაცმელები სარკესავით კრიალა აცვია, სტანდარტული თარგით შეკერილ კოსტუმზე მტვრის ნამცეცებს წკიპურტით იცილებს.

ღამეს იშვიათად ტეხავს, ორპირ ქარს ერიდება, ტაფამწვარს თავისი ხელით იკეთებს.

ეს შუშაში გაზრდილი მენშევიკი ასე აღამებს დღეებს და ნანობს, რომ არ დაცალდა თავისი პარტიის იდეოლოგი გამხდარიყო...

— მენშევიზმი ძალზე ცუდი სენი იყო, — მოულოდნელად ვერევი მათ ლაპარაკში.

— როგორც ვატყობ, თქვენ ექიმი უნდა ბრძანდებოდეთ,— ცალყბად მიპასუხებს ამირიდონი და სიტყვას ბანზე აგდებს. მან კილოკავით და ლაკონიურად იცის ასეთ თემაზე ლაპარაკი და, როცა ვინმე ნებით თუ უნებლიედ ზედმეტ პირდაპირობას გამოიჩენს, რათა ბაასი უფრო ცხადი გახდეს, მაშინვე ოხუნჯობას დაიწყებს ან დავას სხვა საგანზე გადაიტანს.

— ექიმობის სწავლა ავადმყოფის სარეცელთან შეიძლება... მე ამაში კიდევ ერთხელ ვრწმუნდები ახლა, როცა შენ გისმენ და გიცქერი. თუმცა შენი განკურნება მართლა ძნელი საქმეა, მე ამას არც ვკისრულობ, — უკმეხად ვეუბნები მას და ორთავეს ცივად ვშორდები.

ცა მოწმენდილა. ვარსკვლავები ზეინაბის თვალებივით ციაფობენ.

გზადაგზა ვიგონებ პაატას მიერ გუშინწინ მოყოლილ ამბავს და უნებურად ლეღენდერას ვადარებ იმ ყელსახვევიან ნაცარქექიას, რომელიც სიბრაზისაგან, აგერ, გულბათის წინ ხაფანგში კუდით გაბმულ ტურასავით წრიალებს და, ვინ იცის, ჩემზე რას არ ლაპარაკობს.

რით არ სჯობია მას ლეღენდერა!

* *

საზარელია ამირიდონის გესლიანი ქარაგმა და გულაყრილად ლაპარაკის კილო. როცა მასთან შეხვედრის შემდეგ მარტო რჩები, ისეთი გრძნობა გაქვს კაცს, თითქოს ქვეწარმავლებით სავსე ჭაობში ეფლობოდე და საშველი არ იყოს. ამიტომ ვერიდები მას, როგორც კეთროვანს. ნეტავი, არც ახლა მენახა. ქვეყანა უფრო კარგი იქნებოდა, ასეთი ენაჭარტალა კაცუნები რომ არ არსებობდნენ. რისი მაქნისი არიან?!

— წინ წყალი, უკან მეწყერი, შუაში ამირიდონი! — ხმამაღლა ვბუტბუტებ და ოთახში შევდივარ.

ჩემი ფანჯრიდან მთვარე ისე ჩანს, როგორც ვებერთელა ლიმონის ნაჭერი უზარმაზარ ჭიქაში.

ასეთი მთვარე დანათოდა ქვეყანას მაშინაც, როცა შემემთხვა შემდეგი ამბავი:

კარგა მოზრდილი ბიჭი ვიყავი, მაგრამ ხშირად ისე ვიქცეოდი, როგორც უსუსური და უგნური ბავშვი.

გავიკეთებდი სიმინდის ფოჩებს ულვაშებად და ყავრის ხანჯლით დაუნდობლად ვებრძოდი უხილავ მტრებს. ყველაზე უფრო საძულველ მტრად მეჩვენებოდა ერთი ჩვენი მეზობელი, რომელსაც, რატომღაც, ვეზირს ეძახდნენ.

ამპარტავანი კაცი იყო ვეზირი. ჩვენს უბანში, სადაც მეტწილად ესახლნენ ქვისმტეხელები, კალატოზები, მხერხავები, დურგლები, ხარაზები, თერძები, ჭონები და რაჭველი მეკურტნე მუშები, — ის თავს არავის უყადრებდა. დადიოდა მუდამ კისერგაშეშებული და სალამს მოწყალებასავით იძლეოდა.

ცხოვრობდა ასე კენტად.

მისი სახლის ფანჯრებიდან იშვიათად გამოდიოდა ლამპის შუქი. არც მისი კარის ჭრიალი ესმოდა ვინმეს.

არავინ იცოდა, როდის იყო შინ.

ვეზირი სასამართლოში მსახურობდა. თავისი ჭაბუკობა დიდკაცად გახდომაზე და მზითვიანი ქალის შერთვაზე ოცნებაში გაატარა, მაგრამ ამაოდ ცდილობდა დაწინაურებას, ამაოდ ეძებდა მდიდარ საცოლეს! — მისი ცხოვრება, როგორც პატარა, მდორე ღელე, ერთხელ მიჩენილი გზით უფერულად მიდიოდა.

ოცი წელიწადი იქნებოდა, რაც ის ქუთაისის საოლქო სასამართლოში მუდმივად იჯდა მწერლის მაგიდასთან, რომლის ფეხები ისე, როგორც მისი ყვითელი კბილები, მკილისაგან იყო სულ დახრული.

ამ ხნის განმავლობაში რაღაც სენმა თმის ერთი ღერიც აღარ დაუტოვა ვეზირს მუჭისტოლა თავზე. მალე წარბები და წამწამებიც გაცვინდა. გვირილისფერი ლოყებიც ალაგ-ალაგ ხელისგულივით გაუშიშვლდა, თანაც სახე ბოთლში დანახული კაცის სახესავით დაუგრძელდა. მარტო ულვაშები შერჩა უკლებლად.

ამ პატარათავიან და გრძელსახიან ვეზირს საოცრად მაღალი, გამხდარი ტანი ჰქონდა, ცარიელი ჩხირები იყო. როცა მიდიოდა, გახუნებულ და სახელოებშემოცვეთილ მინდირში მისი ძვლები თითქოს ჭრიალებდნენ.

წამწამებშემოცლილ წითელ კილოებზე გადმომჯდარი მისი ჭროღა, დაკუსული თვალები არასოდეს არ იცქირებოდნენ პირდაპირ და თამამად. ულვაშები ფუნჯს უგავდა, რომლებშიაც ჩაფლული, წაწვეტილი და მეჭეჭიანი ცხვირის ნესტოები ბუშტებივით ებერებოდა. ულვაშების ქვეშ, ტუჩების ნაცვლად, ორი გოჯის მანძილზე მოლურჯო ხაზი ჰქონდა გავლებული.

როცა ვეზირმა იგრჩნო — მისი ოცნება ფუჭად რჩებოდა, გადაწყვიტა, შეერთო ლამაზი ქალი, თუგინდ ხელცარიელი ყოფილიყო იგი.

მცირე ჯამაგირიდან ნაგროვები ფულით ჯერ ორთვალიანი მომცრო სახლის კედლები კირით შეფეთქა, ძველი ყავრის მაგიერ თუნუქით გადახურა, რიკულებიანი აივანი და აივნის სვეტები ლილისფრად შეღება, ფარდაგის ოდენა ეზოს ალიზით ნაშენი მაღალი ყორე შემოავლო და მაგარსაკეტიანი ჭიშკარი გაუკეთა.

ერთ კვირა დილას ამ ჭიშკრიდან თავაღებული გამოვიდა თეთრ ტანისამოსში გამოწყობილი ვეზირი; კიტელის კალთები მუხლებს ქვევით ცემდა, მკერდზე ორმხრივად ეკერა თითბრის ბრჭყვიალა ღილები; კაკარდიანი, თეთრი და ფართო ქუდი ეხურა.

გარეგნობასთან ერთად ვეზირმა ნირიც იცვალა: მეზობლებს ალერსიანად და ხმამაღლა ესალმებოდა, თანაც ეკლესიაში და გასვენებებზე იწყო სიარული.

ვეზირის ცხოვრება მეზობლების სალაპარაკო საგნად იქცა. თუ წინათ მის არსებობას არც კი გრძნობდნენ, ახლა ყველას აინტერესებდა — ვეზირმა როდის გაიარა, ვის რა უთხრა ან როგორ ეცვა. ზოგმა მაშვლობაც ითავა და მეზობლები ხშირად ბჭობდნენ თუ რომელი ქალი უფრო შეეფერებოდა ვეზირს.

ეარ გაუვლია დიდხანს და ვეზირმა მართლაც იქორწილა. ეს აღარავის გაკვირვებია, მაგრამ ყველა გააოცა პატარძლის სილამაზემ.

პატარძალი ცქრიალა და სულ ნორჩი იყო. მორჩილი ტანის ნაკვთები სათუთად უჩანდა დარაიის კაბაში.

კოხტა ბეჭებზე დაყრილი თმის ოთხი ულო თეძოებამდე წვდებოდა. დედოფალას თვალები ჰქონდა, მოგრძო და ცისფერი. როცა მესეროვან წამწამებზე ცრემლები მძივებად დაეკიდებოდა, მაშინაც კი სახეზე ღიმი უკრთოდა და ახალ ჭრილობასავით მუდამ წითელ და სველ ტუჩებს დამუწვას ვერ უხერხებდა.

სიცილის დროს ოდნავ ჩხარ, კრიალა კბილებში ენის წვერი ცეცხლის პატარა ალივით გამოუჩნდებოდა ხოლმე, მისი წკრიალა ხმა ირგვლივ სიხარულს ფანტავდა.

ბედის უმადური იყო, მაგრამ დარდის გამოხატვა არ შეეძლო.

ვიცოდი, რომ პატარძალი ობოლი იყო, სამადლოდ გაზრდილი. ისიც გაგებული მქონდა, რომ ის ვეზირმა იყიდა როგორც ნივთი, და მეცოდებოდა. მეცოდებოდა უფრო იმიტომაც, რომ ცოლად ჰყავდა ახმახსა და ხნიერ, მახინჯ კაცს.

ვცდილობდი, როგორმე შეამებინა და გამერთო.

გული სულ მისკენ მიმიწევდა, სულ მასთან მინდოდა ვყოფილიყავი.

გადიოდა დრო.

ერთხელ, საღამოს, ვეზირის ცოლი შეეხვეწა დედაჩემს — მასთან გავეშვი. მისი უჟმური ქმარი სადღაც წასულიყო და მარტო დარჩენილ პატარძალს, თურმე, ჩემი იმედით უნდოდა ღამე გაეთია.

სიხარულით წავყევი.

როცა მოვარემ აივანზე შემოაშუქა, ვეზირის ცოლი ალერსით მომიჯდა გვერდით და ცოტახნის მერე დაიწყო უცნაური ზღაპრის მოყოლა.

ახლაც არ ვიცი, რა უფრო მგვრიდა ჟრუანტელს — ზღაპარი თუ მისი სიახლოვე.

ეზოში ციცინათელები დაფრინავდნენ.

მთვარის სხივები ხეებზე სირმის ძაფებივით ეკიდნენ. მოლზე მოარული ჩრდილები ცხრათავიან მდევებად მეჩვენებოდა, ხოლო პატარძალი მზეთუნახავი მეგონა, ჩემი თავი — ხელმწიფის შვილი.

გვიან შევედით შინ.

გულისფანცქალით დავწექი.

პატარძალმა ლამპა ჩააქრო და ზმორებით მივიდა თავის ლოგინთან, — ჯერ ბალიში ააბუმბულა, მერე ერთბაშად სამოსელი გაიძრო და ფანჯარასთან გაჩერდა.

ფანჯარას მთვარე მოადგა და ვეზირის ცოლი აჩქროლებულ შუქში გაახვია. ქალი კარგახანს იდგა ვერცხლის ქაფში, დალალებს იშლიდა, იმავე დროს ფართოდ გახელილი თვალებით სივრცეს გაცქეროდა. ვატყობდი, ვეზირის ცოლი არ მეპუებოდა, არც რამედ აგდებდა ჩემს იქ ყოფნას და, რატომღაც, შეურაცხყოფილად ვგრძნობდი თავს.

როცა თმა სულ გაიშალა, მსუბუქი ნაბიჯით გამობრუნდა და დაწვა.

სულგანაბული განვაგრძობდი მის ცქერას.

მალე ნელი ფშვინვა მომესმა.

პატარძალს გულაღმა ეძინა. მის წაბლისფერ დალალებს მთლად დაეფარა ბალიში. ერთი ხელი თაქვეშ ჰქონდა მოტანებული, მეორე მკერდზე ედვა. ბაგე ისე გახსნოდა, თითქოს მეძახოდა...

უეცრად მის ლოგინთან გავჩნდი.

დავაცქერდი: საბნის მაგიერ მთვარის კაშკაშა ნათელი გამჭვირვალე ლეჩაქით ეხურა სხეულზე.

დიდხანს ვიყოყმანე, ბოლოს უნებლიედ დავიხარე და... მოულოდნელად შემკრთალი ქალი ერთბაშად წამოჯდა ლოგინზე. როცა დამინახა იქვე უმწეოდ გაჩერებული, ჯერ განცვიფრდა, მერე ორივე ყური ორივე ხელით ამიწია და მიბრძანა, დაუყოვნებლივ წავსულიყავი შინ.

დამცირებულმა, მიწასთან გასწორებულმა, სწრაფად დავაელე ხელი ჩემს ტანისამოსს და გარეთ გამოვარდი.

ეს იყო და ეს.

მეტჯერ ფეხი აღარ დამიდგამს ვეზირის ეზოში.

მაგრამ ერთი საკვირველი ზნე მაინც დამჩემდა — როცა ვეზირის ცოლზე გავიგონებდი რამეს, მაშინვე ყურებზე ცეცხლი მომედებოდა.

ბოლო დროს ვეზირი ცუდად ეპყრობოდა ცოლს. ლუკმას

უთვლიდა. ყველაფერს გაზომილად აძლევდა. არც გარეთ უშვებდა. ხანდახან კიდევაც სცემდა, თურმე.

დაჭლექდა ქალი, ლოგინად ჩავარდა. ორჯერ თუ სამჯერ დავაპირე ნახვა, მაგრამ ყოველთვის ჭიშკრიდანვე დავბრუნებულვარ უკან.

მას აღარ მიუღწევია ქმრის ხელში მეორე ზაფხულამდე. როცა მისი სიკვდილი გავიგე, გული ჩამწყდა.

გასვენებაზე წასვლა ვეღარ შევძელი. შემდეგ, სხვების ფარულად, რამდენჯერმე შევამკე ყვავილებით ობოლი ქალის სამარე.

მრავალმა წყალმა ჩაიარა ამის შემდეგ, მაგრამ ახლაც ყველაფერი ეს ცხადად მიდგას თვალწინ.

და, ალბათ, ერთი საუკუნე, რომ ვიცოცხლო კიდევ, ეს შემთხვევა უფრო ძვირფასი და ცხოველი იქნება ჩემს ხსოვნაში, ვიდრე ზეინაბის სიყვარული. თუმცა, რას ვროშავ! ვისთვისაა საინტერესო — მიყვარს თუ არა მე ზეინაბი? ან ამ შუაღამისას რა ასეთი ამბების მოგონების დროა!

რადგან რული არ მეკარება, უცნობი ქალის დღიურის კითხვას მაინც მოვათავებ, — დავასკვენი და მაგიდის უჯრიდან რვეული ამოვიღე:

### უცნობი ქალის ცხოვრება

ივნისის 30

ერთი თვე შესრულდა, რაც უშანგიმ სიკვდილს გადამარჩინა, — ვკითხულობ უცნობი ქალის დღიურში და ტანზე ქაცვები მიჩნდება. წინასწარ ვგრძნობ, რაღაც ამაზრზენი ამბავი უნდა ეწეროს ამ ზაფრანისფერ ფურცლებზე. — რაც დრო გადის, მწუხარება უფრო მიპყრობს, მოშუშების ნაცვლად, გულში გაჩენილი იარა მეტ ტკივილს მგვრის. რა უბედურ ვარსკვლავზე ვყოფილვარ დაბადებული! როგორ ერთბაშად გაქრა ჩემი იმედები, ჩემი ფიქრები და ნატვრანი. არავინ აღარა მყავს. უფრო არ მინდა მყავდეს. უშანგი-ღა შემრჩა სათაყვანოდ, მაგრამ ბოლო დროს ისიც თითქოს გაგარეულდა. თანდათან უცხო იერს იღებს. ასე მგონია, მარტო სიბრალული აკავებს ჩემთან. ალბათ, მალე გადამისვრის, როგორც დამჭკნარ ყვავილს. მაშინ რაღა მეშველება? ნეტავი,

რას ვანბობ! როგორ შეიძლება სხვას უყვარდე, როცა შენი თავი თვითონვე გძულს! განა სულერთი არაა, დღეს მოხდება მოსახდენი თუ ხვალ? რა ძნელია, აკრძალული გქონდეს ალალად და თამამად უცქირო თვალებში საყვარელ ადამიანს, ემალებოდე დღის სინათლეს, მაგრამ ვერც ღამით ისვენებდე იმის შიშით, რომ ძილში არაფერი წამოგცდეს.

არა, მეტი აღარ ძალმიძს.

აღარ ღირს ჩემი სიცოცხლე.

მორჩა.

ეს ერთი თვეც მეყოფა სატანჯველად.

უშანგის კეთილი და სათნო გული აქვს, მაგრამ ვგრძნობ — უწინარეს ისიც ისეთივე მამაკაცია, როგორიც არიან სხვები, მრავალნი. სიყვარულის მთავარ საწინდრად ისინი ქალიშვილისაგან უბიწოებას მოითხოვენ, თუმცა იმავე სიყვარულის მეოხებით ზოგჯერ ქმრებს ცოლებს ართმევენ ან ქვრივ ქალებს ირთავენ; საკვირველია, მაგრამ ასეა!

ყველაფერს მარტო გავუმკლავდებოდი, ნემსის ყუნწში გავძვრებოდი, წისქვილის ქვაზ დავიტრიალებდი თავზე, რომ თვითონვე დასანახვად არ შეზარებოდეს ჩემი თავი, რომ სამუდამოდ არ მქონდეს გატეხილი გული. აწი რამ უნდა გამახაროს, რამ უნდა დამავიწყოს ის საშინელი ღამე.

ეს მოხდა 30 მაისს... დასასვენებელი დღე იყო. საღამოს ეფემია გავამგზავრე სოფელში. სადგურიდან დაბრუნებული ამხანგებს შევხვდი. კინოში წამიყვანეს. მხიარულ გუნებაზე ვიყავი. უმიზეზოდ ვიცინოდი. თურმე, უკანასკნელად ვიცინოდი, უკანასკნელად ვლაღობდი ტოლებთან... შინ გვიან მივედი. კაცია გენერლის ტანისამოსში დამხვდა გამოწყობილი. ჩემს დანახვაზე ერთბაშად სახე გაუბრწყინდა და დეზების წკარუნით მომეგება. გავოცდი. უფრო გაოცებული დავრჩი, როცა თვალი მოვკარი უხვად გაწყობილ სუფრას.

— სად ხარ ამდენხანს... — ალერსით მითხრა მან და მაგიდასთან თავაზიანად დამსვა, ერთი გემრიელად ვივახშმოთ! გახსენი წარბები, ჰო! — ამ სიტყვებით ბოთლს თავი მოუქცია და ჭიქები ტკბილი ღვინით აავსო.

კრიჭა შემეკრა. ის ჭიქას ჭიქაზე ცლიდა, მეც მაძალებდა, თანაც საუკეთესო ნაჭრებს წინ მილაგებდა. რიდით მე-

ლაპარაკებოდა. ზოგჯერ თავშეკავებით ოხუნჯობდა. მისი გარეგნობა და ქცევა შიშთან ერთად ჩემში მოწიწებას იწვევდა. ხმის ამოღებას ვერ ვბედავდი, ფიქრის უნარიც დამეკარგა.

უცებ წამოდგა და ზანდუკიდან გიტარა ამოიღო. მე აღარც კი მახსოვდა თუ გიტარა გვქონდა, ისე დიდი ხანი იყო გასული, რაც კაციას ხელი აღარ ეხლო მისთვის. წინათ ხშირად უყვარდა მასზე დამღერება.

როგორც იქნა, ააწყო სიმები, მაგრამ ნაცნობი საამო ხმების ნაცვლად გიტარა უცნაურ ჟღრიალს გამოცემდა. კაციაში კვლავ უცხო, ვერაგი კაცი ვიგრძენი. მეგონა, მისი გამხდარი, ქორის ფრჩხილებიანი თითები ჩემს ძარღვებს ეხებოდნენ.

ჩახლეჩილი ხმით ნელ-ნელა გიტარას ძველი რუსული რომანსი ააყოლა, მაგრამ მისი სიმღერა უფრო გოდებას ჰგავდა... ბოლოს მოულოდნელად სიმღერა შეწყვიტა და გიტარა კედელს მიალეწა, მერე დიდი ჭიქა ღვინით სწრაფად აივსო, ცარიელი ჭიქაც კედელს მიაფშვნა და მაგიდაზე დაემხო.

კარგა ხანს ასე განაბულს თანდათან აუცახცახდა მხრები და მიწისძვრის მოლოდინში დამფრთხალი ხარივით საზარლად აზმუვლდა. დავიბენი. როგორ მოვქცეულიყავი, არ ვიცოდი. ანგარიშმიუცემლად წამოვდექი და ვცადე დამეწყნარებია. ჩემმა ნუგეშმა თითქმის დააცხრო, დაამშვიდა... როცა გამობრუნება დავაპირე, უცებ თავი მაღლა ასწია და ხელი მაგრად მომხვია წელზე... თვალებში ჯოჯოხეთური ცეცხლი ენთო. შიშმა შემიპყრო. მოვინდომე გასხლტომა, მაგრამ ახლა მეორე ხელიც შემომაჭდო.

გამწარებულმა ახლა კი გავუბედე შებრძოლება.

რაც დრო გადიოდა, ის უფრო მხეცდებოდა, მე ღონე მელეოდა... ვიგრძენი ვიღუპებოდი და განწირულის ხმით მოვრთე კივილი, მაგრამ მაშინვე პირზე ბალიში დამაფარა და თვალთ დამიბნელდა.

აღარ მახსოვს, როდის მოვედი გონს, როგორ გავჩნდი გარეთ.. როგორც კი ღამის გრილი ნიავი მომხვდა, მაშინვე თავქვე დავეშვი.

ელვის უსწრაფესად ჩავირბინე ბესიკის ქუჩა, იმავე სიჩ-

ქარით გადავჭერი პროსპექტი. ამ დროს ატყდა თვლემისაგან ერთბაშად გამოფხიზლებული მეეზოვეებისა და მილიციელების სტვენა, დაგვიანებული მგზავრების ძახილი და ყიჟინა.

ვიღაცა გამომეკიდა.

ერთი ხიდამდე მივაღწევდე, ნეტავი, — ვიფიქრე და ისარივით გავქროლდი ჯორჯიაშვილის ქუჩაზე.

მდევარმაც მოუმატა სირბილს.

უკვე მესმოდა მისი ქშენა.

— ვინ ხარ, რა გინდა შემგან? სიკვდილის უფლება მაინც მომეცით! — განწირულის ხმით ვიყვირე და კომუნარების ბაღის ბოლოში უკან მოვიხედე.

ვიცანი მოახლოვებული მდევარი.

მუხლები მომეკვეთა.

— უშანგი, უშანგი! — კიდევ უფრო გამწარებით ვიყვირე და მის მკლავებზე გულწასული დავეცი...

მას აქეთ ვცხოვრობთ ერთ ჭერქვეშ.

პირველხანებში უშანგი ფარვანასავით დამტრიალებდა თავს.

ბისმა სათუთმა მოპყრობამ და ზრუნვამ გამომაბრუნა.

ორი კვირის შემდეგ, ერთ საღამოს, როცა გვერდი-გვერდ ვიჯექით ამ ფანჯარასთან, ხელი მთხოვა. მოულოდნელი თითქოს არ იყო ეს ჩემთვის, მაგრამ იმ წამს ენა დამება. ვერაფერი ვუთხარი. ან კი რა შემეძლო მეთქვა, ჩემი დიდი ხნის ოცნება ხორცს ისხამდა, მაგრამ რაღა ფასი ჰქონდა ახლა მას.

ჩემი სიმუნჯე მან თანხმობის ნიშნად მიიჩნია და, ამით გახარებულმა, მთლად დამიკოცნა სახე.

მორჩილებით ვისმენდი უშანგის აღფრთოვანებულ ლაპარაკს ჩვენს მომავალ ცხოვრებაზე... ნამდვილად, მისი ალერსი გულს არ ეკარებოდა, რადგან ის კოშმარული ღამე მაგონდებოდა.

უსაზღვროდ ბედნიერი უშანგი კი კვლავ თავდავიწყებით მოცინიდა, მეალერსებოდა...

მაგრამ მალე აიყარა გული ჩემზე.

ვატყობ, ჩვენი ცოლ-ქმრობა დიდხანს არ გაგრძელდება.

ბოლო დროს ისე იშვიათად და უნებურად მცემს ხმას, თითქოს სიტყვებს ვაზით გლეჯდნენ პირიდან.

როდემდის უნდა ვტანჯოთ ერთმანეთი?

უშანგის ფეხის ხმა ისმის.

**ბ ი ვ ლ ი ს ი**

გუშინ საღამოს გვიან დაბრუნდა უშანგი შინ, მაგრამ ისევ მალე წავიდა. წავიდა და დაიკარგა.

მთელი ღამე თეთრად გავათენე მის მოლოდინში... ამ დილით ვიღაც შავებით მოსილი ქალი მეწვია. ველარ ვიცანი ეფემია. როგორც კი დამინახა, ხმამაღალი ტირილი მორთო და აცახცახებული ხელებით მკერდში ჩამიკრა. მე საოცარმა გულგრილობამ მომიცვა. მაგრამ მისმა უსასოო ქვითინმა მალე მომალბო. საწყალი, როგორ გამოცვლილა ამ ერთი თვის განმავლობაში!

ეტყობა, სახლიდან ჩემი გამოქცევის ნამდვილი მიზეზი არ იცის, და, ალბათ, ამიტომაა, რომ მხოლოდ მის დაუკითხავად გათხოვებას მისაყვედურებს.

— ჩემს მოსვლამდე რომ მოგეცადა და ის უბედური მარტო არ მიგეტოვებინა, იქნებ სული შერჩენოდა. ახლა ისიც არ ვიცი, სადაა დასაფლავებული. ესაა მადლი? — მისი სიტყვები შანთებივით მწვავენ, მაგრამ იმავე დროს ცნობისმოყვარეობას მილვიძებენ.

— როდის მომკვდარა? — სხვისი ხმით ვეკითხები.

— საუბედუროდ, ერთ კვირაზე მეტ ხანს დავრჩი სოფელში. როცა დავბრუნდი, სახლის კარები დალუქული დამხვდა. ივანოვმა მიამბო: ჩემი თბილისიდან წასვლის მეორე თუ მესამე ღამეს, თურმე, მილიციელები მისულან კაციას შესაპყრობად, მაგრამ იმ უბედურს ურჩობა გაუწევია, ამ დროს დამბლა დაცემია და იქვე მყისვე მომკვდარა. ჰო-და, რადგანაც ჭირისუფალი არავინ აღმოჩენია, გვამი პროზექტურაში გადაეგზავნათ.

— რატომ უნდა დაეჭირათ! ივანოვმა ამის შესახებ არაფერი გითხრა?

— არა. ან კი საიდან გაიგებდა ის მართალს. მილიციაში წავედი. იქ მაცნობეს, თითქოს ჩემი ქმარი მკვდრების მბარც-

ველი ყოფილიყო... ვინ მოუგონა, ნეტავი... მკვდრებთან რა ხელი ჰქონდა საცოდავს... ვაი, რას მოვესწარი! — ლუღლუღებდა ეფემია.

უცებ მომაგონდა ის საღამო, როცა კაციამ კაბა და ფეხსაცმელები მომიტანა, ხოლო დილას ისევ წაიღო ჩუმად. გამახსენდა ოპერაში მომხდარი ამბავიც, რომელიც თინამ მიამბო და დავრწმუნდი, რომ ის კაბა უთუოდ კაციას მიერ იყო გაყიდული.

საოცარმა ფიქრებმა წამიღეს. ეფემია კი განაგრძობდა:

— შენს ძებნას შევუდექი. ძლივს მოგაგენი. კიდევ კარგი, ცოცხალს გბედავ...

ამ სიტყვებით ოთახს თვალი მოავლო და მკითხა:

— ხომ კმაყოფილი ხარ ბედით? შენ მაინც იყავი ბედნიერი... მე რაც მომივა, მომივა... — სასოწარკვეთით დაუმატა და ადგა.

წასვლის წინ დამლოცა:

— იდღეგრძელეთ, შვილებო! თუ შენს ქმარს მომიყვან და გამაცნობ, კარგს იზამ, თორემ არც ამისთვის დაგემდურები!

უხმოდ მივაცილე კარამდე.

ტირილით გამომემშვიდობა:

— ნუ მიმატოვებ სულ. რაც უნდა იყოს, ახლობელი ვარ. დედის მაგივრობას გიწევდი. ცოდვა იქნება, როგორც უპატრონო ისე მოვკვდე, — ეს-ღა თქვა და თვალცრემლიანი წავიდა.

დიდხანს ვიყავი გაღებულ კარზე მიყრდნობილი და უსასოოდ ვუცქერდი ''ეიბეზე ლასლასით ჩამავალ ლანდს...

ივლისის 10

ვგრძნობ შვილი მეყოლება... დედა ვიქნები...

ივლისის 11

უშანგი აღარ ჩანს... ალბათ, მიმატოვა!

* * *

აქ წყდება დღიური.

უცნობი ქალის მერმინდელი ცხოვრება გამოცანად დარჩა: იქნებ თავი მოიკლა?

იქნებ დღიურის შემდეგი ფურცლებიც ბავშვებმა ქარს გაატანეს?

ვინ იცის...

საწყალი...

გაშიტყდა ძილი...

დაბეჟილი ავდექი.

ფანჯარა გამოვაღე და ხარბად შევისუნთქე ღამის გრილი ჰაერი.

ქუჩა ცარიელია.

მთვარე ჩასულა.

საცაა ინათებს.

ცოტა კიდევ და აი იქ, თალხით ბურვილი გორებიდან, მტრედები გუნდ-გუნდად აფრინდებიან, მალე ენდროში ამოვლებული მზის ფუნჯი ცის კიდეს ვარდისფრად შეღებავს და ამ სახლებიდან, უზარმაზარ სკებს რომ გვანან, გამოვლენ ადამიანები, ზოგი მხიარული, ზოგი მწუხარე, და შეიქმნება ბზუილი, ატყდება ყაყანი და აურზაური.

მე კი ჯერ თვალიც არ მომიხუჭავს.

ვდგევარ ფანჯარასთან და უგულოდ გავცქერი ბნელ სივრცეს.

7.

— ო, ო, ო, რაიბულს სიცოცხლე! — შორიდან მესალმება უცხოეთიდან შარშან ჩამოსული ინჟინერი აბო და ხელს მაგრად მართმევს, თან ორჭოფად მეკითხება: — ბოლო დროს ვერა გხედავ, როგორა ხარ, რასა იქ? თუ წერ რამეს?

პასუხს უგულოდ ვაძლევ. მასთან ყბედობის ხალისი სწორედ არა მაქვს. თავს ცუდად ვგრძნობ — წუხანდელი უძილო ვარ. მცხუნვარე მზის სხივები თვალებს მიბრჭყვიალებს. გაზაფხულია. პროსპექტი გარანდულ, განიერ, გრძელ ფიცარს ჰგავს, რომელზედაც ხალისით მიმოდის უამრავი ხალხი. განუწყვეტლივ ისმის ავტომობილებისა და მგზავრებით დახუნძლული ტრამვაის სირენების ხმა. ამ ქოთქოთში ხეირიანად არც კი მესმის აბოს ლაპარაკი. ის ხანდახან ძვირფას კეპს ღიმილით უხდის ნაცნობებს, იმავე დროს თვალს თვალში უყ-

რის ლამაზ ქალებს და უტიფრად გასცქერის მათი ტანების რხევას. ყველაფერ ამას ჩემთან მუსაიფის შეუწყვეტლად ახერხებს.

აბოს ჭადრაკის დაფის უჯრედებიანი ყავისფერი კოსტუმი აცვია. წელში მოსუსხულ პიჯაკში განიერი მხრები ჯიქურ მიაქვს. გატკეცილი შარვლის ტოტები ისეთი გრძელი და სრული აქვს, რომ სქელლანჩიანი ყვითელი ფეხსაცმელები არც კი უჩანს. ოდნავ წინწკლებიანი და შორი-შორ მოწითალო ზოლებიანი მრეში ყელსახვევი იმრიგად გაუკეთებია, თითქოს გველის პერანგი ეკიდოს კისერზე. სუფთად გაპარსული სახე ორშიმოს უგავს, ხოლო დიდი ყურები — ღამურისას. ბოხი ხმით ლაპარაკობს.. სიტყვებს უცხოურ კილოს აძლევს.

ყველას ყურადღებას იპყრობს.

გრძნობს ამას და გოროზ იერს იღებს.

სოლოლაკის ქუჩის ახლო ფეხშიშველი და გიზგიზათვალებიანი ბოშა ქალი აგვედევნა. ქალს ცალი ხელით ტიტლიკანა, გარუჯული ბავშვი ჰყავს ატატებული, მეორე ხელის თითებსა და თითებს შუა შეკონილი იები აქვს გამოჩრილი, ხოლო შეუკონავი ყვავილები აკვალთულ ჩითის წინსაფარში უყრია. აბო ხშირნაოჭებიან და სადა კაბაში დამალულ ქალის მკვრივ ტანს მრუში თვალებით უცქერის. ახალგაზრდა დედას ჭრელი თავსაფრიდან გიშერივით შავი თმა ჩამოშლია და ხედვას უშლის.

აბო იების ერთ კონაში იმდენს აძლევს, რომ ქალი გაოცებული გვშორდება.

— მიყვარს ია, — მეუბნება აბო, — უცხოეთში ია, იისფერი, სამშობლოს მაგონებდა, მაგრამ იქ ია ან ვარდი ის არაა, რაც საქართველოში. ჩვენში ყვავილებს, ფერის გარდა, სურნელებაც უკეთესი აქვთ. იაზე რამდენიმე ლექსი მაქვს დაწერილი. რად გიკვირს? რომელი ქართველი იქნება ისეთი, ლექსი არ დაეწეროს? მე რა სხვაზე ნაკლები მნახე! — სიცილით ამბობს ის და მქირდავი ხმით უმატებს: — გასაკვირი ეს კი არაა, არამედ ის, რომ ჩვენში ყველა წერს ლექსს, მაგრამ ნამდვილი პოეტი სანთლით საძებარია. ამას განსაკუთრებით იგრძნობს ის, ვისაც განათლება ევროპაში მიუღია... მე

მგონია, ქართველმა ხალხმა დიდი ხანია ამოწურა თავისი თავი.

ვინ ჰკითხავს ამ მანეკენს ქართველი ხალხის ბედს, — ვფიქრობ მე და თანდათან ბრაზი მერევა, — ან რა გაეგება რეგვენს პოეზიისა. უცხოეთში ფოქსტროტის მეტი არაფერი უსწავლია. იქიდან ჩამოტანა მხოლოდ პატეფონი, რომელსაც ყოველ საღამოს კარიდან კარზე დაათრევს და მასავით ფუქსავატ ქალებს ცეკვით თავბრუს ახვევს.

გადავწყვიტე ერთი ისე შევუკმაზო ჯამი, რომ მეორედ ველარ გაბედოს ჩემთან ამნაირი ლაყბობა, მაგრამ აბო უეცრად მტოვებს და ვიღაცას ეხვევა.

— გავიგე, დიდი ხანია ჩამოსულხარ, მაგრამ აქამდე ვერ მოვახერხე შენი ნახვა... რას შვრები, ხომ არსად დაგიწყია ჯერ მუშაობა? მე რომელიღაც რაიონში მიპირებდნენ გადასროლას, მაგრამ უარი ვთქვი, — სეტყვასავით აყრის აბო საამო გარეგნობის ჭაბუკს, რომელსაც კოხტად აცვია, მაგრამ აბოსავით თვალში არ გეჩხირება კაცს, სახის გამომეტყველებაც უფრო დინჯი აქვს, ხმა წყნარი და მტკიცე.

განზე მდგარმა თვალი მოვკარი იქვე საბავშვო სათამაშოების მაღაზიიდან გამომავალ ზეინაბს და სიხარულით წინ მივეგებე.

ზეინაბს თითქოს ეწყინა შეხვედრა, რატომღაც საქციელი წაუხდა.

— ჩემი მეგობრის ბავშვისათვის სათამაშოები მინდოდა მეყიდა, მაგრამ ხეირიანი ვერაფერი ვიშოვე, იძულებული გავხდი, რაც იყო, ის წამომეღო, — ნაძალადევი ღიმილით მითხრა მან და ნაცრისფერ ქაღალდში გახვეული საბავშვო ნივთები ამრეზით შეატრიალა ხელში.

გამიკვირდა.

— ბოდიში, რაიბულ, მეგობრის უეცარმა ნახვამ ზრდილობა დამავიწყა. იცნობდე, — მომესმა ამ დროს აბოს ხმა, მაგრამ ვიდრე უცნობს ხელს ჩამოვართმევდი, რატომღაც ზეინაბს შევხედე და შემეშინდა: ჩემს წინ ზეინაბის მაგიერ თვალებადქცეული ქანდაკება იდგა.

ქანდაკება უცნობს მიშტერებოდა.

ისიც გაქვავებულიყო.

უცებ ზეინაბმა დაიგმინა:

— უშანგი! — და ვიტრინის მოაჯირს მიეყრდნო.

* * *

ლაშა მარტო დამხვდა.

— რაშია საქმე, ვჩქარობდი არ დამაგვიანდეს-მეთქი და, თურმე, სხვებზე ადრე მოვსულვარ.

— არა, ყველაზე ადრე ზეინაბი მოვიდა, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე წამით, სხვებიც მოსელისთანავე წავიდნენ.

— ზეინაბიც იყო?

— უკანასკნელად.

— არაფერი მესმის. რა მოხდა, რა ამბავია?

— დაჯექი...

— მაშ, ჩვენი სერობა დღეს აღარ შედგება?

— არა!

ლაშას დავაკვირდი. მხოლოდ ახლა შევნიშნე მღელვარება. რაღაც დაბერებული მეჩვენა.

ოთახიც უხალისოდ გამოიყურება. ელექტრონი მკრთალ, მგლოვიარე შუქს აფრქვევს ირგვლივ. ღია ფანჯრიდან მოკუპრულ ცაზე ერთადერთ ვარსკვლავს ვამჩნევ.

ლაშასთან ახლო მივდივარ.

— გეტყობა, გუნებაზე არა ხარ. მეც წავალ. ხვალ შემოვივლი ან ზეგ. სხვა დროს.

— დარჩი ცოტა ხანს. შენთან საქმე მაქვს.

ვჯდები.

სიჩუმე.

ლაშა ჩემს პირისპირ ზის. ხმის ამოღება უჭირს.

სავარძელში ვეღარ ვჩერდები, ვდგები და ოთახში სიარულს ვიწყებ.

— იცი, ჩემი ცოლი თხოვდება! — მესმის მოულოდნელად ლაშას გაბზარული ხმა.

— ჯერ ერთი, ცოლი კი არა, ნაცოლარი. მეორეც — თხოვდება გათხოვდეს. მე ფარსაგი რაღაც მეგონა, — ოოლად ვეუბნები, თუმცა ლაშას ნათქვამი მწყინს.

კვლავ სიჩუმე.

— ვის მიჰყვება, თუ გაიგე! — იმავე კილოვზე ვეკითხე-

ბი მოგვიანებით და, შუა ოთახში შეჩერებული, პაპიროსს ვუკიდებ.

— ვიკაც უშანგი კახიძეს, უცხოეთიდან ახლად ჩამოსულ ინჟინერს. — ლაშას პასუხი ლახვარივით მხვდება.

მოვლენები ერთმანეთს ზედიზედ ესკვნება და ამ უცნაურ კვანძების გამოხსნის უნარს სავსებით ვკარგავ. სხვების დრამების მაცქერალს საკუთარი თავი მავიწყდება...

— უშანგის?.. თუმცა სულერთი არაა, ვისაც წაყვება?

— კი მაგრამ...

ვგრძნობ: ლაშას უფრო სხვა რაღაცა აწუხებს.

ოთახში სიარულს განვაგრძობ. ლაშა ერთ წერტილს მიჩერებია.

— მოდი, ზეინაბს ვეწვიოთ. გარწმუნებ, გაუხარდება, — ვეუბნები ლაშას და თვალს არ ვაშორებ.

— არაფრის გულისთვის. მორჩა, გათავდა, ჩვენ ერთმანეთისათვის უკვე უცხონი ვართ, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისვრის ის.

— ესეც ახალი ამბავი!

— დიახ, მოსახდენი მოხდა, ასე ჯობს.

— უცნაური კაცი ხარ. ქალი გიყვარს, ვიცი, მასაც უყვარხარ. რა გიშლით ხელს, ვერ გამიგია!

— ბევრი რამე...

— მაინც?

— უმთავრესად ის, რომ მას არ ვყვარებივარ.

— ვინ გითხრა?

— თვითონ მან. თავისი პირით დღეს, ამ საღამოს, ამ ოთახში... ვცდებოდი, თურმე.

სადღაც, გულის კუნჭულში, მიამა, რომ ლაშაც პირში ჩალაგამოვლებული დარჩენილა. მერე და, ქვეყანა ხომ არ დაქცეულა. თუ მე ვერ ვეწიე საწადელს, ლაშა რა წითელი კოჭია! რად იკლავს თავს!

— მოგცლია ერთი შენ. ყმაწვილივით ირჯები. წამო, ქუჩაში მაინც გავიაროთ. ზეინაბს თუ არ ყვარებიხარ, სხვა შეგიყვარებს. ნესტანების მეტი რაა. ადექი, ჰო! — ხუმრობით ვეუბნები და ზეზე ძალით ვაყენებ.

ლაშა მწარედ იღიმება.

— აგრე დაჩაჩანაკება მეც არ მეპატიება, თორემ შენ, ათასგვარ ქარცეცხლში გამოვლილ კაცს, რა უფლება გაქვს ასეთ წვრილმანებზე დაახურდავო შენი გრძნობები... დადექი სწორად! როგორ ცვილივით მადნები ხელში, — ვამხნევებ და თანაც მეგობრულად დავცინი: — ვირს რქები არ ამოუვიდა და ხბოებში გაერიაო. რაღადროს შენი ტარიელობაა. სხვა არა იყოს-რა ჩვენს დროში ეს როლი ცოტა სასაცილოცაა. განსაკუთრებით შენ არ შეგფერის მისი თამაში.

საოცარია, რატომ გაახარებს ადამიანს ზოგჯერ სხვისი უბედურება. მაგალითად, ახლა მე ისეთ ხასიათზე ვარ, გაფრენა რომ მოვისურვო, მარტო ხელების გაშლა-ღა დამჭირდებოდა, ლაშა კი მიწაზედაც ძლივს მიათრევს ტანს.

წინწკლავს.

გარეთ ხალხი ცოტაა.

ლაშა პუშკინის ქუჩის ბოლოს სარდაფში გამართულ რესტორანში ჩამყავს.

სარდაფში ბუღი ტრიალებს და ღრიანცელია.

თუთუნის ბოლში ლიბრედად მოჩანს სარდაფის კედლებზე ფიროსმანის ეპიგონის მიერ გამოსახული მთელი ქვეყნის გამოჩენილი ადამიანები. ჩვენი მაგიდის ახლოს, ნახევარ კედელზე, დახატულია ავთანდილის წასვლა ტარიელის საძებრად, ხოლო მეორე მხარეს — ტარიელისაგან ხელით ვეფხის შეპყრობა და ქაჯეთის ციხის აღება.

სარდაფის ბოლოს, პატარა ესტრადაზე, შესვენებული მეთარეები ერთმანეთს ებაასებიან.

წილში ნათავადარის ასულს ვერგეთ.

ქალს ცივი გამოხედვა აქვს, უნდო. ხანდახან მის თვალებში წოდებრივი სიამაყე გაიელვებს და მჯმუნვარე სახის ნაკვთებს ზიზღი შეურხევს, მაგრამ ვიდრე ამას ვინმე შეამჩნევდეს, სწრაფად ღიმილს მოიშველიებს და უმადური თავაზიანობით ემსახურება მუშტრებს.

ცოტა ხანდაზმულობითა, ცოტაც ცხელი კერძების ოშხივარით სახის სათუთი ფერი ოდნავ დაგონჯებია. აღარც მიმოხვრაში აქვს ანდამატი. ფრთებდაჭრილი მტრედივით დადის მაგიდიდან მაგიდამდე.

ზოგჯერ ავიწყდება თავისი ხვედრი და სუფთად ჩაცმულ,

წარმოსადეგ მუშტრებს ისე ხალისიანად ეპყრობა, თითქოს მამის სახლში იყოს და ნადიმზე წვეულ სტუმრებს მასპინძლობდეს.

ბევრი ახსოვს ასეთი ნადიმი. მაშინ ყველას ანცვიფრებდა მამამისის თამადობა და ჯიხვის რქები.

მაგრამ ეს იყო წინათ, ახლა კი ამავე სარდაფის სამზარეულოში მამამისი ქვაბებს ხეხავს, თურმე.

ჩვენი მაგიდა აივსო ახალი ბოსტნეულითა და ქორფა ხორკლებიანი კიტრებით. შემწვარ სულგუნს რძე ეონავს. პაპიროსის ქაღალდივით თხელ ლავაშს ლაშა უხმოდ ხევს. მე როდინივით წელში გამოსუსხულ მომცრო ჭიქებს მაყვალის წვენივით წითელი წინანდალით ვავსებ.

როცა ნათავადარის ასულმა ვაზის ფოთლებზე დაწყობილი ცოცხალიც მოგვიტანა, უფროსმა მეთარემ, რომელსაც ნიკაპთან დაყენებული ხალი შავ ბოლოკს უგავდა, მიზრაფი მოიმარჯვა. მალე შავტუხა მედოლემაც დოლი ჰაერში რამდენჯერმე შეატრიალა და მასრებივით თითები ზედ ელვის სისწრაფით აათამაშა, თან თარებსა და დოლს შეწყობილ ხმას მყივანა ხმით ფიცხელი სიმღერა ააყოლა:

ასე...
ქალი მოდიოდა,
თვალი მომანათა.
ვინ არის ეს ქალი?
— ვაჩნაძეანთ ნატა!
ასე...

სარდაფში გახშირდა ჭიქების ჯახუნი და სადღეგრძელოები.

ლაშაც გამხიარულდა.

დაჩუმდა მედოლე. მეთარეებმაც შეანელეს მიზრაფები. ამ დროს ჩვენკენ ვიღაც მაწანწალამ, ჩია ტანის და გაბურძგვნილ წვერში სახედამალულმა კაცმა მოაშურა.

მოახლოვებისთანავე ფრანგულ ენაზე მოგვესალმა. პასუხად ჭიქა მივაწოდეთ. ახლაც ფრანგულ ენაზე გვადღეგრძელა, სულმოუთქმელად დაცალა ჭიქა და მაგიდასთან დაუპატიჟებლად მოგვიჯდა. როცა მეორე ჭიქაც გადაჰკრა, რომელიღაც იტალიური ოპერიდან არია დაიწყო. შემდეგ უც-

ნაური ექსტიკულაციით ლერმონტოვის ლექსი წარმოთქვა, ბოლოს ბესიკის, გურამიშვილის, ბარათაშვილის და ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები ერთიმეორეს გადააბა. ჩვენმა სუფრამ მთელი სარდაფის ყურადღება მიიპყრო.

მაწანწალა ვადღეგრძელეთ.

წირპლიანი და ლოთობისაგან გაწითლებული თვალებიდან კურცხლები გადმოცვივდა.

ლაშამ თანაგრძნობის ნიშნად ჩონჩხს მხარზე ხელი მოუთათუნა და ღვინო ხელახლა დაუსხა.

შევთვერით.

გვიანაა. ხალხი თანდათან გაიკრიფა.

მეთარეებმა უკანასკნელად დაუკრეს და წავიდნენ.

სარდაფში თითქმის ჩვენს მეტი აღარავინ დარჩა. უეცრად ნათავადარის ასული ვიხმე და ხოტბა შევასხი, მერე გაოცებულ ქალს ზეინაბისათვის სათქმელი ლექსი ვუთხარი:

შენ, ჩემო დიდო იმედო,
კოშკო, ნაგებო კირითა,
კახეთს მოკრილო ისარო,
ქალაქს ნაღებო ინითა.
წითელი მოვის პერანგო,
შვიდგან შაკრულო ღილითა,
ცაე წმინდავ, ვარსკვლავიანო,
მზევ, დაფენილო დილითა,
უკვდავებისა წყაროო,
ნადენო ოქროს მილითა,
შენთანამც ყოფნით გამაძღო,
შენთანამც წოლა-ძილითა.

ქალს ნირი წაუხდა, ძლივს მოახერხა უკან გაბრუნება...

ყველაზე ბოლოს ამოვედით სარდაფიდან.

ახალი ნაწვიმარი იყო.

გრილმა ჰაერმა წელში გაგვმართა.

პუშკინის ბაღში შევუხვიეთ.

მაწანწალამ უცებ წინ გაგვისწრო, პუშკინის ძეგლის კვარცხლბეკს აეკრა, სარდაფიდან წამოღებული ღვინიანი ბოთლი ჰაერში ამართა და მთრთოლვარე ხმით იყვირა:

Печален я: со мною друга нет,
С кем долгую запил бы я разлуку.

Кому бы мог пожать от сердца руку
И пожелать веселых много лет.
Я пью один: вотще воображенье
Вокруг меня товарищей зовет;
Знакомое не слышно приближенье
И милого душа моя не ждет.

გათენებამდე ვიხეტიალეთ.
ზეინაბი არც ერთს აღარ გვიხსენებია.
მაწანწალა სადღაც დაგვეკარგა.

8

ნელა დავაჯირე თითი ღილს. ზარის წკრიალი თითქოს საკუთარი გულიდან მომესმა.

მინდა წარმოვიდგინო ზარის ხმაზე შიგნით შექმნილი სურათი, მაგრამ თვალებში ნისლი მაქვს ჩამდგარი.

იქნებ შინ არაა? ნეტავი მართლა არავინ გამომხედავდეს. ნამდვილი ხეპრე ვარ — ამ ალიონზე სტუმრობა ვის გაუგია. ღამენათევი მაინც არ ვიყო. რა მაჩქარებდა, მერე მოვსულიყავი, საღამოს, ან ხვალ, ზეგ, — ვფიქრობ და გამობრუნებას ვაპირებ.

უცებ კარი იღება და ტანწერილი ვაჟი გაოცებით მომჩერებია. ალბათ, მისამართი შემშლია, მაგრამ ეს ვაჟი რომ სულ ზეინაბს ჰგავს?

— რაიბულ!.. მობრძანდი, მობრძანდი! — ვეღარ ვარჩევ, რა უფრო ჭარბობს მასპინძლის ხმაში: გაკვირვება, წყენა თუ სიხაული.

— უკაცრავად, ამ დილაადრიან იმიტომ შეგაწუხეთ, რომ სხვაგან მივემგზავრები და წასვლის წინ მინდოდა ეს ამანათი გადმომეცა თქვენთვის, — ენისბორძიკით ვეუბნები და გაზეთში გახვეულ „უცნობი ქალის ცხოვრებას“ ხელში ვაჩრი.

გაფართოებული თვალებით დაცქერის ზეინაბი უცნაურ საჩუქარს. ხელის თითები თანდათან უფითრდება. ნუთუ ეს თითები წერდნენ ამ მწარე სტრიქონებს, ნუთუ ახლა ზეინაბს ხელში უჭირავს თავისი წარსული? ნუთუ ეს ყოველმხრივ შემკობილი ქალი ვიღაც გახრწნილი გენერლის ხელზე მოსამსახურე გოგო იყო ოდესმე?

— შემოდით, — მტკიცე ბილრთი მეუბნება ბოლოს ზეინაბი და კარს ფართოდ აღებს.

უარის თქმას ვეღარ ვახერხებ.

მივხვდი, თუ რა დიდი ვერაგობა ჩავიდინე და ფეხქვეშ ნიადაგი მერყევა.

დასაკლავი ცხოველივით მივყვები უკან ზეინაბს.

ის გრძნობს, ჩემი ძღვენი სიყვარულის სიგელი არაა, არც სამახსოვრო ნივთი რამ, და ტანის ნერვიული რხევით ადის ხის ხვეულ კიბეზე.

ზეინაბმა ნაძალადევი ღიმილით შემიწვია ოთახში.

— უკაცრავად, ცოტა უწესრიგობაა. მეც გზას ვადგივარ. ოთახის დასალაგებლად ვეღარ მოვიცალე, დაბრძანდით, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ბოდიშობს ზეინაბი და სავარძელზე მითითებს.

ზეინაბმა „ღღიური" პიანინოზე დადვა, თავახრილი თეთრეულით სავსე ჩემოდანი შირმის იქით შეიტანა, შემდეგ მეორე ოთახის კარი გადარაზა და ჩემს პირდაპირ დაიდგა სკამი.

მე დამნაშავესავით ვაცეცებ თვალებს აქეთ-იქით.

ერთ მიხურულ ფანჯარასთან წვრილფეხებიანი და მოძრავდაფიანი მაგიდა დგას. მასზე თავბრტყელა მოკლეწვეტიანი ლურსმნებით სქელი, კრიალა ქაღალდია გაკრული, რომელიც უთვალავი ხაზებითაა ნასერი. ეს მაგიდა ზეინაბის დაზგაა. ის თავის სათუთი თითებით ამ დაზგაზე ცვლის მდინარეთა კალაპოტებს, სახავს ელექტროსადგურებს, თხრის გვირაბებს, აგებს კაშხალებს და სირმის ძაფებით ქსელავს ახალ ქვეყანას.

უცებ წარმომიდგა დაზგაზე დახრილი ზეინაბი და ჩემი თავისადმი ზიზღით აღვივსე.

რა მინდა აქ! რას ავხირებივარ ამ ქალს?

რა არის ეს, თუ არა ბოროტება?

მქონოდა სახლში შენახული მისი წარსულის მატიანე, ან ცეცხლისათვის მიმეცა...

თანდათან უხერხულობას ვგრძნობ. ნეტავი ის რვეული ჩიტივით გაფრინდებოდეს ახლა ამ ფანჯრიდან, მე ქორად ვიქცეოდე, რომ მისი ბუმბული ქარს გავატანო.

— დედი, დედი! — უეცრად გაისმის ოთახში და გარინდებულ ზეინაბს უკანიდან კისერზე ეხვევა შვიდი-რვა წლის ბიჭი.

გაფითრებული ზეინაბი ელვის სისწრაფით დგება და იმ კარიდან, საიდანაც შემოვედი მე, ბავშვი გარეთ ძალად გაჰყავს. შუშაბანდიდან მკაფიოდ მესმის ზეინაბის მკაცრი ხმა და ბავშვის ტირილი. ბავშვს ვიღაცა ამშვიდებს და ეალერსება. ზეინაბი მასაც უწყრება.

ვინ უნდა იყოს ის მესამე?

აღარ ვიცი, რა ვქნა. წასვლა მინდა, მაგრამ განძრევას ვერ ვბედავ, ვერც კრინტი დამიძრავს.

ზეინაბი იგვიანებს. მის მოლოდინში უცნაური ფიქერბი მეხვევა, უფრო ბურანში შევდივარ, მომქანცველსა და გონებისწამრთმევ ბურანში. ღამისთევამ და ღვინომ მიწია. თვალებს ვხუჭავ — ნეტავი ყველაფერი ეს სიზმარი იყოს.

ირგვლივ კვლავ დამკვიდრებულ სიჩუმეს ხანდახან ბავშვის სლუკუნი არღვევს.

მალე საესებით უუნარო ვხდები.

— ااااخ!

ეს ამოძახილი ერთბაშად მაფხიზლებს.

სად ვარ? — არაფერი მახსოვს. ჩემს წინ სკამი ცარიელია.

შეშფოთებული ვიხედები ირგვლივ: ზეინაბი პიანინოსთან დგას და გაშეშებულ ხელებში გაშლილი რვეული უჭირავს.

ნუთუ წამეძინა?

როდის შემოვიდა?

შემკრთალი წამოვდექი.

— ვინ მოგცათ ეს რვეული? — გამოცვლილი ხმით მეკითხება ზეინაბი კარგა ხნის მდუმარების შემდეგ.

— ქუთაისში ვიპოვე შემთხვევით!

— წაიკითხეთ?

— დიახ...

— რატომ მომიტანეთ მე?

— ისე... თქვენი მეგონა რატომღაც, — ძლივს მოვაბრუნე ენა.

— გულთმისანი ყოფილხართ... დიახ, ჩემია... ქუთაისში პირველად ჩასულს მე ის ჩემოდნიანად მომპარეს სადგურ-

ზე... პოვნისათვის ჯილდო გერგებათ, — კილვით ამბობს ზეინაბი და ყანაში მომუშავე ქალივით შუბლზე ხვითქს ხელისგულით იწმენდს.

— წყრომის ღირსი მაინც არ ვარ!

— რა თქმა უნდა, არა. პირიქით, მიხარია, რომ დაკარგული ბავშვობა დამიბრუნეთ. მერე და როგორი ბავშვობა. ჰაჰაჰა! ჰაჰაჰა! — ისტერიული სიცილით დაემხო პიანინოზე.

დადუმდა.

დიდხანს იყო გაყუჩებული. ბოლოს თავი მაღლა ნელა აიღო და ჯიუტად წარმოთქვა:

— სისულელეა!

მისმა იერმა შემაშინა: სხივოსანი თვალების ნაცვლად ორი ამოხაპული ორმო გაჩენოდა, სახეზე მკვდრის ფერი დადებოდა.

— საიდან დაასკვენით, რომ ეს „დღიური" ჩემი უნდა ყოფილიყო?

— ბოლოდ ქუჩაში უშანგისთან თქვენი შეხვედრის შემდეგ დამებადა ეს აზრი... ნეტავი სულ არ გამოვსულიყავი გუშინ გარეთ, ან...

— ან არ მოსულიყავით ჩემთან დღეს...

— კარგსაც ვიზამდი.

— დაჯექით.

სიჩუმე.

— თქვენ ახლა ჩემი წარსულის საიდუმლოებანი დაწვრილებით იცით, — თრთოლვით დაიწყო ზეინაბმა. — ჩემი თხოვნაა, და ამის მეტს არაფერს გთხოვთ, სხვას ნურავის ეტყვით ამ ამბავს.

— მე თქვენი ცხოვრების მარტო რამდენიმე ეპიზოდი ვიცი, მაგრამ რაც ვიცი, გაძლევთ პატიოსან სიტყვას, მას საიდუმლოდ შევინახავ.

— ლაშას არ უთქვამს რამე?

— არა, — უტიფრად დავფიცე, — მხოლოდ წუხდა, რომ თქვენი მოუსვლელობის გამო სერობა ჩაგვეშალა... მე თქვენ უფრო სხვანაირ ქალად მყავდით წარმოდგენილი, — უცებ შევცვალე კილო, — ვიდრე არიან მრავალნი. ის, რაც თქვენ დაგემართათ, არის უბედურება. უბედურების გამხელა კი

სრულებითაც არაა სირცხვილი! ან რატომ ფიქრობთ, დამ-ცირდებით ვინმეს თვალში. თუ გამოაშკარავდა თქვენი წარ-სული და...

— ჩუმად, — შემაწყვეტინა სიტყვა ზეინაბმა, — იმ ქალ-მა, რომლის მოახლეც ვიყავი მე ერთ დროს და რომელიც ახლა ჩემი მოახლეა, არ მინდა, რამეს მოჰკრას ყური, თორემ ყველაფერი ნამდვილი რომ გაიგოს... ჭკუას დაკარგავს, — ჩახლეჩილი ხმით მითხრა მან და სავარძელში მუჭის ტოლა გახდა. — მას ბავშვის მამა უშანგი ჰგონია. ასე ფიქრობენ მე-ზობლებიც, რომელთა დასანახავად სწორედ ამ ოთახში მო-მიყვანა მან, როგორც ცოლი, მაგრამ მალე ამავე ოთახში მარტო დამტოვა და სადღაც გადაიკარგა. ამდენი ხნის განმავლობა-ში პირველად ვნახე დღეს — ოხვრით დაუმატა და შეშლი-ლივით მიაშტერდა მეორე ოთახში გასასვლელ კარებს.

ციცმა ოფლმა დამასხა.

— კარგი, დამშვიდდით. ვერავინ ამას ვერ გაიგებს, არც არავინ დაიჯერებს.

— მეც არ მინდა დავიჯერო, რომ ვიღაც დამთხვეული გენერლისაგან მყავს შვილი, რადგან ეს დედურ გრძნობას მიშხამავს, მიშლის შვილის სიყვარულს, მიშლის ცხოვრე-ბას, მაგრამ სინამდვილეს ვერსად გავექცევი... თქვენ თქვით, რომ უბედურება სირცხვილი არაა, მაგრამ უბედურებაცაა და უბედურებაც. ზოგი უბედურებით ადამიანმა შეიძლება ია-მაყოს. ჩემი უბედურება კი მარტო ზიზღის მომგვრელია მხო-ლოდ... მაგალითი თვალწინა მაქვს: თქვენ, მგონი, მოგწონ-დით, თითქოს გიყვარდით კიდეც, მაგრამ ახლა? ახლა გასაქ-ცევად გიჭირავთ თვალი, გინდათ ჩქარა წახვიდეთ აქედან. მე ამას ვგრძნობ... წადით, წადით. დამტოვეთ მტკივანი სუ-ლით, ცარიელი სიბრალულით მას ვერ განმიკურნავთ... თუ-გინდ ამის შემდეგ უბრალო ნაცნობებიც ნუ ვიქნებით, რა საჭიროა! დამივიწყეთ. დამივიწყეთ საწყალი ქალი, რომელ-მაც ამდენი ტანჯვა გამოიარა, ამდენი იბრძოლა, წვალებით გაიკვლია გზა... ვერ გაიხარა... მაგრამ ახლა იბრძვის იმი-სათვის, რომ სხვებმა გაიხარონ.

ეს თქვა და ერთბაშად წელში გამართული წამოდგა. თან-

დარან ლონე მოიკრიფა და სიცოცხლის ნიშანწყალი დაეტ-ყო.

ამ დროს ზარის წკრიალი გაისმა, რაც მალე ავტომობილის გუგუნმა და ძახილმა შეცვალა.

— ზეინაბ, ნუღა იგვიანებ. აჩქარდი, ავტომობილი მოვი-და, — ოდნავ გამოღებული კარიდან შემოიძახა ეფემიამ და მაშინვე გაბრუნდა...

— სად მიდიხართ, ზეინაბ? — ვეკითხები კრძალვით.

— ხრამჰესის სამუშაოებზე. ალბათ იცით, რომ თბი-ლისიდან არც ისე შორს უნდა აიგოს დიდი ჰიდროელსად-გური... — რიონჰესის დამთავრების შემდეგ მისი მშენებლე-ბის მთავარი ძალები ახლა იქ იყრიან თავს, — მხნედ მითხ-რა და თანაც მაგრძნობინა, რომ მას ჩემთვის აღარ ეცალა.

## 9

მოცოროზი ამინდია.

მზე ლეგა ღრუბლებს ეფარება, ხან ისევ გადაწვეს რძის-ფერ ფარდას და, როგორც ნაავადმყოფარი ქალი ფანჯარა-ში, გაცრეცილი სახით გადმოიხედავს.

მართალია ერისიონი აღარ ციმციმებს, არც გაგრის ცი-ცაბოები ჩანან გარკვევით, მაგრამ სამაგიეროდ ზღვა ჩვეუ-ლებრივზე უფრო წყნარია დღეს.

ნაპირისაკენ მივდივარ. იქ ლაშა მეგულვება. ხელში სასი-ხარულო ბარათივით მიჭირავს ახლადდამთავრებული ნოველა, ქალალდს კარგად ჯერ არც კი შეშრობია მელანი. მთე-ლი დილა მოვანდომე უკანასკნელი წერტილის დასმას და როცა კალამი დავდევი, ერთბაშად უჩვეულო შვება ვიგრძე-ნი, თითქოს ეს ცა აქამდე ჩემს მხრებზე ყოფილიყოს დაბჯე-ნილი.

მსუბუქად მივდივარ.

პლიაჟზე ხალხი ბლომადაა.

ხანგრძლივი ხვატის მერე უმზეობა საამურად მეჩვენება, თუმცა არც იმდენად გრილა. თბილ სილაზე ჯალმახებივით ყრიან შიშველი ქალები. აქა-იქ ქალ-ვაჟნი ერთად გაშოტი-ლან.

ზოგნი ცურავენ.

ზოგნი ნაპირ-ნაპირ ნავებით სეირნობენ.

ამღერებული გულით მივეშურები, ვიცი, სადაც იქნება ლაშა.

ორი კვირის წინათ ჩვენს მიერ არჩეულ ადგილს შემიძლია თვალდახუჭული მივაგნო. აქ თვითეული ხვინჭკის მდებარეობაც უკვე ზეპირად მახსოვს.

აი, ლაშაც. მხართეძოზე წამოწოლილი გულდასმით კითხულობს სქელტანიან წიგნს — ეკერმანის საუბარს გოეტესთან.

მიხარია, რომ ვხედავ ბრინჯაოდქცეულ მის სხეულს. ხანდახან მიკვირს კიდეც — რამ გახადა ასე კერკეტი. ალბათ, სპორტმა — ბოლო ხანებში ნიადაგ ვარჯიშობს: ორძელებზე ბზრიალასავით ტრიალებს, გაჭენებულ ცხენს ახტება, ტენისში ყველას სჯობნის, განსაკუთრებით ცურვაში არ ჰყავს ბადალი. გუნებაც გამოეცვალა: სულ მხიარულია და ბავშვივით იცინის.

ნამდვილი სასწაულის მოწმე ვარ.

წარსულზე აღარც უნდა იფიქროს. კარგა ხანია შეურიგდა ხვედრს. გაგრაში წასვლისას ნაცოლარს, რომელიც უშანგი კახიძეს მისთხოვდა, თავაზიანად გაუგზავნა ყველა ნივთი. მის სამახსოვროდ მხოლოდ ორად-ორი მინანქრიანი ვაზა დაიტოვა.

ზეინაბიც თითქმის ამოიგდო გულიდან. რამდენიმე თვეა მასზე კილოკავადაც არაფერი უთქვამს. მეტადრე მას შემდეგ, რაც ყურმოკრულად გაიგო ზეინაბისა და იმავე უშანგის თავგადასავალი, მაგრამ ზოგჯერ ეტყობა — ზეინაბის სულ დავიწყება უჭირს.

არ ვიცი რატომ და, მე კი ზეინაბი სრულებით აღარ მიზიდავს.

იტალიელები იტყვიან: ლამაზი ის კი არაა, ვინც ლამაზია, არამედ ის, რომელიც მოგწონსო.

მოწონება კი ხშირად სიყვარულის სათავეა. და თუ იტალიელები მართალს ამბობენ, მე და ლაშას შორის მეტოქეობა შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს.

ჩემს მიახლოვებისთანავე ლაშამ წამოიწია.

მეც მის გვერდით მოვიკალათე.

— აბა, მომაპყარ ყურნი შენნი! — ღიმილით მივმართე და ყოველგვარ წილადობილას გარეშე ნოველის კითხვას ვიწყებ:

### ტატაშ ხვარი

ტატაშ ხვარი გარინდებული იჯდა და უხმოდ წევდა უბრალო თუთუნს უბრალო ყალიონით. დროდადრო ყალიონის ღერი ნუნებშემოცლილი კბილებით დიდხანს ეჭირა და მოკუმულ ტუჩის მარცხენა კუნჭულიდან მწარე ბოლს წვრილად უშვებდა. დიდრონ, ღაზო თვალებს ხან ფართოდ ახელდა, ხან მილულავდა, თანაც მაგიდაზე დარჩენილ პურის ნამცეცებს გამხდარი გრძელი თითებით აგუნდავებდა.

სარკმელთან ჯიბეებში ხელებჩაწყობილი იდგა ეგირ და წარბებშეჭმუხვნილი უმზერდა ზღვას, რომელიც იმჟამად დედის კალთაში რულმორეული ჩვილივით წყნარი იყო და სუფთა.

სამაგიეროდ ეგირის ფართო და ბორცვებიანი მკერდი უჩვეულოდ ტოკავდა.

რაც დრო გადიოდა, მზისაგან გარუჯულ სახეზედაც ვაჟს მღელვარება უფრო ეტყობოდა, ახლადგაპარსულ ლოყებზე ფითრი ეკვროდა.

მეორე ოთახიდან გამოდიოდა ქალის ოხვრა.

— გუ-გუ! გუ-გუ! — გაისმა უეცრად ოთახში და შემკრთალმა ტატაშმა რისხვით სავსე დაკაკლული თვალებით ჯერ ვაჟს შეხედა, მერე მეორე ოთახის ბჭესთან დაკიდებულ მოგრძო ყუთს. ყუთის ზევითა ნახევარში ჩასმული იყო საათი. ხოლო ქვედა ნაწილს გაკეთებული ჰქონდა საგანგებოდ მოხარატებული ციდა კარები, საიდანაც გადმომდგარი ხის ჩიტი ნამდვილი გუგულივით იძახდა.

ეს უცნაური ჩიტი ყმა ტატაშს პრინც ოლდენბურგის მეუღლემ, თვალებვარსკვლავებიანმა და ტანლერწამა ქალმა, უფეშქაშა.

და აღსრულდა მოხუცი გამზრდელის წინასწარმეტყველება:

„ტატაშ, შენ ისეთ ვარსკვლავზე ხარ დაბადებული, დედოფლის სწორი ქალი შეგიყვარებსო".

როგორი გულისხმიერებით უსეირნია ტატაშ ხვარს პრინცესასთან პალმებისა და ნაძვების ტევრში, რამდენი ნექტარი უგემნია და ნეტარება უგრძვნია ფიქალი ქვებით ნაგები სასახლის აივანზე, პრინცესას გვერდით!

აფხაზ თაეადს მოდუნებულ ძარღვებში გესლი ჩაუდგა, ადრინდელი სიმარდით წამომდგარმა, ბოღმიანი გულის მოსაოხებლად ოთახში სიარული დაიწყო.

მამის ურჩი და უნებური ვაჟი კვლავ სარკმელთან იდგა.

დღეს ეგირი კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ფსკერგათქვეფილ ჭაობშია ჩაფლული და, თუ უკანასკნელ ღონეს არ მოიკრებს, ვერასოდეს მოახერხებს მწდალზე გასვლას.

ეს ჭაობი მამის სახლია.

აქამდე დატოვებდა მას ეგირი, მაგრამ როგორ გაიმეტოს დედა, სანთელივით ფერმიხდილი, ასეთი სათნო და ტკბილი.

არა და, რაც დრო გადის, ტატაში უფრო ღვარძლიანი ხდება.

ქირდავს შვილს, რომელმაც გვარს შოფერობა და ცხენს ავტომობილი არჩია.

ეგირი პირველი აფხაზი შოფერია.

მის ავტოს შევარდენის სისწრაფით გადაურბენია აფხაზეთის მრავალი ბორცვი და თეას სიყვარულით გასალკლდევებულს საჭე ისე უჭირავს, როგორც მარულაში თავმხედარს მუხლქარა მერანის სადავე.

და ასე წინ მარბენალს ზღვადან დაქროლილი თბილი ბორიო თეას სუნთქვა ჰგონია. ეგირს თეა უყვარს არა მარტო იმისთვის, რომ მისი თვალები ამ ზღვასავით ღრმაა და ლურჯი, არც იმიტომ, რომ სპეტაკი შუბლი აქვს, ღაწვები მწყაზარი, ტანი კვიპაროზს უგავს, ხოლო მკერდი მუდამ ისე უთრთის, თითქოს უბეში მტრედები ყავდეს დამწყვდეული.

არა.

თეა ეგირს აჯადოებს თავისი ალალი გულით, რომელიც მას მხოლოდ ეგირისათვის უძგერს და რომლითაც ის ეგირთან ერთად შეუპოვრად ებრძვის ხალხის დამაკნინებელ ადათებსა და დუშმანებს.

ეგირი პირველად თეას უზიარებს თავის გულისნადებს,

საწყენსა და სალხინოს. ამას წინათ გაგრიდან დაბრუნებულმა, ვიდრე ნახავდა თეას, მთავარი სული ლამის დალია.

სათქმელი და გასანდობი კი უჩვეულო ჰქონდა და ეგირმა სიამაყით უამბო სახეგაცისკრებულ თეას, თუ ზღვის გაყოლებით დაკლაკნილ შარაზე როგორ მოჰყავდა სოჭიდან გაგრაში მამაზე უფრო ახლობელი კაცი კაცთა შორის.

ახლა ეგირი ტყვარჩელში გაიწვიეს სამუშაოდ;

ეგირს უნდა იქ წაიყვანოს თეაც, მაგრამ...

ტატაშმა სიარული შეწყვიტა და ყრუდ, თავისთვის თქვა:

— მაშ ასე...

მერე ვაჟს მიუახლოვდა:

— რა გადაწყვიტე, ეგირ!

ვაჟი არ შერხეულა.

— მამა გელაპარაკება თუ ძაღლი!

— ჩემი გადაწყვეტილება მე ერთხელ გითხარი გარკვევით. მეტი არაფერი მაქვს სათქმელი.

— ურჩობას იჩენ მამასთან, ბარაქალა შენს გვარიშვილობას! — რაღაც საწყლად, თანაც გამკილავად უთხრა შვილს ტატაშმა და ჩამქრალი ყალიონი ხელისგულზე დაიბერტყა, — რომ არ მოგცე ნება?

— მაგით არაფერი შეიცვლება, — კვლავ მოჭრით უპასუხა ეგირმა.

— ვნახოთ! — უდიერად ესროლა ვაჟს ტატაშმა, მაგრამ მის ქადილს ძალა აკლდა. თვითონაც იგრძნო უმწეობა და ბრაზმა თვალებში წამოანათა. — ფუ, შეგირცხვა სირყმე, მეგონა, მოსიყვარულე ვაჟს ვზრდიდი, თურმე, ლეკვი გამეზარდა შენს გაზრდას, მერჩია!

მამა-შვილს შორის უფსკრული თანდათან ფართოვდებოდა.

— რა გინდა ჩემგან, დამანებე თავი, განა მამა რომ ხარ, უნდა დამახრჩო! რას ჩავდივარ ასეთს. მე ჩემი გზა მაქვს და ჩემი ჭკუა, ნუ მეღობები წინ! — ხმას აუწია ეგირმა და მამას პირისპირ დაუდგა.

— ვის ეტოქები, არამზადავ!

— მამა...

— შესდეგ, ხელი არ ახლო ბავშვს! — გააფთრებით შეს-

ძახა ტატაშს მეორე ოთახიდან ძუ ვეფხვივით გამოვარდნილ-მა თარყვამ და იმავე დროს მყისვე შვილს წინ აეფარა.

სახემოღრეცილ ტატაშს ამართული ხელი მოჭრილ ტოტივით ჩამოუვარდა და ბორძიკით უკან დაიხია.

— იმ ქალის შერთვის ნებას არ მივცემ, გაიგე! არ მივცემ, სანამ სული მიდგას! — მუქარით თქვა ტატაშმა და კბილები გაახრჭიალა.

დედა-შვილი ერთბაშად გაურკვეველმა გრძნობამ მოიცვა, ორთავეს ერუანტელმა ტერფებამდე დაუარა.

— რატომ, ტატაშ, რატომ! ის ქალი არ მოგწონს, თუ გესირცხვება პრინცესას ნამოახლარის შვილი რძლად! — უნებურად, თითქმის საიდუმლოდ ჰკითხა თარყვამ და მიტკალივით თეთრ შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა.

— ვინც გინდათ, რომელიც გსურდეთ, ის მოიყვანეთ, ჯოჯო რომ იყოს, დედოფლად გავიხდი, ოღონდ თეას თავი დაანებეთ...

— რათაო, ტატაშ, რაა მიზეზი? — კვლავ ჩაჰკითხა სხვადქცეულმა თარყვამ.

ტატაში ხაფანგში გაბმული ცხოველივით უმწეო გახდა. გრძნობდა, ფეხქვეშ ნიადაგი ეცლებოდა, ნებისყოფა ეკარგებოდა. როგორც სასიკვდილოდ განმზადებულს, უცებ თვალწინ გაურბინა განვლილმა ცხოვრებამ და გაიხსენა: თუ რატომ აუკრძალა პრინცესამ თავის საწოლ ოთახში შესვლა ქმარს. რა მიზეზით არ წაჰყვა უცხოეთში სამოგზაუროდ, მერე როგორ მოლოგინდა და ახლადშობილიანად როგორ გადაკარგა ერთგული მოახლე გაგრიდან.

ტატაშს თითქო გული ჩაწყდაო, მხრებში მშვილდივით მოიხარა და არაადამიანური ხმით იყვირა:

— ისიც, თეაც, ჩემი შვილია, ჩემი შვილი!

ეგირს მეხი დაეცა, თვალებიდან ბრჭყვიალა რგოლები გამოუცვივდა, ყურებში უთვალავი წიწილების წივილი ჩაუდგა, ყველაფერი ერთმანეთში აირია, გაითქვიფა, და დაიზმუილა:

— ვაიმე, დედა! დედა! თეა ხომ ფეხმძიმედაა... ღვიძლი დის სარეცელი წამიბილწავს!

ეგირმა რევოლვერი ამოიღო, თარყვამ თვალი შეასწრო და კივილით ხელში ეცა:

— რას შვრები, შვილო, არ დამღუპო.

— არა, აღარ ღირს ჩემი სიცოცხლე... გამიშვი ხელი.

— მოიცა, ეგირ, ერთი სიტყვა მათქმევინე, მოიცა... — ეგირის მკლავზე თასმასავით შემოხვეულ თარყვას ლავიწები შეეხნიქა, ნიკაპი გაუწვრილდა, ოდესღაც ნატიფი ღაწვები ჯორტოხებად ექცა, ნესტოები გამჭვირვალე გაუხდა, სიფრიფანა ტუჩები ჩაულურჯდა, სული შეეხუთა. ძუძუებატკივებული დედა ცხადად ხედავდა შვილის წინ ამართულ საშინელ აჩრდილს. საცაა, ჩონჩხი მსახვრელ ხელს შეახებს და ეგირი, მისი ეგირი, ცოცხალი აღარ იქნება. რა იღონოს, რით უშველოს!.. — როგორც იქნა, გამომშრალ ხახაში თარყვამ ენა მოიბრუნა, ორმოებში ჩაცვინული თვალები დახუჭა და აღმოხდა:

— თეა არაა შენი და, გესმის, არაა. არც ეს კაცი, ტატაშია, შენი მამა... შენ სხვისი შვილი ხარ, ეგირ, სხვისი...

ქალს ხმა ჩაუწყდა, იქვე ჩაიკეცა.

ვაჟს ხელიდან რევოლვერი დაუვარდა. თავი საზარელ სიზმარში ეგონა. თვალები მოიფშვნიტა. მერე ბარბაცით სარკმელთან მივიდა, საკირესავით გავარვარებული შუბლი მინას მიაფარა და დაბლაგვილი მზერით სივრცეს გახედა.

ცის დასალიერთან ზღვას ცეცხლი წაჰკიდებოდა.

ცაზე აქა-იქ გარჩენილი ღრუბლები ჩამავალი მზისაგან ოქროს ზოდებად ქცეულიყვნენ.

ზღვა იქოჩრებოდა.

ნავსადგურიდან გადიოდა გემი.

ეგირი მობრუნდა.

ის მთვარეულს ჰგავდა — გახელილი თვალებით მძინარეს.

ხალათის ღილები შეიკრა, ქამარი შემოირტყა, ქუდი ხელში დაიკავა და მშვიდი ნაბიჯით გაემართა კარისაკენ. გამოღებულ კართან ეგირი უკანასკნელად შედგა, უნდოდა უკან მოეხედა, მაგრამ ვერ შეძლო, კისერი გახევებოდა. ვარგა ხანს იყო ასე. მერე კარი ნელა გაიხურა და წავიდა.

პირქვე დამხობილი თარყვა მუჭისტოლა გამხდარიყო.

ტატაში ყედელს აკვროდა და შეშლილივით მიშტერებოდა ცოლის ახლო ეგირის მიერ დაგდებულ რევოლვერს.

* *

თავაუღებლად ვკითხულობდი ნოველას. კითხვის დამთავრებისთანავე ლაშას შევხედე, რომ გამეგო, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა მასზე ხვარების ტრაგედიამ, მაგრამ ვიგრძენი — ის ყურსაც არ მიგდებდა, თურმე, და მეწყინა.

ლაშა სულგანაბული იმზირებოდა სადღაც. მზისაგან გარუჯული სახე გაფითრებული ჰქონდა, ხოლო თვალები — საოცრად გაგანიერებული და ფოსფორული შუქით სავსე.

გავოცდი.

ლაშას აგრე მოქცევის მიზეზის გასაგებად უნებურად გავხედე მის თვალთა სარბიელს:

მოშორებით ტიტლიკანა ბავშვი ზღვაში კენჭებს ისროდა. იქვე, საბანაო კოსტუმში, სილაზე იწვა ქალი, რომელიც დროდადრო ჩირგვში მიმალული ხოხობივით ჩვენსკენ იცქირებოდა.

ვიცანი: ზეინაბი იყო.

საიდან, როდის ჩამოვიდა?

ნოველა ხელში შემაცივდა. გავქვავდი. ენა დამება. აღარც ლაშას ეტყობოდა ნიშატი.

ჩვენთვის უცნობმა ვაჟმა ნავი ნაპირს მოაყენა, გადმოხტა და ცარიელი ნავი ზეინაბს შესთავაზა.

გახარებული ბავშვი დედას მივარდა, მაგრამ, ეტყობოდა, ზეინაბი უარზე იყო.

ბავშვი არ ეშვებოდა, ეხვეწებოდა, ძალას ატანდა, ბოლოს ზეინაბი წამოდგა, ყაყაჩოებიანი შავი აბრეშუმის მოსასხამი მკლავზე გადაიგდო და ნავისაკენ აჩქარებით მიმავალ შვილს გაყვა. საბანაო თეთრ კოსტუმში ფეხადგმულ ქანდაკებას გავდა იგი: კენარი ტანის ლამაზი ნაკვთები თითქოს არც ერხეოდა.

ბავშვი სწრაფად ჩახტა ნავში.

როცა ზეინაბიც ჩაჯდა შიგ, უცნობი ვაჟი წელამდე შეყვა ნავს ზღვაში, მერე უკან გამობრუნდა და იქვე სილაზე გაგორდა.

ჩვენ ისევ უძრავად ვიჯექით და თვალს ვადევნებდით,

ქოშის ოდენა ნავი თუ როგორ თანდათან ცილდებოდა ნაპირს, როგორ რიტმულად ამოძრავებდა ზეინაბი ნიჩბებს.

ლაშა გულაღმა გაიშოტა, ეკერმანი თავქვეშ ამოიდვა და თვალები ცას მიაპყრო.

ღრუბლებისაგან სანახევროდ დაფარული მზე მცხრალად აშუქებდა.

რატომღაც, ლაშასთვის ხმა არ გამიცია, ისე დავწექი პირქვე. ჟრუანტელისმგვრელ მზის სხივებს შიშველი ზურგი მივუშვირე და გავინაბე. არაფერზე არ ვფიქრობდი. თანდათან რული მომერია.

ალბათ, დიდხანს ვიყავი ბურანში, რადგან როცა წამოვჯექი და ირგვლივ მიმოვიხედე, გამოფხიზლებულს არე-მარე მესხვაფერა: მზე სულ აღარ ჩანდა. ბორიო ქროდა: პლიაჟზე ხალხი შეთხელებულიყო. ზღვა ტორტმანობდა, შფოთავდა, ნაპირს ტლაშუნით ცემდა ქაფიან ტალღებს.

აღარც მოცურავენი ჩანდნენ, აღარც ნავებით მოსეირნენი. სიცივე ვიგრძენი.

ყველაზე ბოლოს ლაშას მივუბრუნდი და გავოცდი: მთელი ტანით დაძაბული, ფერგამკრთალი ფართოდ გაღებული თვალებით ზღვას გაცქეროდა.

— რა ამბავია, ლაშა!

— ზეინაბს შორს მოსვლია წასვლა. ხომ ხედავ, ტაროსი ერთბაშად როგორ შეიცვალა. ზღვა ღელავს იწყებს. საეჭვოა, ნაპირამდე მშვიდობიანად მოაღწიოს, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად და გვიან მიპასუხა მან.

ზღვას გავხედე: ერთადერთი ნავი, რომელშიც ზეინაბი და მისი ბავშვი იყო, ნაპირისაკენ სწრაფად მოცურავდა, მაგრამ იმდენად შორს მეჩვენა მეც იგი, რომ ლაშაზე მეტად შემიპყრო შიშმა.

ზღვა უკვე ღელავდა. ზვირთები ჯოგად გაქცეულ აქლემების კუზებივით ხტოდნენ და ნაპირს ზედიზედ აწყდებოდნენ.

ზეინაბმა სულ ცოტახანში შეძლო დიდი მანძილის გამოვლა.

ნავი ახლა ახლოს იყო, მაგრამ აზვირთებული ტალღები საშუალებას არ აძლევდნენ ხმელეთს მოდგომოდა. ნაპირისა-

ყენ წამოსულ ამთაგორებულ ტალღებს ნავი თან მოქონდათ, მაგრამ უკუქცევისას ისევ იტაცებდნენ.

— დაიღუპებიან! — ძლივს ამოიხრიალა ლაშამ. ზეზე წამოიჭრა და მაშინვე ზღვაში გადაეშვა, მაგრამ ზათქით წამოსულმა ტალღებმა უკანვე გამორიყეს.

ლაშა ცოტა ხნით შედგა, ტანი მოშვილდა და ნაპირისაკენ წამოსულ ერთ დიდ ტალღის ქვეშ ისარივით შეიჭრა.

მალე, უკუქცეულ ამ ტალღის იქით ამოყო თავი.

თვალებად ვიქეცი.

პლიაჟზე ჩოჩქოლი ატყდა, ყველა ნაპირს მიადგა.

მალე მთელი გაგრა იქ მოგროვდა.

მე ისე წამოვდექი, თითქოს ვინმეს ძალით ავეყენებინე — სხეული დაბრუჟებული მქონდა, მთელი ძალა თვალებში დამგროვებოდა.

ერთხანს ნავიცა და ლაშაც ხედვიდან დამეკარგა, მაგრამ ბოლოს ორივე ისევ შევამჩნიე და იმედი ჩამესახა.

ამ დროს ზეინის ოდენა ტალღამ ნავი ერთხელ კიდევ ჰაერში ნაფოტივით აისროლა, მერე ქვესკნელში ჩაიტანა.

ლაშაც ჩანთქა აბობოქრებულმა ზღვამ.

— ლაშა... ზეინაბ!.. — არაადამიანური ხმით ვიყვირე და თმებზე წავივლე ხელები.

ვაჟმა, რომელმაც წელან ზეინაბს ნავი დაუთმო, ბაწარი მოარბენინა და როგორც ქამანდა ზღვაში ისროლა.

გამოსწია, ბაწარი თავისუფლად წამოვიდა.

მეორედ ისროლა, მესამედ.

— მომეხმარეთ! მომეხმარეთ! — უეცრად აღრიალდა ის.

პირველი მე მივეშველე. მერე სხვები. წამოსულ ტალღას ბაწარი ტალღის სისწრაფით გამოვაყოლეთ, და როცა ეს ტალღა უკუიქცა, ბაწარი კიდევ უფრო ღონივრად მოვწიეთ, რომ მეორე ტალღას არ მოესწრო და კვლავ არ წარეტაცა ერთმანეთს ჩაკრული ორი ადამიანი: ლაშას ცალი ხელი ბაწრისთვის ჩაევლო, მეორე გონებადაკარგულ ზეინაბის წელზე შემოეჭდო.

ორივე ფრთხილად გამოვიყვანეთ ხმელეთზე.

მე ხან ვიცინოდი, ხან ვტიროდი.

ხან ერთს ვკოცნიდი, ხან მეორეს.

ბავშვი?
ზეინაბის შვილი არსად იყო.

* *

გულრიპშის აივანზე ვზივარ.
ლაშა ზეინაბთანაა საავადმყოფოში.
უკუნი ღამეა.
ზღვა ბობოქრობს. მისი ტალღების ზათქი და ხმაური მკაფიოდ ისმის.
პალმებისა და ნაძვების ტევრებში აქა-იქ ელექტრონის ჭაღები გაგიჟებული მოზვრის თვალებივით ბრიალებენ.
შუაღამე იქნება.
ძარღვებდაწყვეტილს რული არ მეკარება. ვზივარ და უხმოდ გავცქერი მოკუპრულ სივრცეს. შორს წყვდიადში მიმავალი ხომალდის ანძაზე ელექტრონის სანათურებით გამოსახული ვარსკვლავი მკვეთრად კიაფობს.
ხომალდის მრგვალი სარკმელებიდან შუქი ისე გამოდის, თითქოს ციცინათელები ერთმანეთს მისდევდნენ მწკრივში.
გულისტკივილით ვფიქრობ ზღვაში დაღუპულ ბავშვზე, მის გაუხარელ დედაზე, ვფიქრობ ლაშაზე და მაგონდება გულბათის მოყოლილი ამბავი, მან რომ „ზღვა და სიყვარული“ დაარქვა.
ვფიქრობ და საჭიროდ მიმაჩნია ზეინაბისაგან შორს ვიყო,
ლაშასთვისაც ასე აჯობებს:
ჩემი და მისი გზები დღეს სამუდამოდ გაიყარა.

1935 წ.

## სარჩევი


| | |
|---|---|
| თეუ | 7 |
| ბოიკოკონი | 119 |
| ლაშაური საღამოები | 231 |



**Гветадзе Ражден Матвеевич**

**ТЕО, КОСТЕР, ЛАШАУРСКИЕ ВЕЧЕРА.**
**РОМАНЫ**
**(На грузинском языке)**

**Издательство «Мерани»**
**пр. Руставели, 42**
**Тбилиси, 1986**

რედაქტორი ლ. ბრაბიძე
მხატვარი სპ. ცინცაძე
მხატვრული რედაქტორი ნ. ნარიმანიძე
ტექნიკური რედაქტორი დ. ბაცაცაშვილი
კორექტორი ნ. ლომაძე
გამომშვები ნ. ხავთასი

ს. ბ. 3918

ჩაბარდა წარმოებას 28.02.86. ხელმოწერილია საბეჭდად 4.12.86. ფორმატი 84×108 1/32. ქაღალდი საბეჭდი № 2. გარნიტურა ჩვეულებრივი კორპუსი. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 21. საღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 18,07. პირობითი საღებავგამტარება 21. ტირაჟი 100.000 შეკვ. № 522

ფასი 1 მან. 80 კაპ.

გამომცემლობა „მერანი" რუსთაველის 42
თბილისი 1986

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა მეგობრობის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственного комитета Грузинской ССР, по делам издательств полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7.